პლატონი

სახელმწიფო

ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ



«ნეკერი»
2003

გამომცემლობა «ნეკერი» მკითხველს სთავაზობს დიდი ბერძენი მოაზროვნის პლატონის (427-347 წ. ძვ.წ.ა.) ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დიალოგს – «სახელმწიფო», რომელშიც ვრცლადაა განხილული ავტორის ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებები (იდეათა თეორია, მსოფლიო აზროვნების ისტორიაში პირველი სოციალური უტოპია, სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ფორმაციის – მონარქია, არისტოკრატია, ტირანია, დემოკრატია, ოლიგარქია, ოხლოკრატია, პლუტოკრატია – ღრმა ანალიზი, ორიგინალური ფსიქოლოგიური კონცეფცია და სხვ.).

წიგნი გამოცემულია «ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მთარგმნელობითი პროექტის» მხარდაჭერით, ფონდის OშI-ძუგ, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის, გამომცემლობის განვითარების ცენტრისა და ფონდის «ღია საზოგადოება – საქართველო» ფინანსური ხელშეწყობით.

© გამომცემლობა «ნეკერი», 2003

სოკრატე, გლავკონი, პოლემარქე.
თრასიმაქე, ადიმანტე, კეფალე

წიგნი პირველი

სოკრატე. გუშინ პირეოსში გახლდით, გლავკონთან, არისტონის ძესთან ერთად, რათა ლოცვა-ვედრება აღმევლინა ქალღმერთის მიმართ და თანაც მენახა, რანაირად გადაიხდიდნენ მის დღესასწაულს, რომელიც პირველად იმართებოდა. ჩემის აზრით, მშვენიერი იყო იქაურთა საზეიმო მსვლელობა, თუმცა ვერც თრაკიელთა მსვლელობას დასდებდით წუნს. როცა ვილოცეთ და სანახაობითაც გული ვიჯერეთ, ქალაქისაკენ გამოვბრუნდით.

პოლემარქეს, კეფლეს ძეს, შორიდან დავუნახივართ შინ მიმავალნი; ამიტომაც თავისი მსახურისთვის უბრძანებია, დაგვწეოდა და ეთხოვა, მის ბატონს დავლოდებოდით. მსახურმა მოსასხამში ჩამავლო ხელი და მითხრა:

– პოლიმარქე გთხოვთ, დამიცადეთო.

მე შევბრუნდი და ვკითხე, თვითონ სადღაა-მეთქი.

– აი, ისიც, უკან მომყვება; თუ შეიძლება, დაუცადეთ.

– კეთილი, დავუცდით, – უთხრა გლავკონმა.

მალე პოლიმარქეც წამოგვეწია, რომელსაც თან ახლდნენ ადიმანტე, გლავკონის ძმა, ნიკერატე, ნიკიას ძე, და კიდევ რამდენიმე კაცი, რომლებიც, ალბათ, საზეიმო მსვლელობიდან ბრუნდებოდნენ.

პოლიმარქემ თქვა:

– როგორც ვატყობ, ქალაქში მიგეჩქარებათ, სოკრატე.

– გამოცანა გერგება, – ვუთხარი მე.

– კი მაგრამ, ვერ ხედავთ, რამდენი ვართ?

– ბრმა ხომ არა ვარ!

– მაშინ ან უნდა გვძლიოთ, ან აქ დარჩენა მოგიწევთ.

– ნუთუ არ შეიძლება სხვა გამოსავალიც ვიპოვოთ; იქნებ დაგარწმუნოთ, რომ აუცილებელია ჩვენი გაშვება, – ვუთხარი მე.

– განა შეიძლება დაარწმუნო ისინი, ვინც ყურს არ გათხოვებთ? – მომიგო მან.

– ნამდვილად არ შეიძლება, – თქვა გლავკონმა.

– ჰოდა, თქვენც შეუშვით თავში, რომ ყურს არ გათხოვებთ.

ადიმანტემ კი დასძინა:

– ნუთუ არ იცით, რომ საღამოს ჩირაღდნიან ცხენოსანთა ასპარეზობას მართავენ ქალღმერთის პატივსაცემად?

– ცხენოსანთა ასპარეზობას? – ვიკითხე მე, – ოო, ეს რაღაც ახალია. ცხენოსნები, ალბათ, ერთმანეთს გადასცემენ ანთებულ ჩირაღდნებს; ასეა, არა?

– რა თქმა უნდა; – თქვა პოლემარქემ, – თანაც, ღამეული ზეიმის მოწმენიც გავხდებით; ღმერთმანი, ყურებად ღირს. ნავახშმევს ზეიმის საყურებლად გავწიოთ, იქ კი ბევრ ყმაწვილ კაცს ვნახავთ და მათთან საუბრით ვიჯეროთ გული. მაშ, თუ ღმერთი გწამთ, დარჩით.

– როგორც ჩანს, დარჩენა მოგვიწევს, – თქვა გლავკონმა.

– თუ შენ ყაბულსა ხარ, ასეც მოვიქცეთ, – ვუთხარი მე.

პოლემარქესას რომ მივედით, იქ მისი ძმები – ლისია და ევთიდემე დაგვხვდნენ. იქვე იყვნენ ქალკედონელი თრასიმაქე, პეანიელი ქარმანტიდე და

კლიტოფონი, არისტონიმეს ძე. შინ იყო პოლემარქეს მამაც – კეფალე; ბერიკაცი ძალზე მოტეხილი მომეჩვენა: დიდი ხანია აღარ მენახა. სავარძელში ჩაფენილ ყურთბალიშზე მოეკალათა; შუბლს გვირგვინი უმკობდა, რადგანაც ის-ის იყო მსხვერპლი შეეწირა ეზოში. მის მახლობლად ჩამოვსხედით, წრიულად ჩალაგებულ სავარლებზე.

ჩემს დანახვაზე კეფალე მომესალმა და მითხრა:

– რა იშვიათად ჩამოდიხარ, სოკრატე, პირეოსში; არ გეკადრება. უწინდებურად რომ მერჩოდეს ძალა და ქალაქში ჩამოსვლა არ მიჭირდეს, სულაც არ ჩამოგიყვანდით აქ – ჩვენ თვითონ გეწვეოდით. მაგრამ ახლა ხშირ-ხშირად უნდა გვესტუმრო: დამერწმუნე, რაც უფრო მეტად ჩამიქრა ყოველგვარი ხორციელი განცხრომის სურვილი, მით უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებს გულითადი საუბარი. მაშ, მოწყალება მოიღე, ნურც ახალგაზრდებთან ურთიერთობაზე აიღებ ხელს და ნურც ძველ მეგობრებს მოანატრებ თავს.

– მართალი გითხრა, კეფალე, მეც დიდ სიმოვნებას მგვრის ხანდაზმულ ხალხთან საუბარი: – ვუთხარი მე, – მათ ხომ წინ გაგვისწრეს იმ გზაზე, რომლის გავლაც, ალბათ, ჩვენც მოგვიწევს, ასე რომ, მე მგონია, მათგან უნდა გამოვიკითხოთ, მაინც რანაირია ეს გზა: ძნელი და ნარეკლიანი თუ ადვილი და ამოდ სავალი. ამიტომაც სიამოვნებით მოვისმენდი შენს აზრს ამის თაობაზე, რაკიღა უკვე მიაღწიე იმ ასაკს, «სიბერის ზღურბლს» რომ უწოდებენ პოეტები. რას იტყვი, ძნელი ყოფილა სიბერე, თუ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

– ვფიცავ ზევსს, – მომიგო კეფალემ, გეტყვი, რასაც ვფიქრობ, სოკრატე. ჩემი ხნის ხალხი ერთად ვიკრიბებით ხოლმე, რითაც ვამართლებთ ძველ ანდაზას. თავს რომ მოვიყრით, ბევრი ჩვენგანი სინანულით იგონებს სიჭაბუკეში განცდილ სხვადასხვა სანუკვარ სიამოვნებას – სასიყვარულო განცხრომას, ქეიფს, ღრეობას და სხვა მისთანათ, თანაც ისე ბუზღუნებს, თითქოს დიდი რამ დაეკარგოს: ცხოვრება თუ იყო, ის იყო, აბა, ამას ცხოვრება ეთქმისო? ზოგიერთი ბერიკაცი შინაურებს უჩივის – არად მაგდებენო, და ყველა ხმაშეწყობილად დასძახის, სულ სიბერისგან გვჭირს, რაცა გვჭირსო. მაგრამ, მე თუ მკითხავ, სულ ტყუილად ადანაშაულებენ სიბერეს, სოკრატე, რადგანაც სიბერე რომ იყოს ამ უბედურების მიზეზი, მაშინ ხომ ასეთივე ზემოქმედება უნდა მოეხდინა ჩემზედაც და ბევრ სხვა ბერიკაცზედაც, ვინც ჩემი ხნისა მოიყარა. მაგრამ მე შევხვედრივარ არა ერთსა და ორ ბერიკაცს, ვინც სულ სხვანაირად განიცდიდა სიბერეს. ასე მაგალითად, ერთხელ პოეტ სოფოკლეს ჩემი თანდასწრებითა ჰკითხეს: «სასიყვარულო განცხრომაზე რას იტყვი, სოფოკლე? ჯერ კიდევ შეგიძლია ქალის ალერსით თრობა?» «გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, – მიუგო მან, – ისეთი სიხარულით გამოვექეცი ამას, როგორც გაურბიან გამძვინვარებულსა და სასტიკ ბრძანებელს». სოფოკლეს პასუხი მაშინაც დიდად მომეწონა და არც ახლა მომწონს ნაკლებ. რადგანაც სიბერეს სრული სიმშვიდე და ყოველგვარი ვნებათაღელვისაგან განთავისუფლება მოსდევს, ვნებათა დაცხრომა კი სწორედ იმნაირ შეგრძნებას იწვევს, როგორიც ჰქონდა სოფოკლეს, ესე იგი, ურიცხვი მძვინვარე მბრძანებლისაგან თავის დაღწევის გრძნობას. ხოლო ზემოხსენებული ბერიკაცების დრტვინვისა და მათი ოჯახური უსიამოვნების მიზეზი სიბერე კი არაა, სოკრატე, არამედ თვით ადამიანის ბუნება. წესიერი და თავდაჭერილი კაცისთვის სიბერე არც ისე ძნელი ასატანია, უწესოს და აღვირახსნილს კი სიბერის გაძლებაც უჭირს და სიჭაბუკისაც.

მისი სიტყვებით მოხიბლულს მომინდა კვლავაც ელაპარაკა, და ამიტომაც ვუთხარი:

– მე მგონია, ეს რომ ხალხს უთხრა, კეფალე, არავინ დაგიჯერებს, რადგანაც იფიქრებენ, თითქოს ასე ადვილად იმიტომ კი არ იტან სიბერეს, რომ ამნაირი ბუნება გაქვს, არამედ იმიტომ, რომ დიდი სიმდიდრის პატრონი ხარ. მათი აზრით, მდიდარ კაცს სიბერეში ბევრი რამა აქვს სანუგეშო.

– მართალი ხარ – მომიგო მან, – ალბათ, არ დამიჯერებენ და შეიძლება კიდევაც შემომედავონ, მაგრამ მაინც მშვენიერია თემისტოკლეს სიტყვები, რაც მან წარმოსთქვა ერთი სერიფოსელის საპასუხოდ, ლანძღვა-გინებით რომ იკლებდა მას და გაიძახოდა, თავის დიდებას თემისტოკლე საკუთარ თავს კი არა, თავის მშობლიურ ქალაქს უნდა უმადლოდესო: «სერიფოსელი რომ ვიყო, მართლაც ვერ მოვიხვეჭდი სახელს, მაგრამ შენ ვერასოდეს გახდებოდი სახელოვანი, ათენელიც რომ ყოფილიყავიო». ზუსტად ასევე შეიძლება ვუპასუხოთ იმ უპოვართაც, რომელთათვისაც ძნელი ასატანია სიბერე: სიღარიბეში თვით თვინიერ კაცსაც კი უბედურებად მიაჩნია სიბერე, ხოლო უკეთურს სიმდიდრეც ვერ შეუმსუბუქებს სიბერის ტვირთს.

– ეგ შენი ავლადიდება მემკვიდრეობით მიიღე თუ შენ თვითონ შეიძინე, კეფალე? – ვკითხე მე.

– შენც დიდი შემძენი მნახე: – მომიგო მან, – როგორც შეძლებულ კაცს, მამაჩემსა და პაპაჩემს შორის საშუალო ადგილი მიჭირავს, სოკრატე. პაპაჩემმა, რომელსაც ჩემსავით კეფალე ერქვა, დაახლოებით ისეთივე მემკვიდრეობა მიიღო, რა შეძლების პატრონიც მე ვარ ახლა, მაგრამ რამდენჯერმე გაზარდა, თავისი ავლადიდება, მამაჩემმა ლისანიამ კი, პირიქით, რაც დღესა მაქვს, იმაზე მეტად შეამცირა მამის დანატოვარი ქონება. ჩემდა თავად, სავსებით კმაყოფილი ვიქნები, თუ, აი, ამათ იმაზე ნაკლებს კი არა, ცოტა მეტ სიმდიდრეს დავუტოვებ, ვიდრე მემკვიდრეობით მერგო.

– იმიტომ გკითხე, – ვუთხარი მე, – რომ არ გეტყობა, ფულის დიდი ტრფიალი იყო; იგივე ითქმის ყველა იმ კაცზეც, ვისაც თვითონ არ მოუხვეჭავს თავისი ავლადიდება. ხოლო ვინც თავისი გერგილიანობით მოაქუჩა სიმდიდრე, ორმაგად ეტრფის და თავს დაჰკანკალებს მას. როგორც პოეტებს უყვართ თავიანთი ქმნილებები, მამებს კი – შვილები, შეძლებულებსაც მზე და მთვარე ამოსდით ფულზე, მაგრამ სხვებივით მხოლოდ იმიტომ კი არ ეტრფიან მას, რომ ფული საჭიროა, არამედ იმიტომაც, რომ თავიანთ ქმნილებად მიაჩნიათ იგი. ამნაირ ხალხთან ურთიერთობა ძნელი საქმეა: არაფერი არ მოსწონთ, სიმდიდრის გარდა.

– მართალს ბრძანებ.

– რა თქმა უნდა. მაგრამ ერთი ეს მითხარი: შენის აზრით, მაინც რა არის ყველაზე დიდი სიკეთე, რასაც შეიძლება სიმდიდრემ აზიაროს კაცი?

– უმრავლესობა, ალბათ, არც დამიჯერებს, – მითხრა კეფალემ; – იცი რას გეტყვი, სოკრატე? კაცს, რომელიც გრძნობს რომ სიკვდილი უკვე კარზე უკაკუნებს, შიში იპყრობს და იმნაირი აზრები უტრიალებს თავში, უწინ სიზმრადაც რომ არ მოლანდებია. ძველი თქმულებები და გადმოცემები ჰადესზე, – კერძოდ, იმ სასჯელზე, რასაც თავიდან ვერ აიცილებს ვერავინ, ვინც უსამართლოდ გალია ეს წუთისოფელი, – აქამდე სასაცილოდაც რომ არ ჰყოფნიდა, ახლა მთელ სულს უფორიაქებს: ვაითუ ყოველივე ეს სიმართლე იყოსო. და ის, სიბერისათვის ნიშნეული სიძაბუნისა თუ საიქიოსთან სიახლოვის წყალობით, უფრო თვალნათლივ ხედავს ყველაფერს. ამიტომაც უნდობლობითა და შიშით ევსება სული, ცდილობს თვალი გადაავლოს წარსულს და გაიხსენოს, ხომ არავის მოჰქცევია უსამართლოდ. თუ თავისი ცხოვრების მანძილზე მრავალი უსამართლობა ჩაუდენია, ანაზდეულად გამოღვიძებული ბავშვივით შემკრთალი და დაფეთებული მომავლისაგან სიავის

მეტს არას მოელის; ხოლო თუ არავითარი წილი არ უდევს უსამართლობაში, ყოველთვის თან ახლავს სანუკვარი იმედი, სიბერის კეთილი ძიძა, როგორც შენიშნავს პინდარე; და მართლაც, დიდებულად უთქვამს, სოკრატე: ვისაც სამართლიანობისა და ღვთისმოსაობისთვის მიუძღვნია მთელი სიცოცხლე.

«მიწყივ თან ახლავს მას იმედი გულის სალბუნად,
სიბერის ძიძა, მოკვდავ კაცთა ცვლადი ზრახვების
უზენაესი მწე, მეოხი და წარმმართველი».

საოცარი ძალითაა ნათქვამი. ჩემდა თავად კი აქვე დავსძენ, რომ სიმდიდრე მართლაც დიდი სიკეთეა, მაგრამ ყველასთვის კი არა, მხოლოდ წესიერი და ჭკუადამჯდარი კაცისთვის. გწამდეს, რომ არავინ მოგიტყუებია, უნებლიეთაც კი არ დაგცდენია სიცრუე, არც არავისთვის დაგიკლია რაიმე: ღმერთისთვის – მსხვერპლშეწირვა, კაცისთვის – შემწეობა, და, ამრიგად, საიქიოს მიმავალს თან არ მიგდევდეს შიში, – აი, ყველაზე დიდი სიკეთე, რასაც კაცს ანიჭებს სიმდიდრის ფლობა. თუმცა სიმდიდრეს ბევრი სხვა უპირატესობაც ახლავს, მაგრამ ყველაფერი კარგად რომ ავწონ-დავწონოთ, ჭკუადამჯდარი კაცისთვის ყველაზე დიდი სიკეთე მაინც ისაა, სოკრატე, რაც ზემოთ მოგახსენე.

– დიდებული ნათქვამია, კეფალე, – ვუთხარი მე – მაგრამ რას ვიტყვით, რა არის თვით ეს სამართლიანობა: მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე და უკანვე დაბრუნება იმისა, რაც მიგიღია, თუ ერთი და იგივე მოქმედება ზოგჯერ სამართლიანია, ზოგჯერ კი უსამართლო? სანიმუშოდ ერთ ასეთ მაგალითს მოვიხმობ: ვთქვათ, ვინმეს იარაღი აჩუქა მისმა მეგობარმა, რომელიც ამის შემდეგ ჭკუაზე შეცდა და უკანვე მოითხოვა თავისი საჩუქარი. მაგრამ ხომ აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში იარაღის დაბრუნებაც უსამართლობა იქნებოდა და ამ უბედურ დღეში ჩავარდნილი კაცისთვის მთელი სიმართლის გამხელაც?

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, ამით როდი განისაზღვრება სამართლიანობა: სიმართლის თქმითა და იმის უკანვე დაბრუნებით, რაც მიგიღია.

– არა, სწორედ მაგით განისაზღვრება, სოკრატე, – გამაწყვეტინა პოლემარქემ, – თუკი ოდნავ მაინც ვენდობით სიმონიდეს.

– მოდით, თქვენ თვითონ განაგრძეთ ეს საუბარი, – გვითხრა კეფალემ, – მე კი ჩემი მსხვერპლშეწირვა უნდა დავასრულო.

– მაშასადამე, პოლემარქე იქნება შენი მემკვიდრე? – ვკითხე მე.

– რა თქმა უნდა, – თქვა კეფალემ, გაიღიმა და საღმრთო საქმის აღსასრულებლად გასწია.

– მაშ, ახლა შენ გვითხარი, ამ ჩვენს საუბარში კეფალეს მემკვიდრევ, – მივუბრუნდი პოლემარქეს, – მაინც რას ამბობს სიმონიდე სამართლიანობის თაობაზე, რაკიღა ასე მოგწონს მისი სიტყვები?

– რასა და, იმას, – თქვა პოლემარქემ, – რომ სამართლიანობა მოითხოვს, თვითეულს მივაგოთ მისი კუთვნილი. ჩემის აზრით, დიდებულადაა ნათქვამი.

– რა თქმა უნდა, – მივუგე მე, – ძნელია არ დაეთანხმო სიმონიდეს, ამ ბრძენსა და ღვთაებრივ კაცს. მაგრამ მისი სიტყვები შენთვის, ალბათ, გასაგებია, პოლემარქე, მე კი ვერასდიდებით ვერ ჩავწვდომივარ მათ აზრს. ცხადია, სიმონიდე იმას როდი გულისხმობს, რასაც ჩვენ ვამბობდით წეღან – თითქოს ის, რაც მოგვაბარეს, პირველი მოთხოვნისთანავე უნდა დავუბრუნოთ პატრონს, თუნდაც ეს უკანასკნელი თავის ჭკუაზე აღარ იყოს, თუმცაღა, რასაკვირველია, სწორედ მან მოგვაბარა ის, რითაც ვსარგებლობდით. ასეა, არა?

– დიახ.

– მაგრამ არასდიდებით არ უნდა დავაბრუნოთ რაც მოგვაბარეს, როცა პატრონი თავის ჭკუაზე აღარ არის?

– რა თქმა უნდა, არა.

– მაშასადამე, სიმონიდე სხვა რამეს გულისხმობდა, როცა თქვა: სამართლიანობა მოითხოვს, თვითეულს მისი კუთვნილი მივაგოთო.

– ცხადია, სხვა რამეს გულისხმობდა, ვფიცავ ზევსს. მას, როგორც ჩანს, იმის თქმა სურდა, რომ მეგობარი ბოროტის კი არა, კეთილის მყოფელი უნდა იყოს მეგობრის მიმართ.

– გასაგებია; – ვუთხარი მე, – მაშასადამე, ვინმესთვის კუთვნილის მიგება იმას როდი ნიშნავს, რომ მობარებული ფული დაუბრუნო, თუკი ეს დაბრუნება ზიანის მეტს არას მოუტანს მას; და თანაც, იგულისხმება, რომ ვინც ფულს უბრუნებს და ვინც მას იბრუნებს, მეგობრები არიან. რას იტყვი, განა ამას არ გულისხმობდა სიმონიდე?

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, მტრებსაც ხომ უნდა მივაგოთ მათი კუთვნილი?

– აუცილებლად უნდა მივაგოთ ის, – თქვა პოლემარქემ, – რასაც ისინი იმსახურებენ. ხოლო კუთვნილი, რაც მტერმა უნდა მიაგოს მტერს, ჩემის აზრით, ბოროტებაა.

– მაშ, როგორც ჩანს, სიმონიდე, მხოლოდ პოეტურად და, ცოტა არ იყოს, ბუნდოვნად განმარტავს სამართლიანობას, რაშიაც, ეტყობა, იმ აზრს დებს, რომ სამართლიანობა თვითეულისთვის მისი კუთვნილის, ანუ რაც იგივეა, მართებულის მიგებას ნიშნავს.

– კი მაგრამ, შენ რაღას იტყვი? – მკითხა პოლემარქემ.

– ვფიცავ ზევსს, – მივუგე მე, – ვინმეს რომ ეკითხა სიმონიდესთვის: «გვითხარი, სიმონიდე, ვის რას უნდა მიაგებდეს ან უნიშნავდეს საკურნალო ხელოვნება, დიახ, ვის რას უნდა უნიშნავდეს, როგორც კუთვნილს და მართებულსო», – როგორ გგონია, რა პასუხს გასცემდა იგი?

– ცხადია, ამას: სხეულს – წამლებს, საზრდელსა და სასმელსაო.

– კი მაგრამ, მზარეულის ხელოვნებით რაღას უნდა მიეგოს, რაღას უნდა მიეცეს, ან რა უნდა მიეცეს, როგორც კუთვნილი და მართებული?

– საკაზმი – კერძებს.

– კეთილი და პატიოსანი; ახლა კი ესეც მითხარი: ვის რას უნდა მიაგებდეს სამართლიანობის ხელოვნება, როგორც კუთვნილსა და მართებულს?

– იმისდა კვალად, რაც ზემოთ ითქვა, სოკრატე, მეგობრებს – სიკეთეს და სარგებლობას, მტრებს კი – ზიანს და სიავეს.

– მაშასადამე, სიმონიდე მეგობრებისთვის – სიკეთის, მტრებისთვის კი ბოროტის ქმნას უწოდებს სამართლიანობის ხელოვნებას?

– როგორც ჩანს.

– ახლა ისიც ვთქვათ, როცა საქმე ეხება სიჯანსაღეს და ავადმყოფობას, ვის შეუძლია ყველაზე მეტად, სიკეთე უყოს მეგობრებს, მტრებს კი – ბოროტება?

– ექიმს.

– ხოლო ზღვაოსნებს, გრიგალს რომ ებრძვიან ზღვაში?

– მესაჭეს.

– სამართლიანზე რაღას იტყვი? რანაირად, ან რა შემთხვევაში შეუძლია მას, ყველაზე მეტად არგოს მეგობრებს, ხოლო მტრებს – ავნოს?

– მე მგონია, ომში, სოკრატე, სადაც საშუალება ექნება პირველთა მხარდამხარ იბრძოლოს მეორეთა წინააღმდეგ.

– კეთილი და პატიოსანი; მაგრამ, ჩემო ძვირფასო პოლემარქე, ვინც ავად არ არის, იმას ექიმი არცა სჭირდება.

– მართალს ბრძანებ.

– არც მესაჭე სჭირდება იმას, ვინც გემით არ მიცურავს ზღვაზე.

– დიახ.

– მაშასადამე, ვინც არ იბრძვის იმას არც სამართლიანი კაცი სჭირდება?

– მაგისი კი რა მოგახსენო.

– ესე იგი, სამართლიანობა მშვიდობის დროსაც საჭიროა?

– დიახ.

– ისევე, როგორც მიწათმოქმედება, არა?

– რა თქმა უნდა.

– ჭირნახულის მოსაწევად?

– დიახ.

– მეწაღეობაც?

– დიახ.

– იმისთვის, რომ წაღები არ შემოგვაკლდესო, – ასე მიპასუხებ?

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, შენის აზრით, რისთვის, ან რის შესაძენად გვჭირდება სამართლიანობა მშვიდობის დროს?

– ურთიერთობისთვის, სოკრატე.

– ურთიერთობისთვისო, რომ ამბობ, შენ გულისხმობ თანამშრომლობას და თანამდგომლობას?

– რასაკვირველია.

– მერედა, ვინ იქნება საიმედო და სასარგებლო თანამდგომი შაშის თამაშში: სამართლიანი კაცი თუ კარგი მოშაშე?

– კარგი მოშაშე.

– ხოლო აგურის ან ქვის კედლების ამოყვანისას სამართლიანი კაცი უფრო საიმედო და სასარგებლო თანამდგომი იქნება, ვიდრე კირითხურო?

– არა, პირიქით.

– კითარაზე დაკვრისას კი თანამდგომად კითარისტი უნდა გერჩიოს სამართლიან კაცს. მაგრამ როდის, ან რა საქმეში შეიძლება ამ უკანასკნელს კითარისტზე უკეთეს თანამდგომად ვთვლიდეთ?

– მე მგონია, აღებ-მიცემობისას.

– თუ იმ შემთხვევას გამოვრიცხავთ, პოლემარქე, როცა საქმე ფულის ხარჯვას ეხება; რადგან თუ საჭიროა ერთად ვიყიდოთ ან გავყიდოთ ცხენი, მაშინ, ჩემის აზრით, მხედარი უფრო გამოგვადგება; ასეა, არა?

– როგორც ჩანს.

– ხომალდის შეძენისას კი – მეხომალდე ანდა მესაჭე.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო როცა საჭიროა ერთობლივად მოვიხმაროთ ჩვენი ოქრო-ვერცხლი, მაინც რა შემთხვევაში შეიძლება სამართლიანი კაცი სხვებზე უკეთეს თანამდგომად მიგვაჩნდეს?

– როცა ჩვენს ოქრო-ვერცხლს შესანახად ვაბარებთ ვინმეს, რომ ერთი მისხალიც არ დაგვეხარჯოს.

– ესე იგი, როცა ჩვენი სიმდიდრე უქმად და ურგებად აწყვია?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, სამართლიანობა მაშინაა სასარგებლო, როცა ფული უსარგებლოა?

– როგორც ჩანს.

– ასე რომ, სამართლიანობა სასარგებლოა, როცა ერთად თუ ცალ-ცალკე გვჭირდება სასხლავის შენახვა, მაგრამ იგივე სასხლავი რომ მოვიხმაროთ, მაშინ მევენახის ხელოვნებაა საჭირო?

– ეტყობა.

– შენ, ალბათ, იმასაც იტყვი, რომ თუ ფარის ან ლირის შენახვაა საჭირო, და არა მათი ხმარება, მაშინ სამართლიანობა სასარგებლოა, ხოლო თუ მათ ხმარებაზე მიდგება საქმე, მაშინ სასარგებლოა ჰოპლიტისა თუ მუსიკოსის ხელოვნება.

– ცხადია, ვიტყვი.

– და საერთოდაც, ნებისმიერი საგანი რომ ავიღოთ, თუ მას ვხმარობთ, სამართლიანობა უსარგებლოა, ხოლო თუ არა ვხმარობთ, – სასარგებლო?

– როგორც ჩანს.

– თუ ასეა, ეგ შენი სამართლიანობა დიდი ხვითო კი ყოფილა, ჩემო ძვირფასო, რაკიღა მხოლოდ უსარგებლობისასაა სასარგებლო. მაგრამ, მოდი, ეს შემთხვევაც განვიხილოთ: ვინც ყველაზე მარჯვედ იქნევს მუშტებს ჩხუბში, მუშტი-კრივსა თუ შეხლა-შემოხლაში, განა ყველაზე მარჯვედ ვერ შესძლებს მათ თავიდან აცილებასაც?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო ვისაც შეუძლია თავიდან აიცილოს და აირიდოს სნეულება, განა ყველაზე მეტად ვერ შეძლებს სხვის დასნეულებას?

– მე მგონია, შეძლებს.

– სამხედრო ბანაკს კი განა ყველაზე უკეთ ვერ დაიცავს ის, ვისაც შეუძლია იდუმალ ჩასწვდეს მტრის ფარულ ზრახვას, ან საბრძოლო გეგმა მოჰპაროს და გამოიცნოს მისი ჩანაფიქრი?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, ვინც უკეთესი შემნახველია, იგივე შეიძლება იყოს უფრო გაქნილი ქურდიც?

– როგორც ჩანს.

– ასე რომ, თუ სამართლიან კაცს შეუძლია ფულის შენახვა, იმასაც შეძლებს, რომ მოიპაროს იგი?

– ჩვენი მსჯელობის მიხედვით, ეგრე გამოდის.

– მაშ, სამართლიანი კაცი ქურდი ყოფილა და ეგ არის. ეს აზრი, ალბათ, ჰომეროსისაგან შეითვისე: დიდ პატივს რომ მიაგებს ავტოლიკეს – ოდისევსის პაპას დედის მხრივ, პოეტი იქვე დასძენს, რომ ის ყველას ჩრდილავდა ქურდობით და ხელმრუდობით. ასე რომ, როგორც შენი, ისე ჰომეროსისა და სიმონიდეს მიხედვითაც, სამართლიანობა ერთგვარი ქუდობაა, მაგრამ იმნაირი ქურდობა, რომელიც მიზნად ისახავს მეგობრებს არგოს რაიმე, ხოლო მტრებს – ავნოს. განა ამას არ ამბობდი?

– არა, ვფიცავ ზევსს, – თქვა პოლემარქემ, – აღარც კი ვიცი, რას ვამბობდი. მაგრამ მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ მეგობრებს არგო, ხოლო მტრებს ავნო, – სწორედ ესაა სამართლიანობა.

– კი მაგრამ, ვინ მიგაჩნია მეგობრებად: ისინი, ვინც ღირსეულნი ჩანან, თუ ვინც მართლა ღირსეულნი არიან, თუმცა შეიძლება ამნაირნი არც კი ჩანდნენ სხვის თვალში? და ამასვე გეკითხები მტრებზედაც.

– სავსებით ბუნებრივია, მეგობრებად მიგაჩნდეს ისინი, ვინც ღირსეულნი გგონია, და ზიზღით აქცევდე ზურგს უღირსთ.

– მერედა, განა ადამიანები ხშირად არ ცდებიან ამ მხრივ? ვინ მოსთვლის, რამდენ უღირსს მიიჩნევენ ღირსეულად და პირიქით.

– სამწუხაროდ, ცდებიან ხოლმე.

– ასე რომ, ღირსეულნი მტრებად მიაჩნიათ, უღირსნი კი – მეგობრებად?

– ეგრეა.

– მაგრამ მაშინ, მათი თვალსაზრისით, სამართლიანი იქნება უღირს ხალხს რგებდე, ხოლო ღირსეულთ ვნებდე?

– როგორც ჩანს.

– მაგრამ ღირსეული ადამიანები სამართლიანნი არიან და არ შეუძლიათ უსამართლობა ჩაიდინონ.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, თუ შენს სიტყვებს ვერწმუნებით, სამართლიანი იქნებოდა ბოროტი გვეყო იმათთვის, ვინც უსამართლობას არ სჩადის?

– ღმერთმა დამიფაროს, მაგას რას მწამებ, სოკრატე?

– ესე იგი, სამართლიანი იქნებოდა ვვნებდეთ უსამართლოთ, ხოლო სამართლიანთ ვრგებდეთ?

– აი, ეგ უფრო სწორია.

– მაშასადამე, ისინი, ვინც ცდებიან ადამიანების შეფასებისას, ართუ იშვიათად სამართლიანობად მიიჩნევენ იმას, რომ თავიანთ მეგობრებს ვნებდნენ, პოლემარქე, – მათ ხომ უღირსებად თვლიან, – ხოლო მტრებს – რგებდნენ, რადგანაც ეს უკანასკნელნი, მათი აზრით, ღირსეული ადამიანები არიან. ამრიგად, ჩვენ გამოვთქვამთ იმ მოსაზრების სრულიად საპირისპირო აზრს, რაც წეღან სიმონიდეს მივაწერეთ.

– რას იზამ, ასედაც ხდება ხოლმე. მაგრამ, მოდი, ერთგვარად დავაზუსტოთ ჩვენი აზრი: ზემოთ ხომ არასწორად განვსაზღვრეთ, ვინ არის ჩვენი მეგობარი და ვინ კიდევ – მტერი.

– მაინც რანაირად განვსაზღვრეთ, პოლემარქე?

– რანაირად და იმნაირად, რომ თითქოს ვინც ღირსეული გვეჩვენება, ისაა ჩვენი მეგობარიც.

– მერედა, როგორ დავაზუსტოთ ჩვენი განსაზღვრა?

– აი, ასე: ჩვენი მეგობარი ისაა, ვინც არა მარტო ღირსეული გვგონია, არამედ მართლა ღირსეულია, ხოლო ვინც მარტოოდენ ღირსეული გვეჩვენება, ის ნამდვილ კი არა, მოჩვენებით მეგობრად უნდა მიგვაჩნდეს. იგივე ითქმის ჩვენს მტრებზედაც.

– ამ განსაზღვრის თანახმად, ღირსეული კაცი ჩვენი მეგობარი იქნება. უღირსი კი – მტერი?

– დიახ.

– თუ ასეა, რას იტყვი, სამართლიანობის ძველი განსაზღვრა, რომლის თანახმადაც სამართლიანია კეთილისმყოფელნი ვიყოთ მეგობრის მიმართ, ხოლო მტრის მიმართ – ავისმოქმედნი, – უნდა შევავსოთ თუ არა იმით, რომ სამართლიანია კეთილს ვუყოფდეთ მეგობარს, თუ ის ღირსეული კაცია, მტერს კი – ბოროტს, თუ ის უღირსია?

– რა თქმა უნდა. ჩემის აზრით, ეს მშვენიერი განსაზღვრაა.

– მაშასადამე, – ვუთხარი მე, – სამართლიანი კაცისთვის ნიშნეულია ვიღაცას ვნებდეს?

– რასაკვირველია, – თქვა პოლემარქემ, – უნდა ვვნებდეთ უღირსს და მტერს.

– მაგრამ თუ რაიმეს ვავნებთ ცხენს, უკეთესი გახდება ის თუ უარესი?

– უარესი.

– რა მხრივ? ვის ღირსებას შევბღალავთ ამით: ძაღლისას თუ ცხენისას?

– ცხენისას.

– ხოლო თუ ძაღლს ვავნებთ რაიმეს, ვის ღირსებას შევბღალავთ მასში: ძაღლისას თუ ცხენისას?

– რა თქმა უნდა, ძაღლისას.

– ადამიანებზე რაღას ვიტყვით, ჩემო ძვირფასო: თუკი რაიმე ვავნეთ, განა მათშიაც არ იბღალება ადამიანური ღირსება?

– რასაკვირველია.

– მერედა, განა სამართლიანობა ადამიანის ღირსებად არ გვევლინება?

– უცილობლად.

– ის ადამიანები, ვისაც რაიმე ვავნეთ, აუცილებლად უარესნი ხდებიან?

– როგორც ჩანს.

– კი მაგრამ, შეუძლია თუ არა მუსიკოსს მუსიკის მეშვეობით მუსიკოსის ნიჭი წაართვას ადამიანს?

– არა, არ შეუძლია.

– ხოლო მხედარმა მხედრობის წყალობით ცხენზე ჯდომას გადააჩვიოს ვინმე?

– შეუძლებელია.

– არც სამართლიან კაცს შეუძლია სამართლიანობის წყალობით უსამართლო გახადოს თავისი მოყვასი? და საერთოდაც, შეუძლია თუ არა ღირსეულ კაცს თავისი ღირსების მეოხებით უღირსად აქციოს ვინმე?

– ნამდვილად არ შეუძლია.

– რადგანაც რისიმე გაცივება, ჩემის აზრით, რაიმე თბილს კი არ შეუძლია, არამედ იმას, რაც თბილს უპირისპირდება.

– დიახ.

– ხოლო რაღაცის დასველების უნარი მშრალს კი არ შესწევს, არამედ მშრალის საპირისპიროს.

– რა თქმა უნდა.

– არც სამართლიან კაცს შეუძლია ვინმეს რაიმე ავნოს, არამედ პირიქით.

– როგორც ჩანს.

– მაგრამ სამართლიანი კაცი ხომ ღირსეული კაცია?

– რასაკვირველია.

– მაშასადამე, სამართლიან კაცს არ შეუძლია ვისიმე ვნება, სულერთია, მეგობარი იქნება თუ სხვა ვინმე; რადგანაც ეს იმისი საქმეა, პოლემარქე, ვინც სამართლიანს უპირისპირდება, ესე იგი, უსამართლო კაცისა.

– ჩემის აზრით, ცამდე მართალი ხარ, სოკრატე.

– ამიტომ თუ ვინმე ამტკიცებს, სამართლიანობა ისაა, რომ თვითეულს მისი კუთვნილი მოაგოო, ხოლო თავის მტკიცებაში იმ აზრსა დებს, რომ სამართლიანი კაცი მტრებს უნდა ვნებდეს, მეგობრებს კი რგებდეს, – შეუძლებელია ბრძენკაცად მიგვაჩნდეს იგი, რადგანაც მისი მტკიცება მცდარია; ჩვენ ხომ გავარკვიეთ, რომ სამართლიანი კაცი არავის არასოდეს არა ვნებს.

– გეთანხმები, – თქვა პოლემარქემ.

– ამრიგად, – ვუთხარი მე, – ჩვენ ერთად გავილაშქრებთ ყველას წინააღმდეგ, ვინც ამტკიცებს, რომ ამას ამბობდა სიმონიდე, ბიანტი, პიტაკე, ან რომელიმე სხვა ბრძენი და სახელოვანი კაცი.

– მე მზად ვარ, – თქვა პოლემარქემ, – მონაწილეობა მივიღო ამ ლაშქრობაში.

– თუ იცი, – ვუთხარი მე, – ვის ეკუთვნის ეს მტკიცება, რომლის თანახმადაც, სამართლიანობა ისაა, რომ მეგობრებს რგებდე, ხოლო მტრებს ვნებდე?

– ვის? – იკითხა პოლემარქემ.

– ჩემის აზრით, ის პერიანდრესა თუ პერდიკასს უნდა ეკუთვნოდეს, ან, შესაძლოა, ქსერქსესა თუ თებელ ისმენიას, ან კიდევ თავისი სიმდიდრით გალაღებულსა და განებივრებულ ვიღაც სხვა კაცს.

– ცამდე მართალი ხარ, – თქვა პოლემარქემ.

– კეთილი და პატიოსანი. მაგრამ რაკიღა გავარკვიეთ, რომ სამართლიანობა თუ სამართლიანი არც ესაა და არც სხვა რამ, მაინც რანაირად შეიძლებოდა განგვესაზღვრა იგი?

მთელი ამ ხნის მანძილზე თრასიმაქე მოუსვენრად ცქმუტავდა; არაერთხელ დააპირა ჩვენს საუბარში ჩარეულიყო, მაგრამ გვერდით მსხდომებმა არ მისცეს ნება, რადგანაც ძალიან უნდოდათ ბოლომდე მოესმინათ ჩვენთვის. ახლა კი, როცა ჩემი უკანასკნელი შეკითხვის შემდეგ წამით შევჩერდით და შევისვენეთ, თრასიმაქეს მოთმინების ფიალა აევსო: ნადირივით მოიბღუნძა და ისეთი გაშმაგებით გვეძგერა, თითქოს გაგლეჯას გვიპირებსო.

მე და პოლემარქე შიშმა აგვიტანა და აქეთ-იქით გადავქანდით, თრასიმაქემ კი იბღავლა:

– რას მიედ-მოედებით, სოკრატე, ჩვენი გაცუცურაკება მოგინდათ?! რატომ გსურთ ბრიყვებად მოგვაჩვენოთ თავი? პატარა ბალღებივით კენწლაობა არ გაგვიჩაღეს? თუ მართლა გულით გინდა გაარკვიო, რა არის სამართლიანობა, მარტოოდენ კითხვების დასმასა და მათი პასუხების გაქარწყლებას ნუკი სჯერდები, – მშვენივრად მოგეხსენება, რომ კითხვა უფრო ადვილია, ვიდრე პასუხი, – არამედ შენ თვითონვე გაეცი პასუხი და გვითხარი, მაინც რა მიგაჩნია სამართლიანობად. მხოლოდ შენებურად ნუკი მიკიბ-მოკიბავ, თითქოს სამართლიანი სხვა არა არის რა, თუ არა კუთვნილი, მართებული, სასარგებლო, ხელსაყრელი, მიზანშეწონილი და სხვა მისთანანი, არამედ გულდასმით აწონ-დაწონე ყოველი სიტყვა, ყველაფერი ნათლად და გარკვევით გვითხარი; მე ის კაცი არა ვარ, რომ ამნაირ როშვას ყური ვათხოვო.

ამის გამგონე გავშრი, გავხევდი და შეშინებულმა შევხედე თრასიმაქეს; ასე მგონია, რომ არ დამესწრო და უმალ არ შემეხედა, ვიდრე თვითონ შემომხედავდა, ალბათ, მუცელში ჩამივარდებოდა ენა. ახლა კი, რახან გავკადნიერდი და ჩვენი საუბრით გაცოფებულს პირველმა გავუბედე შეხედვა, მხნეობა მოვიკრიბე და ხმის კანკალით ვკადრე:

– ნუ გვრისხავ, თრასიმაქე. თუ მე და პოლემარქე შევცდით და კიდევაც შევცოდეთ ამ საკითხის განხილვისას, მერწმუნე, ჩვენდა უნებურად შევცოდეთ. ან იქნებ, მართლა გგონია, ჩვენ რომ ოქროს ძიება დაგვეპირებინა, კენწლაობას მოვყვებოდით და, ამრიგად, მის მოძებნაში ხელს შევუშლიდით ერთიმეორეს? მაგრამ ჩვენ ვეძებთ სამართლიანობას, ათასწილ უფრო ძვირფასს ოქროზე, და ნუთუ ასე უაზროდ მოვყვებით ერთმანეთის კენწვლას, ნაცვლად იმისა, რომ გულმოდგინედ ვეძიოთ იგი? კარგად დაფიქრდი, ჩემო ძვირფასო! ვაი რომ მისი მიკვლევა ჩვენს ძალ-

ღონეს აღემატება, ასე რომ, თქვენ, გაცილებით მეტის შემძლენი, უმალ სიბრალულით უნდა გვიყურებდეთ, ვიდრე გვრისხავდეთ.

ეს რომ გაიგონა, თრასიმაქემ სარდონიულად ჩაიქირქილა და თქვა:

– ოო, ჰერაკლე! აი, სოკრატეს ჩვეული ირონია! აკი ვიცოდი და ყველას წინასწარ ვუთხარი კიდეც, რომ შენ არასდიდებით არ გვაღირსებდი პირდაპირ პასუხს, მიამიტად მოგვაჩვენებდი თავს და ნემსის ყუნწში გაძვრებოდი, ოღონდ პასუხისთვის აგერიდებინა თავი, თუკი რაიმეს გკითხავდნენ.

– ბრძენი ხარ, ბრძენი, თრასიმაქე, – ვუთხარი მე, – მშვენივრად მოგეხსენება, რომ თუ იკითხავ, რა რიცხვებისაგან შედგება თორმეტი, მაგრამ შეკითხვისთანავე გააფრთხილებ მოპასუხეს: მხოლოდ არ გაბედო, ძმობილო, იმისი თქმა, რომ თორმეტი ორჯერ ექვსია, ან სამჯერ ოთხი, ან კიდევ ექვსჯერ ორი თუ ოთხჯერ სამი, თორემ ყურს არ გათხოვებ, თუ ამნაირი სისულელის როშვას მოჰყვებიო, – დიახ, მშვენივრად მოგეხსენება და შენთვის წინასწარვე ცხადი იქნება, რომ ვერავინაც ვერ გაბედავს ამნაირ კითხვაზე გიპასუხოს. მაგრამ თუ ვინმე გეტყვის: «მაინც რა გნებავს, თრასიმაქე? ჩემს პასუხში მისხალიც არ უნდა ერიოს იმისა, რაც წინასწარვე ამიკრძალე? მაგრამ თუ ამის გარეშე სწორი პასუხი შეუძლებელია, მაშინ რას მიბრძანებ, საოცარო, ჭეშმარიტებას დავუპირისპირდე? ამას მოითხოვ?» აბა, რას იტყვი ამაზე?

– გეყოფა, – თქვა თრასიმაქემ, – ისევ ძველებურად გააბი?

– მაშ, რა ვქნა? – მივუგე მე, – გინდ ძველებური უთხარი და გინდ ახლებური, მაგრამ რას იტყვის ის, ვისაც ამნაირი კითხვით მიმართავ? ხომ არ გგონია, შეიძლება ერთი სწამდეს და მეორე კი გიპასუხოს, მიუხედავად იმისა, ვინმე უკრძალავს ამას თუ არა?

– მაშასადამე, თვითონაც ასევე მოიქცევი: პასუხში ჩაურთავ იმას, რაც აგიკრძალე?

– არ გამიკვირდება, – ვუთხარი მე, – თუ საკითხის განხილვისას ასედაც მოვიქცევი.

– კი მაგრამ, – თქვა თრასიმაქემ, – თუ მე მიგანიშნებ პასუხს, რომელსაც ვერ შეედრება ვერცერთი სხვა პასუხი, სამართლიანობის განსაზღვრას რომ გვთავაზობს? რას მიუსჯიდი მაშინ საკუთარ თავს?

– რა უნდა მიმესაჯა, – მივუგე მე, – გარდა იმისა, რასაც იმსახურებს უვიცი? ხოლო ეს უკანასკნელი ღირსია იმისა, რომ მცოდნისაგან ისწავლოს. აი, სასჯელი, რომელსაც მე ვიმსახურებ.

– თაფლი მოგწვეთავს ბაგიდან, მაგრამ ეგ როდი კმარა: სწავლის ქირაც უნდა გადაიხადო.

– აუცილებლად გადავიხდი, როგორც კი ფულს მოვიგდებ ხელში.

– ისე იგულე, თითქოს ფული უკვე ჯიბეში გედოს! – წამოიძახა გლავკონმა, – შენ ოღონდ განაგრძე, თრასიმაქე, და სოკრატეს სწავლის ქირას ჩვენ გადავიხდით.

– რათა სოკრატემ, თუ გუმანი არ მატყუებს, კვლავ თავის ჩვეულებას მისდიოს? – თქვა თრასიმაქემ, – ესე იგი, თვითონ კი არ გაგვცეს პასუხი, არამედ სხვისი პასუხების ჩხრეკას მოჰყვეს და ზედი-ზედ გააბათილოს ისინი?

– კი მაგრამ, რა გიპასუხოთ, დიდებულო თრასიმაქე, – ვუთხარი მე, – თუკი, ჯერ ერთი, არაფერი არ ვიცი და არც არაფრის ცოდნას ვიჩემებ; ეგეც არ იყოს, ამ საკითხზე ერთგვარი წარმოდგენაც რომ მქონდეს, მაინც ვერაფერს მოგახსენებთ, რადგანაც ჩემი აზრის გამოთქმა აკრძალული მაქვს და, თანაც, ბრძენკაცის მიერ. ასე რომ, შენ უფრო შეგშვენის ლაპარაკი: რაკიღა მცოდნედ მოგაქვს თავი, ალბათ, სათქმელიც

მოგეძებნება. მაშ, ნუღარ აყოვნებ, თუ ღმერთი გწამს, პატივი დაგვდე, მეც მიპასუხე და გლავკონსა და დანარჩენებსაც უშურველად გაუზიარე ეგ შენი ცოდნა.

ჩემს კვალდაკვალ გლავკონმა და დანარჩენებმაც სთხოვეს, ნუ გაგვაწბილებო. თრასიმაქეს აშკარად ეტყობოდა რომ ძალიან უნდოდა ელაპარაკა და ცოდნით მოეწონებინა თავი. მაგრამ თავპატიჟს იდებდა და გაიძახოდა, რომ უფრო უპრიანი იქნებოდა, მე მეთქვა სიტყვა. ბოლოს, როგორც იქნა, ნებას დაგვყვა და თქვა:

– აი, ესეც სოკრატეს სიბრძნე: თვითონ არ ნებავს ვინმეს რაიმე ასწავლოს, მაგრამ ყველგან კი დაძვრება და სხვებისაგან სწავლობს, თუმცა მადლიერიც არ არის მათი.

– სხვებისგან რომ ვსწავლობ, ეგ მართალი თქვი, თრასიმაქე, – ვუთხარი მე, – მაგრამ თითქოს მადლიერი არ ვიყო მათი, ეს კი სიცრუეა. რითაც შემიძლია, ყველას იმით ვუხდი სანაცვლოს. შეძლებით კი სხვა არაფერი შემიძლია, გარდა ქებისა, რადგანაც ფული არა მაქვს. ხოლო რა ხალისით ჩავდივარ ამას, როცა, ჩემის აზრით, კარგად ლაპარაკობს ვინმე, ამაში სულ მალე თავად დარწმუნდები, როგორც კი მიპასუხებ, ვინაიდან ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ ღირსეულ პასუხს გამცემ.

– მაშ, ყური მიგდე. ჩემის აზრით, სამართლიანობა სხვა არა არის რა, თუ არა ის, რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისათვის. კი მაგრამ, რატომ არ მაქებ? თუ ქებას ვერ იმეტებ ჩემთვის?

– მაცალე, ხომ უნდა გავიგო, რას ამბობ? – ვუთხარი მე, – რადგანაც ჯერჯერობით არაფერი არ მესმის. შენ ამტკიცებ: სამართლიანობა ისაა, რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისთვისო. მაინც რას გულისხმობ, თრასიმაქე? იქნებ იმას, რომ თუ პოლიდამასი ყველაზე ძლიერია პანკრატიონის ხელოვნებაში, ხოლო მისი ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა საქონლის ხორცი, მაშასადამე, სასარგებლო და, იმავდროულად, სამართლიანიც იქნებოდა, ჩვენთვისაც ასეთივე კვება დაენიშნათ, თუმცაღა პოლიდამასზე სუსტები ვართ?

– რა მოწამლული ენის პატრონი ხარ, სოკრატე, – თქვა თრასიმაქემ, – განა შეიძლება ასე უკუღმა გაიგო ჩემი სიტყვები?

– ვითომ რატომაო, ჩემო ძვირფასო? – ვუთხარი მე, – მაშინ უფრო ნათლად გვითხარი, რასაც გულისხმობ.

– ნუთუ არ იცი, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს წყობილება ან ტირანიულია, ან დემოკრატიული, ან კიდევ არისტოკრატიული?

– რას ჰქვია არ ვიცი?

– და რომ ყველა სახელმწიფოში ძალა მის ხელთაა, ვინც ხელისუფლების სათავეში დგას?

– რა თქმა უნდა.

ყოველი ხელისუფლება ცდილობს მისთვის ხელსაყრელი კანონები ჰქონდეს: დემოკრატია დემოკრატიულ კანონებს აქვეყნებს, ტირანია – ტირანიულს და ასე შემდეგ. კანონების გამოქვეყნების შემდეგ კი აცხადებენ, რომ ქვეშევრდომთათვის სამართლიანია ის, რაც ხელსაყრელია ხელისუფალთათვის, და ვინც კანონებს არღვევს, ისინი სასტიკად სჯიან მას, როგორც კანონიერებისა და სამართლიანობის ხელმყოფს. ჰოდა, აი, რას ვატკიცებ, ჩემო ძვირფასო: ყველა სახელმწიფოში სამართლიანობად ერთი და იგივე რამაა მიჩნეული, სახელდობრ ის, რაც არსებული ხელისუფლებისათვის ხელსაყრელია. ხელისუფლება კი ძალაა; ასე რომ, თუ მართებულად განვსჯით, სამართლიანობა ყველგან ერთი და იგივეა: ის, რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისათვის.

– ახლა კი მესმის, რასაც ამბობ. ვეცდები ისიც გავიგო, სწორია თუ არა ეგ. შენი პასუხით, ხელსაყრელი სამართლიანობად დასახე, თუმცა მე კი ამიკრძალე ასე მეპასუხა. შენ მხოლოდ ერთი რამ დაუმატე: «ყველაზე ძლიერისთვისო».

– რაო, განა უმნიშვნელო დანამატია?

– ჯერჯერობით ვერ ვიტყვით მაგას; ვინ იცის იქნებ მნიშვნელოვანიც იყოს. ცხადი მხოლოდ ისაა, რომ უნდა განვიხილოთ, რამდენად სწორია, რასაც ამტკიცებ. მე გეთანხმები, რომ სამართლიანობა ხელსაყრელია. მაგრამ შენ დასძენ – «ყველაზე ძლიერისთვისო», მე კი ჯერხნობით ვერ ვიტყვი მაგას. ასე რომ, განხილვა აუცილებელია.

– შენც ადექი და განიხილე.

– ასედაც მოვიქცევი: – მივუგე მე, – ერთი ეს მითხარი, შენის აზრით, სამართლიანია თუ არა ემორჩილებოდე ხელისუფალთ?

– რა თქმა უნდა, სამართლიანია.

– კი მაგრამ, ხელისუფალნი ამა თუ იმ სახელმწიფოში შეუმცდარნი არიან თუ შეიძლება ცდებოდნენ კიდეც?

– რასაკვირველია, შეიძლება ცდებოდნენ.

– მაშასადამე, საკანონმდებლო საქმიანობისას ზოგიერთ კანონს შეიძლება მართებულად ადგენდნენ, ზოგიერთს კი არამართებულად?

– მე პირადად ასე მგონია.

მართებულად დადგენილი კანონები ხელსაყრელია ხელისუფალთათვის, უმართებულოდ დადგენილი კი – საზიანო. ასეა, არა?

– დიახ.

– რაც არ უნდა დაადგინონ, ქვეშევრდომები ვალდებულნი არიან შეასრულონ ხელისუფალთა დადგენილება, და სწორედ ესაა სამართლიანობა?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, შენი აზრით, სამართლიანი იქნება არა მარტო იმის შესრულება, რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისათვის, არამედ იმისაც, რაც ხელსაყრელს უპირისპირდება, ესე იგი, საზიანოსი?

– რას ამბობ, რას?

– მე მგონია, იმასვე, რასაც შენ ამბობ. მოდი, უფრო გულდასმით განვიხილოთ ეს საკითხი; ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ხელისუფალნი, რომელთა განკარგულებითაც ქვეშევრდომნი ვალდებულნი არიან ასრულებდნენ მათ დადგენილებებს, ზოგჯერ თვითონვე ცდებიან იმის შერჩევაში, თუ რა არის მათთვის ხელსაყრელი, ქვეშევრდომთა მხრივ კი სამართლიანი იქნება შეასრულონ ხელისუფალთა ნებისმიერი განკარგულება? განა ამაზე არ შევთანხმდით?

– მე მგონია, შევთანხმდით, – თქვა თრასიმაქემ.

– მაშ, ამასაც დაუფიქრდი: – განვაგრძე მე, – შენ ხომ აღიარე, რომ სამართლიანია შესრულდეს ისიც, რაც საზიანოა არა მარტო ხელისუფალთათვის, არამედ, საერთოდ, ძლიერთათვისაც: როცა ხელისუფალთ უნებლიეთ გამოაქვთ იმნაირი დადგენილება რაც თვით მათთვისვეა საზიანო, შენ მაინც ამტკიცებ, რომ სამართლიანია მათი დადგენილების შესრულება. მერედა, ჩემო ბრძენთა-ბრძენო თრასიმაქე, განა აქედან არ გამომდინარეობს დასკვნა, რომლის თანახმადაც სამართლიანი იქნება სწორედ იმის საპირისპიროს შესრულება, რასაც შენ ამბობ? ამ შემთხვევაში ხომ ქვეშევრდომნი ვალდებულნი არიან შეასრულონ ის, რაც ხელისუფალთათვის საზიანოა?

– დიახ, ვფიცავ ზევსს, – წამოიძახა პოლემარქემ, – ეგ ხომ დღესავით ნათელია, სოკრატე.

– მით უმეტეს, თუ შენც ემოწმები, – ჩაურთო კლიტოფონმა.

– რა საჭიროა მოწმობა? თქვა პოლემარქემ, – აკი თრასიმაქემ თვითონვე აღიარა, რომ ხელიუფალთ ზოგჯერ იმნაირი დადგენილებები გამოაქვთ, რაც თვით მათთვისვეა საზიანო, ქვეშევრდომებს კი სამართლიანობად ეთვლებათ ამ დადგენილებების შესრულება.

– ხელისუფალთა განკარგულებების შესრულება, პოლემარქე, – აი, რა მიაჩნია თრასიმაქეს სამართლიანობად.

– კი მაგრამ, მისი აზრით, სამართლიანი ხომ ისაა, კლიტოფონ, რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისათვის? ამ ორი დებულების დადგენის შემდეგ მან ისიც აღიარა, რომ ხელისუფალნი ზოგჯერ იმნაირ განკარგულებებს გასცემენ, რაც თვით მათთვისვეა საზიანო, მაგრამ მათზე უფრო სუსტნი და მათივე ქვეშევრდომნი კი მაინც ვალდებულნი არიან შეასრულონ ეს განკარგულებანი. ამ დებულებებიდან გამომდინარე, ის, რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისათვის, სულაც არ არის უფრო მეტად სამართლიანი, ვიდრე ის, რაც საზიანოა მათთვის.

– მაგრამ ძლიერისათვის ხელსაყრელად თრასიმაქემ ხომ ის მიიჩნია, რასაც თვით ძლიერი თვლის თავისთვის ხელსაყრელად, – თქვა კლიტოფონმა, – სწორედ ამას უნდა ასრულებდეს უფრო სუსტი, – აი, რა არის, თრასიმაქეს აზრით, სამართლიანი.

– არა, თრასიმაქეს ეგ არ უთქვას, – შენიშნა პოლემარქემ.

– განა სულერთი არ არის, პოლემარქე, – ვუთხარი მე, – თუ თრასიმაქე ახლა სწორედ ამას ამტკიცებს, ჩვენც ვცადოთ სწორად გავუგოთ. მითხარი, თრასიმაქე, მართლა იმის თქმა გინდოდა, რომ სამართლიანია ყველაფერი, რაც ძლიერს თავისთვის ხელსაყრელად მიაჩნია, მიუხედავად იმისა, მართლა ხელსაყრელია თუ არა სინამდვილეში? ასე უნდა გვესმოდეს შენი სიტყვები?

– არამც და არამც; – თქვა თრასიმაქემ, – ნუთუ მართლა გგონია, რომ, ჩემის აზრით, ყველაზე ძლიერია ის, ვინც ცდება სწორედ მაშინ, როდესაც ცდება?

– რა ვქნა, მე მეგონა, რომ სწორედ ამას გულისხმობდი, – ვუთხარი მე, – რაკიღა აღიარე, რომ ხელისუფალნი შეუმცდარნი კი არ არიან, არამედ ცდებიან ხოლმე

– დიდი თვალთმაქცი მოპაექრე ხარ, სოკრატე, რასაც შემდეგი მაგალითით დაგიმტკიცებ: შენ შეგიძლია ექიმი უწოდო იმას, ვინც შეცდომას შეცდომაზე უშვებს ავადმყოფების მკურნალობისას? ან მოანგარიშედ მიგაჩნდეს ის, ვინც ანგარიშში ცდება სწორედ მაშინ, როდესაც ცდება, და სწორედ ამ შეცდომის გამო? მე თუ მკითხავ, იმნაირი გამთქმები, როგორიცაა «ექიმი ცდება», «მოანგარიშე ცდება», ან «გრამატიკის მასწავლებელი ცდება», სხვა არა არის რა, თუ არა სიტყვის მასალა, სინამდვილეში კი არცერთი მათგანი არა ცდება, თუკი მართლა ღირსია იმ სახელისა, რა სახელითაც ჩვენ მას ვიცნობთ. თუ სიტყვას მის ზუსტ მნიშვნელობას შევუნარჩუნებთ (რაკიღა სიზუსტის ტრფიალი ხარ), არცერთი ოსტატი არა ცდება თავის საქმეში. რადგანაც შეცდომას ცოდნის უკმარისობა, ან არასაკმარისი ოსტატობა იწვევს. ამიტომ არავინ არა ცდება, არც ბრძენი, არც ხელოსანი, არც ხელისუფალი, თუ მართლა თავისი საქმის ოსტატია, თუმცა თქმით კი იტყვიან ხოლმე: «ექიმი შეცდა», ან «ხელისუფალი შეცდაო». სწორედ ამ აზრით უნდა გესმოდეს ჩემი წეღანდელი პასუხიც. თუ გნებავს, უფრო ზუსტად მოგახსენებ: ხელისუფალი, თუ ის მართლაც ნამდვილი ხელისუფალია, შეცდომებს კი არ უშვებს, არამედ შეუცდომლად ადგენს, რა არის მისთვის ყველაზე უმჯობესი, და ეს დადგენილება აუცილებლად უნდა შეასრულოს ყველამ, ვისაც მისი ქვეშევრდომი ჰქვია. ამრიგად, როგორც დასაწყისშივე

მოგახსენე, სამართლიანობას მე ვუწოდებ იმის შესრულებას, რაც ხელსაყრელია ყველაზე ძლიერისათვის.

– მაშ, შენი აზრით, მე თვალთმაქცი ვარ, თრასიმაქე?

– ჭეშმარიტად.

– რაო, ნუთუ მართლა გგონია, რომ ჩვენი პაექრობისას ბოროტი ზრახვით გისვამდი კითხვებს?

– დარწმუნებული ვარ, – თქვა თრასიმაქემ, – მაგრამ იცოდე, კოვზი ნაცარში ჩაგივარდება: ვერა, ვერ შესძლებ დამიმალო შენი ბოროტი ზრახვა, და რაკი ვერ დამიმალავ, ვერც ამ ჩვენი პაექრობისას დამძლევ.

– აზრადაც არ მომსვლია ეგ, ჩემო ნეტარო; მაგრამ შემდგომში თავიდან რომ ავიცილოთ ამნაირი გაუგებრობა, მოდი, ამთავითვე განსაზღვრე, ჩვეულებრივი გაგებით ხმარობ თუ ზუსტი მნიშვნელობით იყენებ სიტყვებს – «ხელისუფალი» და «უძლიერესი», როცა ამტკიცებ, თითქოს სამართლიანობა ისაა, რომ უფრო სუსტის მოქმედება ხელსაყრელი იყოს ძლიერისათვის.

– მე ვგულისხმობ «ხელისუფალს», ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. ახლა კი, მიდი, იავსიტყვე და, თუ გნებავს, ცილიც დამწამე, – იცოდე, ვალში არ დაგრჩები. თუმცა შენ მაგის თავი ვინ მოგცა?

– რაო, ნუთუ მართლა ისეთი შლეგი გგონივარ, რომ ლომის გაკრეჭა გავბედო, ან თავზე ხელი ავიღო და ცილი დავწამო თრასიმაქეს?

– გაბედვით კი გაბედე, მაგრამ რა გამოგივიდა?

– მოდი, მოვრჩეთ; – გავაწყვეტინე მე, – ახლა კი მითხარი: აი, ის ექიმი ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, როგორც შენ განსაზღვრე წეღან, მარტოოდენ გამორჩენაზე ფიქრობს თუ ავადმყოფებზედაც ზრუნავს?

– ცხადია, ავადმყოფებზედაც ზრუნავს.

– მესაჭეზე რაღას იტყვი? ნამდვილი მესაჭე ზღვაოსანთა თავკაცია თუ ერთ-ერთი ზღვაოსანი?

– ზღვაოსანთა თავკაცია.

– და მართლაც, მხოლოდ იმიტომ, რომ ხომალდით მიაპობს ტალღებს, განა შეიძლება ზღვაოსანი ვუწოდოთ მას? მესაჭედ იმიტომ კი არ უხმობენ, რომ ხომალდით მიცურავს, არამედ მისი ხელობისა და იმის გამო, რომ ზღვაოსანთა თავკაცია.

– ჭეშმარიტად.

– მაშასადამე, ორივეს – ექიმსაც და მესაჭესაც – თავისი საკუთარი მიზანი აქვს და ორივესთვის რაღაცა ხელსაყრელია?

– რა თქმა უნდა.

– ხელობა თუ ხელოვნება კი განა იმისთვის არ არსებობს, – განვაგრძე მე, – რომ გამოძებნოს ან გამოიგონოს, ვისთვის რა არის ყველაზე ხელსაყრელი?

– დიახ, სწორედ მაგისთვის.

ხოლო ხელოვნებისთვის რა უნდა იყოს უფრო ხელსაყრელი, გარდა თავისი საკუთარი სრულქმნილებისა?

– მაინც რას გულისხმობ?

– აი, რას: ჩემთვის რომ ეკითხათ, სხეულისათვის საკმარისია ის, რომ სხეულია, თუ სხვა რამეც სჭირდებაო, უყოყმანოდ ვუპასუხებდი, სხვა რამეც სჭირდება - მეთქი. მკურნალობის ხელოვნებაც სწორედ იმიტომ იქნა გამოგონილი, რომ ჩვენი სხეული არასრულყოფილია და, მაშასადამე, არათვითმკმარიც. იმისათვის, რომ სხეულს არ

მოჰკლებოდა, რაც მისთის ხელსაყრელია, სამკურნალო ხელოვნება გახდა საჭირო. რას იტყვი, მართალი ვარ თუ არა?

– დიახ, მართალი ხარ.

– კი მაგრამ, განა არასრულყოფილია სამკურნალო ხელოვნება? და საერთოდაც, ნებისმიერ ხელოვნებას რაღაც სხვა უნარი უნდა შევმატოთ, როგორც მაგალითად, თვალს – ხედვის, ხოლო ყურს – სმენისა? და როგორც სხეულის ამ ასოებისთვის ზოგჯერ აუცილებელია სამკურნალო ხელოვნება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, რა არის სასარგებლო მათთვის, ნუთუ ნებისმიერი ხელოვნებისთვისაც ნიშნეულია ერთგვარი არასრულყოფილება და ამიტომ მასაც სჭირდება ესა თუ ის სხვა ხელოვნება, რომელმაც უნდა განიხილოს, რა არის ხელსაყრელი პირველისათვის? ხოლო ამ მეორე ხელოვნებას, თავის მხრივ, სხვა ასეთივე ხელოვნება სჭირდება და ასე შემდეგ, დაუსრულებლივ? თუ ყოველი ხელოვნება თვითონვე განიხილავს, რა არის ხელსაყრელი მისთვის? ან იქნებ საამისოდ მას არც თავისი თავი სჭირდება და არც სხვა ხელოვნება, რაკიღა მისი ბუნებისათვის უცხოა ყოველგვარი ნაკლოვანება თუ არასრულქმნილება, ასე რომ, ზედმეტი იქნებოდა, თავისი თავის გარეთ ეძებნა ის, რაც მისთის ხელსაყრელია. რაკიღა ჭეშმარიტი ხელოვნებაა, მას ვერც ნაკლოვანებას მივაწერთ და ვერც არასრულქმნილებას, ვიდრე უცვლელად ინარჩუნებს თავის მთლიანსა და უზადო არსს. მოდი, განიხილე ეს ზუსტი, შენს მიერვე დადგენილი გაგებით, და თქვი, ამ ორი მნიშვნელობიდან მაინც რომელია უფრო სწორი?

– ალბათ, ეს უკანასკნელი.

– მაშასადამე, სამკურნალო ხელოვნება იმას კი არ განიხილავს, რაც თვით ამ ხელოვნებისთვისვეა ხელსაყრელი, არამედ იმას, რაც ხელსაყრელია სხეულისათვის.

– დიახ.

– ხოლო ცხენოსნობის ხელოვნება – მას, რაც ცხენოსნობისთვის კი არა, ცხენებისთვისაა ხელსაყრელი. და არც ნებისმიერი სხვა ხელოვნება განიხილავს იმას, რაც თვით მისთვისვეა სასარგებლო და ხელსაყრელი (ეს ხომ მას არ სჭირდება), არამედ – იმას, რაც სასარგებლოა მისი საგნისთვის.

– როგორც ჩანს, ეგრეა.

– კი მაგრამ, თრასიმაქე, ყოველი ხელოვნება ხომ ხელისუფალივით მბრძანებლობს და მძლავრობს იმ დარგში, რომელიც მის საუფლოდ გვევლინება?

თრასიმაქემ კვერი დამიკრა, თუმცა, როგორც შევატყე, არაფრად ეპიტნავა ჩემი სიტყვები.

– მაშასადამე, ყოველი ხელოვნება განიხილავს და აწესებს იმას, რაც უძლიერესისთვის კი არა, მასზე უფრო სუსტი და უმწეო ქვეშევრდომისთვისაა ხელსაყრელი.

თრასიმაქემ დააპირა შემდავებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაეთანხმა ჩემს სიტყვებს. მაშინ მე ვთქვი:

– ამრიგად, ექიმი, თუ ის მართლაც ექიმია, იმას კი არ განიხილავს ანდა აწესებს, რაც ხელსაყრელია ექიმისათვის, არამედ იმას, რაც ავადმყოფისთვისაა ხელსაყრელი. აკი შევთანხმდით, რომ ექიმი, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, ფულის მხვეჭელი კი არაა, არამედ სხეულთა მმართველი.

თრასიმაქე აქაც დამეთანხმა.

– ასე რომ, მესაჭეც, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, ზღვაოსანთა თავკაცია და არა ზღვაოსანი?

– დიახ, როგორც ჩვენ ვაღიარეთ.

– მაშასადამე, მესაჭე, ანუ იგივე თავკაცი, იმას კი არ განიხილავს ანდა აწესებს, რაც ხელსაყრელია მესაჭისათვის, არამედ იმას, რაც ხელსაყრელია ზღვაოსნისათვის, ვის თავკაცადაც ის გვევლინება.

თრასიმაქემ კვერი დამიკრა, თუმცა ძალიან კი გაუჭირდა დათანხმება.

– ამრიგად, თრასიმაქე, – განვაგრძე მე, – ნებისმიერი ხელისუფალი, მმართველი თუ თავკაცი, რამდენადაც ის ხელისუფალი, მმართველი თუ თავკაცია, იმას კი არ განიხილავს ანდა აწესებს, რაც თვით მისთვისვეა ხელსაყრელი, არამედ იმას, რაც ხელსაყრელია მისი ქვეშევრდომისა თუ ხელქვეითისთვის, ვისი გულისთვისაც ის იღვწის. ამბობს თუ აკეთებს რასმე, ის ყოველთვის გულისხმობს იმას, რაც ხელსაყრელი და სასარგებლოა ქვეშევრდომისთვის.

როდესაც ჩვენი პაექრობისას აქამდე მივედით და ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ სამართლიანობის უწინდელი განსაზღვრა თავის საპირისპირო განსაზღვრაში გადაიზარდა, თრასიმაქემ, ნაცვლად იმისა, რომ პასუხი გაეცა, აქეთ მომმართა კითხვით:

– ერთი ეს მითხარი, სოკრატე, ძიძა თუ გყავს?

– რაო? – კითხვა შევუბრუნე მე, – მაგის კითხვას ის გირჩევნია, პასუხი გამცე.

– იმიტომ გეკითხები, – თქვა მან, – რომ ძიძას დავიწყნია ცხვირი მოეხოცა შენთვის, ერთმანეთისაგან რომ ვერ არჩევ ცხვრებს და მეცხვარეს.

– რაში და იმაში, რომ შენი წარმოდგენით, მეცხვარეები და მეჯოგეები მხოლოდ ცხვრებსა და ხარებზე ზრუნავენ, თავს რომ დასტრიალებენ, ასუქებენ, აპატივებენ და მოვლა-პატრონობას არ აკლებენ; შენ გგონია, თითქოს მათ რაღაც სხვა მიზანი ამოძრავებთ, და არა ფარებისა თუ ჯოგების პატრონებისა და თვით თავიანთი კეთილდღეობა. კაცმა რომ გკითხოს, სახელმწიფოს მმართველნი და ხელისუფალნი – მე ვგულისხმობ ნამდვილ მმართველებს, – ისე როდი უყურებენ თავიანთ ქვეშევრდომებს, როგორც მეცხვარეები – ცხვრებს, ასე რომ, დღისით თუ ღამით სულ სხვა რამეზე ფიქრობენ და არა თავიანთ გამორჩენაზე. «სამართლიანი», «სამართლიანობა», «უსამართლო», «უსამართლობა» – შენ ისე შორსა ხარ ყოველივე ამისგან, რომ აღარც კი იცი: სამართლიანი და სამართლიანობა, არსებითად, სხვისი სიკეთეა, რამდენადაც ხელსაყრელია უძლიერესისა და მმართველისათვის, ესე იგი, იმათვის, ვინც მბრძანებლობს, ხოლო სუსტისა და ბრძანებლის მონა-მორჩილისათვის – მავნე. უსამართლობა კი, პირიქით, თვითონვე მბრძანებლობს ჭეშმარიტად მიამიტსა და სამართლიან ხალხზე. ქვეშევრდომები ასრულებენ იმას, რაც სასარგებლოა მბრძანებლისათვის, ვის ხელშიცაა ძალაუფლება. მათი მონური შრომა მბრძანებლის განცხრომით ცხოვრების წყაროა, და არა თვით მათი საკუთარი კეთილდღეობისა.

იმასაც დაუკვირდი, ჩემო მიამიტო სოკრატე, რომ სამართლიანი კაცი ყველგან წაგებული რჩება უსამართლოსთან შედარებით. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება კერძო პირთა ურთიერთობას: როცა ორივე ერთსა და იმავე საქმეს ასრულებს, ვერსად ვერ ნახავ, რომ საბოლოო ანგარიშსწორებისას სამართლიანი კაცი უსამართლოზე მეტს იღებდეს; პირიქით, პირველის წილად ყოველთვის გაცილებით ნაკლები მოდის. იგივე ითქმის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაზედაც, ვთქვათ, გადასახადების გადახდისას: ორივე მათგანი თანაბარი შემლების პატრონიც რომ იყოს, უსამართლო კაცი გაცილებით ნაკლებს იხდის, ვიდრე სამართლიანი; ხოლო როცა მათ უხდიან გასამრჯელოს, უსამართლოს ყოველთვის მეტი ხვდება სამართლიანთან შედარებით. თუ ერთიცა და მეორეც სახელმწიფო მოხელეა, სამართლიანი კაცი, სხვა მხრივ წარმატებითაც რომ ართმევდეს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს,

მოუცლელობის გამო ძველებურად მაინც ვეღარ უძღვება ოჯახს, და ვერც თავის თანამდებობას იყენებს სარფიანად, სწორედ იმიტომ, რომ სამართლიანი კაცია. ეგეც არ იყოს, სულ ადვილად შეიძლება მტრად მოიკიდოს ნათესავები და ნაცნობ-მეგობრებიც, რადგანაც ვერავის წააშველებს ხელს, თუკი ეს ეწინააღმდეგება სამართლიანობას. უსამართლო კაცს კი არც სახელი აკლია და არც სახრავი.

ერთხელ კიდევ გავიმეორებ: ძალაუფლება დიდ უპირატესობას ანიჭეს ადამიანს. კარგად უნდა გახსოვდეს ეს, თუ გინდა მართებულად განსაჯო, რამდენად უფრო ხელსაყრელია ყოველი მოკვდავისათვის უსამართლობა, ვიდრე სამართლიანობა. ამის გაგება უფრო გაგიადვილდება, თუ აიღებ უსამართლობას მისი ყველაზე სრული სახით, როცა წარმატებას აღწევს სწორედ ის, ვისაც ფეხებზე ჰკიდია სამართლიანობა. უდიდესი სიბრალულის ღირსია ის, ვინც თვითონვე იწვნია უსამართლობა, მაგრამ მაინც ვერ გაბედა გაელაშქრა სამართლიანობის წინააღმდეგ. ავიღოთ თუნდაც ტირანია, ხან მალულად, ხან კი მოძალადურად რომ მიიტაცებს და ისაკუთრებს იმას, რაც არ ეკუთვნის: სატაძრო თუ სახელმწიფო, პირადსა თუ საზოგადოებრივ საკუთრებას, და თანაც, თანდათან კი არა, არამედ ერთბაშად, ერთის დაკვრით. თუ ვინმე სამართლიანობის ნაწილობრივ დარღვევაში მაინც ამხილეს, საცოდავს სასტიკი სასჯელი და თავსლაფის დასხმა ელის; მკრეხელი, ადამიანებით მოვაჭრე, მძარცველი, ქურდი, – აი, რა სახელებით ამკობენ ამნაირ ბოროტმოქმედთ. მაგრამ თუ ვინმე მთელ ავლადიდებას წაართმევს მოქალაქეებს და ამასაც არ აკმარებს, – მონებად აქცევს, – ამ სამარცხვინო მეტსახელთა ნაცვლად, სვებედნიერს უწოდებენ და ქება-დიდებას ასხამენ არა მარტო თანამოქალაქენი, არამედ უცხოელებიც, რადგან იციან, რომ მან ბოლომდე აღასრულა უსამართლობა. თვით უსამართლობის მგმობელნიც კი მხოლოდ იმიტომ გმობენ მას, რომ ეშინიათ, ვაითუ ჩვენ თვითონ შევიქნეთ უსამართლობის მსხვერპლიო. ასე რომ, ჩემო სოკრატე, საკმაოდ მკვეთრად საგრძნობი და აშკარა უსამართლობა გაცილებით უფრო ძლიერია სამართლიანობაზე, უფრო ყოვლისმძლე, თავისუფალი კაცისთვის უფრო მეტად ნიშნეული და ბატონკაცური; სამართლიანობა, როგორც იმთავითვე მოგახსენე, ის გახლავს, რაც ხელსაყრელია უძლიერესისათვის, უსამართლობა კი თავისთავადაა სასარგებლო და ხელსაყრელი.

ეს რომ თქვა, თრასიმაქემ წასვლა დააპირა, – მას შემდეგ, რაც თავისი მრავალსიტყვაობით, როგორც მექისე, თითქოს წყალი გადაგვასხა თავზე და ყურები ამოგვივსო, – მაგრამ მეგობრებმა არ გაუშვეს და აიძულეს დარჩენილიყო, რათა სათანადო საბუთებით დაედასტურებინა თავისი ნათქვამი. მეც ეს მინდოდა და ამიტომ ვკითხე:

– ო, ჩემო ღვთაებრივო თრასიმაქე, მაგ შენი სიტყვებით რომ დაგვაცხრი თავს და გაგვაბრუე, ახლა რა, წასვლას აპირებ? თუმცა ვერც გარკვევით გვითხარი რამე და ვერც დაგვარწმუნე, მართლა ისეა თუ არა საქმე, როგორც შენ ამბობ. ან იქნებ არაფრად მიგაჩნია იმნაირი საგნის განსაზღვრა, რომელსაც შეეძლო ცხოვრებისა თუ ქცევის წესად ქცეულიყო და რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა უფრო ღირსეულად ეცხოვრა კაცს?

– მე კი მგონია, საქმე ცოტა სხვანაირად უნდა იყოს, – თქვა თრასიმაქემ.

– გეტყობა კიდეც, – ვუთხარი მე, – რომ ჩვენი დარდი არა გაქვს; როგორც ჩანს, შენთვის სულერთია, უკეთესად ვიცხოვრებთ თუ უარესად, იმის არცოდნის წყალობით, რის ცოდნასაც ასე დაჟინებით იჩემებ. კი მაგრამ, რა იქნება ჩემო ძვირფასო, ჩვენც გაგვიზიარო ეგ შენი ცოდნა? ხომ ხედავ, რამდენი ვართ? რამდენის გული შეგიძლია მოიგო და მოინადირო! მე კი, რა ვქნა, მაინც არ მჯერა, თითქოს

უსამართლობა სამართლიანობაზე უფრო სასარგებლო იყოს, თვით მაშინაც კი, როცა უსამართლობას სრული გასაქანი ეძლევა. დავუშვათ ჩემო კეთილო, რომ ვიღაცა უსამართლოა, და არაფერი არ უშლის ხელს, გინდ მალულად, გინდაც მოძალადურად, უსამართლობა ჩაიდინოს, – მე მაინც ვერ ვირწმუნებ, რომ უსამართლობა სამართლიანობაზე უფრო ხელსაყრელია. ვინ იცის, იქნებ მარტო მე კი არა, ბევრი ჩვენგანიც ასევე ფიქრობს. მაშ, დაგვარწმუნე, ჩემო ძვირფასო, რომ ვცდებით, რაკიღა სამართლიანობას უსამართლობაზე გაცილებით მაღლა ვაყენებთ.

– როგორ დაგარწმუნო? – თქვა თრასიმაქემ, – თუ ჩემმა წეღანდელმა სიტყვებმა ვერ დაგარწმუნა, რას მიბრძანებ, სხვა რა ვიღონო? ამ ჩემს აზრებს ძალით ხომ ვერ ჩაგჩურთავ თავში?

– თუ ღმერთი გწამს, ნუ იზამ მაგას! – შევევედრე მე, – უწინარეს ყოვლისა, იმავე აზრზე იდექი, წეღან რომ გამოთქვი, ხოლო თუ აზრი შეიცვალე, ნუ დაგვიმალავ, ესეც პირდაპირ გვითხარი. ახლა ხომ ხედავ, თრასიმაქე (მოდი ერთხელაც მივუბრუნდეთ ზემოთქმულს): ნამდვილი ექიმის განსაზღვრა რომ შემოგვთავაზე, აზრადაც აღარ მოგსვლია, რომ ნამდვილი მეცხვარეც ასეთივე სიზუსტით უნდა განგესაზღვრა. შენ გგონია, მეცხვარე იმიტომ კი არ აძოვებს თავის ფარას, რომ მისთვის სიკეთე სურს, არამედ მუქთახორასავით იქცევა, რომელიც სხვის სუფრაზე მუცლის ამოყორვას ცდილობს, ანდა ჩარჩივით, მხოლოდ გამორჩენაზე რომ უჭირავს თვალი, – და არა ისე, როგორც შეშვენის მეცხვარეს? მაგრამ მეცხვარეობა სხვა რამეს კი არა, თავის უშუალო დანიშნულებას უნდა შეესაბამებოდეს, და თანაც, ყველაზე უკეთ; მაშინ ცხვრებიც უკეთ იქნებიან მოვლილი. მეცხვარის ხელობას მხოლოდ მაშინ ვერ დასდებ წუნს, როცა ის არის, რაც უნდა იყოს. ამიტომ, მე მგონია, ახლა მაინც დამეთანხმები, რომ ყოველი ხელისუფლება, თუ ის მართლა ხელისუფლებაა, სხვის სიკეთეს კი არ ისახავს მიზნად, არამედ მხოლოდ თავისი ქვეშევრდომებისა თუ ხელქვეითებისას, სულერთია, მთელ საზოგადოებას ვიგულისხმებთ თუ კერძო პირებს. ნუთუ მართლა გგონია, რომ სახელმწიფოს მმართველნი, მე ვგულისხმობ ნამდვილ მმართველებს, ნებაყოფლობით მართავენ მას?

– ვფიცავ ზევსს, – თქვა მან, – არა მარტო მგონია, დარწმუნებულიც ვარ ამაში.

– მართლა, თრასიმაქე? – ვუთხარი მე, – ნუთუ ვერ ხედავ, რომ ნებაყოფლობით არავინ არ თანხმდება მმართველობას? ყველა საზღაურს მოითხოვს, რადგანაც ეს მმართველობა თვით მათთვის კი არ იქნება სასარგებლო და ხელსაყრელი, არამედ მათი ქვეშევრდომებისათვის. მითხარი, განა ერთ ხელობას თუ ხელოვნებას მხოლოდ იმის წყალობით არ ვასხვავებთ მეორისაგან, რომ თვითეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს? ოღონდ შენებურად ნუკი მიკიბ-მოკიბავ, ჩემო ძვირფასო, თორემ ვერაფერს მოვაბამთ თავს.

– დიახ, – თქვა მან, – ისინი თავიანთი დანიშნულებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

– მაშასადამე, თვითეულ მათგანს თავისებური სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის, და არა სარგებლობა საერთოდ: ასე მაგალითად, მკურნალობას – ჯანმრთელობა, მესაჭეობას კი – უსაფრთხოება ნაოსნობისას.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო შრომის ანაზღაურების ხელოვნებას – ანგარიშის გასწორება, რადგანაც სწორედ ესაა მისი დანიშნულება. ან იქნებ ერთი და იგივე გგონია მკურნალობა და მესაჭეობა? აკი თვითონვე მოითხოვდი ყველაფრის ზუსტად განსაზღვრას? ჰოდა, კაცმა რომ ჯანმრთელობა გაიკაჟოს ზღვაოსნობისას, რადგანაც ზღვაოსნობა ხელს

უწყობს სხეულის წრთობას, ნუთუ შენ მხოლოდ ამის გამო მკურნალობად მიიჩნევ მესაჭეობას?

– არა, ღმერთმანი.

– და არც მკურნალობას უწოდებ შრომის ანაზღაურების ხელოვნებას, მხოლოდ იმიტომ, რომ მკურნალი გასამრჯელოსათვის მუშაობს?

– არა.

– მაშასადამე, შევთანხმდით, რომ ყოველი ხელოვნება თავისებურადაა სასარგებლო?

– დე, ასე იყოს.

– ამრიგად, საერთო სარგებლობას, რაც ყველა ოსტატის წილად მოდის, მხოლოდ ყველასათვის საერთო ხელობისაგან თუ შეიძლება იღებდეს თვითეული მათგანი, რომელიც მას თავის საკუთარ ხელობასა თუ ხელოვნებას უმატებს.

– როგორც ჩანს.

– ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ყოველი ოსტატი მხოლოდ იმის წყალობით ღებულობს გასამრჯელოს, რომ მის საკუთარ ხელობას შრომის ანაზღაურების ხელოვნება ემატება.

თრასიმაქემ თავს ძალა დაატანა, რომ დამთანხმებოდა.

– მაშასადამე, თვითეული მათგანი უშუალოდ თავისი ხელობისა თუ ხელოვნებისაგან როდი ღებულობს სარგებლობას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მკურნალობის შედეგი ჯანმრთელობაა, შრომის ანაზღაურებისა კი – გასამრჯელო; სამშენებლო ხელოვნების შედეგი სახლია, ხოლო მასთან უშუალოდ დაკავშირებული შრომის ანაზღაურების ხელოვნება ზემოხსენებული შედეგის საფასურად სათანადო მიზდს აწესებს. იგივე ითქმის ყველა სხვა ხელობაზედაც: თვითეულ მათგანს თავისი დანიშნულებისამებრ მოაქვს სარგებლობა, მაგრამ თუ მას საზღაურიც არ დაემატა, რა სარგებლობა ექნება ოსტატს?

– როგორც ჩანს, არავითარი.

– ესე იგი, ოსტატს არავითარ სარგებელი არა აქვს, როდესაც მუქთად მუშაობს?

– არა.

– ამრიგად, უკვე ცხადი შეიქნა, თრასიმაქე, რომ ვერანაირი ხელოვნება თუ მმართველობა ვერ უზრუნველყოფს საკუთრივ ოსტატისა თუ მმართველის სარგებლობას. რასაც ის აღწევს ან აწესებს, როგორც ზემოთ მოგახსენე, თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობა გახლავს, რადგანაც იმას კი არ მიელტვის, რაც უძლიერესისთვისაა ხელსაყრელი, არამედ იმას, რაც სასარგებლოა უფრო სუსტისთვის. ამიტომაც გეუბნებოდი წეღან, ჩემო ძვირფასო თრასიმაქე, რომ ნებაყოფლობით არავინ მოისურვებს მმართველობას, და არც სხვისი მანკიერების აღმოსაფხვრელად გადადებს თავს, არამედ ყველა სათანადო საზღაურს მოითხოვს, რადგან ვინც ცდილობს ღირსეულად მოიხმაროს საკუთარი ხელოვნება, თავისდა სასიკეთოდ კი არ იღვწის, არამედ თავის ქვეშევრდომთა საკეთილდღეოდ. აი, რატომაა, რომ იმისთვის, ვინც თანახმაა მმართველი იყოს, სათანადო საზღაური უნდა იქნეს დაწესებული, სულერთია, ფული იქნება ეს თუ პატივი, ხოლო იმისთვის, ვინც უარს აცხადებს მმართველობაზე, – სასჯელი.

– რას ამბობ, სოკრატე? – მკითხა გლავკონმა, – პირველი ორი საზღაური გამიგონია მაგრამ სასჯელიც რომ თავისებურ საზღაურად მიაჩნდეს კაცს, ეს კი პირველად მესმის.

– მაშასადამე, შენ არ გესმის ყველაზე უკეთესთა საზღაური, რისი წყალობითაც ხელისუფლების სათავეში დგებიან ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანები, როცა ისინი

თანხმობას აცხადებენ მმართველობაზე. ნუთუ არ იცი, რომ ანგარება და პატივმოყვარეობა სამარცხვინოდ ითვლება, და არა მარტო ითვლება, სამარცხვინოა სინამდვილეშიც?

– ვიცი, – თქვა გლავკონმა.

– ჰოდა, ღირსეული ადამიანები ამიტომაც ამბობენ უარს მმართველობაზე, – ვუთხრი მე, – არც შენი ფული უნდათ და არც პატივი: მათ არ სურთ დაქირავებულებად იწოდებოდნენ, აშკარად რომ იღებენ გასამრჯელოს, – და არც ქურდებად, მალულად რომ ითბობენ ხელს თავიანთი თანამდებობის წყალობით. თავის მხრივ, არც პატივი იზიდავს მათ, რაკიღა მათთვის უცხოა ყოველგვარი პატივმოყვარეობა. ამიტომ მხოლოდ სასჯელის შიში თუ აიძულებთ, ხელში აიღონ მმართველობის სადავე. აი, რატომ ითვლება სამარცხვინოდ, იძულებით კი არა, ნებაყოფლობით მიელტვოდე ძალაუფლებას. ხოლო ყველაზე უარესი სასჯელი ისაა, რომ შენზე უარესი მოგევლინოს მბრძანებლად, რაკიღა შენ თვითონ უარი თქვი მბრძანებლობაზე. მე მგონია, სწორედ ამნაირი სასჯელის შიში აიძულებს ადამიანებს, თანხმობის ნიშნად განაცხადონ, მზადა ვართ სათავეში ჩავუდგეთ ხელისუფლებასო, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს სასიკეთოდ და სასიამოვნოდ მიაჩნიათ ეს, არამედ აუცილებლობის კარნახით, რაკიღა საშუალება არა აქვთ, მათზე უფრო უკეთესს ან მათსავე მსგავსს გადააბარონ ეს საქმე.

სახელმწიფო რომ მხოლოდ ღირსეული ადამიანებისაგან შედგებოდეს, ყველა ერთმანეთს შეეცილებოდა იმის უფლებას, რომ უარი ეთქვათ მმართველობაზე, ისევე, როგორც ამჟამად ერთმანეთს ეცილებიან ძალაუფლებას. მაშინ აშკარა გახდებოდა, რომ ჭეშმარიტი მმართველი იმისთვის კი არ იღვწის, რაც მისთვის ხელსაყრელია, არამედ იმისთვის, რაც სასარგებლოა მისი ქვეშევრდომისთვის. ამის მცოდნე ყოველი კაცი ამჯობინებდა, თვითონ კი არ ეზრუნა სხვების სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ, არამედ სხვებს ეზრუნათ მასზე. მე არასდიდებით არ დავუთმობ და არც დავეთანხმები თრასიმაქეს, თითქოს სამართლიანობა ისაა, რაც ხელსაყრელია ძლიერისათვის. მაგრამ ამ საკითხის განხილვა, მოდი, სამერმისოდ გადავდოთ. ახლა კი ჩემთვის გაცილებით უფრო არსებითია თრასიმაქეს წეღანდელი მტკიცება, რომლის თანახმადაც უსამართლო კაცის ცხოვრება ბევრად უმჯობესია სამართლიანი კაცის ცხოვრებაზე. შენ კი რომელს არჩევდი, გლავკონ? ამ ორი დებულებიდან, შენი აზრით, რომელია ფრო მართალი?

– მე მგონია, – თქვა გლავკონმა, – სამართლიანი კაცის ცხოვრება უფრო სასარგებლოა.

– თუ გაიგონე, – ვუთხარი მე, – რამდენი სიკეთით შეამკო თრასიმაქემ უსამართლო კაცის ცხოვრება?

– გაგონებით კი გავიგონე, მაგრამ არ მჯერა.

– ხომ არ გსურს, ერთად დავარწმუნოთ, თუკი შევძელით, რომ ცდება?

– ცხადია მსურს, – თქვა გლავკონმა.

– კი მაგრამ, თუ ჩვენ გადაჭრით დავუპირისპირდებით მის სიტყვებს და ერთიმეორის მიყოლებით ჩამოვთვლით სამართლიანობისათვის ნიშნეულ ყველა სიკეთეს, შემდეგ კი კვლავ ის ილაპარაკებს, თუმცა არც ჩვენ დავრჩებით ვალში, მაშინ სათითაოდ უნდა დავითვალოთ და გავზომოთ კიდეც ეს სიკეთენი, იმის დასტურად, თუ ვინ რამდენი ჩამოთვალა, რისთვისაც მსაჯულებს უნდა მოვუხმოთ. ხოლო თუ წეღანდელივით განვაგრძობთ კვლევას და ვეცდებით სხვისი ჩარევის გარეშე მივაღწიოთ თანხმობას, მაშინ ჩვენ თვითონ ვიქნებით მსაჯულებიც და ვექილებიც.

– რა თქმა უნდა.

– მერედა, ამ ორი გზიდან რომელი მოგწონს?

– უკანასკნელი.

– აბა, თრასიმაქე, – ვუთხარი მე, კვლავ დასაწყისს მიუბრუნდი და ისე მიპასუხე: მაშ, შენ ამტკიცებ, რომ სრული უსამართლობა სრულ სამართლიანობაზე სასარგებლოა?

– დიახ, ვამტკიცებ, – მომიგო მან, – ხოლო თუ რატომ ვამტკიცებ, უკვე მოგახსენე.

– კი მაგრამ, ამაზე რაღას იტყვი: ერთ მათგანს სიქველეს უწოდებ, მეორეს კი – ბიწიერებას?

– რატომაც არა?

– მაშასადამე, სამართლიანობას შენ უწოდებ სიქველეს, უსამართლობას კი – ბიწიერებას?

– ერთი შეხედვით, ეგრე ჩანს, ჩემო ძვირფასო, – თქვა თრასიმაქემ, – მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ უსამართლობა სასარგებლოა, სამართლიანობა კი – არა.

– აბა, მაშ, რა უნდა ვთქვათ?

– რა და, პირიქით.

– როგორ, სამართლიანობა ბიწიერია?

– არა, მაგრამ კეთილშობილური მიამიტობა კია.

– ბოროტმძრახველობად მაინც თუ მიიჩნევ უსამართლობას?

– არა, ეს კეთილგონიერებაა.

– ნუთუ უსამართლო კაცი კეთილი და გონიერი გგონია?

– ყოველ შემთხვევაში, ის მაინც, ვისაც უნარი შესწევს სრულყოს უსამართლობა და თავის გავლენას დაუქვემდებაროს მთელი სახელმწიფოები და ხალხები. შენ კი გეგონა, რომ ჯიბის ქურდებს ვგულისხმობდი? თუმცა, ვიდრე გამომჟღავნდებოდეს, ალბათ, ქურდის ხელობაც სასარგებლოა. მაგრამ სად ქურდბაცაცა და სად ის, რაც ზემოთ მოგახსენე?

– ვიცი, ვიცი, რასაც გულისხმობ, მაგრამ, ღმერთმანი, მიკვირს რომ უსამართლობა სიბრძნედ და სიქველედ მიგაჩნია, სამართლიანობა კი – მათ საპირისპიროდ.

– დიახ, სწორედ ეგრეა.

– ეს უკვე მეტისმეტია, ჩემო ძვირფასო, – ვუთხარი მე, – და, ალბათ, ყველა როდი შესძლებს მაგის უარყოფას. შენ რომ ამტკიცებდე, უსამართლობა სასარგებლოაო, მაგრამ, ამასთანავე, ბიწიერად და სამარცხვინოდ მიგაჩნდეს იგი, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, სათანადო პასუხი გაგვეცა შენთვის. მაგრამ შენ, რა თქმა უნდა, კვლავ მოჰყვები იმის მტკიცებას, რომ უსამართლობა მშვენიერიცაა, ძლიერიც და ასე შემდეგ, ესე იგი, ყველა იმ თვისებას მიაწერ მას, რასაც ჩვენ სამართლიანობის თვისებად ვსახავთ, რაკიღა გაბედე, სიქველედ და სიბრძნედ მიგეჩნია უსამართლობა.

– ნამდვილი გულთმისანი ყოფილხარ, – თქვა თრასიმაქემ.

– მაშ, თუ ასეა, ნუღარ გადავდებთ ამ საკითხის განხილვას, ვინაიდან, როგორც ვატყობ, მართლა იმას ლაპარაკობ, რაც გულში გიდევს. დიახ, მე მგონია, შენ ახლა კი არ ხუმრობ, თრასიმაქე, არამედ იმას ამტკიცებ, რაც ჭეშმარიტებად გეჩვენება.

– განა შენთვის სულერთი არ არის, რად მეჩვენება? ამ ჩემ სიტყვებს ხომ ვერ უარყოფ?

– რა თქმა უნდა, სულერთია, – მივუგ მე, – მაგრამ ეცადე ამ კითხვაზეც მიპასუხო: როგორ გგონია, ისურვებდა თუ არა სამართლიანი კაცი, რაიმე უპირატესობა ჰქონოდა მეორე სამართლიანი კაცის წინაშე?

– არამც და არამც, – თქვა თრასიმაქემ, – თორემ ისეთი თავაზიანი და მიამიტიც აღარ იქნებოდა, როგორიც ახლაა.

– არც სამართლიან საქმეში?

– დიახ, არც სამართლიან საქმეში.

– კი მაგრამ, ისურვებდა თუ არა იგი, რაიმე უპირატესობა ჰქონოდა უსამართლო კაცთან შედარებით, ან, მისი აზრით, სამართლიანი იქნებოდა ეს თუ უსამართლო?

– ისურვებდა და კიდეც ეცდებოდა, მაგრამ მაგის თავი ვინ მისცა?

– არა, მაგას როდი გეკითხები; მე მხოლოდ იმის გაგება მსურს, რას ისურვებდა ან ეცდებოდა სამართლიანი კაცი: უპირატესობა ჰქონოდა მეორე სამართლიან კაცთან შედარებით, თუ მხოლოდ უსამართლოს წინაშე?

– ზუსტად ისეა, როგორც მე მესმის.

– უსამართლოზე რაღას იტყვი: ისიც ეცდებოდა უპირატეობა ჰქონოდა სამართლიანთან შედარებით, და თანაც, სამართლიან საქმეში?

– რატომაც არა? – თქვა თრასიმაქემ, – რაკიღა ის ცდილობს ყველას აღემატოს?

– მაშასადამე, უსამართლო კაცი ეცდება უსამართლოსვე აღემატოს უსამართლო საქმეში და იმისთვისაც გადადებს თავს, რომ ყველაზე მეტი მიიტაცოს?

– ეგრეა.

– ამრიგად ჩვენ ვიტყვით: სამართლიანი კაცი ცდილობს უპირატესობა მოიპოვოს თავისსავე მსგავსთან კი არა, იმასთან შედარებით, ვინც მას არა ჰგავს, ხოლო უსამართლო მიზნად ისახავს თავის მსგავსსაც აღემატოს და არამსგავსსაც?

– დიდებულადაა ნათქვამი.

– მაგრამ უსამართლო კაცი ხომ გონიერია და კეთილი, მაშინ როდესაც სამართლიანი არც ერთია და არც მეორე.

– ესეც კარგად თქვი.

– ასე რომ, უსამართლო კაცი მშვენიერსა და კეთილსა ჰგავს, სამართლიანი კი – არა?

– რასაკვირველია, – თქვა თრასიმაქემ, – მშვენიერი და კეთილი კაცი თავისსავე მსგავსთ ემგვანება, რასაც ვერ ვიტყვით იმაზე, ვინც არც მშვენიერია და არც კეთილი.

– კეთილი და პატიოსანი, – ვუთხარი მე, – მაშასადამე, თვითეული მათგანი იმნაირია, რანაირიცაა ის, ვისაცა ჰგავს?

– რა თქმა უნდა.

– დე, ეგრე იყოს, თრასიმაქე; მაგრამ შენ ხომ ვიღაცას მუსიკის მცოდნეს უწოდებ, ვიღაცას კი – არა?

– დიახ.

– მერედა, რომელი მათგანია გონიერი და რომელი – უგუნური?

– მუსიკის მცოდნე, რა თქმა უნდა, გონიერია, არმცოდნე კი – უგუნური.

– პირველი, როგორც გონიერი, ღირსეული კაცია, მეორე კი, როგორც უგუნური – უბადრუკი?

– დიახ.

– კი მაგრამ, განა ექიმზედაც ზუსტად იგივე არ ითქმის?

– რასაკვირველია.

– მერედა, ჩემო ძვირფასო, მუსიკის მცოდნე, ლირას რომ აწყობს, სიმების დაჭიმვითა თუ მოშვებით ცდილობს მუსიკისავე მცოდნეს აღემატოს და უპირატესობა მოიპოვოს მასთან შედარებით?

– არა.

– მაგრამ ცდილობს თუ არა, მუსიკის არმცოდნეს მაინც აღემატოს?

– რა თქმა უნდა.

– ექიმზე რაღას იტყვი? საგანგებოდ რომ გვირჩევს და გვინიშნავს სასმელს თუ საჭმელს, რას ცდილობს იგი: მისნაირსავე ექიმსა თუ საექიმო ხელოვნებასაც აღემატოს?

– არა, ღმერთმანი.

– მაგრამ ცდილობს თუ არა, იმას მაინც აღემატოს, ვინც ექიმი არ არის?

– დიახ.

– მიუსადაგე ეს ცოდნისა თუ არცოდნის ყველა სხვა დარგსაც. როგორ გგონია, რას ისურვებდა ამა თუ იმ დარგის მცოდნე: თავისი სიტყვით ან მოქმედებით აღმატებოდა იმავე საქმის მეორე მცოდნეს, თუ ისეთივე ყოფილიყო, როგორიცაა მისი მსგავსი იმავე დარგში?

– რა ვქნა, ძალაუნებურად უნდა დავეთანხმო შენი კითხვის მეორე ნაწილს.

– კი მაგრამ, არმცოდნე თუ ისურვებდა, მცოდნესაც აღმატებოდა და მეორე არმცოდნესაც.

– შესაძლოა.

– მაგრამ მცოდნე ხომ ბრძენია?

– დიახ.

– ბრძენი კი ღირსეული კაცია?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე ღირსეული და ბრძენი კაცი არ ეცდება აღემატოს თავისსავე მსგავსს. არამედ მხოლოდ იმას, ვინც მას არა ჰგავს, ან მას უპირისპირდება.

– როგორც ჩანს.

– უმეცარი და უღირსი კაცი კი ეცდება თავის მსგავსსაც აღემატოს და იმასაც, ვინც მას უპირისპირდება.

– ალბათ.

– კი მაგრამ, თრასიმაქე, – ვუთხარი მე, – უსამართლო კაცი ხომ ეცდება თავის მსგავსსაც აღემატოს და არამსგავსსაც. განა ამას არ ამტკიცებდი?

– დიახ, მაგას.

– სამართლიანი კაცი კი არ ეცდება თავის მსგავსს აღემატოს, არამედ მხოლოდ იმას, ვინც მას არ ჰგავს.

– დიახ.

– ასე რომ, სამართლიანი კაცი ბრძენსა და ღირსეულსა ჰგავს, უსამართლო კი – უმეცარსა და უღირსს.

– ეტყობა.

– მაგრამ ჩვენ ხომ ვაღიარეთ, რომ ვინც ვისა ჰგავს, თვითონაც იმნაირია.

– ვაღიარეთ.

მართალია, თრასიმაქე დაეთანხმა ყოველივე ამას, მაგრამ ისე ადვილად კი არა, როგორც ახლა მე თქვენ გადმოგცემთ, არამედ ძლივსძლივობით, ძალაუნებურად. ამასთანავე, ბლომად ოფლიც ღვარა: მის გაჭირვებას ზედ ისიც დაერთო, რომ ზაფხული იდგა. მაშინ პირველად დავინახე, რომ თურმე თრასიმაქესაც შესძლებია გაწითლება.

მას შემდეგ, რაც ვაღიარეთ, რომ სამართლიანობა სიქველეა და სიბრძნე, უსამართლობა კი – უმეცრება და ბიწიერება, მე ვთქვი:

– კეთილი და პატიოსანი; ისე ვიგულოთ რომ ამაზე უკვე შევთანხმდით. მაგრამ ჩვენ იმასაც ვამტკიცებდით, რომ უსამართლობას დიდი ძალა აქვს. ან იქნებ, აღარ გახსოვს, თრასიმაქე?

– მახსოვს, – თქვა მან, – მაგრამ აშკარად არ მომწონს, რის თქმასაც ახლა აპირებ, და ამიტომ ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენო. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ თუ ლაპარაკს მოვყვები, ყბედობაში ჩამომართმევ ამას. ასე რომ, ნება მიბოძე, რაც მინდა, ის ვილაპარაკო, ან, თუ გნებავს, კითხვები დამისვი, მე კი მხარს აგიბამ და, თავის კანტურით თუ ქიცინით, მოგიწონებ ან დაგიწუნებ ნათქვამს, როგორც უსმენენ ზღაპრების მთხრობელ დედაბრებს.

– მხოლოდ შენდა უნებურად ნურაფერზე დამეთანხმები.

– ვეცდები ისე მოვიქცე, რომ კმაყოფილი დამრჩე, რაკიღა ლაპარაკის ნებას არა მრთავ: მაინც რას მოითხოვ ჩემგან?

– ისეთს არაფერს, ვფიცავ ზეევსს, – ვუთხარი მე, – თუ ასე გსურს, ნება შენია; მე მხოლოდ კითხვებს დაგისვამ.

– გისმენ.

– იმასვე გკითხავ, რასაც წეღან გეკითხებოდი, რათა თანმიმდევრულად განვაგრძოთ ჩვენი მსჯელობა: რანაირი თანაფარდობა არსებობს სამართლიანობასა და უსამართლობას შორის? ხომ ითქვა, რომ უსამართლობა სამართლიანობაზე მძლავრია და ძლიერი? ახლა კი, როცა ვაღიარეთ, რომ სამართლიანობა სიქველეა და სიბრძნე, მე მგონია, არც იმის ჩვენება გაგვიჭირდება, რომ ის უსამართლობაზე უფრო ძლიერია, რაკიღა ეს უკანასკნელი სხვა არა არის რა, თუ არა უმეცრება, ამას ბავშვიც კი მიხვდება. მაგრამ მე არ მინდა ასე ზერელედ განვიხილო ეს საკითხი და ამიტომაც შემდეგ თვალსაზრისს შემოგთავაზებ, თრასიმაქე: აღიარებ თუ არა შენ, რომ სახელმწიფო შეიძლება უსამართლო იყოს, ასევე უსამართლოდ იპყრობდეს სხვა სახელმწიფოებს და ბევრი ხალხიც ჰყავდეს დამონებული?

– რა თქმა უნდა, რაც უფრო ძლიერი და უსამართლოა სახელმწიფო, მით უფრო მეტ ხალხს დაიმონებს.

– მე მესმის, რომ მაგ აზრზე დგახარ, მაგრამ აი, რას გეკითხები: როდესაც ერთი სახელმწიფო მეორეზე ძლიერი ხდება, სამართლიანობის გარეშე იძენს ძალას თუ მხოლოდ სამართლიანობის წყალობით?

– თუ, შენი წეღანდელი მტკიცებისა არ იყოს, სამართლიანობა სიბრძნეა, მაშინ სამართლიანობის წყალობით, ხოლო თუ საქმე ისეა, როგორც მე ვამბობ, მაშინ უსამართლობის მეოხებით.

– აღტაცებული ვარ, თრასიმაქე – ვუთხარი მე, – რომ შენ მარტოოდენ თავის კანტურით თუ ქიცინით როდი იზიარებ ან უარყოფ ჩემს აზრს, არამედ სიტყვით მპასუხობ და, თანაც, რა საუცხოოდ მპასუხობ.

– ეს იმიტომ, რომ შენ გაამო.

– მადლობელი ვარ, მაგრამ, მოდი, ერთხელ კიდევ მაამე: როგორ გგონია, სახელმწიფო, ლაშქარი, ან ამა თუ იმ ბოროტი ზრახვით გაერთიანებულ ავაზაკთა, მპარავთა თუ ავკაცთა ხროვა, მიაღწევს რასმე, თუკი ეს ხალხი უსამართლოდ ექცევა ერთმანეთს?

– ვერა, ვერ მიაღწევს, – თქვა თრასიმაქემ.

– ხოლო თუ ისინი სამართლიანად ექცევიან ერთიმეორეს?

– მაშინ, ალბათ მიაღწევენ.

– უსამართლობა ხომ განხეთქილების, სიძულვილისა და შინააშლილობის სათავეა, თრასიმაქე, სამართლიანობა კი – ერთსულოვნებისა და მეგობრობისა; ასეა, არა?

– დე, ასე იყოს, შენთან დავის თავი არა მაქვს.

– მომწონს ეგ შენი საქციელი, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ერთი ამ კითხვაზე მიპასუხე: თუკი უსამართლობა ყველგან შუღლსა და სიძულვილს იწვევს, როგორ გგონია, მან რომ კაცთა შორის იჩინოს თავი, განა მათაც არ შეაძულებს ერთიმეორეს, სულერთია, გინდ თავისუფალნი იყვნენ და გინდ მონები, ასე რომ, ისინი ვეღარ შესძლებენ ერთად იმოქმედონ?

– რა თქმა უნდა.

– ორ კაცშიაც რომ გამოვლინდეს, განა ისინიც არ შეიძულებენ და მტრებად არ ექცევიან ერთიმეორეს, ისევე, როგორც სამართლიან ხალხს?

– ცხადია, მტრებად ექცევიან.

– ის კი არა და, უსამართლობამ თვით ერთ კაცშიაც რომ იჩინოს თავი, ჩემო საოცარო, განა ისიც არ დაჰკარგავს მისთვის ნიშნეულ ძალას, თუ ამით არა დააკლდება რა?

– არ დააკლდება და ნუ დააკლდება.

– ასე რომ, რაშიაც არ უნდა გამოვლინდეს, სახელმწიფოში, ხალხში, ლაშქარსა თუ სხვაში და სხვაში, უსამართლობის ძალმოსილება იმნაირია, რომ, უწინარეს ყოვლისა, შეუძლებელს ხდის მათ ერთობლივ მოქმედებას, რამდენადაც ეს მოქმედება თვით უსამართლობაზეა დამოკიდებული, რაც დასაბამს აძლევს საყოველთაო განხეთქილებას, შინააშლილობას, შუღლსა და მტრობას, დიახ, მტრობას თვით სამართლიან მოწინააღმდეგეთა მიმართაც; ასეა, არა?

– რა თქმა უნდა.

– თვით ერთ კაცშიც რომ იჩინოს თავი, უსამართლობა მაინც იმას მოიმოქმედებს, რაც ბუნებით ნიშნეულია მისთვის; უწინარეს ყოვლისა, ქმედითობის უნარს წაართმევს ამ კაცს, გათიშავს, გააორებს და მტრად გადაჰკიდებს საკუთარ თავსაც და სამართლიან ხალხსაც; ხომ მართალს ვამბობ?

– დიახ.

– მაგრამ ღმერთებიც ხომ სამართლიანნი არიან, ჩემო ძვირფასო?

– ვთქვათ და არიან.

თუ ასეა, თრასიმაქე, მაშინ უსამართლო კაცი ღმერთების მტერიც იქნება, სამართლიანი კი – მათი მეგობარი.

– ეგ საკენკი შენს თავს დაუყარე; ნუ გეშინია, დავას არ დაგიწყებ, რომ აქ მყოფნი არ ავიმხედრო.

– მაშინ, მოდი, ამ საკენკს შენი პასუხებით ყელის ჩასაკოკლოზინებელიც შემოუმატე, როგორც იქცეოდი აქამდე. ხომ გაირკვა, რომ სამართლიანი ადამიანები უფრო ბრძენნი, გაცილებით უკეთესნი და უფრო ქმედითნი არიან, უსამართლოებს კი ერთობლივი მოქმედების ძალი არ შესწევთ. მართალია, ჩვენ ვამბობთ, რომ თვით უსამართლონიც კი თავიანთი მოქმედებითა და ერთობლივი ძალისხმევის წყალობით ზოგჯერ მაინც აღწევენ რაღაცას, მაგრამ ეს მცდარი აზრია. ვინაიდან ისინი ერთმანეთს არ დაინდობდნენ, მთლიანად უსამართლონი რომ იყვნენ. მაშასადამე, ცხადია, რომ არის მათში რაღაც სამართლიანი, რაც საშუალებას არ აძლევთ ულმობლად მოექცნენ არა მარტო თავიანთ მოწინააღმდეგეებს, არამედ ერთმანეთსაც. სწორედ ამის წყალობით აღწევს იმას, რასაც აღწევენ. უსამართლო საქმისათვის მათ აქეზებს მათთვისვე ნიშნეული უსამართლობა, მაგრამ ისინი

მხოლოდ ნახევრად ბიწიერნი არიან, რადგანაც მთლიანად უკეთურსა და უსამართლო ხალხს მოქმედების ძალიც არ შესწევს. აი, რანაირად უნდა გვესმოდეს ეს, და არა ისე, როგორც შენ ამტკიცებდი თავდაპირველად.

ახლა კი უნდა განვიხილოთ ის საკითხიც, რაც სამერმისოდ გადავდეთ: ვნახოთ, უფრო უკეთესია თუ არა სამართლიანთა ხვედრი და უფრო ბედნიერნი არიან თუ არა ისინი, ვიდრე უსამართლონი. თუმცა, ჩემის აზრით, ეს უკვე ნათელია იმის მიხედვით, რაც ზემოთ ითქვა. მაგრამ მაინც გვმართებს უფრო გულდასმით ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს, რადგანაც საქმე უბადრუკ წვრილმანს კი არ ეხება, არამედ იმას, თუ რანაირად უნდა ვიცხოვროთ.

– შენც ადექი და განიხილე.

– მეც სწორედ მაგას ვაპირებ. მაგრამ ერთი ეს მითხარი: როგორ გგონია, აქვს თუ არა ცხენს თავისი საკუთარი დანიშნულება.

– მე მგონია, აქვს.

– მერედა, ცხენისა თუ რომელიც გნებავს სხვა ცხოველის დანიშნულებას, შენის აზრით, ყველაზე უკეთ და სრულყოფილად მხოლოდ ეს ცხოველი თუ შეიძლება ასრულებდეს?

– არ მესმის, რას მეკითხები.

– აი, რას: სხვა რამით თუ შეგვიძლია მზერა, თვალების გარდა?

– რა თქმა უნდა, არა.

– სმენა კი მხოლო ყურებით, არა?

– დიახ.

– მაშასადამე, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ესაა მათი დანიშნულება?

– ცხადია.

– ხოლო ვაზი შეიძლება სასხლავითაც გასხლა, დანითაც და სხვა სამჭრელოთიც?

– რატომაც არა?

– მაგრამ ვერაფრით ვერ გასხლავ ისე კარგად, როგორც სასხლავით, რომელიც სწორედ საამისოდ არის შექმნილი.

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, სწორედ ეს უნდა მიგვაჩნდეს სასხლავის დანიშნულებად?

– დიახ.

– ახლა, ალბათ, უკეთ გესმის ჩემი წეღანდელი კითხვა: განა ყოველი საგნის დანიშნულება ის არ იქნება, რასაც თვითონ უფრო უკეთ ასრულებს, ვიდრე სხვა რამე?

– მესმის; მე მგონია, სწორედ ეს უნდა იყოს ყოველი საგნის დანიშნულება.

– კეთილი და პატიოსანი; რაკიღა ყოველ საგანს თავისი დანიშნულება აქვს, რას იტყვი, განა თავისი ღირსებაც არ უნდა ჰქონდეს? მოდი, კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენს მაგალითებს: ხომ ვაღიარეთ, რომ თვალს თავისი დანიშნულება აქვს?

– დიახ.

– მაშასადამე, მას თავისი ღირსებაც უნდა ჰქონდეს?

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ ყურსაც ხომ აქვს თავისი დანიშნულება?

– აქვს.

– მაშასადამე, ღირსებაც?

– დიახ, ღირსებაც.

– განა იგივე არ ითქმის ყველა დანარჩენ საგანზედაც?

– ცხადია, იგივე ითქმის.

– მოითმინე; შეუძლია თუ არა თვალს სრულყოფილად ასრულებდეს თავის დანიშნულებას, თუ საკუთარი ღირსება კი არ მოეძებნება, არამედ მხოლოდ ნაკლი?

– ეგ რანაირად იქნება? ხედვის ნაცვლად სიბრმავეს ხომ არ გულისხმობ?

– სწორედ მკაფიოდ ხედვაა მისი ღირსება, მაგრამ ჯერჯერობით ამას კი არ გეკითხები, არამედ, აი, რას: განა თვალი სწორედ მისთვის ნიშნეული ღირსების წყალობით არ ასრულებს კარგად თავის დანიშნულებას, ნაკლის წყალობით კი – ცუდად?

– მართალს ბრძანებ.

– ხოლო ყური, რომელსაც თავისი საკუთარი ღირსება არ გააჩნია, ცუდად ასრულებს თავის დანიშნულებას?

– რა თქმა უნდა.

– შეგვიძლია თუ არა, ყოველივე დანარჩენსაც მივუსადაგოთ ეს წესი?

– ალბათ შეგვიძლია.

– მაშინ ამასაც დაუკვირდი: სულსაც აქვს თუ არა თავისი დანიშნულება, რასაც მის გარდა ვერაფერი ვერ შეასრულებს? მე ვგულისხმობ მზრუნველობას, მმართველობას, რჩევას, თათბირს და სხვა მისთანათ; არის თუ არა, სულის გარდა, სხვა რამ ისეთი, რასაც შეიძლება ყოველივე ეს მივაწეროთ, და ვთქვათ, რომ ეს მისი საქმეა?

– არა, მხოლოდ სულს თუ მივაწერთ ყოველივე ამას.

– კი მაგრამ, სიცოცხლე? ესეც ხომ სულის საქმეა და დანიშნულება?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, ჩვენ ვაღიარებთ, რომ სულსაც თავისი ღირსება აქვს?

– დიახ, ვაღიარებთ.

– მერედა, ამ ღირსების გარეშე, შეუძლია თუ არა სულს თავისი დანიშნულების შესრულება, ჩემო ძვირფასო თრასიმაქე?

– არა არ შეუძლია.

– მაშასადამე, უკეთური სული უცილობლად ცუდი მზრუნველი იქნება, ცუდი მმართველი და წარმმართველი, კეთილი სული კი ღირსეულად გაართმევს თავს ყოველივე ამას.

– უცილობლად.

– მაგრამ ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ სულის ღირსება სამართლიანობაა, ნაკლი კი – უსამართლობა?

– დიახ შევთანხმდით.

– მაშასადამე, სამართლიანი სულისა და სამართლიანი კაცის ცხოვრება ღირსეული იქნება, უსამართლოსი კი – უღირსი?

– შენი მსჯელობიდან ეგრე გამოდის.

– მაგრამ ვინც ღირსეულად ცხოვრობს, ბედნიერია და ნეტარი, ვინც არა და, – პირიქით.

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, სამართლიანი კაცი ბედნიერია, უსამართლო კი – უბედური.

– დიახ.

– კი მაგრამ, რა ყრია უბედურებაში? სულ სხვა საქმეა ბედნიერება.

– რასაკვირველია.

– ასე რომ, უსამართლობა, ჩემო ნეტარო თრასიმაქე, სულაც არ ყოფილა სამართლიანობაზე უფრო სასარგებლო.

– მაგით შენს თავს გაუმასპინძლდი, სოკრატე, ბენდიდიების დღესასწაულზე.

– შენ თვითონ მმასპინძლობ, თრასიმაქე, – ვუთხარი მე, – რაკიღა ასე თვინიერი გახდი და ზურგი აქციე სიფიცხეს. მაგრამ ამნაირი მასპინძლობით ჯერ კიდევ ვერ ვიჯერე გული, თუმცა ეს ჩემი ბრალია და არა შენი. ასე მგონია, იმ ღორმუცელებსა ვგავარ, ხარბად რომ დააცხრებიან ხოლმე სუფრაზე მორთმეულ ყოველ ახალ კერძს, თუმცა ჯერ წინასთვისაც არ მოუთავებიათ ხელი: რაკიღა იმის პასუხს ვერ მივაკვლიეთ, რასაც თავიდანვე ვეძებდით, – მე ვგულისხმობ სამართლიანობის ბუნებას, – ნაჩქარევად ავიღე ხელი მასზე და იმის ძიებაში გადავეშვი, თუ რად შეიძლება მიგვაჩნდეს იგი: ბიწიერებად და უმეცრებად თუ სიქველედ და სიბრძნედ. შემდეგ, როცა შენს მტკიცებას წავაწყდი, უსამართლობა სამართლიანობაზე უფრო სასარგებლოაო, თავი ვეღარ შევიკავე და ერთი საკითხის განხილვიდან პირდაპირ მეორეზე ვისკუპე ჰოდა, ბოლოს ამ ჩვენი საუბრიდან აღარაფერიც აღარ შემრჩა ხელში: რაკი არ ვიცი, რა არის სამართლიანობა, ცხადია, ვერც იმას მივხვდები, სიქველეა თუ არა იგი, ანდა ბედნიერია სამართლიანი კაცი თუ, პირიქით, უბედური.

წიგნი მეორე

მე მეგონა, ამნაირი სიტყვების შემდეგ საუბრის გაგრძელება აღარ დამჭირდებოდა, მაგრამ სულ მალე დავრწმუნდი, რომ ეს თურმე მხოლოდ ერთგვარი შესავალი იყო. გლავკონმა, რომელსაც არასდროს არაფრის წინაშე არ სჩვევია უკან დახევა, ვერც ამჯერად მოითმინა, რომ თრასიმაქემ პაექრობის გაგრძელება აღარ ისურვა, და ამ სიტყვებით მომმართა:

– რა გირჩევნია, სოკრატე: გეგონოს, რომ გადაგვარწმუნე, თუ მართლაც დაგვარწმუნო იმაში, რომ სამართლიანობა ყოველთვის უსამართლობაზე უმჯობესია?

– ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, – ვუთხარი მე, – რა თქმა უნდა, მერჩია მართლაც დამერწმუნებინეთ.

– მართლა რომ გერჩიოს, ეგრე აღარ მოიქცეოდი. აბა, მითხარი: არსებობს თუ არა, შენის აზრით, ერთგვარი სიკეთე, რასაც ჩვენ ვისურვებდით, მაგრამ იმის გამო კი არა, რაც მას შედეგად მოსდევს, არამედ იმიტომ, რომ თავისთავადაა სასურველი, როგორც, მაგალითად, სიხარული, ან უწყინარი გართობა, რასაც არავითარი სხვა შედეგი არ მოსდევს, გარდა იმისა, რომ გულს გვიხალისებს?

– ჩემის აზრით, ამნაირი სიკეთე მართლაც არსებობს.

– კი მაგრამ, არსებობს თუ არა სხვანაირი სიკეთეც, რასაც ჩვენ ვისურვებდით როგორც თვით მისი გულისთვის, ისე მისივე შედეგის გამოც? ასე მაგალითად, მიგაჩნია თუ არა შენ, რომ კეთილგონიერება, მხედველობა ან ჯანმრთელობა ორმაგად სასურველია ჩვენთვის?

– დიახ, – მივუგე მე.

– და ბოლოს, ნუთუ ვერ ხედავ, რომ არსებობს მესამენაირი სიკეთეც, – თქვა გლავკონმა, – რომელსაც მიეკუთვნება სხეულის წვრთნა, ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა, მკურნალობა და ზოგიერთი სხვა სარფიანი ხელობა? ამნაირ სიკეთეზე შეიძლება ითქვას, რომ ის სამძიმოა, მაგრამ სასარგებლოც, და ამიტომ თავისთავად კი არაა სასურველი ჩვენთვის, არამედ მხოლოდ მისი სარფიანობისა და სხვა უპირატესობათა გამო, რასაც მისი ფლობა გვანიჭებს.

– არსებობს მაგნაირი სიკეთეც; მერედა, რა?

– რა და ის, რომ მაინც რომელს მიაკუთვნებ სამართლიანობას?

– მე თუ მკითხავ, ყველაზე მშვენიერს, რომელიც თავისთავად საამოა და თავისი შედეგებითაც სასურველია ყოველი ჩვენგანისათვის, ვინც მიელტვის ბედნიერებას.

– მაგრამ უმრავლესობა სიკეთის ყველაზე სამძიმო სახეობას აკუთვნებს სამართლიანობას, რომელიც სასურველია მხოლოდ და მხოლოდ საზღაურის, სახელისა თუ დიდების გამო, თავისთავად კი იმდენად მძიმე ტვირთია, რომ ყველა თავს არიდებს მას.

– ჩემთვის ცნობილია ეს აზრი; – ვუთხარი მე, – აკი თრასიმაქეც ამდენი ხანია ჰგმობს და აგინებს სამართლიანობას, სამაგიეროდ ქება-დიდებას ასხამს უსამართლობას; მაგრამ მე, ალბათ, ბრიყვი ვარ, ბრიყვი.

– მოიცა, ახლა მეც მომისმინე, – გამაწყვეტინა გლავკონმა, – ვინ იცის, იქნებ დამეთანხმო კიდეც. ჩემის აზრით, თრასიმაქე ძალიან დაგნებდა და მონუსხული გველივით ნებას დაჰყვა შენს გრძნეულებას. მე კი არც სამართლიანობის შენეული განხილვა მაკმაყოფილებს და არც უსამართლობისა. ამიტომაც კეთილ-ინებე და ამიხსენი, რანაირია როგორც ერთის, ისე მეორის ბუნება, ან რანაირ ზემოქმედებას ახდენენ სულზე, თავიანთ სამყოფლად რომ აურჩევიათ. ხოლო ყოველგვარი შედეგი, სახელი თუ საზღაური განზე გადავდოთ. თუ ნებას მიბოძებ, აი, რას ვიზამ: კვლავ მივუბრუნდები თრასიმაქეს მსჯელობას და, ჯერ ერთი, ვიტყვი, რა არის, ხალხის აზრით, სამართლიანობა, ან საიდან იღებს დასაბამს; მეორეც, გიჩვენებ, რომ სამართლიანობის ყველა მიმდევარი იძულებით იქცევა ასე, თითქოს ის აუცილებლობა იყოს და არა სიკეთე; მესამეც, მოგახსენებ, რომ ამნაირი ქცევა მართებულია, ვინაიდან, როგორც ამბობენ, უსამართლო კაცის ცხოვრება გაცილებით უმჯობესია სამართლიანი კაცის ცხოვრებაზე. პირადად მე ყოველივე ეს სულ სხვანაირად მესახება, სოკრატე, მაგრამ საგონებელში ვარ ჩავარდილი, ვინაიდან ყურები გამომიჭედეს თრასიმაქემ და ათასობით მისნაირმა. სამწუხაროდ, არავისგან მსმენია ის, რაც მე მჭირდება: სამართლიანობის საფუძვლიანი დაცვა და უსამართლობის წინაშე მისი უპირატესობის მტკიცება. მე მინდა მოვისმინო ქება სამართლიანობისა თავისთავად, და, უწინარეს ყოვლისა, შენგან მოველი ამას. ამიტომაც განზრახ მოვყვები უსამართლო ცხოვრების ქებას, რათა მიგახვედრო, თუ რარიგად მსურს ამის საპირისპიროდ მოვისმინო შენგან უსამართლობის გმობა და სამართლიანობის ქება-დიდება. მაგრამ მითხარი, იზიარებ თუ არა ჩემს აზრს?

– რა თქმა უნდა, – ვუთხარი მე, გონიერი კაცისთვის რა უნდა იყოს იმაზე სასიამოვნო, რომ ხშირად მიეცეს ამ საკითხზე საუბრის საშუალება?

– კეთილი და პატიოსანი, – თქვა გლავკონმა, – მაშ, მოისმინე ის, რაც ყველაზე უმალ შემოგთავაზე განსახილველად: კერძოდ, რა არის სამართლიანობა, და საიდან იღებს დასაბამს.

როგორც ამბობენ, ბუნების თანახმად, უსამართლობის ჩადენა კარგია, მისი ატანა კი – ცუდი; მაგრამ უსამართლობის ატანა გაცილებით უფრო ცუდია, ვიდრე მისი ჩადენაა კარგი. ამიტომ მას შემდეგ, რაც ადამიანებმა გემო გაუგეს ერთს და იწვნიეს მეორე, ესე იგი მიხვდნენ, რასაც ნიშნავდა უსამართლობის ჩადენაც და მისი ატანაც, – რაკიღა შეუძლებელი შეიქმნა ცხოვრების წესად ექციათ მხოლოდ ერთი და თავიდან აეცილებინათ მეორე, უფრო ხელსაყრელად მიიჩნიეს შეთანხმებოდნენ ერთმანეთს, რათა აღარ ჩაედინათ უსამართლობა და აღარ ვნებულიყვნენ მისი ატანით. აქედან იღებს დასაბამს კანონმდებლობაც და ორმხრივი ხელშეკრულებაც. სწორედ კანონისეულ დადგენილებებს ეწოდა კანონიერებაც და სამართლიანობაც.

ასეთია სამართლიანობის დასაბამიც და არსიც, სამართლიანობისა, რომელსაც საშუალო ადგილი უჭირავს უდიდეს სიკეთესა და უდიდეს ბოროტებას შორის: რადგანაც უსამართლობის ჩადენა ისე, რომ დაუსჯელი დარჩე, ყველაზე დიდი სიკეთეა, ხოლო უსამართლობის ატნა, როცა სამაგიეროს მიგება არ შეგიძლია, – ყველაზე დიდი ბოროტება. ამ ორ უკიდურესობას შორის მდებარე სამართლიანობა სასურველია არა როგორც სიკეთე, არამედ პატივდებულია მხოლოდ მათ მიერ, ვისაც უსამართლობის ჩადენის თავი არა აქვს. რადგანაც ვისაც უსამართლობის ჩადენის უნარი შესწევს (მე ვგულისხმობ ნამდვილ მამაკაცს), აზრადაც არ მოუვა – თუკი, რა თქმა უნდა, სრულ ჭკუაზეა, – ხელშეკრულების დადება იმის თაობაზე, რომ დაუშვებელია უსამართლობის ჩადენა ან მისი ატანა. აი, რანაირია, სოკრატე, სამართლიანობის ბუნება და მისი დასაბამი, მავანთა მსჯელობის თანახმად.

სამართლიანობის მიმდევრები მხოლოდ თავისდა უნებურად და იმის გამო მისდევენ მას, რომ უსამართლობის ჩადენის ძალი არ შესწევთ. რაშიაც თვალნათლივ დავრწმუნდებით, თუ წარმოვიდგენთ შემდეგს: მოდი, მივცეთ თანაბარი უფლება როგორც სამართლიან, ისე უსამართლო კაცსაც, ჩაიდინონ ყველაფერი, რაც მათ მოეპრიანებათ, შემდეგ კი თვალი გავადევნოთ საით წაიყვანენ თვითეულ მათგანს მისი საკუთარი ვნებები, ზრახვები თუ მისწრაფებები. ჩვენ ვნახავთ, რომ სამართლიანი კაცი იმავე გზას დაადგება, რომელსაც მისდევს უსამართლო, ხოლო ამის მიზეზია სიხარბე, ანგარება, მომხვეჭელობა, რასაც ისე მიელტვის ნებისმიერი ბუნება, როგორც სიკეთესა და მხოლოდ კანონის ძალა თუ აიძულებს, ერთგვარი ზომიერება შეინარჩუნოს.

ადამიანებს მხოლოდ მაშინ მიეცემოდათ ყველაფრის ჩადენის შესაძლებლობა, რაზედაც ზემოთ მოგახსენებდით, – იგივე უნარი რომ ჰქონოდათ, რაც გადმოცემით ჰქონია ლიდოსის პირმშოს გიგესს. გიგესი მწყემსი იყო და ლიდიის მაშინდელ მეფეს ემსახურებოდა. ერთხელ, საშინელი თავსხმისას, რასაც მიწისძვრაც მოჰყვა, დედამიწის ქერქი სწორედ იმ ადგილას გაიპო, სადაც გიგესი ფარას მწყემსავდა. ამ სანახაობით განცვიფრებული გიგესი ნაპრალში ჩაძვრა და მიწის ქვეშ, როგორც გადმოგვცემენ, მრავალ სხვა საოცრებას შორის სპილენძის ცხენიც იხილა, რომლის ფუღურო მუცელსაც ორსაგდულიანი კარი ჰქონდა დატანებული. გიგესმა შიგ შეიხედა და მიცვალებული დაინახა; ეტყობოდა, სიცოცხლეში მოსული კაცი უნდა ყოფილიყო. მიცვალებული შიშველი იყო, მხოლოდ ცალ თითზე ოქროს ბეჭედი ეკეთა. გიგესმა ბეჭედი წაძრო და ჯურღმულიდან ამოცოცდა. ყოველი თვის დამლევს მწყემსები ერთად იყრიდნენ თავს, რათა მეფისთვის თავიანთი სამწყსოს ამბავი მოეხსენებინათ. მალე ამ დრომაც მოაწია. თავყრილობაზე სხვებთან ერთად გიგესიც გამოცხადდა, მწყემსებს შორის მჯდომარემ შემთხვევით ისე შეატრიალა ბეჭედი, რომ თვალი ხელის გულისკენ მოექცა. ბეჭდის შეტრიალებაც იყო და გიგესი უხილავი გახდა. დანარჩენები ისე ლაპარაკობდნენ გაუჩინარებულზე, თითქოს მათ გვერდით კი არა, არამედ სადღაც შორს ყოფილიყოს, რამაც დიდად გააოცა იგი. ხელახლა შემოაბრუნა ბეჭედი, ისე რომ თვალი ზევით უყო, და კვლავ ხილული შეიქნა. ამის შემდეგ რამდენჯერმე კიდევ მოსინჯა, მართლა ასეთი ძალა ჰქონდა თუ არა ბეჭედს, და ყოველთვის, როცა ბეჭდის თვალს ხელის გულისკენ შეაბრუნებდა, გიგესი უხილავი ხდებოდა, ხოლო როგორც კი ზევითკენ შემოატრიალებდა, – ხილული. ამაში დარწმუნებულმა ისე მოაწყო საქმე, რომ სხვებთან ერთად მეფის კარზე მაცნედ წარგზავნეს. სასახლეში რომ შეაღწია, გიგესმა აცთუნა დედოფალი, მასთან ერთად თავს დაესხა მეფეს, მოკლა და ხელში ჩაიგდო ძალაუფლება.

დავუშვათ ახლა, რომ არსებობს ორი ამნაირი ბეჭედი, რომელთაგანაც ერთი სამართლიან კაცს უკეთია, მეორე კი – უსამართლოს. ალბათ, ერთ კაცსაც ვერ ვპოვებდით იმდენად უდრეკს და მტკიცეს, რომ სამართლიანობის ერთგული დარჩენილიყო და არ აჰყოლოდა ცთუნებას, ესე იგი, არ მიეთვისებინა სხვისი ავლადიდება, ხელიც კი არ ეხლო მისთვის, თუმცაღა საშუალება ექნებოდა საბაზრო მოედნებზე დაუსჯელად აეწაპნა ყველაფერი, რაც კი მოეპრიანებოდა, უჩუმრად შეეღწია სახლებში, დაუფლებოდა ყველა ქალს, ვინც თვალში მოუვიდოდა, მუსრი გაევლო ხალხისთვის, ან დილეგიდან დაეხსნა დამნაშავენი, მოკლედ, ისე მოქცეულიყო კაცთა შორის, თითქოს ყოვლისმძლე ღმერთი ყოფილიყოს. ამ მხრივ ბეჭდის ყველა მფლობელი წყლის ორი წვეთივით ემგვანებოდა ერთმანეთს, სამართლიანი კაცი ისევე მოიქცეოდა, როგორც უსამართლო. აი, უტყუარი საბუთი იმისა, რომ ადამიანი თავისი ნებით კი არ ირჩევს სამართლიანობას, არამედ იძულებით, რადგანაც საკუთრივ სამართლიანობა არავის მიაჩნია სიკეთედ, და თუ უსამართლობის ჩადენის საშუალება მიეცა, ხელიდან არ გაუშვებს ამ შესაძლებლობას. ეს იმიტომ, რომ უსამართლობა ყველას უფრო ხელსაყრელი, უფრო სასარგებლო ჰგონია, ვიდრე სამართლიანობა; და მართებულადაც ჰგონიაო, იტყვის ამ თვალსაზრისის მომხრე. თუ ამნაირი ძალაუფლების მფლობელი კაცი ერთხელ მაინც არ მოიქცევა უსამართლოდ და ხელს არ ახლებს სხვის ავლადიდებას, ყველაზე უბადრუკად და უგუნურად შერაცხავს ხალხი, თუმცა ხმამაღლა პირფერულად მოჰყვებიან მის ქება-დიდებას, მაგრამ მხოლოდ იმისი შიშით, რომ თვითონ მათ არა ევნოთ რა. აი, ასეა საქმე.

რაც შეეხება იმათ ცხოვრებას, ვისზედაც აქ ვლაპარაკობთ, ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ მართებულად ვიმსჯელოთ ამის თაობაზე, თუ ერთმანეთს შევუპირისპირებთ ყველაზე სამართლიანი და ყველაზე უსამართლო კაცის ცხოვრებას, არა და, კოვზი ნაცარში ჩაგვივარდება. მაგრამ მაინც რანაირად შეიძლება ერთმანეთს შევუპირისპიროთ ისინი? აი, ასე: უსამართლო კაცს ქრთილის მარცვლის ოდენა უსამართლობასაც ნუ ჩამოვაცილებთ, სამართლიანს კი – სამართლიანობის ნატამალს, ასე რომ სრულყოფილი სახით წარმოვიდგინოთ ორივე მათგანის ბუნება. დაე, უსამართლო კაცმა, უწინარე ყოვლისა, თავის საქმეში გაწაფული ოსტატივით იმოქმედოს: გამოცდილმა მესაჭემ თუ ექიმმა იცის, რა არის მის საქმეში შესაძლებელი და რა – შეუძლებელი; ამიტომ ერთს თუ მოჰკიდებს ხელს, მეორეს განზე მიაგდებს. ამასთანავე, მას შეუძლია თავისი შემთხვევითი მარცხის გამოსწორებაც. ეგეც არ იყოს, უსამართლო კაცი, თუ მას სურს მართლაც უსამართლო კაცის სახელი ერქვას, მარჯვედ და მალულად უნდა იკვარახჭინებდეს თავის უსამართლო საქმეს. თუ ამხილეს, მაშასადამე, არ ვარგებულა. რადგანაც უსამართლობის უკიდურესი ზღვარი ისაა, რომ სამართლიანობად ჩანდეს, თუმცა სინამდვილეში სამართლიანობისა არა სცხია რა. მაშ, სრული უსამართლობით შევმოსოთ უსამართლო კაცი, ისე, რომ უსამართლობის ნატამალიც კი არ დავაკლოთ, რათა უდიდესი უსამართლობის მოქმედმა ყველაზე სამართლიანი კაცის სახელი მოიხვეჭოს ხალხის თვალში. თუ ღმერთი გაუწყრა და სადმე წაიფორხილა, მაშინვე ფეხზე დადგომა და წელში გამართვა უნდა შეძლოს. ამასთანავე, სიტყვაც კარგად უნდა უჭრიდეს, რათა თუ მისი უსამართლობის ამბავი გამჟღავნდა, მტერს გზა-კვალი აუბნიოს და თვალში ნაცარი შეაყაროს. სადაც საჭიროა, არც ძალმომრეობას უნდა ერიდებოდეს, რადგანაც არც სიმამაცე უნდა აკლდეს, არც ძალმოსილება, არც მეგობრები და არც სიმდიდრე.

აი, ამნაირ ბოროტმოქმედს დავუპირისპიროთ ჩვენი მსჯელობით სამართლიანი, უბრალო და კეთილშობილი კაცი, რომელსაც სურს, ესქილეს

სიტყვებით რომ ვთქვათ, კი არ ჩანდეს, არამედ მართლაც კეთილი იყოს. მაშ, შორს მისგან ყოველგვარი მოჩვენებითობა. რადგან თუ მხოლოდ ხალხს ეჩვენება სამართლიანად, მაშინ ისე მიაგებენ პატივს და საჩუქრებითაც აავსებენ, როგორც სამართლიან კაცს, და ვეღარავინ მიხვდება, რის გამოა სამართლიანი: საჩუქრებისა და პატივისა თუ საკუთრივ სამართლიანობის გულისთვის. ამიტომაც უნდა ჩამოვაცილოთ ყველაფერი, სამართლიანობის გარდა, და ამ სახით დავუპირისპიროთ უსამართლო კაცს. დაე, უსამართლობით შესვრილი კაცის სახელი გაუვარდეს ხალხში, ისე, რომ არავითარი წილი არ ედოს უსამართლობასა და ბოროტებაში, რათა მისი სამართლიანობა სასტიკი გამოცდის წინაშე დადგეს და ყველასათვის ცხადი შეიქნეს, რომ ვერც ავსიტყვაობა აკლებს რასმე და ვერც ის, რაც შედეგად მოსდევს ავსიტყვაობას. დაე, განუხრელად მისდიოს თავის გზას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე; დაე, სამართლიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე უსამართლო კაცად იცნობდეს ყველა. და როცა ერთი – სამართლიანობის, მეორე კი უსამართლობის უკიდურეს ზღვარს მიაღწევს, მაშინღა შეიძლება ვიკითხოთ, რომელია უფრო ბედნიერი.

– ღმერთო დიდებულო! – აღმომხდა მე, – ეს რა ოსტატურად გამოაქანდაკე, გლავკონ, როგორც ერთი, ისე მეორე, ამ ჩვენს სამსჯავროზე წარმოსადგენად?!

– ცდა არ დამიკლია, – მითხრა გლავკონმა, – და რახან ამნაირნი არიან, ვფიქრობ, აღარ გაგვიჭირდება, ვიმსჯელოთ და ვნახოთ, რა ბედი ელის თვითეულ მათგანს. რაც სათქმელია, უნდა ითქვას, ხოლო თუ ჩემი სიტყვა გემწვავა, ისე იგულე, სოკრატე, თითქოს მე კი არ ვლაპარაკობდე, არამედ ისინი, სამართლიანობის მაგივრად უსამართლობას რომ ასხამენ ხოტბას. მათ თუ ვერწმუნებით, ჩემს მიერ ამნაირად წარმოსახული კაცი საიმისოდაა განწირული, რომ გაამათრახონ, აწამონ, გახურებული შანთით ამოსწვან თვალები და, ბოლოს, ძელზე გასვან, რათა, ამრიგად, მიხვდეს, რომ სამართლიანობას კი არ უნდა მიელტვოდეს, არამედ მხოლოდ იმას, რომ სამართლიანი ეგონოს ხალხს. ასე რომ, ესქილეს ამონათქვამიც გაცილებით უფრო მართებულად მიესადაგება უსამართლოს. რადგანაც ეს უკანასკნელი, უსამართლობის მეხოტბეთა სიტყვით, რაღაც მოჩვენებითს კი არა, ნამდვილს ესწრაფის; იმას კი არ ცდილობს, რომ ხალხს უსამართლო კაცად მოაჩვენოს თავი, არამედ იმას, რომ მართლა უსამართლო იყოს:

«ღრმად დაუხნავს და დაუკვალავს თვისი გონება,
რომ ჯეჯილივით აღმოცენდნენ ბრძნული აზრები».

სამართლიანობის ნიღაბს ამოფარებული, უწინარეს ყოვლისა, ხელთ იგდებს სახელმწიფო მართვის სადავეს, ვისაც უნდა, იმას მოიყვანს ცოლად, ვისაც უნდა, იმას გაათხოვებს, ვისაც უნდა, იმას დაუკავშირდება და, თანაც, ყოველივე ამას თავისდა სასარგებლოდ და ხელის მოსათბობლად გამოიყენებს, ვინაიდან სულაც არ ეთაკილება უსამართლობა. სულერთია, გინდ კერძო და გინდ საზოგადო საქმისთვის რომ შეექნას დავა, აუცილებლად სძლევს თავის მოცილეთ; რაკიღა სძლევს, თვითონაც გამდიდრდება და მეგობრებსაც გააბედნიერებს, თავბედს აწყევლინებს მტრებს, მსხვერპლშეწირვას არ მოაკლებს და ულევი ძღვნითაც მოიმადლიერებს ღმერთებს, ასე რომ, უკვდავთაც და მოკვდავთაც მეტ პატივს მიაგებს და ღმერთებისთვისაც უფრო სასურველი იქნება, ვიდრე სამართლიანი კაცი. აი, რას ემყარება, სოკრატე, მტკიცება, რომლის თანახმადაც, უსამართლოს უკვდავნიც და მოკვდავნიც უფრო სწყალობენ, ვიდრე სამართლიანს.

როდესაც გლავკონმა სიტყვა დაასრულა, საპასუხოდ გავემზადე, მაგრამ მისმა ძმამ ადიმანტემ დამასწრო და მითხრა:

– ხომ არ გგონია, სოკრატე, რომ ამით ამოიწურა ყველაფერი?

– რატომაც არა?

– კი მაგრამ, მთავარი რომ უთქმელი დარჩა?

– მაშინ, ანდაზისა არ იყოს – »ძმა ძმისთვისაო», – თუ გლავკონს რამე გამორჩა, შენ დაუმატე. ჩემთვის მისი ნათქვამიც საკმარისია, რათა დამარცხების ნიშნად თითი მოვკაკვო და სამართლიანობის დაცვის თავი აღარა მქონდეს.

– თავს ნუ იკატუნებ! – შემომიტია ადიმანტემ, – აბა, ერთი ესეც მოისმინე: ჩვენ გვმართებს განვიხილოთ იმის საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რასაც ამტკიცებდა გლავკონი, ვისი მოპირისპირენიც ქება-დიდებას ასხამენ სამართლიანობას, უსამართლობას კი გმობენ. მაშინ, ჩემი აზრით, უფრო გასაგები გახდება, თუ რას იზრახავდა გლავკონი. აკი მამები გამუდმებით ურჩევენ და შეაგონებენ შვილებს, სამართლიანნი იყავითო, და ასევე იქცევა ყველა, ვინც სხვებზე ზრუნავს. მაგრამ სამართლიანობას თვით მისი გულისთვის კი არ აქებენ, არამედ იმ სახელის გამო, რასაც მისი წყალობით ვიხვეჭთ. სწორედ სამართლიანობის მეოხებით ცდილობენ ხელთ იგდონ მაღალი თანამდებობა, სარფიანად იქორწინონ და მიაღწიონ ყველა იმ უპირატესობას, წეღან რომ ახსენებდა გლავკონი იმ უსამართლო კაცზე მსჯელობისას, რომელიც სამართლიანი ჰგონია ხალხს. მაგრამ სამართლიანობის მომხრენი ამასაც არ სჯერდებიან და ზემოთ ჩამოთვლილთ ზოგიერთ სხვა უპირატესობასაც უმატებენ, რასაც სახელისა და დიდების წყალობით იძენს კაცი: ისინი იმოწმებენ ღმერთის წყალობას და ჩამოთვლიან იმ ურიცხვ სიკეთეს, რასაც უკვდავნი, მათი აზრით, მიაგებენ ღვთისმოსავთ. ამას ამტკიცებს ისეთი დიდებული პოეტი, როგორიცაა ჰესიოდე, და მას კვერს უკრავს თვით ჰომეროსიც. ჰესიოდეს მიხედვით, ღმერთებმა სამართლიან კაცთათვის შექმნეს მუხები, რათა

«რკოს სთავაზობდნენ მათ რტოებით და ტკბილი თაფლით
მათსავ სალხენად ივსებდნენ ფუღურო ღეროს;
წელში წყდებოდნენ მათთვის ცხვრებიც მატყლის სიმძიმით».

ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი სიკეთე შექმნეს ღმერთებმა მართალთათვის. დაახლოებით ამასვე ამბობს ჰომეროსიც:

«შენ ემგვანები იმ ყრმამრავალ ხელმწიფეს სვიანს,
მართლად გამრიგეს და ღვთისმოშიშს, ვის მამულშიაც
ზღვად სკდება ხორბლის მოსავალი და თვით მიწამდე
იზნიქებიან დახუნძლულნი ნაყოფით ხენი,
იალაღებზე ურიცხვი ცხვრის ფარა დაუდის
და მფრთონავ ზღვაში ულევია თევზის სიმრავლე».

მუსეოსისა და მისი ძის მიხედვით, ღმერთები კიდევ უფრო დიდ სიკეთეს აღუთქვამენ მართალთ, რომელთაც ჰადესში ჩასვლის შემდეგ ინახად სხამენ, გვირგვინებით უმკობენ შუბლს და დიდებულ ლხინსაც უმართავენ მათი ღვთისმოსაობის სანაცვლოდ, ასე რომ, ისინი მთელ თავიანთ დროს თრობაში ატარებენ, თითქოს სიქველის საუკეთესო საზღაური მარადიული სიმთვრალე იყოს.

სხვების მტკიცებით, ღმერთების წყალობა მარტოოდენ მართალთ კი არა, მათ შთამომავალთაც უწევთ: ღვთისმოშიში და ფიცის ერთგული კაცის სიცოცხლე მის შვილებში, შვილიშვილებში და მომდევნო თაობებში გრძელდება. აი, რისთვის, და ბევრი სხვა რამისთვისაც აქებენ და ადიდებენ ისინი სამართლიანობას, უსამართლო და უკეთურ სულთა სამყოფლად კი ჰადესის ჭანჭრობს სახავენ და აიძულებენ ტანჯულთ, ცხრილით ხაპავდნენ წყალს; თუმცა არც სიცოცხლეში ათავისუფლებენ მათ ტანჯვისაგან, და ყველა ის სასჯელი, რაც გლავკონს იმ სამართლიან კაცთა ხვედრად მიაჩნდა, უსამართლონი რომ ჩანან ხალხის თვალში, მათი მტკიცებით,

სწორედ ნამდვილ უსამართლოთ ატყდება თავს. ესაა და ეს; ასეთნაირად ადიდებენ ისინი სამართლიანობას, უსამართლობას კი გმობენ.

გარდა ამისა, სოკრატე, განსახილველად მინდა შემოგთავაზო სამართლიანობისა და უსამართლობის სხვანაირი გაგებაც, ერთავად პირზე რომ აკერია პოეტებსაც და უბრალო ხალხსაც. ისინი ერთხმად ამტკიცებენ, რომ კეთილგონიერება და სამართლიანობა მშვენიერია, თუმცა, იმავდროულად, სამძიმოცაა და ძნელიც, მაშინ როდესაც თავაშვებულება და უსამართლობა სასიამოვნოა და ადვილი; მხოლოდ საყოველთაო აზრი და კანონიერება თუ მიიჩნევს მათ სამარცხვინოდ. ისინი გაიძახიან, უსამართლობა სამართლიანობაზე უფრო სასარგებლოაო. უმრავლესობა, როგორც კერძო, ისე საზოგადო ცხოვრებაშიაც ბედნიერად მიიჩნევს და პატივსა სცემს არამზადებს, თუკი ისინი მდიდარნი და გავლენიანნი არიან, იმავდროულად კი ქედმაღლური ზიზღით უყურებს და აგდებულად ეპყრობა ღირსეულ, მაგრამ ღარიბ-ღატაკ ადამიანებს, თუნდაც ისინი მდიდრებზე უფრო კეთილშობილ ხალხად მიაჩნდეს.

მაგრამ ყველაზე უცნაური მაინც ისაა, რასაც ზოგიერთნი ამბობენ ღმერთებსა და სიქველეზე: თითქო უკვდავნი კეთილ ხალხს წილად არგუნებდნენ უბედურებასა და უბადრუკ ცხოვრებას, უკეთურთ კი საპირისპირო ხვედრს უმზადებდნენ. თავიანთი მხრივ, მოწყალების მთხოვნელი მისნები კარს უტალახებენ და არწმუნებენ მდიდრებს, ღმერთების მიერ მომადლებულ ნიჭსა ვფლობთო, და თუ ან თქვენ, ან თქვენს წინაპრებს რაიმე ცოდვა მოგიძღვით, შეგვიძლია მსხვერპლშეწირვით ან შელოცვით მოგიტევოთო; თანაც, ეს ისე იოლი და სასიამოვნო იქნება თქვენთვის, თითქოს სადღესასწაულო სანახაობით ტკბებოდეთო. თუ ვინმეს სურს მტერს ავნოს რამე, ისინი მზად არიან, სულ მცირე საზღაურის ფასად, გაჩენის დღე აწყევლინონ მას, სულერთია, გინდ კეთილი იყოს და გინდ უკეთური. ამასთან, ირწმუნებიან, რომ გრძნეულებისა და ჯადოქრული კვანძების მეოხებით, შეუძლიათ თვით ღმერთებიც კი დამქაშებად გაიხადონ. ყოველივე ამის დასტურად პოეტებს იმოწმებენ, რომელთა აზრითაც ბოროტებასა თუ ბიწიერებაზე ადვილი არა არის რა:

«ბიწიერება ურიცხვია, რომელიც გნებავს
ამოირჩიე, გზაც მოკლეა მისკენ სავალი,
სიქველის ბჭეს კი მხოლოდ ოფლის ღვრით და წამებით
თუ შეიძლება რომ მიეახლო».

თანაც, სიქველისაკენ მიმავალი გზა გრძელია და ნარეკლიანი. ზოგიერთის მტკიცებით კი ადამიანებს შეუძლიათ თვით ღმერთებზედაც მოახდინონ ზემოქმედება, რის დასტურადაც ჰომეროსს იმოწმებენ, რომელიც ამბობს:

«თვით ღმერთებსაც კი გულს მოულბობს შემცოდე კაცი,
რის მსხვერპლშეწირვით, ზედაშის ღვრით, ლოცვა-ვედრებით,
ქედმოდრეკილი შეწყალებას მოითხოვს მათგან».

ზოგსაც ხელთ უპყრია მუსეოსისა და ორფევსის – როგორც ამბობენ, სელენესა და მუზების შთამომავალთა – წიგნების გროვა; ამ წიგნების მიხედვით ასრულებენ ისინი თავიანთ საღვთისმსახურო წესებს და არწმუნებენ არა მარტო ცალკეულ პირებს, არამედ მთელ ხალხებსაც, რომ მსხვერპლშეწირვითა და თავშესაქცევი თამაშებით შეუძლიათ დაიხსნან და ცოდვებისაგან გაწმინდონ როგორც ცოცხლები, ისე მკვდრებიც. ამ საღვთისმოსაო წეს-ჩვეულებათა აღსრულებას ისინი მისტერიებისეულ ზიარებად მიიჩნევენ, რაც თითქოს იმ ქვეყნად წამებისაგან ათავისუფლებს სულებს, ხოლო ვინც უგულებელყოფს სხვერპლშეწირვას, ჰადესში მარადიული ურვისთვისაა განწირული.

ყოველივე ამას და, ვინ მოსთვლის, კიდევ რაღას არ ამბობენ, ჩემო ძვირფასო სოკრატე, სიქველესა თუ ბიწზე; იქვე დასძენენ, თუ რანაირი თვალით უყურებენ ერთსაც და მეორესაც ადამიანებიც და ღმერთებიც. ახლა მითხარი, რანაირ შთაბეჭდილებას მოახდენენ ეს სიტყვები უზადო ბუნებრივი მონაცემებით დაჯილდოებულ ჭაბუკთა სულზე, ხარბად რომ აცხრებიან ამ სატყუარს და საიმისო უნარიც შესწევთ, რომ სათანადო დასკვნა გამოიტანონ აქედან: როგორი უნდა იყოს ადამიანი, ან რა გზა უნდა აირჩიოს, რომ ღირსეულად გალიოს ეს წუთისოფელი. როგორც ჩანს, მათ წინაშე იგივე კითხვა დაისმის, რომლითაც მოგვმართავს პინდარე:

«როგორ მივუდგე ამ მიუდგომელ
ციხე-კოშკს, ან ვით მოვექცე თხემზე?
ჭეშმარიტების თუ სიყალბის გზით?»

როგორც ამბობენ, მე თუ სამართლიანი ვარ, მაგრამ ხალხის თვალში უსამართლო ვჩანვარ, ვერავითარ სარგებელს ვერ ვეღირსები აქედან, პირიქით, სიმძიმილისა და ზარალის გარდა სხვა არაფერი მელის. ხოლო უსამართლო კაცს, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ სამართლიანის სახელი მოიხვეჭა ხალხში, ბედი უღიმის და ღმერთივით უზრუნველად ცხოვრობს. და რაკი მოჩვენებითობა, ბრძენკაცთა სიტყვით ჭეშმარიტებაზე ძლიერია და კეთილდღეობის პირობად გვევლინება, მთელი ჩემი არსება უპირატესად მისკენ უნდა იყოს მიქცეული. ამიტომ მე მმართებს მოსაჩვენებლად, როგორც კარიბჭის სამკაული, ჩემს ირგვლივ მოვხაზო სიქველის მაცთური ხატება, რათა ხალხს თვალში ნაცარი შევაყარო და ასე შევნიღბო ბრძენთა-ბრძენი არქილოქეს ცბიერი და გაქნილი მელა. კი მაგრამ, მეტყვიან ალბათ, როდემდე შეიძლება შენიღბო შენი უსამართლობა? დიდ საქმეს გარჯა დიდი სჭირდება-მეთქი ვიტყოდი მათ საპასუხოდ. მაგრამ თუ ჩვენ ვესწრაფით კეთილდღეობას, სხვა რა დაგვრჩენია: იმ გზას უნდა დავადგეთ, რაც ამნაირი სიტყვებით გვაქვს მონიშნული. ჩვენი უსამართლობის შესანიღბავად სხვადასხვა ფარულ საზოგადოებებსა თუ ამხანაგობებს ვაარსებთ ეგეც არ იყოს, შეგონებისა თუ დარწმუნების ხელოვნებაში გაწაფული ოსტატებიც ბლომადა გვყვანან, რომელთაც შეიძლება დავესესხოთ მსაჯულთა ყბადაღებულ სიბრძნეს თუ ენაგატლეკილ ვექილთა ლაქლაქს; ასე რომ, ხან დარწმუნების ხერხს მოვიშველიებთ, ხან კი ძალადობას მივმართავთ, რათა ყველა საქმეში გამარჯვებული გამოვიდეთ და სასჯელი თავიდან ავიცილოთ.

მაგრამ ღმერთებს ვერც დაემალები და ვერც ძალას იხმარ მათ მიმართ. ხოლო თუ ისინი არ არსებობენ, ან ამქვეყნიურ საქმეებში არ ერევიან, ჩვენ რაღად უნდა ვცილობდეთ, რომ მათ დავემალოთ? მაგრამ თუ ღმერთები არსებობენ და ზრუნავენ კიდეც ჩვენზე, საკითხავია, რა ვიცით მათ არსებობაზე, გარდა იმისა, რასაც გვაუწყებენ თქმულებები ან პოეტები, მათი გვარტომობის ამბებს რომ გადმოგვცემენ? იგივე პოეტები გვამცნობენ, რომ შეიძლება აზრი შევაცლევინოთ ღმერთებს და მსხვერპლშეწირვით, მდიდრული ძღვენითა თუ ლოცვა-ვედრებით მათი გული მოვინადიროთ. იძულებული ხარ, ერთიც ირწმუნო და მეორეც, ან საერთოდ ურწმუნო გახდე. თუ გწამს, ჯერ უსამართლობის გზას უნდა დაადგე, მერე კი იმ სიმდიდრიდან, რაც უსამართლობით შეიძინე, მსხვერპლი შესწირო ღმერთებს. თუ სამართლიანნი ვართ, არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ღმერთები შეგვაჩვენებენ, მაგრამ იმ სიმდიდრეს კი უნდა გამოვეთხოვოთ, რაც შეიძლებოდა უსამართლობით შეგვეძინა. ასე რომ, უსამართლობა დიახაც სასარგებლოა ჩვენთვის, ხოლო რაც შეეხება ჩვენს შეცდომებს თუ შეცოდებებს, გულმხურვალე ლოცვა-ვედრებით აზრს შევაცვლევინებთ ღმერთებს და, ამრიგად, თავიდან ავიცილებთ მათ რისხვას. კი

მაგრამ ჰადესში ჩვენცა და ჩვენს შვილებსა თუ შვილიშვილებსაც ხომ საშინელი სასჯელი გველის ამ ქვეყნად ჩვენი უსამართლობის სანაცვლოდ? მართალია, მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს მისტერიებისეულ ზიარებათა და მხსნელი ღმერთების დიადი ძალა, თუ ვერწმუნებით ძლევამოსილ სახელმწიფოებსა და ღმერთების ნაშიერთ, პოეტებად თუ ღვთაებრივ წინასწარმეტყველებად რომ მოგვვლენიან ამ ქვეყნად: მათი მტკიცებით, სწორედ ასეა საქმე.

მაშ, რის საფუძველზე შეიძლებოდა აგვერჩია სამართლიანობა უკიდურესი უსამართლობის სანაცვლოდ, თუკი სავსებით საკმარისია წესიერების მოჩვენებითი და მაცთური გარსით შევნიღბოთ უსამართლობა, რათა ჩვენი ქცევა გონივრული და სამართლიანი ჩანდეს, როგორც მოკვდავთა, ისე უკვდავთა თვალშიც, – არა მარტო ჩვენს სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც? ასეთია როგორც ბრბოს, ისე ამა ქვეყნის ძლიერთა აზრიც. ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძლება, სოკრატე, რომ სულიერი თუ სხეულებრივი ძალმოსილებით შემკული, შეძლებული და წარჩინებული კაცი პატივს სცემდეს სამართლიანობას და დამცინავად არ ქირქილებდეს, როდესაც ესმის, როგორ აქებენ და ადიდებენ მას? თვით ისიც კი, ვისაც შეუძლია ცხადყოს იმისი სიყალბე, რაც ეს-ესაა მოგახსენეთ, ვინც დარწმუნებულია, რომ სამართლიანობას ვერაფერი შეედრება ამ ქვეყნად, – დიახ, თვით ისიც კი შემწყნარებელია უსამართლოთა მიმართ და ურისხველად იტანს მათ თავგასულობას, რადგანაც იცის, რომ უსამართლობა მხოლოდ იმას თუ აღაშფოთებს, ვის ბუნებაშიაც ღვთაებრიობის ნაპერწკალი ღვივის, ან კიდევ იმას, ვინც თავს იკავებს უსამართლობისაგან, რადგანაც მისი სული ცოდნის სინათლითაა გაბრწყინვებული; საერთოდ კი, ნებაყოფილობით არავინ ემსახურება სამართლიანობას: უსამართლობის მგმობელნი მხოლოდ თავიანთი სიმხდალის, სიბერის ან სხვა რაიმე სისუსტის, მოკლედ, იმის გამო თუ ჰგმობენ მას, რომ უსამართლობის ჩადენა არ შეუძლიათ, რასაც თვალნათლივ გვიმოწმებს შემდეგი გარემოება: პირველივე უმწეო კაცი, რომელიც ძალას მოიცემს, დაუყოვნებლივ ჩაიდენს უსამართლობას, რამდენადაც ამის უნარი შესწევს.

ამის მიზეზი კი სხვა არა არის რა, თუ არა ის, რამაც მთელი ეს მსჯელობა გამოიწვია, და, აი, ახლა რას გეტყოდით მე გლავკონი: ო, ჩვენო საოცარო სოკრატე! რამდენიც არ უნდა იყოთ სამართლიანობის თაყვანისმცემელნი, ძველი გმირებიდან მოყოლებული, რომელთა გამონათქვამებიც დღევანდელ დღემდე შემოგვრჩა, და ჩვენი თანამედროვეებით დამთავრებული, – არცერთ თქვენგანს არასოდეს უგმია უსამართლობა და არც სამართლიანობა უდიდებია სხვა რამ მიზეზის და არა მათგან გამომდინარე სახელის, პატივისა თუ სარგებლის გამო. საკუთრივ სამართლიანობა და უსამართლობა კი, მთელი თავიანთი ძალმოსილებითურთ, რითაც ისინი არსებობენ სულში, ჯერ კიდევ არავის განუხილავს სათანადოდ, არც პოეტური და არც პროზაული სიტყვით; არც ის უთქვამს ვინმეს, რომ უსამართლობა უდიდესი ბოროტებაა, რასაც, საერთოდ, შეიძლება შეიცავდეს ადამიანის სული, სამართლიანობა კი – უდიდესი სიკეთე. ყველას რომ თავიდანვე ასე ემსჯელა და ჩვენც სიყრმითგანვე დავეწმუნებინეთ, იძულებულნი აღარ ვიქნებოდით ფხიზლად გვჭეროდა თვალი, რათა ერთმანეთისთვის აღგვეკვეთა უსამართლო ნაბიჯის გადადგმა, და ყოველი ჩვენგანი თვითონვე იქნებოდა საკუთარი თავის მეთვალყურე, იმისი შიშით, ვაითუ უსამართლობა შემომეპაროს სულში და, ამრიგად, უდიდესი ბოროტების მოქმედი შევიქნეო.

აი, რას იტყოდა თრასიმაქე, და ზოგი სხვა ვინმეც, სამართლიანობისა თუ უსამართლობის თაობაზე, რითაც, ჩემის აზრით, უხეშად აურევდა ერთმანეთში მათ

მნიშვნელობას და, ალბათ, ამასაც არ დასჯერდებოდა, სოკრატე. მე კი, რაღა დაგიმალო, მიტომაც არ დამიზოგავს თავი, რომ მინდა შენგან ამის საპირისპირო მტკიცება მოვისმინო. მაშ, გვიპასუხე და გვიჩვენე არა მარტო ის, რომ სამართლიანობა უსამართლობაზე უმჯობესია, არამედ ისიც, თუ რანაირ ზემოქმედებას ახდენენ ისინი სულზე, და შეიძლება ითქვას თუ არა რომ ერთი ბოროტებაა, მეორე კი სიკეთე. ხოლო იმაზე, თუ ვინ რა სახელს იხვეჭს სამართლიანობით ან უსამართლობით, ნურაფერს იტყვი, როგორც გირჩია გლავკონმა. რადგან თუ ორსავე შემთხვევაში ჭეშმარიტ სახელს უწევ ანგარიშს და მას ყალბ სახელსაც უმატებ, ჩვენ ვიტყვით, რომ ნამდვილს კი არა, მოჩვენებით სამართლიანობას აქებ, და გმობითაც ნამდვილის ნაცვლად მოჩვენებით უსამართლობას გმობ; რომ გვირჩევ დავმალოთ ჩვენი უსამართლობა, და ამრიგად ეთანხმები თრასიმაქეს, ვისი აზრითაც სამართლიანობა თავისთავად როდია სასარგებლო, არამედ სასარგებლოა მხოლოდ ძლიერისათვის, მაშინ როდესაც უსამართლობა თავისთავადაა სასარგებლოც და ხელსაყრელიც, თუმცა სუსტსა და უმწეოს კი ვნებს. რაკიღა აღიარე, რომ სამართლიანობა უდიდეს სიკეთეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ფლობაც სასურველია მათგან გამომდინარე შედეგების გულისთვის და, უწინარეს ყოვლისა, თვით მათივე გამო, ხოლო ამნაირ სიკეთეთა შორისაა მზერა, სმენა, გონიერება, ჯანმრთელობა და სხვა მისთანანი, რომელნიც ჭეშმარიტნი არიან მათივე საკუთარი ბუნებით და არა იმის მიხედვით, თუ ვინ რა აზრისაა მათზე, – ადექი და სამართლიანობას სწორედ იმ მხრივ შეასხი ქება, რა მხრივაც ის თავისთავადაა სასარგებლო სამართლიანი კაცისთვის, უსამართლობაში კი დაჰგმე ის, რაც თავისთავად მავნეა. რაც შეეხება სამართლიანობის ჯილდოს – სახელსა თუ საზღაურს, სხვებს მიანდე მათი ქება. როცა მავანნი სწორედ სახელისა თუ საზღაურის გამო აქებენ სამართლიანობას, ან უსამართლობას გმობენ, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ მაინც შემიძლია ამის ატანა, მაგრამ შენც რომ მათსავით მოიქცე, ამას კი ვეღარ ავიტან, თუ, რა თქმა უნდა, საგანგებოდ არ მიბრძანებ ესეც ავიტანო, – რადგანაც მთელი შენი დღე და მოსწრება სხვა რა გიკვლევია, ამის გარდა? მაშ კეთილ-ინებე და შენი პასუხით დაგვარწმუნე არა მარტო იმაში, რომ სამართლიანობა უსამართლობაზე უმჯობესია, არამედ ისიც გვიჩვენე, თუ რანაირ ზემოქმედებას ახდენს თავისთავად როგორც ერთი, ისე მეორე ადამიანის სულზე, ან რატომაა ერთი ბოროტება, ხოლო მეორე – სიკეთე.

მე ყოველთვის აღტაცებულ ვიყავი გლავკონისა და ადიმანტეს გამჭრიახობით და ახლაც განსაკუთრებით მეამა მათი სიტყვები.

– მართლაც რომ ღირსეული შვილები ხართ სახელოვანი მამისა; – ვთქვი მე, – მშვენიერია იმ ელეგიის დასაწყისი, რომელიც მოგიძღვნათ გლავკონის მეგობარმა, როცა მეგარის ბრძოლაში გამოიჩინეთ თავი:

«სახელოვანი არისტონის ღვთიური მოდგმა –
მისი ვაჟები^...»

ნამდვილად თქვენი საკადრისია, ჩემო მეგობრებო. ალბათ თქვენში მართლაც არის რაღაც ღვთიური, რადგანაც თქვენივე სიტყვებიდან ირკვევა, რომ არ იზიარებთ იმ აზრს, თითქოს უსამართლობა სამართლიანობაზე უმჯობესი იყოს. მე მგონია, მართლაც არა გწამთ ეს. მთელი თქვენი ქცევა მიმოწმებს ამას, თორემ მარტოოდენ სიტყვებით ვერ დამარწმუნებდით. მაგრამ რაც უფრო მეტად გენდობით, მით უფრო გამოუვალია ჩემი მდგომარეობა, რადგანაც ნამდვილად არ ვიცი, რა ვიღონო, რით დაგეხმაროთ, ასე რომ, იძულებული ვარ ჩემი უმწეობა ვაღიარო. აი, რა მიდასტურებს ამას: ერთის მხრივ, მე მგონია, საფუძვლიანად დავუსაბუთე თრასიმაქეს, რომ

სამართლიანობა უსამართლობაზე უმჯობესია, მაგრამ თქვენ არ დაგაკმაყოფილათ ჩემმა მტკიცებამ. მეორეს მხრივ კი, განა მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა, ვხედავდე, როგორ უტევენ სამართლიანობას, მაგრამ თითსაც არ ვანძრევდე მისდა საშველად, თუმცა ჯერ კიდევ პირში სული მიდგას და საიმისო ძალიც შემწევს, რომ მის დასაცავად ხმა ავიმაღლო? ამიტომ ყველაზე უმჯობესი იქნება, როგორც შემიძლია, ისე გამოვესარჩლო მას.

მაშინ გლავკონმა და დანარჩენებმაც მთხოვეს, არაფერი დამეშურებინა სამართლიანობის დასაცავად და გამეგრძელებინა ჩვენი მსჯელობა, კვლავინდებურად მეკვლია, რა არის სამართლიანობა თუ უსამართლობა და რამდენად ჭეშმარიტია ის სარგებლობა, რომელსაც მათგან მოველით. ანაზდეულად ერთმა აზრმა გამიელვა თავში და მათ ვუთხარი: რასაც ჩვენ ვიკვლევთ და ვეძებთ, ხუმრობა საქმე ნუ გგონიათ, მის არსში წვდომას მხოლოდ ბასრი და გამჭრიახი მზერის პატრონი თუ მოახერხებს, მაგრამ რაკი ჩვენ სწორედ ეს გამჭრიახობა გვაკლია, აი, როგორ უნდა განვაგრძოთ ჩვენი ძიება: ბეცს რომ შორიდან დაანახო წვრილი ასოებით აჭრელებული ფურცელი და მათი წაკითხვა სთხოვო, ხოლო მას უეცრად გაახსენდეს, რომ სადღაც უნახავს ზუსტად იგივე, მხოლოდ უფრო მსხვილი ასოებით შევსებული და გაცილებით უფრო დიდი ფურცელი, ამ გზით ყველაზე უკეთ შესძლებს თავდაპირველად წაიკითხოს მსხვილი ასოები და მათი მიხედვით ჩასწვდეს წვრილი ასოებით აჭრელებული ნაწერის აზრსაც, რათა დარწმუნდეს, ორივე ფურცელი ერთი და იმავე შინაარსის შემცველია თუ არა.

– რა თქმა უნდა, – თქვა ადიმანტემ, – მაგრამ სად ეგ და სად სამართლიანობის კვლევა-ძიება?

– მოგახსენებთ, – მივუგე მე, – ჩვენ ვამბობთ, რომ სამართლიანობა ნიშნეულია ამა თუ იმ კაცისთვის, მაგრამ ვაღიარებთ თუ არა, რომ ის მთელ სახელმწიფოსაც ახასიათებს?

– რასაკვირველია, ვაღიარებთ.

– კი მაგრამ, სახელმწიფო ხომ კაცზე დიდია?

– დიახ.

– მერედა, განა იმაში, რაც უფრო დიდია, სამართლიანობაც უფრო დიდი არ იქნება და ადვილად ამოსაცნობი? ამიტომ, თუ გნებავთ, თავდაპირველად ვნახოთ, რანაირია სამართლიანობის ბუნება სახელმწიფოში, შემდეგ კი საკუთრივ ადამიანის სულში განვიხილოთ იგი, და ამრიგად, დიდთან მსგავსების მიხედვით შევიცნოთ მცირე.

– მომწონს ეგ შენ სიტყვა, – თქვა ადიმანტემ.

– თუ წარმოსახვით წარმოვიდგენთ სახელმწიფოს დასაბამს, განა იქვე არ ვიხილავთ სამართლიანობისა თუ უსამართლობის ჩანასახსაც?

– ცხადია.

– მაშ შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ ასე უფრო ადვილად მივაკვლევთ იმას, რასაც ვეძებთ?

– რა თქმა უნდა.

– ამიტომ, მე მგონია, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ ამას. ჩემის აზრით, ხუმრობა საქმე როდია. თუმცა თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ.

– გადავწყვიტეთ და ეგაა, – თქვა ადიმანტემ, – მაშ, საქმეს შეუდექ.

– მე მგონია, სახელმწიფოს მაშინ ეძლევა დასაბამი, როცა არცერთ ადამიანს აღარ შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი თავი, რადგანაც ათასი რამ სჭირდება. თუ, შენის აზრით, სახელმწიფოს დასაბამს სხვა რამე განაპირობებს?

– არა, სხვა არაფერი.

– ამიტომ ყოველი კაცი ხან ვის მიმართავს და ხან ვის თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ათასნაირ გაჭირვებას რომ განიცდის, ათასობით კაცი ერთიანდება, რათა ერთად იცხოვრონ და შეეწიონ კიდეც ერთმანეთს. სწორედ ამ თანაცხოვრებას ვუწოდებთ ჩვენ სახელმწიფოს; ასეა, არა?

– რა თქმა უნდა.

– ამრიგად, ისინი რაღაცას იღებენ ერთმანეთისაგან და სანაცვლოდ გასცემენ კიდეც, რადგანაც ყველას ჰგონია, რომ ეს უფრო უმჯობესია მისთვის.

– დიახ.

– მაშ, მოდი, ვცადოთ, – ვთქვი მე, – აზრით ჩავუყაროთ საფუძველი სახელმწიფოს; ხოლო ამ საფუძვლად, როგორც ჩანს, ჩვენი მოთხოვნილებანი უნდა მიგვაჩნდეს.

– უეჭველად.

– უპირველესი და უდიდესი მოთხოვნილება კი საზრდოსა და საარსებო საშუალებათა მოპოვებაა.

– რა თქმა უნდა.

– მეორე მოთხოვნილება ისაა, რომ საკუთარი ჭერი გეფაროს თავზე, მესამე – ის, რომ ტანსაცმელი გქონდეს, და ასე შემდეგ.

– მართალს ბრძანებ.

– მაშინ ისიც უნდა ვიკითხოთ, – ვუთხარი მე, – რანაირად გაართმევს თავს სახელმწიფო ყოველივე ამას. იქნებ, ისე, რომ ერთი მიწის მუშა იქნება, მეორე – ხურო, მესამე – ფეიქარი და ასე შემდეგ? ხომ არ მივუმატოთ ამათ ხარაზი და ბევრი სხვა ხელოსანიც, ვინც ჩვენი ხორციელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება?

– ცხადია, უნდა მივუმატოთ.

– მაშასადამე, საზოგადოება ოთხი თუ ხუთი კაცისგან მაინც უნდა შედგებოდეს?

– როგორც ჩანს.

– კი მაგრამ, ყოველი მათგანი თავის საკუთარ საქმეს უნდა ასრულებდეს, იმ ანგარიშით, რომ მთელი საზოგადოებისთვისაც შრომობდეს? ასე მაგალითად, მიწის მუშას, მიუხედავად იმისა, რომ ერთია, ოთხი სულის სამყოფი პური უნდა მოჰყავდეს, ოთხჯერ მეტ დროს ხარჯავდეს და ოთხჯერ უფრო მეტ ოფლსაც ღვრიდეს, რათა სხვებსაც უწილადოს თავისი ნაშრომ-ნაჯაფი, თუ არას დაგიდევს დანარჩენებს, მხოლოდ თავის სამყოფ მოსავალს იწევდეს, ოთხჯერ უფრო ნაკლებ დროს ხარჯავდეს, დროის დანარჩენ სამ მეოთხედს კი სახლის ასაშენებლად, ტანსაცმლის მოსაქსოვად თუ ფეხსაცმელების შესაკერად იყენებდეს, ასე რომ, სხვებისთვის კი არა, მხოლოდ თავისთვის წვალობდეს და თავისსავე საქმეს იგვარებდეს?

– პირველი უფრო იოლია, სოკრატე, ვიდრე მეორე, – თქვა ადიმანტემ.

– ამაში, ვფიცავ ზევსს, არაფერია უჩვეულო; – ვუთხარი მე, – შენი პასუხი მაფიქრებინებს, რომ ადამიანები დაბადებითვე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, თუ ვის რა საქმის კეთების ნიჭი დაჰყვება თან, და არც თავიანთი ბუნებით ჰგვანან ერთმანეთს; განა შენც ამას არ გულისხმობ?

– დიახ, მაგას.

– მერედა, ვინ უკეთ ასრულებს თავის საქმეს – ვინც მრავალ ხელობაში გაწაფულია, თუ ვინც მხოლოდ ერთი ხელობა იცის?

– ვინც ერთი ხელობა იცის.

– ჩემის აზრით, ისიც აშკარაა, რომ თუ ხელიდან გავუშვებთ რაიმე საქმის კეთებისთვის ხელსაყრელ დროს, არაფერიც არ გამოგვივა.

– რა თქმა უნდა.

– რადგანაც, მე მგონია, არავითარი საქმე არ დაუწყებს ლოდინს ხელოსანს, აბა, როდის მოიცლის ჩემთვისაო; პირიქით, ხელოსანი ვერასოდეს ვერ უნდა იცლიდეს სხვა რამისათვის, გარდა საკუთარი საქმისა.

– ჭეშმარიტად.

– ამიტომ შეიძლება ყველაფერი უფრო უკეთ, უფრო სწრაფად და ადვილად აკეთო, როცა მხოლოდ ერთ საქმეს ასრულებ, შენი ბუნებრივი ნიჭისა თუ უნარის შესაბამისად, და, თანაც, დროულად ასრულებ, ისე, რომ სხვა რამისთვის აღარ გცალია.

– უცილობლად.

– ჰოდა, აი, რას გეტყვი, ადიმანტე: ყოველივე იმას, რაზედაც წეღან ვლაპარაკობდი, სახელმწიფოს ოთხი წევრი ნამდვილად ვერ გაართმევს თავს; რადგანაც მიწის მუშა, რომელსაც მჭრელი სახნისი სჭირდება, თვითონვე როდი დაამზადებს მას, ან თოხსა თუ სხვა სამიწათმოქმედო იარაღს. ხუროსაც, თავის მხრივ, ვინ მოსთვლის, რამდენი რამე სჭირდება, და იგივე ითქმის ხარაზსა თუ ფეიქარზედაც.

– მართალს ბრძანებ.

თუ ამ ჩვენს პაწაწინა სახელმწიფოში მჭედლებს, ხუროებს და სხვა ხელოსნებსაც ჩავრთავთ, ისინი ხალხმრავალ ქვეყნად აქცევენ მას.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ ის მაინც არ გახდება ვეება სახელმწიფო, თვით მაშინაც კი, თუ ზემოთ ჩამოთვლილთ მეჯოგეებს, მეცხვარეებს და სხვა მწყემსებსაც მივუმატებთ, რათა მიწის მუშებს ხარები ჰყავდეთ სახნავად, ხუროებს, ისევე, როგორც მიწის მუშებს, – საუღლე საქონელი ტვირთის საზიდად, და არც ხარაზებს ან ფეიქრებს მოაკლდეთ ტყავი თუ მატყლი.

– ვეება თუ არა, პატარა მაინც არ იქნება სახელმწიფო, რომელიც ამდენ ხალხს აერთიანებს, – თქვა ადიმანტემ.

– ეგეც არ იყოს, – გავაწყვეტინე მე, – სად მოძებნი იმნაირ ადგილს სახელმწიფოს დასაარსებლად, რომ მის მოქალაქეებს არაფრის შემოტანა არ დასჭირდეთ?

– ვერსად.

– მაშასადამე, სახელმწიფოსათვის აუცილებელი იქნება სხვა ხელობის ხალხიც უცხო ქვეყნებიდან საჭირო საქონლის შემოსატანად.

– დიახ.

– ესე იგი, სახელმწიფომ უნდა აწარმოოს არა მარტო ის, რაც საჭიროა მისი მოქალაქეების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად,

– არამედ ისიც, რაც სხვებს სჭირდება.

– აუცილებლად.

– მაშასადამე, რაც შეიძლება მეტი მიწის მუშა და სხვა ხელოსანი უნდა გვყავდეს.

– დიახ, რაც შეიძლება მეტი.

– ასევე ის ხალხიც, საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის რომ გვჭირდება; ხოლო ეს ხალხი ვაჭრებია, არა?

– დიახ.

– ასე რომ, არც ვაჭრები უნდა გვაკლდნენ.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ თუ საზღვაო ვაჭრობას ეხება საქმე, ვაჭრების გარდა ზღვაოსნებიც ხომ დაგვჭირდება?

– დაგვჭირდება და ბლომადაც დაგვჭირდება.

– კი მაგრამ, თვით ქვეყნის შიგნით როგორღა იქნება საქმე? რანაირად მოხერხდება ნაწარმის გაცვლა-გამოცვლა ხელოსნებს შორის? აკი ჩვენც, უწინარეს ყოვლისა სწორედ ამ მიზნით დავაარსეთ სახელმწიფო.

– ცხადია, აღებ-მიცემობის გზით.

– მაშასადამე, უნდა შეიქმნას ბაზარი და დაწესდეს ღირებულების აღმნიშვნელი ნიშანი – ფული.

– რა თქმა უნდა.

– მერედა, თუ მიწის მუშა ან რომელიმე სხვა ხელოსანი ბაზრობაზე გამოიტანს თავის ნაწარმს, მისი მუშტარი კი დაიგვიანებს, ნუთუ ის გულხელდაკრეფილი დაელოდება ბაზარში და ასე უქმად გააცდენს საქმისათვის საჭირო დროს?

– არამც და არამც, – თქვა ადიმანტემ, – განა ცოტაა ისეთი ხალხი, თავის სამსახურს რომ შესთავაზებს მას? კეთილმოწყობილ სახელმწიფოებში ესენი არიან ყველაზე ძაბუნნი და ყოველგვარი სხვა საქმისათვის უვარგისნი: ერთავად ბაზარში ყრიან და ცდილობენ იაფად შეიძინონ სავაჭროდ გამოტანილი საქონელი, რათა შემდეგ სხვებს მიჰყიდონ იგი.

– სწორედ ამ მოთხოვნილების გამო ჩნდებიან ჩვენში ქორვაჭრები; – შევნიშნე მე, – განა ასე არ ვუწოდებთ შუაკაცებს მყიდველებსა და გამყიდველებს შორის, ბაზარში რომ ათენებენ და აღამებენ? ხოლო იმ ხალხს, ერთი სახელმწიფოდან მეორეში რომ დაეხეტება საქონლის გასასაღებლად, ვაჭრებს ვეძახით, არა?

– დიახ.

– მე თუ მკითხავთ, სხვაც ბევრია საჭირო კაცი; მართალია, მწირი გონების გამო ეს ხალხი ნაკლებად იმსახურებენ იმას, რომ მათთან რაიმე ურთიერთობა ვიქონიოთ, მაგრამ საკმაო ძალი კი შესწევთ მძიმე სამუშაოს შესასრულებლად. ისინი ფულზე ჰყიდიან თავიანთ ძალას, და რაკი ამ ფულს ქირას უწოდებენ, მე მგონია, სწორედ ამიტომ მოქირავეებად უხმობენ მათ.

– რა თქმა უნდა.

– სახელმწიფოს სისრულისათვის, როგორც ჩანს, მოქირავენიც სჭირდება.

– ეგრე მგონია.

– რას იტყვი, ადიმანტე, იმდენად ხომ არ გაიზარდა ეს ჩვენი სახელმწიფო, რომ უკვე შეიძლება დასრულებულად მიგვაჩნდეს?

– ალბათ შეიძლება.

– კი მაგრამ, სადღაა სამართლიანობა და უსამართლობა? რამდენი რამ განვიხილეთ, მაგრამ მაინც საიდან იღებენ ისინი დასაბამს?

ვერ გეტყვი, სოკრატე; იქნებ, საერთო საქმიანობაში თვით ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებიდან?

– შეიძლება მართალიც იყო; – ვუთხარი მე, – მაშ, განვაგრძოთ კვლევა-ძიება და განუხრელად მივსდიოთ ჩვენს მიერ დასახულ მიზანს. უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ ამნაირად დახელოვნებულ კაცთა ცხოვრების წესი. ისინი მოიწევენ ხორბლისა თუ ყურძნის მოსავალს, ხელს მიჰყოფენ ტანსაცმლის თუ ფეხსაცმლის კერვას და სახლების მშენებლობას; ზაფხულის ხვატში წელზემოთ გატიტვლებულნი და ფეხშიშველანი იმუშავებენ, ზამთარში კი საგულდაგულოდ ჩაფუთნულ-ჩათბუნებულნი თავის სარჩენად ქერს დაღერღავენ და ხორბალს დაფქვავენ,

ღერღილისაგან ფაფას მოხარშავენ, ფქვილს კი მოზელენ და ცომისაგან დაბრაწულ პურებსა და ფუნთუშებს დააცხობენ, რომლებსაც მადის აღმძვრელად ჩაამწკრივებენ ლერწმის ჭილობსა თუ ქორფა ფოთლებზე. მურტისა და ურთხელის ყლორტებით მოფენილ სარეცლებზე შვილებთან ერთად მხართეძოზე წამოწოლილნი და გვირგვინებით შუბლშემკულნი ნებიერად შეექცევიან ღვინოს, საგალობლებით ქებას შეასხამენ ღმერთებს და მხიარულ მუსაიფში გაატარებენ დროს; შვილებს კი, შიმშილობისა და ომიანობის შიშით, მხოლოდ იმდენს იყოლიებენ, რამდენის ყოლის ნებასაც მისცემთ მათი ავლადიდება.

– რაო?! – გამაწყვეტინა გლავკონმა, – ხმელა პურსა და თითო ფიალა ღვინოზე უპირებ ამ ხალხს გადატარებას?

– მართალი ხარ, – მივუგე მე, – კინაღამ დამავიწყდა, რომ მათ ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელიც დასჭირდებათ. ცხადია, მარილიც უნდა ჰქონდეთ, ზეთისხილიც, ყველიც, პრასიცა და სხვა ბოსტნეულიც; ასე მოათუხთუხებენ სოფლურ შეჭამანდს. მაგრამ ვერც პირის ჩასაკოკლოზინებელს მოვაკლებთ: ლეღვს, მუხუდოს, ცერცვს, ან მურტის ნაყოფს თუ რკოს, რომლებსაც ცეცხლზე მოხალავენ და წრუპვა-წრუპვით მიაყოლებენ ღვინოს. ასე, სიამტკბილობით გაატარებენ მთელ სიცოცხლეს, უზრუნველნი და საღსალამათნი, მერე კი ღრმად მოხუცებულნი სამუდამოდ მიიძინებენ და ასეთსავე ცხოვრებას უანდერძებენ თავიანთ შთამომავალთ.

– ღორებით რომ დაგესახლებინა ეგ შენი სახელმწიფო, სოკრატე, ალბათ, ვერც მათ შესთავაზებდი სხვანაირ სალაფავს, – წამოიძახა გლავკონმა.

– მაშ, რას მიბრძანებ, რა შევთავაზო? – ვკითხე მე.

– რასაც ჩვეულნი არიან: ინახად სხდომა, ხორაგით სავსე ტაბლები, ნუგბარ-ნუგბარი კერძები და ტკბილეული, მოკლედ, ყველაფერი, რაც თავზე საყრელადა აქვთ ჩვენს თანამედროვეებს, – თუ გინდა, რომ შიმშილით არ ეწვოდეთ კუჭი.

– კეთილი და პატიოსანი, – ვუთხარი მე, – როგორც ჩანს, ჩვენ განვიხილავთ არა მარტო იმ სახელმწიფოს, რომელიც ეს-ესაა იბადება, არამედ კეთილდღეობით გალაღებულსაც. ვინ იცის, იქნებ ასედაც სჯობდეს. რადგანაც შეიძლება თვით ამ უკანასკნელის განხილვამაც დაგვანახოს, რანაირად იჩენენ თავს სახელმწიფოში სამართლიანობა და უსამართლობა. ჩვენს მიერ წარმოსახული სახელმწიფო მე ჯანსაღ სახელმწიფოდ მეჩვენება; მაგრამ თუ გნებავთ, არაფერი არ გვიშლის ხელს, იმ სახელმწიფოსაც დავუკვირდეთ, რომელსაც თითქოს ციებ-ცხელება შეჰყრია. როგორც ჩანს, ზოგიერთს მართლაც არ დააკმაყოფილებს ყოველივე ეს, არც ესოდენ მარტივი ცხოვრების წესი; არა, კეთილ-ინებე და სასწრაფოდ მიართვი მათ სარეცლები, ტაბლები, ნაირ-ნაირი ჭურჭელი თუ დგამ-ავეჯი, მადის აღმძვრელი ნაზუქები, საკმეველი, ნელსაცხებლები, აგრეთვე ჰეტერები თუ ნუგბარ-ნუგბარი კერძები, და, თანაც, ყოველივე ეს – რაც შეიძლება ბლომად. ეტყობა, აუცილებელი მარტოოდენ ის კი არ არის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, – სახლი, ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი, – არა, მოიტათ სურათებიც, სამკაულებიც, ოქრო-ვერცხლისა თუ სპილოს ძვლის ნაკეთობებიც; ასეა, არა?

– დიახ.

– კი მაგრამ, ხომ არ მოგვიწევს გავაფართოვოთ ჩვენი სახელმწიფოს ფარგლები? რადგანაც ის პირველი – ჯანსაღი სახელმწიფო უკვე აღარ არის საკმარისი, არამედ იმნაირი ხალხით უნდა ავავსოთ, რომლის ყოფნაც სახელმწიფოში სულაც არ არის აუცილებლობით გამოწვეული: მე ვგულისხმობ ათასი ჯურის მონადირეებს და მიმბაძველებს, ფერებს, ბგერებს თუ სახეებს რომ იყენებენ მიბაძვისას, ესე იგი, პოეტებსა და მათთან განუყრელად დაკავშირებულ რაფსოდებს, მსახიობებს,

ქორევტებს, თეატრის მენარდეებს, მეავეჯეებს და სასალუქო საგნების, მეტადრე, ქალების სამშვენისთა თუ სამკაულთა ოსტატებს. წარმოუდგენლად გაიზრდება მსახურთა რიცხვიც: ვინ მოსთვლის, რამდენი აღმზრდელი, ძიძა, ლალა, მოახლე, დალაქი, მზარეული თუ ყასაბი დაგვჭირდება. ახლა მეღორეებს აღარ იკითხავ? ესენი არ გვყოლია ჩვენს პირველ სახელმწიფოში; არც გვჭირდებოდნენ. აქ კი ესენიც საჭირონი არიან და ათასნაირი პირუტყვიც და საქონელიც, რაკიღა უპირატესად ხორცით ვსაზრდოობთ; რას იტყვი, განა სწორი არა ვარ?

– რა თქმა უნდა.

– ამნაირი ცხოვრების შედეგად გაცილებით უფრო მეტი ექიმი იქნება საჭირო, ვიდრე უწინ.

– დიახ, გაცილებით მეტი.

– ეგეც არ იყოს, ქვეყანა, ოდესღაც საკმაოდ ვრცელი საიმისოდ, რომ თავისი მოსახლეობა გამოეკვება, ახლა უკვე დაპატარავდება. ასეა, არა?

– მართლაც ასეა.

– მაშასადამე, იძულებულნი ვიქნებით კაი მოზრდილი ნაწილი ჩამოვაჭრათ მეზობელ სახელმწიფოს, თუ გვინდა სამყოფი საძოვარი და სახნავ-სათესი გვქონდეს, ხოლო მეზობელი სახელმწიფო, თავის მხრივ, მოინდომებს ჩვენი ქვეყნის ნაწილი მიიტაცოს. თუკი თვითონაც დაუსრულებელი მომხვეჭელობის გზას დაადგება და, ამრიგად, გადავა იმის ზღვარს, რაც აუცილებელია საარსებოდ.

– ყოველ მიზეზს გარეშე, ეგრეც მოხდება, სოკრატე.

– მაშ, ომში უნდა ჩავებათ, გლავკონ?

– დიახ, უნდა ჩავებათ.

– ჯერჯერობით არაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, თუ რა მოსდევს შედეგად ომს – სიკეთე თუ ბოროტება; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ უკვე მივაკვლიეთ ომების წყაროს, ხოლო ომი უდიდესი უბედურების სათავეა როგორც კერძო პირის, ისე მთელი საზოგადოებისთვისაც, როცა ისინი იძულებულნი არიან იომონ.

– რა თქმა უნდა.

– ამასთანავე, მოგვიწევს მცირედით კი არა, მთელი ლაშქარით გავზარდოთ სახელმწიფო, ჩემო ძვირფასო: ლაშქრით, რომელიც დაიცავს ჩვენს სამფლობელოებს და, ზემოთქმულისა არ იყოს, სხვის მიწა-წყალსაც შემოგვიმტკიცებს.

– როგორ, განა ჩვენ თვითონ კი ვერ შევძლებთ ამას?

– ვერა, ვერ შევძლებთ, თუკი სწორად გადავწყვიტეთ ეს საკითხი ჩვენი წარმოსახული სახელმწიფოს დაარსებისას. თუ გახსოვს, იმთავითვე შევთანხმდით, რომ შეუძლებელია ერთი კაცი სრულყოფილად ფლობდეს მრავალ ხელობას.

– მართალს ბრძანებ.

– მერედა, მეომრის ხელობა ხელობად არ მიგაჩნია?

– რა საკითხავია?

– კი მაგრამ, ნუთუ მეწაღის ხელობაზე უფრო მეტს უნდა ვზრუნავდეთ, ვიდრე მეომრისაზე?

– როგორ გეკადრება.

– იმ მიზნით, რომ ჩვენში უკეთ ვითარდებოდეს მეწაღეობა, ხომ ავუკრძალეთ მეწაღეს, მიწის მუშის, ფეიქრისა თუ ხუროს საქმისათვის მიეყო ხელი; ზუსტად ასევე, ყველა სხვა ხელოსანსაც მხოლოდ ერთი საქმე მივანდეთ, რასაც ის წარმატებით გაართმევს თავს, თავისი ბუნებრივი მონაცემების წყალობით; მთელი სიცოცხლის მანძილზე სწორედ ეს იქნება მისი ერთადერთი საქმე, ასე რომ, სხვა რამისთვის ვეღარ მოიცლის, და წარმატებასაც მიაღწევს, თუკი ფუჭად არ გაფლანგავს დროს. კი მაგრამ,

განა საომარი ხელოვნება ნაკლებ ყურადღებასა და გულმოდგინებას მოითხოვს? ან, იქნებ, ის იმდენად ადვილია, რომ მიწის მუშას, მეწაღესა თუ ნებისმიერ ხვა ხელოსანსაც თავისუფლად შეუძლია, იმავდროულად, მეომარიც იყოს? კოჭის თამაში რომ კოჭის თამაშია, იმასაც კი ვერ აუღებ ალღოს, თუ ბავშვობიდანვე არ გაგიწაფავს ხელი, არამედ ისე, სასხვათაშორისოდ გითამაშნია. მერედა, ნუთუ საკმარისია ფარით ან სხვა საომარი საჭურვლით აღიჭურვო, ანდა აბჯარი აისხა, რომ მაშინვე ძლევამოსილ მეომრად იქცე და ჰოპლიტების მხარდამხარ ბრძოლაც შეიძლო და სხვა მეომართა დასშიაც? მაშინ როდესაც სხვა რომელიმე ხელოსნის იარაღი რომ აიღო ხელში, ამის წყალობით ვერც ხელოსანი გახდები ერთბაშად და ვერც ათლეტი, თუ საგანგებოდ არ შეგისწავლია სათანადო ხელობა, და არც ამ იარაღის ხმარება შეგიძლია.

– ეგრე რომ არა, მაშინ ყოველგვარი იარაღი მართლაც რომ ფასდაუდებელი იქნებოდა.

– მაშასადამე, რაც უფრო მნიშვნელოვანია მცველების საქმე, მით უფრო შეუთავსებელია იგი სხვა საქმიანობასთან, რადგანაც უდიდეს ოსტატობასა და გულმოდგინებას მოითხოვს.

– მეც ეგრე მგონია.

– აუცილებელია სათანადო ბუნებრივი მონაცემები, რათა თავი გაართვა მას.

– რა თქმა უნდა.

– ასე რომ, თუკი ძალი შეგწევს, ჩვენი საქმეა იმათი გულმოდგინე შერჩევა, ვინც თავისი ბუნებრივი მონაცემებით შეიძლება სახელმწიფოს მცველად გამოდგეს.

– დიახ, სწორედ ჩვენი საქმეა.

– ვფიცავ ზეევსს, ძნელ საქმეს მივყავით ხელი! მაგრამ შევინარჩუნოთ სიმხნევე და შეძლებისდაგვარად აღვასრულოთ ჩვენი ვალი.

– ვცადოთ.

– როგორ გგონია, როცა დაცვას ეხება საქმე, არის თუ არა რაიმე განსხვავება ჯიშიანი ლეკვისა და კეთილშობილი ჭაბუკის ბუნებრივ თვისებებს შორის?

– მაინც რა თვისებებს გულისხმობ?

– რასა და იმას, რომ ერთსაც და მეორესაც უტყუარი ალღო უნდა ჰქონდეს, ორივე ერთნაირად სწრაფი უნდა იყოს და უჩვეულო ძალის პატრონიც, რათა უმალვე შეიგრძნონ მტრის სიახლოვე, სწრაფად წამოეწიონ მომხდურს და თავიანთი ძალითა სძლიონ.

– მართალს ბრძანებ.

– მაგრამ მტერთან შებმა ხომ სიმამაცეს მოითხოვს?

– რასაკვირველია.

– მერედა, რა სიმამაცე უნდა მოსთხოვო ძაღლს, ცხენსა თუ ნებისმიერ სხვა ცხოველს, ვის არსებაშიც არ ბობოქრობს სიფიცხის მბორგავი სული? ნუთუ არ შეგიმჩნევია სიფიცხის შეუპოვარი და უძლეველი ძალა? ასე რომ, სული, რომელშიაც ძალუმად ბორგავს სიფიცხე, არაფერს შეუდრკება და არც არავის წინაშე დაიხევს უკან.

– შემიმჩნევია.

– ახლა ხომ ხედავ, რანაირი თვისებები უნდა ამკობდნენ სახელმწიფოს მცველის სხეულს?

– ვხედავ.

– აგრეთვე სულსაც: ეს გახლავს სიფიცხე.

– დიახ.

– კი მაგრამ, თუ ყველა მცველი ამნაირია, გლავკონ, განა ისინი დაუნდობელნი არ იქნებიან, როგორც ერთურთის, ისე დანარჩენ თანამოქალაქეთა მიმართაც?

– ვფიცავ ზევსს, ძნელი კითხვაა.

– მაგრამ ისინი ლმობიერნი უნდა იყვნენ თავისიანებისადმი და ულმობელნი – მტრების მიმართ, თორემ გადამთიელთა ლოდინი აღარ დასჭირდებათ: თვითონვე გაავლებენ მუსრს ერთი-მეორეს.

– ჭეშმარიტად.

– მაშ, რა ვქნათ? სად ვპოვოთ ზნე ლმობიერი და, იმავდროულად, ულმობელიც? ლმობიერება ხომ უპირისპირდება სულის სიფიცხეს?

– ცხადია.

– ხოლო თუ კაცი არც ლმობიერია და არც ულმობელი, ნამდვილი მცველიც ვეღარ იქნება. როგორც ჩანს, ეს პირობა განუხორციელებელია და, ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭეშმარიტ მცველსაც ვერსად ვიპოვით.

– ვაი რომ ეგრეა, – თქვა გლავკონმა.

– ერთხანს ვყოყმანობდი და ვცდილობდი გამეხსენებინა ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა.

– ეჰ, ჩემო ძვირფასო, – ვუთხარი ბოლოს გლავკონს, – ამ გამოუვალ მდგომარეობაში მიტომაც ჩავცვივდით, რომ თვითონვე დავივიწყეთ ის, რაც სანიმუშოდ მოვიხმეთ.

– რას გულისხმობ?

– არც კი დავფიქრებულვართ იმაზე, რომ არსებობენ ისეთი ზნენი, ამ ურთიერთ საპირისპირო თვისებებს რომ ითავსებენ.

– მაინც?^

– ეს უფრო ნათლად ჩანს ცხოველების, უწინარეს ყოვლისა კი იმის მაგალითზე, რაც წეღან მცველს შევადარეთ. ხომ მოგეხსენება ჯიშიანი ძაღლების ბუნება: რა ალერსიანნი არიან შინაურებისა თუ პატრონის ნაცნობ-მეგობრების მიმართ და, პირიქით, რა გააფთრებით უტევენ უცნობთ.

– რა საკითხავია.

– მაშასადამე, ეს შესაძლებელია და მცველში ამნაირ ზნეს რომ ვეძებთ, სულაც არ ვუპირისპირდებით ბუნებას.

– როგორც ჩანს, არა.

– რას იტყვი, ამ ჩვენს მომავალ მცველს ერთი რამ მაინც ხომ არ აკლია? – მარტო სიფიცხე არ კმარა: თავისი ბუნებით, სიბრძნესაც უნდა მიელტვოდეს.

– როგორ? აი, ეგ კი არ მესმის.

– ეს შეიძლება თვით ძაღლებშიაც შენიშნო; მართლაც რომ საოცარი თვისებაა ცხოველებისა.

– მაინც რა თვისებას გულისხმობ.

– უცნობის დანახვაზე ძაღლი ავდება, თუმცა ამ უცხო კაცს არაფერი დაუშავებია მისთვის, ნაცნობის დანახვაზე კი კუდის ქიცინით ეგება ფეხქვეშ, თუმცა არავითარი სიკეთე არ ახსოვს მისგან. არასოდეს განუცვიფრებიხარ ამას?

– მართალი გითხრა, დღემდე არც კი დავფიქრებულვარ ამაზე, მაგრამ ცხადია, რომ ძაღლი მართლაც ეგრე იქცევა.

– მისი ბუნების ეს თავისებურება მართლაც რომ საოცარია და, ასე განსაჯე, ჭეშმარიტად ბრძნულიც.

– როგორ?

– როგორ და ისე, რომ მტერ-მოყვარეს მხოლოდ იმის მიხედვით განასხვავებს ერთმანეთისგან, ნაცნობია ის თუ უცნობი. მერედა, რა არის ეს, თუ არა სწრაფვა შემეცნებისკენ, როცა უცხოსა თუ შინაურის განსაზღვრის ცნობა, ან, პირიქით, არცნობა უდევს საფუძვლად?

– ვერავინ უარყოფს მაგას.

– კი მაგრამ, სწრაფვა შემეცნებისკენ ხომ იგივეა, რაც სიბრძნისკენ სწრაფვა?

– დიახ.

– ამიტომ თამამად შეგვიძლია დავუშვათ, რომ თუ ადამიანიც შინაურებისა და ნაცნობ-მეგობრების მიმართ ლმობიერია და ალერსიანი, მაშასადამე, მისთვის ბუნებით ნიშნეულია სიბრძნისა და შემეცნებისაკენ სწრაფვა.

– დავუშვათ.

– ასე რომ, სახელმწიფოს უზადო მცველისთვის ნიშნეული იქნება არა მარტო სიფიცხე, სისწრაფე და ძალა, არამედ სულიერი სრულყოფილებაც.

– ჭეშმარიტად.

– აი, რანაირი იქნება ჩვენი მცველი. მაგრამ როგორ უნდა ვწვრთნათ იმის მიკვლევაში, რასაც ვეძებთ, ესე იგი, ბოლოს მაინც თუ მივხვდებით, რანაირად იჩენენ თავს სახელმწიფოში სამართლიანობა და უსამართლობა. ნუ დავივიწყებთ ჩვენი საუბრის ამ ძირითად მიზანს, რათა სიტყვა მეტისმეტად არ გაგვიგრძელდეს.

მაშინ გლავკონის ძმამ ჩაურთო:

– მე თუ მკითხავთ, ამ საკითხის განხილვა ძალზე სასარგებლო იქნება ჩვენთვის.

– ვფიცავ ზევსს, ჩემო ძვირფასო ადიმანტე, – ვუთხარი მე, – თავადაც მაგ აზრისა ვარ; ხელს ნუ ავიღებთ ამაზე, თუნდაც უსაშველოდ გაგვიჭიანურდეს ძიება.

– სწორი გადაწყვეტილებაა.

– მაშ, მოდი, მოცლილი მეზღაპრეებივით დინჯად და აუჩქარებლად, საქმით თუ არა სიტყვით მაინც შევუდგეთ ჩვენი მცველების აღზრდას.

– ჩვენი ვალიც სწორედ ეგ არის.

– კი მაგრამ, რანაირად აღვზარდოთ ისინი? თუმცა ძნელია მივაკვლიოთ იმაზე უკეთეს საშუალებას, რაც უძველესი დროიდანვეა ცნობილი. სხეულისათვის ეს გახლავთ გიმნასტიკური აღზრდა, სულისათვის კი – მუსიკური.

– ეგრეა.

– ხოლო მუსიკური აღზრდა წინ უნდა უსწრებდეს გიმნასტიკურს.

– რა თქმა უნდა.

– მუსიკური აღზრდაო, რომ ვამბობთ განა მასში სიტყვიერებასაც არ ვგულისხმობთ?

– ცხადია, ვგულისხმობთ.

– მაგრამ სიტყვიერება ორგვარია – ჭეშმარიტი და ყალბი.

– დიახ.

– აღზრდისთვის ორივე გვჭირდება, მაგრამ ყალბით უნდა დავიწყოთ.

– არ მესმის, რას ამბობ, თქვა ადიმანტემ.

– რა არ გესმის? – ვუთხარი მე, – ის, რომ პატარა ბავშვებს ყველაზე უმალ თქმულებები უნდა ვუამბოთ? თქმულება კი, არსებითად, ყალბია, თუმცა ის ჭეშმარიტებასაც შეიცავს. ბავშვების აღსაზრდელად ჩვენ უმალ თქმულებებს მივმართავთ, ვიდრე გიმნასტიკას.

– მართალს ბრძანებ.

– ამიტომაც მოგახსენე, მუსიკური ხელოვნებით უნდა დავიწყოთ და მხოლოდ შემდეგ გადავიდეთ გიმნასტიკურზე-მეთქი.

– სწორია.

– მერედა, ნუთუ არ იცი, რომ ყველა საქმეში მთავარია დასაწყისი, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ნორჩსა და სათუთ არსებას რადგანაც სწორედ ამ ასაკში ყალიბდება და სულში თანდათანობით ფესვს იდგამს ის თვისებები, რომლებიც გვინდა მოზარდში განვავითაროთ.

– სრული სიმართლეა.

– განა შეიძლება დავუშვათ, რომ ბავშვები ვისგანაც გნებავთ, იმისაგან ისმენდნენ ღმერთმა იცის რანაირ თქმულებებს, რომლებიც უმეტესწილად უპირისპირდებიან ყოველივე იმას, რაც ჩვენ გვსურს ჩავუნერგოთ და ცხოვრების გზაზეც ვუსაგზლოთ მათ?

– ვერა, ვერ დავუშვებთ.

– უწინარეს ყოვლისა, თვალყური უნდა ვადევნოთ თქმულებათა მთხზველებს: თუ მათი ქმნილება ფასეულია, ჩვენც მოვიწონებთ, თუ არა და, უარვყოფთ მას. დედებსა და აღმზრდელებს ვთხოვთ, მხოლოდ ჩვენს მიერ მოწონებული თქმულებები უამბონ თავიანთ პატარებს, რათა მათი მეშვეობით უფრო უმალ ჩამოქნან და ჩამოაყალიბონ ნორჩების სული, ვიდრე მათი სხეული – ხელებით. იმ თქმულებების უმრავლესობა კი, რომლებსაც დღეს უამბობენ ბავშვებს, უნდა უარყონ.

– მაინც რა თქმულებებს გულისხმობ?

– ჩვენ შეგვიძლია უფრო ვრცელი თქმულებების მიხედვით შევაფასოთ უფრო მცირენი, რადგანაც ყველა თქმულება, ვრცელიც და მცირეც, ერთნაირ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს და ზემოქმედებითაც ერთნაირ ზემოქმედებას ახდენდეს სულზე; რას იტყვი, ასე არაა?

– დიახ, ასეა, მაგრამ არ მესმის, ვრცელ თქმულებებად მაინც რომელი თქმულებები იგულისხმება?

– თქმულებები, რომლებსაც ჰესიოდე, ჰომეროსი და სხვა პოეტები გადმოგვცემენ; რადგანაც სწორედ მათი მონაჩმახია ის ყალბი ლათაიები, რომლებიც, ვინ მოსთვლის, რამდენისთვის უამბნიათ და დღესაც უამბობენ.

– არა, მაინც რას აყვედრი მათ?

– რასაც უწინარეს ყოვლისა და უპირატესად აყვედრიან ხოლმე უკეთური სიცრუისა და სიყალბის მთხზველებს.

– როგორ?

– როცა უგვანი სიტყვით უარყოფითად წარმოგვიჩენენ ღმერთებს თუ გმირებს, ეს იგივეა, რომ მხატვარმა თავისი ნახატი ვერაფრით ვერ მიამგვანოს იმას, რისი დახატვაც სურდა.

– თუ ასეა, შენი ყვედრება გამართლებულია, მაგრამ რამდენად იმსახურებენ პოეტები ამას?

– ჯერ ერთი, თავისი უდიერებით უდიდესი სიცრუე შეთხზა და ცილი დასწამა დიად ღმერთებს, ვინაც მოჩმახა, თითქოს ურანოსს ჩაედინოს მთელი ის საშინელება, რასაც მას მიაწერს ჰესიოდე, კრონოსს კი შური ეძიოს მასზე. იგივე ითქმის კრონოსის სისასტიკესა და იმ საზარელ სანაცვლოზედაც, გადმოცემით, ზევსმა რომ მიაგო მას. ყოველივე ეს მართალიც რომ იყოს, ჩემის აზრით, მაინც არავისთვის უნდა მიგვეცა იმისი ნება, რომ ასე წინდაუხედავად ეამბნათ ამდენი უკუღმართობა ჯერ კიდევ უნდილი და უგუნური ბალღებისათვის. აჯობებდა კრინტიც არ დაგვეძრა ამაზე, ანდა, თუ იძულებულნი ვიქნებოდით, ვიღაცისთვის მაინც გაგვენდო ეს, რაც შეიძლება ნაკლები მსმენელი გვყოლოდა, ხოლო ამ მიზნით ღმერთებისათვის გოჭი

კი არა, უძვირფასესი და უიშვიათესი მსხვერპლი უნდა შეგვეწირა, რათა ორიოდე სანდო კაცის გარდა არავის მოესმინა ჩვენი სიტყვები.

– ეს თქმულებები მართლაც რომ საეჭვონი ჩანან.

– ამიტომაც ჩვენს სახელმწიფოში საერთოდ უნდა ავკრძალოთ ისინი, ადიმანტე. რად უნდა ჩავაგონოთ უმწიფარ მსმენელს, რომ შეიძლება საშინელი დანაშაულიც ჩაიდინოს, შეიძლება სასტიკად აწამოს თუნდაც უსამართლობის მოქმედი მამა, მაგრამ ამაში არაფერი იქნება უჩვეულო და არნახული, რაკიღა ისევე იქცევა, როგორც იქცევიან თვით უპირველესი და უდიდესი ღვთაებანი.

– ვფიცავ ზევსს, მეც მეჩვენება, რომ უმჯობესია კრინტიც არ დავძრათ ამაზე.

– და არც იმაზე, თუ როგორ ომობენ ღმერთები, მახეს უგებენ და ერკინებიან ერთმანეთს (ვაი სირცხვილო!), თუ გვინდა ჩვენს მომავალ მცველებს სათაკილოდ მიაჩნდეთ ის ამბავი, რომ შეიძლება ასე ადვილად წაეკიდონ ერთიმეორეს. რაც შეეხება გიგანტთა ბრძოლებსა თუ გაუთავებელ შუღლსა და მტრობას, ერთის მხრივ, უკვდავ ღმერთებს და გმირებს, ხოლო მეორეს მხრივ, მათ ნათესავებსა და ახლობლებს შორის, – სასტიკად უნდა ავუკრძალოთ ყველას მთელი ამ სისამაგლის აღწერა და თავიანთი აღწერილობის ზიზილ-პიპილებით შემკობა; პირიქით, თუ გვინდა ჩავაგონოთ მსმენელს, რომ ჩვენი თანამოქალაქენი, არასოდეს აშლიან ერთიმეორეს, და რომ ეს იქნებოდა ნამდვილი ღვთისმგმობლობა, – დედაბრებიც და ბერიკაცებიც ხშირ-ხშირად უნდა უამბობდნენ თავიანთ პატარა შვილიშვილებს წინაპრების სასახელო საქმეთა ამბავს, თუმცა არც დავაჟკაცებულთ აწყენდა ამის გამეორება, მაგრამ აქ საქმეში უნდა ჩავრთოთ პოეტები და ვაიძულოთ ისინი, ნაბიჯითაც არ გადასცდნენ ჩვენს მიერ მონიშნულ გზას. ხოლო როდესაც გადმოგვცემენ, თუ რანაირად გაკოჭა ჰერა მისმა ძემ, ან ზევსმა როგორ მოისროლა ოლიმპოდან ჰეფესტოსი, რომელსაც სურდა გამოსარჩლებოდა დედას და გაცოფებული მეუღლის მუშტებისგან დაეხსნა იგი, ან კიდევ რა გააფთრებით ებრძვიან ღმერთები ერთმანეთს ჰომეროსის წარმოსახვით, – ამას ნამდვილად ვერ მოვითმენთ ჩვენს მიერ დაარსებულ სახელმწიფოში, მთელი ეს მონაჩმახი წმინდა წყლის ალეგორიაც რომ იყოს. რანაირად გაარჩიოს უნდილმა ბალღმა, სადაა ალეგორია და სად არა? ამ ასაკში მიღებული შთაბეჭდილებანი კი უცვლელად და წარუშლელად აღიბეჭდებიან მის სულში. აი, რატომ ვანიჭებთ ესოდენ დიდ მნიშვნელობას იმას, რომ ყველა თქმულება, რომელსაც სულ პირველად ისმენენ ბავშვები, ხელს უწყობდეს მათ სულში სიქველის აღზრდას.

– შენი მსჯელობა საფუძველს მოკლებული როდია; – თქვა ადიმანტემ, – მაგრამ ვინმეს რომ ეკითხა ჩვენთვის, მაინც რომელი თქმულებები იგულისხმებაო, რას მივუგებდით პასუხად?

– ეჰ, ჩემო ადიმანტე, – ვუთხარი მე, – ჩვენ ახლა პოეტები კი არა ვართ, არამედ სახელმწიფოს დამფუძნებლები; თქმულებების თხზვა კი ფუძემდებელთა საქმე როდია: მათთვის სავსებით საკმარისია იმისი ცოდნა, თუ რანაირ ნიმუშთა მიხედვით უნდა თხზავდნენ პოეტები თავიანთ თქმულებებს, რათა ამ ნიმუშთა დამახინჯების საშუალება არ მისცენ მათ.

– მართალს ბრძანებ, – თქვა ადიმანტემ, – მაგრამ მაინც რა ნიმუშებს უნდა მივსდევდეთ ღმერთებზე მსჯელობისას?

– თუნდაც ამას: რანაირიცაა ღმერთი, იმნაირადვე უნდა იქნეს გამოყვანილი პოეზიის ნებისმიერ სახეობაში, სულერთია, ეპიური პოეზია იქნება ეს, ლირიკული თუ ტრაგიკული.

– ალბათ.

– კი მაგრამ, განა ღმერთი კეთილი არაა თავისთავად, და განა ასევე არ უნდა იქნეს წარმოდგენილი?

– რა თქმა უნდა.

– სიკეთე კი არ შეიძლება მავნე იყოს; ასეა, არა?

– ცხადია.

– ხოლო ის, რაც მავნე არ არის, შეუძლებელია ვინმეს ვნებდეს.

– რასაკვირველია.

– მაგრამ ის, რაც არავის ვნებს, რანაირად შეიძლება რაიმე ბოროტებას სჩადიოდეს?

– არასდიდებით არ შეიძლება.

– ხოლო ის, რაც არავითარ ბოროტებას არ სჩადის, შეუძლებელია რაიმე ბოროტების მიზეზი იყოს.

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, სიკეთე სასარგებლოა?

– დიახ.

– ესე იგი, კეთილი საქმის მიზეზიც?

– დიახ.

– ასე რომ, ყველაფრის მიზეზი კი არ არის, არამედ მხოლოდ კეთილი საქმისა, და არა ბოროტის.

– ჭეშმარიტად.

– მაშასადამე, რაკიღა ღმერთი კეთილია, ის ყველაფრის მიზეზი კი არ არის, როგორც ჰგონია ბევრ ჩვენგანს, არამედ მხოლოდ მცირედის მიზეზია კაცთათვის, მრავალი რამის მიზეზად კი ვერ ვიტყვით მას: აკი ჩვენს ცხოვრებაში კარგი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ცუდი. სიკეთის მიზეზად მხოლოდ ღმერთი თუ შეიძლება მიგვაჩნდეს, ბოროტებას კი სხვა მიზეზი უნდა გამოვუძებნოთ.

– ჩემის აზრით, ცამდე მართალი ხარ.

– ასე რომ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვერც ჰომეროსისა და ვერც რომელიმე სხვა პოეტის მცდარ წარმოდგენას ღმერთებზე, როგორც, მაგალითად, აი, ამნაირ უაზრობას:

«ორი ვეება თიხის ხალამი დაუდგამთ ზევსის სასახლის ზღურბლზე,
სვესვიანობით სავსეა ერთი, ხოლო მეორე – სვედავსილობით,»
და ვისაც ზევსი ორივეს ნაზავს სთავაზობს,
«მის სიცოცხლეში რიგრიგობით ენაცვლებიან
ერთიმეორეს სიხარული და მწუხარება.»

ანდა ამაზე რაღას იტყვით? –

«ზევსია, მოკვდავთ რომ უნაწილებს სიკეთესაც და ბოროტებასაც»

ვერც იმას მოვუწონებთ საქციელს, ვინც ამტკიცებს, რომ პანდაროსს ათენამ და ზევსმა გაატეხინეს ფიცი და დაარღვევინეს საზავო ხელშეკრულება. იგივე ითქმის ზევსისა და თემიდას მიერ გამოწვეულ ღმერთების შუღლსა და მათ ბრძოლებზედაც. ვერც იმის ნებას დავრთავთ ვინმეს, რომ ჭაბუკ მსმენელებს გააცნონ ესქილეს ლექსი:

«ღმერთი მიზეზს არ დაულევს მოკდავთ,
როცა სურს მოსრას, მოაოხროს ვისიმე სახლი».

თუ რომელიმე ნაწარმოებში გამოერევა ამნაირი იამბიკური ლექსები, სადაც აღწერილი იქნება ნიობესა თუ პელიპიდების ტანჯვა-ვაება, ტროას ომის ამბები და სხვა მისთანანი, პოეტმა ვერ უნდა გაბედოს იმისი თქმა, რომ მთელი ეს უბედურება ღმერთმა მოუვლინა მის გმირებს, ანდა, თუ მაინც გაბედავს, დაახლოებით იგივე

აზრი უნდა გამოუძებნოს ყოველივე ამას, რასაც ჩვენ ამჟამად ვიკვლევთ; გამოუძებნოს და გვაუწყოს, რომ ღმერთი მხოლოდ სიმართლისა და სიკეთის მოქმედია, ხოლო სასჯელი, ამ ადამიანებს რომ დაატყდა თავზე, თვით მათთვისვეა სასარგებლო. მაგრამ არავის უნდა ჰქონდს იმის თქმის ნება, რომ ღვთის მიერ დასჯილი მოკვდავნი უბედურები არიან, და სწორედ ღმერთია მათი უბედურების მიზეზი. ხოლო თუ პოეტი, პირიქით, იტყვის, რომ ბოროტმოქმედნი უბედურები არიან და ამიტომ სასჯელი საჭიროა მათთვის, რადგანაც უბედურებას უმსუბუქებთ და ამის გამო ლამის ღვთის წყალობად ევლინებათ, – ეს შეიძლება დასაშვებად მიგვაჩნდეს. მაგრამ როდესაც ამტკიცებენ, რომ ღმერთი, რომელიც კეთილია თავისი არსით, ვიღაცისათვის შეიძლება ბოროტების მიზეზი იყოს, ამას ყოველნაირად უნდა აღვუდგეთ წინ, რათა არავის წამოსცდეს და არცერთი მოქალაქის – არც ყმაწვილი კაცისა და არც მოწიფულის ყურს არ მისწვდეს ეს ღვთისმგმობლობა, სულერთია, გინდ პოეტური სიტყვით იყოს გადმოცემული და გინდ პროზაულით, თუკი გულწრფელად ვესწრაფით ჩვენს მიერ დაარსებულ სახელმწიფოში კანონიერების სუფევას, რადგანაც ამნაირი მტკიცება მკრეხელურია, მოქალაქეთათვის აშკარად მავნე და შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი.

– შენთან ერთად ხმას ვაძლევ ამ კანონს: ძალიან მომწონს.

– ეს იქნება პირველი კანონი, რომელიც ეძღვნება ღმერთებს, და პირველი ნიმუში, რომლის თანახმადაც პოეზიაშიც და სიტყვიერების ყველა სხვა დარგშიაც უნდა ვამტკიცოთ, რომ ღმერთი ყველაფრის მიზეზი კი არ არის, არამედ მხოლოდ სიკეთისა.

– სავსებით საკმარისია.

– მაშინ გადავიდეთ მეორე კანონზე. როგორ გგონია, ნუთუ ღმერთი ჯადოქარია და, თითქოს განზრახ, ხან ერთი სახით გვევლინება და ხან მეორით: ზოგჯერ თვითონვე იცვლება და თავისი საკუთარი იერის ნაცვლად ურიცხვ სხვადასხვა სახეს იღებს, ზოგჯერ კი გვაცთუნებს და გვაიძულებს ხან რად წარმოვიდგინოთ და ხან რად? თუ ღმერთი რაღაც მარტივია და ყველაზე ნაკლებ შესწევს იმის უნარი, რომ თავისი საკუთარი რაობიდან გამოვიდეს?

– ასე სახელდახელოდ გამიჭირდება მაგ კითხვაზე პასუხი გაგცე.

– მაგრამ იქნებ ამაზე მაინც მიპასუხო: როცა რაიმე თავისი საკუთარი რაობიდან გამოდის, აუცილებელია თუ არა, რომ ან თავისით იცვლებოდეს, ან რაღაცის ზემოქმედებით?

– დიახ, უცილებელია.

– მაგრამ ის, რაც ყველაზე სრულყოფილია, ყველაზე ნაკლებ განიცდის ცვალებადობას სხვა რამის ზეგავლენით. ასე მაგალითად, განა ჯანსაღი და ძლიერი სხეული ყველაზე ნაკლებ არ იცვლება სმა-ჭამისა თუ გარჯის შედეგად? ან ნებისმიერი მცენარე – მზის სითბოს, ქარისა თუ სხვა მისთანათა ზემოქმედებით?

– რა თქმა უნდა.

– მერედა, განა მტკიცე და გონიერებით მოსილი სულიც ყველაზე ნაკლებ არ იცვლება და იმღვრევა გარეშე საგანთა ზემოქმედებით?

– დიახ.

– იმავე მიზეზის ძალით, ყველა რთულ საგანსაც – დგამ-ავეჯს, ნაგებობას ანდა ტანსაცმელს, თუკი ის კარგი ნახელავია და სათანადოდ მოვლილი, – ყველაზე ნაკლებ ცვლის დროისა და სხვათა და სხვათა ზემოქმედება.

– სწორია.

– კი მაგრამ, განა ღმერთი, ისევე, როგორც ყოველივე ღვთაებრივი თუ ღვთაებისეული, ყოველმხრივ სრულქმნილი არ არის?

– რა თქმა უნდა.

– ამიტომ ღმერთი ყველაზე ნაკლებ უნდა იღებდეს სხვადასხვა სახეს.

– ჭეშმარიტად.

– თუკი თვითონვე არ იცვლება და გარდაიქმნება.

– რა თქმა უნდა, თუკი საერთოდ იცვლება.

– მერედა, რად გარდაიქმნება: იმად, რაც უფრო უკეთესია და მშვენიერი, თუ იმად, რაც უარესია და მახინჯი?

– რასაკვირველია, იმად, რაც უარესია, თუკი ის საერთოდ გარდაიქმნება. მართლაცდა, ხომ ვერ ვიტყვით, თითქოს ღმერთს მშვენიერება ან სიკეთე აკლდეს?

– ცამდე მართალი ხარ, – ვუთხარი მე, – და რაკი ასეა, როგორ გგონია, ადიმანტე, გინდ ღმერთი და გინდ კაცი თავისი ნებით შეიცვლიდა თავს და, ამა თუ იმ თვალსაზრისით, უფრო უარესი გახდებოდა, ვიდრე თვითონაა სინამდვილეში?

– შეუძლებელია, – თქვა ადიმანტემ.

– მაშასადამე, შეუძლებელია ისიც, რომ ღმერთს თავისი თავის შეცვლა სურდეს. ყოველი ღმერთი, უმშვენიერესი და უსრულქმნილესი, ყოველთვის მარტივია და თავისი საკუთარი სახით არსებობს.

– მე მგონია, ეგ უდავოა და უცილობელი.

– მაშ, დაე, ნურცერთი პოეტი ნუ გაბედავს იმის თქმას თითქოს

«ღმერთები ხშირად უცხო კაცთა სახეს იღებენ,

და ამნაირად ფერნაცვალებნი

დაწანწალებენ კარითი-კარად.»

ნურც ნურავინ მოგვახვევს თავს ათასნაირ სისულელეს პროტევსისა თუ თეტიდას თაობაზე; ნურც ტრაგედიებსა თუ სხვა ქმნილებებში გამოიყვანენ ქურუმ ქალად გარდაქმნილ ჰერას, მოწყალებას რომ თხოულობს

«ინახოსის, არგოსელთა დიდი მდინარის,

კეთილმოწყალე შვილებისათვის.»

და საერთოდაც, მოეშვან ამ აბდაუბდას. თავიანთი მხრივ, აღარც დედები უნდა ენდონ ამნაირ თქმულებათა მთხზველებს და აღარ დააშინონ შვილები მათი უკეთური გამონაგონით, თითქოს ღმერთები უცხოელთა სახეს იღებდნენ და ათასნაირად იერშეცვლილნი ღამღამობით დაწანწალებდნენ კარდაკარ, – რათა ღვთისმგმობლობაც აიცილონ თავიდან და თავიანთი პატარებიც დაიხსნან შიშისაგან.

– მართალს ბრძანებ.

– ამრიგად, ღმერთები არ იცვლებიან, მაგრამ, იქნებ, ჯადოქრობით თუ თვალთმაქცობით გვაცთუნებენ და იმნაირ წარმოდგენას გვიქმნიან, თითქოს სხვადასხვა სახით გვევლინებოდნენ?

– შესაძლოა.

– კი მაგრამ, – ვუთხარი მე, – განა ღმერთი ინებებს სიტყვით თუ საქმით იცრუოს და აჩრდილად წარმოგვიჩინოს თავი?

– რა მოგახსენო.

– ნუთუ არ იცი, რომ ნამდვილი სიცრუე, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანაბრად საძულველია ღმერთთა და კაცთათვისაც?

– როგორ?

– როგორ და ისე, რომ არავინ ნებაყოფლობით არ ისურვებს სიცრუის თქმას იმის თაობაზე, რაც ყველაზე არსებითია თვით მასში და არანაკლებ არსებითია საერთოდაც, რადგანაც არაფერი ისე არ აშინებს კაცს, როგორც ამნაირი სიცრუე.

– რა ვქნა, არ მესმის.

– შენ გგონია, რაღაც უჩვეულოს ვამტკიცებ? არა, მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ყველაზე ძნელი ასატანია გაცრუებული დარჩე საგანთა არსში წვდომისას, თავიდან ვერ აიცილო უმეცრება და სიყალბე; ამ მხრივ, სიცრუეზე უფრო საძულველი მართლაც რომ არა არის რა.

– რა თქმა უნდა.

– ჰოდა, ჩემს წეღანდელ გამოთქმას რომ მივუბრუნდეთ, სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ნამდვილი სიცრუე სხვა არა არის რა, თუ არა შემცდარი კაცის სულში ღრმად ფესვგადგმული უმეცრება, რადგანაც სიტყვით გამოხატული სიცრუე მხოლოდ მის ერთგვარ მიბაძვად, მის ანარეკლად გვევლინება, ეს კი აღარ იქნება წმინდა და შეურევნელი სიცრუე; ასეა, არა?

– რასაკვირველია.

– ნამდვილი სიცრუე საძულველია არა მარტო ღმერთებისათვის, არამედ კაცთათვისაც.

– მეც ეგრე მგონია.

– კი მაგრამ, სიტყვიერი სიცრუე ხანდახან მაინც თუა სასარგებლო, როცა მას საძულველად ვეღარ მივიჩნევთ? ასე მაგალითად, ჩვენს მტრებსა თუ ეგრეთწოდებულ მეგობრებს სიშმაგემ ან სიშლეგემ რომ დარიოს ხელი და რაღაც საშინელების ჩადენა დააპირონ, განა სიცრუე სასარგებლო არ იქნება, თუკი მისი წყალობით შეიძლება ლაგამი ამოვდოთ მათ მძვინვარებას და ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის საშუალება არ მივცეთ? ანდა ავიღოთ თუნდაც ის თქმულებები, რომლებზედაც წეღან ვლაპარაკობდით: განა აქაც სიცრუეს სასარგებლოდ არ ვაქცევთ, როცა ვცდილობთ შეძლებისდაგვარად მივუახლოვოთ და მივამგვანოთ იგი სიმართლეს, რაკიღა არ ვიცით, რანაირი იყო საქმის ვითარება უხსოვარ დროში?

– მართალს ბრძანებ.

– მერედა, ამ თვალსაზრისით, მაინც როდის შეიძლება სიცრუე სასარგებლო იყოს ღმერთისთვის? იქნებ წარსულის ამბები არ იცის და ამიტომაც ცდილობს სიმართლეს მიამგვანოს სიცრუე?

– სასაცილო იქნებოდა, ეგრე გვეფიქრა.

– მაშასადამე, ღმერთისთვის უცხოა ცრუ პოეტი.

– რა თქმა უნდა.

– იქნებ, ღმერთს მტრების ეშინია და ეს აიძულებს იცრუოს?

– შეუძლებელია.

– ან, იქნებ, ღვთისმოყვარეთა სიშმაგე და სიშლეგეა ამის მიზეზი?

– შმაგთა და შლეგთა შორის არ არიან ღვთისმოყვარენი.

– მაშასადამე, არ არსებობს არავითარი მიზეზი, რაც ღმერთს აიძულებდა ეცრუა.

– არავითარი.

– ესე იგი, ნებისმიერი დემონიური თუ ღვთაებრივი ბუნებისათვის სრულიად უცხოა სიცრუე.

– დიახ, სრულიად უცხოა.

– ასე რომ, ღმერთი რაღაც მარტივია და მართალი, როგორც სიტყვით, ისე საქმითაც; არც თვითონ იცვლება და არც სხვებს აცთუნებს სიცრუით, არც სიტყვებით და არც მოჩვენებებით, არც ცხადში და არც სიზმარში.

– შენ რომ გისმენ მეც ეგრე მგონია.

– მაშასადამე, შენ აღიარებ, რომ მსჯელობასაც და პოეტურ შემოქმედებასაც, რომელთა საგანიც ღმერთია, სწორედ ეს მეორე ნიმუში უნდა ედოს საფუძვლად: ღმერთები თვალთმაქცნი ან ჯადოქრები როდი არიან, რომ სახე იცვალონ და სიტყვით თუ საქმით გვაცთუნონ.

– დიახ, ვაღიარებ.

– ასე რომ, შეიძლება უთვალავი ღირსების გამო ქებას ვასხამდეთ ჰომეროსს, მაგრამ ვერ მოვუწონებთ იმ სიზმარეულ ჩვენებას, ზევსმა რომ მოუვლინა აგამემნონს; ვერც ესქილეს ჩავუთვლით მიღწევად იმ ადგილს, სადაც თეტიდა ამბობს, თვით აპოლონი მღეროდა ჩემს ქორწილშიო:

«და აღმითქვამდა, ბედნიერი დედობა გელის,
შენს ნაშიერთ კი – სიჯანსაღე და დღეგრძელობა,
ო, გიხაროდეს, გმფარველობენ თვითონ ღმერთები!
ასე მღეროდა, და სიამით მიძგერდა გული,
რადგანაც მწამდა, რომ სიცრუე არ დასცდებოდა
ღვთაების ბაგეს, მაგრამ ვაი რომ ვინც აღმითქვა
ეს ნეტარება, მუხანათი თვითონვე გახდა
ჩემი ძის მკვლელი...^»

ვინც ამას იტყვის ღმერთებზე, ჩვენს აღშფოთებას გამოიწვევს; ამიტომ არც ქოროს მივცემთ მას და არც იმის ნებას დავრთავთ აღმზრდელებს, რომ ახალგაზრდობის აღზრდისას ამნაირ ქმნილებებს იყენებდნენ, რადგანაც ჩვენი მცველები ისეთი ღვთისმოსავნი და ღვთისდარნი უნდა იყვნენ, როგორიც საერთოდ შეიძლება იყოს ადამიანი.

– სავსებით ვეთანხმები ამ წესებს და მზადა ვარ კანონებად ვაღიარო ისინი.

წიგნი მესამე

– აი, როგორ წარმოგვიდგება საქმე ღმერთებთან მიმართებით: – ვთქვი მე, – ჩვენ უკვე ვიცით, თუ სიყრმითგანვე რას შეიძლება უსმენდნენ და რას არ უნდა უსმენდნენ ისინი, ვისი ვალიცაა თაყვანს სცემდნენ ღმერთებს, პატივს მიაგებდნენ მშობლებს და არ ამცირებდნენ მეგობრობას ადამიანთა შორის.

– ეს, მე მგონია, – თქვა ადიმანტემ, – სავსებით სწორი თვალსაზრისია.

– მერედა, თუ გვინდა, რომ ისინი მხნენი და მამაცნი იყვნენ, განა ყოველივე ისიც არ უნდა გავაცნოთ მათ, რაც ამ ჩვენს მომავალ მცველებს სიკვდილის შიშისაგან დაიხსნის? ან იქნებ, შენი აზრით, შეიძლება მამაცი იყოს ის, ვის გულშიაც ამნაირი შიში ბუდობს?

– არა, ვფიცავ ზევსს, არ შეიძლება.

– მაგრამ ვისაც სწამს, რომ ჰადესი ათასნაირი საშინელების საუფლოა, განა მისთვის იმდენად უცხო იქნება სიკვდილის შიში, რომ ბრძოლის ველზე სახელოვან სიკვდილს ამჯობინებს დამარცხებას და მონობას?

– არამც და არამც.

– მაშასადამე, ჩვენ გვმართებს მკაცრად ვადევნოთ თვალი ამნაირ თქმულებათა მთხზველებსაც, რათა ისინი ხელაღებით კი არ ჰგმობდნენ ჰადესის მთელ საუფლოს, არამედ აქებდნენ მას, მით უმეტეს, რომ მათი გმობა არა მარტო მკრეხელურია, არამედ მავნეც მომავალი მეომრებისთვის.

– დიახ, ესეც ჩვენი ვალია:

– მაშ, პირწმინდად ამოვშალოთ მათი ქმნილებებიდან, აი, ამნაირი ლექსები:

«ათასწილ მიჯობს, ცოცხალი ვიყო და ვმსახურებდე თუნდ დღიურ მუშად
კაცს ღარიბ-ღატაკს, ვიდრე ჰადესში მწუხარე ლანდთა მბძანებლად მთვლიდნენ.!

ანდა ესენი:

«შეკრთა, შეძრწუნდა, ვაითუ მოკვდავთ და მათთან ერთად უკვდავთაც ღიად
დაიგულონო ბჭე შავეთისა, თვით ღმერთებისთვის თავზარდამცემი.»

ან კიდევ:

«ჰოი, ღმერთებო, ნამდვილად რჩება ჰადესში ჩვენი სული და ლანდი,
მაგრამ უგონო და უსხეულო, უგრძნობელი და ცნობამიხდილი.»

ანდა:

«მხოლოდ ერთადერთს შერჩა გონება ამ
ცნობამიხდილ აჩრდილთა შორის.»

აი, ესენიც:

«მწარე ქვითინით მიფრინავს ჰადესს სხეულს გაყრილი საბრალო სული,
დასტირის თავის უბედურ სვესა და
სამუდამოდ ამ ქვეყნად შთენილ
სიმტკიცეს, სიმხნეს და სიჭაბუკეს^»

და ესენიც მათ მივაყოლოთ:

«როგორც პირქუში მღვიმის სიღრმეში
გიშრისფერ აცმად დაკიდებული
ღამურების გუნდს გულშემზარავი წრიპინით წყდება ერთი მათგანი
და დაფეთებულს ფრთხიალ-ფრთხიალით თან მიჰყვებიან დანარჩენები,
ასე იხუვლეს სულებმაც მაშინ და მიაშურეს წივილით ჰადესს.»

ჩვენ ბოდიშს ვიხდით ჰომეროსისა და სხვა პოეტების წინაშე და ვთხოვთ, ნუ შეგვრისხავენ, თუ ამოვშლით, აი, ამათ და სხვა მათნაირ ლექსებს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ არაპოეტურნი არიან, ან უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ მრავალ მსმენელზე, არამედ პირიქით: რაც უფრო პოეტურნი არიან, მით უფრო ნაკლებად მართებთ მათი სმენა ბავშვებსაც და მოზრდილებსაც, რაკიღა ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს და სიკვდილზე უფრო უფრთხოდეს მონობას.

– ცამდე მართალი ბრძანდები.

– ეგეც არ იყოს, უნდა უარვყოთ ჰადესთან დაკავშირებული ყველა საშინელი და საზარელი სახელი, როგორც მაგალითად, «კოკიტოსი», «სტიქსი», «დამიწებულნი», «შავეთი» და სხვა მისთანანი, რომელთა ხსენებაზეც მსმენელს შიშის ჟრუანტელი უვლის ტანში. შესაძლოა მათი ხმარება გამართლებულიც იყოს სხვა თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენ გვაშინებს ჩვენივე მცველების ბედი: ვაითუ ამდენმა ჟრჟოლამ თუ თრთოლამ მეტისმეტად გაასათუთოს და ზედმეტად მგრძნობიარენი გახადოს ისინი.

– ჩვენი შიში საფუძველს მოკლებული როდია.

– მაშასადამე, ყოველივე ეს უნდა უარვყოთ?

– დიახ.

– და სულ სხვა სიტყვებითა თუ პოეტური ქმნილებებით შევცვალოთ ისინი?

– ცხადია.

– ესე იგი, პოეზიიდან ჩვენ გამოვრიცხავთ სახელოვან ვაჟკაცთა მწარე გმინვასა თუ საწყალობელ მოთქმა-გოდებას?

– აუცილებლად, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რაც ზემოთ ითქვა.

– მაშ, დაუკვირდი, მართებულად ვიქცევით თუ არა, ყოველივე ამას რომ გამოვრიცხავთ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ბრძენკაცი საშინელებად არ მიიჩნევს მეორე ბრძენკაცის სიკვდილს, ეს უკანასკნელი მისი მეგობარიც რომ იყოს.

– დიახ, ვამტკიცებთ.

– მაშასადამე, ის არ მოჰყვება გოდებას, ეს რა საშინელება მოხდაო.

– რასაკვირველია, არ მოჰყვება.

– მაგრამ ჩვენ იმასაც ვამტკიცებთ, რომ ამნაირი კაცი, რომელიც ღირსეული ცხოვრებით ცხოვრობს, ყველაზე მეტად თვითმკმარია და დანარჩენებისაგან განსხვავებით ნაკლებად სჭირდება ვინმე.

– ჭეშმარიტად.

– მაშასადამე, მისთვის სულაც არაა საშიში ვაჟის, ძმის, ახლობლების, ავლადიდებისა თუ სხვა მისთანათა დაკარგვა.

– არა, ღმერთმანი.

– ესე იგი, ის არ მოჰყვება მოთქმა-გოდებას და შესაშური თვინიერებით შეეგებება თავს დატეხილ უბედურებას?

– დიახ.

– მაშასადამე, მართებულად მოვიქცეოდით, თუ გამოვრიცხავდით ყველა იმ ადგილს, სადაც სახელგანთქმული გმირები მდუღარე ცრემლებს აფრქვევენ, რათა ქალებისათვის, თანაც, ყველაზე უმწეო ქალებისა თუ უნიათო კაცებისთვის მიგვენებებინა მოთქმა-გოდება, და ამნაირი ქცევის მიმართ ზიზღი აღგვეძრა მათთვის, ვისაც, როგორც მოგახსენე, ქვეყნის მცველებად უნდა ვზრდიდეთ.

– მართალს ბრძანებ.

– კვლავ უნდა ვთხოვოთ ჰომეროსსა და სხვა პოეტებს, ნუ წარმოგვიდგენენ აქილევსს იმ სახით, რაც არ შეჰფერის ქალღმერთის ძეს:

«ხან მხარ-თეძოზე წევს მგლოვიარე, ხან პირქვე გდია, ხანაც გულაღმა,
წამოიჭრება მერე სარეცლით და მიაშურებს ზღვის სანაპიროს.»

ანდა:

«ხელით მოხვეტა გულჯავრიანმა ფერფლი და თავზე გადაიყარა.»

ნურც სხვაგან დრტვინავს, მოთქვამს და გოდებს, როგორც გვაუწყებს ჰომეროსი; ნურც ღვთისდარ პრიამოსზე გვეუბნებიან, თითქოს ის

«მტვერში გორავდა და სახელდებით ევედრებოდა თვითეულ ვაჟკაცს.»

კიდევ უფრო დიდი სათხოვარი გვაქვს ჰომეროსის მიმართ: ნუ გვიხატავს მოტირალსა და მოზარე ღმერთებს:

«ვაიმე ბედკრულს, ვაი სვედავსილს, უებრო გმირის უბედურ დედას!»

თუ საერთოდ დაუშვებელია ასეთნაირად დაგვიხატონ ღმერთები, მაშინ რა თავხედობაა საჭირო, რათა იმ სახით წარმოგვიჩინონ უკვდავთა შორის უდიადესი, რომ ვეღარც კი იცნო, და, აი, ეს სიტყვები ათქმევინო:

«ვაიმე, ვხედავ, როგორ გაურბის ქალაქის ბჭესთან მტერს უძლეველი
გმირი, ვინც ასე ძლიერ მიყვარდა, და მწუხარებით მევსება გული.»

ანდა:

«ვაიმე, ვხედავ მოკვდავთა შორის ჩემთვის ყველაზე ძვირფას სარპედონს,
მოირების მსხვერპლს და სასიკვდილოდ განწირულს უკვე პატროკლეს ხელით».

თუ ჩვენი ჭაბუკები, ჩემო ძვირფასო ადიმანტე, სარწმუნოდ მიიჩნევენ ამნაირ ლათაიებს, ნაცვლად იმისა, რომ სასაცილოდაც არ ეყოთ ისინი, როგორც ღმერთებისთვის ყოვლად უღირსნი, მაშინ ნებისმიერ მათგანს, რაკიღა ის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია, გაუჭირდება თავისთვის უღირსად მიიჩნიოს ასეთივე

სიტყვა თუ საქმე, რაც შეიძლება წამოსცდეს ან ჩაიდინოს; პირიქით, თუკი ოდნავი საბაბი მაინც მიეცა, ყოველგვარი სირცხვილის გარეშე მოჰყვება მოთქმა-გოდებას.

– ცამდე მართალი ბრძანდები.

– მაგრამ ეს დაუშვებელია რაშიც თვალნათლივ დაგვარწმუნა ჩვენმა მსჯელობამ, რომელსაც უნდა ვეყრდნობოდეთ, ვიდრე უფრო სარწმუნო საბუთებს არ წარმოგვიდგენენ.

– გეთანხმები.

– თუმცა არც ის ივარგებს, რომ ჩვენი მცველები ყველაფერზე იცინოდნენ, რადგანაც წრეგადასულ სიცილ-ხარხარს მალე სრულიად საპირისპირო განწყობილება ცვლის.

– მეც ეგრე მგონია.

– ესე იგი, დაუშვებელია, რომ სიცილი თავს ავიწყებინებდეს ღირსეულ ადამიანებს და, მით უმეტეს, ღმერთებს.

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, ისიც დაუშვებლად უნდა მიგვაჩნდეს, რასაც ჰომეროსი ამბობს ღმერთებზე:

«ენით უთქმელი სიცილ-ხარხარი აუტყდათ ღმერთებს, როს ჰეფესტოსმა
ჩლახუნ-ჩლახუნით ჩამოატარა დარბაზში თასი, სავსე ნექტარით.»

რას იტყვი, დაუშვებელია თუ არა ეს?

– თუ ჩემი აზრის გაგება გსურს, ვერასდიდებით ვერ დავუშვებთ ამას.

– მაგრამ ყველაფერზე მაღლა უნდა ვაყენებდეთ ჭეშმარიტებას. თუ მართალნი ვიყავით, როცა აღვნიშნე, რომ ღმერთებისათვის ფუჭი და ურგებია სიცრუე, ადამიანებისათვის კი ხანდახან მაინც სასარგებლოა, როგორც სამკურნალო საშუალება, ცხადია, რომ ეს საშუალება მკურნალთა ხელში უნდა იყოს, უვიცნი კი ახლოსაც არ ეკარებოდნენ მას.

– დიახ.

– სხვისა რა მოგახსენო, მაგრამ ქვეყნის მმართველს კი უფლება აქვს იცრუოს, რათა თვალი აუხვიოს მტრებსაც და თავის ქვეშევრდომებსაც, თუკი სახელმწიფოს კეთილდღეობა მოითხოვს ამას, დანარჩენებს კი სასტიკად ეკრძალებათ ეს. ხოლო თუ კერძო პირი ცრუობს მმართველის წინაშე, ისეთსავე, ან უფრო მძიმე დანაშაულადაც ჩავუთვლით ამას, როგორც ავადმყოფს – ექიმის, ან მოვარჯიშეს მისივე მწვრთნელის წინაშე სიცრუის თქმას, მწვრთნელისა, რომელსაც იგი თავისი ჯანმრთელობის ამბავს უმალავს, და არანაკლებ სცოდავს მენიჩბეც, რომელიც მესაჭეს არ მოახსენებს, რა დღეშია ხომალდი, ან დანარჩენი მენიჩბეები.

– მართალს ბრძანებ.

– ამრიგად, თუ მმართველი სიცრუეში ამხილებს რომელიმე მოქალაქეს

«გინდ გრძნეულ მისანს, გინდაც ექიმს, გინდ ხუროთმოძღვარს,»

უთუოდ უნდა დასაჯოს მხილებული, რომელიც ამკვიდრებს მავნე ჩვეულებას, რასაც შეუძლია ისე ააყირაოს სახელმწიფო, როგორც გრიგალმა – ხომალდი.

– მით უმეტეს, თუ სიტყვას საქმე მოსდევს.

– და მერე, განა თავდაჭერილობაც ასევე აუცილებელი არ იქნება ჩვენი ჭაბუკებისათვის?

– რა თქმა უნდა.

– თავდაჭერილობა კი უმრავლესობისათვის ისაა, რომ არა მარტო ემორჩილებოდნენ მბრძანებლებს, არამედ თვითონვე იყვნენ ამქვეყნიურ სიამეთა – სმა-ჭამის, სასიყვარულო განცხრომისა და სხვა მისთანათა მბრძანებელნი.

– მეც ეგრე მგონია.

– ასე რომ, ალბათ, მოსაწონად მივიჩნევთ იმას, რასაც ჰომეროსი ათქმევინებს დიომედესს:

«ჩუმად იყავი, კაპანევსის ძევ, და ყურად იღე ჩემი თათბირი,»

და, მე მგონია, ამ სიტყვებსაც:

«მხნედ მოდიოდნენ აქაიელნი, სდუმდნენ
თავიანთ ბელადთა რიდით,»

ისევე, როგორც ყველა ამნაირ ადგილს.

– კეთილი და პატიოსანი.

– მაგრამ ამაზე რაღას იტყვი?–

«ეჰეი, ღვინით გალეშილო, ძაღლის თვალი გაქვს, გული კი – ირმის.»

ან ამის მომდევნო ლექსი მაინც თუა მოსაწონი? და საერთოდაც, რა საკადრისია, როცა ხელქვეითი აუგად იხსენიებს მბრძანებელს გინდ პროზაული და გინდ პოეტური სიტყვით?

– მართლაცდა, რა საკადრისია.

– მე მგონია, ყოველივე ეს სულაც არ უწყობს ხელს ჭაბუკის სულში თავდაჭერილობის განვითარებას. თუმცა ამნაირი ლათაიები შეიძლება სასიამოვნო მოსასმენიც იყოს, და ამაში არა არის რა გასაკვირველი; ასეა, არა?

– დიახ, ასეა.

– მერედა, როცა პოეტი კაცთა შორის ყველაზე ბრძენს ათქმევინებს, რომ, მისი აზრით, ვერაფერი შეედრება

«პურ-ღვინით სავსე და ხორცეულით გულის სალხენად გაწყობილ სუფრას,
მწდე კრატერიდან მჩქეფარე ღვინით რომ ალიცლიცებს წვეულთა თასებს,»

განა ეს, შენის აზრით, თავდაჭერილობას ასწავლის ჭაბუკს? ანდა, აი, ეს:

«მაგრამ შიმშილით სიკვდილი ჩვენთვის
ყველაზე უფრო საშინელია,»

ან კიდევ ზევსის წარმოჩენა ისეთნაირად, თითქოს როცა დანარჩენ ღმერთებსა და ადამიანებსაც ეძინათ, მხოლოდ ის ერთი ფხიზლობდა, მაგრამ ვნებაატანილს ერთბაშად გადაავიწყდა ყველაფერი, რაც განეზრახა: ჰერას დანახვისას ისეთი ძალით შემოეგზნო ტრფობის სახმილი, რომ შინ შესვლაც აღარ ინება, არამედ მოიწადინა იქვე, მიწაზე გაეგორებინა და ძალით დაუფლებოდა მეუღლეს; როგორც თვითონვე აღიარა, ვნების ალმა უფრო ძალუმად იფეთქა მასში, ვიდრე მათი პირველი შეხვედრისას, რაც «საყვარელი მშობლებისგან მალულად» მოხდა. ზუსტად ამავე მიზეზის გამო არესი და აფროდიტე ერთად შეკოჭა ჰეფესტოსმა.

– ვფიცავ ზევსს, – თქვა ადიმანტემ, – ყოველივე ეს უხამსობა მგონია.

– მაგრამ როდესაც გადმოგვცემენ ქედუხრელ და უდრეკ გმირთა სიტყვას თუ საქმეს, ამას ყოველთვის სიამოვნებით უნდა ვკითხულობდეთ და ვისმენდეთ კიდეც; სანიმუშოდ ესეცა კმარა:

«მკერდს მჯიღი იკრა და გულს ასე უთხრა ბორგნეულს:
დამშვიდდი, გულო, უარესიც დაგითმენია.»

– მართალს ბრძანებ.

– ვერც იმის ნებას მივცემთ ჩვენს მომავალ მცველებს, რომ მექრთამენი და ანგარების მოყვარენი გამოვიდნენ.

– ვერა, ვერ მივცემთ.

– და ვერც პოეტებს – იმის უფლებას, რომ მათ წინაშე მღეროდნენ:

«თავს მოუქონავ სუყველას ქრთამით – თვით ღმერთებსაც და დიდ მეფეებსაც.»

ვერ მოვუწონებთ საქციელს აქილევსის გამზრდელს – ფენიქსს, შემპარავი სიტყვით რომ ურჩევდა შეგირდს, მიეღო ძღვენი და მიშველებოდა ქაიელებს, ხოლო თუ ძღვენს არ მიართმევდნენ, არ დაეცხრო გულში შმაგად მბორგავი რისხვა. ვერც იმას მივიჩნევთ ქების ღირსად, რაც არ ეკადრება აქილევსს: ასე მაგალითად, როცა ამბობენ, თითქოს იმდენად ანგარების მოყვარე ყოფილიყოს, რომ აგამემნონისაგან მიეღოს ძღვენი, ანდა გამოსასყიდის ფასად დაეთმოს მის მიერ მოკლული გმირის ცხედარი, რასაც არასდიდებით არ დათანხმდებოდა გამოსასყიდის გარეშე.

– აბა, ეგ რა ქების ღირსად უნდა მიგვაჩნდეს?

– მაგრამ ეს მაინც ჰომეროსია, და მე იმის თქმასაც ვერ ვბედავ, რომ მკრეხელობაა, ამნაირად წარმოგვიჩინო აქილევსი, თუმცა სხვა პოეტებს კი ვუჯერებთ ამას. მაგრამ, აი, რას ეუბნება იგივე აქილევსი აპოლონს:

«მაშ, მომატყუე, უკვდავთა შორის
უმზაკვარესო და უბოროტესო?^
ო, რომ შემეძლოს, ღმერთმანი, მწარედ
გაზღვევინებდი მაგ თავხედობას!»

აქილევსი თვით მდინარესაც არ ეპუება – ხოლო ეს იგივე ღმერთია, – და მზადაა ორთაბრძოლაში გამოიწვიოს. ხოლო მეორე მდინარის – სპერხეიოსის ტალღებს რომ ატანს თავის კულულებს, ის ამბობს:

«თან წაიტანებს გმირი პატროკლე მისი
მეგობრის შეკვეცილ კულულს,»

პატროკლე კი ამ დროს უკვე მკვდარია. ვერ დავიჯერებთ, თითქოს აქილევსს ეს ჩაედინოს; ვერც იმას, თითქოს პატროკლეს სამარის ირგვლივ დაათრევდა ჰექტორის ცხედარს; ისიც დაუჯერებელია, რომ პატროკლეს გვამის დასაფერფლად დანთებულ კოცონთან ყელი გამოეღადროს ტროელი ტყვეებისათვის და ცეცხლში შეეყაროს ისინი. ამიტომაც ყოველივე ეს მტკნარ სიცრუედ უნდა მიგვაჩნდეს, და ვერ დავუშვებთ, რომ ჩვენს ჭაბუკებს სწამდეთ, თითქოს აქილევსს – ქალღმერთისა და შორსმჭვრეტელი პელევსის ძეს (პელევსისა, ვისი წინაპარიც თვით ზევსი იყო) და ბრძენთა-ბრძენი ქირონის აღზრდილს – ისეთი ქვენა გრძნობები უმღვრევდნენ სულს, რომ მასში ერთმანეთს ერწყმოდა ორი ურთიერთსაპირისპირო ვნება: სულმდაბალთათვის ნიშნეული ანგარება და ქედმაღლური ზიზღი უკვდავთა და მოკვდავთა მიმართ.

– მართალს ბრძანებ.

– ვერც იმას ვირწმუნებთ და არც ვათქმევინებთ ვინმეს, თითქოს თესევსი, პოსეიდონის ძე, და პერითუსი, ზევსის ვაჟი, თავზეხელაღებული მტაცებლები ყოფილიყვნენ; და საერთოდაც, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ღვთაების ამა თუ იმ ნაშიერს, ან რომელიმე გმირს ისეთი საზარელი და ღვთისმგმობლური საქმის ჩადენა გაებედოს, რასაც მათ მიაწერენ ხოლმე? მეტიც, ჩვენ ვაიძულებთ პოეტებს, აღიარონ, რომ ან მათ არ ჩაუდენიათ მთელი ეს საშინელება, ან თუ ჩაიდინეს, მაშინ ნამდვილად არ ყოფილან ღვთის ნაშიერნი. ნუ მივცემთ მათ იმის უფლებას, რომ ერთდროულად ამტკიცონ ორი ურთიერთგამომრიცხველი რამე. ნურავინ ეცდება ჩააგონოს ჩვენს ჭაბუკებს, თითქოს ღმერთები ბოროტების მიზეზად გვევლინებოდნენ, ხოლო გმირები არაფრით არ იყვნენ ჩვეულებრივ ადამიანებზე უკეთესნი. ზემოთქმულისა არ იყოს, ეს არა მარტო სიცრუეა, არამედ მკრეხელობაც: აკი დავამტკიცეთ, რომ შეუძლებელია ბოროტება ღმერთებისაგან იღებდეს დასაბამს.

– რა თქმა უნდა.

– თვით ამნაირი უაზრობისთვის ყურის გდებაც კი მავნეა: მაშინ ყოველი ჩვენგანი შეეცდება როგორმე გაამართლოს თავისი ბოროტება, რადგანაც დარწმუნებული იქნება, რომ ამნაირ საქმეს სჩადიოდა და კვლავაც სჩადის

«თვით ღვთაებათა ნაშენ-ნაგრამი, თვით დიდი ზევსის სისხლი და ხორცი,
ვინც იდას თხემზე თაყვანს სცემს დღესაც
მოკვდავთა მამის წმინდა სამსხვერპლოს,

და ვის ძარღვებშიც ძალუმად ბორგავს ღვთიური სისხლი წინაპრებისა.»

ამიტომაც ნუღარავის გავუმეორებთ ამ აბდაუბდას, რათა უკეთური ზრახვებისგან დავიხსნათ ჩვენი მომავალი მცველების სული.

– მართალი ხარ, – თქვა ადიმანტემ.

– კეთილი და პატიოსანი; რაკიღა ჩვენ ვაპირებთ იმის გარკვევას, თუ რანაირ თხზულებებს უნდა ვიწონებდეთ ან ვიწუნებდეთ, რაღა დაგვრჩა განსახილველი? ვინაიდან უკვე ყველაფერი ითქვა, რაც ღმერთების, დემონების, გმირებისა თუ ჰადესის მკვიდრთა შესახებ უნდა თქმულიყო.

– დიახ.

– მაგრამ ადამიანებზე ხომ რაღაც მაინც დაგვრჩა სათქმელი?

– როგორც ჩანს.

– მაგრამ ამის თაობაზე, ჩემო ძვირფასო, ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით.

– რატომ?

– მოგახსენებ: ამ შემთხვევაში, მე მგონია, მიუკიბ-მოუკიბავად უნდა განვაცხადოთ, რომ პოეტებსაც და არაპოეტებსაც ძალიან მცდარი წარმოდგენა აქვთ ადამიანებზე. ისინი ამტკიცებენ, რომ უსამართლო ადამიანების უმრავლესობა ბედნიერია, სამართლიანებისა კი – უბედური; რომ უსამართლო ქცევა თავისთავად სასარგებლოა, თუ უსამართლობა დაფარული რჩება, მაშინ როდესაც სამართლიანობა მხოლოდ სხვისთვისაა სასარგებლო, თვით სამართლიანისთვის კი – სასჯელი. ჩვენ მათ ავუკრძალავთ ამნაირ ლაპარაკს და ვაიძულებთ ამიერიდან სრულიად საპირისპირო რამ ამტკიცონ როგორც პოეტური, ისე პროზაული სიტყვით; ან, იქნებ, შენ სხვა აზრისა ხარ?

– არა, ღმერთმანი.

– თუ ჩემს სიმართლეს აღიარებ, მაშინ ისე ვიგულებ, რომ წეღანდელ მსჯელობასაც ეთანხმები.

– რა თქმა უნდა.

– მაშ, სამერმისოდ გადავდოთ იმის გარკვევა, თუ რანაირად უნდა ვმსჯელობდეთ ადამიანებზე; მანამდე კი დავადგინოთ, რა არის სამართლიანობა, ან რა სარგებლობა მოაქვს მას თავისთავად სამართლიანი კაცისათვის, მიუხედავად იმისა, სამართლიანი ჰგონია თუ არა იგი ხალხს.

– ცამდე მართალი ბრძანდები.

– ამით დავამთავროთ სიტყვიერების განხილვა. ახლა კი გამომსახველობით საშუალებებსაც მივხედოთ და მაშინ, ალბათ, სრულად მიმოვიხილავთ იმასაც, თუ რას ვამბობთ და იმასაც, როგორ ვამბობთ.

– რა ვქნა, არ მესმის, – თქვა ადიმანტემ.

– უნდა გესმოდეს, – ვუთხარი მე, – თუმცა, იქნებ, ასე უკეთ გაიგო: ყველაფერი, რასაც გადმოგვცემენ თქმულებათა მთხზველებიც და პოეტებიც, ან წარსულს ეხება, ან აწმყოს და ან მომავალს.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო ამას უბრალო თხრობის, ან მიბაძვის გზით აღწევენ, ან კიდევ როგორც ერთის, ისე მეორის საშუალებით.

– ნეტა უფრო ნათლად გამაგებინა.

– როგორც ჩანს, მასწავლებლად ღმერთს არ ვუქნივარ. ამიტომ იმ ხალხისა არ იყოს, ვისაც არაფრის გადმოცემა არ შეუძლია, მეც ერთბაშად მთელ საკითხს კი არა, მხოლოდ მის ერთ ნაწილს ავიღებ და ამის მიხედვით აგიხსნი, თუ რისი თქმა მსურს, ერთი ეს მითხარი: «ილიადას» დასაწყისი თუ გახსოვს, სადაც პოეტი გვაუწყებს, როგორ ეახლა ქურუმი ქრისე აგამემნონს და შეევედრა, გაეთავისუფლებინა მისი ასული, რამაც საშინლად განარისხა აქაიელთა წინამძღოლი, და როგორ შეღაღადა გაწბილებულმა ქურუმმა ღმერთს, სანაცვლო მიეგო ბერძნებისათვის?

– ცხადია, მახსოვს,

– მაშინ ისიც გემახსოვრება, რომ, აი, ამ ადგილამდე:

«ასე მხურვალედ ევედრებოდა აქაიელებს
საბრალო მამა,
უმეტესად კი ორივე ატრიდს, აქაიელთა ორ მძლე წინამძღოლს,»–

პოეტი თავისი პირით ლაპარაკობს და ოდნავადაც არ ცდილობს სხვა მხრივ მიმართოს ჩვენი აზრი, ან გვაფიქრებინოს, თითქოს თვითონ კი არა, ვიღაც სხვა ლაპარაკობს. აქედან მოყოლებული კი ისე გადმოგვცემს ამბავს და შეძლებისდაგვარად ცდილობს იმნაირი შთაბეჭდილება შეგვიქმნას, თითქოს თვითონ კი არა, აპოლონის მოხუცი ქურუმი ლაპარაკობდეს. ამნაირადვე წარმართავს მთელ დანარჩენ თხრობასაც, მიუხედავად იმისა, თუ რას გადმოგვცემს ილიონის, ითაკისა თუ იმ მხარეთა ამბავს, «ოდისეაში» რომ აღგვიწერს.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, როცა სხვის სიტყვებს გადმოგვცემს და მაშინაც, როცა მათ შორის თავის სიტყვასაც ჩაურთავს ხოლმე, ეს მაინც თხრობა იქნება?

– მაშ, რა?

– კი მაგრამ, როცა სხვისი პირით ლაპარაკობს, ხომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ცდილობს თავისი სიტყვა რაც შეიძლება უფრო მეტად მიამგვანოს მისას, ვისზედაც წინასწარ გვაუწყებს, ახლა ამას და ამას ვაძლევ სიტყვასო?

– რა თქმა უნდა, შეგვიძლია.

– ხოლო სიტყვით თუ სახით მიემგვანო სხვა ადამიანს, განა იგივე არ არის, რომ მიბაძო მას, ვისაც ემგვანები?

– რასაკვირველია.

– მაშ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ჰომეროსიცა და სხვა პოეტებიც მიბაძვის მეშვეობით წარმართავენ თხრობას?

– ცხადია.

– პოეტი რომ არსად არ მალავდეს თავს, მაშინ მისი თხრობისთვის და, საერთოდ, შემოქმედებისთვისაც უცხო იქნებოდა მიბაძვა. მაგრამ შენ რომ არ გათქმევინო, არც ეს მესმისო, ვეცდები ახლავე აგიხსნა. მას შემდეგ, რაც გვაუწყა, როგორ ეახლა ქრისე აგამემნონს, გამოსასყიდი მიართვა და გულმხურვალედ შეევედრა აქაიელებს, უწინარეს ყოვლისა კი – მათ ბელადებს, ჩემი ქალი დამიბრუნეთო, – ჰომეროსს კვლავაც თავისი პირით რომ გაეგრძელებინა ამბის გადმოცემა, და არა ისე, თითქოს ქრისედ ქცეულიყოს, შენთვის, ალბათ, გასაგებია, რომ ეს მიბაძვა კი არ იქნებოდა, არამედ უბრალო თხრობა, რომელიც დაახლოებით ამნაირ სახეს მიიღებდა (პროზაული სიტყვით გადმოგცემ, რადგანაც პოეტისა არა მცხია რა): «მოვიდა ქურუმი და აქაიელებს შეევედრა: ღმერთმა ინებოს რომ ტროა

აიღოთ, თქვენ კი უვნებელნი და საღსალამათნი დარჩეთ; გემუდარებით, ჩემი ღვთაების რიდით მიიღეთ გამოსასყიდი და ჩემი ქალი დამიბრუნეთო. ამის თქმაც იყო და აქაიელებმა ერთსულოვნად დაუდასტურეს თავიანთი თანხმობა, მაგრამ განრისხებულმა აგამემნონმა ქურუმს უბრძანა, სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას და აღარასოდეს დაედგა ფეხი აქაიელთა ბანაკში, თორემ ვეღარც ქურუმის კვერთხი იხსნიდა და ვეღარც საღმრთო გვირგვინი. თანაც დასძინა, რომ ვიდრე ასულს დაუბრუნებდა, ტყვე ქალი მასთან ერთად დაბერდებოდა არგოსში; ბოლოს კი დაემუქრა, წადი, გამეცა, მოთმინების ძაფს ნუ გამიწყვეტ, თუ გინდა მშვიდობით დაბრუნდე შინო. შეშინებული ბერიკაცი უსიტყვოდ გაეცალა აქაიელებს, მაგრამ მათ ბანაკს გასცდა თუ არა, გულმხურვალედ შეევედრა აპოლონს, ყველა სახელით უხმო და შეახსენა, რა სამსახური გაეწია მისთვის, რამდენი ტაძარი აეგო და რამდენჯერ შეეწირა ზვარაკი. ყოველივე ამის სანაცვლოდ კი სთხოვა, თავისი ბასრი ისრებით მისი ცრემლების სანაცვლო მიეგო აქაიელთათვის!» აი, რანაირია, ჩემო ძვირფასო, ლიტონი თხრობა, ყოველგვარი მიბაძვის გარეშე.

– გასაგებია.

– ახლა კი შენთვის ალბათ ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ არსებობს სულ სხვანაირი თხრობაც: საკმარისია მთლიანად ამოვიღოთ პოეტის სიტყვა, რომელიც მისივე გმირების სიტყვებს შორისაა ჩართული, და ხელთ შეგვრჩება მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

– ესეც გასაგებია: ტრაგედიას გულისხმობ, არა?

– ნამდვილი გულთმისანი ყოფილხარ. მე მგონია, შენთვის ახლა მაინც ნათელია ის, რაც წეღან ვერ გაგაგებინე: პოეზიისა და მითისქმნადობის ერთ დარგს წმინდა მიბაძვა უდევს საფუძვლად; ეს, შენი თქმისა არ იყოს ტრაგედია და კომედიაა. მეორე დარგის საფუძვლად საკუთრივ პოეტის სიტყვა გვევლინება; ეს უპირატესად დითირამბოსები გახლავთ და ბოლოს, ეპიური პოეზია და სიტყვიერების ბევრი სხვა დარგიც, თუ კარგად გესმის ჩემი, ორივე ზემოხსენებულ საფუძველს ემყარება.

– დიახ, ახლა კი მესმის, რისი თქმაც გსურდა წეღან.

– თუ გახსოვს, რას ვარკვევდით ამაზე უწინ? უკვე ითქვა, რას უნდა ვამბობდეთ პოეზიაში; განსახილველი დაგვრჩა ის, თუ როგორ უნდა ვამბობდეთ.

– მახსოვს.

– სწორედ იმას მოგახსენებდი, რომ უნდა შევთანხმდეთ, მივცეთ პოეტებს მიბაძვის ნება თუ არ უნდა მივცეთ? ანდა, თუ მივცემთ, მაშინ რას შეიძლება ბაძავდნენ და რას არა? ან, იქნებ, სულაც აგვეკრძალა მათთვის ყოველგვარი მიბაძვა?

– მესმის, რისი თქმაც გნებავს: დავუშვათ თუ არა ჩვენს სახელმწიფოში ტრაგედია და კომედია.

– შესაძლოა, ასედაც იყოს, თუმცა შესაძლოა, არც იყოს ასე; ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვი; საითაც წაგვიღებს აზრის დინება, ჩვენც იქით უნდა წავიდეთ.

– დიდებული ნათქვამია.

– ახლა კი შენ თვითონ გადაწყვიტე, ადიმანტე, მიმბაძველები უნდა იყვნენ ჩვენი მცველები თუ არ უნდა იყვნენ? თუმცა ეს თავისთავად გამომდინარეობს ზემოთქმულიდან, რის თანახმადაც თვითეულ ჩვენგანს შეუძლია სათანადოდ ასრულებდეს მრავალს კი არა, მხოლოდ ერთ საქმეს: ვინც ბევრ საქმეს მოჰკიდებს ხელს, ვერცერთს ვერ გაართმევს თავს, და ვერც ვერაფერს მიაღწევს.

– მართალს ბრძანებ.

– განა იგივე არ ითქმის მიბაძვაზედაც? ერთი კაცი ისევე კარგად მიბაძავს მრავალს, როგორც ერთ რასმე?

– ვერა.

– მით უმეტეს, შეუძლებელია რაიმე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდე და, იმავდროულად, წარმატებით ბაძავდე მრავალ რამესაც. რადგან იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მიბაძვის ორი სხვადასხვა სახე საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან, როგორც, ვთქვათ, ტრაგედია და კომედია, იშვიათად რომ ვინმემ წარმატებით გაართვას თავი ორივეს. აკი წეღან შენ თვითონ მიბაძვად მიიჩნიე როგორც ერთი, ისე მეორეც.

– დიახ, მართალი ხარ, როცა ამტკიცებ, რომ შეუძლებელია ერთმა კაცმა ორივეს გაართვას თავი.

– ასევე შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს რაფსოდიც იყო და მსახიობიც.

– დიახ.

– ვერც ერთი და იგივე მსახიობი ითამაშებს ტრაგედიასაც და კომედიასაც, თუმცა მსახიობის ხელოვნებაც, ტრაგედიებისა და კომედიების თხზვაც მიმბაძველობითი ხელოვნებაა.

– რა თქმა უნდა.

– ეგეც არ იყოს, მე მგონია, ადიმანტე, ადამიანის ბუნება ურიცხვ პაწაწინა ნაწილაკებადაა დანაწევრებული, ასე რომ, მისთვის შეუძლებელია სათანადოდ მიბაძოს მრავალ რასმე, ან აღასრულოს ის, რის მსგავსებადაც გვევლინება მიბაძვა.

– სრული სიმართლეა.

– ამრიგად, თუ შევინარჩუნებთ პირველად საწყისს, ჩვენმა მცველებმა ხელი უნდა აიღონ ყველა სხვა საქმიანობაზე და მტკიცედ დაიცვან სახელმწიფოს თავისუფლება, ისე, რომ არას დაგიდევდნენ და ჩირადაც არ თვლიდნენ დანარჩენს. სხვა რამის არც კეთება მართებთ და არც მიბაძვა; ანდა, თუ მაინც მიჰბაძავენ რასმე, მხოლოდ და მხოლოდ იმას, რასაც ბავშვობიდანვე უნდა იძენდნენ: სიმამაცეს, თავდაჭერილობას, ღვთისმოსაობას, თავისუფლების სიყვარულს და სხვა მისთანათ. ხოლო იმას, რაც უპირისპირდება თავისუფლებას, იმას, რაც სამარცხვინოა, არც უნდა ბაძავდნენ და არც შეეძლოთ მისი მიბაძვა, რათა მიბაძვის წყალობით იმასვე არ დაემგვანონ, რასაც ბაძავენ. ან, იქნებ, არ შეგიმჩნევია, რომ მიბაძვა, თუკი ბავშვობიდან მოყოლებული ხანგრძლივად ბაძავენ რასმე, ჩვეულებად იქცევა და ადამიანის ბუნების განუყოფელი ნაწილი ხდება: იცვლება გარეგნობა, იცვლება ხმა, იცვლება სული.

– როგორ არ შემიმჩნევია.

– ამიტომაც ვერ დავუშვებთ, რომ ისინი, ვისზედაც ვზრუნავთ და გვსურს ქველ ვაჟკაცებად აღვზარდოთ, ქალებს ბაძავნენ, თუმცაღა კაცები არიან, სულერთია, ახალგაზრდაა ეს ქალი თუ ბებერი, წყევლა-კრულვას არ აკლებს ქმარს თუ ღმერთებს ეტოქება, კეთილდღეობით იწონებს თავს თუ სიღატაკეს უჩივის და გულამოსკვნით დასტირის თავის უიღბლობას, – აბა, ყველას სად ჩამოთვლი?

– მართლაც.

– არც ის ივარგებს, რომ მონებსა და მონა ქალებს ბაძავდნენ, რადგანაც მონა მხოლოდ თავის მონურ საქმეს ასრულებს.

– ცხადია, არც ეგ ივარგებს.

– არც ბოროტმოქმედებს, ამ ნამდვილ ლაჩრებს, ყოველთვის იმის საპირისპიროდ რომ იქცევიან, რაზედაც წეღან ვლაპარაკობდით, – ავსიტყვაობენ, ერთმანეთს დასცინიან, სიფხიზლეშიც და სითვრალეშიაც ლანძღვა-გინებით იკლებენ ერთიმეორეს და, საერთოდ, ვინ მოსთვლის, სიტყვით თუ საქმით, რაღას არ ჰკადრებენ არა მარტო ერთმანეთს, არამედ სხვებსაც. მე თუ მკითხავთ, ჩვენი მცველები არც შლეგებს უნდა ბაძავდნენ, არც სიტყვითა და არც საქმით, უნდა

შეეძლოთ გამოიცნონ შლეგი, უგუნური და უკეთური, გინდ ქალი იყოს და გინდ კაცი მაგრამ არც უნდა ჰგავდნენ და არც ბაძავდნენ მათ.

– ცამდე მართალი ბრძანდები

– მაგრამ იქნებ მჭედლებსა თუ სხვა ხელოსნებს, ტრიერების მენიჩბეებსა თუ მათ თავკაცებს, ან სხვა მისთანათ უნდა ბაძავდნენ?

– რანაირად უნდა ბაძავდნენ, როცა ყველა სხვა ხელობის შესწავლაზე ფიქრიც კი ავუკრძალეთ?

– ცხენების ჭიხვინზე, ხარების ბღავილზე, ნაკადულების ჩუხჩუხზე, ზღვების ღრიალსა თუ მეხის გრიალზე რაღას იტყვი: იქნებ ყოველივე ამას მაინც უნდა ბაძავდნენ?

– კი მაგრამ, მათ ხომ სიშლეგეც ეკრძალებათ და ისიც, რომ შლეგებსა ჰგვანდნენ?

– თუ სწორად გავიგე შენი სიტყვები, არსებობს თხრობისა და გამოხატვის იმნაირი სახე, რომელსაც განუხრელად უნდა მისდევდეს ჭეშმარიტად ღირსეული კაცი, როცა მას სურს რამე გვაუწყოს; მაგრამ არსებობს თხრობის სულ სხვანაირი სახეც, რომელსაც გამუდმებით იყენებს და განუხრელად მისდევს ის, ვინც თავისი აღზრდითაც და ბუნებითაც ძირეულად უპირისპირდება პირველს.

– მაინც რა სახეებს გულისხმობ?

– მე მგონია, როცა ღირსეული კაცი, ვისთვისაც უცხო არ არის ზომიერების გრძნობა, ამა თუ იმ ამბის თხრობისას იმ ადგილამდე მივა სადაც მასავით ქველი კაცის სიტყვა თუ საქმე უნდა გადმოგვცეს, – უთუოდ მოიწადინებს ისე გვაუწყოს ყველაფერი, თითქოს თვითონვე იყოს ის, ვის ამბავსაც გადმოგვცემს, და ალბათ სამარცხვინოდ არ მიიჩნევს ამნაირ მიბაძვას, მეტადრე მაშინ, თუ იმის ქცევაში, ვისაცა ბაძავს, მკაფიოდ ვლინდება სულის სიმტკიცე და სიბრძნე, და არა იმ შემთხვევაში, თუ მისი მიბაძვის საგანი უბრძოლველად ნებდება სნეულებას, წინააღმდეგობას ვერ უწევს ვნებათა ღელვას, ან თავს ვერ აღწევს სიმთვრალეს და სხვა მისთანათ. მაგრამ როცა იმნაირი კაცი უნდა წარმოგვიდგონოს, ვინც თავისი ღირსებებით ვერ შეედრება, ის მხოლოდ ცოტა ხნით თუ იკადრებს მიბაძოს მას, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი, ასე თუ ისე, ღირსეულად იქცევა; რადგანაც საგანგებოდ არ უვარჯიშნია მის მიბაძვაში და ამიტომ არა მარტო სათაკილოდ, თავისდა საზიანოდაც მიიჩნევს იმ კაცად გარდასახვას, ვინც მასზე უარესია; ასე რომ, მხოლოდ თავშესაქცევად თუ მიბაძავს იმას, ვინც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია პატივისცემის ღირსად მიაჩნდეს.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, მისი თხრობა მსგავსი იქნება იმისა, რაზედაც წეღან, ჰომეროსის ლექსების განხილვისას ვლაპარაკობდით: გადმოცემისას ის გამოიყენებს ორივე ხერხს, მიბაძვასაც და თხრობასაც, თუმცა მიბაძვის წილი ნაწარმოების მთლიან მოცულობაში გაცილებით უფრო უმნიშვნელო იქნება; ან, იქნებ, ვცდები?

– რას ბრძანებ? მისი თხრობა სწორედ ამნაირად წარმოგვიდგება.

– ესე იგი, იმას ვინც ჩვენს მთხრობელზე უარესია, გაცილებით უფრო მეტი მიდრეკილება ექნება ყოველგვარი მიბაძვისადმი: მე შენ გეტყვი, სათაკილოდ მიიჩნევს რასმე! ამიტომაც ეცდება გულმოდგინედ მიბაძოს ყველაფერს მრავალრიცხოვან მსმენელთა თანდასწრებით, თვით იმათაც კი, რაც წეღან ჩამოვთვალეთ, კერძოდ, მეხის, ქარისშხლის თუ სეტყვის გრიალს, კრაზანების ბზუილს, ღერძისა თუ ლილვაკის ჭრიალს, ყოველგვარი მუსიკალური საკრავის ხმიანობას, ბუკის გუგუნს, სალამურისა თუ სტვირის წკრიალს, აგრეთვე ძაღლების ყეფას, ცხვრების პეტელსა და ჩიტების ჭიკჭიკს. მთელი მისი გადმოცემა ბგერების,

მოძრაობისა თუ მიხრა-მოხრის მიბაძვაზე დაიყვანება, თხრობას კი ძალზე უმნიშვნელო ადგილი უჭირავს მასში.

– ეგ გარდუვალია.

– აი, სწორედ ესაა გადმოცემის ის ორი სახე, წეღან რომ გეუბნებოდი.

– და მართალსაც მეუბნებოდი.

– პირველი სახე დასაშვებს ხდის მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებს, და თუ მას სათანადო ჰარმონიას და რიტმს მივანიჭებთ, იმისათვის, რომ მართებულად გამოიყენო იგი, საჭირო იქნება კვალდაკვალ მიჰყვე ამ ჰარმონიას, რაკიღა აქ მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებია შესაძლებელი, და დაახლოებით იგივე ითქმის რიტმზედაც.

– რა თქმა უნდა.

– მეორე სახე კი, პირიქით, სრულიად სხვადასხვა ჰარმონიას და რიტმს მოითხოვს, რათა სათანადო ზემოქმედება მოახდინოს მსმენელზე; აკი აქ ნაირნაირი ცვლილებებია შესაძლებელი.

– ჭეშმარიტად.

– მაგრამ ყველა პოეტი და, საერთოდ, ყველა ადამიანი, მსმენელთა წინაშე გამოსვლისას, გადმოცემის ან ერთ სახეს გამოიყენებს, ან მეორეს, ან კიდევ ორივეს ნაზავს.

– უცილობლად.

– მერედა, რა ვქნათ, რომელი მათგანი მივიჩნიოთ დასაშვებად ამ ჩვენს სახელმწიფოში: სუყველა ერთად, თუ ერთ-ერთი, მეორესთან შეზავების გარეშე, ან, იქნებ, ორივეს ნაზავი?

– ჩემს ხმას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ დასაშვებად უნდა მიგვეჩნია ნაზავი, რომლითაც პოეტი მიბაძავდა ღირსეულ კაცს.

– კი მაგრამ, ადიმანტე, სასიამოვნოა შეუზავებელი სახეობაც; ბავშვებსაც, მათ აღმზრდელებსაც და ბრბოის უმეტეს ნაწილსაც საამოდ ეჩვენებათ სწორედ იმის საპირისპირო სახეობა, შენ რომ უპირატესობას ანიჭებ.

– დიახ, მათთვის ეგ უფრო სასიამოვნოა.

– მაგრამ შენ, ალბათ, იტყვი, რომ ის არ შეჰფერის ჩვენს სახელმწიფოს, ვინაიდან ჩვენი მოქალაქე ვერც ორად გაიჭრება და ვერც ათად, რაკიღა ყველა მხოლოდ ერთ საქმეს აკეთებს.

– მართლაც რომ არ შეჰფერის.

– ამიტომ მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოზე თუ შეიძლება იქვას, რომ აქ მეწაღე მარტოოდენ მეწაღეა და თავის მეწაღეობას მესაჭეობასაც არ უთავსებს, მიწის მუშაც მხოლოდ მიწის მუშაა და თავის საქმესთან ერთად მსაჯულის მოვალეობასაც არ ასრულებს, ხოლო მეომარი მარტოოდენ მეომარია და არა ვაჭარიც.

– მართალს ბრძანებ.

– ამრიგად, ჩვენს სახელმწიფოს რომ სწვეოდა კაცი, რომელსაც გარდასახვისა და ყველაფრის მიბაძვის უნარი შესწევს, რათა საჯაროდ შეესრულებინა თავისი ქმნილებები, ჩვენ თაყვანს ვცემდით მას, როგორც სიწმინდით მოსილსა და მომნუსხველ საოცრებას, მგრამ, ამასთანავე, ვეტყოდით, რომ ჩვენს სახელმწიფოში არ არიან და არც შეიძლება იყვნენ მისნაირები, მერე გუნდრუკს ვაკმევდით თავზე, შალის საკრავით წავუკრავდით შუბლს და სხვა სახელმწიფოში გავისტუმრებდით, ჩვენ კი ნაკლებად მკაცრსა და თუნდაც ნაკლებ სასიმოვნო, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო პოეტსა თუ თქმულებების მთხზველს დავჯერდებოდით, რომელიც მხოლოდ ღირსეული კაცის მეტყველებას

მიბაძავდა და თავის ენას იმ ნიმუშებს შეუხამებდა, იმთავითვე, რომ ჩამოვაყალიბეთ, ჩვენი მცველების აღზრდაზე საუბრისას.

– ჩვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, რა თქმა უნდა, ასეც მოვიქცეოდით.

– ახლა კი, ჩემო მეგობარო, – ვუთხარი მე, – უკვე დავასრულეთ მუსიკური ხელოვნების იმ დარგის განხილვა, სიტყვიერებასა და თქმულებებს რომ ეხება; გავარკვიეთ, რას უნდა ვამბობდეთ და როგორ ვამბობდეთ.

– მეც ეგრე მგონია.

– მაშასადამე, განსახილველი დაგვრჩა გალობისა და მელოსის თავისებურებანი.

– დიახ.

– მაგრამ რა უნდა ვთქვათ მათზე, ან რანაირი უნდა იყვნენ ისინი, – ამას, ალბათ, ყველა მიხვდება, თუკი ჩვენს ახლანდელ მსჯელობას შევუთანხმებთ იმას, რაც ზემოთ ითქვა.

გლავკონმა გაიცინა და მითხრა:

– პირადად მე, სოკრატე, როგორც ჩანს არ ვეკუთვნი ამ «ყველას», რადგანაც ასე ერთბაშად ვერ გეტყვი, რისი თქმა გვმართებს; თუმცა რაღაცას მაინც ვხვდები.

– ყოველ შემთხვევაში, – ვუთხარი მე, – შენ შეგიძლია თამამად თქვა, რომ მელოსი სამ ნაწილს მოიცავს: სიტყვას, ჰარმონიას და რიტმს.

– დიახ, მაგის თქმა კი შემიძლია.

– სიტყვები, რომლებიც მელოსის ნაწილად გვევლინებიან, არსებითად, არ განსხვავდებიან სამწერლო ენაში ხმარებული სიტყვებისაგან, რაკიღა ისინიც უნდა ესადაგებოდნენ იმ ნიმუშებს, რომლებზედაც წეღან ვლაპარაკობდით.

– სწორია, – თქვა გლავკონმა.

– სიტყვას თან უნდა ახლდეს ჰარმონია და რიტმი.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ პოეზიისათვის უცხო უნდა იყოს ცრემლის ღვრა და მოთქმა-გოდება.

– დიახ, შევთანხმდით.

– კი მაგრამ, რანაირი კილოები ახასიათებს მოთქმა-გოდებას? მითხარი, შენ ხომ მუსიკოსი ხარ.

– ნაზავი ლიდიური, მკვეთრი ლიდიური და ზოგიერთი სხვა მათნაირი კილო.

– მაშასადამე, ისინი უნდა უკუვაგდოთ, რადგანაც თვით ღირსეული ქალებისთვისაც ფუჭნი და ურგებნი არიან, არამცთუ კაცებისათვის.

– რა თქმა უნდა.

– მცველებისათვის სრულიად შეუფერებელია სიმთვრალე, უნიათობა და უქნარობა.

– დიახ.

– კი მაგრამ, რომელ კილოს შეიძლება ეწოდოს უნიათო და სუფრული სიმღერებისათვის ნიშნეული?

– იონიურსა და ლიდიურს, რომლებსაც «დუნედ» უხმობენ.

– მერედა, განა დასაშვებია, ჩემო ძვირფასო, რომ მათ იყენებდნენ მეომრები?

– არამც და არამც, ასე რომ შენ დორიული და ფრიგიული კილოღა გრჩება.

– რა ვქნა, არ მესმის ეს კილოები, მაგრამ დამიტოვე ის კილო, სათანადოდ რომ მიბაძავდა მხნე, მამაცი და შემმართებელი კაცის ხმასა თუ სიმღერას, კაცისა, რომელიც ბრძოლის შუაგულში ტრიალებს, ან ათასნაირ განსაცდელს ერკინება, მარცხს განიცდის, ჭრილობებიდან სისხლი სდის, თავის განწირვას აპირებს თუ სხვა

რამ უბედურება ემუქრება, მაგრამ ქედს არ უხრის ბედისწერას და უდრტვინველად იტანს თავის უმძიმეს ხვედრს.

დამიტოვე მეორე კილოც იმისათვის, ვინც მშვიდობის ჟამს იძულებით კი არა, თავისი ნებით აკეთებს საქმეს, და მიზნის მისაღწევად ლოცვითა თუ ხვეწნა-ვედრებით ცდილობს გული მოულბოს ღმერთს, რჩევითა თუ შეგონებით დაარწმუნოს კაცი, ანდა, პირიქით, თვითონვე უსმენს ყურადღებით სხვის რჩევას და შეგონებას, მოკლედ, გონივრულად იქცევა, არ ქედმაღლობს და ისე იგვარებს საქმეს, როგორც შეშვენის თავდაჭერილსა და ჭკუადამჯდარ კაცს, რომელიც წინდახედულად ითვალისწინებს ყველა შესაძლო შედეგს.

აი, სწორედ ეს ორი კილო – »იძულებითი« და «ნებაყოფლობითი» დამიტოვე, ყველაზე ზუსტად რომ გამოხატავენ ღირსეული ადამიანის ბედნიერებას თუ უბედურებას, მის სიბრძნეს და სიმამაცეს.

– მაგრამ შენ სწორედ იმათ დატოვებას მთხოვ, წეღან მე რომ დაგისახელე.

– ამრიგად, ჩვენი სიმღერებისა თუ მელოსისათვის არც მრავალსიმიანი საკრავები დაგვჭირდება და არც ყველა კილო.

– მე მგონია, არა.

– ასე რომ, ჩვენ აღარ მოვამზადებთ იმ ოსტატებს, რომლებიც ტრიგონოსებს, ჰექტიდებსა და სხვა მრავალსიმიან თუ მრავალკილოიან საკრავებს აკეთებენ.

– ალბათ აღარ მოვამზადებთ.

– ავლოსების ოსტატებსა და ავლეტისტებზე რაღას იტყვი, მათ მაინც თუ აბოგინებ ამ ჩვენს სახელმწიფოში? განა ავლოსი ყველაზე მრავალხმიანი საკრავი არ არის? ასე რომ, ყველა კილოს ნაზავი მხოლოდ მისი ხმიანობის მიბაძვად გვევლინება.

– ცხადია.

– მაშასადამე, ქალაქში სახმარად მხოლოდ ლირა და კითარა გრჩება, სოფლად კი მწყემსებმა, დაე, სალამური აკვნესონ.

– ჩვენს მსჯელობას სწორედ ამ დასკვნამდე მივყავართ.

– განა რაღაც უჩვეულოს ჩავიდენთ, ჩემო ძვირფასო, თუკი აპოლონს მთელი თავისი საკრავებითურთ მარსიასა და მის საკრავებზე მაღლა დავაყენებთ?

– ვფიცავ ზევსს, მეც ეგრე მგონია.

– ვფიცავ ძაღლს, – ვუთხარი მე, – ვერც კი შევნიშნეთ, როგორ გავწმინდეთ ჩვენი სახელმწიფო, რომელსაც წეღან უნიათოს და ფუფუნებაში ჩამყაყებულს ვეძახდით.

– ჩვენ ხომ გონივრულად ვიქცევით.

– მაშ, მოდი, დანარჩენიც გავწმინდოთ. კილოს კვალდაკვალ განსახილველი დაგვრჩა რიტმი. ნაირნაირ რიტმსა და საზომებს ნუკი დავეძებთ, არამედ დავადგინოთ, რომელი რიტმი შეესაბამება ღირსეული და მამაცი კაცის ცხოვრებას, ხოლო როდესაც დავადგენთ, იმდენი ვქნათ, რომ საზომიცა და მელოსიც ამ კაცის სიტყვებს ესადაგებოდეს, და არა პირიქით: სიტყვები – საზომს და მელოსს. შენ თვითონ უნდა გვიჩვენო, მაინც რანაირია ეს რიტმი, ისევე, როგორც წეღან კილოები გვიჩვენე.

– ვფიცავ ზევსს, არ ვიცი, რა ვთქვა. თუ კარგად დავუფიქრდები, მხოლოდ ის შემიძლია მოგახსენო, რომ არსებობს ტერფების სამი სხვადასხვა სახე, რომელთაგანაც ითხზვის ყველა სალექსო საზომი, ისევე, როგორც ყველა კილო ოთხი სხვადასხვა ხმიანობისაგან წარმოიქმნება, მაგრამ რომელი მათგანი წარმოგვიდგენს მიბაძვის გზით ამა თუ იმ ცხოვრებას, ამისას კი ვერაფერს გეტყვი.

– მაშინ ჩვენც ავდგებით და დამონს დავეკითხებით, მაინც რომელი საზომი შეესაბამება სიმდაბლეს, კადნიერებას, სიშლეგეს და სხვა უკეთურ თვისებებს, ანდა

რომელი საზომი უნდა შემოვინახოთ საპირისპირო თვისებების წარმოსაჩენად. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ოდესღაც გამიგონია, რომ დამონი ენოპლიოსს, დაქტილოსსა თუ ჰეროიკოსს უწოდებდა რომელიღაც შედგენილ ტერფს, მაგრამ არ ვიცი, რანაირად აგებდა, ან როგორ აღწევდა ხმის აწევისა თუ დაწევის თანაბარზომიერებას, რასაც ხმოვანთა სიგრძე და სიმოკლე უდევს საფუძვლად. თუ არა ვცდები, ის ახსენებდა იამბეიონსა და რომელიღაც სხვა ტერფსაც, ვგონებ ტროქიოსს, სადაც ერთმანეთს ერწყმის მოკლე და გრძელი მარცვლები. ზოგჯერ ამა თუ იმ საზომში ის აქებდა ან იწუნებდა ტერფთა მოძრაობას და არა საკუთრივ რიტმს, ზოგჯერ კი ერთსაც და მეორესაც, ზუსტად ვერ გეტყვი. თუმცა, როგორც წეღან მოგახსენე, მოდი, ყოველივე ეს დამონს მივანდოთ, რადგანაც ამაზე მსჯელობა დიდ დროს წაგვართმევს; მაგრამ იქნებ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

– არა, ღმერთმანი.

– ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც შეგიძლია აღნიშნო: მომხიბვლელობაც და ხიბლისაგან განძარცულობაც რიტმულობასა და არიტმულობაზეა დამოკიდებული.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ რიტმულობა დახვეწილ სტილს შეესაბამება, არიტმულობა კი – საპირისპირო სტილს. იგივე ითქმის ნატიფ ჰარმონიასა და დისჰარმონიაზედაც, რაკიღა, ზემოთქმულის თანახმად, კილოც და რიტმიც სიტყვას უნდა ესადაგებოდეს და არა პირიქით.

– დიახ, სიტყვას უნდა ესადაგებოდეს, როგორც ერთი, ისე მეორეც.

– კი მაგრამ, განა გამოხატვის საშუალებებიც და თვით სიტყვაც სულიერებას არ შეესაბამება?

– რასაკვირველია.

– ყოველივე დანარჩენი კი – სიტყვის თავისებურებებს?

– დიახ.

– ასე რომ, სიტყვის, ჰარმონიის, ხიბლისა თუ რიტმის სინატიფე სულის სიმარტივის შედეგად გვევლინება: მე იმ სიმარტივეს კი არ ვგულისხმობ, რასაც ჩვენ პირფერულად ვუწოდებთ მიამიტობას, არამედ სულის ჭეშმარიტ სიმარტივეს, საიდანაც იღებს დასაბამს სიკეთეც და მშვენიერებაც.

– ჭეშმარიტად.

– განა ჩვენი ჭაბუკები თავგამოდებით არ უნდა მიელტვოდნენ ყოველივე ამას, თუ სურთ პირნათლად მოიხადონ თავიანთი მოვალეობა?

– რა თქმა უნდა.

– ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამითაა სავსე ფერწერაც და ყველა სხვა მსგავსი ხელოვნებაც – ქსოვა, ქარგვა, მშენებლობა, მეავეჯეობა და თვით სხეულებისა თუ ათასნაირი მცენარეულობის ბუნებაც: აქაც ყველაფერში ვლინდება სიმახინჯეც და კეთილსახიერებაც. უსახურობაც, არიტმულობაც, დისჰარმონიაც ავსიტყვაობას და ავზნეობას ენათესავება, ხოლო მათი საპირისპირო თვისებები ტყუპისცალივით ჰგვანან კეთილგონიერებას თუ კეთილზნეობას და მათ უშუალო მიბაძვად გვევლინებიან.

– მერედა, ნუთუ მხოლოდ პოეტებზე უნდა გვეჭიროს თვალი ფხიზლად, რათა ვაიძულოთ ისინი, თავიანთ ქმნილებებში ხორცი შეასხან კეთილზნეობის ნიმუშებს, ანდა საერთოდ ხელი აიღონ შემოქმედებით საქმიანობაზე, თუ სხვა ოსტატებსაც უნდა ვადევნოთ თვალყური, რათა საშუალება არ მივცეთ მათ, ცოცხალ არსებათა სახით, ნაგებობებითა თუ სხვა ქმნილებებით განასახიერონ ავზნეობა, აღვირახსნილობა, სიმდაბლე და სიმახინჯე? ვისაც ამ მოთხოვნების შესრულება არ

შეუძლია, იმას საერთოდ არ უნდა მივცეთ დაოსტატების ნება, თორემ ბიწიერების ნიმუშებზე აღზრდილი და თითქოს შხამიანი მცენარეულობით ნასაზრდოები ჩვენი მცველები ყოველდღიურად ცოტ-ცოტას კი არა, იმდენ სიმყრალეს და სიბინძურეს შეიწოვენ და შეისისხლხორცებენ, რომ მათ სულს თანდათან, თვით მათთვისვე მალულად და ნაჩუმათევად შეეპარება და ბოლოს მთლიანად მოიცავს საზარელი სენი – ხრწნილება. არა, უნდა გამოვძებნოთ იმნაირი ოსტატები, რომლებსაც, თანდაყოლილი ნიჭიერების წყალობით, უნარი შესწევთ თავიანთ ქმნილებებში ხორცი შეასხან მშვენიერებისა და კეთილსახიერების ბუნებას, რათა ჩვენი ჭაბუკებისათვის, ყოველი სიკეთით შემკული კუთხის მცხოვრებთა მსგავსად, სარგო იყოს ყველაფერი, მიუხედავად იმისა, თუ რა მხრიდან სწვდება მათ მზერასა და სმენას მშვენიერების ანარეკლი: ესაა თითქოს იმ კურთხეული კუთხიდან მონაბერი სიო, რომელსაც თან მოაქვს სიმრთელე და სიჯანსაღე, ჩვენს ჭაბუკებს სიყრმითგანვე რომ აჩვევს მშვენიერების სიყვარულს და მეგობრობისა თუ სრული თანხმობის ცხოველმყოფელ გრძნობას უნერგავს გულში.

– რამდენად უმჯობესი იქნებოდა ამნაირი აღზრა!

– აი, სწორედ ეს განაპირობებს, გლავკონ, მუსიკური ხელოვნების უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობას, ხელოვნებისა, რომელიც ყველაზე ღრმად სწვდება ადამიანის სულს და უჩვეულო ძალით აღელვებს მას. რიტმსა და ჰარმონიას თან ახლავს კეთილსახიერება, და ისინი კეთილსახიერებითვე მოსავენ სულსაც, თუკი ეს უკანასკნელი ისეა აღზრდილი, როგორც ჯერ არს, თუ არა და, პირიქით, ამახინჯებენ მას. ვინც ამ მხრივ სათანადოდ არის აღზრდილი, ძალიან მძაფრად განიცდს როგორც ბუნების, ისე ხელოვნების ქმნილებათა ყოველნაირ ნაკლს, მათ გაურანდაობასა თუ არასრულყოფილებას. მისი გაღიზიანებაც და კმაყოფილებაც სავსებით ბუნებრივი იქნება. მშვენიერების თაყვანისმცემლად ქცეული, სულით რომ აღიქვამს და შეისისხლხორცებს მას, მშვენერებითვე ისულდგმულებს და თვითონაც მშვენიერი და კეთილი გახდება. სიმახინჯეს კი სავსებით სამართლიანად დაჰგმობს და სიყრმითგანვე შეიზიზღებს მას, თვით მანამდეც კი, ვიდრე გონებით შესძლებდეს ამის გააზრებას, ხოლო როდესაც გონიერების ასაკს მიაღწევს, მთელის არსებით შეიყვარებს თავის გონებას და შეიცნობს კიდეც, რომ მასთან სწორედ მუსიკურმა აღზრდამ დაანათესავა.

– მე მგონია, – თქვა გლავკონმა, – სწორედ ესაა მუსიკური აღზრდის უპირატესობა.

– ეგეც არ იყოს – ვუთხარი მე, – ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, კითხვა ვიცითო, როცა თავისუფლად ვცნობთ ყველა ასოს (რომელთა რიცხვიც საკმაოდ ცოტაა) ნებისმიერ ასოთნაერთში, ისე, რომ არცერთს არ უგულებელვყოფთ, თითქოს ყურადღების ღირსად არ ვთვლიდეთ, არცერთი არ გვეპარება მხედველობიდან, არც დიდი და არც მცირე, პირიქით, ყველგან ვცდილობთ სათითაოდ ამოვიცნოთ ისინი, და მანამდის ვერ ვისწავლით კითხვას, სანამ ამას თავს არ გავართმევთ.

– მართალს ბრძანებ.

– ასე რომ, წყლის სიღრმეში თუ სარკეში არეკლილ ასოებსაც მანამდე ვერ ამოვიცნობთ, სანამ არ გვეცოდინება თვითეული მათგანი; თუმცა ეს იმავე ხელოვნებაში თავის გაწაფვას და წვრთნას მოითხოვს.

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, ვფიცავ ღმერთებს, მეც ხომ სწორედ ამას ვამტკიცებ: ზუსტად ასევე ვერ დავეუფლებით მუსიკურ ხელოვნებას ვერც ჩვენ და ვერც ის მცველები,

რომლებიც, როგორც მოგახსენე, ჩვენ თვითონ უნდა აღვზარდოთ, ვიდრე არ ვისწავლით კეთილგონიერების, სიმამაცის, დიდსულოვნებისა თუ ყოველივე იმის გარჩევას, რაც მათ ენათესავება, ან უპირისპირდება; ვიდრე არ შევიგნებთ, რომ არ შეიძლება უგულებელვყოთ, ან მხედველობიდან გამოგვეპაროს მათი ნებისმიერი გამოვლინება, მიუხედავად იმისა, თუ სად გვხვდებიან, ან რა ადგილი უჭირავთ – დიდი თუ მცირე, ანდა რანაირად გვევლინებიან – თავისთავად თუ ხატებათა სახით, და ვიდრე არ ვირწმუნებთ, რომ აქაც იმავე ხელოვნებაში გაწაფვა და წვრთნაა საჭირო.

– უცილობლად.

– მაშასადამე, თუ ზნეკეთილ კაცში ერთმანეთს ერწყმის სულიერი და ხორციელი სილამაზე, – ხოლო ორივე ეს სილამაზე ერთი და იმავე წყაროდან იღებს დასაბამს, – რა შეიძლება იყოს უფრო მშვენიერი სანახაობა იმისათვის, ვისაც ამ მშვენების დანახვა ძალუძს?

– არაფერი.

– მაგრამ ყველაზე მშვენიერი ხომ, იმავდროულად, ყველაზე უფრო საყვარელია?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, ყველაზე მეტად სწორედ ამნაირ ადამიანს შეიყვარებდა მუსიკური ხელოვნების მიმდევარი, და არა იმას, ვის არსებაშიც ჰარმონიულად არ ერწყმის ერთმანეთს სულიერი და ხორციელი მშვენიერება.

– რა თქმა უნდა, არა, თუ ეს დისჰარმონია სულიერი მანკიერების შედეგია, რასაც ვერ ვიტყვით იმ შემთხვევაში, თუ ამის მიზეზად რაიმე ფიზიკური ნაკლი გვევლინება.

– გასაგებია, – ვუთხარი მე, – შენთვის უცხოა ეს გრძნობა და ამიტომაც არ გედავები. მაგრამ ერთი ეს მითხარი: თუა რამე საერთო თავდაჭერილობასა და განცხრომას შორის?

– რა უნდა იყოს საერთო; თუკი განცხრომა არანაკლებ ვნებს სულს, ვიდრე სნეულება?

– განცხრომასა და ამა თუ იმ სიქველეს შორის?

– არაფერი.

– განცხრომასა და თავხედობას, ან თავაშვებულობას შორის?

– ყველაზე ნაკლები.

– კი მაგრამ, თუ შეგიძლია დამისახელო სხვა განცხრომა, თავისი სიმძაფრით სასიყვარულო განცხრომას რომ შეედრებოდეს?

– არა, მაგაზე შლეგური არა არის რა.

– მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარულის საგანი წესრიგია და მშვენიერება; ეს გონივრული და ჰარმონიული სიყვარულია.

– რა თქმა უნდა.

– ასე რომ, მისთვის სრულიად უცხოა სასიყვარულო განცხრომა, რასთანაც საერთო არა აქვს რა არც შეყვარებულს და არც მისი სიყვარულის საგანს.

– ვფიცავ ზევსს, მართალი ხარ, სოკრატე.

– ამიტომ ჩვენს მიერ დაარსებულ სახელმწიფოში შენ დაადგენ, რომ მათი ურთიერთობა არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს მამისა და შვილის ურთიერთობისაგან, და ამ სიყვარულის მიზანი მშვენიერება უნდა იყოს, რათა არავის მისცენ მათი გმობისა და კილვის საბაბი.

– დიახ.

– ხომ არ გგონია, – ვუთხარი მე, – რომ ჩვენი მსჯელობა მუსიკური ხელოვნების შესახებ დასასრულს მიუახლოვდა. ის დამთავრდა იმით, რითაც უნდა

დამთავრებულიყო, რადგანაც ყველაფერი, რაც მუსიკურ ხელოვნებას ეხება, მშვენიერების სიყვარულით უნდა დასრულდეს.

– გეთანხმები, – თქვა გლავკონმა.

– მუსიკური ხელოვნების კვალდაკვალ, ჭაბუკთა აღზრდა გიმნასტიკას უნდა მივანდოთ.

– რა თქმა უნდა.

– ამ მხრივაც საჭიროა გულმოდგინე წვრთნა, ბავშვობიდან მოყოლებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში. აი, რას ვფიქრობ ამის თაობაზე, თუმცა შენც ჩემთან ერთად განსაჯე: მე მგონია, კეთილაღნაგი სხეული თავისი ძალმოსილებით კი არ ანიჭებს სიკეთეს სულს, არამედ, პირიქით, კეთილი სული თავისი სიქველით განაპირობებს სხეულის სიმრთელეს და შესაძლო სრულყოფილებას; მაგრამ იქნებ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

– არა, სავსებით გეთანხმები.

– ასე რომ, თუ სათანადოდ ვიზრუნებთ სულზე და შემდეგ უკვე მას მივანდობთ სხეულზე გულმოდგინე ზრუნვას, ჩვენ კი მრავალსიტყვაობის თავიდან ასაცილებლად, ზოგად ნიმუშთა ჩვენებით შემოვიფარგლებით, როგორ გგონია, სწორად მოვიქცევით თუ არა?

– დიახ, სავსებით სწორად.

– სიმთვრალეს რომ უნდა ეროდონ, ეს უკვე ითქვა. ისე გამოტყვრე რომ აღარ იცოდე, სადა ხარ, ეს შეიძლება სხვას მიეტევოს, მაგრამ არა მცველს.

– განა სასაცილო არ იქნება, მცველს რომ მცველი სჭირდებოდეს?

– კვებაზე რაღას იტყვი? ჩვენი მცველები ხომ ყველაზე დიდი ასპარეზობის მონაწილენი არიან?

– დიახ.

მერედა, ათლეტთა ცხოვრების პირობები შესაფერისი იქნება მათთვის?

– შესაძლოა.

– მაგრამ ამნაირი პირობები ხომ ძილისგუდად აქცევს კაცს და მავნეა ჯანმრთელობისთვის. ნუთუ არ დაჰკვირვებიხარ, რომ ეს ათლეტები თითქმის მთელ სიცოცხლეს ძილში ატარებენ, და როგორც კი ცხოვრების ჩვეული წესი დაერღვევათ, მაშინვე საშინელი ავადმყოფობა დარევთ ხელს?

– როგორ არ დავკვირვებივარ.

– მეომარ ათლეტებს ცოტა უკეთესი მომზადება სჭირდებათ: ძაღლებივით ფხიზლები უნდა იყვნენ, უკიდურესად მახვილი მზერა თუ სმენა და იმნაირი ჯანმრთელობა ჰქონდეთ, რომ ლაშქრობისას ვერც ჰავის, სასმელი წყლისა თუ საკვების სხვადასხვაობამ, ვერც ზაფხულის ხვატმა თუ ზამთრის ყინვამ ვერ შეარყიოს.

– მეც ეგრე მგონია.

– მაგრამ ყველაზე საუკეთესო გიმნასტიკური აღზრდა იმ მუსიკურ აღზრდას არ ენათესავება, წეღან რომ გავარჩიეთ?

– რას გულისხმობ?

რასა და იმას, რომ ამნაირი აღზრდა მარტივი და ხელსაყრელია, მეტადრე, მეომრებისთვის.

– რა მხრივ?

– ამას თვით ჰომეროსიც გვასწავლის: როგორც მოგეხსენება, თავისი გმირების სუფრას ღრეობისას არც თევზს გააკარებს – თუმცაღა მოქმედება ზღვის პირას, ჰელესპონტოსში ხდება, – და არც მოხარშულ ხორცს, არამედ ყველგან შემწვარი

ხორცით უმასპინძლდება მათ, რაც, კაცმა რომ თქვას, გაცილებით უფრო ხელსაყრელია მეომრებისთვის: მართლაცდა, ცეცხლის დანთება ყველგან შეიძლება, ასე რომ, საჭირო აღარაა, მუდამ თან ათრიო ჭურჭელი.

– დიახ, ეგ უფრო ხელსაყრელია.

– თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჰომეროსი არც საკაზმსა თუ სანელებლებს ახსენებს სადმე. თუმცა ეს ყველა ათლეტსაც მშვენივრად მოეხსენება: ვისაც სურს საბრძოლოდ შემართული ჰქონდეს სხეული, ყოველივე ამისაგან თავის შეკავება მართებს.

– ყოჩაღ, რომ ეგ იციან და თავსაც იკავებენ.

– რახან ეს მოგწონს, ეტყობა დიდად აღტაცებული არა ხარ, ჩემო ძვირფასო, არც სირაკუზელთა სუფრითა და არც სიცილიელთა ნაირ-ნაირი კერძებით.

– მართალი გითხრა, აღტაცებას ბევრი მიკლია.

– მაშ, შენ იმასაც ჰგმობ, რომ კორინთოელი ქალიშვილი თავს დაჰკანკალებს თავის სხეულს, რათა თავი მოაწონოს კაცებს?

– რა თქმა უნდა.

– ატიკურ ნამცხვრებსაც, თუმცა მათზე უკეთესს ვერაფერს იგემებს კაცი?

– რასაკვირველია.

– მე მგონია, ამნაირი კვებაც და ცხოვრების ამნაირი წესიც შეიძლებოდა შეგვედარებინა მელოსისა და სიმღერისათვის, რომელშიაც ჩაქსოვილია ყველა კილო და ყველა რიტმი; განა მართალს არ ვამბობ?

– დიახ.

– აქ სიჭრელე აღვირახსნილობის სათავე ხდება, იქ კი – სნეულებისა, და პირიქით, სისადავე მუსიკურ ხელოვნებაში ხელს უწყობს სულის წონასწორობას, გიმნასტიკაში კი– ტანის სიმრთელეს.

– ცამდე მართალი ბრძანდები.

– როცა მთელ სახელმწიფოს მოედება აღვირახსნილობა და სნეულება, რაც შეიძლება მეტი სამსჯავრო და საავადმყოფო უნდა გაიხსნას, და განა ფასი არ დაედება სამსჯავროებში საქმის გარჩევას და მკურნალობას, როცა ამას გულმოდგინედ ხელს მიჰყოფს მრავალი კეთილშობილი კაცი?

– რა თქმა უნდა.

– განა მოიძებნება მოქალაქეთა მანკიერი და სამარცხვინო აღზრდის უფრო სარწმუნო საბუთი, ვიდრე ის, რომ დახელოვნებული ექიმებისა და მსაჯულების გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენიათ არა მარტო მდაბიორებსა და ხელოსნებს, არამედ იმათაც, ვისაც თავი მოაქვს კეთილშობილური აღზრდით? განა, შენის აზრით, სამარცხვინო და უზრდელობისა თუ უწვრთნელობის უტყუარი ნიშანი არ არის ის რომ ამდენი ხალხი იძულებულია სხვებისაგან ნასესხები სამართლიანობით იცხოვროს და სხვებსვე მოუხმოს საკუთარი ბედ-იღბლის გამრიგედ, რაკიღა სამართლიანობის საკუთარი გაგება არ გააჩნია?

– მართლაც რომ სამარცხვინოზე სამარცხვინოა.

– მაგრამ უფრო სამარცხვინოდ ხომ არ მიიჩნევ იმ გარემოებას, რომ ადამიანი არა მარტო სამსჯავროებში ატარებს თავისი ცხოვრების უმეტეს ნაწილს როგორც მოპასუხე თუ მომჩივანი, არამედ იკვეხნის კიდეც იმას, რომ შეუძლია უსამართლო იყოს, ათას ხვრელში გაძვრეს და ათასნაირი ხრიკით თავიდან აიცილოს სასჯელი, ხოლო ყოველივე ამის შედეგად ერთი სრულიად უმნიშვნელო და უბადრუკი საქმე მოიგოს? არც კი იცის, რამდენად უფრო მშვენიერია და უმჯობესი, ისე წარმართო

ცხოვრება, რომ საერთოდ არ დაგჭირდეს მსაჯული, რომელიც საქმის გარჩევისას თვლემს.

– დიახ, ეგ კიდევ უფრო სამარცხვინოა.

– ხოლო როცა მკურნალობა წყლულების ან იმ სნეულების გამო კი არ ხდება საჭირო, წლითი-წლობით რომ მეორდება, არამედ უქნარობისა და ცხოვრების იმ მანკიერი წესის შედეგად, რაზედაც წეღან ვლაპარაკობდით, განა ეს კი არ არის სამარცხვინო? სხეული ჭაობივით ივსება მაშინ ათასნაირი მავნე ნესტით თუ ოხშივარით, რაც საიმისოდ აქეზებს მახვილგონიერ ასკეპიადებს, რომ ამნაირ სნეულებებს «წყალმანკსა» თუ «ლორწოვან ანთებებს» უწოდებდნენ.

– ეს რა ახალი და უჩვეულო სახელებია.

– რომლებიც, ალბათ, არც არსებობდნენ ასკლეპიოსის დროს; ხოლო ამას შემდეგი გარემოება მაფიქრებინებს: როდესაც ტროასთან დაჭრილ ევრიპილეს ერთმა ქალმა პრამნოსური ღვინით უწამლა, რომელშიაც შერეული იყო ფქვილი და გახეხილი ყველი, რასაც შეიძლებოდა ლორწოვანი ანთება გამოეწვია, ასკლეპიოსის ვაჟებს ამნაირი მკურნალობა არ აუკრძალავთ მისთვის, და არც პატროკლეს სამკურნალო საშუალებები დაუწუნებიათ.

– მართლაც რომ უცნაური წამალი იყო ამ დღეში მყოფი კაცისთვის.

– არც ისე უცნაური, თუ დაუფიქრდები, რომ ჰეროდიკემდე ასკლეპიადებმა, როგორც ამბობენ, საერთოდ არ იცოდნენ, რანაირად წარემართათ ავადმყოფობის განვითარება, ესე იგი, მათთვის უცხო იყო მკურნალობის ახლანდელი გზა. ჰეროდიკე კი გიმნასტიკის მასწავლებელი იყო, და როცა ჯანმრთელობა შეერყა, სამკურნალოდ სწორედ გიმნასტიკას მიმართა, რითაც ჯერ თავის თავსვე დაუწყო ჯიჯგნა და წამება, შემდეგ კი სხვებსაც.

– როგორ?

– როგორ და ისე, რომ სულთმობრძაობა გაიხანგრძლივა. მიუხედავად იმისა, რომ სასიკვდილოდ იყო გადადებული და, ბევრიც ეცადა, ვერასდიდებით ვერ განიკურნებოდა, მაინც გადაწყვიტა კვალდაკვალ მიჰყოლოდა თავისი სნეულების განვითარებას, ყველაფერზე ხელი აიღო და სხვა მიზანი აღარ დარჩა, გარდა მკურნალობისა, რაც ძალიან ძვირად დაუჯდა, ვინაიდან წელებზე ფეხს იდგამდა, რომ მისხლითაც არ დაერღვია ცხოვრების ჩვეული წესი. ასე, თავისი ცოდნისა და გულმოდგინების წყალობით, უწყვეტი კვდომის მიუხედავად, რის ვაივაგლახით მიაღწია სიბერეს.

– კაი სამსახური კი გაუწევია სამკურნალო ხელოვნებას მისთვის!

– ახია მასზე! რა დიდი საქმე უნდოდა იმის მიხვედრას, რომ თუ ასკლეპიოსმა არაფერი გაუმჟღავნა თავის მემკვიდრეებს ამნაირი მკურნალობის თაობაზე, ეს უმეცრებით ან გამოუცდელობით როდი მოსვლია. არა, მან იცოდა, რომ კეთილმოწყობილ სახელმწიფოში ყველა თავის დანიშნულებას ასრულებს და არავის არა აქვს იმის უფლება, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ თავის სნეულებას ულოლიავებდეს. სეირი, თუ გნებავთ, სწორედ ისაა, რომ ასე იქცევიან ხელოსნები, მაგრამ არა სიმდიდრით გალაღებულნი, ბედნიერნი რომ ჰგონია ხალხს.

– როგორ?

– ხურო რომ ავად გახდება, ექიმს მიაკითხავს წამლისთვის, რომელიც პირის ღებინებასა თუ კუჭის მოქმედების გაძლიერებას იწვევს, ან კიდევ მტკივანი ადგილის ამოწვასა თუ ამოკვეთას სთხოვს. თუ ექიმმა ხანგრძლივი მკურნალობა დაუნიშნა, ურჩია თავშეფუთნულმა იაროს და სხვა მისთანანი, ეს ჩვენი ხურო ადგება და პირში მიახლის, საიმისოდ სადა მცალია, რომ ჩემს ავადმყოფობას ველოლიავოო; რას

მიბრძანებ საქმეზე ხელი ავიღო და ავადმყოფობის მეტი აღარაფერი მახსოვდეს? ამნაირ ყოფას სიკვდილი მიჯობსო. ამ სიტყვებით დაემშვიდობება ექიმს, და თუ მოიკეთა, კვლავ თავის საქმეს მიჰყოფს ხელს, ხოლო თუ მისი სხეული სნეულებას ვერ მოერია, სიკვდილიც აღარ დაახანებს და ტანჯვისაგან დაიხსნის.

– ამნაირ კაცს სწორედ ასეთი მკურნალობა შეჰფერის.

– იმიტომ ხომ არა, რომ თავისი საქმე აქვს, და თუ მისი კეთების თავი არ ექნა, სიცოცხლეც არაფრად უღირს?

– ცხადია.

– მდიდარს კი, როგორც აღვნიშნეთ, იმნაირი საქმე არა აქვს, რომ მასზე ხელის აღებამ სიცოცხლე შეაძულოს.

– ჰო, მაგრამ ვინ აღიარებს მაგას?

– შენ ალბათ, გაგიგონია ფოკილიდეს სიტყვები:

«ჯერ ლუკმა პურზე უნდა იზრუნო, სიქველეზე კი მხოლოდ მას შემდეგ.»

– მე კი პირიქით მგონია.

– მაგრამ ამის გამო ომს ნუ გამოვუცხადებთ ფოკილიდეს; უმჯობესია ვიკითხოთ, სჭიროა თუ არა, რომ მდიდარი კაცი სიქველეში იწვრთნიდეს თავს, ან რამდენად აუტანელი, ეჩვენება სიცოცხლე, თუკი ამის საშუალება არ ექნა, და თუ ხურო ან სხვა ხელოსანი ხანგრძლივი მკურნალობის ნებას არ აძლევს თავს, რადგანაც მაშინ იძულებული იქნება მუშაობაზე აიღოს ხელი, ვითომ მდიდარ კაცს რა უჭირს, რომ ფოკილიდეს რჩევას მისდიოს?

– ვფიცავ ზევსს, უჭირს და ძალიანაც უჭირს, რაკიღა სხეულზე მომეტებული ზრუნვა ჩვეულებრივი გიმნასტიკის ფარგლებს სცილდება; ეს ოჯახის გაძღოლაშიც ხელის შემშლელია და ლაშქრობაშიაც, ქვეყნის მართვაშიც და შინ უქმად ყოფნაშიაც.

– მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ სხეულზე მომეტებული ზრუნვა ყველაზე დიდ დაბრკოლებად გვეღობება ცოდნის შეძენის, აზროვნებისა თუ თვითშემეცნების გზაზე. ხალხს ჰგონია, რომ ეს გონების მეტისმეტ დაძაბულობას, თავის ტკივილსა თუ თავბრუსხმას იწვევს, რაშიაც ბრალს სდებენ ფილოსოფიას, დიახ, იმ ფილოსოფიას, რომლის წყალობითაც ვითარდება და მოწმდება კიდეც სიქველე, და ამტკიცებენ, რომ სწორედ ის აიძულებს ადამიანს მძიმე ავადმყოფად მიაჩნდეს თავი და გამუდმებით უჩიოდეს თავის ჯანმრთელობას.

– ეგრე ჩანს.

– მერედა, რა ვქნათ, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ასკლეპიოსმაც იცოდა ეს და მხოლოდ იმას უნიშნავდა მკურნალობას, ვისაც ბუნებით თან დაჰყვა ტანის სიმრთელე და ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს, მაგრამ შემთხვევით შეეყარა რაღაც უჩვეულო სენი? ამიტომაც წამლობითა თუ გაკვეთით ცდილობდა სნეულების ამოძირკვას, მაგრამ ისე კი, რომ ავადმყოფს კვლავაც ძველებურად ეცხოვრა, რათა საზოგადო საქმეს რაიმე ზიანი არ მისდგომოდა. რაც შეეხება ამა თუ იმ მძიმე შინაგან სნეულებას, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ გრძელდება, ასკლეპიოსი არც კი ცდილობდა ავადმყოფისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა იმის შედეგად, რომ ასე თუ ისე შეეცვალა მისი ცხოვრების წესი, რათა ფუჭი და უბადრუკი სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა საცოდავისთვის, და ამრიგად, საშუალება არ მიეცა, ზუსტად მისნაირი შთამომავლობა დაეტოვებინა ქვეყნად. ასკლეპიოსის აზრით, კაცი, რომელსაც იმისი თავი არ ჰქონდა, რომ გაესრულებინა ბუნების მიერ დასაზღვრული ამქვეყნიური არსებობის ყავლი, მკურნალობის ღირსიც არ იყო, რადგან ვერც თავს არგებდა რასმე და ვერც საზოგადოებას.

– მაშ, შენი აზრით, ასკლეპიოსი საზოგადოებაზე ზრუნავდა?

– რა თქმა უნდა, და თუ კარგად დაუკვირდები, დაინახავ, რომ მისი ვაჟებიც, მამაცურად რომ იბრძოდნენ ტროასთან, ზუსტად ისევე იყენებდნენ თავიანთ სამკურნალო ხელოვნებას, როგორც მე გეუბნები. ან, იქნებ, აღარ გახსოვს, რომ პანდაროსის ისრით დაჭრილ მენელაოსს ისინი

«სისხლსა სწურავდნენ და მალამოს ადებდნენ წყლულზე.»

ხოლო იმის თაობაზე, თუ რა ესვა და ეჭამა შემდეგ, მენელაოსსაც დაახლოებით იგივე ურჩიეს, რაც ევრიპილეს, ვინაიდან განკურნებისათვის წამალიც საკმარისია, და თუ კაცი დაჭრამდე ჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრობდა, დაჭრილი თუნდაც იძულებული გამხდარიყო კიკეონი შეესვა. ხოლო ბუნებით ავადმყოფი და, თანაც, თავშეუკავებელი კაცის ცხოვრება ასკლეპიადებს ფუჭად და ურგებად მიაჩნდათ, როგორც თვით მისთვის, ისე მისი ახლობლებისთვისაც; ამიტომ, მათი აზრით, ის მკურნალობის ღირსადაც არ ჩაითვლებოდა, თუნდაც თვით მიდასზე მდიდარიც ყოფილიყოს.

– შენ თუ გერწმუნებით, ასკლეპიოსის ვაჟები ნამდვილი ჭკუის კოლოფები ყოფილან.

– როგორც მათ შეჰფერის და ეკადრება. თუმცა, ალბათ, არც ტრაგიკოსები დაგვიკრავენ კვერს და არც პინდარე: მათი მტკიცებით, ასკლეპიოსი აპოლონის ძე იყო, მაგრამ ოქროს ფასად დათანხმდა მოერჩინა ერთი მომაკვდავი მდიდარი კაცი, რისთვისაც მეხი დაეცა და ფერფლად აქცია. ჩვენ კი, ზემოთქმულის თანახმად, არც ერთი გვჯერა და არც მეორე: მართლაცდა, ასკლეპიოსი რომ ღმერთის ძე ყოფილიყო, ანგარებისმოყვარე არ იქნებოდა, ხოლო თუ ანგარებისმოყვარე იყო, ღმერთის ძედ ვეღარ დავსახავდით.

– ცამდე მართალი ხარ, მაგრამ ამაზე რას იტყვი, სოკრატე: სჭირდება თუ არა ჩვენს სახელმწიფოს კარგი ექიმები? კარგი ექიმები კი უპირატესად ისინი არიან, ვის ხელშიაც ყველაზე მეტ ჯანმრთელსა და ავადმყოფ ადამიანსაც გაუვლია. იგივე ითქმის მსაჯულებზედაც; ყველაზე უკეთეს მსაჯულებად ისინი უნდა მიგვაჩნდნენ, ვისაც ათასი ჯურის ხალხთან ჰქონია საქმე.

– დიახ, მეც იმ აზრისა ვარ, რომ კარგი ექიმებიც გვჭირდება და კარგი მსაჯულებიც; მაგრამ თუ იცი, ვინ მიმაჩნია ამნაირებად?

– მეცოდინება, თუ მეტყვი.

– რაც არი, არი, ვეცდები. მაგრამ შენ კითხვაში ორი სხვადასხვა რამ შეაერთე.

– როგორ?

– ყველაზე დახელოვნებულ ექიმად ის მოგვევლინებოდა, ვინც, ბავშვობიდან მოყოლებული, მარტო თავის ხელოვნებას კი არ შეისწავლიდა, არამედ რაც შეიძლება მეტ უიმედო ავადმყოფთანაც ექნებოდა საქმე, არც თვითონ იქნებოდა მაინცდამაინც დიდი ჯანმრთელობის პატრონი და ამიტომ მრავალ სნეულებას გადაიტანდა. რადგანაც, მე თუ მკითხავ, ავადმყოფ სხეულს სხეულითვე კი არ მკურნალობენ (თორემ ექიმებისთვის საერთოდ დაუშვებელი იქნებოდა ავადმყოფობა), არამედ – სულით, სულით კი ვერავის უმკურნალებ, თუ თვითონვეა სნეული, ან შემდეგ დასნეულდა.

– სწორია.

– მსაჯული კი, ჩემო მეგობარო, სულითა მართავს სულს. ამიტომაც დაუშვებელია, რომ მისი სული სიყრმითგანვე ტრიალებდეს უკეთურ სულთა შორის, უწყვეტი ურთიერთობა ჰქონდეს მათთან, ათასნაირი უსამართლობის მოწმე იყოს და თვითონაც სჩადიოდეს უსამართლობას, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი გამოცდილებით განსაჯოს სხვისი დანაშაული, ისევე, როგორც ექიმი საკუთარი

ავადმყოფობის მიხედვით მსჯელობს სხვის სნეულებაზე. პირიქით, სული სიყრმითგანვე უბიწო და უმანკო უნდა იყოს, თუკი მომავალში მოუწევს ისე აღასრულოს მართლმსაჯულება, როგორც შეჰფერის ღირსეულ კაცს. ამიტომაცაა კეთილშობილი სული ესოდენ მიამიტი სიყრმისას თუ სიჭაბუკისას, ამიტომაც ებმება ასე ადვილად უკეთურთა მიერ დაგებულ მახეში: მისთვის ხომ სრულიად უცხოა უღირსის მთელი სიბილწე.

– მართლაცდა, ყველა კეთილშობილი სული სასტიკად იტანჯება ამის შედეგად.

– ამიტომაც მართლად გამრიგე მსაჯული ჭაბუკი კი ვერ იქნება, არამედ ხანდაზმული, რომელმაც მხოლოდ მოწიფულობისას შეიცნო უსამართლობის ბუნება, რაც თავისსავე სულში კი არ აღმოუჩენია, როგორც საკუთარი მანკიერება, არამედ – სხვებისაში, როგორც მისთვის სრულიად უცხო რამ. აი, რამდენი დრო დასჭირდა ამ ბოროტების არსში საწვდომად, რადგანაც უსამართლობას მხოლოდ სხვებზე დაკვირვების გზით თუ შეიცნობს და არა საკუთარი გამოცდილებით.

– როგორც ჩანს, სწორედ ეგ იქნება ღირსეული მსაჯული.

– დიახ, ღირსეული; შენც ხომ ამას მეკითხებოდი. რადგანაც ღირსეულია ის, ვისი სულიც ღირსებითაა სავსე. გაქნილი კაცი კი, ვისაც ყველაფერში მხოლოდ უკეთურება ელანდება, თვითონვე მრავალი უსამართლობის ჩამდენი, ყოვლის მცოდნედ და ბრძენკაცად რომ მოაქვს თავი, – მართალია, თავისსავე მსგავს ხალხთან ურთიერთობისას ყოვლისშემძლე ჩანს, რადგანაც უკეთურთა ალი-კვალია და თავისსავე თავში ხედავს მათი ბიწიერების ნიმუშს; მაგრამ როცა მასზე უხნესსა და კეთილშობილ ხალხთან უხდება ურთიერთობა, მისი გაუმართლებელი უნდობლობისა და უადგილო ეჭვიანობის შედეგად დაუყოვნებლივ ვლინდება მისი სრული უმწეობა და უმეცრება, ვინაიდან წარმოდგენაც არა აქვს კეთილზნეობაზე, რაც ესოდენ უცხო ხილია მისთვის. და მაინც, რაკი ბიწიერნი უფრო ხშირად ახვევიან გარს, ვიდრე სიქველით მოსილნი, თავისი თავი ბრძენი უფრო ჰგონია, ვიდრე რეგვენი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასევე ეჩვენებათ სხვებსაც.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, მსაჯული, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, დიდებული და ბრძენი მსაჯული, ეს კაცი კი არ იქნება, არამედ ის, ვინც პირველად დავასახელეთ. უკეთურება ვერასოდეს ვერ შეიცნობს ვერც სიქველეს და ვერც საკუთარ თავს, მაშინ როდესაც სიქველე, რომელსაც მხარს უმაგრებს განსწავლულობა, თავის თავსაც შეიცნობს და უკეთურებასაც. ჩემის აზრით, სწორედ ამნაირი კაცი ეზიარება სიბრძნეს, და არა უღირსი.

– მეც მაგ აზრისა ვარ.

– ასე რომ, ჩვენს სახელმწიფოში, ამნაირ მართლმსაჯულებასთან ერთად, შენ დაამკვიდრებ ისეთ სამკურნალო ხელოვნებას, რაზედაც წეღან ვლაპარაკობდით. როგორც ერთის, ისე მეორის მიზანი სულით და ხორცით ჯანსაღსა და სრულფასოვან მოქალაქეებზე ზრუნვა იქნება, დანარჩენები კი ჭირსაც წაუღია: ორივენი ხელს ააღებენ და სასიკვდილოდ გასწირავენ ხორციელად არასრულფასოვან მოქალაქეებს, ხოლო მათ, ვისი სულიც იმდენად ბიწიერია, რომ ვეღარაფერი გამოასწორებს, მათივე თვისტომნი მიუჯიან სიკვდილს.

– ასე აჯობებს არა მარტო ამ საპყართა და სახიჩართათვის, არამედ მთელი სახელმწიფოსთვისაც.

– ჭაბუკები კი, ეტყობა, ეცდებიან თავი აარიდონ მსაჯულებას, რაკიღა დაუფლებულნი იქნებიან იმ მარტივ მუსიკურ ხელოვნებას, რომელიც, ზემოთქმულისა არ იყოს, ხელს უწყობს თავდაჭერილობის განვითარებას.

– რა თქმა უნდა.

– ზუსტად ასევე, მუსიკურ ხელოვნებას დაუფლებული ყოველი კაცი, რომელიც, იმავდროულად გიმნასტიკასაც მისდევს, დახმარებისათვის მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში თუ მიმართავს სამკურნალო ხელოვნებას.

– მეც ეგრე მგონია.

– გიმნასტიკაში თავის გაწაფვაც, წვრთნაც და ათასგვარი სიძნელის დაძლევაც მას მხოლოდ სულიერი ძალმოსილების განსამტკიცებლად სჭირდება, და არა ფიზიკური ძალისა; ამ მხრივ, ის მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი ათლეტებისგან, რომლებიც მხოლოდ იმას მიელტვიან, რომ უფრო ძლიერები გახდნენ.

– მართალს ბრძანებ.

– რას იტყვი, გლავკონ, მუსიკურსა და გიმნასტიკურ ხელოვნებაზე დაფუძნებული აღზრდა იმას ხომ არ ისახავს მიზნად, რომ ერთის მეშვეობით სხეული განავითარონ, მეორის მეოხებით კი – სული?

– მხოლოდ და მხოლოდ მაგას.

– მაგრამ იქნებ ორივე სულის სარგოდ იქნა დაწესებული?

– როგორ?

– ნუთუ არ შეგიმჩნევია, რანაირი სული აქვს იმას, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ გიმნასტიკას მისდევდა და ერთხელაც არ გაჰკარებია მუსიკურ ხელოვნებას? ან იმას, ვინც პირიქით იქცეოდა?

– რას გულისხმობ?

– ერთის მხრივ, სიტლანქეს და სისასტიკეს, მეორეს მხრივ სილბოსა და თვინიერებას.

– როგორ არ შემიმჩნევია: ვინც მხოლოდ გიმნასტიკას მისდევს, მეტისმეტად ტლანქი და უხეში ხდება, ხოლო ვინც მარტოოდენ მუსიკურ ხელოვნებაში იწაფავს თავს, – უფრო მეტად სათუთი, ვიდრე ჯერ არს.

– არადა, სიტლანქე, რომელიც ბუნებითი სიფიცხისგან იღებს დასაბამს, წრფელი გზით წარმართული სათანადო აღზრდის შედეგად, შეიძლებოდა სიმამაცეში გადაზრდილიყო; მაგრამ მეტისმეტი სიტლანქე, რა თქმა უნდა, გაუსაძლისია და აუტანელი.

– დიახ, მეც მაგ აზრისა ვარ.

– ხოლო თვინიერება განა სიბრძნის მოყვარე სულის ბუნებრივ თვისებად არ გვევლინება? მართალია, მეტისმეტი თვინიერება უნიათობასა და უხერხემლობას უახლოვდება, მაგრამ სათანადო აღზრდის წყალობით, ის სხვა არა არის რა, თუ არა თავმდაბლობა და კრძალულება.

– მართალია.

– ჩვენ კი გვინდა, რომ სახელმწიფოს მცველები ორივე ამ თვისებას აერთიანებდნენ.

– დიახ.

– და რომ ორივე თვისება ჰარმონიულად ერწყმოდეს და ეხამებოდეს ერთმანეთს.

– რა თქმა უნდა.

– სული, რომელშიაც ისინი ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს, მამაცია და თავდაჭერილი.

– მართალს ბრძანებ.

– მათი დისჰარმონია კი სულის სიმხდალისა და სიტლანქის სათავედ გვევლინება.

– დიახ.

– თუ კაცი მთელის არსებით განიცდის მუსიკის მომნუსხველ ზემოქმედებას და იმ ტკბილი, თბილი და მწუხარე ჰანგების ნაკადი, რაზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით, ყურებიდან – თითქოს ერთგვარი ძაბრიდან – ეღვრება სულში, თუ ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჭმუნვით აღვსილი ან სიხარულით აღტყინებული ქედს იხრის სიმღერის ჯადოქრული ხიბლის წინაშე, მაშინ ეს, უწინარეს ყოვლისა, არბილებს მისი სულის სიფიცხეს, როგორც რკინას არბილებს ცეცხლი, და მისი თვითრჯულობა თუ უჯიათობა, რაც აქამდე არას არგებდა, ახლა შეიძლება სასარგებლო შეიქნეს მისთვის. მაგრამ თუ ის უწყვეტად და დაუსრულებლად ნებდება ამ მომნუსხველ ხიბლს, მაშინ მისი სიფიცხე კი არ რბილდება, არამედ ლღვება, რაც ისეთნაირად ასუსტებს სულს, თითქოს ყველა მყესი ამოაცალესო, ხოლო თვითონ «უსუსურ შუბოსნად» იქცევა.

– რა თქმა უნდა.

– და ეს მით უფრო სწრაფად იჩენს თავს, რაც უფრო სუსტი სული დაჰყვება კაცს დაბადებიდან. ხოლო ვისაც ფიცხი სული აქვს, სიფიცხის დათრგუნვის შემდეგ ფხუკიანი ხდება: ყველა წვრილმანი აღიზიანებს, თუმცა უმალვე ივიწყებს წყენას; ასე რომ, სიფიცხეს სიავე, სიანჩხლე და გულღრძოობა ცვლის.

– როგორც ჩანს.

– ხოლო თუ კაცი თავგადაკლული ვარჯიშობს, მერე კი ხარბად აცხრება საჭმელს, მაგრამ არც მუსიკურ ხელოვნებას დაგიდევს და არც ფილოსოფიას, განა ქედმაღლობითა თუ ამპარტავნებით არ აღივსება და თავის თავსვე არ აღემატება ყოყლოჩინობით?

– რასაკვირველია.

– მაგრამ რაკი სხვა საქმე არა აქვს და მუზასთანაც მწყრალად ბრძანდება, ცოდნის შეძენაც რომ სურდეს, რაკიღა არც რა შეუსწავლია და არც რისიმე ძიებით აუტკიებია თავი, არც სიტყვიერების მადლს ზიარებია და არც მუსიკური ხელოვნების სხვა დარგში უდევს წილი, – მისი სურვილი თანდათანობით სუსტდება და თითქოს ბრმა და ყრუ ხდება, ასე რომ, ვეღარ ახერხებს გამოაფხიზლოს ეს კაცი, დაწმინდოს მისი გრძნობები და დახვეწოს მისი უნარი.

– სწორია.

– ამნაირი კაცი, ჩემის აზრით სიტყვის მტერი და მუზების მოძულე ხდება. ის გონებას როდი მოუხმობს ვიღაცის დასარწმუნებლად, არამედ ნადირივითა ცდილობს, სისასტიკითა და ძალმომრეობით გაიტანოს თავისი; მთელ სიცოცხლეს უმეცრებასა და უქნარობაში ატარებს, უაზროდ და უშინაარსოდ.

– მართალს ბრძანებ.

– ჩემის აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ხელოვნება – მუსიკური და გიმნასტიკური, – რომელიღაც ღვთაებამ უბოძა ადამიანებს, მაგრამ სულისა და სხეულისთვის კი არა (ეს მხოლოდ სასხვათაშორისოდ) არამედ იმ მიზნით, რომ სიმამაცე და სიბრძნე ჩაენერგა ადამიანებისთვის, რათა ორივე ეს თვისება ჰარმონიულად შერწყმოდა ერთმანეთს, ხან მათი დაძაბვის, ხან კი მოშვების გზით, ვიდრე არ მიიღწეოდა, მათი სრული თანხმობა.

– როგორც ჩანს.

– მაშასადამე, ვინც ყველაზე უკეთ უხამებს ერთმანეთს გიმნასტიკურსა თუ მუსიკურ ხელოვნებას და როგორც ერთს, ისე მეორეს სათანადო თანაფარდობით უსადაგებს საკუთარ სულს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან უკვე მიაღწია

სრულქმნილებას მუსიკურ ხელოვნებაში და უფრო ჰარმონიულ თანახმიერებასაც, ვიდრე იმან, ვინც სიმებს აწყობს.

– მართლაც ეგრეა, სოკრატე.

– ასე რომ, ჩვენს სახელმწიფოში, მისი წყობილების შესანარჩუნებლად, სწორედ ამნაირი აღმზრდელი დაგვჭირდება, გლავკონ.

– რა თქმა უნდა.

– აი, ასე გვესახება აღზრდისა და განსწავლის ძირითადი ნიმუშები. რას ვუკირკიტოთ იმას, თუ რანაირი უნდა იყოს ჩვენი მცველების ცეკვა, მათი ნადირობა მწევრებით თუ უმწევრებოდ, მათი ათლეტური შეჯიბრი, ცხენოსანთა თუ მეეტლეთა ასპარეზობა? ისედაც ნათელია, რომ ყოველივე ეს აღზრდის ძირითად ნიმუშებს უნდა ეხამებოდეს, და ახლა ძნელი როდია ამის მიკვლევა.

– მართლაც არაა ძნელი.

– მაშ, რაღა დაგვრჩა ამის შემდეგ განსახილველი? იქნებ, ის, თუ ჩვენს მოქალაქეთა შორის ვინ უნდა გასცემდეს ბრძანებებს, ან ვინ უნდა ასრულებდეს მათ?

– რა თქმა უნდა.

– ცხადია, რომ ბრძანებებს უნდა გასცემდნენ უხუცესნი, შესრულებით კი უმრწემესნი ასრულებდნენ.

– ცხადია.

– უხუცესთა შორის კი – ყველაზე უკეთესნი.

– ეგეც ცხადია.

– კი მაგრამ, მიწის მუშაკთა შორის განა ისინი არ არიან ყველაზე უკეთესნი, ყველაზე უკეთ რომ ამუშავებენ მიწას?

– დიახ.

– ახლა კი ესეც მითხარი: ვინაიდან მბრძანებელნი უკეთესნი უნდა იყვნენ ჩვენს მცველთა შორის, განა მათ ყველაზე მეტად არ უნდა შესწევდეთ სახელმწიფოს დაცვის უნარი?

– დიახ.

– ხოლო ამისათვის საჭიროა გამჭრიახობა, ძალმოსილება და დაუცხრომელი ზრუნვა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

– რა თქმა უნდა.

– ზრუნვით კი ყველა იმაზე უფრო ზრუნავს, რაც უფრო მეტად უყვარს.

– უცილობლად.

– ხოლო სიყვარულით ყველაზე მეტად მაშინ უყვარს, როცა დარწმუნებულია, რომ ის, რაც საქმეს რგებს, მისთვისაც სასარგებლოა, და მის წარმატებასა თუ მარცხს საქმის წარმატება ან წახდენა განაპირობებს.

– ეგრეა.

– მაშასადამე, მცველებს შორის უნდა ამოვარჩიოთ იმნაირი ხალხი, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად დაისახავდა დაუცხრომელ ზრუნვას სახელმწიფოს საკეთილდღეოდ და არასდიდებით არ დათანხმდებოდა, საზოგადო სიკეთის საზიანოდ ემოქმედა.

– აი, ეგენი იქნებოდნენ ნამდვილი მზრუნველნი.

– ჩემის აზრით, ყველა ასაკის ხალხში თვალი უნდა გვედევნებინა იმათთვის, ვინც განუხრელად დაიცავდა ამ წესს და ვერავითარი ცთუნება თუ ძალმომრეობა ვერ აიძულებდა უკუეგდო ან დაევიწყებინა ის აზრი, რომ საჭიროა იმის კეთება, რაც სახელმწიფოს რგებს.

– რას გულისხმობ, როცა ამბობ – »უკუეგდო«?

– მოგახსენებ. მე ასე ვფიქრობ: ადამიანს შეიძლება აზრი თავიდან ამოუვარდეს ან მისი ნებით, ან მისდა უნებურად; მისი ნებით, თუ აზრი ყალბია და ადამიანი მის სიყალბეს ხვდება; მისდა უნებურად, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც აზრი ჭეშმარიტია.

– გასაგებია, რანაირად ხდება ეს საკუთარი ნებით, მაგრამ როგორღა ხდება იგივე უნებურად, ეს კი აღარ მესმის.

– როგორ? განა შენც ჩემსავით არ გგონია, რომ ადამიანები თავისდა უნებურად კარგავენ იმას, რაც მათთვის სასიკეთოა, ხოლო იმას, რაც მათთვის ბოროტებაა, – საკუთარი ნებით? განა ბოროტება არაა მცდარად გესმოდეს ჭეშმარიტება, სიკეთე კი ის, რომ ჭეშმარიტი სახით აღიქვამდე იმას, რაც ჭეშმარიტია? განა სწორედ ამას არ ნიშნავს მართებული აზრი თუ წარმოდგენა გქონდეს ყოველივე არსებულზე?

– მართალს ბრძანებ; მეც მგონია, რომ ადამიანები თავისდა უნებურად კარგავენ ჭეშმარიტ აზრს თუ წარმოდგენას.

– ესე იგი, როცა მათ ქურდავენ, აჯადოებენ ან ძალმომრეობით თრგუნავენ.

– არც ახლა მესმის.

– როგორც ჩანს, ტრაგიკოსებივით ვლაპარაკობ. გაქურდულს მე ვუწოდებ იმას, ვინც საშუალება მისცა სხვებს, აზრი შეეცვლევინებინათ მისთვის, ან იმას, ვინც გულმავიწყია: ამ უკანასკნელს მისთვისვე უჩუმრად ქურდავს დრო, პირველს კი – სიტყვიერი საბუთი; ახლა ხომ გესმის?

– დიახ.

– ძალმომრეობით დათრგუნვილად ის მიმაჩნია, ვისაც ტანჯვა-წამებამ თუ მწუხარებამ შეაცვლევინა აზრი.

– მართალს ბრძანებ; მაგნაირებსაც ბევრს ვიცნობ.

– მოჯადოებულად კი, ალბათ, შენ თვითონვე აღიარებ იმას, ვისაც აზრს აცვლევინებს განცხრომის საცთური, ან ვიღაცის თუ რაღაცის შიში.

– როგორც ჩანს, ყოველივე ის, რასაც შეცდომაში შეჰყავს სული, კიდევაც აცთუნებს მას.

– ამრიგად, ჩემი წეღანდელი თქმისა არ იყოს, უნდა ვეძებოთ ის ხალხი, ვინც ყველაზე მტკიცედ იცავს საკუთარ აზრს და თავს მოვალედ თვლის აღასრულოს ყველაფერი, რაც სახელმწიფოსათვის ყველაზე მეტად სასარგებლოა. ამიტომ ბავშვობიდანვე უნდა ვცდიდეთ და სხვადასხვა საქმეს ვაკეთებინებდეთ მათ, იმავდროულად კი ვაკვირდებოდეთ, ვინ უფრო მალე ივიწყებს თავის მოვალეობას, ან ვის რა აცთუნებს; ამის შემდეგღა ვირჩევდეთ იმათ, ვისაც კარგი მეხსიერება აქვს და ვისი ცთუნებაც ძნელია, ხოლო ვინც ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ჩვენ არ გვჭირდება; ასეა, არა?

– დიახ.

– კიდევაც უნდა ვამუშაოთ, ვაომოთ და ჭირის ოფლი ვაწურვინოთ რათა ვნახოთ, ვინ როგორ გაუძლებს ამას.

– სწორია.

– მესამენაირი გამოცდაც უნდა მოვუწყოთ მათ, მე ვგულისხმობ გამოცდას ცთუნების საშუალებით, და ვნახოთ, ვინ როგორ გაუძლებს საცთურს. როგორც კვიცებს ერეკებიან ყიჟინით, რათა დარწმუნდნენ, მფრთხალები არიან თუ არა, ჩვენი ჭაბუკებიც ჯერ რაღაც საშინელებაში უნდა გამოვატაროთ, შემდეგ კი სასიამოვნო განცდით შევცვალოთ საშინელება, და ამრიგად, უფრო სასტიკი გამოცდის წინაშე დავაყენოთ ისინი, ვიდრე ოქროსა სცდიან ცეცხლით: ამნაირად გაირკვევა, შესწევთ თუ არა იმისი ძალა, რომ საცთურს გაუძლონ, მტკიცედ იცავენ თუ არა თავიანთ

თავსაც და მუსიკურ ხელოვნებასაც რომელსაც დაუფლებიან, ყოველნაირ ვითარებაში უხამებენ თუ არა თავიანთ ქცევას ზომიერებას და ჰარმონიულობას და აქვთ თუ არა იმის უნარი, რომ რაც შეიძლება მეტი არგონ თავიანთ თავსაც და სახელმწიფოსაც. იმათ, ვინც ღირსეულად გაუძლო ამ გამოცდას ყველა ასაკში – ბავშვობაშიც, სიჭაბუკეშიც და მოწიფულობაშიაც, – სახელმწიფოს მმართველობასა და დაცვას მივანდობთ, უშურველ პატივს მივაგებთ არა მარტო სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც, დიდებულ ძეგლებს ავუგებთ და ასე უკვდავყოფთ მათ ხსოვნას. ხოლო ისინი, ვინც ამ გამოცდის ჩაბარება ვერ შესძლო მმართველებად და მცველებად არ გამოდგებიან. წვრილმანებს რომ მოვეშვათ, გლავკონ, აი, როგორ უნდა მოხდეს ზოგადად მცველებისა თუ მმართველების შერჩევა, და როგორ უნდა გავამწესოთ ისინი თანამდებობებზე.

– მეც მგონია, რომ სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ.

– განა სრული უფლება არა გვაქვს, ჭეშმარიტად სრულყოფილნი გვეწოდებინა ამნაირი მცველებისათვის, რომლებიც გარეშე მტრებისგანაც დაიცავდნენ სახელმწიფოს და ქვეყნის შიგნითაც უზრუნველყოფდნენ თანხმობას და ერთსულოვნებას, რათა ზოგს საერთოდ არ აღძვროდა სიავის ჩადენის სურვილი, ზოგს ძალა არ ჰყოფნოდა საამისოდ. ხოლო ის ჭაბუკები, რომლებსაც ეს-ესაა მცველები ვუწოდეთ, მმართველთა თანამდგომნი და მათი გადაწყვეტილებების განმახორციელებელნი იქნებოდნენ.

– გეთანხმები.

– მაგრამ რანაირად შევძლებდით დაგვერწმუნებინა თვითონ მმართველნი და, თუ შესაძლო იქნებოდა, დანარჩენი მოქალაქენიც, ეღიარებინათ ერთი იმ კეთილშობილურ გამონაგონთაგანი, რომელნიც, ჩვენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, ესოდენ აუცილებელნი არიან?

– მაინც რომელი გამონაგონი?

– ახალი კი არა, ძველისძველი, თვით ფინიკიელებისაგან რომ იღებს დასაბამს: უწინ ეს ბევრჯერ მომხდარა, როგორც გადმოგვცემენ პოეტები, და ხალხსაც სჯერა მათი, მაგრამ დღეს კი აღარა ხდება და, ალბათ, არც ოდესმე მოხდება; ასე რომ, ძნელი საქმეა, ვინმე დაარწმუნო ამაში.

– გეტყობა, თქმასაც ვერ ბედავ.

– როდესაც გეტყვი, ეს ჩემი გაუბედაობა სავსებით ბუნებრივი მოგეჩვენება.

– მითხარი, ნუ გეშინია.

– კეთილი, გეტყვი, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიკრიბო მხნეობა, ან რანაირი გამოთქმები მოვიშველიო. ვეცდები დავარწმუნო ჯერ მმართველები და მცველები, შემდეგ კი – დანარჩენი მოქალაქეებიც, რომ ყველაფერი, რაც მათთვის გადაგვიცია და გვისწავლებია, სხვა არა არის რა, თუ არა სიზმარი, სინამდვილეში კი ისინი თითქოს მიწის წიაღში ჩაისახნენ, იქვე იზარდნენ და ჩამოყალიბდნენ, – თვითონაც, მათი საჭურველიც და მთელი მათი აკაზმულობაც, – რის შემდეგაც დედამიწამ, მათმა მშობელმა, ამ ქვეყნად მოავლინა ისინი. ამიტომაც მართებთ, ისე ზრუნავდნენ თავიანთ სამშობლოზე, როგორც დედასა თუ ძიძაზე, მომხდურთაგან იცავდნენ მას და ისე ეპყრობოდნენ დანარჩენ მოქალაქეებს, როგორც მიწისგანვე შობილ ღვიძლ ძმებს.

– ტყუილად როდი გიმძიმდა, ეგ გამონაგონი გეამბნა ჩემთვის!

– დიახ, არცთუ უსაფუძვლოდ მიმძიმდა; მაგრამ, მოდი ამ არაკის დასასრულიც მოისმინე: თქვენ, ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქენო, ერთმანეთის ძმები ხართ, – ასე

ვიტყოდით ამ არაკის თანახმად, – მაგრამ ღმერთმა, რომელმაც გამოგძერწათ, ზოგიერთ თქვენგანს, ვისაც მმართველობის უნარი შესწევს ოქრო შეურია დაბადებისას, ამიტომაც მათი ფასი არავინაა ამ ქვეყნად; მცველებს – ვერცხლი, ხოლო მიწის მუშებსა და ხელოსნებს – სპილენძი და რკინა. დაბადებითვე ერთმანეთის თვისტომნი ხართ, მაგრამ უპირატესად თქვენსავე მსგავსთა ბადებთ, თუმცა ზოგჯერ ისედაც ხდება, რომ ოქროს მოდგმა ვერცხლის ნაშიერთ აძლევს დასაბამს, ვერცხლისა კი – ოქროსას; იგივე ითქმის დანარჩენთა მიმართაც. მმართველებისაგან ღმერთი მოითხოვს, უმეტესად და უწინარეს ყოვლისა, თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ ნაშიერთ, დაუცხრომლად ზრუნავდნენ მათზე და, იმავდროულად, აკვირდებოდნენ, ვის რა მინარევი აქვს სულში: თუ ყრმას სპილენძის ან რკინის მინარევი დაჰყვება თან, არავითარი სიბრალული არ უნდა გამოიჩინონ მის მიმართ, არამედ ისე მოეპყრან, რანაირ მოპყრობასაც იმსახურებს თავისი ბუნებრივი მონაცემებით, ესე იგი, ხელოსნებსა თუ მიწის მუშებს მიაკუთვნონ იგი; ხოლო ვინც ვერცხლის ან ოქროს მინარევით დაიბადება, სათანადო პატივი მიაგონ და მცველებად თუ მეომრებად განამწესონ ისინი, რადგან, ერთი წინასწარმეტყველებისა არ იყოს, სახელმწიფო დაიღუპება, თუ მას რკინა ან სპილენძი იცავს. ახლა მითხარი თუ გეგულება რაიმე საშუალება, რომ ეს არაკი ვარწმუნებინოთ ხალხს?

– არავითარი, თვით იმ თაობას რომ ვარწმუნებინოთ, რომელზედაც შენ ლაპარაკობ, მაგრამ იქნებ მათმა შვილებმა თუ შვილიშვილებმა მაინც ირწმუნონ

– ეგეც კი საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ მოქალაქეებს მეტი მზრუნველობა გამოეჩინათ როგორც სახელმწიფოს, ისე ერთურთის მიმართაც: დაახლოებით, აი, ასე მესმის შენი სიტყვები. მაგრამ, დაე, ჩვენმა არაკმა იმ გზით იაროს, საითაც მას წაიყვანს მითქმა-მოთქმა. ჩვენ კი შევაიარაღოთ დედამიწის ეს ნაშიერნი და მათთან ერთად გავწიოთ წინ მმართველთა წინამძღოლობით. მოვიდნენ და ამ ჩვენს სახელმწიფოში ამოირჩიონ ადგილი, სადაც შეიძლება დასცენ ბანაკი, რათა უკეთ შესძლონ მორჩილებაში იყოლიონ ის მოქალაქენი, რომელნიც არ ისურვებენ დაემორჩილონ კანონს, და, იმავდროულად, მოიგერიონ მტერიც, თუ ისე დაგვესხმის თავს, როგორც მგელი – ფარას. დაბანაკებისა და სათანადო მსხვერპლშეწირვის შემდეგ კი, დაე, თავიანთი კარვების გაშლას შეუდგნენ. ასე უნდა მოიქცნენ, არა?

– რა თქმა უნდა.

– კარვებისა, რომლებიც ზამთრის ყინვისგანაც დაიფარავს მათ და ზაფხულის სიცხისაგანაც.

– ცხადია; როგორც ჩანს, მათ დაბინავებაზე ლაპარაკობ.

– ჰო, მაგრამ საქმე მეომართა ბინებს ეხება და არა ვაჭრებისას.

– ვითომ რა განსხვავებაა?

– ვეცდები აგიხსნა: ყველაზე დიდი სიმახინჯე და საშინელება ისაა როცა მწყემსები იმნაირად ზრდიან ფარის მოდარაჯე ქოფაკებს, რომ ისინი, ურჩობის, შიმშილისა თუ რაღაც უკეთური ჩვეულების გამო, თვითონვე გლეჯენ ცხვრებს და, ამრიგად, ქოფაკებს კი აღარ ჰგვანან, არამედ – მგლებს.

– მართლაც რომ საშინელებაა.

– ამიტომ ყოველნაირი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენი მცველები ასევე არ ეპყრობოდნენ მოქალაქეებს და, თავიანთი მძლეთამძლეობისა თუ კეთილმოწყალე მფარველთა იმედით, მძვინვარე მოძალადეებს არ დაემგვანონ.

– რა თქმა უნდა, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ.

– მაგრამ ყველაზე უკეთესი საშუალება ის იქნებოდა, რომ წესიერად აღგვეზარდა ისინი.

– როგორ? ნუთუ აღზრდა აკლიათ?

– მოდი, ნუ დავიჩემებთ მაგას, ჩემო ძვირფასო გლავკონ; ერთადერთი, რაც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ისაა, ახლახან რომ მოგახსენე: წესიერად უნდა აღვზარდოთ-მეთქი ისინი, სულერთია, რანაირიც არ უნდა იყოს ეს აღზრდა, რათა უკიდურესად ლმობიერნი იყვნენ როგორც ერთურთის, ისე დანარჩენთა მიმართაც, რომელთა დაცვაც ვალად ადევთ.

– მართალი ხარ.

– გარდა სათანადო აღზრდისა, საღი აზრი გვკარნახობს ისე დავაბინაოთ და იმნაირი პირობები შევუქმნათ მათ, რომ არაფერმა შეუშალოთ ხელი თავიანთი მოვალეობის აღსრულებისას, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველაზე უკეთესი მცველები იყვნენ და არავითარ ზიანს არ აყენებდნენ თავიანთ თანამოქალაქეებს.

– დიახ, საღი აზრი სწორედ მაგას გვკარნახობს.

– მაშ, დაუკვირდი, თუ გვინდა, რომ ღირსეულად მოიხადონ თავინთი ვალი, აუცილებელია თუ არა, ისე დავაბინაოთ და იმნაირი პირობები შევუქმნათ მათ, როგორც მე გეუბნები. ჯერ ერთი არცერთი მათგანი არ უნდა იყოს რაიმე კერძო საკუთრების მფლობელი, გარდა იმ საგნებისა, რომლებიც აუცილებელია ყოველი ჩვენგანისათვის. მეორეც, არცერთს არ უნდა ჰქონდეს იმნაირი საცხოვრისი თუ სათავსი, სადაც ვერ შეაღწევდა ნებისმიერი სხვა მოქალაქე. რაც შეეხება თავდაჭერილი და მამაცი მეომრებისათვის საკმარის სარჩოს, მას თავიანთი სამსახურის საზღაურად უნდა იღებდნენ დანარჩენი მოქალაქეებისაგან, ისე, რომ არც შემოაკლდეთ და არც მოსჭარბდეთ მთელი წლის განმავლობაში. ისევე, როგორც ლაშქრობისას, ისინი ერთად უნდა ცხოვრობდნენ და ერთადვე ჭამდნენ პურსაც. ოქრო-ვერცხლზე კი მათ უნდა ვუთხრათ, რომ სულში ყოველთვის უბრწყინავთ ღვთივბოძებული ოქრო, ასე რომ, კაცთაგან ბოძებული ოქრო აღარ სჭირდებათ, და, ეგეც არ იყოს, მკრეხელობა იქნებოდა მიწიერი ოქროთი შეებღალათ ღვთიური ოქრო, რომელიც ყოველთვის წმინდაა და შეურევნელი, მაშინ როდესაც მიწიერი ოქრო ურიცხვი უწმინდურებისა თუ დანაშაულის წყაროდ გვევლინება. მოქალაქეთა შორის მხოლოდ მათ ეკრძალებათ არა მარტო ოქრო-ვერცხლის ფლობა, არამედ, თვით მათი შეხებაც, იმ ჭერქვეშ ყოფნა, სადაც ოქრო-ვერცხლს ინახავენ და ოქროსა თუ ვერცხლის სასმისებით სმაც. მხოლოდ ესაა როგორც თვით მათი, ისე სახელმწიფოს ხსნის ერთადერთი საწინდარიც და საშუალებაც. რადგანაც საკმარისია საკუთარი ადგილ-მამულის, სახლ-კარისა თუ ოქრო-ვერცხლის მფლობელნი გახდნენ, რომ მცველები კი აღარ იქნებიან, არამედ მხვნელ-მთესველნი და მესაკუთრენი, ასე რომ, დანარჩენ მოქალაქეთა თანამდგომებად კი არა, მათ მტრებად და მრისხანე მბრძანებლებად მოგვევლინებიან. სხვათა მოძულენი და სხვებისგან მოძულებულნი, სხვათა მგმობელნი და სხვებისაგან გმობილნი მთელი თავიანთი დღე და მოსწრება თავს ვერ დააღწევენ შიშსა და ძრწოლას, ხოლო მათი შიშის მიზეზი შინაური მტერი უფრო იქნება, ვიდრე გარეშე მომხდური, ასე რომ, ადრე თუ გვიან, უფსკრულში გადაიჩეხებიან და სახელმწიფოსაც თან გადაიყოლებენ.

აი, ყოველივე ამის გამო გითხარი, რომ სათანადოდ უნდა მოვაწესრიგოთ და დავაკანონოთ კიდეც ჩვენი მცველების ყოფა-ცხოვრება; ან, იქნებ, არ მეთანხმები?

– გეთანხმები, – მითხრა გლავკონმა.

წიგნი მეოთხე

– აქ ადიმანტე ჩაერია საუბარში:

– კი მაგრამ, სოკრატე, – თქვა მან, – რანაირად იმართლებ თავს, თუ დაგიწყებენ იმის მტკიცებას, რომ დიდად როდი აბედნიერებ ამ ადამიანებს, რაშიაც თურმე თვითონვე მიუძღვით ბრალი, რადგანაც, მართალი გითხრა, სწორედ ისინი არიან სახელმწიფოს ბატონ-პატრონნი, მაგრამ მათთვის ამაში სახეირო არა ყრია რა: მაშინ როდესაც სხვები ადგილ-მამულს იძენენ და დიდებულ სახლებს იშენებენ, სათანადოდ ამკობენ მათ და საგანგებო მსხვერპლს სწირავენ ღმერთებს, გულუხვად მასპინძლობენ უცხოელ სტუმრებს და ფლობითაც ფლობენ იმას, რაზედაც წეღან ლაპარაკობდი – ოქრო-ვერცხლსა და, საერთოდ, ყველაფერს, რაც საჭიროა ბედნიერებისათვის. როგორც ჩანს, ეგ შენი მცველები ისე ეფუძნებიან სახელმწიფოში, როგორც დაქირავებული მაშველი რაზმები, რომლებსაც სხვა საქმე არა აქვთ, მოქალაქეთა დაცვის გარდა.

– დიახ, – მივუგე მე, – მეტსაც გეტყვი: დანარჩენებისაგან განსხვავებით, ისინი მხოლოდ სურსათ-სანოვაგისათვის მსახურობენ და არავითარ სხვა საზღაურს არ იღებენ, ასე რომ, ვერც უცხო ქვეყნებს მოინახულებენ თავიანთი ნება-სურვილით, ვერც საჩუქრებს მიართმევენ ჰეტერებს და ვერც სხვა სიამოვნებისათვის დახარჯავენ ფულს, როგორც იქცევიან მათი ბედნიერი თანამოქალაქენი. დანარჩენს რომ თავი ვანებოთ, აი, რამდენი რამ გამოგრჩა, როცა მაგ შენს ბრალდებას მიყენებდი.

– მაშ, ეგეც ჩავრთოთ ბრალდებაში, – თქვა ადიმანტემ.

– ესე იგი, შენ გსურს გაიგო, რანაირად ვიმართლებ თავს?

– დიახ.

– მე მგონია, პასუხის მოძებნა არ გაგვიჭირდება, თუკი იმავე გზას გავყვებით. ჩვენ ვიტყვით, რომ საკვირველი არა არის რა იმაში, თუ ჩვენი მცველები სწორედ ამ პირობით იქნებიან ყველაზე ბედნიერნი; თუმცა ჩვენი სახელმწიფოს დაარსებისას იმას კი არ ვისახავთ მიზნად, რომ განსაკუთრებით ბედნიერი გავხადოთ მოსახლეობის ერთი რომელიმე ფენა, არამედ იმას მიველტვით, რომ მთელ სახელმწიფოს მოვუპოვოთ ყველაზე დიდი ბედნიერება. რადგანაც იმთავითვე გვეგონა, რომ სწორედ ამნაირ სახელმწიფოში შეიძლებოდა სამართლიანობის მიკვლევა, ისევე, როგორც უსამართლობისა – მანკიერი წეს-წყობილების მქონე სახელმწიფოში, და იმედი გვქონდა, რომ ამ დაკვირვების წყალობით შევძლებდით გადაგვეჭრა ის საკითხი, რომელსაც ამდენი ხანია ვუკირკიტებთ. ამიტომაცაა, რომ ახლა ჩვენი წარმოსახვით ვძერწავთ სახელმწიფოს, რომელიც ბედნიერი გვგონია, მაგრამ არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად; მოქალაქეთა მხოლოდ ერთი ნაწილი კი არ უნდა იყოს ბედნიერი, არამედ ყველა. შემდეგ კი განვიხილავთ მის საპირისპირო სახელმწიფოს. ვიღაცის სურათს რომ ვხატავდეთ, ხოლო მავანი მოვიდეს და გმობა დაგვიწყოს იმის გამო, რომ ყველაზე ლამაზ ფერებს არ ვიყენებთ სხეულის ყველაზე ლამაზი ნაწილების გადმოსაცემად, ვთქვათ, თვალებს, სხეულის ამ ულამაზეს სამკაულს, ძოწეულით კი არა ვხატავთ, არამედ შავი ფერით, – მე მგონია, მართებული იქნებოდა, თუ ასე მივუგებდით პასუხად: «ო, ჩვენო საოცარო მჩხრეკელო, რატომ გგონია, თითქოს თვალებს ისე ლამაზად უნდა ვხატავდეთ, რომ აღარც კი შეიძლება თვალებსა ჰგავდნენ? იგივე ითქმის სხეულის სხვა ასოებზედაც. შენ ისა თქვი, რომ თუ ყველა ნაწილს სათანადო ფერით გადმოვცემთ, ლამაზი გამოგვივა მთელი სხეულიც.» ასეა აქაც: ნუ გვაიძულებ მცველების თანამდებობას უშუალოდ დავუკავშიროთ იმნაირი ბედნიერება, რის შედეგადაც ისინი შეიძლება რადაც

გნებავთ, იმად იქცნენ, მხოლოდ მცველებად კი არა. ჩვენ შეგვეძლო სასალუქო სამოსით შეგვემოსა, ოქროქსოვილით შეგვემკო მიწის მუშაკნი და ნება მიგვეცა მათთვის, მხოლოდ სახალისოდ ეშრომათ და ემუშავათ; ბუხრის პირას, მხართეძოზე არხეინად წამოწოლილი წარმოგვედგინა მეთუნეებიც; დაე, ელხინათ და ნება-ნება ეწრუპათ ღვინო, თავიანთი დაზგები კი გვერდით მოედგათ და მხოლოდ იმდენი ეტრიალებინათ, რამდენიც მოეპრიანებოდათ; შეგვეძლო ასევე გაგვებედნიერებინა დანარჩენებიც და მთელი ჩვენი სახელმწიფო აყვავებულ ბაღნარად წარმოგვესახა. მაგრამ ნუ გვაქნევინებ ამას, რადგან, კაცმა რომ ყური გიგდოს, აღარც მიწის მუშაკი ემგვანება მიწის მუშაკს, აღარც მეთუნე – მეთუნეს და, საერთოდაც, ვერცერთი ჩვენი მოქალაქე ვეღარ შეინარჩუნებს თავის საკუთარ სახეს. თუმცა ზოგჯერ ეს შეიძლება არც ისე დიდი უბედურება იყოს. რადგან თუ მეწაღეები უვარგისნი და უმაქნისნი იქნებიან, სახელმწიფო როგორმე გაუძლებს ამას. მაგრამ თუ ქვეყნისა და კანონიერების სადარაჯოზე მდგარი მცველები მხოლოდ სახელით იქნებიან მცველები და არა თავიანთი არსით, მალე შენი თვალითა ნახავ, როგორ დააქცევენ და მიწასთან გაასწორებენ სახელმწიფოს, ვინაიდან მათზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედნიერებაც და კეთილდღეობაც. თუ ჩვენ ნამდვილ მცველებად აღვზრდით მცველებს, ისინი ვერავითარ ზიანს ვეღარ მიაყენებენ სახელმწიფოს. ხოლო ვისაც სურს ერთგვარ მიწის მუშებად წარმოგვიჩინოს ისინი, თითქოს მცველები კი არა, საერთო სახალხო ზეიმისა და ღრეობის მონაწილენი იყვნენ, ის ალბათ სახელმწიფოს კი არა, სულ სხვა რაღაცას გულისხმობს. უნდა გადავწყვიტოთ, მაინც რას ვისახავთ მიზნად, სახელმწიფოს სადარაჯოზე რომ ვაყენებთ მცველებს: თვით მცველების ბედნიერებას თუ მთელი სახელმწიფოს კეთილდღეობას. ძალითა თუ შეგონებით უნდა ვაიძულოთ არა მარტო ჩვენი მწენი და მცველები, არამედ დანარჩენებიც, რაც შეიძლება უკეთ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. ამრიგად, ჩვენს მიერ დაარსებული და სათანადო წყობილების მქონე სახელმწიფოს კეთილდღეობის ზრდასთან ერთად საშუალება უნდა მივცეთ ყველა ფენას, ყველა წოდებას, თავისი საკუთარი წილი ედოს საზოგადო სიკეთეში, მათი ბუნებრივი მონაცემების შესაბამისად.

– მე თუ მკითხავ, მშვენივრად მსჯელობ.

– მაგრამ ასევე მოგეწონება თუ არა ჩემი შემდეგი მსჯელობაც, ტყუპისცალივით რომ ჩამოჰგავს წინას?

– მაინც რომელი?

– ვნახოთ, ეს ორი რამ ხომ არ აფუჭებს ხელოსნებს, უმაქნისნი რომ ხდებიან?

– რას გულისხმობ?

– სიმდიდრეს და სიღარიბეს.

– როგორ?

– როგორ და, აი, ასე: განა გამდიდრებული მეთუნე მოისურვებს უფრო სრულყოფილად დაეუფლოს თავის ხელობას?

– არამც და არამც.

– პირიქით, დღითი-დღე სულ უფრო მცონარა და დაუდევარი გახდება.

– რა თქმა უნდა.

– ასე რომ, უფრო უარესი მეთუნე გვეყოლება.

– დიახ.

– მეორეს მხრივ, თუ სიღარიბის გამო ვერც ხელსაწყოების შეძენას შესძლებს და ვერც მისი ხელობისათვის საჭირო მასალისას, ჩვენი მეთუნის ნახელავიც უარესი

იქნება და თავის საქმეს ვეღარც თვითონ ასწავლის ხეირიანად ვერც შვილებს და ვერც სხვა შეგირდებს.

– ცხადია.

– მაშასადამე, როგორც ერთის, ისე მეორის, – როგორც სიმდიდრის, ისე სიღარიბის გამოისობით ნახელავიც უარესი ხდება და თვით ხელოსანიც.

– ეგრე ჩანს.

– ასე რომ, ეტყობა, ამ ჩვენს მცველებს რაღაც ახალი გამოვუჩხრიკეთ, რასაც ყოველნაირად უნდა უფრთხოდნენ და თავგამოდებით ცდილობდნენ, რომ, მათდა შეუმჩნევლად, ჩვენს სახელმწიფოში არ შემოაღწიოს.

– რამ?

– სიმდიდრემ და სიღარიბემ. რადგანაც პირველი მცონარების, უქნარობისა და ახალ-ახალ სიამეთა წყურვილის სათავეა, მეორე კი, ამ ახალ სიამეთა წყურვილის გარდა, – სიმდაბლისა და ბოროტმოქმედებისაც.

– რა თქმა უნდა; მაგრამ ამასაც დაუკვირდი, სოკრატე: რანაირადღა იომებს ჩვენი სახელმწიფო, თუკი დიდძალ ფულს არ მოაქუჩებს, და თუ, ამასთან იძულებული იქნება დიდსა და მდიდარ სახელმწიფოსთან იომოს?

– ცხადია, ერთ ამისთანა სახელმწიფოსთან ომი გაუჭირდება, – ვუთხარი მე, – ორთან კი ადვილად შეიძლებს ომს.

– რას ამბობ? – თქვა მან.

– რასა და, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ თუ საქმე საქმეზე მიდგა, განა ამ ჩვენს მეომარ ათლეტებს მდიდარ ხალხთან არ მოუწევს ბრძოლა?

– რა თქმა უნდა.

– მერედა, რას იტყვი, ადიმანტე, განა ერთ მაგარ მოკრივეს გაუჭირდება კრივში გაუწაფავ ორ ზორზოხ მდიდართან შერკინება?

– ორივეს ერთად მაინც ნუ შევარკინებთ.

– არა, სწორედ ორივეს ერთად: მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული, განზე გაუსხლტეს ორივეს, მერე ანაზდად შემოტრიალდეს და ვინც პირველი ეძგერება, იმასა ხეთქოს მუშტი. ხოლო თუ ხშირ-ხშირად გაიმეორებს ამას, და თანაც მზის გულზე, შუადღის ხვატში? განა ამნაირ კაცს გაუჭირდება ორი ამისთანა, ან, თუ გნებავს, მეტი მოწინააღმდეგის ძლევა?

– არა, – თქვა მან, – და ეგ არც იქნება გასაკვირველი.

– კი მაგრამ, როგორ გგონია, განა მდიდარი ხალხი კრივში უფრო გაწაფული და გამობრძმედილი არ არის, ვიდრე საომარ საქმეში?

– ეჭვიც არ მეპარება, – თქვა ადიმანტემ.

– მაშასადამე, ჩვენი მეომარი ათლეტები ადვილად გაუმკლავდებიან მათზე ორჯერ თუ სამჯერ მეტ მტერს.

– გეთანხმები; მე მგონია, მართალი უნდა იყო.

– ხოლო თუ სხვა სახელმწიფოში გაგზავნიან ელჩებს და მათი პირით სრულ სიმართლეს შეუთვლიან: «ჩვენ არც ვერცხლს ვხმარობთ და არც ოქროს; ეს სასტიკად აკრძალულია ჩვენთვის, მაგრამ თქვენ ხომ არ გეკრძალებათ? მაშასადამე, თუ ჩვენი მოკავშირეები იქნებით ომში, ჩვენი წილი ნადავლი თქვენი იქნებაო,» – როგორ გგონია, რას ამჯობინებენ ამის გამგონენი: ძარღვმაგარსა და გაძვალტყავებულ ქოფაკებთან ომს თუ მათთან ერთად ბრძოლას მსუქანი და ფუმფულა ცხვრების წინააღმდეგ?

– ჩემის აზრით, ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ბრძოლას ამჯობინებენ. მაგრამ თუ დანარჩენი სახელმწიფოების სიმდიდრე ერთ ქვეყანაში მოიყრის თავს, განა ეს საშიში არ იქნება ღარიბი სახელმწიფოსთვის?

– ნეტავი თუ მართლა გგონია, რომ სახელმწიფოს სახელი შეიძლება სხვა რამესაც მიესადაგოს, გარდა იმისა, რასაც ამჟამად ვაარსებთ?

– რატომაც არა?

– იმიტომ, რომ ყველა დანარჩენი სახელმწიფოს სახელი გაცილებით უფრო გრძელი იქნება, რადგანაც თვითეული მათგანი ერთი კი არ არის, არამედ მრავალი, როგორც ამბობენ მოთამაშენი. ასეა თუ ისე, ყველა სახელმწიფოში ერთურთის მიმართ მტრულად განწყობილი ორი სახელმწიფო მაინცაა: ერთი – მდიდრებისა, მეორე კი – ღარიბების, და თვითეული მათგანი, თავის მხრივ, მრავალ სხვადასხვა სახელმწიფოდ იყოფა, ასე რომ, სასტიკად ცდები, ერთ სახელს რომ უწოდებ მათ. ხოლო თუ ყველას ასე აღიქვამ, როგორც მრავალს, საკმარისი იქნება ერთთა კუთვნილი ოქრო-ვერცხლი თუ ძალაუფლება გადასცე მეორეთ, და შენ ყოველთვის ბლომად ჰპოვებ მოკავშირეებს, მოწინააღმდეგე კი ცოტა გეყოლება. ეს ჩვენი სახელმწიფო კი, ვიდრე მას ბრძნულად მართავენ, იმ გეგმის შესაბამისად, წეღან რომ შევიმუშავეთ, დიადი და ძლევამოსილი იქნება, მაგრამ მოჩვენებითი კი არა, ჭეშმარიტი სიდიადით, თუნდაც მხოლოდ ათასი მეომარი იცავდეს მას. როგორც ელინთა, ისე ბარბაროსთა შორის ძნელად თუ ჰპოვებ ჭეშმარიტად დიად სახელმწიფოს, მაშინ როდესაც მოჩვენებითი სიდიადით რამდენიც გინდა, იმდენი სახელმწიფო აღემატება ჩვენსას; მაგრამ იქნებ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

– არა ვფიცავ ზევსს – თქვა ადიმანტემ.

– მაშასადამე, სწორედ ესაა ზღვარი, ჩვენმა მმართველებმა რომ უნდა დაუდონ სახელმწიფოს ზრდას და მის სიდიდეს, უფრო მეტად კი აღარ შეეცადონ გაფართოებას.

– მაინც რომელ ზღვარს გულისხმობ?

– ჩემის აზრით, აი, ამას: სახელწიფო შეიძლება მხოლოდ მანამდე ზარდო, სანამ ის ინარჩუნებს ერთიანობას, ამ ზღვარს კი არ გადახდე.

– კეთილი და პატიოსანი.

– ასე რომ, ჩვენს მცველებს ერთ ამნაირ დავალებასაც მივცემთ: თვალი ფხიზლად უნდა ეჭიროთ იმაზე, რომ ჩვენი სახელმწიფო არც მეტისმეტად დიდი იყოს და არც პატარა, არამედ ზომიერებასა და ერთიანობას ინარჩუნებდეს.

– არც ისე ძნელი დავალებაა.

– მათთვის ამაზე უფრო ადვილი იქნება ის, რაზედაც წეღან ვლაპარაკობდით: თუ მცველების ნაშიერნი უღირსნი და უვარგისნი გამოდგნენ, სხვა წოდებაში უნდა გადავიყვანოთ, და, პირიქით, სხვა წოდებათა ღირსეული ნაშიერნი მცველებად უნდა შევრაცხოთ. ამით ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ თვითეულ მოქალაქეს ის საქმე უნდა მივუჩინოთ, რისი კეთების უნარიც შესწევს, რადგან თუ კაცი მხოლოდ ერთ საქმეს ასრულებს, თვითონაც ერთია და არა მრავალი, რის შედეგადაც სახელმწიფოც თავის ერთობას ინარჩუნებს და თავს აღწევს სიმრავლედ დანაწევრებას.

– ეს მართლაც უფრო ადვილი ამოცანაა

– იქნებ ვინმემ ისიცა თქვას, ჩემო ძვირფასო ადიმანტე, რომ მეტისმეტად ბევრსა და, მაღალ მოთხოვნებს ვუყენებთ მცველებს, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ უმნიშვნელო წვრილმანია იმ ერთ დიდ საქმესთან შედარებით, რომლის სადარაჯოზეც ჩვენი მცველები უნდა იდგნენ; თუმცა უფრო სწორი იქნებოდა, თუ «დიდად» კი არა, «საკმარისად» მივიჩნევდით მას.

– მაინც რა საქმეს გულისხმობ?

– აღზრდას და სწავლა-განათლებას. რადგან თუ სათანადო აღზრდის წყალობით ჩვენი მცველები თავდაჭერილ ადამიანებად იქცევიან, ისინი ადვილად გაართმევენ თავს არა მარტო ამ საკითხებს, არამედ ყველა დანარჩენსაც, რასაც ამჯერად დუმილით ვუვლით გვერდს, კერძოდ საცოლის შერჩევას, ქორწინებასა თუ შვილების ყოლას; ყოველივე ეს ხომ ზედმიწევნით უნდა ესადაგებოდეს ძველ ანდაზას – მეგობრებს ყველაფერი საერთო აქვთო.

– ჭეშმარიტად, – თქვა ადიმანტემ.

– მართლაცდა, საკმარისია პირველი ბიძგი, და სახელმწიფო ისე იზრდება, როგორც წრე ტბაში ჩაგდებული ქვა რომ აჩენს წყლის ზედაპირზე. რადგანაც სათანადო აღზრდა და სწავლა-განათლება აკეთილშობილებს ბუნებას, ხოლო ვისაც დაბადებითვე თან დაჰყვება საუცხოო ბუნებრივი მონაცემები, მასში თანდათანობით ხვეწს და ავითარებს ამ მონაცემებს, რომლებიც შემდეგ მემკვიდრეობით გადაეცემა შთამომავლობას, რაც ნიშნეულია ყველა ცოცხალი არსებისათვის.

– ეგრეა, თქვა მან.

– მოკლედ, სახელმწიფოს მცველებს ფხიზლად უნდა ეჭიროთ თვალი, რათა სწავლა-განათლებას, მათდა შეუმჩნევლად, ხრწნილება არ შეეპაროს; უწინარეს ყოვლისა კი, მათი ვალია მუსიკურსა თუ გიმნასტიკურ ხელოვნებაში წესრიგის დამრღვევ სიახლეთა შემოჭრისაგან დაიცვან სახელმწიფო. როცა ამბობენ –

«კაცთა სასმენელს ყველაზე მეტად ატკბობს
ახალი საგალობლები,
აედებისგან შეთხზული ბოლოს,» –

ყველაზე მეტად იმას უნდა ვუფრთხოდეთ, რომ შეიძლება იფიქრონ, თითქოს აქ პოეტი სიმღერების ახალ შინაარსს კი არ გულისხმობდეს, არამედ ახალ სასიმღერო კილოს, და სწორედ ეს მიიჩნიონ მოსაწონად. მაგრამ ეს სულაც არაა მოსაწონი, და არც ზემოთ მოტანილი ლექსი უნდა გვესმოდეს ამნაირად. ყოველი საშუალებით უნდა ვერიდოთ მუსიკური ხელოვნების ახალი სახის შემოტანას, რამაც შეიძლება ყველაფერი აამღვრიოს. აკი დამონი ამტკიცებს და მეც მჯერა მისი, რომ მუსიკური ხელოვნების ყოველნაირი ცვლილება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს კანონთა შეცვლას იწვევს.

– მოდი, მეც იმათ რიცხვს მიმათვალე, ვისაც დამონისა სჯერა, – თქვა ადიმანტემ.

– როგორც ჩანს, ჩვენი მცველები სწორედ აქ – მუსიკური ხელოვნების დარგში დააწესებენ თავიანთ სათვალთვალო ადგილს.

– მართლაც, ყველაზე ადვილად და შეუმჩნევლად სწორედ აქედან მოიპარება კანონიერების რღვევა.

– დიახ, უწყინარი თავშექცევის ნიღბით.

– და მართლაც, კანონიერების რღვევას ის ზიანი მოსდევს შედეგად, რაც ნელ-ნელა იჩენს თავს, ჯერ ზნე-ჩვეულებათა გაუკუღმართებაში ვლინდება, საიდანაც თანდათანობით მოიცავს ყველაფერს, მოქალაქეთა საქმიან ურთიერთობებს, თვით სამართალს და სახელმწიფო მმართველობის საფუძვლებსაც, ასე რომ, უკიდურესი აღვირახსნილობის სათავე ხდება, სოკრატე, და თავდაყირა აყენებს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს.

– ვითომ მართლა ასეა, საქმე?

– ჩემის აზრით, სწორედ ასეა.

– მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვების თამაში რომ თამაშია, თვით ისიც კი დასაბამითვე უნდა დავუქვემდებაროთ წესიერებას, რადგან თუ თამაშისას არავითარი წესრიგი არაა დაცული და ბავშვებიც უწესოდ იქცევიან, შეუძლებელია ისინი სამართლიან ადამიანებად აღიზარდონ.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ ბავშვები თამაშისას თვითონვე იცავენ წესრიგს და მუსიკური ხელოვნების წყალობით ეჩვევიან კანონებისადმი პატივისცემას, დანარჩენი ბავშვებისაგან განსხვავებით, ეს ჩვევა თანდათანობით ფესვს იდგამს, იზრდება და მტკიცდება მათში, ასე რომ, შეუძლია ყველაფერი გამოასწოროს, თვით გაუკუღმართებული სახელმწიფო წყობილებაც კი.

– მართალს ბრძანებ.

– ისინი თვით იმ წესებსაც კი დაადგენენ, რაც წვრილმანებად მიაჩნია ხალხს, და რაც მთლიანად დაივიწყეს მათმა წინამორბედებმა.

– მაინც რა წესებს?

– მოგახსენებ: უმცროსები უნდა დუმდნენ უფროსების წინაშე, ფეხზე ადგომით ეგებებოდნენ და ადგილს უთმობდნენ მათ, პატივს მიაგებდნენ მშობლებს; ამას მოსდევს ყველაფერი, რაც გარეგნობას ეხება: ვარცხნილობა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა მისთანანი ან, იქნებ, არ მეთანხმები?

– რასაკვირველია, გეთანხმები.

– მაგრამ არა მგონია, საჭირო იყოს ყოველივე ამის დაკანონება: არსად ეს არა სწერია და, ეგეც არ იყოს, წერილობითაც რომ ჩამოვაყალიბოთ, ამ წესებს დიდი დღე მაინც არ უწერია.

– ვითომ რატომაო

– რატომ და იმიტომ, ადიმანტე, რომ ვინც რანაირად აღუზრდიათ, იმნაირივე იქნება, მთელი მისი ცხოვრების გზაც. ან, იქნებ, შენის აზრით, მსგავსი თავის მსგავსსვე არ იწვევს?

– ცხადია, იწვევს.

– მე მგონია, ჩვენი საბოლოო დასკვნითაც, ყოველგვარი აღზრდის შედეგი სავსებით ნათელია და გარკვეული: ან სიკეთე, ან მისი საპირისპირო ბოროტება.

– რა თქმა უნდა.

– ამიტომაც ჯერჯერობით ვერ გავბედავდი ყოველივე ამის დაკანონებას.

– გასაგებია.

– მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, ესეც მითხარი: შეიძლება თუ არა კანონებით მოვაწესრიგოთ ბაზარი, ესე იგი, ათასნაირი გარიგება, ყიდვა-გაყიდვა, აღებ-მიცემობა, ან, თუ გნებავს, ხელოსნების ურთიერთობა, აყალ-მაყალი, დავიდარაბა, შეხლა-შემოხლა, სარჩელის წარდგენა თუ საქმის გარჩევა? ან კიდევ ბაზრებსა თუ ნავსადგურებში გადასახადის დაწესება და ბაჟის აკრეფა, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც საბაზრო, საქალაქო, სანავსადგურო თუ სხვა ამისთანა საქმეებს ეხება?

– არა, – თქვა ადიმანტემ, – არ შეიძლება წესიერი და პატიოსანი ხალხისათვის ქცევის წესების თავზე მოხვევა; ისინი თავად განსაზღვრავენ უპირატესად, სად რა კანონია საჭირო.

– სწორია, ჩემო ძვირფასო, თუ ღმერთმა დააცვევინათ ის კანონები, ზემოთ რომ მიმოვიხილეთ.

– არა და იძლებულნი იქნებიან მთელი სიცოცხლის მანძილზე ახალ-ახალი კანონები დაადგინონ და ათასნაირი შესწორებები შეიტანონ მათში, იმის იმედით, რომ ოდესმე მაინც მიაღწევენ სრულყოფილებას.

– კაცმა რომ ყური გიგდოს, რაღა მათი სიცოცხლე და რაღა იმ ავადმყოფებისა, რომლებსაც აღვირახსნილობის გამო არა სურთ ცხოვრების უკეთურ წესზე ხელი აიღონ.

– რა თქმა უნდა.

– სეირი თუ გნებავს, სწორედ მათ ცხოვრებაზე ითქმის: მკურნალობით მხოლოდ იმას აღწევენ, რომ ამრავლებენ და ამძაფრებენ სნეულებას, მაგრამ თუ ვინმემ ახალი წამალი შესთავაზათ, მაინც არ კარგავენ განკურნების იმედს.

– ამნაირი ავადმყოფების უბედურებაც ეგაა სწორედ.

– ეგეც არ იყოს, განა ეს კი ნაკლებად სასეიროა? – თავიანთი მოსისხლე მტერი სიმართლის პირში მთქმელი ჰგონიათ: თუ არ მოეშვებით ლოთობას, ღორმუცელობას, სასიყვარულო განცხრომას და უქნარობას, ვეღარც წამლები გიშველით, ვეღარც ამოწვა და გაკვეთა, ვეღარც შელოცვები თუ ავგაროზები და სხვა მისთანანიო.

– კი მაგრამ, განა სასეიროა, თუ გულწრფელი რჩევა მხოლოდ წყრომას იწვევს?

– ეტყობა, ამ ხალხის მაქებრად არ გამოდგები.

– არა, ღმერთმანი.

– მაშასადამე, არც იმ სახელმწიფოს მაქებრად, რომელიც, ჩვენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, ზუსტად ასევე იქცევა. ან იქნებ გგონია, რომ იგივე არა ხდება იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც ცუდად მართავენ, და რომელთა მოქალაქეებსაც ეკრძალებათ ძირეულად შეცვალონ სახელმწიფო წეს-წყობილება, რისი მცდელობაც სიკვდილით ისჯება. მაშინ როდესაც ის, ვინც თვალებში შესციცინებს და ელაქუცება მოქალაქეებს, ცდილობს როგორმე გამოიცნოს მათი სურვილი და ძალ-ღონეს არ იშურებს მის დასაკმაყოფილებლად, არა მარტო საზოგადოების ღირსეულ წევრად, არამედ ბრძენ სახელმწიფო მოღვაწედაც ითვლება და საყოველთაო პატივისცემითაა გარემოსილი.

– დიახ, ეგ სახელმწიფოები სწორედ ასე იქცევიან, და მე ვერაფერს მოვუწონებ მათ.

– ნუთუ შენ აღტაცებას არ იწვევს იმათი სიმარჯვე და სითამამე, ვინც ასე გულმოდგინედ ემსახურება ამნაირ სახელმწიფოებს?

– რა თქმა უნდა, მაგრამ იმათი გამოკლებით, ვისაც ატყუებს ამნაირი სახელმწიფოების მოჩვენებითი სიდიადე და ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწეებად მოაქვთ თავი, მხოლოდ იმიტომ, რომ ბრბო აქებს და ადიდებს მათ.

– რაო, რას ამბობ? ნუთუ არ ეთანხმები ამ ხალხს? წარმოიდგინე კაცი, რომელსაც გარს ახვევია ბრბო; ამ კაცს წარმოდგენაც არა აქვს, რა არის ზომა, და იგივე ითქმის ბრბოზედაც, მაგრამ ერთხმად კი უმტკიცებს კაცს, სიმაღლით ოთხი წყრთა ხარო როგორ გგონია, ირწმუნებს თუ არა იგი ბრბოის აზრს?

– რასაკვირველია.

– მაშ, ნუღარ შერისხავ მათ. მართლაცდა, ამნაირ სახელმწიფო მოღვაწეებზე სასაცილო ხალხის მნახველი არა ვარ: ერთავად თავიანთ კანონებს ჩაჰკირკიტებენ და, ჩვენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, ათასნაირი შესწორებები შეაქვთ მათში, რადგანაც ჰგონიათ, რომ ამ გზით აღმოფხვრიან უკუღმართობას. მაგრამ ის კი არ ესმით, რომ იმ კაცსა ჰგვანან, ვინც ცდილობს თავი დააგდებინოს ჰიდრას.

– მართლაცდა, მეტი საქმე არა აქვთ.

– მეც, ჩემდა თავად, ვერ წარმომიდგენია, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოში, რომელსაც კარგად ან ცუდად მართავენ, ნამდვილი კანონმდებელი თავს უნდა იმტვრევდეს ამნაირი კანონების შემოღებაზე, რადგანაც იმ სახელმწიფოში, რომელსაც კარგად მართავენ, ეს სრულიად უსარგებლოა და ზედმეტი, ხოლო იმ სახელმწიფოში, რომელიც ცუდად იმართება, ყველას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამნაირ კანონთა დაწესებაში, ყოველივე დანარჩენი კი თავისთავად გამომდინარეობს უკვე არსებული ადათ-წესებიდან.

– კი მაგრამ, – თქვა ადიმანტემ, – რაღა გვრჩება კანონმდებლობის დარგში?

– ჩვენ არაფერი, მაგრამ აპოლონ დელფოელს კი ის, რომ უდიდესი, უმშვენიერესი და უმნიშვნელოვანესი კანონები გვიკარნახოს.

– მაინც რა კანონებს გულისხმობ?

– კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტაძრების მშენებლობას, მსხვერპლშეწირვასა და ღმერთების, დემონებისა თუ გმირებისადმი თაყვანისცემას; აგრეთვე მიცვალებულთა დაკრძალვას და იმასაც, თუ რა არის საჭირო, რომ ჰადესის მკვიდრთა გული მოვიგოთ და მოვინადოროთ. ყოველივე ეს უცნობია ჩვენთვის, მაგრამ სახელმწიფოს რომ ვაარსებთ, თუ ჭკუაზე მწყრალად არა ვართ, არცერთ სხვა ღვთაებას არ მივმართავთ შემწეობისთვის, გარდა ჩვენი მამულის მფარველისა; რადგანაც აპოლონია ყველა მოკვდავის მოძღვარი, დედამიწის შუაგულში, ზედ მის ჭიპზე დავანებული.

– მომწონს ეგ სიტყვა; ასეც მოვიქცეთ.

– ახლა დავუშვათ, რომ ეგ შენი სახელმწიფო უკვე დავაარსეთ. ამის შემდეგ ისღა დაგვრჩენია, რომ ბრდღვიალა ჩირაღდანი აიღო ხელში, შენს ძმას, აგრეთვე პოლემარქესა და დანარჩენებსაც მოუხმე და ნახე, იქნება დავლანდოთ, სად მიყუჟულა სამართლიანობა და სად – უსამართლობა, რა განსხვავებაა მათ შორის და რომელი უნდა ირჩიოს კაცმა, ვისაც სურს ბედნიერი იყოს, მიუხედავად იმისა, ამჩნევენ თუ არა მას მოკვდავნი ანდა უკვდავნი.

– ხუმრობ, თუ მართალს ამბობ? – თქვა გლავკონმა, – აკი თვითონვე აპირებდი მაგის ძიებას: შენ არა თქვი, მკრეხელობაში ჩამომერთმევა, სამართლიანობას რომ არ დავუჭიროთ მხარი, როგორც შემიძლია და რითაც შემიძლიაო?

– კარგი ქენი, რომ გამახსენე, – ვუთხარი მე, – ასეც ვიზამ. მაგრამ თქვენც უნდა დამეხმაროთ.

– ბატონი ბრძანდები.

– იმედი მაქვს. აი, ამ გზით მივაკვლიო პასუხს: მე მგონია, ეს ჩვენი სახელმწიფო, თუკი მას სწორად მართავენ, სრულქმნილების ნიმუში უნდა იყოს.

– უცილობლად.

– ცხადია, მას არც სიბრძნე უნდა აკლდეს, არც სიმამაცე, არც ზომიერება და სამართლიანობა.

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, ამ ოთხთაგან რომელსაც არ უნდა მივაკვლიოთ, მიუკვლეველი მხოლოდ დანარჩენი დაგვრჩება.

– როგორ?

– როგორ და, აი, ასე: დავუშვათ, რომ ნებისმიერი ოთხი საგნიდან ჩვენ ვეძებთ ერთ-ერთს, მაშინათვე რომ გვეპოვნა, ამით შევწყვეტდით ჩვენს ძებნას, მაგრამ ჯერ დანარჩენი სამისთვის რომ მიგვეკვლია, ამით გამოვიცნობდით მეოთხესაც, რადგანაც ცხადი გახდებოდა, რომ სწორედ ის დაგვრჩა მისაკვლეველი.

– მართალი ხარ.

– ასე რომ, ზემოხსენებული ოთხი სიქველის საკვლევადაც იგივე გზა უნდა ვირჩიოთ.

– რასაკვირველია.

– პირველი, რაც თვალში გვეცემა ამ ჩვენს სახელმწიფოზე დაკვირვებისას, ჩემის აზრით, მისი სიბრძნეა. მაგრამ აქ, ცოტა არ იყოს, რაღაც უჩვეულოსაც ვამჩნევ.

– მაინც რას?

– სახელმწიფო, ჩვენ რომ მიმოვიხილეთ, მე მართლაც ბრძენი მეჩვენება, მისი გონივრული გადაწყვეტილებების წყალობით; ასეა, არა?

– დიახ.

– ხოლო ეს გონივრული გადაწყვეტილებანი იგივეა, რაც ერთგვარი ცოდნა, რადგანაც მათ უმეცრება კი არა, ცოდნა უდევს საფუძვლად.

– ცხადია.

– სახელმწიფოში კი, ვინ მოსთვლის, რამდენი და რამდენნაირი ცოდნაა თავმოყრილი.

– რა თქმა უნდა.

– მათ შორის, დურგლობის ცოდნაც; მერედა, ნუთუ შეიძლება სახელმწიფოს ამ ცოდნის მიხედვით ეწოდოს ბრძენი და გონივრულ გადაწყვეტილებათა მიმღები?

– არამც და არამც; ეგრე რომ იყოს, მაშინ მისთვის დურგლური სახელმწიფო უნდა გვეწოდებინა.

– მაშასადამე, მართალია, სახელმწიფოსათვის სასურველია, რომ ხის ყოველგვარი ნაკეთობა, რაც იქ მზადდება, საუცხოო ნახელავი იყოს, მაგრამ მას ამის გამო როდი შეიძლება ეწოდოს ბრძენი.

– რასაკვირველია.

– იქნებ სპილენძისა თუ სხვა ნაკეთობათა გამო შეიძლება ბრძნად მიგვაჩნდეს იგი?

– არა, არც მაგის გამო.

– არც მიწის მუშაკთა მიერ მოწეული ჭირნახულის მიხედვით, თორემ მაშინ შეიძლებოდა სახელმწიფოსათვის სამიწათმოქმედო გვეწოდებინა.

– მეც მაგ აზრისა ვარ.

– კი მაგრამ, ჩვენს მიერ ახლახან დაარსებულ სახელმწიფოში ზოგიერთი მოქალაქე მაინც თუა იმნაირი ცოდნის პატრონი, რომ მისი მეშვეობით შეიძლებოდეს კერძო კი არა, ზოგადსახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრა და ყველაზე უკეთ წარვმართავდეთ საშინაო თუ საგარეო ურთიერთობებს?

– რა თქმა უნდა.

– მაინც რა არის ეგ ცოდნა, ან ვინაა მისი მფლობელი?

– ესაა ცოდნა, რომელიც ყოველთვის ფხიზლადა დგას სახელმწიფოს სადარაჯოზე, ხოლო მისი მფლობელნი არიან ის მმართველები, რომლებსაც წელან უნაკლო მცველები ვუწოდეთ.

– რაკიღა ამნაირი ცოდნა არსებობს, რას იტყოდი ჩვენს სახელმწიფოზე?

– მე ვიტყოდი, რომ ისაა გონივრულ გადაწყვეტილებათა მიმღები და ჭეშმარიტად ბრძენი.

– როგორ გგონია, ვინ უფრო მეტია ჩვენს სახელმწიფოში, – მჭედლები თუ ეს ჭეშმარიტი მცველნი?

– მჭედლები გაცილებით მეტნი არიან.

– დანარჩენებთან შედარებითაც, ვისაც ესა თუ ის ცოდნა მოეპოვება და თავისი ცოდნის შესაბამისად, ამა თუ იმ სახელით იწოდება, – მცველები გაცილებით ნაკლებნი იქნებიან.

– დიახ, გაცილებით ნაკლებნი.

– მაშასადამე, ბუნების თანახმად დაფუძნებული სახელმწიფო მთელ თავის სიბრძნეს უნდა უმადლოდეს მოსახლეობის უმცირეს ნაწილს, სათავეში რომ უდგას და მართავს ქვეყანას; დიახ, უმცირეს ნაწილს და მის ცოდნას. როგორც ჩანს, თვით ბუნება განსაზღვრავს ამნაირ ადამიანთა სიმცირეს, და მხოლოდ მათთვისაა ნიშნეული ის ცოდნა, რომელიც ერთადერთია ცოდნის ყველა სხვა სახეს შორის, სიბრძნის სახელს რომ იმსახურებს

– ცამდე მართალი ბრძანდები.

– აი, ჩვენც მივაკვლიეთ, არ კი ვიცი, რა გზით, ჩვენი სახელმწიფოსათვის ნიშნეული ოთხი სიქველიდან ერთ-ერთს; თვით ამ სიქველესაც და მის ადგილსაც სახელმწიფოში.

– ყოველ შემთხვევაში, მეც მგონია, რომ მივაკვლიეთ და საკმაოდ საფუძვლიანადაც განვმარტეთ იგი.

– რაც შეეხება სიმამაცეს თავისთავად და მის ადგილს სახელმწიფოში, რისი წყალობითაც სახელმწიფო სიმამაცის განსახიერებად მიიჩნევა, ეს არც ისე ძნელი მისაგნებია.

– როგორ?

– როდესაც სახელმწიფოს მხდალსა თუ მამაცს ვუწოდებთ, ვინ იგულისხმებს სხვა რამეს, გარდა მოსახლეობის იმ ნაწილისა, რომელიც მისი გულისთვის იბრძვის და ომობს?

– არა, სხვა რამეს არავინ არ იგულისხმებს.

– დანარჩენი მოქალაქეები გინდ მხდალნი იყვნენ და გინდ მამაცნი; ჩემის აზრით, მათზე როდია დამოკიდებული, სახელმწიფოს ამნაირად მივიჩნევთ თუ იმნაირად.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, სახელმწიფო მხოლოდ მისი ერთი ნაწილის წყალობითაა მამაცი, რადგანაც სწორედ ამ ნაწილისთვისაა ნიშნეული ძალა, სამუდამოდ რომ ინახავს და ინარჩუნებს წარმოდგენას საფრთხისა და ყოველივე იმის შესახებ, რასაც უნდა ვუფრთხოდეთ; წარმოდგენას, რომელიც მას აღზრდის გზით ჩაუნერგა კანონმდებელმა. განა ამას არ უწოდებ შენ სიმამაცეს?

– მართალი გითხრა, კარგად ვერ გავიგე შენი ნათქვამი; თუ ღმერთი გწამს, გამიმეორე.

– სიმამაცეს მე ვუწოდებ ერთგვარ ხსნასა თუ შენახვას.

– რის შენახვას?

– წარმოდგენისას, რომელსაც აღზრდა გვინერგავს და რომელიც გამუდმებით შეგვახსენებს საფრთხეს. მე ვთქვი, რომ სიმამაცის წყალობით ადამიანი სამუდამოდ ინახავს და არასოდეს არ ტოვებს მას, არც ტანჯვისას თუ განცხრომისას, არც ვნებათაღელვისას თუ ძრწოლისას. თუ გნებავს, ერთი შედარებით აგიხსნი ჩემს აზრს.

– ცხადია, მნებავს.

– როგორც მოგეხსენება, მღებავები, რომლებსაც სურთ ძოწისფრად შეღებონ შალის ქსოვილი, უთვალათ ფერთა შორის ერთ ფერს არჩევენ, სახელდობრ, თეთრს. მერე გულმოდგინედ ამუშავებენ, რათა მთელი სისრულით მიიღოს ძოწისფერი, და მხოლოდ შემდეგ ღებავენ მას. ამნაირად შეღებილი შალი აღარასოდეს ხუნდება, გინდ

ხამი წყლით რეცხავდნენ და გინდ ნაცარტუტით. თუ არა და, ხომ იცი, რაც ხდება, გინდ ამ ფერად ღებავდნენ ქსოვილს და გინდაც სხვა ფერად, წინასწარი დამუშავების გარეშე.

– ვიცი, რა მალე ხუნდება და სასეირო სანახავი ხდება.

– მაშ, იცოდე, რომ ჩვენც ასევე ვიქცევით, როცა მეომრებს ვირჩევთ და ვცდილობთ გიმნასტიკური და მუსიკური ხელოვნების მეშვეობით აღვზარდოთ ისინი. ჩვენ მხოლოდ იმას ვისახავთ მიზნად, რომ რაც შეიძლება უკეთ და სრულად აღიქვან კანონები, – ზუსტად ისევე, როგორც ქსოვილი იღებს საღებავს, – რათა მათი ბუნებრივი მონაცემებისა და სათანადო აღზრდის წყალობით, საფრთხისა თუ ბევრი სხვა რამის მათეული წარმოდგენა იმდენად მყარი შეიქნეს, რომ ვერავითარმა ნაცარტუტამ ვერ შესძლოს მისი ჩამორეცხვა, – ვერც განცხრომამ, რომელიც ქალესტრულ ტუტეზედაც მძაფრად მოქმედებს, ვერც ტკივილმა, ვერც შიშმა თუ ვნებათაღელვამ და ვერც სხვა რამ ფერისმჭამელამ. აი, სწორედ ამნაირ ძალას, სამუდამოდ რომ გვინარჩუნებს სწორსა და მართებულ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რას უნდა ვუფრთხოდეთ და რას არა, დიახ, სწორედ ამ ძალას მე ვუწოდებ სიმამაცეს, თუკი შენ წინააღმდეგი არა ხარ.

– არამც და არამც, რადგანაც, ჩემის აზრით, თუ მართებული წარმოდგენა ყოველივე ამის შესახებ აღზრდის შედეგი არ არის, როგორც ვთქვათ, წარმოდგენა მონისა თუ ცხოველისა, არამც თუ კანონიერად მიიჩნევ მას, არამედ სულ სხვა სახელს უწოდებ, და არა სიმამაცისას.

– სრული ჭეშმარიტებაა.

– ასე რომ, მე ვეთანხმები სიმამაცის შენეულ გაგებას.

– მაშინ ისიც აღიარე, რომ სიმამაცე სამოქალაქო სიქველეა; ღმერთმანი, არ შეცდები. ოდესმე, თუ გნებავს, უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამას, ხოლო ამჟამად სიმამაცეს კი არ ვიკვლევთ, არამედ სამართლიანობას. მე მგონია, სიმამაცეზე საკმარისად ვილაპარაკეთ.

– საკმარისად, – თქვა გლავკონმა.

– განსახილველი დაგვრჩა ჩვენი სახელმწიფოს ორი თვისება: ზომიერება და ის, რაც მთელი ჩვენი ძიების საგნად გვევლინება; მე ვგულისხმობ სამართლიანობას.

– დიახ.

– იქნებ ჯერ სამართლიანობისათვის მიგვეკვლია; მაშინ ხომ აღარ დაგვჭირდებოდა ზომიერების ძიება.

– მე პირადად არა ვიცი რა, და არც სამართლიანობის მიკვლევა მინდა, ვიდრე არ განვიხილავთ ზომიერებას. თუ გინდა მასიამოვნო, ჯერ ზომიერებაზე ილაპარაკე.

– მე კი მინდა და უსამართლოდაც მოვიქცეოდი, რომ არ მეცადა.

– მაშ, საქმეს შეუდექ.

– ახლავე; – ვუთხარი მე – ზომიერება, ჩემის აზრით, – უფრო მეტად, ვიდრე ზემოთ განხილული ორი თვისება, ერთგვარ თანახმიერებასა თუ ჰარმონიას ჰგავს.

– როგორ?

– ზომიერება სხვა არა არის რა, თუ არა ერთგვარი წესრიგი; ესაა განცხრომის სურვილისა და ვნებათა ძლევა. სწორედ ამას ამტკიცებს, ცოტა არ იყოს, უცნაური გამოთქმა: «საკუთარი თავის ბატონ-პატრონი უნდა იყოო» და სხვა მისთანანი, ზომიერების გამოხატულებად რომ გვევლინებიან. ასეა, არა?

– სწორედ ასეა.

– »საკუთარი თავის ბატონ-პატრონი უნდა იყოო!» განა სასაცილო არაა? რადგან ვინც თავისი თავის ბატონ-პატრონია, იმავდროულად, თავისი თავის მონაც არის,

ხოლო თავისი თავის მონა – თავისივე თავის ბატონ-პატრონი, რაკიღა აქ ერთსა და იმავე კაცს ეხება საქმე.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ, ჩემის აზრით, ამ გამოთქმის თანახმად, ადამიანის სულში ორი სხვადასხვა მხარე განირჩევა: უკეთესი და უარესი, და როცა თავისი ბუნებით უკეთესი სძლევს უარესს, სწორედ ესაა «საკუთარი თავის ბატონ-პატრონად ყოფნა»; მაშასადამე, ეს საქებია; ხოლო როდესაც ცუდი აღზრდისა თუ უკეთურ ხალხთან ურთიერთობის შედეგად უარესი საწყისი მძლავრობს უკეთესზე, ეს საძრახისია და ამნაირ კაცზე იტყვიან, «თავისი თავის მონაა», რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კაცს ზომიერების გრძნობა არ გააჩნია.

– როგორც ჩანს.

– ახლა კი დაუკვირდი ჩვენს მიერ ეს-ესაა დაარსებულ სახელმწიფოს, და მასში ამ ორი მდგომარეობიდან ერთ-ერთსა ჰპოვებ: შენ იტყვი, რომ ამნაირ სახელმწიფოს თამამად შეიძლება ეწოდოს «საკუთარი თავის ბატონ-პატრონი», რადგანაც ზომიერად და თავისი თავის ბატონ-პატრონად უნდა მიგვაჩნდეს ყველაფერი, რაშიაც უკეთესი საწყისი მძლავრობს უარესზე.

– ვუკვირდები და მეჩვენება, რომ მართალს ამბობ.

– მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იქ ვერ ჰპოვებ უთვალავ ვნებას, განცხრომის სურვილს, ტკივილს თუ სნებას, რაც განსაკუთრებით ნიშნეულია ბავშვების, ქალების, ჯალაბობის და იმათთვისაც, ვისაც თავისუფალ ადამიანებს უწოდებენ, მაგრამ იმდენადვე უღირსნი კი არიან, რამდენადაც ურიცხვნი.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო მარტივი და ზომიერი, გონებისა და მართებული წარმოდგენის მეშვეობით წრფელი გზით წარმართული გრძნობები ნიშნეულნი არიან მცირერიცხოვან, თავიანთი აღზრდითა და ბუნებით ყველაზე უკეთეს რჩეულთათვის.

– ჭეშმარიტად.

– ნუთუ ყოველივე ამას ვერ ამჩნევ ჩვენს სახელმწიფოში, სადაც უღირსი უმრავლესობის უკეთური გულისთქმანი ღირსეული უმცირესობის გონიერებასა და კეთილშობილურ სურვილებს ექვემდებარებიან?

– ცხადია, ვამჩნევ.

– მაშასადამე, თუ რომელიმე სახელმწიფოზე ითქმის, რომ მან საერთოდ სძლია არა მარტო განცხრომის ყველა სურვილსა და ყველა გულისთქმას, არამედ საკუთარ თავსაც, ეს, უწინარეს ყოვლისა ჩვენს სახელმწიფოზე ითქმის.

– ცამდე მართალი ბრძანდები.

– კი მაგრამ, შეიძლება თუ არა, ყოველივე ამის მიხედვით ვაღიაროთ მისი ზომიერება?

– დიახაც შეიძლება.

– ასე რომ, თუ რომელიმე სახელმწიფოში მმართველებიცა და მათი ქვეშევრდომებიც ერთმანეთს ეთანხმებიან იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა მბრძანებლობდეს, ეს თანხმობა ჩვენს სახელმწიფოშიც მიღწეულია; ან, იქნებ, შენ სხვაგვარად ფიქრობ?

– არა, ღმერთმანი.

– მერედა, რას იტყვი, ვის ახასიათებს ზომიერება – მმართველებს თუ მათ ქვეშევრდომებს?

– ერთთაც და მეორეთაც.

– აი, ხომ ხედავ, ამ ცოტა ხნის წინათ სავსებით სწორად გამოვიცანით, რომ ზომიერება ერთგვარ ჰარმონიასა ჰგავს.

– როგორ?

– როგორ და ისე, რომ ვერც სიმამაცესა და ვერც სიბრძნეზე ვერ ვიტყვით ამას: ისინი ნიშნეულნი არიან სახელმწიფოს მხოლოდ ერთი ნაწილისათვის და შესაბამისად სიმამაცესა თუ სიბრძნეს ანიჭებენ მას. ზომიერება კი, მათგან განსხვავებით, მთელ სახელმწიფოს მოიცავს, ყველა თავის სიმს იყენებს, სუსტად, მაგრამ თუ საშუალოდ დაჭიმულსაც, და ხმაშეწყობით აჟღერებს მათ, გნებავს გონების, გნებავს ძალის, ან კიდევ რაოდენობის, სიმდიდრისა თუ სხვა მისთანათა მეოხებით; ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზომიერება სწორედ ეს თანახმიერებაა, უკეთესისა და უარესის სრული თანხმობა, როცა უნდა გადაწყდეს, თუ ამ ორთაგან რომელი უნდა მბრძანებლობდეს სახელმწიფოშიც და კერძო მოქალაქის სულშიაც.

– სავსებით გეთანხმები.

– კეთილი და პატიოსანი; აი, ჩვენი სახელმწიფოს ის სამი თვისება, რომლებიც უკვე მიმოვიხილეთ. მაგრამ რა არის ის მეოთხე თვისება, რომლის წყალობითაც სახელმწიფო სიქველსთან წილნაყარი ხდება? თუმცა ისედაც ცხადია, რომ ეს თვისება სამართლიანობა გახლავთ.

– რა თქმა უნდა.

– ახლა კი, მონადირეებისა არ იყოს, გლავკონ, მჭიდროდ უნდა შემოვერტყათ ამ შამბნარს და თვალი ფხიზლად გვეჭიროს, რომ სამართლიანობა არსად გაგვეპაროს, თორემ ხელიდან დაგვისხლტება და ვერაფერსაც ვეღარ გავარკვევთ. ცხადია, სადღაც აქ უნდა იყოს; კარგად მიათვალიერ-მოათვალიერე, ეგება სადმე დალანდო, და თუ პირველი მოჰკრავ თვალს, მეც დამანახე.

– ეგ რომ შემეძლოს! არა, ისევ შენ მოგყვები უკან და ვეცდები დავინახო, რასაც მიჩვენებ. მეტის თავი მე არა მაქვს.

– მაშ, მომყევი, ოღონდ ჯერ ერთად ვილოცოთ.

– ეგრეც ვიზამ; აბა, წამიძეხ.

– მართლაც რომ გაუვალი შამბნარია; ისე ბნელა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტან კაცი, მაგრამ მეტი გზა არ არის, უნდა ვიაროთ.

– მაშ, დავიძრათ.

მაგრამ აქ ანაზდად ერთმა აზრმა გამიელვა თავში და წამოვიძახე:

– ბედმა გაგვიღიმა, კვალს მივაგენით, გლავკონ! ეტყობა, შორს არ წასულა!

– სამახარობლო გეკუთვნის! – მითხრა გლავკონმა.

– ნამდვილი დოყლაპიები ვართ, დოყლაპიები!

– როგორ?

– როგორ და ისე, ჩემო ნეტარო, რომ რა ხანია აგერ, ჩვენს ცხვირწინაა, ფეხებში გვებლანდება, ჩვენ კი ზედაც არ ვუყურებთ; მეტი სიბრიყვე იქნება? ეს იმას ჰგავს, კაცი რომ ქუდს დაეძებდეს და ხელში კი ეჭიროს. სადღაც შორს ვიყურებოდით და მიტომაც ვერ ვამჩნევდით მას.

– რას ამბობ?

– რასა და იმას, რომ საუბარში გართულებმა ვერც კი შევნიშნეთ, ან, უფრო სწორად, ვერ მივხვდით რომ იმთავითვე სამართლიანობაზე ვლაპარაკობდით.

– რამხელა შესავალია; კაცს წყურვილი ჰკლავდეს, და წვეთ-წვეთად უსხამდე წყალს!

– მაშ, მისმინე და თავად განსაჯე. აკი ჩვენი სახელმწიფოს დაარსებისას იმთავითვე დავადგინეთ, რომ ყველაფერი «მთელის» გულისათვის უნდა მოგვემოქმედა ხოლო ეს «მთელი», ჩემის აზრით, სამართლიანობა თუ მისი ერთ-ერთი ნაირსახეობა უნდა იყოს. ჩვენვე დავადგინეთ, რომ ყოველი კაცი მხოლოდ ერთ საქმეს უნდა მისდევდეს, იმ უთვალავი საქმიდან, რაც საჭიროა სახელმწიფოსთვის, და თანაც, სწორედ იმ საქმეს, რომელსაც ყველაზე უფრო შეეფერება თავისი ბუნებრივი მონაცემებით.

– დიახ, სწორედ ეგ დავადგინეთ.

– მაგრამ ყველა თავის საქმეს მისდევდეს და სხვისაში არ ერეოდეს, – სწორედ ესაა სამართლიანობა, რაც სხვებისგანაც გაგვიგონია და ჩვენ თვითონაც მრავალჯერ გვითქვამს.

– ცხადია, გვითქვამს.

– ამრიგად, სამართლიანობა ის იქნება, ჩემო ძვირფასო, რომ ყველა თავის საქმეს აკეთებდეს. იცი, რა მაფიქრებინებს ამას?

– არა, ამიხსენი, გეთაყვა.

– ჩემის აზრით, ჩვენი სახელმწიფოს იმ სამი თვისების – ზომიერების, სიმამაცის და სიბრძნის გარდა, ზემოთ რომ მიმოვიხილეთ, გვრჩება კიდევ ერთი თვისება, რომელიც დასაბამს აძლევს და განაპირობებს სახელმწიფოში პირველი სამის სუფევას. ჩვენ ისიც ვთქვათ, რომ თვისება, რომელიც სამი დანარჩენის განხილვის შემდეგ გვრჩებოდა, სამართლიანობა უნდა ყოფილიყო.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ გადასაწყვეტი რომ გვქონოდა, რომელი თვისების არსებობა განაპირობებს უპირატესად ჩვენი სახელმწიფოს სრულქმნილებას, ეს უფრო ძნელი საქმე იქნებოდა. მაინც რა უნდა მიგვეჩნია ამ პირობად: მმართველებისა და მათი ქვეშევრდომების აზრთა ერთობა, მეომრების სულში კანონით ჩანერგილი და საიმედოდ დაცული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას უნდა ვუფრთხოდეთ და რას არა, თუ მმართველთათვის ნიშნეული ზომიერება და სიფხიზლე? ან იქნებ ჩვენი სახელმწიფოს სრულქმნილებას ყველაზე მეტად ის უწყობს ხელს, რისი წყალობითაც ყველა – ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, მონა თუ თავისუფალი, ხელოსანი თუ მეომარი, ქვეშევრდომი თუ მმართველი, – თავის საკუთარ საქმეს ასრულებს, ისე, რომ სხვისაში არ ერევა?

– მართლაც რომ ძნელი საქმეა.

– როგორც ჩანს, სახელმწიფოს სრულქმნილების თვალსაზრისით, ყოველი მოქალაქის უნარი, რისი წყალობითაც ის თავის საკუთარ საქმეს ასრულებს, მეტოქეობას უწევს სიბრძნეს, სიმამაცესა და ზომიერებას.

– დიახ.

– მერედა, რა არის ის სიქველე, სახელმწიფოს სრულქმნილებისათვის ბრძოლაში დანარჩენ სამს რომ უწევს მეტოქეობას, თუ არა სამართლიანობა?

– რა თქმა უნდა.

– მაშინ ისიც მითხარი, ეთანხმები თუ არა, აი, ამას: განა სახელმწიფოს მმართველებს არ მიანდობ სასამართლოში საქმის წარმართვას?

– რასაკვირველია.

– ხოლო საქმის გარჩევისას რას ეცდებიან ისინი, გარდა იმისა, რომ არავინ მიიტაცოს სხვისი და არც თავისი გამოეცალოს ხელიდან.

– დიახ, სწორედ მაგას.

– იმიტომ, რომ ეს სამართლიანია?

– დიახ.

– მაშასადამე, ამ მაგალითის მიხედვითაც, სამართლიანობა სხვა არა არის რა, თუ არა ის, რომ ყველა თავისას სჯერდებოდეს და თავის საკუთარ საქმეს ასრულებდეს.

– მართალი ხარ.

– ვნახოთ, აქაც თუ დამიკრავ კვერს: ხურომ და მეწაღემ რომ თავიანთი იარაღები და ხელობა გაუცვალონ ერთიმეორეს, ხურომ მეწაღეობა დაიწყოს, მეწაღემ კი – ხუროობა, ან ერთ-ერთმა მიჰყოს ხელი ორივე საქმეს, და საერთოდ, ყველა ხელოსანმა გამოიცვალოს ხელობა, – როგორ გგონია, განა სახელმწიფო დიდ ზარალს არ ნახავს ამით?

– არც ისე დიდს.

– მაგრამ თავისი ბუნებრივი მონაცემებით ხელოსნად თუ ქორვაჭრად დაბადებულმა კაცმა თავისი სიმდიდრის, მრავალრიცხოვანი ნაცნობობის, გავლენისა თუ სხვა მისთანათა წყალობით, მეომართა წოდებაში გადასვლა რომ მოიწადინოს, ან რომელიმე მეომარმა – სახელმწიფო მრჩეველთა დასში შეღწევა, თუმცა საამისოდ არავითარი მონაცემი არ გააჩნია, და მათ ერთმანეთს გაუცვალონ თავიანთი იარაღიცა და თანამდებობაც, ან კიდევ ერთმა და იმავე კაცმა ერთდროულად მიჰყოს ხელი სუყველას საქმეს, – ალბათ, აქ მაინც დამეთანხმები, რომ ამნაირი გაცვლა-გამოცვლა და არევ-დარევა დაღუპვის პირას მიიყვანს სახელმწიფოს.

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, ამ სამი წოდების ჩარევა სხვის საქმეებში და ერთი წოდებიდან მეორეში გადასვლა უდიდესი ზიანის მომტანია სახელმწიფოსთვის და, იმავდროულად, უდიდესი დანაშაულიც.

– ჭეშმარიტად.

– მაგრამ რა არის სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაული, თუ არა უსამართლობა?

– რასაკვირველია.

– ასე რომ, სწორედ ესაა უსამართლობა. და პირიქით, როცა ყველა წოდება – საქმოსნებიც, მაშველნიცა და მცველებიც თავ-თავიანთ დანიშნულებას ასრულებენ და თვითეული მათგანი მისთვის ჩვეულ საქმეს აკეთებს, სწორედ ამას ვუწოდებთ სამართლიანობას, უსამართლობას რომ უპირისპირდება და სამართლიანს ხდის თვით სახელმწიფოსაც.

– მე მგონია, სწორედ ეგრეა საქმე და არა სხვაგვარად.

– მაგრამ დაბეჯითებით ნუ მოვყვებით ამის მტკიცებას, ვიდრე ყველა ადამიანს სათითაოდ არ მივუსადაგებთ ამ სიქველეს: თუ ის სამართლიანობად ვლინდება მათშიაც, სხვა რა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ერთხმად ვაღიაროთ იგი? თუ არა და, სხვა გზით უნდა წარვმართოთ ჩვენი ძიება. ახლა კი, მოდი ისე დავასრულოთ ჩვენი განხილვა, როგორც იმთავითვე ვისახავდით მიზნად: რაც შეიძლება ფართოდ და ზოგადად წარმოგვეჩინა სამართლიანობა, რათა შემდეგ უფრო ადვილად გაგვერკვია, რა სახით ვლინდება ის ადამიანში. სამართლიანობის ფართოდ წარმოჩენის საშუალება სახელმწიფოს უნდა მოეცა, და ჩვენც, შეძლებისდაგვარად, უკეთ მოვაწყეთ და მოვაწესრიგეთ იგი, რადგანაც გვწამდა, რომ სრულქმნილი სახელმწიფო სამართლიანობის ნიმუში უნდა ყოფილიყო. რაც ჩვენ იქ აღმოვაჩინეთ, ახლა მოდი, ადამიანზე გადავიტანოთ. თუ ორივეს სამართლიანობა ერთმანეთს დაემთხვა, მეტი რაღა გვინდა, თუ არა და, კვლავ სახელმწიფოს უნდა მივუბრუნდეთ კვლევა-ძიების გასაგრძელებლად. ვინ იცის, იქნებ მათი დაახლოებით, როგორც ხის

ორი ნაჭრის ხახუნით, ავაბრიალოთ სამართლიანობა, და როცა ცეცხლის ალივით აკაშკაშდება, თვით ჩვენს თავშიაც უფრო მტკიცედ დავიმკვიდრებთ მას.

– სწორ გზას გვიჩვენებ და ჩვენც მას მივსდიოთ.

– როცა დიდსა და მცირე საგანს ერთსა და იმავე საგნადა თვლიან, ნუთუ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რის გამოც ერთად მიიჩნევენ, თუ, პირიქით, ერთმანეთის მსგავსნი არიან?

– მსგავსნი არიან.

– მაშასადამე, სამართლიანი კაციც, თავისი სამართლიანობის წყალობით, სამართლიანი სახელმწიფოსაგან განსხვავებული კი არა, პირიქით, მისი მსგავსი იქნება.

– დიახ, მისი მსავსი იქნება.

– ხოლო ჩვენი აღიარებით, სახელმწიფო მაშინაა სამართლიანი, როცა ბუნებით ერთმანეთისაგან განსხვავებული მისი სამივე წოდება თავ-თავის საქმეს ასრულებს. მაშინ როდესაც სახელმწიფოს ზომიერება, სიმამაცე და სიბრძნე სამივე ამ წოდების წარმომადგენელთა შესაბამის თვისებებზეა დამოკიდებული.

– მართალს ბრძანებ.

– ზუსტად ასევე შევაფასებთ, ჩემო ძვირფასო, ადამიანსაც, ვის სულშიაც იმდენივე საწყისია, რამდენი წოდებაცაა სახელმწიფოში, და ამიტომ მართებული იქნება, თუ იმავე სახელებით აღვნიშნავთ მათ.

– უცილობლად.

– ვერაფერს იტყვი, იოლ საკითხს კი მივადებით განსახილველად! საქმე სულს ეხება, სულს: მართლა არის თუ არა მასში ეს სამი საწყისი?

– სიიოლისა რა მოგახსენო, სოკრატე; ტყუილად როდი ამბობენ: მშვენიერი ძნელიაო.

– როგორც ჩანს; – ვუთხარი მე, – მერწმუნე, გლავკონ, იმ გზით, ამჟამად რომ ვადგივართ მსჯელობისას, ვერასოდეს მივწვდებით ჩვენი კვლევა-ძიების საგანს, რომლისკენაც გაცილებით უფრო ძნელი და ნარეკლიანი გზა მიგვიძღვის. თუმცა ჩვენი გზა, შესაძლოა, არც ისე უვარგისი იყოს იმის საწვდომად, რაზეც აქამდე ვმსჯელობდით და ვკამათობდით.

– მერედა, განა ეს საკმარისი არ არის? ამჯერად მე ამასაც დავჯერდებოდი.

– მე – მით უმეტეს.

– მაშ, რაღას ყოყმანობ, საქმეს შეუდექ.

– განა იძულებულნი არა ვართ ვაღიაროთ, რომ ყოველი ჩვენგანისათვის ნიშნეულია იგივე ზნეობრივი თვისებები, რაც ახასიათებს სახელმწიფოს. აბა, ისე ციდან ხომ არ ჩამოცვივდებოდნენ იქ? მართლაცდა, განა სასაცილო არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმნაირი თვისება, როგორიცაა სულის სიფიცხე, რაც ნიშნეულია თრაკიელების, სკვითებისა და თითქმის ყველა ჩრდილოელი ხალხისთვის, ან მეცნიერების სიყვარული, რაც უმეტესწილად ჩვენ გვახასიათებს, ან კიდევ ანგარება, რითაც განირჩევიან ფინიკიელები და ეგვიპტელები, – მოქალაქეებისგან როდი გადასცემია სახელმწიფოს?

– რა თქმა უნდა, სასაცილო იქნებოდა.

– ეს დასკვნა თავისთავად გვეხვევა თავზე; ძნელი როდია ამის მიხვედრა.

– მართლაც.

– მაგრამ, აი, რა არის ძნელი: ჩვენს ქცევას სულის ერთი და იგივე საწყისი განაპირობებს თუ, რაკი ეს საწყისი სამია, თვითეული მათგანი სხვადასხვანაირ ზეგავლენას ახდენს? შემეცნებას ერთი განაპირობებს, გულისწყრომას – მეორე, ხოლო

მესამე გვაიძულებს მიველტვოდეთ ყოველნაირ განცხრომას – სმა-ჭამას, ახალი სიცოცხლის ჩასახვას და სხვა მისთანათ? თუ ყოველთვის, როცა ესა თუ ის სურვილი აღგვეძვრის, მის აღძვრაში მთელი სული მონაწილეობს? ძნელი სწორედ ის გახლავთ, რომ საკმაო სიზუსტით განსაზღვრო ეს.

– მეც მაგ აზრისა ვარ.

– მოდი, ვცადოთ და ამ გზით განვსაზღვროთ. იგივეობრივნი არიან ეს საწყისები თუ ერთმანეთისაგან განსხვავებულნი.

– კი მაგრამ, როგორ?

– ხომ ცხადია, რომ იგივეობრივს არ შეუძლია ერთსა და იმავე დროს ისეთნაირად მოქმედებდეს ან თვითონვე განიცდიდეს სხვა რამის ზემოქმედებას, რომ ეს მისი იგივეობრიობის წინააღმდეგ იყოს მიმართული. ამიტომაც თუ ვნახავთ, რომ აქ სწორედ ასეა საქმე, დავრწმუნდებით, რომ ჩვენს წინაშე ერთი და იგივე კი არ არის, არამედ მრავალი.

– ვთქვათ და, ასეა.

– კარგად დაუკვირდი ჩემს სიტყვებს.

– შენ კი განაგრძე.

– შეიძლება თუ არა, ერთი და იგივე რამ, ერთი და იმავე თვალსაზრისით, უძრავადაც იდგეს და, იმავდროულად, კიდეც მოძრაობდეს?

– არასდიდებით არ შეიძლება.

– მოდი, უფრო ზუსტად შევთანხმდეთ, რათა შემდეგ თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა. თუ კაცზე, რომელიც ერთ ადგილას დგას, მაგრამ თავსა და ხელებს კი აქნევს, იტყვიან, რომ ის უძრავად დგას და, იმავდროულად, კიდეც მოძრაობს, ჩვენ ალბათ არ დავეთანხმებით მათ აზრს, რადგანაც აქ აი, რა უნდა თქმულიყო: ამ კაცის სხეულის ერთი ნაწილი უძრავია, მეორე კი მოძრაობსო. ასეა, არა?

– დიახ.

– მაგრამ შეიძლება ხუმრობას ხუმრობა მოაყოლონ და უფრო მახვილგონივრული მაგალითი შემოგვთავაზონ: ბზრიალა მთლიანად დგას და, იმავდროულად, კიდეც მოძრაობს; ის ბრუნავს, მაგრამ ცენტრი კი თითქოს უძრავია და მისი ღერძიც წვერით ერთ წერტილს ებჯინება. მაგრამ ჩვენ ვერც მათ მოსაზრებას გავიზიარებთ, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც ერთი და იმავე საგნის ერთი და იგივე ნაწილები როდი არიან მოძრავნი და, იმავდროულად, უძრავნიც. ჩვენ ვიტყოდით, რომ აქ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ შვეული ღერძი და წრიული გარშემოწერილობა. ბზრიალას ნაწილები უძრავნი არიან ღერძის მიმართ, რომელიც უცვლელად ინარჩუნებს თავის მიმართულებას, არც აქეთ იხრება და არც იქით, მაგრამ იგივე ნაწილები წრიულად კი ბრუნავენ და ტრიალებენ. ამ წრებრუნვისას ღერძიც აქეთ-იქით, წინ და უკან, მარჯვნივ თუ მარცხნივ რომ იხრებოდეს, ბზრიალას არცერთი ნაწილი აღარ დარჩებოდა უძრავი.

– სწორია, – თქვა გლავკონმა.

– ასე რომ, ვერცერთი ეს მაგალითი ვერ შეგვაცბუნებს და ვერ გვაფიქრებინებს, თითქოს ერთი და იგივე საგანი შეიძლება ერთსა და იმავე დროს ისეთნაირად მოქმედებდეს ან თვითონ განიცდიდეს სხვა რამის ზემოქმედებას, რომ ეს მისი ერთობისა და თვითიგივეობის წინააღმდეგ იყოს მიმართული.

– ყოველ შემთხვევაში, მე ვერავინ მაფიქრებინებს მაგას.

– და მაინც, ყველა ამ უაზრობისა თუ გაუგებრობის ჩხრეკა და მათი უსაფუძვლობის მტკიცება რომ არ დაგვჭირდეს, მოდი, ამთავითვე დავუშვათ, რომ ყველაფერი ასეა და ჩვენს გზას გავუდგეთ. მაგრამ იმაზე კი შევთანხმდეთ, რომ თუ

ჩვენი დაშვება მცდარი გამოდგა, ყოველგვარი დასკვნა გაქარწყლდება, რაც კი ამ დაშვებიდან გამოვიტანეთ.

– დიახ, ასე უნდა მოვიქცეთ.

– და მერე, თავის კანტური თუ ქიცინი დასტურის ან უარყოფის ნიშნად, რაღაცის ნატვრა და ზიზღი მის მიმართ, რაღაცის მიზიდვა და ხელის კვრით მოშორება თავიდან, – განა ყოველივე ეს და სხვა მისთანანი, შენის აზრით, ურთიერთსაპირისპირო მოქმედება თუ გრძნობა არ არის?

– რა თქმა უნდა.

– ეგეც არ იყოს, ავიღოთ, მაგალითად, წყურვილი, შიმშილი და, საერთოდ, რაღაცის ნდომა, ან კიდევ სურვილი თუ ნებელობისმიერი სწრაფვა, – განა ყოველივე ამას იმათ რიცხვს არ მიაკუთვნებ, რაზედაც წეღან ვლაპარაკობდით? ნუთუ არ იტყვი, რომ ყოველთვის, როცა კაცს რაღაცა სურს, მისი სული ხარბად მიელტვის სასურველ საგანს, ან ცდილობს იმის მიტაცებას, რასაც სურს დაეუფლოს, ან კიდევ, როცა რაღაცის ჩაგდებას აპირებს ხელში, დასტურის ნიშნად თავს უკანტურებს საკუთარ ზრახვას, თითქოს ვიღაცა რაღაცას ეკითხება და მოთმინება აღარ ჰყოფნის, როდის ეწევა საწადელსო?

– ცხადია, ვიტყვი.

– ხოლო «არ გინდოდეს», «არ გსურდეს», «არ გწადდეს» განა იგივე არ არის, რაც «გძულდეს», «გძაგდეს» ან «ხელისკვრით იშორებდე თავიდან», და განა ყოველივე ეს არ უპირისპირდება იმას, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ?

– უეჭველად.

– და თუ ასეა, ნუთუ არ ვიტყვით, რომ არსებობს ერთგვარი ნდომა, ხოლო ყველაზე მძაფრ ნდომად წყურვილი და შიმშილი უნდა მიგვაჩნდეს?

– დიახაც ვიტყვით.

– პირველი სმის სურვილია, მეორე კი ჭამისა, არა?

– დიახ.

– რაკიღა პირველი სმის სურვილია, ხომ არ იბადება კაცის სულში დამატებითი სურვილი, გარდა იმისა, რაც მე მოგახსენე? ასე მაგალითად, იწვევს თუ არა წყურვილი იმის სურვილს, რომ ცივი თუ თბილი, ცოტა თუ ბევრი, მოკლედ, ესა თუ ის სასმელი დალიო? თუ კაცს სცხელა, ხომ არ ენატრება არა მარტო წყურვილის მოკვლა, არამედ ისიც, რომ ცივი სასმელით მოიკლას წყურვილი, ხოლო თუ სცივა – თბილით? თუ წყურვილი მძაფრია, კაცს უნდა ბევრი დალიოს თუ არა და, – ცოტა. მაგრამ საკუთრივ წყურვილი, ანდა შიმშილი თავისთავად არასოდეს არ იქნება სხვა რამის ნდომა, გარდა იმისა, რომ სმისა თუ ჭამის ბუნებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილო.

– ასე რომ, – თქვა გლავკონმა, – ამნაირი სურვილი თავისთავად არ მიელტვის სხვა რამეს, გარდა იმისა, რაც მის ბუნებას შეესაბამება, ხოლო ამისა თუ იმის სურვილი, ასე ვთქვათ, დამატებითი მეორადი სურვილია.

– მაგრამ ვაითუ ვინმემ ისარგებლოს ჩვენი წინდაუხედაობით და თავგზა აგვიბნიოს: მან შეიძლება გვითხრას, რომ არავის არა სურს მარტოოდენ სასმელ-საჭმელი, არამედ აუცილებლად რიგიანი სასმელ-საჭმელი. რადგანაც ყველას მხოლოდ კარგი სურს. და რაკი წყურვილი ნდომაა, ის რიგიანი სასმელისა თუ სხვა მისთანათა ნდომა უნდა იყოს. იგივე ითქმის ყველა სხვა სურვილზედაც.

– ეგრე მართლაც შეიძლება საგონებელში ჩაგვაგდოს.

– მაგრამ ყოველივე ეს ეხება მხოლოდ იმას, რაც სხვასთან მიმართებითა თუ თანაფარდობით განიხილება; მას ესა თუ ის თვისება აქვს, იმიტომ, რომ ასეთივე

თვისება აქვს იმასაც, რასაც იგი ეთანაფარდება. თავისთავად კი ის მხოლოდ საკუთარი თავის თანაფარდია.

– რა ვქნა, არ მესმის.

– რა არ გესმის? – ვუთხარი მე, – ის, რომ უფრო დიდი მხოლოდ სხვა რაღაცასთან მიმართებითაა უფრო დიდი?

– მაგას კი მართალს ამბობ.

– ხოლო «სხვა რაღაცასთან მიმართებითო» რომ ვამბობთ, განა უფრო პატარას არ ვგულისხმობთ?

– დიახ.

– ის კი, რაც გაცილებით უფრო დიდია, მხოლოდ გაცილებით უფრო პატარის მიმართაა გაცილებით უფრო დიდი; ასეა, არა?

– დიახ.

– ხოლო ის, რაც უფრო დიდი იყო ოდესღაც, განა იმასთან მიმართებით არ იყო უფრო დიდი, რაც უფრო პატარა იყო?

– რა თქმა უნდა.

– განა ასეთივე თანაფარდობა არ არსებობს მეტსა და ნაკლებს, ორსა და მის ნახევარს და სხვა მისთანათა შორის? ზუსტად ასევე, უფრო მძიმეც უფრო მსუბუქთან მიმართებით იქნება უფრო მძიმე, უფრო მკვირცხლი – უფრო ზანტთან, ცხელი – ცივთან და ასე შემდეგ.

– რასაკვირველია.

– კი მაგრამ, განა იგივე არ ითქმის ჩვენს ცოდნაზედაც? ცოდნა ზოგადად და თავისთავად იმ საგნის ცოდნას გულისხმობს თვითონვე რომ შეისწავლის, მიუხედავად იმისა, თუ რომელი საგნის ცოდნას ვგულისხმობთ. მაგრამ ცოდნის ესა თუ ის კერძო სახე მისი საგნის ბუნებითაა განსაზღვრული. აი, რისი თქმა მინდა: სახლის შენება რომ ისწავლეს, განა ეს ცოდნა ყველა სხვა ცოდნისაგან განსხვავებული არ შეიქნა, რის გამოც სამშენებლო ხელოვნება უწოდეს მას?

– მერედა, რა?

– ეს სახელი სწორედ იმიტომ უწოდეს, რომ არცერთ სხვა ცოდნას არა ჰგავს?

– დიახ.

– რაც მისი საგანი იყო, იგივე გახდა თავადაც. თუმცა ეს ყველა სხვა ცოდნასა თუ ხელოვნებასაც ეხება.

– რა თქმა უნდა.

– ახლა კი ალბათ გესმის, რისი თქმაც მსურდა წეღან: ყველა საგანი, თავისთავად აღებული, საკუთარი თავის თანაფარდია, სხვა საგანთან მიმართებით კი – იმნაირი, რანაირიცაა მისი თანაფარდი საგანი. ამით იმის თქმა კი არა მსურს, თითქოს ესა თუ ის საგანი იმასა ჰგავდეს, რასაც ეთანაფარდება, – ასე მაგალითად, ჯანმრთელობისა თუ სნეულების ცოდნა თვითონვე როდია ჯანმრთელი თუ სნეული, ხოლო სიკეთისა თუ ბოროტების ცოდნა – კეთილი ანდა ბოროტი. არა, ცოდნა იმად როდი იქცევა, რაც არის მისი საგანი; ის მხოლოდ თავისი საგნის, ამ შემთხვევაში, ჯანმრთელობისა თუ სნეულების თვისებებს ეთანაფარდება და ამ თვისებებითვეა განსაზღვრული. აი, რატომაა, რომ ამნაირ ცოდნას სახელად ცოდნა კი არ ჰქვია, არამედ სამკურნალო ხელოვნება, მისივე საგნის მიხედვით.

– დიახ, მესმის და იმასაც ვხვდები, რომ მართალი ხარ.

– ხოლო თუ ავიღებთ წყურვილს, რას იტყვი, განა ისიც თავის საგანს არ ეთანაფარდება? რადგანაც წყურვილი ყოველთვის რაღაცის წყურვილია.

– რა თქმა უნდა; მე ვიტყოდი, რომ ის წყურვილია სმისა თუ სასმელისა.

– სასმელი კი ათასნაირია და, ამისდა კვალად, ათასნაირია წყურვილიც. ხოლო თავისთავად ის არც უზომო სმის წყურვილია და არც ერთი ყლუპისა, არც საუცხოო სასმელისა და არც ცუდისა; არა მის თანაფარდად ვერ ვიტყვით ვერანაირ სასმელს, რადგანაც წყურვილს თავისთავად სხვა არაფერი ეთანაფარდება, თუ არა სასმელი თავისთავად.

– რასაკვირველია.

– მაშასადამე, იმისი სული, ვისაც სწყურია, სხვა რამეს კი არ მიელტვის, არამედ სასმელს, რამდენადაც სმა სწყურია.

– ცხადია.

– მაგრამ თუ თავისი წყურვილის მიუხედავად, სულს რაღაცა არ აძლევს დალევის ნებას, მაშასადამე, მასში არის რაღაც ისეთი, არსებითად რომ განსხვავდება იმისაგან, რაც უშუალოდ განიცდის წყურვილს, და ამრიგად, აიძულებს სულს, პირუყვივით დააცხრეს სასმელს. ჩვენ ხომ ვამტკიცებთ, რომ რაღაც ერთი და იგივე არ შეიძლება ერთი და იმავე ნაწილით ერთდროულად ორ ურთიერთსაპირისპირო ზემოქმედებას ახდენდეს ერთსა და იმავე საგანზე.

– რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

– ასე მაგალითად, ჩემის აზრით, ცდებიან, როცა მშვილდოსანზე ამბობენ, რომ ის იზიდავს და იმავდროულად კიდევაც განიზიდავს მშვილდს. სიმართლე, თუ გნებვს, ისაა, რომ მშვილდოსანი ცალი ხელით თავისკენ იზიდავს იმას, რასაც განიზიდავს მეორე ხელით.

– ცამდე მართალი ბრძანდები.

– ისიც ხომ მართალია, რომ მწყურვალი ზოგჯერ უარს აცხადებს დალევაზე?

– ბევრი და ბევრჯერ.

– მერედა, რას ვიტყოდით მათზე? არის ამ ხალხის სულში რაღაც ისეთი, სასმელად რომ აქეზებს, და ისეთიც, სმას რომ უკრძალავს მათ? და სწორედ ეს უკანასკნელი სძლევს პირველს?

– მე თუ მკითხავ, სწორედ ასეა.

– ის, რაც სმას უკრძალავს მათ, გონიერების წყალობით ვლინდება (თუკი საერთოდ ვლინდება) სულში, ხოლო ის, რაც სასმელად აღძრავს და აქეზებს ამ ხალხს, ვნებებისა და სნეულებისაგან იღებს დასაბამს?

– როგორც ჩანს.

– მაშასადამე, ჩვენ უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ეს ორი საწყისი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან: ერთ მათგანს, რისი წყალობითაც ადამიანს აზროვნების უნარი შესწევს, სულის გონივრულ საწყისს ვუწოდებთ, ხოლო მეორეს, რაც განაპირობებს იმას, რომ ადამიანს უყვარს, შია, სწყურია თუ ათასი სხვა რამ სწადია, სულის არაგონივრულ თუ სურვიელ საწყისად ვსახავთ, ყოველგვარი ტკბობისა თუ განცხრომის მონათესავედ.

– დიახ, სრული უფლება გვაქვს ასე ვამტკიცოთ.

– მაშ, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ეს ორი საწყისი. რაც შეეხება სულის სიბობოქრეს, რის შედეგადაც გულფიცხნი ვხდებით, ვაღიარებთ თუ არა მას სულის მესამე საწყისად, თუ ის პირველი ორი საწყისიდან ერთ-ერთის მონათესავეა?

– შესაძლოა, მეორე – არაგონივრული თუ სურვიელი საწყისის მონათესავე იყოს.

– ერთხელ ასეთი ამბავი მიამბეს, რომელიც მე სარწმუნოდ მიმაჩნია: ლეონტიოსი, აგლაიოსის ძე, პირევსიდან შინ ბრუნდებოდა თურმე. ქალაქის ჩრდილო გალავანს რომ მიუახლოვდა, იმ ადგილას, სადაც დამნაშავეებს სიკვდილით სჯიან, მიწაზე დაყრილი გვამები შენიშნა. უცნაური სურვილი დაეუფლა: მისულიყო

და გვამებისათვის დაეხედა, მაგრამ, იმავდროულად, ისეთი ზიზღი იგრძნო, რომ გაქცევა მოუნდა. ერთხანს აღარ იცოდა, რა ექნა, სახეზე ხელები აიფარა, მაგრამ ბოლოს მაინც ცნობისწადილმა სძლია, ხელები დაბლა დაუშვა, თვალდაჭყეტილმა მიირბინა ცხედრებთან და წამოიძახა: «ეგეც თქვენ, სვედავსილნო, დატკბით ამ მშვენიერი სანახაობით!»

– ეგ ამბავი მეც გამიგონია.

– ის გვიჩვენებს, რომ რისხვა ზოგჯერ გულისთქმას უპირისპირდება, და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

– მართლაც.

– ბევრ სხვა შემთხვევაშიაც ჩვენ ვამჩნევთ, რომ, გონიერების საპირისპიროდ, გულისთქმას აყოლილი კაცი თავის თავს ჰკიცხავს და არაგონივრულ, სურვიელ საწყისზე მრისხანებს, მოძალადესავით რომ ჩასახლებია სულში. ამრიგად, რისხვა გონების მოკავშირე ხდება ამ ულმობელ ორთაბრძოლაში, რომელიც თითქოს ორ ურთიერთმოქიშპე მხარეს შორის მიმდინარეობს. ხოლო რისხვა რომ გულისთქმის მოკავშირედ გვევლინებოდეს, როცა გონება უკრძალავს ამას, მე მგონია, ეს უჩვეულო მოვლენა არც სხვაში შეგიმჩნევია ოდესმე და არც შენსავე თავში.

– არა, ვფიცავ ზევსს, მართლაც არ შემიმჩნევია.

– ეგეც არ იყოს, როცა ადამიანს ესმის, რომ უსამართლოდ მოექცა ვინმეს, მაშინ, რაც უფრო დიდსულოვანია იგი, მით უფრო ნაკლებ შეუძლია მრისხანებდეს მის წინააღმდეგ, ვინც, შურისგების მიზნით, ათასნაირ სატანჯველს უმზადებს, როგორც, მაგალითად, შიმშილს, სიცივეს და სხვა მისთანათ; მე ვამბობ, რომ ეს მასში არ გამოიწვევს რისხვას.

– მართალი ხარ, – თქვა გლავკონმა.

– და პირიქით, როცა ჰგონია, რომ თვითონ მას ექცევიან უსამართლოდ, მრისხანებით აბორგებული თვალებიდან ცეცხლს აკვესებს და გაშმაგებით უტევს შეურაცხმყოფელს, ასე რომ, იმის მოკავშირედ იქცევა, რაც სამართლიანი ეჩვენება, და რისი გულისთვისაც მზადაა აიტანოს შიმშილიც, სიცივეცა და სხვა ამნაირი გაჭირვებაც, ოღონდ კი თავის საბოლოო მიზანს ეწიოს. ის ხელს არ აიღებს თავის კეთილშობილურ სწრაფვაზე, ან თავისას გაიტანს, ან თავს შეაკლავს მტერს, და ვერაფერი დააცხრობს მის მძვინვარებას, გარდა გონების ხმისა, რომელიც ისევე მიიხმობს, როგორც მწყემსი – თავის ქოფაკს.

– გულთმისანივით მიმიხვდი, რისი თქმაც მსურდა. მაგრამ ერთი ამასაც დაუკვირდი^

– რას?

– რასა და იმას, რომ სულის მრისხანე თუ ბობოქარ საწყისზე ახლა სულ სხვანაირი წარმოდგენა შეგვექმნა, ვიდრე წეღან, როცა მას სურვიელ საწყისთან ვაკავშირებდით. ახლა კი, როგორც ირკვევა, შორსა ვართ ამ აზრისაგან, რაკიღა იმ ბრძოლაში, ადამიანის სულში რომ მიმდინარეობს, ბობოქარ საწყისს გონიერების მოკავშირედ ვსახავთ.

– რა თქმა უნდა.

– მერედა, რას ვიტყვით, განსხვავდება ის სულის გონივრული საწყისისაგან თუ მხოლოდ ამ უკანასკნელის ერთ-ერთი სახეობაა, ასე რომ, სულში მხოლოდ ორი საწყისი უნდა ვიგულისხმოთ: გონივრული და სურვიელი? თუ მსგავსად იმისა, როგორც სახელმწიფო სამი სხვადასხვა წოდებისაგან შედგება: საქმოსნების, მცველებისა და მმართველებისგან, სულშიც მესამე – ბობოქარი საწყისი უნდა იყოს,

რომელიც თავისი ბუნებით გონივრული საწყისის მოკავშირედ გვევლინება. თუკი უხეირო აღზრდის შედეგად არ არის გადაგვარებული?

– სულში აუცილებლად მესამე საწყისიც უნდა იყოს.

– რა თქმა უნდა, თუკი გაირკვა, რომ ის განსხვავდება გონივრული საწყისისაგან, ისევე, როგორც სურვიელი საწყისისგან განსხვავებული გვეჩვენა იგი.

– მაგის გარკვევა ძნელი როდია; – თქვა გლავკონმა, – საკმარისია დავუკვირდეთ პატარა ბავშვებს, ლამის დაბადებიდანვე რომ ბორგავენ და ბობოქრობენ, რისხვით აღვსილნი, მაშინ როდესაც ზოგიერთ მათგანს, ჩემის აზრით, გონიერების ნატამალიც არ გააჩნია, ზოგი კი საკმაოდ გვიან ეზიარება გონებას.

– მშვენიერი ნათქვამია, ვფიცავ ზევსს! აქვე უნდა დავძინოთ, რომ ცხოველებიც ადასტურებენ შენს დაკვირვებას. ამასვე მოწმობს ჰომეროსის ლექსიც, რომელიც ზემოთ უკვე მოვიხმეთ:

«მკერდს მჯიღი იკრა, და გულს ასე უთხრა ბორგნეულს^»

პოეტი აქ ნათლად გვაუწყებს, ორი სხვადასხვა საწყისიდან როგორ ჰყვედრის ერთი მეორეს, კერძოდ, გონება, რომელიც არჩევს, რა არის უკეთესი და რა – უარესი, გადაჭრით ჰგმობს უგუნურსა და ბობოქარ საწყისს.

– მართალს ბრძანებ.

– ამრიგად, მართალია, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დავძლიეთ ყველა დაბრკოლება და საკმაოდ დამაჯერებლად მივაღწიეთ თანხმობას იმის თაობაზე, რომ ადამიანის სულში იმდენი და იმნაირივე საწყისია, რამდენი წოდებაცაა სახელმწიფოში.

– მართლაც ასეა.

– მაშასადამე, აუცილებლად იგივე ითქმის შემდეგზეც: რანაირად და რითაც ბრძენია სახელმწიფო, იმნაირად და იმითვე უნდა იყოს ბრძენი ადამიანიც.

– რა თქმა უნდა.

– ზუსტად ასევე, რანაირად და რითაც მამაცია ადამიანი, იმნაირად და იმითვე უნდა იყოს მამაცი სახელმწიფოც. ერთსაც და მეორესაც თანაბრად უნდა ახასიათებდეს ყველაფერი, რაც კი საერთოდ უკავშირდება სიქველეს.

– აუცილებლად.

– მე მგონია, სამართლიანიც იმნაირადვე იქნება კერძო პირი, გლავკონ, რანაირადაც ვლინდება სამართლიანობა სახელმწიფოში.

– ეგეც აუცილებელია.

– მაგრამ ხომ არ დაგვავიწყდა, რომ ჩვენი სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იქნება სამართლიანი, როცა ყველა მისი წოდება თავის საკუთარ საქმეს ასრულებს.

– ჩემის აზრით, არ დაგვავიწყნია.

– მაშასადამე, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენგანიც მხოლოდ მაშინ იქნება სამართლიანი და თავის საკუთარ საქმეს შეასრულებს, როცა ჩვენი სულის ყველა საწყისი თავის დანიშნულებას ასრულებს.

– ამრიგად, გონივრული საწყისი უნდა ბრძანებლობდეს, რაკიღა მისთვის ნიშნეულია სიბრძნე, და მასვე მართებს მთელ სულზე ზრუნვაც, ხოლო სულის ბობოქარი საწყისი მისი მორჩილი და თანამდგომი უნდა იყოს.

– რასაკვირველია.

– ისიც ხომ მართალია, რომ, ზემოთქმულისა არ იყოს, მუსიკური და გიმნასტიკური აღზრდის ურთიერთშერწყმის შედეგად შეიძლება მიღწეულ იქნეს ამ ორი საწყისის თანხმობა: ამნაირი აღზრდა გონივრულ საწყისს უფრო

მიზანსწრაფულს გახდის და მშვენიერი სიტყვებითა თუ მოძღვრებებით ასაზრდოებს მას, ბობოქარ საწყისს კი მოადუნებს, სიტყვებით მოალბობს და ჰარმონიისა თუ რიტმის მეშვეობით მოათვინიერებს.

– მართალს ბრძანებ.

– ხოლო ეს ორი საწყისი, ამნაირად აღზრდილი, ჭეშმარიტებით განსწავლული და საკუთარი მოვალეობის აღსასრულებლად აღძრული, როგორმე მოახერხებს უწინამძღვროს სურვიელ საწყისს, ჩვენი სულის უმეტეს ნაწილს რომ მოიცავს და თავისი ბუნებით ხარბად მიელტვის სიმდიდრეს. თვალი ფხიზლად უნდა გვეჭიროს მასზე, რათა არ იზარდოს და იმძლავროს ყოველივე იმის შედეგად, რასაც ხორციელი განცხრომა ჰქვია და საერთოდ უარი არ თქვას თავისი დანიშნულების შესრულებაზე; თორემ შეიძლება იმის დამონება და დამორჩილება სცადოს, რაც მისი ჯიშისა არ არის, და ამრიგად შერყვნას და შებღალოს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება.

– ჭეშმარიტად.

– ორივე საწყისი მშვენივრად დაიცავდა მთელ სულსაც და სხეულსაც გარეშე მტრებისაგან: ერთი – რჩევით, ხოლო მეორე – საჭურვლით; ეს უკანასკნელი წარმმართველი საწყისის თანამდევი იქნებოდა და თავისი სიმამაცით ხორცს შეასხამდა მის გადაწყვეტილებებს.

– მართლაც.

– და მამაცსაც, ჩემის აზრით, ადამიანს ჩვენ ვუწოდებთ სწორედ იმდენად, რამდენადაც მისი ბობოქარი საწყისი ლხინშიაც და გასაჭირშიაც განუხრელად იცავს გონების მითითებებს იმის თაობაზე, თუ რას უნდა ვუფრთხოდეთ და რას არა.

– მართალს ბრძანებ.

– ბრძენს კი – იმ მცირეოდენი ნაწილის მიხედვით, თვითეულ ჩვენგანში რომ მბრძანებლობს და ზემოხსენებულ მითითებებს იძლევა, რადგანაც მის მეტმა არავინ იცის, რა არის სასარგებლო როგორც ყოველი საწყსისათვის ცალ-ცალკე, ისე სამივესათვის ერთად.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო ზომიერს მარტოოდენ ამ საწყისთა ერთსულოვნებისა და თანახმიერების მიხედვით თუ ვუწოდებთ ადამიანს, როცა არა მარტო წარმმართველი, არამედ მისდამი დაქვემდებარებული ორი დანარჩენი საწყისიც იმ აზრისაა, რომ მბრძანებლობის უფლება მხოლოდ გონებას ეკუთვნის და დაუშვებელია არ ემორჩილებოდე მას.

– და მართლაც, სწორედ ესაა როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო პირის ზომიერებაც.

– მაგრამ სამართლიანიც, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, მხოლოდ ამის შედეგად და ამნაირად თუ იქნება ადამიანი.

– უეჭველად.

– და მაინც, ხომ არაფერი გვიბინდავს სამართლიანობას, ასე რომ, სხვა სახით წარმოგვიჩენს მას, და არა იმით, რითაც სახელმწიფოში ვლინდება?

– მე მგონია, არა.

– თუ სულში ოდნავი ეჭვი მაინც დაგვრჩა, ჩვენ შეგვიძლია ერთი უბრალო მაგალითის მოხმობით საბოლოოდ გავფანტოთ იგი.

– მაინც რა მაგალითს გულისხმობ?

– ავიღოთ, ერთის მხრივ, ეს ჩვენი სახელმწიფო, მეორეს მხრივ კი – თავისი ბუნებითა თუ აღზრდის მიხედვით მისი მსგავსი ადამიანი, და დავუშვათ, რომ სრულ თანხმობას უნდა მივაღწიოთ ამ საკითხთან დაკავშირებით: განა შეიძლება, რომ

ამნაირმა ადამიანმა მიითვისოს შესანახად მიბარებული ოქრო-ვერცხლი? ანდა ვინ გაბედავს ამის მტკიცებას, თუ არა ის, ვინც ძირფესვიანად განსხვავდება მისგან?

– ვერავინ.

– მისთვის სრულიად უცხოა მკრეხელობა, ძარცვა-გლეჯა და გამცემლობა: კერძო ცხოვრებაში – მეგობრების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი– სახელმწიფოს ღალატი.

– დიახ, ყოველივე ეს სრულიად უცხოა მისთვის.

– რაღა თქმა უნდა, არც ფიცის გატეხა სჩვევია და არც პირობის დარღვევა.

– ცხადია.

– ავხორცობაც, უპატივცემლობაც მშობლების მიმართ და ღვთისმოსაობის დავიწყებაც, – ყოველივე ეს, ვისაც გნებავს, იმას შეჰფერის, ოღონდ არა მას.

– რა თქმა უნდა.

– მერედა, რა არის ყოველივე ამის მიზეზი, თუ არა ის, რომ თვითეული მისი ნაწილი თავის საკუთარ საქმეს ასრულებს მბრძანებლობისა თუ მორჩილების თვალსაზრისით?

– დიახ, მხოლოდ ეგ და სხვა არაფერი.

– და შენ გინდა, რომ სამართლიანობა სხვა რამე იყოს და არა ის ძალა, რომელიც ამნაირსა ხდის ადამიანებსაც და სახელმწიფოსაც?

– არა, ვფიცავ ზევსს, არ მინდა.

– აი, როგორ აგვიხდა ჩვენი ზმანება, კერძოდ, ის, რასაც ბუნებრივად ვგრძნობდით: როგორც კი დავაპირეთ საფუძველი ჩაგვეყარა სახელმწიფოსთვის, რომელიღაც ღვთაების წყალობით სახელდახელოდ მივაკვლიეთ სამართლიანობის ერთგვარ ნიმუშს და საწყისს.

– ჭეშმარიტად.

– ასე რომ, სამართლიანობის თავისებურად სასარგებლო ხატება იყო, გლავკონ, ჩვენი მტკიცება იმის თაობაზე, რომ ვინც თავისი ბუნებრივი მონაცემებით მეწაღედ დაბადებულა, მართებული იქნება, თუ მეწაღეობის გარდა სხვა საქმეს არ მოჰკიდებს ხელს, ხოლო ხუროდ დაბადებული მარტოოდენ ხუროობას დასჯერდება. იგივე ითქმის ყველა სხვა ხელობაზედაც.

– როგორც ჩანს.

– მე თუ მკითხავ, მართლაც ამნაირი იყო სამართლიანობის ჩვენეული გაგება, მაგრამ არა ადამიანის საქმიანობის ამა თუ იმ გარეგნული გამოვლინების, არამედ ჭეშმარიტად შინაგანი ქმედითობის – თავის თავსა და თავის სულიერ სამყაროზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ამნაირი კაცი ნებას არ დართავს სულის არცერთ საწყისს, სხვისი საკეთებელი აკეთოს ან სხვის საქმეში ჩაერიოს; პირიქით, ის სრულ წესრიგს ამყარებს საკუთარ სულში, თავისი თავის ბატონ-პატრონი, წრფელი გზით წარმმართველი და მეგობარი ხდება, ასე რომ ჰარმონიულად უხამებს ერთმანეთს თავისი სულის სამივე საწყისს, ზუსტად ისევე, როგორც თანახმიერების სამ ძირითად ტონს – მაღალს, დაბალს და საშუალოს, აგრეთვე შუალედურ ტონებსაც, თუკი მათ შორის გვხვდებიან; ყოველივე ამას ერთად ჰკრავს და, ამრიგად, სიმრავლიდან იღებს ერთობას, ზომიერებას და ჰარმონიულ თანახმიერებას. ასეთია მთელი მისი საქმიანობა, სულერთია, სიმდიდრის მოსახვეჭად იღვწის, ტანის სიმრთელეზე ზრუნავს, სახელმწიფოს ემსახურება თუ თავის საკუთარ საქმეს იგვარებს. ის მშვენიერსა და სამართლიანს უწოდებს ყოველნაირ ქმედებას, რომელიც სულში ამგვარ განწყობას ამკვიდრებს, სიბრძნედ კი ამ ქმედების წარმმართველ უნარსა

სახავს. მისივე აზრით, უსამართლოა ქმედება, რომელიც არღვევს ყოველივე ამას, უმეცრება კი იმნაირი წარმოდგენაა, რომელიც წარმართავს უსამართლო ქმედებას.

– ცამდე მართალი ხარ, სოკრატე.

– ერთის სიტყვით, თუ ვაღიარებთ, რომ უკვე განვსაზღვრეთ სამართლიანი სახელმწიფოცა და სამართლიანი ადამიანიც ისევე, როგორც სამართლიანობა, რომელიც მათში ვლინდება, ალბათ, ვეღარ იტყვიან, რომ ძალზე შორსა ვართ ჭეშმარიტებისაგან.

– ვერა, ვფიცავ ზევსს, ვეღარ იტყვიან.

– მაშ, ვაღიარებთ ამას?

– დიახ, ვაღიარებთ.

– კეთილი და პატიოსანი; ამის შემდეგ, მე მგონია, უსამართლობა დაგვრჩა განსახილველი.

– ცხადია.

– მერედა, რა უნდა იყოს ეს, თუ არა ზემოხსენებული სამი საწყისის უთანხმოება და ურთიერთაშლა, ერთმანეთის საქმეებში ჩარევა, სულის ერთ-ერთი ნაწილის ჯანყი მთელი სულის წინააღმდეგ ერთპიროვნული მბრძანებლობის მოსაპოვებლად, თუმცა უსამართლობის ბუნება იმნაირია, რომ ბრძანებლურ საწყისს უნდა მორჩილებლეს. ჩემის აზრით, სწორედ ასე განვსაზღვრავთ უსამართლობას: ესაა სულის ნაწილთა მუდმივი შფოთი და წრიალი. მათი აღვირახსნილობა, სიმხდალე და უმეცრება, მოკლედ, მთელი ბოროტება თუ ბიწიერება.

– ყოველივე ეს ერთი და იგივეა.

– მაშასადამე, უკვე სავსებით ნათელია, რა არის, ერთის მხრივ, უსამართლო ქცევა და თვით უსამართლობა, ხოლო მეორეს მხრივ, – სამართლიანი საქციელი, რაკიღა უკვე განვსაზღვრეთ სამართლიანობისა და უსამართლობის ბუნება.

– როგორ?

– როგორ და ისე, რომ სამართლიანობა და უსამართლობა არაფრით არ განირჩევიან ჯანსაღი და სნეული საწყისებისგან, მხოლოდ პირველი ორი სულისთვისაა ნიშნეული, ბოლო ორი კი – სხეულისათვის.

– რას ამბობ? – იკითხა გლავკონმა.

– ჯანსაღი საწყისი ჯანმრთელობის საწინდარია, სნეული კი – სნეულებისა.

– დიახ.

– ზუსტად ასევე, სამართლიანი ქცევაც სამართლიანობის საწინდრად გვევლინება, უსამართლო ქცევა კი – უსამართლობისა.

– უცილობლად.

– ჯანმრთელობის დამკვიდრება იმასა ნიშნავს, რომ მბრძანებლობისა თუ ურთიერთდაქვემდებარების ბუნებრივი წესრიგი დაამყარო სხეულებრივ საწყისთა შორის, სნეულება კი სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ მბრძანებლობისა თუ ურთიერთდაქვემდებარების იმნაირი დამოკიდებულება დაამყარო იმავე საწყისთა შორის, რაც ეწინააღმდეგება ბუნებას.

– ეგრეა.

– ზუსტად ასევე, სამართლიანობის დამკვიდრება იმასა ნიშნავს, რომ მბრძანებლობისა თუ ურთიერთდაქვემდებარების ბუნებრივი დამოკიდებულება დაამყარო სულიერ საწყისთა შორის, უსამართლობის დამკვიდრება კი – იმას, რომ მბრძანებლობისა თუ ურთიერთდაქვემდებარების იმნაირი დამოკიდებულება დაამყარო იმავე საწყისთა შორის, რაც ეწინააღმდეგება ბუნებას.

– მართალს ბრძანებ?

– მაშასადამე, სიქველე, როგორც ჩანს, სულის სიჯანსაღეა, მშვენიერება და კეთილდღეობა, ბიწიერება კი – სნეულება, სიმახინჯე და სისუსტე.

– ჭეშმარიტად.

– მერედა, განა პატიოსანი ქცევა ხელს არ უწყობს სიქველის დამკვიდრებას, უპატიოსნო ქცევა კი – ბიწისას?

– რა თქმა უნდა.

– ახლა კი, ეტყობა, განსახილველი დაგვრჩა, რამდენად სასარგებლოა, ერთის მხრივ, სამართლიანი ქცევა, პატიოსნება და საკუთრივ სამართლიანობა, მიუხედავად იმისა დაფარულია ყოველივე ეს თუ გამჟღავნებული, მეორეს მხრივ კი – უსამართლო საქციელი და თვით უსამართლობა, თუნდაც არც სამსჯავროს წინაშე წარდგომას და არც სასჯელს უქადდეს კაცს, გამოსასწორებლად რომ სჯიან დამნაშავეებს.

– მაგრამ მე, მართალი გითხრა, სოკრატე, ამჯერად უკვე სასაცილოდაც არ მყოფნის ამნაირი განხილვა: თუ ჯანმრთელობაშერყეულ კაცს სიცოცხლე არაფრად უღირს, თუმცა შეიძლება არც სასმელ-საჭმელი აკლდეს, არც სიმდიდრე და ძალაუფლება, რაღა ითქმის მის სიცოცხლეზე, ვის არსებაშიაც მთლიანად დარღვეული და დაშლილია თვით იმისი ბუნება, რითაც ჩვენ ვცოცხლობთ, თუნდაც საშუალება ჰქონდეს აკეთოს ყველაფერი, რაც კი მოეპრიანება, გარდა იმისა, რისი წყალობითაც შესძლებდა თავი დაეღწია ბიწიერებისა თუ უსამართლობისათვის, და ამრიგად ზიარებოდა სიქველეს და სამართლიანობას? აკი გულდასმით განვიხილეთ როგორც ერთის, ისე მეორის ბუნება.

– მართლაც რომ სასაცილოა; მაგრამ რაკი აქამდე მოვედით, საიდანაც ცხადზე უცხადესად ჩანს, რომ ყველაფერი მართლაც ასეა, მოდი, ნუღარ დავიხევთ უკან.

– ვფიცავ ზევსს, უკან დახევა ყველაფერზე უარესია.

– მაშ, დაუკვირდი, რამდენი სხვადასხვა სახე აქვს ბიწს; ღმერთმანი, ღირს განხილვად.

– კვალდაკვალ მოგდევ, შენ კი განაგრძე.

– მართლაც, აქედან, როგორც სათვალთვალო კოშკიდან, რომელსაც ჩვენი საუბრისას მოვექეცით წვერზე, მე ვხედავ სიქველის მხოლოდ ერთ სახეს, მაშინ როდესაც ბიწი ურიცხვი სხვადასხვა სახით წარმოგვიჩნდება. ოთხი მათგანი იმად ღირს, რომ მოვიხსენიოთ.

– რას გულისხმობ?

– რამდენიცაა სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სახე, იმდენი სხვადასხვა სახისაა სულიც.

– მაინც რამდენის?

– არსებობს როგორც სახელმწიფო მმართველობის, ისე სულის ხუთი სხვადასხვა სახე.

– დამისახელე.

– მე თუ მკითხავ, სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი სახე ისაა, ახლახან რომ მიმოვიხილეთ, მაგრამ მას შეიძლება ორნაირი სახელი ეწოდოს: თუ მმართველთა შორის ყველას აღემატება ერთი, ამას სამეფო ძალაუფლება ჰქვია, ხოლო თუ ძალაუფლებას მრავალი მმართველი ინაწილებს, ეს იქნება არისტოკრატია.

– მართალს ბრძანებ.

– აი, სწორედ ამასა ვსახავ სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ სახედ, რადგან მმართველი ერთი იქნება თუ მრავალი, ისინი არ დაარღვევენ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს კანონებს, თუკი იმნაირად წარმართავენ ქვეშევრდომთა აღზრდას და სწავლას, როგორც ჩვენი მსჯელობისას ჩამოვაყალიბეთ.

– რა თქმა უნდა, არ დაარღვევენ.

წიგნი მეხუთე

– რიგიანსა და ვარგისს მე ვუწოდებ სწორედ ამნაირ სახელმწიფოს, სახელმწიფოებრივ მმართველობას და კერძო პირსაც, ხოლო რაკი მათ ვარგისად ვთვლი, ყველა სხვა სახის სახელმწიფო უვარგისად მიმაჩნია; უვარგისია მათი სახელმწიფოებრივი წყობილებაც და მოქალაქეთა სულიერი წყობაც. არსებობს მანკიერი სახელმწიფო მმართველობის ოთხი სხვადასხვა სახე.

– მაინც? – იკითხა გლავკონმა.

მე დავაპირე იმ თანმიმდევრობით მელაპარაკა მათზე, რა თანმიმდევრობითაც ისინი ერთმანეთში გადადიან. მაგრამ აქ პოლემარქემ, ადიმანტესაგან ცოტა მოშორებით რომ იჯდა, ხელი გაიწოდა, მხარზე მოგდებულ მოსასხამში ჩაავლო მეზობელს და თავისკენ მიიზიდა, თვითონაც გადაიხარა და რაღაცა ჩასჩურჩულა ყურში. მე მხოლოდ ეს მომესმა: თავის ნებაზე მივუშვათ თუ რა ვქნათო?

– რას ქვია, თავის ნებაზე მივუშვათ? – ხმამაღლა მიუგო ადიმანტემ.

– არა, მაინც ვის გულისხმობთ? – ვიკითხე მე.

– ვისა და, შენ, – მიპასუხა ადიმანტემ.

– რას მემართლებით? – კვლავ ვკითხე მე.

– ჩვენ გვეჩვენება, რომ თავის შეწუხება არ გინდა და ცდილობ მალულად გამოტოვო ჩვენი საუბრის საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რათა თავის შეწუხება აღარ დაგჭირდეს. ან იქნებ გგონია დაგვავიწყდა, რა თქვი გაკვრით ქალებსა და ბავშვებზე: მეგობრებს ყველაფერი საერთო უნდა ჰქონდეთო.

– რაო, განა არასწორად ვთქვი, ადიმანტე?

– ასეა თუ ისე, ახსნა-განმარტება მაინც საჭიროა: ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რანაირად წარმოგიდგენია ეს საერთო საკუთრება, რადგანაც მისი რამდენიმე სახე არსებობს. მაშ, კეთილ-ინებე და გვითხარი, მაინც რომელ სახეს გულისხმობ. რა ხანია გელით, როდის ჩამოაგდებ სიტყვას შობადობასა თუ ახალშობილთა აღზრდაზე, მოკლედ, იმაზე, თუ რანაირად შეიძლება, რომ ქალები და ბავშვები საერთო საკუთრებად გვევლინებოდნენ. მართებულია თუ არა ეს, ჩვენის აზრით, ამას ძალიან დიდი, მეტიც, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის. შენ კი ისე გადახვედი სახელმწიფო მმართველობის სულ სხვა სახეზე, რომ საკმაო ყურადღება არ დაგითმია ამ საჭირბოროტო საკითხისათვის. ჰოდა, აი, როგორც მოგესმა, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სიტყვა აღარ გაგაგრძელებინოთ, ვიდრე ისევე საფუძვლიანად არ განიხილავ ყოველივე ამას, როგორც სხვა დანარჩენი განიხილე.

– მეც მაგ გადაწყვეტილების მონაწილედ მიგულეთ, – სიტყვა ჩაურთო გლავკონმა.

– რა თქმა უნდა; მაშ, იცოდე, სოკრატე, რომ ყველამ ერთხმად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, – დასძინა თრასიმაქემ.

– რას მერჩით ხალხო! – წამოვიძახე მე, – რად მაიძულებთ შევჩერდე და თავიდან მოვყვე ყველაფერს სახელმწიფოს შესახებ? მე კი მიხაროდა, მგონი, გადავრჩი და ამ საკითხზე ლაყბობა აღარ მომიწევს-მეთქი. ნეტავი ჩემს ადრინდელ ნათქვამს დასჯერებოდით. არც კი იცით, რა საცილო და სადავიდარაბო საქმე

აიტეხეთ. ვიცოდი, რაც მელოდა, და ამიტომაც ავუქციე გვერდი ამ აყალ-მაყალსა და ვაივაგლახს.

– მაშ, რა გეგონა, – თქვა თრასიმაქემ, – ეს ამოდენა ხალხი წყლის სანაყავად შევყრილვართ აქ თუ სიტყვის სასმენად?

– ჰო, მაგრამ სიტყვასაც ხომ თავისი ზღვარი აქვს.

– ამნაირი სიტყვის ზღვარი, – მითხრა გლავკონმა, – ჭკუადამჯდარი ხალხის აზრით, მთელი სიცოცხლეა, სოკრატე. შენ ჩვენი დარდი ნუ გაქვს. ადექი და შენებურად განგვიმარტე, რასაც გეკითხებით: რანაირად შეიძლება, რომ ჩვენს მცველებს საერთო ცოლ-შვილი ჰყავდეთ, ან როგორ უნდა აღვზარდოთ ყრმები დაბადებიდან იმ დრომდე, ვიდრე სწავლას დავაწყებინებდეთ, რაც ძალზე ძნელი საქმე ჩანს? ეცადე გვითხრა, რანაირად მოგვარდება ყოველივე ეს?

– ადვილი როდია ამ საქმეში გარკვევა, ჩემო საოცარო. აქ გაცილებით მეტია საჭოჭმანო, ვიდრე ყოველივე იმაში, რაც ადრე განვიხილეთ. არავინ დაიჯერებს, რომ ჩვენს აზრს შეიძლება ხორცი შეესხას, ხოლო მისი ხორცშესხმა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ ის დააეჭვებდათ, მართლა საუკეთესოა თუ არა ეს აზრი. აი, რად ვცდილობ გვერდი ავუქციო ამ საკითხს, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რათა მოცლილი კაცის ყბედობად არ აღიქვან ჩემი სიტყვები.

– ნუ გეშინია; შენი მსმენელები არც უვიცნი არიან, არც უნდონი და არც ავის მოსურნენი.

მაშინ მე ვუთხარი:

– როგორც ჩანს, გამხნევებას მიპირებ, ჩემო კეთილო.

– დიახ.

– გამხნევებისა რა მოგახსენო და ეგ შენი მცდელობა სრულიად საპირისპირო შედეგს კი გამოიღებს. ჩემი თავის იმედი რომ მქონდეს და დარწმუნებული ვიყო, თითქოს ვიცი ის, რასაც ვამბობ, ეგ შენი ნუგეში მართლაც დროული იქნებოდა. ვისაც ჭეშმარიტებაზე ხელი მიუწვდება, გამგებსა და მეგობრულად განწყობილ მსმენელთა შორის თამამად და გაბედულად მსჯელობს იმაზე, რაც ყველაფერზე დიადია და მისთვის ყველაზე ძვირფასი. მაგრამ როცა კაცი, ჩემი არ იყოს, იმას აქცევს მსჯელობის საგნად, რაც თვითონვე აეჭვებს და ალალბედზე დაეძებს ჭეშმარიტებას, მტერსაც არ ვუსურვებ მის დღეში ყოფნას; არა, იმიტომ კი არა, თითქოს მეშინია, ვაითუ მასხრად ამიგდონ-მეთქი (ეს ხომ ბავშვური საქციელი იქნებოდა), არამედ იმიტომ, რომ თუ ჭეშმარიტებას ძირს გამოვუთხრი და მოვარყევ, მეც დავეცემი და მეგობრებსაც თან გადავიყოლებ. ჩვენ ხომ იმაზე ვმსჯელობთ, რასაც ყველაზე ნაკლებ შეჰფერის ყოყმანი და ორჭოფობა. ამიტომაც ადრასტეას ვთხოვ შეწყალებას, გლავკონ: მომიტევოს, რის თქმასაც ვაპირებ. მე თუ მკითხავ, ნაკლები დანაშაულია შენდა უნებურად გახდე ვიღაცის მკვლელი, ვიდრე სიცრუით შებღალო ის, რაც მშვენიერია, კეთილი, სამართლიანი და კანონიერი. ამნაირი საფრთხე კი უმჯობესია მტრებს შორის გემუქრებოდეს, ვიდრე მეგობრებს შორის. მაშ, თუ ღმერთი გწამს, ნუ მამხნევებ.

გლავკონმა გაიცინა და მითხრა:

– კეთილი და პატიოსანი, თუ შენმა სიტყვამ გვავნო, სოკრატე, ნუ გეშინია, მოგიტევებთ დანაშაულს და ერთხმად გიმოწმებთ, რომ არავითარი ბრალი არ მიგიძღვის სიცრუესა და კაცის კვლაში. მაშ, მხნედ იყავი და ილაპარაკე.

– კაცი, რომელსაც მიეტევა დანაშაული, სუფთაა კანონის წინაშე. ასე რომ, ჩემზედაც იგივე ითქმის.

– ჰოდა, ახლა მაინც გვაღირსე სიტყვა.

– ესე იგი ხელახლა უნდა მივუბრუნდეთ იმას, რაც თავიდანვე უნდა მეთქვა. ალბათ, მართებული იქნებოდა, მას შემდეგ, რაც მამაკაცთა დანიშნულებაზე ვილაპარაკებთ, ქალების დანიშნულებაც განგვესაზღვრა, მით უმეტეს, რომ შენც ამასვე მოითხოვ.

დაბადებითა და აღზრდით იმნაირ კაცთათვის, რომლებზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით, თუკი მათ სურთ ისე მოეკიდონ ცოლ-შვილს, როგორც წესი და რიგია, არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომელიც იმთავითვე ავირჩიეთ. აკი, ჩვენი გადაწყვეტილებით, კაცები დავადგინეთ ფარის მოდარაჯე მცველებად.

– დიახ.

– მაშ, ჩვენებურად განვაგრძოთ საქმე: დავუშვათ, რომ ქალები, დაბადებითა და აღზრდით, კაცების თანასწორი არიან, და ვნახოთ, გამოგვადგება თუ არა ეს.

– როგორ?

– როგორ და, აი, ასე: ჩვენის აზრით, მოდარაჯე ქოფაკთა შორის ძუკნებიც ისევე უნდა იცავდნენ ფარას, როგორც ხვადები, მათნაირად ნადირობდნენ და მათთან ერთადვე ასრულებდნენ ყველაფერს, რაც ევალებათ, თუ სხვა რამის თავი არა აქვთ, გარდა იმისა, რომ კარ-მიდამოს ყარაულობდნენ, ლეკვებს ყრიდნენ და ზრდიდნენ, მაშინ როდესაც ფარაზე ზრუნვა მხოლოდ ხვადების ხვედრია?

– მთელ საქმეს ერთნაირად უნდა ინაწილებდნენ, თუმცა ანგარიშს უნდა ვუწევდეთ იმას, რომ ძუკნები უფრო სუსტნი არიან ხვადებთან შედარებით.

– კი მაგრამ, განა შეიძლება ერთ სულდგმულს იგივე მოსთხოვო, რაც მეორეს, თუკი მათ ერთნაირად არ აღზრდი და ასაზრდოებ?

– არა, არ შეიძლება.

– ასე რომ, თუ კაცებსა და ქალებსაც ერთნაირ საქმეს მივუჩენთ, ერთნაირადვე უნდა აღვზარდოთ ისინი.

– დიახ.

– მაგრამ კაცებს ხომ მუსიკურსა და გიმნასტიკურ ხელოვნებაში თავის გაწაფვა დავუსახეთ მიზნად.

– დიახ

– მაშასადამე, ქალებსაც უნდა მოვთხოვოთ, ორივე ამ ხელოვნებას და, გარდა ამისა, საომარ საქმესაც დაეუფლონ; ამისდა კვალად უნდა ხდებოდეს მათი დასაქმებაც.

– შენი სიტყვებიდან ეგრე გამოდის.

– ბევრი რამ, რასაც ახლა მოგახსენებ, სასაცილოდაც არ გეყოფა, რადგანაც აშკარად დაუპირისპირდება ჩვენს ადათ-წესებს, თუკი მოვინდომებთ საქმედ ვაქციოთ სიტყვა.

– რა თქმა უნდა.

– შენის აზრით, რა იქნებოდა აქ ყველაზე სასაცილო? ალბათ ის, რომ ტიტლიკანა ქალები პალესტრაზე კაცებთან ერთად გამოვიდოდნენ სავარჯიშოდ, და განა მარტო ყმაწვილი ქალები, არამედ ხანდაზმულებიც, ზუსტად ისევე, როგორც ბერიკაცები, ვაგლახად დამჭკნარ-დალეულნი და დანაოჭებულნი იხტიბარს რომ არ იტეხენ და ვერ ელევიან გიმნასიონებს.

– ვფიცავ ზევსს, მართლაც რომ სასაცილო იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ ზნე-ჩვეულებათა თვალსაზრისით.

– მაგრამ რაკი ამაზე ჩამოვარდა სიტყვა, ნუ შევუკრთებით ავყიეს და ენაკვიმატებს; გაუშვი, მასხრად აიგდონ ეს სიახლენი: ქალების წვრთნა

გიმნასიონებში, მუსიკურსა და, მით უმეტეს, საომარ ხელოვნებაში თავის გაწაფვა, ჯირითი თუ ეტლების მართვა.

– მართალს ბრძანებ.

– რახან დავიწყეთ, კიდევაც გავილაშქროთ იმის წინააღმდეგ, რაც ჩვენს ჩვეულებებში მიუღებელი გვეჩვენება. ქილიკებს კი ვთხოვთ, თავი შეიკავონ ავყიობისგან და გაიხსენონ, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ, ელინებს, ისევე როგორც დღეს – ბარბაროსთა უმრავლესობას, სამარცხვინოდ და სასაცილოდ მიაჩნდათ შიშველი კაცის გამოჩენა საასპარეზოდ, და როცა ჯერ კრეტელებმა, ხოლო შემდეგ ლაკედემონელებმა პირველად გახსნეს გიმნასიონები, მაშინდელ ქილიკებს კაი გვარიანი საბაბი მიეცათ სამასხროდ და სალაზღანდაროდ. თუ შენ სხვა აზრისა ხარ?

– არა, სავსებით გეთანხმები.

– მაგრამ როდესაც გამოცდილებამ ცხადყო, რომ შიშველი კაცი უფრო თავისუფლად ვარჯიშობს, ვიდრე ჩაცმული, მაშინ ეს აღარც თვალს მოეჩვენა სასაცილოდ, რადგანაც გონება მოწმობდა, რომ ასე სჯობდა საქმისთვის. მხოლოდ თავქარიანს თუ შეუძლია მასხრად აიგდოს სხვა რამე, გარდა იმისა, რაც უგვანია და უკეთური, და როცა სიბრიყვეს თუ ბიწიერებას კი არ აქცევენ დაცინვის საგნად, არამედ სულ სხვა რამეს, მაშინ სიკეთეს კი არა, სხვა მიზანს მიელტვიან.

– ჭეშმარიტად.

– ამრიგად, ჯერ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, შესაძლებელია თუ არა ხორცი შევასხათ ჩვენს მიერ დასახულ გეგმას და, ხუმრობით თუ ხუმრობის გარეშე, გადავწყვიტოთ, რამდენად შეუძლია ქალის ბუნებას, კაცივით გაართვას თავი ყოველგვარ საქმეს, თუ ვერანაირ საქმეს ვერ მოაბამს თავს, ან იქნებ მხოლოდ ზოგიერთი საქმის კეთების უნარი შესწევს, ზოგიერთისა კი არა, და ბოლოს, შეიძლება თუ არა, საომარი საქმე მივანდოთ მას. განა არა სჯობს, ასე დიდებულად დავიწყოთ, რათა შემდეგ ასევე დიდებულად დავასრულოთ ჩვენი მსჯელობა?

– რა თქმა უნდა.

– ხომ არ გნებავს, ჩვენი მოწინააღმდეგეების ადგილას დავგეთ და მათი მოსაზრებები გავარჩიოთ, რათა დაუცავ ციხე-სიმაგრეს არ შემოვარტყათ ალყა

– ვითომ რა გვიშლის ხელს?

– ასე რომ, მათ მაგივრად ვიტყვით: «სოკრატე და გლავკონ, თქვენ სულაც არ გჭირდებათ, რომ ვინმე შემოგედავოთ. აკი თქვენი სახელმწიფოს დაფუძნებისთანავე აღიარეთ, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, მხოლოდ ის საქმე, რომელიც შეესაბამება მისსავ ბუნებას».

– მართალი გითხრათ, ვაღიარებ; მაშ, რა უნდა გვექნა?

– »კი მაგრამ, განა ქალი, თავისი ბუნებით, არსებითად არ განსხვავდება კაცისაგან?»

– რასაკვირველია.

– »მაშასადამე, ერთსაც და მეორესაც სხვადასხვა საქმე უნდა მივანდოთ, მათივე ბუნების შესაბამისად».

– მერედა, რა?

– »განა შეცდომას არ უშვებთ და თქვენსავე თავს არ ეწინააღმდეგებით, როცა ამტკიცებთ, ქალი და კაცი ერთნაირ საქმეს უნდა ასრულებდნენო, თუმცაღა მათი ბუნება ასე განსხვავდება ერთმანეთისაგან?» ახლა მითხარი, ჩემო ძვირფასო, რანაირად დაიცავ შენს აზრს?

– ადვილი საქმე როდია, მაგრამ გევედრები და კვლავაც შეგევედრები, ეგება რამე მოიგონო ჩვენი მოსაზრების გასამართლებლად.

– სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იმთავითვე სწორედ ამას ვუფრთხოდი, გლავკონ; მიტომაც ვყოყმანობდი და ვაყოვნებდი იმ კანონის განხილვას, რომელიც გვიწესებს, რანაირად უნდა მოვეკიდოთ ოჯახს და როგორ უნდა აღვზარდოთ ქალები და ბავშვები.

– ვფიცავ ზევსს, ეტყობა, არცთუ უსაფუძვლოდ უფრთხოდი.

– რა თქმა უნდა. მაგრამ იცი, რას გეტყვი? – კაცი გინდ აუზში ჩავარდნილა და გინდ შუა ზღვაში: სულერთია, უნდა გამოცუროს.

– უეჭველად.

– ჰოდა, ჩვენც უნდა გავცუროთ, რათა თავი დავაღწიოთ ამ ჩვენი მსჯელობის მორევს. თუ ბედმა გაგვიღიმა, იქნებ დელფინმა შეგვისვას ზურგზე ან რაღაც სასწაულმა გადაგვარჩინოს.

– ვცადოთ.

– მოდი, იქნებ რაიმე გამოსავალი ვიპოვოთ. ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ სხვადასხვანაირ ბუნებას საქმეც სხვადასხვა შეჰფერის ხოლო ქალის ბუნება განსხვავდება კაცის ბუნებისაგან. ახლა კი უცებ მოვყევით იმის მტკიცებას, რომ სხვადასხვა ბუნების ხალხს შეუძლია ერთსა და იმავე საქმეს ასრულებდეს. აკი სწორედ ამას გვდებენ ბრალად.

– დიახ, სწორედ მაგას

– ჭეშმარიტად დიდია, გლავკონ, კამათის ხელოვნების ძალა.

– როგორ?

– როგორ და ისე, რომ ბევრი თავისდა უნებურად ებმება ხოლმე კამათში თუმცა რატომღაც ჰგონიათ, კი არ ვკამათობთ, არამედ ვმსჯელობთო. ხოლო ეს იმიტომ ხდება, რომ არ შეუძლიათ ცალკეულ სახეებად დაყონ და ასე განიხილონ საგანი. ისინი მხოლოდ, სიტყვებში იქექებიან და სულ იმის ჩხრეკაში არიან, სად დაუშვა შეცდომა მათმა თანამოსაუბრემ, ასე რომ კი არ მსჯელობენ, არამედ დაობენ და კინკლაობენ

– ბევრს მართლაც ასე სჩვევია. მაგრამ ნუთუ ჩვენც იგივე საფრთხე გვემუქრება?

– უსათუო; აკი ჩვენდა უნებურად ჩავებით ამ სიტყვიერ კინკლაობაში.

– როგორ?

– როცა ადამიანები ბუნებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათი საქმიანობაც სხვადასხვანაირი უნდა იყოს; ჩვენ შეუპოვრად დავიცავით ეს, კამათი კი სახელებმა გამოიწვია: საერთოდ არ გვითქვამს, რაში მდგომარეობს ბუნებრივ თვისებათა სახეობრივი სხვადასხვაობა, და არ განგვისაზღვრავს, რას უკავშირდება ან ერთი და ან მეორე, როცა სხვადასხვა ბუნების ხალხს სხვადასხვანაირი საქმიანობა დავუწესეთ, ერთნაირი ბუნებისას კი – ერთნაირი.

– მართლაც არ გვითქვამს.

– ჰოდა, ახლა თვითონვე უნდა ვკითხოთ ჩვენსავე თავს: ერთნაირია მელოტებისა და თმიანების ბუნება თუ ურთიერთსაპირისპირო? თუ ვაღიარებთ, რომ მათი ბუნება ურთიერთსაპირისპიროა, მაშინ ისიც ვიკითხოთ: თუკი მელოტები მეწაღის ხელობას მისდევენ, ხომ არ ეკრძალება ეს თმიანებს, ანდა, პირიქით, თუ თმიანები მისდევენ მეწაღის ხელობას, ხომ არ ეკრძალება ეს მელოტებს?

– რა სასაცილო კითხვას მთავაზობ.

– კი მაგრამ, ნუთუ სხვა რამის გამოა სასაცილო და არა იმიტომ, რომ არსებითი ნიშნის მიხედვით კი არ განგვისაზღვრავს ბუნებათა სხვაობა თუ მსგავსება, არამედ სხვაობისა თუ მსგავსების იმ ნიშნით შემოვიფარგლეთ, საკუთრივ საქმიანობას რომ

უკავშირდება. ასე მაგალითად, ჩვენ ვამბობდით, რომ ერთი და იმავე ბუნებისაა მკურნალიცა და ისიც. ვისაც დაბადებითვე დაჰყვება მკურნალობის ნიჭი. ასეა, არა?

– დიახ.

– ხოლო მკურნალი და ხურო სხვადასხვა ბუნებისანი არიან?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, თუ გაირკვა, რომ ქალი და კაცი ერთნაირად ვერ დაეუფლება ამა თუ იმ ხელოვნებას და ვერც თანაბრად გაართმევს თავს ამა თუ იმ საქმეს, ჩვენ ვიტყვით, რომ ეს საქმე, მათი უნარის შესაბამისად, ან ერთს უნდა მივანდოთ და ან მეორეს. ხოლო თუ ისინი მარტო იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ ქალი შვილსა შობს, კაცი კი ქალის საშოს ანაყოფიერებს, ჩვენ დავასკვნით, რომ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ იმ თვალსაზრისითაც, რომლითაც ამჯერად მათ განვიხილავთ. ამიტომ კვლავ განვაგრძობთ იმის მტკიცებას, რომ ჩვენი მცველებიცა და მათი ცოლებიც ერთსა და იმავე საქმეს უნდა ასრულებდნენ.

– და, ალბათ, მართალნიც ვიქნებით.

– ამის შემდეგ ვთხოვთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, დაგვისახელონ, თუ ეგულებათ იმნაირი ხელოვნება ან საქმიანობა, რასაც მოითხოვს სახელმწიფოს დაფუძნება, – რომ ქალმა ისევე ვერ გაართვას თავი, როგორც კაცმა?

– სამართლიანი მოთხოვნაა.

– თუმცა, შენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, შეიძლება სხვამაც ასევე გვითხრას, რომ ძნელია ნაუცბათევად პასუხი გასცე ამ კითხვას, მაგრამ თუ კარგად დაუფიქრდება, არაფერია უფრო ადვილი.

– შესაძლოა, ასედაც გვითხრას.

– თუ გნებავს, ვთხოვოთ ჩვენს მოპასუხეს, უკან მოგვსდიოს და ვნახოთ, იქნება დავუმტკიცოთ, რომ ქალს არა გაეგება რა სახელმწიფოს მართვის საქმეში.

– დიახაც მნებავს.

– მაშ, გვიპასუხე, ვეტყოდით მას; შენ ასე ამბობდი: ერთს დაბადებითვე თან დაჰყვება რაღაცის ნიჭი, მეორეს კი არა; ერთი ადვილად ეუფლება ამა თუ იმ ხელობას, მეორე კი – გაჭირვებით; ერთისთვის რამდენიმე გაკვეთილიც საკმარისია, რომ თავი ისახელოს იმ საქმეში, რასაც ასწავლიან, მეორე კი მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც რომ სწავლობდეს და თავს იწაფავდეს, იმასაც კი ვერ ითვისებს, რაც უსწავლია; ერთისთვის მისი სხეული სულის ერთგული თანაშემწეა, მეორისათვის კი – დაბრკოლება. განა ამ ნიშნის მიხედვით არ დაჰყავი ისინი, ვისაც ბუნებამ უბოძა რაღაცის ნიჭი და ვისთვისაც იგივე ნიჭი არ გაიმეტა?

– ვერავინ იტყვის სხვა რამეს.

– თუ გეგულება ადამიანური საქმიანობის თუნდაც ერთი ისეთი დარგი, სადაც კაცი ყოველმხრივ მაღლა არ იდგეს ქალზე? დროის დაკარგვად არ ღირს ქსოვაზე, ცხობასა თუ ხარშვაზე ლაყბობა, რასაც ქალები ჩვენზე უკეთ ახერხებენ, და ვაი იმ ქალს, ვისაც ამისი თავიც არა აქვს.

– სწორია; თქვა გლავკონმა, – მართალი გითხრა, ქალი ახლოს ვერ მივა კაცთან, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არა ერთი და ორი ქალი მრავალმხრივ აღემატება არა ერთსა და ორ კაცს, მაგრამ ზოგადად ისეა საქმე, როგორც შენ ამბობ.

– ამრიგად, ჩემო მეგობარო, სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში არ არსებობს საკუთრივ ქალისა და საკუთრივ კაცისათვის განკუთვნილი საქმე; არა, ბუნებამ ერთი და იგივე უნარი უწილადა ერთსაც და მეორესაც, ასე რომ, თავისი ბუნებით, ქალსაც

და კაცსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ერთსა და იმავე საქმეში, მხოლოდ ქალი ყოველმხრივ სუსტია კაცზე.

– მართალია.

– მერედა, რა ვქნათ: ყველა საქმე კაცს მივანდოთ, ქალს კი – არცერთი?

– აბა, ეგ როგორ იქნება?

– მაშინ, მე მგონია, ჩვენ ვიტყვით, რომ თავისი ბუნებრივი მონაცემებით ზოგიერთ ქალს მკურნალობის უნარი შესწევს, ზოგიერთს კი – არა; ზოგს შეუძლია დაეუფლოს მუსიკურ ხელოვნებას, ზოგი კი უცხოა მუზებისათვის.

– რა თქმა უნდა.

– განა ზოგ ქალს არ შეუძლია, გიმნასტიკასა თუ საომარ საქმეს მისდიოს, მაშინ როდესაც ზოგი ერთსაც გაურბის და მეორესაც?

– ეგრეა.

– ზოგი სიბრძნის მოყვარეა, ზოგი კი სიბრძნის მოძულე; ზოგი მხნეა, ზოგი კი მხდალი?

– დიახ.

– მაშასადამე, ზოგი შეიძლება მცველად გამოდგეს, ზოგი კი არა. განა კაცებს შორისაც მცველებად ისინი არ ამოვირჩიეთ, ვინც თავისი ბუნებით შეიძლებოდა მცველად გვეგულა?

– ცხადია, სწორედ ისინი ამოვარჩიეთ.

– ამრიგად, სახელმწიფოს დასაცავად ქალსაც და კაცსაც ერთნაირი ბუნებრივი მონაცემები აქვთ, მაგრამ ქალში ეს უნარი უფრო სუსტადაა გამოკვეთილი, კაცში კი – უფრო მკვეთრად.

– როგორც ჩანს.

– მაშასადამე, მცველებად ვარგის კაცებს იმნაირი ქალები უნდა შევურჩიოთ ცოლებად, რომ თავიანთ ქმრებს ენათესავებოდნენ ბუნებით და მათთან ერთად იდგნენ სახელმწიფოს სადარაჯოზე.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო ერთნაირი ბუნების ხალხს ერთნაირი საქმე უნდა მივანდოთ.

– დიახ.

– ასე რომ, შორი გზა მოვიარეთ და კვლავ საწყის წერტილს მივუბრუნდით: ჩვენ ვაღიარებთ, რომ თუ მცველების ცოლებს მუსიკურსა და გიმნასტიკურ ხელოვნებაში თავის გაწაფვის საშუალებას მივცემთ, ეს არ ეწინააღმდეგება ბუნებას.

– ცხადია.

– ამრიგად, ჩვენს მიერ მიღებული კანონი ფუჭი და განუხორციელებელი როდი ყოფილა, რაკიღა ის შეესაბამება ბუნებას. მე თუ მკითხავ, ბუნებას უმალ ის ეწინააღმდეგება, რასაც დღეს ვხედავთ.

– როგორც ჩანს.

– მაგრამ ჩვენ ხომ უნდა განგვეხილა, რამდენად შესაძლებელია ჩვენი დადგენილებების განხორციელება და ყველაზე უკეთესნი არიან თუ არა ისინი.

– დიახ.

– მათი ხორცშესხმა რომ შესაძლებელია, ამაზე უკვე შევთანხმდით.

– დიახ, შევთანხმდით

– მაშ, ახლა ისიც უნდა ვნახოთ, ყველაზე უკეთესნი არიან თუ არა ისინი.

– ცხადია.

– ქალი რომ მცველი გახდეს, მისი აღზრდა არ უნდა განსხვავდებოდეს მცველი მამაკაცის აღზრდისაგან, მით უმეტეს, რომ ერთსა და იმავე ბუნებრივ მონაცემებს ეხება საქმე.

– დიახ, არ უნდა განსხვავდებოდეს.

– ამაზე რაღას იტყვი?

– რაზე?

– ნუთუ ვერ ხედავ, რომ ერთი კაცი უკეთესია, მეორე კი უარესი; თუ ყველა ერთნაირი გგონია?

– არამც და არამც.

– ხოლო ჩვენს მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოში, შენის აზრით, ვინაა უკეთესი: იმნაირად აღზრდილი მცველები, როგორც ჩვენ წარმოვიდგინეთ, თუ თავიანთ ხელობაში გაწაფული მეწაღეები?

– რა საკითხავია?

– მესმის; და მერე, სხვა მოქალაქეებთან შედარებითაც განა მცველები არ არიან ყველაზე უკეთესნი?

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, განა ქალებშიაც სწორედ ისინი არ იქნებიან ყველაზე უკეთესნი, ვინც ჩვენი მცველების ცოლობის ღირსად ვიგულეთ?

– რასაკვირველია.

– მერედა, სახელმწიფოსათვის რა შეიძლება იყოს იმაზე სასარგებლო, რომ მოქალაქეებად ჰყავდეს ყველაზე უკეთესი ქალებიცა და კაცებიც?

– არაფერი.

– ხოლო ამის მიღწევა შეიძლება მუსიკური და გიმნასტიკური ხელოვნების წყალობით, თუ მათ ისე გამოვიყენებთ, როგორც ჩვენს მიერ იქნა განხილული.

– უეჭველად.

– მაშასადამე, ჩვენი დადგენილების განხორციელება არა მარტო შესაძლებელია, არამედ ყველაზე სასარგებლოცაა სახელმწიფოსთვის.

– მართალს ბრძანებ.

– მაშ დაე, მცველების ცოლებმა გაიძრონ სამოსი, რაკიღა სიქველე გაუწევთ მის მაგივრობას; დაე, თავგანწირვით იბრძოლონ და იომონ სამშობლოს დასაცავად, და ნუ ექნებათ სხვა საზრუნავი. მაგრამ მათი სისუსტის გამო ქალებს უფრო ადვილი საქმე უნდა მივანდოთ, ვიდრე კაცებს. ხოლო კაცი, რომელიც სიცილს ვერ შეიკავებს შიშველი ქალების დანახვაზე, სრულქმნილების მისაღწევად რომ ვარჯიშობენ, თავისი როყიო სიცილით მხოლოდ «სიბრძნის მკვახე ნაყოფს თუ მოწყვეტს»; ეტყობა, თვითონაც არ იცის, რას სჩადის, ან რას დასცინის. რადგანაც მართალს ამბობენ და კვლავაც იტყვიან, რომ მშვენიერება სასარგებლოა, სიმახინჯე კი – მავნე.

– ჭეშმარიტად.

– ჩვენი კანონის განხილვისას, რომელიც ქალებს ეხება, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველი ტალღა ავიცილეთ თავიდან; არა მარტო წალეკვას გადავურჩით, როცა ვამბობდით, რომ ყველა საქმეს ერთად უნდა ასრულებდნენ ჩვენი მცველები – კაცებიცა და ქალებიც, არამედ ჩვენმა მსჯელობამ ისიც დაგვიდასტურა, რომ ეს შესაძლებელიცაა და სასარგებლოც.

– მართლაც რომ მძვინვარე ტალღას გადაურჩი.

– ეს რაა, შენ აწი იკითხე.

– მაგასაც ვნახავთ; მაშ, განაგრძე.

– ამ კანონსა და მის წინარე კანონებს, ჩემის აზრით, შემდეგი მოსდევს^

– მაინც?

– ჩვენს მცველებს საერთო ცოლები უნდა ჰყავდეთ, ასე რომ, არცერთი ქალი არ უნდა ეკუთვნოდეს ერთ რომელიმე კაცს. ასევე საერთო უნდა ჰყავდეთ შვილებიც: მამამ არ უნდა იცოდეს, რომელია მისი შვილი, და არც შვილი იცნობდეს მამას.

– ეს კანონი წინარე კანონზე უფრო მიუღებელია, მისი განხორციელებისა თუ სარგებლიანობის თვალსაზრისით.

– რაც შეეხება სარგებლიანობას, მე მგონია, ვერვინ უარყოფს, რაოდენ სასარგებლოა საერთო ცოლ-შვილის ყოლა, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, ხოლო რამდენად შესაძლებელია ამის განხორციელება, ეს, მე თუ მკითხავ, აზრთა დიდ სხვადასხვაობას გამოიწვევს.

– ერთიც სადავიდარაბოა და მეორეც.

– მაშ, შენის აზრით, საჭიროა ორივეს დასაბუთება? მე კი მეგონა, რომ ერთს მაინც ავიცილებდი თავიდან, რაკი თვითონვე აღიარებ ამის სარგებლიანობას, და მხოლოდ მეორის დამტკიცება დამჭირდებოდა, კერძოდ, იმისა, შესაძლებელია თუ არა ეს.

– ტყუილად ცდილობ, თავს ვერ დაიძვრენ: ერთის დასაბუთებაც მოგიწევს და მეორისაც.

– რა გაეწყობა, – ვუთხარი მე, – მზადა ვარ ავიტანო ეს სასჯელი. მაგრამ მოწყალება მოიღე და ნება მიბოძე, ოდნავ მაინც მოვითქვა სული და ტკბილ ოცნებას მივეცე, როგორც სჩვევია მცონარებს ეულად სეირნობისას: იმას კი არ ეძებენ, თუ რა გზით შეიძლება აისრულონ საწადელი, არამედ ცდილობენ თავი აარიდონ ყოველნაირ საზრუნავს და არც იმაზე ფიქრით აიტკიონ თავი, შესაძლებელია თუ არა, საერთოდ, მათი სურვილის ხორცშესხმა. ამიტომ უკვე ახდენილად სახავენ მას და მერე ისე ელოლიავებიან, თითქოს უკვე ხელთ ჰქონდეთ ის, რასაც ოცნებით მიელტვიან. ხოლო ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მათ სულიერ მცონარებას. ჰოდა, აი, მეც ამ სისუსტეს დავყევი და ვცდილობ სამერმისოდ გადავდო იმის განხილვა, თუ რამდენად შესაძლებელია ეს. ჯერჯერობით კი შესაძლებლად მივიჩნევ ამას და, თუ ნებას მომცემ, განვიხილავ, რა გზას დაადგებიან მმართველები, როცა ეს უკვე მოხდება, და თან გიჩვენებ, რაოდენ სასარგებლო იქნებოდა ეს არა მარტო სახელმწიფოსათვის, არამედ მცველებისთვისაც. თავდაპირველად სწორედ ამას განვიხილავ შენთან ერთად, დანარჩენი კი, თუ გნებავს, მერე იყოს.

– ცხადია, მნებავს. მაშ, ადექი და განიხილე.

– მე მგონია, თუ ჩვენი მმართველებიცა და მათი თანაშემწენიც ღირსნი არიან თავიანთი სახელებისა, ეს უკანასკნელნი სიამოვნებით შეასრულებენ განკარგულებებს, ხოლო პირველნი, განკარგულებების გაცემისას, უყოყმანოდ დაემორჩილებიან არა მარტო კანონებს, არამედ ქცევის იმ წესებსაც, რასაც ჩვენ დავუდგენთ მათ.

– რა თქმა უნდა.

– და რახან მათი კანონმდებელი ხარ, ალბათ, ისევე შეარჩევ ქალებს, როგორც მცველები შეარჩიე კაცებიდან, და იმასაც ეცდები, რომ ისინი შეძლებისდაგვარად ჰგვანდნენ ერთმანეთს. რაკი სუფრაც და საცხოვრისიც საერთო ექნებათ და არცერთი არ იქნება კერძო მესაკუთრე, რაკი ერთად იცხოვრებენ და გიმნასიონებშიაც ერთად ივარჯიშებენ, მე მგონია, ბუნებრივი აუცილებლობის ძალით, ერთურთის ნდომაც აღეძვრით. თუ, შენის აზრით, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ასე მოხდეს?

– ეს გეომეტრიული აუცილებლობა კი არ არის, არამედ ეროტიული, გაცილებით უფრო მძაფრ ზემოქმედებას რომ ახდენს ადამიანთა უმრავლესობაზე.

– მართალია, მაგრამ ესეც მითხარი, გლავკონ: სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეებიც ბედნიერნი არიან, განა სარწმუნოება ან მმართველობა დასაშვებად მიიჩნევდა ავხორცობასა და აღვირახსნილობას?

– ეს იქნებოდა ნამდვილი უსამართლობა.

– ამიტომ ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეცდებით დავაწესოთ რაც შეიძლება წმინდა ქორწინებანი, ხოლო წმინდა ქორწინება, იმავდროულად ყველაზე სასარგებლოც უნდა იყოს.

– რასაკვირველია.

– მაინც რითი იქნებოდა ის ყველაზე სასარგებლო? თუმცა, აი, რას გკითხავ, გლავკონ: შენს სახლში მწევარ-მეძებრებსა და უთვალავ ჯიშიან ფრინველსა ვხედავ. ჰოდა, მითხარი, თუ ღმერთი გწამს, საგანგებოდ თუ გიზრუნია მათი კავშირისა და გამრავლებისათვის?

– როგორ?

– როგორ და, ისე, რომ თუმცა ყველა ჯიშიანია, მაგრამ მათ შორის თუ გამოერევა ისეთი სხვებზე უკეთესი რომ იყოს?

– დიახ, გამოერევა.

– მერედა, ყველას განურჩევლად ამრავლებ, თუ ცდილობ მხოლოდ უკეთესები მოამრავლო?

– სწორედ მაგასა ვცდილობ.

– კი მაგრამ, ვისი ნამატი სჯობს, სრულიად ახალგაზრდა ან უკვე ბებერი მშობლებისა, თუ იმათი, ვისაც სწორედ გამრავლების დრო უდგას?

– ხოლო თუ ამ პირობას არ დაიცავ, როგორ გგონია, საგრძნობლად გაუარესდება თუ არა ფრინველებისა თუ ძაღლების ჯიში?

– ვფიქრობ, საგრძნობლად.

– ცხენებსა და დანარჩენ ცხოველებზე რაღას იტყვი? თუ მათი საქმე სულ სხვაგვარადაა?

– უცნაური კი იქნებოდა, ეგრე რომ ყოფილიყო.

– ღმერთო დიდებულო! – წამოვიძახე მე, – რა გამჭრიახი ხალხი უნდა გვყავდეს მმართველებად, ჩემო ძვირფასო გლავკონ, თუ კაცთა მოდგმაზედაც იგივე ითქმის.

– ცხადია, იგივე ითქმის მერედა, რა?

– რა და, ის, რომ ჩვენს მმართველებს ძალაუნებურად მოუწევთ ათასნაირი საშუალება გამოჩხრიკონ. თუ კაცს წამალი არ სჭირდება, რადგანაც განუხრელად მისდევს ცხოვრების ჯანსაღ წესს, მაშინ ალბათ საშუალო ნიჭის მკურნალიც მშვენივრად მოუვლის მას. მაგრამ იქ, სადაც წამლების გარეშე ვერ გავალთ ფონს, უფრო გამოცდილ ექიმს უნდა მოვუხმოთ.

– მართალია, მაგრამ რაში დაგჭირდა ეგ?

– მოგახსენებ: ჩვენი მმართველები, ალბათ, ხშირად იქნებიან იძულებულნი, თავიანთ ქვეშევრდომთა სასიკეთოდ, სიცრუესა და ტყუილს მიმართონ. ჩვენ ხომ ვთქვით, რომ ეს სასარგებლოა, როგორც სამკურნალო საშუალება.

– ვთქვით და მართალნიც ვიყავით.

– როგორც ჩანს, ეს ყველაზე სასარგებლო იქნებოდა ქორწინებისას თუ განაყოფიერება-გამრავლებისას.

– როგორ?

– იქიდან, რაზედაც ჩვენ შევთანხმდით, უშუალოდ გამომდინარეობს, რომ უკეთესი ყმაწვილკაცები უპირატესად უკეთეს ქალიშვილებთან შეწყვილდებიან, უარესები კი – უარესებთან; ამასთანავე, მხოლოდ უკეთესთა ნაშიერნი უნდა

აღვზარდოთ, უარესებისა კი – არა, თუ გვსურს ეს ჩვენი პატარა ჯოგი მართლაც სანაქებო რამ იყოს. მაგრამ ამის თაობაზე არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს, მმართველთა გარდა, რათა მცველთა რიგებში თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი განხეთქილება.

– სწორია.

– მაშასადამე, საჭიროა კანონით შემოვიღოთ საგანგებო დღესასწაული, სადაც ერთად მოვუყრით თავს სასიძოებსა და სასძლოებს; უნდა დავაწესოთ მსხვერპლშეწირვა და საქორწინო საგალობლები შევუკვეთოთ ჩვენს პოეტებს. ქორწინებათა რიცხვის განსაზღვრა კი ჩვენს მმართველებს უნდა მივანდოთ, რათა ისინი, ომიანობის, სნეულების და სხვა მისთანათა მიუხედავად, ასე თუ ისე უცვლელად ინარჩუნებდნენ მამაკაცთა სათანადო რაოდენობას, იმ მიზნით, რომ ჩვენი სახელმწიფოს მოსახლეობა, შეძლებისდაგვარად, არც იზრდებოდეს და არც მცირდებოდეს

– ეგეც სწორია.

– ხოლო წილისყრა, ჩემის აზრით, იმნაირად უნდა მოვაწყოთ, რომ უარესნი და უხეირონი მმართველებს კი არა, თავიანთ უკუღმართ ბედს ადანაშაულებდნენ.

– რა თქმა უნდა.

– იმ ჭაბუკებს კი, რომლებმაც ბრძოლის ველზე თუ სხვა ასპარეზზე გამოიჩინეს თავი, სათანადო პატივი უნდა მივაგოთ და საშუალება მივცეთ, რაც შეიძლება ხშირად გაატარონ დრო ქალებში, რათა სწორედ მათი ნაშიერნი მომრავლდნენ ქვეყნად.

– მართალია, – თქვა გლავკონმა.

– ახალშობილნი დაბადებისთანავე უნდა გადავცეთ საგანგებოდ მათთვის მიჩენილ ქალებს თუ კაცებს, ან ერთთაც და მეორეთაც, ვინაიდან თანამდებობები თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს ქალებსა და კაცებს შორის.

– დიახ.

– ეს უკანასკნელნი უკეთეს მშობელთა ნაშიერთ სასწრაფოდ მიჰგვრიან ძიძებს, რომლებიც ცალკე ცხოვრობენ ქალაქის ერთ-ერთ უბანში. უარეს მშობელთა ნაშიერნი, ან დაბადებითვე ამა თუ იმ ნაკლის მქონენი კი საგულდაგულოდ უნდა გადამალონ, როგორც ჯერ არს, საგანგებოდ ამ მიზნით შერჩეულ და მიუდგომელ ადგილას.

– რა თქმა უნდა, – თქვა გლავკონმა, – თუ გვსურს წმინდად შევინახოთ და შევინარჩუნოთ მცველების მოდგმა.

– ისინი იზრუნებენ ყრმების კვებაზედაც და ბაგებში ყოველდღე მიიყვანენ დედებს, კერტებიდან რძე რომ გადმოსდით, მაგრამ ყოველნაირად ეცდებიან ისე მოაწყონ საქმე, რომ ვერცერთმა ვერ იცნოს თავისი შვილი. თუ დედის რძე სამყოფი არ იქნა, სხვა მეძუძურ ქალებსაც მოიყვანენ და იმაზედაც იზრუნებენ, რომ ახალშობილებს დროულად აჭამონ ძუძუ, ღამის თევა და ყველა სხვა საზრუნავი კი ძიძებსა და აღმზრდელებს დაეკისრებათ.

– მცველების ცოლებს ძალიან კი უადვილებ ბავშვების მოვლას.

– ასეა საჭირო, – ვუთხარი მე, – მაგრამ განვაგრძოთ ჩვენი განხილვა. როგორც აღვნიშნეთ, შთამომავლობას ჯან-ღონით სავსე მშობლები უნდა გვაძლევდნენ.

– დიახ.

– მერედა, რას იტყვი, მაინც რომელი ასაკია საამისოდ ზედგამოჭრილი: ქალებისათვის ოცი, კაცებისათვის კი ოცდაათი წელი?

– კეთილი, მაგრამ სანამდე?

– დაე, ქალები სახელმწიფოს ოცდან ორმოც წლამდე უშობდნენ შვილებს, კაცები კი მას შემდეგ, რაც ხტომისა და სირბილის დრო გაუვათ, ესე იგი, ოცდაათიდან ორმოცდათხუთმეტ წლამდე.

– დიახ, ქალიცა და კაციც სწორედ ამ ასაკშია ჯან-ღონით სავსე.

– ხოლო თუ ვინმე უფრო ადრე ან უფრო გვიან დააპირებს შვილების ყოლას, ჩვენ ვიტყვით, რომ მან სარწმუნოებისა და სამართლიანობის წინაშე სცოდა, რადგანაც სახელმწიფოს იმნაირ შვილს შესძენს, მალულად, ღამის წყვდიადში რომ ჩაისახა ავხორცობისა თუ აღვირახსნილობის შედეგად, ისე რომ ჩასახვას წინ არ უძღოდა არც მსხვერპლშეწირვა, არც ქურუმების ლოცვა-კურთხევა და არც მთელი სახელმწიფოს გულმხურვალე ვედრება, ღმერთო, ყველაზე უკეთესსა და ღირსეულ მშობლებს მათზე უკეთესი და ქვეყნისათვის სასარგებლო შვილი შესძინეო.

– მართალს ბრძანებ.

– ასევე უნდა დაიგმოს ჯან-ღონით სავსე კაცი, რომელიც მმართველთა ნებართვის გარეშე მოინდომებს შეეუღლოს თუნდაც მისივე ასაკის ქალს. ჩვენ ვიტყვით, რომ ამ კაცმა უკანონო შვილი შესძინა სახელმწიფოს, რაკიღა არც დაწინდვა მომხდარა და არც ქორწინების კურთხევა.

– როცა ქალები და კაცები მემკვიდრეების გასაჩენად დადგენილ ასაკს გადასცდებიან, ჩემის აზრით, კაცებს უფლება უნდა მივცეთ, რომელი ქალიც თვალში მოუვათ, ის იყოლიონ საყვარლად, რა თქმა უნდა, დედების, ქალიშვილების, შვილიშვილებისა და დედის მხრივ უფროსი ნათესავების გარდა. ასეთივე თავისუფლება უნდა მივანიჭოთ ქალებსაც: ვისაც უნდათ, იმას გაჰყვნენ, მამების, ვაჟიშვილებისა და უფროსი თუ უმცროსი ნათესავების გამოკლებით. მაგრამ ამნაირი თავისუფლების მიუხედავად, ყოველნაირად უნდა ცდილობდნენ, რომ არცერთი ბავშვი არ მოევლინოს ქვეყანას, ხოლო თუ მათმა სიფრთხილემ შედეგი არ გამოიღო და ბავშვი მაინც დაიბადა, კეთილ-ინებონ და ისე მოიქცნენ, რომ მისი აღზრდა აღარ დაგვჭირდეს.

– კეთილი, მაგრამ რანაირად გაარჩიონ, ვინ ვის ეკუთვნის მამად, ქალიშვილად თუ ნათესავად?

– არანაირად. მაგრამ თვითეულ მცველს თავის ღვიძლ შვილად უნდა მიაჩნდეს ყოველი ახალშობილი, – სულერთია, ქალი იქნება თუ ვაჟი, – რომელიც მისი ქორწინების დღიდან მეცხრე თუ მეშვიდე თვის თავზე დაიბადა, ხოლო ეს ქალ-ვაჟნი თავიანთ მშობელ მამად უნდა სახავდნენ მას; მათი შვილები თავიანთ ბებიად და ბაბუად უნდა მიიჩნევდნენ ამ ჩვენს მცველსა და მის ცოლს, ხოლო თავიანთ ტოლ-სწორთ – დებად და ძმებად, ასე რომ, დაუშვებელია ცოლ-ქმრული კავშირი მათ შორის. და-ძმებს მხოლოდ კანონი თუ დართავს შეუღლების ნებას, ისიც წილისყრითა და პითიას საღმრთო დასტურით.

– მართალს ბრძანებ.

– აი, რას ნიშნავს, გლავკონ, საერთო ცოლ-შვილის ყოლა ამ ჩვენს სახელმწიფოში, ხოლო ეს რომ ზედმიწევნით შეესაბამება მის წესწყობილებას, ამას შემდგომი მსჯელობა დაგვანახებს. რა ვქნათ, განვაგრძოთ?

– განვაგრძოთ. ზევსის გულისთვის.

– მაშ, იქნებ, აი, ეს იყოს ჩვენი თანხმობის საწყისი: ავდგეთ და ჩვენსავე თავს ვკითხოთ, რა შეიძლება მიგვაჩნდეს სახელმწიფო წყობილებისათვის უდიდეს სიკთედ, ანუ იმ მიზნად, რისი გულისთვისაც კანონმდებელი ადგენს თავის კანონებს, და რას უნდა ვსახავდეთ უდიდეს ბოროტებად? შემდეგ კი ვნახოთ, მართლა

გვაახლოებს თუ არა ამ სიკეთესთან ყოველივე ის, რაზედაც წეღან ვმსჯელობდით, ანდა გვაშორებს თუ არა ამ ბოროტებისგან?

– თავი და თავი ეგ არის.

– შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ სახელმწიფოსათვის იმაზე დიდი ბოროტება, რაც მისი ერთიანობის რღვევას, დაშლასა და დაქუცმაცებას იწვევს? ან რა შეიძლება იყოს იმაზე დიდი სიკეთე, რაც ურღვევ მთლიანობად ჰკრავს და აერთებს მას?

– არაფერი.

– ხოლო მას ჰკრავს და აერთებს ჭირისა და ლხინის ერთობა, როცა თითქმის ყველა მოქალაქეს ერთნაირად ახარებს ან ამწუხრებს საერთო წარმატება თუ წარუმატებლობა.

– რა თქმა უნდა.

– ამნაირი განცდების სხვადასხვაობა კი არღვევს კავშირს მოქალაქეთა შორის, როცა ზოგს გულს უკლავს, ზოგს კი აღაფრთოვანებს სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის მდგომარეობა.

– უეჭველად.

– მერედა, რა არის ამნაირი განხეთქილების მიზეზი, თუ არა ის, რომ მთელ სახელმწიფოს აყრუებს მოქალაქეთა გნიასი და ღრიანცელი: «ეს ჩემია!» ან «ეს არ არის ჩემი!» და სხვა მისთანანი?

– ცამდე მართალი ბრძანდები.

– ხოლო სადაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ერთსულოვანია იმის თაობაზე, თუ რა არის მისი და რა არ არის მისი, ალბათ, სწორედ იქაა ყველაზე უკეთესი სახელმწიფოებრივი წყობილება.

– დიახ, ყველაზე უკეთესი.

– მაშ, რაღა ითქმის იმ სახელმწიფოზე, რომელიც ყველაზე მეტად მოგვაგონებს ცალკეულ კაცს: ასე მაგალითად, ვინმემ რომ თითი გაიჭრას, მთელი სხეული თითქოს ერთ მუშტად შეიკვრის და სულს შესთხოვს შველას, როგორც მის მბრძანებელსა და წარმმართველ საწყისს; სულიც მთელის არსებით შეიძვრის და თანაულმობს ტკივილით გატანჯულ ასოს, და მაშინ ჩვენ ვამბობთ, აი, ამ კაცს თითი სტკივაო. იგივე ითქმის ყოველნაირ სიხარულსა და ტანჯვაზედაც, რასაც ავადმყოფობისას თუ გამოჯანმრთელებისას განიცდის კაცი.

– დიახ, იგივე ითქმის, და ესაა შენი კითხვის პასუხიც: ყველაზე უკეთესი წყობილების მქონე სახელმწიფო ყველაზე მეტად უნდა ჰგავდეს ცალკეულ კაცს.

– რაც არ უნდა შეემთხვეს ამნაირი ქვეყნის მოქალაქეს, კარგი თუ ცუდი, ჩემის აზრით, სახელმწიფო პირველი იტყვის: შენი ტკივილი ჩემი ტკივილია და შენი სიხარული ჩემი სიხარულიო.

– რა თქმა უნდა, თუკი მას მართლაც უზადო კანონები მართავენ.

– მაგრამ დროა კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენს სახელმწიფოს და ვნახოთ, ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნები მას უფრო ესადაგება თუ რომელიმე სხვა სახელმწიფოს.

– დიახ, ეგრე უნდა მოვიქცეთ.

– კეთილი და პატიოსანი; თუ ყველა დანარჩენ სახელმწიფოში მმართველებიც არიან და არის ხალხიც, მაშასადამე, ისინი ჩვენს სახელმწიფოშიაც უნდა იყვნენ.

– რა თქმა უნდა.

– და ყველანი მოქალაქეებს უწოდებენ ერთმანეთს?

– დიახ.

– მაგრამ გარდა «მოქალაქისა», რას უწოდებს დანარჩენ სახელმწიფოებში ხალხი თავის მმართველებს?

– ზოგიერთ სახელმწიფოში – »ბატონებს», დემოკრატიულ სახელმწიფოებში კი იმავე სახელს – »მმართველებს».

– კი მაგრამ, ჩვენს სახელმწიფოში? გარდა «მოქალაქეებისა», რას უწოდებს ხალხი «მმართველებს»?

– »მხსნელებსა» და «მფარველებს».

– ეს უკანასკნელნი რაღას უწოდებენ ხალხს?

– »მებეგრეებსა» და «მარჩენლებს».

– სხვა სახელმწიფოთა მმართველებზე რაღას იტყვი? რას უწოდებენ ისინი ხალხს?

– »მონებს».

– ხოლო მმართველები ერთმანეთს?

– »თანამმართველებს».

– ჩვენში?

– »თანამცველებს».

– თუ გეგულება დანარჩენ სახელმწიფოებში იმნაირი მმართველი, ერთ თავის თანამმათველს ისე რომ მიმართავდეს, როგორც მეგობარს, ხოლო მეორეს – როგორც უცხოს და გადამთიელს?

– რამდენიც გნებავს.

– მაშასადამე, თანამოაზრე თავისიანად მიაჩნია და ამიტომაც მიმართავს როგორც მეგობარს, უცხოს კი თავისიანად არ თვლის?

– დიახ.

– შენს მცველებზე რაღას იტყვი? თუ მოიძებნება მათ შორის ისეთი კაცი თავის თანამცველებს უცხოდ რომ მიიჩნევდეს და გადამთიელს ეძახდეს მას?

– არა, არ მოიძებნება; ვისაც არ უნდა შეჰყაროს ბედმა, ის იტყვის, რომ თავის და-ძმას, დედ-მამას, ქალ-ვაჟსა თუ მათ წინაპრებს ან შთამომავალთა ხედავს.

– კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთი ესეც მითხარი: მარტოოდენ იმას დასჯერდები, რომ კანონით დაადგენ როგორც თავისიანებს, ისე მიმართავდნენ ერთმანეთს, თუ ამნაირი მიმართვის შესაბამისადაც იქცეოდნენ; მაგალითად, ისე ეპყრობოდნენ მამებს, როგორც წესი და რიგი მოითხოვს: პატივისცემას და მზრუნველობას არ აკლებდნენ და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მათ, იმისი შიშით, რომ ღმერთებიც შერისხავენ და ადამიანებიც შეაჩვენებენ, თუკი სხვანაირად მოიქცევიან და, ამრიგად, უსამართლობას მკრეხელობასაც ზედ დაურთავენ? როგორ გგონია, განა ყველა მოქალაქე, სწორედ იმას არ უნდა ჩააგონებდეს გამუდმებით პატარა ბავშვებს, რომ ასე უნდა მოეპყრონ იმათ, ვისაც მამებად და ნათესავებად დაუსახავენ?

– დიახ, სწორედ მაგას. სასაცილო იქნებოდა, ნათესავების სახელი ლიტონ სიტყვად რომ დარჩენილიყო და მათდამი პატივისცემას საქმით არ შესხმოდა ხორცი.

– მაშასადამე, ჩვენს სახელმწიფოში გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში, მოქალაქეები ერთსულოვნად გამოხატავდნენ თავიანთ განწყობილებას ამ სიტყვებით: «ჩემი საქმე კარგადაა», ან «ჩემი საქმე ცუდადაა», ყოველთვის, როცა, ჩვენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, ერთ-ერთ მათგანს კარგად ან ცუდად წაუვიდოდა საქმე.

მართალს ბრძანებ.

– კი მაგრამ, ისიც ხომ ითქვა, რომ ამნაირი განწყობილებაც და მისი სიტყვიერი გამოხატულებაც სხვა არა არის რა თუ არა მოყვასთა სიხარულისა და მწუხარების ერთობლივი გაზიარება?

– დიახ, ეგეც ითქვა.

– მაშასადამე, ჩვენი მოქალაქეები, განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიან ერთობლივად საქმის საერთო ვითარებას, და ეს ერთობლივი განცდა განაპირობებს იმას, რომ ყველას ერთი ექნება სიხარულიც და მწუხარებაც.

– რა თქმა უნდა.

– მერედა, რას უნდა მივაწეროთ ესოდენ განსაცვიფრებელი შედეგი, თუ არა ჩვენი სახელმწიფოს საერთო თავისებურებას და განსაკუთრებით იმას, რომ მცველებს საერთო ცოლ-შვილი უნდა ჰყავდეთ?

– დიახ, უპირატესად მაგას უნდა მივაწეროთ.

– კი მაგრამ, ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ სწორედ ესაა უდიდესი სიკეთე სახელმწიფოსთვის, როცა კეთილმოწყობილი სახელმწიფო სხეულს შევადარეთ, რომლის სნეულებაცა და სიჯანსაღეც მისი ასოების მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

– დიახ, შევთნხმდით და სავსებით სამართლიანადაც შევთანხმდით.

– მაშასადამე, ჩვენი სახელმწიფოსათვის უდიდესი სიკეთის მიზეზი ისაა, რომ მცველებს საერთო ცოლ-შვილი უნდა ჰყავდეთ.

– დიახ.

– ეს იმასაც ეთანხმება, რაზედაც ადრე შევთანმდით. აკი ითქვა, რომ მცველებს არც საკუთარი სახლ-კარი უნდა ჰქონდეთ, არც მიწა-წყალი და არც სხვა რამ ავლადიდება. ისინი მოსახლეობისაგან იღებენ სურსათ-სანოვაგეს, თავიანთი სამსახურის სანაცვლოდ, და ერთად მოიხმარენ მას, თუკი სურთ ჭეშმარიტი მცველები ერქვათ.

– სწორია.

– ჩემის აზრით, ზემოთქმულიცა და, მით უმეტეს, ისიც, რასაც ახლა ვამბობთ, ჭეშმარიტ მცველებად აქცევს და ნებას არ მისცემს მათ, დაგლიჯონ და დააქუცმაცონ სახელმწიფო, რაც ესოდენ ხშირადა ხდება, როცა ადამიანები სიტყვით «ჩემი» ერთსა და იმავეს კი არ აღნიშნავენ, არამედ ზოგი რას გულისხმობს და ზოგი რას: ერთი შინ მიათრევს ყველაფერს, რასაც ხელთ იგდებს, ისე, რომ არავითარ ანგარიშს არ უწევს სხვებს, და ასევე იქცევა მეორეც; ყველას თავ-თავისი ცოლ-შვილი ჰყავს და ამიტომ ყველა თავისი სიხარულით ხარობს და ყველას თავისი სადარდელი აწუხებს. მაგრამ როცა ყველა ერთსულოვანია და ყველას სწრაფვა თანხვდება ერთმანეთს, მაშინ რასაც ერთი განიცდის, იმასვე განიცდის მეორეც, რადგანაც ყველას ერთი აქვს ჭირიც და ლხინიც.

– რა თქმა უნდა

– კი მაგრამ, განა სამუდამოდ არ ჩაბარდება წარსულს ყოველგვარი დავა, შუღლი თუ შეხლა-შემოხლა, რაკი არავის არავითარი საკუთრება არ ექნება, თავისივე სხეულის გარდა? ყოველივე დანარჩენი კი საერთო იქნება ყველასათვის, ასე რომ, მათ შორის აღარასოდეს იჩენს თავს ცილობა და დავიდარაბა ქონების, შვილებისა თუ ნათესავების გამო.

– დიახ.

– აღარც სასამართლოში უჩივლებენ ერთმანეთს, რაკიღა აღარავინ შეურაცხყოფს და არც ძალმომრეობით შეავიწროებს ვინმეს. ჩვენ ჩავაგონებთ მათ, რომ საპატიო და

სასახელოა თავი დაიცვა ტოლ-სწორებისგან, და დავავალდებულებთ, წვრთნით გაიკაჟონ სხეული.

– კეთილი.

– აი, კიდევ რითია მოსაწონი ეს კანონი: თუ ვინმე წაეკიდა თავის მოყვასს, კეთილ ინებოს და თვითონვე დაიცხროს რისხვა, რათა ამ აყალ-მაყალში სხვებიც არ ჩაითრიოს.

– რა თქმა უნდა.

– უფროსებს ნება ექნებათ მბრძანებლობდნენ და კიდევაც სჯიდნენ უმცროსებს.

– ცხადია.

– უმცროსი კი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას უბრძანებენ მმართველები, რა თქმა უნდა, ვერასოდეს ვერ გაბედავს ხელი აღმართოს უფროსზე, ან ასე თუ ისე, შეურაცხყოს იგი. ამის აღსაკვეთად სავსებით საკმარისი იქნება ორი მცველი: შიში და მოწიწება. მოწიწება არავის მისცემს ნებას ხელით შეეხოს მშობლებს, შიში კი აიძულებს ყველას, ივარაუდოს, რომ შეურაცხყოფილს უსათუოდ გამოესარჩლებიან შვილები, ძმები ან მამები

– ჰო, როგორც ხდება ხოლმე

– ამნაირი კანონების წყალობით, ჩვენს მცველებს შორის მშვიდობა დაისადგურებს.

– ჭეშმარიტად.

– მაგრამ თუ მათთვის უცხო იქნება ყოველგვარი განხეთქილება, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წარმოუდგენელია სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობა ან მათ აეშალოს, ანდა შინააშლილობამ თვით ამ დანარჩენებშივე იჩინოს თავი.

– რა თქმა უნდა.

– რაც შეეხება იმ წვრილმან უსიამოვნებებს, რომლებსაც ისინი საერთოდ აიცილებენ თავიდან, მათზე ლაპარაკი ცოტა არ იყოს, მეჩოთირება: მე ვგულისხმობ ღარიბთა მლიქვნელობას მდიდრების წინაშე, ათასნაირ გასაჭირსა და დავიდარაბას, რაც სჭირდება ბავშვების აღზრდას, ჭაპანწყვეტას ფულის საშოვნელად და ოჯახის სარჩენად, ჭირის ოფლში გაწურვას, როცა იძულებული ხარ ვალი აიღო, ან ფულის სესხებაზე უარი უთხრა სხვებს, ბაზრებში წანწალს სურსათ-სანოვაგის საყიდლად, რომ მერე ცოლსა და შინაურებს ჩააბარო და მათვე მიანდო საოჯახო საქმის გაძღოლა, მოკლედ, ათას უბადრუკ წვრილმანს, ჩემო ძვირფასო, რომელთა ჩამოთვლაც კი სათაკილოა.

– ეგ თვით უსინათლოსთვისაც ნათელია.

– ამდენი გასაჭირისგან თავდახსნილი ჩვენი მცველების ცხოვრება უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულებისა.

– როგორ?

– როგორ და ისე, რომ ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულებს იმ უპირატესობათა მხოლოდ მცირე ნაწილი ენიჭება, რითაც სარგებლობენ ჩვენი მცველები. ამ უკანასკნელთა გამარჯვება ხომ გაცილებით უფრო დიდებულია, ასე რომ საზოგადოებაც გაცილებით მეტ პატივს მიაგებს მათ. მართლაც, ამ გამარჯვების წყალობით ისინი მთელი სახელმწიფოს მხსნელებად გვევლინებიან. ასე რომ, თავიანთ შვილებთან ერთად უზრუნველყოფილნი იქნებიან არა მარტო სურსათ-სანოვაგით, არამედ ყოველივე იმითაც, რაც აუცილებელია საარსებოდ და თავის სარჩენად. არც სიცოცხლეში მოაკლდებათ პატივისცემა და სიკვდილის შემდეგაც დიდი პატივით მიაბარებენ მიწას.

– დიდებულია.

– თუ გახსოვს, ზემოთ, არ ვიცი სად, ვიღაცამ გვისაყვედურა, რომ დიდად როდი ვაბედნიერებთ ჩვენს მცველებს, რადგანაც შეეძლოთ ყველაფერი ჰქონოდათ, რაც დანარჩენ მოქალაქეებს აქვთ, მაგრამ არაფერი არ გააჩნიათ. რაზედაც ჩვენ მივუგეთ, რომ ამ საკითხს თავის დროზე განვიხილავდით, ახლა კი მცველები ნამდვილ მცველებად უნდა ვაქციოთ და სახელმწიფოშიც ისეთი კეთილდღეობა უნდა დავამკვიდროთ, მარტოოდენ ერთი რომელიმე წოდების კეთილდღეობას რომ არ გულისხმობს.

– მახსოვს, – თქვა მან.

– მერედა, თუ ახლა ჩვენი მცველების ცხოვრება უფრო ბედნიერი გვეჩვენება, ვიდრე ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულებისა, როგორღა შეიძლება მეწაღეების ან სხვა ხელოსნებისა თუ მიწის მუშაკთა ცხოვრებას შევადაროთ იგი?

– მე თუ მკითხავ, ეს შეუძლებელია.

– ჰოდა, მე მგონია, დროა ახლაც გავიმეოროთ ის, რაც მაშინ ვთქვით: თუ მცველი ბედნიერებად მიიჩნევს იმას, რომ მცველი არ იყოს, თუ არ დასჯერდება ამ ზომიერ, საიმედო და ჩვენის აზრით, ყველაზე უმჯობეს ცხოვრებას, არამედ ბედნიერებაზე ბალღურსა და სულელურ წარმოდგენას აჰყვება, რაც აიძულებს ძალით მიიტაცოს სახელმწიფოს მთელი ქონება, მაშინ მიხვდება, რომ ჭეშმარიტად ბრძენი იყო ჰესიოდე, როცა ამტკიცებდა, «ნაწილი გარკვეულწილად მთელზე მეტიაო».

– ჩემთვის რომ ეგდო ყური, – თქვა მან, – ისე იცხოვრებდა, როგორც ჩვენ ვურჩევთ.

– მაშასადამე, შენ დასაშვებად მიგაჩნია, რომ ამ მცველებს საერთო ცოლები ჰყავდეთ, რაზედაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ? ეს ეხება ბავშვებსაც, მათ აღზრდასაც და დანარჩენ მოქალაქეთა დაცვასაც. მიუხედავად იმისა, ქალაქში რჩებიან თუ საომრად მიდიან, ქალები კაცებთან ერთად იცავენ სახელმწიფოს და ერთადვე ნადირობენ, ძაღლების მსგავსად. ისინი შეძლებისდაგვარად მონაწილეობენ ყველა საქმეში. მათი ამგვარი საქმიანობა მართლაც რომ საქებარია და სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მამრსა და მდედრს შორის ბუნების მიერ დადგენილ წესს.

– გეთანხმები, – თქვა მან.

– ამრიგად, ისღა დავრჩა განსახილველი, – ვუთხარი მე, – რამდენად შესაძლებელია ისეთივე ურთიერთობა დავამყაროთ ადამიანებს შორის, რაც სხვა სულდგმულთა შორის არსებობს, ან რა გზით შეიძლება ამის მიღწევა.

– დამასწარი, – თქვა მან, – სწორედ ამაზე მინდოდა ჩამომეგდო სიტყვა.

– რაც შეეხება ომს, – განვაგრძე მე, – პირადად ჩემთვის ცხადია, როგორც იომებენ ქალები.

– მაინც როგორ?

– ისინი კაცებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას ლაშქრობებში, ბავშვებიდან კი თან იახლებენ საამისოდ მოწიფულთა და წამოჩიტულთ, რათა, ხელოსანთა ბავშვების მსგავსად, თვალი ადევნონ იმას, რისი კეთებაც დავაჟკაცების შემდეგ თვითონვე მოუწევთ. თუმცა მარტო თვალყურის დევნებას როდი აკმარებენ: ისინი ხელს უნდა აშველებდნენ მეომრებს, ომის ჭირ-ვარამს იზიარებდნენ და მხარში ედგნენ მამებს და დედებს. ნუთუ არ გინახავს, როგორ იქცევიან სხვა ხელოსნები, როგორ წვრთნიან, ვთქვათ, მეთუნეები თავიანთ შვილებს, რომლებიც დიდხანს შეგირდებივით ემსახურებიან და აკვირდებიან მათ საქმიანობას, ვიდრე თვითონვე ხელს მიჰყოფდნენ იმავე საქმეს.

– რასაკვირველია, მინახავს.

– მერედა, განა მეთუნეები ჩვენს მცველებზე უფრო გულმოდგინედ უნდა წვრთნიდნენ თავიანთ შვილებს და საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა თუ მათ საქმიანობაზე დაკვირვების გზით ასწავლიდნენ, რისი ქმნა მართებთ?

– სასაცილო კი იქნებოდა.

– ეგეც არ იყოს, ყველა სულდგმული განსაკუთრებულ შეუპოვრობას იჩენს მაშინ, როცა გვერდით თავისი ნაშიერნი ჰყვანან.

– სწორია, მაგრამ უბედურება ისაა, სოკრატე, რომ დამარცხების შემთხვევაში ისინი მარტო თავს კი არ წააგებენ, შვილებსაც თან გადაიყოლებენ და სახელმწიფო ვეღარ შესძლებს ამ დანაკლისის შევსებას.

– მართალი ხარ, – მივუგე მე, – მაგრამ როგორ გგონია, ნუთუ, უწინარეს ყოვლისა, სრული უსაფრთხოება უნდა უზრუნველვყოთ მათთვის?

– არამც და არამც.

– მერედა, თუ საფრთხეში უნდა ჩაიგდონ თავი, განა ამის საზღაურად მხოლოდ ის არ უნდა მიგვაჩნდეს, რომ წარმატების შემთხვევაში უკეთესნი გახდებიან?

– დიახ.

– კი მაგრამ, ნუთუ იმდენად უმნიშვნელოდ მიგაჩნია ეს, რომ არა ღირს ამ მიზნით გავბედოთ და ომის ქარცეცხლისათვის ბავშვობიდანვე ვაყურებინოთ იმათ, ვინც დავაჟკაცების შემდეგ თვითონვე უნდა ჩაებას ომში?

– რა თქმა უნდა, ღირს, იმ მიზნისათვის, შენ რომ გულისხმობ.

– მაშასადამე, ბავშვები პატარაობიდანვე უნდა შევაჩვიოთ ბრძოლების ქარცეცხლს, თუმცა, იმავდროულად, მათი უსაფრთხოებისთვისაც უნდა ვიზრუნოთ, და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება, არა?

– რა თქმა უნდა.

– ჯერ ერთი, – ვთქვი მე, – მათი მამები ომის უნახავნი კი არ იქნებიან, არამედ ბრძოლებში გამობრძმედილნი, ასე რომ, კარგად ეცოდინებათ, რომელი ლაშქრობა შეიძლება იყოს სახიფათო და რომელი არა.

– ცხადია.

– ამიტომ ზოგიერთ ლაშქრობაში თან იახლებენ ბავშვებს, ზოგიერთს კი აარიდებენ მათ.

– მართალს ბრძანებ.

– მათ წინამძღოლებადაც უნიათოებს კი არ დანიშნავენ, – განვაგრძე მე, – არამედ იმ ხალხს, ვისაც თავისი ასაკით და გამოცდილებით უნარი შესწევს სათანადოდ უწინამძღვროს და წარმართოს კიდეც ისინი.

– ასეც უნდა იყოს.

– მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ხშირად ათასნაირ მოულოდნელობასთან გვაქვს საქმე.

– ათასნაირსა და მეტთანაც.

– სწორედ ამიტომ, ჩემო მეგობრო, ბავშვობაშივე უნდა დავაფრთიანოთ ისინი, რათა, თუ საჭირო შეიქნა, ფრთამალი ჩიტებივით დაუსხლტნენ მტერს.

– რას გულისხმობ?

– სიყრმითვე უნდა შევაჩვიოთ ცხენის ჭენებას, შემდეგ კი, ჯირითში გაწაფულნი, თან ვიახლოთ, რათა თვალი ადევნონ ბრძოლებს. მაგრამ ფიცხი საომარი ცხენები კი არ უნდა შევურჩიოთ, არამედ თვინიერნი და ფეხმარდნი. ასე უფრო უკეთ შესძლებენ დაუკვირდნენ თავიანთ მომავალ საქმეს, ხოლო თუ საჭირო გახდა, კვალდაკვალ მისდიონ თავიანთ წინამძღოლსაც.

– მგონი, მართალს ამბობ.

– კი მაგრამ, ომზე რაღას ვიტყვით? როგორ მოიქცევიან ეს შენი მეომრები, როგორც ერთურთის, ისე მტრების მიმართ? ვნახოთ, აქაც მართალი ვარ თუ არა.

– ვნახოთ.

– თუ რომელიმე მეომარმა მწყობრი მიატოვა, იარაღი დაყარა ან სულმოკლეობის გამო რაღაც ამგვარი ჩაიდინა, განა ხელოსნებსა თუ მიწის მუშებში არ უნდა გადავიყვანოთ იგი?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო მეომარი, რომელიც ცოცხალი თავით ტყვედ ჩაუვარდა მტერს, განა იმას არ უნდა ვაჩუქოთ, ვინც ისე მოექცევა მხდალს, როგორც თვითონ მოეპრიანება?

– რასაკვირველია.

– და პირიქით, ვინც სიმამაცით გამოიჩინა თავი, განა მასთან ერთად მოლაშქრე ჭაბუკებმა და ყმაწვილმა ქალებმა სათითაოდ არ უნდა შეამკონ გვირგვინით?

– მე მგონია უნდა შეამკონ.

– მერე კი ხელი ჩამოართვან?

– დიახ.

– ალბათ, იმაზეც დამეთანხმები...

– რაზე?

– რომ გადაჰკოცნონ.

– რა თქმა უნდა, და აქვე დავსძენ, რომ ლაშქრობისას ალერსს არ უნდა ვაკლებდეთ გამარჯვებულებს. რადგან თუ მეომარს ყმაწვილი ქალი შეუყვარდა, ეს მეტ სიმხნევეს მიანიჭებს და საგმირო საქმისათვის აღანთებს.

– კეთილი. ზემოთ ხომ ისიც ითქვა, რომ სიმამაცით გამორჩეულთ უფრო მეტი ქორწილი ელით და მათ უფრო ხშირად არგუნებენ და ურჩევენ ქალებს, რათა ყველაზე მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ჰყავდეთ.

– დიახ, უკვე ითქვა.

– აკი ჰომეროსის მიხედვით, სხვაგვარ პატივსაც მიაგებენ სიმამაცით გამორჩეულ ჭაბუკებს. ის ამბობს, რომ ბრძოლაში სახელგანთქმულ აიაქსს ზურგის ყველაზე გრძელი ანაჭერი მიართვეს. ეს იყო ჯანღონით სავსე და ძალგულოვანი ჭაბუკის ჯილდო, ახალი ძალა რომ შეჰმატა მას.

– მართალს ბრძანებ.

– მაშ, აქაც ჰომეროსს მივსდიოთ. მამაცებს მსხვერპლშეწირვითა და სხვა მისთანა ზარ-ზეიმით უნდა მივაგებდეთ პატივს, ისევე, როგორც იმით, რაც წეღან ითქვა, და მათვე ვთავაზობდეთ

«ღირსეულთა კუთვნილ ადგილს, მწვადებსა და სავსე ფიალებს»,

რათა პატივით განვამტკიცოთ ამ მძლე ვაჟკაცებისა და ქალიშვილების მხნეობა.

– მომწონს ეგ სიტყვა.

– კეთილი. მაგრამ იმათზე, ვინც ღირსეულად დადო თავი, უპირველესად რა უნდა ვთქვათ, გარდა იმისა, რომ ისინი ოქროს მოდგმას ეკუთვნიან?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, ღმერთს უნდა დავეკითხოთ, როგორ მივაბაროთ მიწას ეს ღვთაებრივი თუ დემონიური ხალხი, ან რანაირი პატივი მივაგოთ მათ, და ისე მოვიქცეთ, როგორც ზეცის მეუფე გვანიშნებს.

– სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ.

– ხოლო სამერმისოდ ისე უნდა ვუვლიდეთ და თაყვანს ვცემდეთ მათ საფლავებს, როგორც ეთაყვანებიან დემონებს. წესად დავდებთ, ასეთსავე პატივს

მივაგებდეთ მათაც, ვინც სიბერითა თუ სხვა რამ მიზეზით აღესრულა და უებრო სიქველით გამოირჩეოდა ამ ქვეყნად.

– სამართლიანი იქნება, – თქვა მან.

– კი მაგრამ, მტრებს როგორღა უნდა ექცეოდნენ ჩვენი მეომრები?

– რას გულისხმობ?

– ჯერ ერთი, დამონებას: განა შეიძლება სამართლიანად მიგვაჩნდეს, რომ ელინები იმონებდნენ ელინურ სახელმწიფოებს? თუ, პირიქით, შეძლებისდაგვარად უნდა ვკრძალავდეთ ამას და ვცდილობდეთ დავინდოთ ელინთა მოდგმა, თორემ ვაითუ ბარბაროსებმა დაიმონონ

– ყოველნაირად უნდა ვცდილობდეთ, – თქვა მან.

– მაშასადამე, ჩვენს მოქალაქეებს არ უნდა ჰყავდეთ ელინი მონა და დანარჩენ ელინებსაც ამასვე უნდა ვურჩევდეთ.

– რა თქმა უნდა. მაშინ მათი ძალისხმევა, უმალ, ბარბაროსებისაკენ იქნება მიმართული და ელინები თავიდან აიცილებენ შინაშლილობებს.

– ეგეც არ იყოს, რა საკადრისია ბრძოლის ველზე დაცემული მტრების ძარცვა, გარდა იარაღის აყრისა? ხომ არ აძლევს ეს მხდალთა და ჯაბანთ იმის საბაბს, რომ თავს არიდებდნენ შეიარაღებულ მტერთან პირისპირ შებმას? სამაგიეროდ, თითქოს თავიანთ წმინდათა-წმინდა ვალს იხდიანო, ისინი თავს დასტრიალებენ მოკლულთ, და ამ ძარცვა-გლეჯას არაერთი ლაშქარი დაუღუპავს.

– არაერთი და ორი.

– განა ეს უკეთური სიხარბე – მკვდრების ძარცვა-გლეჯა, – ამაზრზენად არ გეჩვენება? მხოლოდ დიაცურ სულმოკლეობას თუ შეუძლია მტრად მიიჩნევდეს უსულო გვამს, მაშინ როდესაც მტერმა გაქცევით უშველა თავს და ბრძოლის ველზე მხოლოდ თავისი საჭურველი დაყარა. ან იქნებ გგონია, რომ ეს მძარცველები რითიმე განსხვავდებიან ძაღლებისაგან, გააფთრებით რომ მივარდებიან ხოლმე მათთვის ნასროლ ქვას და არა ქვის მსროლელს?

– არაფრითაც არ განსხვავდებიან, – თქვა მან.

– ასე რომ, უნდა ავკრძალოთ მოკლულთა ძარცვა და მტერს მათი წაღების საშუალება მივცეთ.

– დიახ, ვფიცავ ზევსს.

– მაშასადამე, საჭურველს არ შევიტანთ ტაძრებში, როგორც საწირავს, მეტადრე – ელინთა საჭურველს, თუკი ჩვენს გულში სულ მცირეოდენი კეთილმოსურნეობა მაინც ღვივის დანარჩენ ელინთა მიმართ. მით უმეტეს, უნდა ვეკრძალოთ, რომ ტაძრები არ შევბღალოთ იმით, რასაც ჩვენს ნათესავებს წავგლეჯთ და წავართმევთ, თუკი ღმერთმა სხვაგვარად არ განსაჯა.

– ცამდე მართალი ხარ.

– ელინთა მიწა-წყლის აოხრებასა და მათი სახლ-კარის გადაბუგვაზე რაღას იტყვი? აქ როგორღა მოექცევიან მტერს ჩვენი მეომრები?

– თუ შენს აზრს მამცნობ, სიამოვნებით მოგისმენ.

– მე თუ მკითხავ, არც ერთს ჩაიდენენ და არც მეორეს, არამედ წლის მოსავალს წაართმევენ; რატომ? – თუ გნებავს, მოგახსენებ.

– დიახაც მნებავს.

– მე მგონია, როგორც ორი სხვადასხვა სიტყვა აღნიშნავს ომსა და შინაშლილობას, არსებობს ორი სხვადასხვა მიზეზიც, რაც მათ განსხვავებას განაპირობებს: ერთია უთანხმოება – თვისტომთა, ხოლო მეორე – უცხოთა მიმართ.

ურთიერთუთანხმოება შინააშლილობას იწვევს, უცხოთა მიმართ უთანხმოება კი – ომს.

– ეს განსხვავება ზუსტად განსაზღვრე.

– მაშ, დაუკვირდი, ამასაც ზუსტად ვამბობ თუ არა? მე ვამტკიცებ, რომ ელინები თვისტომნი და თანამოძმენი არიან, ბარბაროსები კი – გადამთიელნი და უცხონი.

– დიახ.

– მაშასადამე, როცა ელინები ბარბაროსებს ებრძვიან, ბარბაროსები კი – ელინებს, ჩვენ ვიტყვით, რომ ისინი ომობენ, რადგანაც ბუნებით ერთმანეთის მტერები არიან, და ამ მტრობას ომის სახელს უნდა ვარქმევდეთ. ხოლო როცა ელინები ელინებსვე უტევენ, ჩვენ ვიტყვით, რომ ისინი ბუნებით მაინც მეგობრები არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ელადა ავადაა და მისი შვილებიც ერთმანეთს დარევიან, რასაც შინააშლილობა უნდა ეწოდოს.

– გეთანხმები, სწორედ ასეა.

– ახლა კი, ჩვენი წეღანდელი განსაზღვრის თანახმად, ამასაც დაუკვირდი: – განვაგრძე მე, – როცა ქვეყანაში განხეთქილება ისადგურებს და სახელმწიფო შინააშლილობას მოუცავს, როცა მეომარი მხარეები ერთიმეორის მიწა-წყალს აოხრებენ და ცეცხლს აძლევენ მტრის სახლ-კარს, რაოდენ დამღუპველია ეს შუღლი და რა ნაკლებად ადარდებს სამშობლოს ბედი მოშუღართ! თორემ რა გააბედვინებდათ ხელი აღემართათ მშობელ დედაზე და ნაფლეთებად ექციათ თავიანთი გამზრდელი ძიძა? ნუთუ საკმარისი არ იქნებოდა, გამარჯვებულებს მოწეული მოსავალი წაერთმიათ ძლეულთათვის და წამითაც არ დავიწყნოდათ, რომ მათი მიზანი დაზავებაა და არა მუდმივი ომი?

– ეს გაცილებით უფრო კეთილშობილური იქნებოდა.

– მერედა, განა ჩვენს მიერ დაარსებული სახელმწიფო ელინური სახელმწიფო არ უნდა იყოს?

– რა თქმა უნდა, – მომიგო მან.

– ესე იგი, მისი მოქალაქეები კეთილშობილნი და თვინიერნი იქნებიან, არა?

– რასაკვირველია.

– ამიტომაც ეყვარებათ ყოველივე ელინური, თავიანთ სამშობლოდ მიიჩნევენ ელადას და სხვებთან ერთად იქნებიან მისი სარწმუნოების აღმსარებელნიც.

– ცხადია.

– თვისტომ ელინთა შორის ჩამოვარდნილ განხეთქილებასაც შინააშლილობად მიიჩნევენ და ომის სახელს არ უწოდებენ მას.

– დიახ.

– ასე რომ, შინააშლილობის ჟამსაც ემახსოვრებათ მშვიდობა.

– რა თქმა უნდა.

– ამიტომ არც დაიმონებენ და არც სასიკვდილოდ გასწირავენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, არამედ ეცდებიან კეთილმოსურნე შეგონებით შეაგნებინონ მათი შეცდომა, როგორც კეთილგონიერ მრჩევლებს შეშვენის და არა მტრებს.

– ასეა.

– რაკი ელინები არიან, არ დაარბევენ ელადას, არც სახლებს გადაბუგავენ და არც ამა თუ იმ სახელმწიფოს უკლებლივ ყველა მოქალაქეს – ქალებს, კაცებსა თუ ბავშვებს – მიიჩნევენ თავიანთ მტრებად, არამედ მხოლოდ განხეთქილების მოთავეთ, ეს უკანასკნელნი კი ყოველთვის მცირერიცხოვანნი არიან. ამიტომ არ ააოხრებენ იმ მიწა-წყალს, რომლის მკვიდრთა უმრავლესობასაც თავიანთ მეგობრებად თვლიან, და არც მათ სახლ-კარს მისცემენ ცეცხლს, შუღლსა და მტრობას

კი მხოლოდ მანამდე გააგრძელებენ, სანამ უდანაშაულოდ ევნება და ეწამება ხალხი, რათა სათანადო სასჯელი მიაგონ ამ ტანჯვა- წამების მიზეზთ.

– გეთანხმები; ჩვენი მოქალაქენი სწორედ ასე უნდა ექცეოდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს, ბარბაროსებს კი – ისე, როგორც ამჟამად ექცევიან ერთმანეთს ელადის მკვიდრნი.

– მცველებს ამასაც დავუდებთ წესად: არ ააოხრონ ქვეყანა და არც სახლები გადაწვან.

– ეს წესი არანაკლებ მოსაწონია, ვიდრე ყველა დანარჩენი, რაზედაც წეღან ვილაპარაკეთ. მაგრამ შენ რომ მიგიშვან და ამ საგანზე საუბრის ნება მოგცენ, სოკრატე, – თქვა მან, – მე მგონია, აღარც კი გაგახსენდება ის, რაც განზე გადადე, რათა ყოველივე ეს გეთქვა. ამიტომ მე გაგახსენებ: რამდენად შესაძლებელია ამნაირი სახელმწიფოებრივი წყობილების დაფუძნება, ან რა გზით შეიძლება ამის მიღწევა? რადგანაც ყოველივე ზემოთქმულის ხორცშესხმა რომ შეიძლებოდეს, რა აჯობებდა ამას სახელმწიფოსთვის? ასე მაგალითად, ჩვენი მეომრები გაცილებით უფრო მხნედ იომებდნენ მტრის წინააღმდეგ და თავისიანებს არასოდეს მიატოვებდნენ გასაჭირში, რაკიღა ეცოდინებოდათ, რომ ერთმანეთის ძმები, მამები თუ შვილები არიან, და ამ სახელებითვე მოიხსენიებდნენ ერთმანეთს. ხოლო თუ ლაშქრობაში ქალებიც მიიღებდნენ მონაწილეობას, სულერთია, მამაკაცების მხარდამხარ თუ მათ ზურგს უკან, რათა თავზარი დაეცათ მტრისთვის, დარწმუნებული ვარ, ყოველივე ამის წყალობით, ჩვენი მეომრები უძლეველნი იქნებოდნენ. იმასაც ვხედავ, რა სიამტკბილობით იცხოვრებდნენ მშვიდობიანობის ჟამს. მაგრამ რაკიღა გეთანხმები, რაოდენ ბედნიერნი იქნებოდნენ ამ მხრივ და, ვინ მოსთვლის, კიდევ რა მხრივაც, ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების დაფუძნება რომ შეიძლებოდეს; ამიტომ ნუღარ ილაპარაკებ ამაზე, ჩვენ კი ვეცდებით ვირწმუნოთ, რომ ეს შესაძლებელია, და რა გზით შეიძლება ამის მიღწევა, ყოველივე დანარჩენი კი განზე გადავდოთ.

– რა ანაზდეულად დაატყდი თავზე ჩემს სიტყვას? – გავაწყვეტინე მე, – რატომ ხარ ასე ულმობელი ჩემი ყოყმანის მიმართ? როგორც ჩანს, არ გესმის, რა გაჭირვებით დავაღწიე თავი ორ მფრთონავ ტალღას, რაკიღა ახლა მესამე ტალღასაც მატეხ თავზე, გაცილებით უფრო დიდს და უფრო საშინელს. როცა დაინახავ და მის ზათქსაც გაიგონებ, ალბათ, უფრო მეტ შემწყნარებლობას გამოიჩენ ჩემს მიმართ და იმასაც მიხვდები, თუ რად ვყოყმანობდი: მეშინოდა გამომეთქვა ჩემი აზრი, იმდენად უჩვეულოა იგი, და მისი განხილვაც მეცადა.

– რაც უფრო დიდხანს განაგრძობ ასე, მით უფრო დაჟინებით გაიძულებთ განგვიმარტო, შესაძლებელია თუ არა ამ სახელმწიფოს დაარსება. სიტყვას ბანზე ნუ გვიგდებ, ახლავე გაგვეცი პასუხი.

– კეთილი, მაგრამ ჯერ ის უნდა გავიხსენოთ, რომ ამ კითხვამდე იმის კვლევა-ძიებამ მიგვიყვანა, თუ რა არის სამართლიანი და რა – უსამართლო.

– ნება შენია, მაგრამ რაში გვჭირდება ეს?

– არაფერში, მაგრამ თუ გავარკვიეთ, რა არის სამართლიანობა, ნუთუ იმასაც მოვითხოვთ, რომ სამართლიანი კაცი არაფრით არ განსხვავდებოდეს ამ სამართლიანობისაგან და ზედმიწევნით მისი მსგავსი იყოს? თუ საკმარისი იქნება შეძლებისდაგვარად უახლოვდებოდეს და უფრო სრულად ეზიარებოდეს მას, ვიდრე დანარჩენები?

– სავსებით საკმარისი იქნება.

– სანიმუშოდ ჩვენ ვიკვლევდით, რა არის სამართლიანობა თავისთავად და როგორი იქნებოდა სავსებით სამართლიანი ადმიანი, ამ ქვეყნად რომ

მოიძებნებოდეს; ვიკვლევდით უსამართლობასაც და სავსებით უსამართლო ადამიანსაც, რათა იმის მიხედვით, თუ ამ ორიდან რომელს მივიჩნევდით ბედნიერებად ან უბედურებად, სავალდებულო დასკვნა გამოგვეტანა ჩვენივე თავის მიმართ, რომლის თანახმადაც ჩვენს ბედნიერებასაც და უბედურებასაც ის განსაზღვრავდა, თუ რამდენად ვემგვანებოდით ან ერთსა და ან მეორეს. მაგრამ მიზნად არ დაგვისახავს იმის მტკიცება, თუ რამდენად შესაძლებელია ამის ხორცშესხმა.

– მართალს ბრძანებ, – თქვა მან.

– როგორ გგონია, განა მხატვრის ნიჭს რამე აკლდება იმით, რომ სანიმუშოდ ხატავს ყველაზე ლამაზ ადამიანს, რომელიც საერთოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ, და უებრო სრულქმნილებას ანიჭებს მას, თუმცა იმის მტკიცება კი არ შეუძლია, რომ ასეთი ადამიანი მართლაც არსებობს?

– არა, ვფიცავ, ზევსს.

– კი მაგრამ, განა ჩვენი სიტყვითაც სრულქმნილი სახელმწიფოს ნიმუში არ დავხატეთ?

– დიახ.

– მერედა, ნუთუ ეს ჩვენი სიტყვიერი ნახატი თავის სრულქმნილებას კარგავს მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ დავამტკიცებთ, თითქოს შესაძლებელი იყოს ამ ნიმუშის მიხედვით დავაფუძნოთ სახელმწიფო?

– რა თქმა უნდა, არა.

– ამას კი მართალს ამბობ; – ვთქვი მე, – თუ გნებავს, ვეცდები დაგიმტკიცო, მაინც რა გზით და რა პირობით შეიძლება ხორცი შევასხათ ამნაირ სახელმწიფოს, მაგრამ ამის დასამტკიცებლად ერთშიაც უნდა დამეთანხმო.

– რაში?

– შეიძლება თუ არა რაიმე ისე შეიქმნას, როგორც ითქვა? თუ თვით ბუნებით საქმე უფრო შორსაა სინამდვილისგან, ვიდრე სიტყვა? შეიძლება ზოგი სხვაგვარადაც ფიქრობდეს, მაგრამ შენ რას იტყვი, მეთანხმები თუ არა?

– გეთანხმები.

– მაშ, ნუ მაიძულებ ყველაფერს ისე შევასხა ხორცი, როგორც სიტყვით აღგიწერე და წარმოგიდგინე. მაგრამ თუ შევძელი და მივაკვლიე, რა გზით შეიძლება ისეთი სახელმწიფოს დაფუძნება, ყველაზე მეტად რომ უახლოვდება სიტყვით აღწერილს, როგორ გგონია, შევასრულე თუ არა შენი მოთხოვნა, ესე იგი, გიჩვენე, რანაირად შეიძლება ხორცი შევასხათ ჩვენს შთანაფიქრს? დასჯერდები თუ არა ამას? მე პირადად დავჯერდებოდი.

– მეც.

– შემდგომ ამისა, როგორც ჩანს, ჩვენ შევეცდებით მივაკვლიოთ, მაინც რა არის უვარგისი თანამედროვე სახელმწიფოებში, რის გამოც ისინი განსხვავდებიან ჩვენი სახელმწიფოსაგან. არადა, სულ მცირე ცვლილებასაც კი შეეძლო ჩვენს მიერ აღწერილი სახელმწიფოსათვის დაემგვანებინა ისინი, – ცვლილებას, რომელიც ერთ, ორ, ან რამდენიმე არაარსებით მხარეს შეეხებოდა და არაარსებითი იქნებოდა თვითონაც.

– რა თქმა უნდა.

– საკმარისია შეიცვალოს ერთი რამ, და ჩვენ ვნახავთ, რომ სახელმწიფო გარდაიქმნება, თუმცა ეს ცვლილება არც ისე უმნიშვნელოა და ადვილი, მაგრამ შესაძლებელი კია.

– რას გულისხმობ?

– ახლა კი პირისპირ შევეგებები იმას, რაც ვეება ტალღას შევადარეთ; თქმით მაინც ვიტყვი, თუნდაც მფრთონავი ტალღასავით დამატყდეს თავს დაცინვა და მასხრად აგდება. მაშ, დაუკვირდი, რისი თქმაც მსურს.

– თქვი, რაღას აჭიანურებ?

– ვიდრე სახელმწიფოში არ გამეფდებიან ფილოსოფოსები, ანდა ისინი, ვისაც დღეს მეფეებსა და მბრძანებლებს უწოდებენ, ნამდვილ და კეთილშობილ ფილოსოფოსებად არ იქცევიან, რათა ამრიგად ერთმანეთს შეერწყას სახელმწიფოებრივი ძალაუფლება და სიბრძნისმეტყველება, ხოლო მეორეს მხრივ, აუცილებლობის კარნახით არ ჩამოიშორებენ იმათ ბრბოს, ცალკე ძალაუფლებას რომ მიელტვიან და ცალკე – ფილოსოფოსობას, მანამდე, გლავკონ, ვერც სახელმწიფოები და, ჩემი აზრით, ვერც კაცთა მოდგმა თავს ვერ დააღწევენ ბოროტებას. ვერც იმნაირი სახელმწიფო წყობილება იხილავს დღის ნათელს, ზემოთ ჩვენი სიტყვით რომ აღვწერეთ. მიტომაც ვყოყმანობდი და ვერ ვბედავდი ბოლომდე მეთქვა სათქმელი, რომ ვგრძნობდი, რარიგად დავუპირისპირდებოდი საზოგადოებრივ აზრს. ადვილი როდია აღიარო, რომ სხვაგვარად შეუძლებელია, როგორც პირადი, ისე საზოგადო კეთილდღეობა.

– ისეთი სიტყვა და აზრი მოგვახალე, სოკრატე, რომ ახლა, მე მგონია, ერთბაშად მოგესევა უამრავი და არცთუ ურიგო ხალხი: ჰიმატიონებს გაიძრობენ და წელზევით გაშიშვლებულნი, რაც პირველად ხელში მოხვდებათ, იმ იარაღით დაგერევიან, რომ გაჩენის დღე გაწყევლინონ. თუ შენი საბუთებით ვერ შეძლებ მათ მოგერიებას და უკუიქცევი, დაცინვით გაზღვევინებენ თავგასულობას.

– მერედა, ვისი ბრალი იქნება ეგ, თუ არა შენი?

– განა მართალი არ ვიქნები? მაგრამ არ გაგცემ, როგორც შემიძლია ისე დაგიცავ ჩემი კეთილმოსურნეობით, შეგონებით და კიდევ იმით, რომ შენს კითხვებს სხვებზე უკეთეს პასუხს გავცემ. ამნაირი თანადგომის იმედით, ეცადე დაუმტკიცო ყველა ურწმუნოს, რომ საქმე მართლაც ისეა, როგორც შენ ამბობ.

– მართლაც ვეცდები, რაკიღა ასე ძლევამოსილ კავშირს მთავაზობ. მე მგონია, თუ გვინდა თავი დავაღწიოთ იმ ხალხის შემოტევას, შენ რომ გულისხმობ, აუცილებელია გავარკვიოთ, ვინ მიგვაჩნია ფილოსოფოსებად და იმის მტკიცებაც გავბედოთ, რომ სწორედ ფილოსოფოსები უნდა მართავდნენ სახელმწიფოს, რათა ყველასათვის ცხადი შეიქნეს, რომ თავის დაცვაც შეგვიძლია და იმის მტკიცებაც, რომ ზოგიერთს თვით ბუნებამ მისცა იმის უნარი, რომ ფილოსოფოსობდნენ და სახელმწიფოსაც მართავდნენ, დანარჩენები კი თავს უნდა არიდებდნენ ამას და მმართველებს კუდში მისდევდნენ.

– ახლა სწორედ ამისი გარკვევის დროა.

– მაშ, მომყევი, იქნებ ასე მაინც შევძლოთ ამის გარკვევა.

– ნება შენია, წამიძეხ.

– გაგახსენო თუ ისედაც გახსოვს, რომ თუ კაცს რაიმე უყვარს, მაშინ, თუკი მართებულად მსჯელობენ მასზე, თავისი სიყვარულის საგნის მარტოოდენ ერთი მხარე კი არ უნდა უყვარდეს და გულგრილი იყოს სხვა მხარის მიმართ, არამედ მისთვის ძვირფასი უნდა იყოს მთელი საგანი.

– თუ გინდა ჩემი მეშვეობით იმსჯელო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ შეყვარებულნი, ნებას დაგყვები, მაგრამ, იცოდე, მხოლოდ ჩვენი საუბრის გულისთვის.

– განა იგივე არ ითქმის ღვინის მოყვარეთა მიმართაც, ნებისმიერი საბაბით რომ შეჰხარიან ყოველგვარ ღვინოს?

– დიახ.

– მე თუ მკითხავ, მათვე ჰგვანან პატივმოყვარენიც. ალბათ შეგიმჩნევია: თუ მთელი ლაშქრის წინამძღოლობას ვერ ეღირსნენ, ტრიტიების არქონტობას მაინც იგდებენ ხელში. თუ ამა ქვეყნის ძლიერნი და სახელოვანნი არ სწყალობენ, უჩინოთა და უსახელოთა პატივისცემას სჯერდებიან, პატივმოყვარეობის ჟინს აყოლილნი.

– მართალს ბრძანებ.

– ხლა კი ეს აღიარე ან უარყავი: როდესაც ამბობენ, კაცს ესა და ეს უყვარსო, საგანთა მთელ იმ გვარს გულისხმობენ, რომელსაც ეკუთვნის მისი სიყვარულის საგანი, თუ მხოლოდ ერთ-ერთს მთელი გვარიდან?

– არა, მთელ გვარს.

– მერედა, განა სიბრძნის მოყვარეზედაც არ ვიტყვით, რომ ის სიბრძნის ამა თუ იმ კერძო სახეს კი არ მიელტვის, არამედ მთელ სიბრძნეს საერთოდ?

– დიახ.

– მაშასადამე, თუ კაცს სძულს მეცნიერება, მით უმეტეს, როცა ის ახალგაზრდაა და არ ესმის, რა არის სასარგებლო და რა არა, მას ვერც ცოდნის მოყვარედ მივიჩნევთ და ვერც სიბრძნის მოყვარედ, ისევე, როგორც ვერ ვიტყვით, რომ კაცს შია და საჭმელი ენატრება, თუკი ზიზღით უყურებს საჭმელს, რადგანაც ამ შემთხვევაში საჭმელი მისთვის სანატრელი კი არა, საძულველია.

– არ შევცდებით თუ ამას ვიტყვით.

– ხოლო ვინც ხალისით უსინჯავს გემოს, ყოველგვარ მეცნიერებას, ვინც სიამოვნებით ეწაფება ცოდნას და ამ მხრივ მართლაც რომ გაუმაძღარია, ჩვენ შეგვიძლია ფილოსოფოსად მიგვაჩნდეს იგი.

– ამნაირი ხალხი – თქვა გლავკონმა, – ბლომად მოიყრის თავს, და არცთუ ურიგო ხალხი. მე თუ მკითხავ, მათ რიცხვს ეკუთვნის სანახაობათა ყველა მოყვარე, რომლებსაც სიამოვნებას ანიჭებს ამა თუ იმ სიახლის ცქერა. არიან სმენის მოყვარენიც, მაგრამ განა სისულელე არ იქნებოდა ფილოსოფოსებად მიგვეჩნია ისინი? რადგან მათ სულაც არ იზიდავს ისეთი საუბრები, სადაც რაიმე არსებითზე მსჯელობენ. სამაგიეროდ არასდიდებით არ გააცდენენ დიონისესადმი მიძღვნილ დღესასწაულებს, გინდ ქალაქში მართავდნენ მათ და გინდა სოფლად, თითქოს ვიღაცას ყველა ქოროს სასმენად დაექირავებინოს მათი ყურები. ნუთუ ამათ და დანარჩენებსაც, ვინც ამნაირ თავშექცევას მიელტვის ან ცდილობს ამა თუ იმ ყოვლად უსარგებლო ხელობას დაეუფლოს, ფილოსოფოსებს ვუწოდებთ ჩვენ?

– არამც და არამც.

– მაშ, ვიღას მიიჩნევ ჭეშმარიტ ფილოსოფოსად?

– ვინც სიამოვნებით განიხილავს ჭეშმარიტების რაობას.

– სწორია; მაგრამ შენ თვითონ როგორღა განმარტავ ამას?

– ადვილი საქმე როდია, მაგრამ, მგონია, შენ მაინც დამეთანხმები იმაში, რომ...

– რაში?

– რაკიღა მშვენიერება უპირისპირდება სიმახინჯეს, მაშასადამე, ისინი ორ სხვადასხვა რამედ უნდა მიგვაჩნდეს.

– რა თქმა უნდა.

– იგივე შეიძლება ითქვას სამართლიანსა და უსამართლოზე, კარგსა და ცუდზე და ყოველივე ამგვარზედაც. ყოველი მათგანი თავისთავად ერთია, მაგრამ მრავალნი კი ჩანან, რაკიღა სხვადასხვა მოქმედებებსა თუ საგნებში და ერთმანეთში არეული სახითაც იჩენენ თავს.

– მართალს ბრძანებ.

– ამის მიხედვით ვაფუძნებ ჩემს სხვადასხვაობას: ერთ მხარეს ვაყენებ იმათ, ვისაც შენ წეღან სანახაობათა თუ ხელოვნებათა მოყვარენი უწოდე, მეორე მხარეს კი – იმ ხალხს, ვისზედაც ახლა ვსაუბრობთ და ვინც შეიძლება ნამდვილ ფილოსოფოსებად მიგვაჩნდეს.

– რას გულისხმობ?

– სმენისა და მზერის მოყვარენი მშვენიერ ბგერებს, ფერებს, ფიგურებს თუ ყოველივე იმას შეჰხარიან, რაშიაც ვლინდება მშვენიერება. მაგრამ მათ სულს არ შეუძლია თავისთავადი მშვენიერების წვდომა და მისი ხიბლით ტკბობა.

– ასეა.

– ვინც აღიარებს მშვენიერ საგანთა არსებობას, მაგრამ არა თავისთავადი მშვენიერებისას, და არ შეუძლია მისდიოს მას, ვისაც შეეძლო თავისთავადი მშვენიერებისათვის ეზიარებინა იგი, როგორ გგონია, ცხადში ცხოვრობს თუ სიზმარში? თუმცა, რაღა ცხადი და რაღა სიზმარი, თუკი ჰგონია, რომ ის, რაც ამა თუ იმ საგანს ჰგავს, ამ საგნის მსგავსება კი არ არის, არამედ – თვით ეს საგანი.

– მე თუ მკითხავ, სწორედ ეს არის სიზმარი.

– ხოლო ვინც, ამის საპირისპიროდ, აღიარებს თავისთავად მშვენიერებას და არა მარტო მისი ჭვრეტის უნარი შესწევს, არამედ იმის ჭვრეტისაც, რაც მასთანაა წილნაყარი, შენი აზრით, ცხადში ცხოვრობს თუ სიზმარში?

– რა თქმა უნდა, ცხადში.

– მისი აზროვნების უნარს ჩვენ ვუწოდებთ შემეცნებას, რადგანაც ის შეიცნობს, მეორისას კი – შეხედულებას, რადგან ის მხოლოდ თავისი ხედვის მიხედვით მსჯელობს.

– დიახ.

– მაგრამ თუ ის, ვისზედაც ვამბობთ, რომ აზროვნებით კი არ შეიმეცნებს, არამედ შეხედულების მიხედვით მსჯელობს, – აღშფოთებული უარყოფს ჩვენს აზრს, განა იძულებულნი არ ვიქნებით, როგორმე დავაშოშმინოთ და მშვიდად ვცადოთ მისი დარწმუნება? მაშ, პირში ხომ არ მივახლით, რომ ჭკუა აღარ მოეკითხება?

– სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ.

– ვნახოთ, მაინც რას ვუპასუხებთ; ან, თუ გნებავს, კითხვები დავუსვათ, რათა დავრწმუნდეთ, რომ რაღაცა იცის, და, ამრიგად, ვაგრძნობინოთ, რომ მისი ავისმოსურნენი კი არა ვართ, არამედ გვიხარია, რომ თურმე მცოდნე კაცთან გვქონია საქმე. «ერთი ეს გვითხარი, – ვეტყოდით ჩვენ, – ის, ვინც შეიცნობს, რაღაცას შეიცნობს თუ არაფერს?»

– პასუხად ვიტყოდი – რაღაცას-მეთქი.

– რაღაც არსებულს თუ არარსებულს?

– არა, არსებულს; განა შეიძლება არარსებულის შეცნობა?

– ამრიგად, ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ რა მხრივაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, სრულად არსებული სრულიად შეცნობადია, სრულად არარსებული კი – სრულიად შეუცნობადი.

– სრული სიმართლეა.

– კეთილი; მაგრამ თუ ზოგი რამ კიდეც არსებობს და არც არსებობს, განა მათ საშუალო ადგილი არ უჭირავთ წმინდა არსებობასა და სრულ არარსებობას შორის?

– რა თქმა უნდა.

– რაკიღა ცოდნა არსობობას მიემართება, არცოდნა კი არარსებობისკენაა მიმართული, იმისთვის, რაც ამ ორს შორისაა, უნდა ვეძებოთ რაღაც შუალედური ცოდნასა და არცოდნას შორის, თუკი მართლაც არსებობს რაღაც ამგვარი.

– ცხადია.

– ჩვენ რაღაცას ვუწოდებთ შეხედულებას?

– რა თქმა უნდა.

– ეს იგივე უნარია, რაც ცოდნა, თუ განსხვავდება მისგან?

– განსხვავდება.

– მაშასადამე, შეხედულება ერთ რამეს მიემართება, ცოდნა კი – მეორეს, მათი სხვადასხვაობის შესაბამისად?

– დიახ.

– ესე იგი, ცოდნა, თავისი ბუნებით, არსებობისკენაა მიმართული, მისი ბუნების შესამეცნებლად? თუმცა, მე მგონია, ჯერ ერთი რამის გარკვევა გვმართებს...

– რისა?

– უნართა შესახებ ჩვენ ვიტყვით, რომ ისინი არსებულის სახეებად გვევლინებიან; მათი წყალობით შეგვიძლია ყველაფერი, რაც შეგვიძლია; და არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა ქმედით ძალასაც. მე, მაგალითად, ამნაირ უნართა რიცხვს ვაკუთვნებ მზერასაც და სმენასაც. თუ გესმის მაინც რა სახესაც ვგულისხმობ?

– მესმის.

– მაშ, ყური მიგდე, რა აზრისა ვარ მათზე. მე მათ ვერც ფერს მივაწერ, ვერც ფიგურას და ვერც რაიმე თვისებას, რაც სხვა საგნებს ახასიათებს, რომლებსაც სწორედ ამ უნართა მიხედვით ვასხვავებთ ერთმანეთისგან. უნარში მე ვხედავ მხოლოდ იმას, რომ ის რაღაცისკენაა მიმართული, და მისი ზემოქმედების შედეგსაც. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ვარქმევ სახელს თვითეულ მათგანს. თუ მისი მიმართულებაც და ზემოქმედებაც ერთი და იგივეა, ისიც ერთსა და იმავედ მიმაჩნია, ხოლო თუ მიმართულება და ზემოქმედება სხვადასხვაა, მასაც სხვა უნარად მივიჩნევ. შენ რაღას იტყვი?

– მაგასვე.

– მოდი, კვლავ ცოდნას მივუბრუნდეთ, ჩემო კეთილო. შენ ის უნარად მიგაჩნია, თუ სხვა რაიმე სახეს აკუთვნებ?

– არა, ამ სახეს: ყველაზე მძლავრსა და ძლიერს.

– კი მაგრამ, შეხედულება? მასაც უნარად სახავ, თუ სხვა რაიმე სახედ?

– არამც და არამც სხვა სახედ. შეხედულება თუ წარმოდგენა ხომ ისაა, რისი წყალობითაც რაღაცას წარმოვიდგენთ.

– მაგრამ წეღან ხომ აღიარე, რომ ცოდნა და შეხედულება ერთი და იგივე როდია?

– როგორ შეიძლება ჭკუათმყოფელი კაცი ერთმანეთში ურევდეს იმას, რაც შეუმცდარია. და იმას, რაც ცდომითაა სავსე?

– კეთილი და პატიოსანი; მაშასადამე, ჩვენ შევთანხმდით, რომ ცოდნა და შეხედულება ორი სხვადასხვა რამეა.

– დიახ.

– ესე იგი, თვითეულ მათგანს, ბუნებით, თავისი საკუთარი მიმართება და უნარი ახასიათებს?

– უცილობლად.

– ცოდნა არსებობას მიემართება, რათა შეიცნოს მისი ბუნება?

– დიახ.

– შეხედულება თუ წარმოდგენა კი – იმას, რის წარმოდგენასაც ვცდილობთ?

– დიახ.

– ნუთუ ისიც იმასვე შეიცნობს, რასაც ცოდნა? ნუთუ ერთი და იგივეა ის, რაც შეცნობადია, და ის, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ? თუ ეს შეუძლებელია?

– შეუძლებელია იმის გამო, რაზედაც წეღან შევთანხმდით: რაკი სხვადასხვა უნარი სხვადასხვა საგანს მიემართება, ეს ორი უნარი – ცოდნა და შეხედულება – ორი სხვადასხვა უნარია, და ამიტომაც ვერ ვიტყვით, თითქოს ცოდნისა და შეხედულების საგანი ერთი და იგივე იყოს.

– თუ არსებობა შეცნობადია, ის რასაც შეხედულებით ვწვდებით, მისგან განსხვავებული იქნება, არა?

– დიახ.

– ესე იგი, შეხედულება თუ წარმოდგენა არარსებულს მიემართება? თუ არარსებულს ვერც წარმოვიდგენთ? კარგად დაფიქრდი: წარმოდგენის ქონა ხომ რაღაცის წარმოდგენას ნიშნავს? ან, იქნებ, შესაძლებელია წარმოდგენა, რომელიც არაფერს არ მიემართება?

– არა, ეს შეუძლებელია.

– ასე რომ, წარმოდგენის მქონეს რაღაცა მაინც წარმოუდგენია?

– დიახ.

– მაგრამ არარსებობა რაღაცა კი არ არის, არამედ არარა.

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, შეხედულება თუ წარმოდგენა არც არსებობას მიემართება და არც არარსებობას?

– არცერს.

– ესე იგი, შეხედულება თუ წარმოდგენა არც ცოდნაა და არც არცოდნა?

– როგორც ჩანს.

– რაკიღა არც ერთია და არც მეორე, სიცხადით ცოდნას აღემატება, ბუნდოვანებით კი – არცოდნას?

– არც ერთსა და არც მეორეს.

– მაშასადამე, შენი აზრით, შეხედულება უფრო ბუნდოვანია, ვიდრე ცოდნა, და უფრო ცხადი, ვიდრე არცოდნა?

– გაცილებით.

– მაგრამ მათ ფარგლებს კი არ სცილდება?

– არა.

– ესე იგი, მათ შორისაა?

– დიახ.

– ზემოთქმულისა არ იყოს, თუ არის რამე არსებულიც და, იმავდროულად, არარსებულიც, მისი ადგილი წმინდა არსებობასა და სრულ არარსებობას შორის უნდა იყოს, ხოლო მას არც ცოდნა მიემართება და არც არცოდნა, არამედ რაღაც ისეთი, რაც ცოდნასა და არცოდნას შორის ძევს.

– სწორია.

– ახლა კი მათ შორის აღმოჩნდა ის, რასაც შეხედულებას თუ წარმოდგენას ვუწოდებთ.

– დიახ.

– როგორც ჩანს, ისღა დაგვრჩენია, ვიპოვოთ ის, რაც წილნაყარია ორივესთან – არსებობასთანაც და არარსებობასთანაც, მაგრამ რასაც, ზუსტად რომ ვთქვათ, ვერც ერთად მოვიჩნევთ და ვერც მეორედ. თუ აღმოჩნდა რაღაც ასეთი, მაშინ მას შეიძლება ვუწოდოთ ის, რასაც წარმოდგენით აღვიქვამთ. კიდურა წევრებს კიდურა თვისებებს მივაწერთ, შუათანას კი – შუალედურს; ასეა, არა?

– ასეა.

– რახან ასეა, მე ვიტყვი: მითხრას იმ კეთილმა კაცმა, ვინც უარყოფს მშვენიერებას თავისთავად და მშვენიერების ყოველგვარ თვითიგივეობრივ იდეას, რადგანაც სანახაობათ ამ მოყვარულს ჰგონია, რომ არსებობს უთვალავი მშვენიერი საგანი, მაგრამ ვერ იტანს, როცა ეუბნებიან, რომ მშვენიერება ერთია, ისევე, როგორც სამართლიანობა და სხვა მისთანანი; დიახ, მითხრას იმ კეთილმა კაცმა: განა მშვენიერ საგანთა ამ სიმრავლეში არ მოიძებნება რაღაც მახინჯი? სამართლიანთა შორის – უსამართლო, ღვთისმოსავთა შორის კი – მკრეხელი?

– მართლაცდა, ყოველივე მშვენიერი ამა თუ იმ მხრივ მახინჯი იქნება, ისევე, როგორც ყველაფერი, რაზედაც შენ ლაპარაკობ.

– კი მაგრამ, შეიძლება თუ არა ყოველივე ორადი ისევე მიგვაჩნდეს ნახევრად, როგორც ორადად?

– დიახ.

– ხოლო თუ ჩვენ რაღაცას დიდს და პატარას, ან მძიმეს და მსუბუქს ვუწოდებთ, განა ამისთვის უფრო მეტი საფუძველი გვაქვს, ვიდრე საპირისპირო სახელებისთვის?

– არა, ყველაფერს ორივე სახელი ესადაგება.

– ზემოხსენებულ მრავალ საგანთა შორის თვითეული ისეთი იქნება თუ არა, როგორადაც ჩვენ მივიჩნიეთ?

– ეს იმ ორაზროვნებას ჰგავს, რომლითაც თავს იქცევენ მეინახენი, ან ბალღურ გამოცანას იმის შესახებ, თუ როგორ აპირებდა ევნუქი ღამურის მოკვლას: უნდა გამოვიცნოთ რას ესროდა, ან რაზე იჯდა ღამურა. აქაც ყველაფერი ორაზროვანია და ვერაფერზე ვერ იტყვი, ასეთია ან ისეთიო, თუმცა იმის თქმაც შეიძლება, რომ მას ორივე სახელი ესადაგება, ანდა – არცერთი.

– კი მაგრამ, რას უზამ ამ სახელებს? შეგიძლია უკეთესი ადგილი მიუჩინო მათ, ვიდრე არსსა და არარსს შორის? ისინი არარსზე ბუნდოვანნი როდი არიან, ასე რომ, ვერცერთს ვერ მიიჩნევ მასზე უფრო არარსებულად, და არც არსზე უფრო ცხადნი, რათა შეგეძლოს მასზე უფრო არსებულად მიიჩნიო ისინი.

– მართალს ბრძანებ.

– ამრიგად, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ უმრავლესობის მსჯელობა მშვენიერებისა თუ სხვა მისთანათა თაობაზე უმეტესწილად არარსებობასა და წმინდა არსებობას შორის მერყეობს.

– დიახ, აღმოვაჩინეთ.

– ჩვენ კი ადრევე შევთანხმდოთ, რომ თუ აღმოჩნდებოდა რაღაც ამგვარი, ის უნდა მიგვეჩნია იმად, რასაც ცოდნით კი არა, წარმოდგენის წყალობით ვწვდებით. რადგანაც იმის მოხელთება, რაც ამ ორ უკიდურესობას შორის მერყეობს, მხოლოდ ერთგვარი შუალედური უნარის მეშვეობითაა შესაძლებელი.

– მართალია, ასე შევთანხმდით.

– მაშასადანე, ვინც ხედავს მრავალ მშვენიერ საგანს, მაგრამ ვერ ხედავს მშვენიერებას თავისთავად, და არ შეუძლია მისდიოს მას, ვისაც შეეძლო თავისთავადი მშვენიერებისათვის ეზიარებინა იგი; ვინც ხედავს მრავალ სამართლიან ქცევას, მაგრამ ვერ ხედავს სამართლიანობას თავისთავად და სხვა მისთანათ, ჩვენ ვიტყვით, რომ მას მხოლოდ წარმოდგენა აქვს ყოველივე ამის შესახებ, მაგრამ ცოდნით კი არ იცის, რასაც წარმოდგენით აღიქვამს.

– უცილობლად.

– კი მაგრამ, იმათზე რაღას ვიტყვით, ვინც ყოველივე თავისთავადსა და თვითიგივეობრივს ხედავს? ისინიც წარმოდგენით წვდებიან ყოველივე ამას თუ შეიცნობენ?

– რა თქმა უნდა, შეიცნობენ.

– მაშასადამე, ჩვენ ვიტყვით, რომ ესენი შეჰხარიან და სიყვარულით ემსჭვალვიან იმას, რასაც შეიცნობენ, ისინი კი – იმას, რასაც წარმოდგენით სწვდებიან. ხომ გახსოვს, ჩვენ ვთქვით, რომ მათ უყვართ მშვენიერი ბგერები, ფერები და სხვა მისთანანი, მაგრამ წარმოუდგენლად მიაჩნიათ თავისთავადი მშვენიერების არსებობა.

– როგორ არ მახსოვს.

– ასე რომ, ალბათ არ შევცდებით, თუ მათ უფრო წარმოდგენების მოყვარულებად მივიჩნევთ, ვიდრე სიბრძნისა. ნუთუ ამის გამო გაგვირისხდებიან, ეს რა გვკადრეთო?

– ალბათ არა, თუ ყურს მათხოვებენ: ვინ ვის რისხავს სიმართლის გამო?

– ხოლო ისინი, ყოველივე თავისთავადს რომ შეჰხარიან, წარმოდგენის კი არა, სიბრძნის მოყვარულებად უნდა მიგვაჩნდნენ.

– უცილობლად.

წიგნი მეექვსე

– დიდი ხნის კამათის შემდეგ როგორც იქნა, გაირკვა, გლავკონ, ვინ უნდა მოგვაჩნდეს ფილოსოფოსებად და ვინ არა.

– ასეა, – თქვა მან, – მოკლე ხანში შეუძლებელი იქნებოდა ამის გარკვევა.

– ეტყობა; – მივუგე მე, – ეგეც არ იყოს, მე მგონია, ჩვენი მტკიცება უფრო საფუძვლიანი იქნებოდა, მხოლოდ ეს რომ გვქონოდა გასარკვევი და არა ბევრი სხვა საკითხიც იმის განხილვისას, თუ რითი განსხვავდება სამართლიანი ცხოვრება უსამართლოსგან.

– ამის შემდეგ რაღა დაგვრჩა განსახილველი? – იკითხა მან.

– რა და, შემდეგი: თუ ფილოსოფოსები ის ხალხია, ვისაც იმისი წვდომის უნარი შესწევს, რაც მარად უცვლელია და თვითიგივეობრივი, სხვებს კი ამის თავი არა აქვთ და საგანთა სიმრავლესა თუ ცვალებადობაში დაბორიალობენ, – საკითხავია, ამ ორთაგან ვინ უნდა ედგეს სახელმწიფოს სათავეში?

– რა უნდა ვთქვათ, რომ სათანადო პასუხი გამოგვივიდეს?

– ვისაც იმისი ძალა შესწევს, რომ კანონებსა და ქვეყნის ადათ-წესებს იცავდნენ, სწორედ მათ დავადგენთ მცველებად.

– სწორია, – თქვა მან.

– ხომ ცხადია, – მივუგე მე, – რომ მცველი ბრმა კი არა, მახვილი მზერის პატრონი უნდა იყოს.

– რა საკითხავია?

– კი მაგრამ, რა განასხვავებს ბრმას იმისაგან, ვისთვისაც მთლიანად დაფარულია საგანთა არსი, და ვის სულშიაც ვერავინ ჰპოვებს მათ მკაფიო ხატებს? მხატვრებისა არ იყოს, არც მას შეუძლია უზენაესი ჭეშმარიტების ჭვრეტა, თუმცა წამითაც არ უნდა წყვეტდეს თვალს და ცდილობდეს შესაძლო სიზუსტით

წარმოიდგინოს იგი, რათა მშვენიერების, სამართლიანობისა და სიკეთის კანონები დაადგინოს ამ ქვეყნად, თუკი საჭირო შეიქნა მათი დადგენა, ანდა ფხიზლად იცავდეს მათ, თუ ისინი უკვე არსებობენ.

– ვფიცავ ზევსს, დიდად როდი განსხვავდება ბრმისაგან.

– მერედა, ვის დავადგენთ მცველებად, ბრმებს თუ იმათ, ვისთვისაც ცნობილია ყოველი საგნის არსი და, ამასთან, არც გამოცდილებით ჩამოუვარდება მათ და არც ნებისმიერი სიქველით?

– უგუნურება იქნებოდა სხვების დადგენა, თუკი ისინი ტოლს არ უდებენ და სიქველითაც აშკარად ჩრდილავენ მათ.

– ხომ არ გვეჩვენებინა, რანაირად შეიძლება ერთმანეთს უხამებდნენ ისინი გამოცდილებას და უზენაესი სიკეთის ჭვრეტას?

– ცხადია, უნდა გვეჩვენებინა.

– როგორც ჩვენი მსჯელობის დასაწყისში ითქვა, თავდაპირველად გვმართებს გავარკვიოთ მათი ბუნება და, ვფიქრობ, თუ ამ საკითხში საკმარის თანხმობას მივაღწევთ, მაშინ იმასაც ვაღიარებთ, რომ ისინი შეიძლება თანაბრად ფლობდნენ ორივე ამ უპირატესობას, და სახელმწიფოს სხვებს კი არა, სწორედ მათ უნდა ვუყენებდეთ სათავეში.

– როგორ?

– ფილოსოფოსთა ბუნებასთან დაკავშირებით უნდა შევთანხმდეთ, რომ ისინი ვნებიანად მიელტვიან ცოდნას, რაც მათ უმჟღავნებს მარადიულ არსს, რომელიც არ ექვემდებარება წარმოშობითა თუ ხრწნილებით გამოწვეულ ცვალებადობას.

– დიახ, უნდა შევთანხმდეთ.

– უნდა ითქვას, რომ ისინი ესწრაფვიან მთელ არსებობას და ცდილობენ უყურადღებოდ არ დატოვონ მისი არცერთი ნაწილი, არც დიდი და არც მცირე, არც მეტად თუ ნაკლებად ფასეული, მოკლედ, ისე იქცევიან, როგორც პატივმოყვარენი და შეყვარებულნი, რომლებზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით.

– მართალს ბრძანებ.

– ახლა კი დაუკვირდი, აუცილებელია თუ არა, რომ ის ხალხი, რომელიც ისეთი უნდა იყოს, როგორც ჩვენ ვამბობთ, შემდეგ თვისებასაც ფლობდეს...

– რა თვისებას?

– გულწრფელობას, სიცრუის გადაჭრით უარყოფას, მისდამი სიძულვილს და სიყვარულს ჭეშმარიტების მიმართ.

– რა თქმა უნდა.

– ეს არა მარტო ბუნებრივია, ჩემო მეგობარო, არამედ აუცილებელიც იმისთვის, ვინც, თავისი ბუნებისამებრ, სიყვარულით მიელტვის და პატივს სცემს ყველაფერს, რაც მისი სიყვარულის საგნის ახლობელია და მონათესავე.

– სწორია, – თქვა მან.

– კი მაგრამ, თუ გეგულება რამე, სიბრძნესთან უფრო ახლოს რომ იდგეს, ვიდრე ჭეშმარიტება?

– არაფერი.

– განა შეიძლება ერთსა და იმავე კაცს სიბრძნეც უყვარდეს და სიცრუეც?

– არა, არ შეიძლება.

– მაშასადამე, ჭეშმარიტი სიბრძნისმოყვარე სიყრმითგანვე მთელი არსებით უნდა ესწრაფვოდეს ჭეშმარიტებას.

– დიახ, მთელი არსებით.

– მაგრამ როცა ადამიანს მისი სურვილები ძალით მიაქცევენ ერთი რომელიმე საგნისაკენ, ჩვენ ვიცით, რომ მათი სწრაფვა მეტისმეტად სუსტდება ყოველივე დანარჩენის მიმართ, როგორც კალაპოტიდან გადაგდებული ნაკადი.

– მერედა რა?

– როცა ადამიანის სურვილი ცოდნის შეძენისა თუ სხვა მისთანათა მიმართ მიაქცევს მას, ჩემის აზრით, ეს სიამოვნებას ანიჭებს მის სულს, ხორციელი განცხრომისაკენ სწრაფვა კი ქრება, თუ, რა თქმა უნდა, ის თავს კი არ გვაჩვენებს სიბრძნის მოყვარედ, არამედ მართლა უყვარს სიბრძნე.

– უცილობლად.

– ამნაირი ადამიანი კეთილგონიერია და არამც და არამც – ვერცხლისმოყვარე; რადგანაც მხოლოდ ფულზე გეჭიროს თვალი, ვისაც გინდა, იმას შეჰფერის, მაგრამ არა მას.

– ეგრეა.

– ერთსაც უნდა მიაქციო ყურადღება, თუ გსურს ერთმანეთისაგან არჩევდე, ვინაა ბუნებით ფილოსოფოსი და ვინ არა.

– მაინც რას?

– რასა და იმას, რომ სიფრთხილე გმართებს, რათა არ გამოგეპაროს მისი რაიმე სიმდაბლე, რადგანაც სულმოკლეობა დაუძინებელი მტერია სულისა, რომლის დანიშნულებაც ისაა, რომ გამუდმებით მიელტვოდეს ყოველივე ღვთაებრივს თუ ადამიანურს.

– მართალს ბრძანებ.

– მაგრამ თუ ადამიანი დიდსულოვანია და შეუძლია ერთობლივად მოიცვას მზერით მთელი დრო და მთელი ყოფიერება, როგორ გგონია, განა მას შეუძლია დიდ რამედ მიაჩნდეს ჩვენი ცხოვრება?

– არა, ეს შეუძლებელია, – თქვა მან.

– ასე რომ, ის არც სიკვდილს მიიჩნევს საშინელებად?

– არამც და არამც.

– როგორც ჩანს, მხდალი და მდაბალი ბუნებისათვის მიუწვდომელია ფილოსოფია.

– ასე მგონია.

– ხოლო თუ კაცი წესიერია, უანგარო, არა მდაბალი, არა თავგასული და არა მხდალი, განა შეიძლება ის უხიაგი ან უსამართლო გახდეს?

– არა, არ შეიძლება.

– ასე რომ, როცა გსურს განიხილო, ფილოსოფიურია თუ არა სული, დაუკვირდი და სიყმაწვილეშივე შეატყობ, სამართლიანია და თვინიერი თუ უხიაგი და ველური.

– რა თქმა უნდა.

– მე მგონია, არც ეს გამოეპარება შენს თვალს...

– რა?

– შესწევს თუ არა სწავლის უნარი. განა შეიძლება იმედი გქონდეს, რომ დროთა განმავლობაში გულს დაუდებს იმას, რასაც წამებად მიიჩნევს და რის ვაივაგლახით ართმევს თავს?

– ნამდვილად არ შეიძლება.

– ხოლო თუ ვერაფერს იმახსოვრებს, რასაც ასწავლიან, და ყველაფერი ავიწყდება, განა შეიძლება თავცარიელი არ იყოს?

– რასაკვირველია, არა.

– როგორ გგონია, ასე ამაოდ მაშვრალი, განა, ბოლოს და ბოლოს, თავსაც არ შეიძულებს და ამნაირ სწავლა-განათლებასაც?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, იმას, ვინც ვერაფერს იმახსოვრებს, ნამდვილად ვერ მივაკუთვნებთ ფილოსოფოსთა რიცხვს და კარგი მეხსიერების პატრონს უნდა დავუწყოთ ძებნა.

– უცილობლად.

– მაგრამ განა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სულის უხამსობასა და გაუთლელობას შედეგად არ მოსდევს ის, რასაც ზომის უქონლობა ჰქვია?

– არა, არ შეიძლება.

– კი მაგრამ, ჭეშმარიტება, შენი აზრით, ზომიერებას უკავშირდება თუ ზომის უქონლობას?

– ზომიერებას.

– მაშასადამე, ბევრი სხვა რამის გარდა, უნდა ვეძებოთ ზომიერება, უშუალოდ რომ ერწყმის გონების ბუნებრივ დახვეწილობას, რათა ამ თანდაყოლილმა თვისებებმა თავისუფლად წარმართონ სული ყოველი საგნის იდეისაკენ.

– რა თქმა უნდა.

– ან იქნებ გგონია, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი და ერთიმეორის მომდევნო ყველა ეს თვისება სულაც არ არის აუცილებელი სულისათვის, რათა მან საკმარისად და სრულყოფილად შეიცნოს არსი?

– ყოვლად აუცილებელია.

– მერედა, ნუთუ შეგიძლია იმ საქმიანობის გმობა, რომელსაც ვერავინ ვერ მისდევს ისე, როგორც წესი და რიგია, თუკი ბუნებამ მეხსიერება, სწავლის უნარი, დიდსულოვნება და დახვეწილობა არ უბოძა, ან ჭეშმარიტების, სამართლიანობის, სიმამაცისა და დახვეწილობის მოყვარე თუ მონათესავე არ არის?

– თვით მომოსიც კი ვერ უპოვიდა რაიმე საგმობს.

– მაგრამ ნუთუ შენ მხოლოდ ამნაირ – მოწიფულსა და ზედმიწევნით განსწავლულ ხალხს მიანდობდი სახელმწიფოს მართვას?

აქ საუბარში ჩაერია ადიმანტე:

– ვინ გაბედავს, სოკრატე, რაიმე დაუპირისპიროს შენს მოსაზრებებს? მაგრამ თუ იცი, რას განიცდიან შენი მსმენელები, როცა საკუთარ აზრს გამოთქვამ? რაკი არც კითხვების დასმა შეუძლიათ და არც პასუხის გაცემა, ასე ჰგონიათ, რომ შენი მსჯელობა ყოველი კერძო საკითხის ირგვლივ მეტად თუ არა, ოდნავ მაინც აშორებთ ჭეშმარიტებას; მაგრამ როცა ერთ «ოდნავს» მეორე ემატება, მეორეს – მესამე და ასე შემდეგ; მათი ჯამი ერთ უხეშ შეცდომად იქცევა, მკვეთრად რომ უპირისპირდება შენი მსმენელების თავდაპირველ განწყობას. როგორც ძლიერი მოშაშე სუსტს, ბოლოს და ბოლოს, სვლის გაკეთების საშუალებას აღარ უტოვებს, შენი მსმენელებიც, ადრე თუ გვიან, ჩიხში ემწყვდევიან და კრინტის დაძვრასაც ვეღარ ახერხებენ იმ თავისებურ თამაშში, სადაც კოჭების მაგივრად სიტყვებს იყენებენ. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ეს როდი წყვეტს საქმეს. მე აქ ჩვენს შემთხვევას ვგულისხმობ: ყველას შეეძლო ეღიარებინა, რომ ვერაფერს დაუპირისპირებს შენს მსჯელობას ვერცერთ აქ წამოჭრილ საკითხზე, თუმცა ამ მხრივაც უნდა განგვეხილა საქმე: ვინც ფილოსოფიას ეწაფება, მაგრამ ახალგაზრდობაში გარკვეული განათლების შესაძენად კი არა, არამედ თითქმის მთელ სიცოცხლეს სწირავს მას, უმეტესწილად უცნაურზე უცნაურია, რომ არა ვთქვა – უქნარა და უმაქნისი-მეთქი, და თვით ისიც კი, ვინც ყველაზე გონიერი

ჩანს, სხვას ვერაფერს იძენს ფილოსოფიის შესწავლით, რასაც შენ ასე აქებ და ადიდებ, გარდა იმისა, რომ სრულიად უსარგებლო ხდება სახელმწიფოსთვის.

ადიმანტეს რომ მოვუსმინე, მე ვთქვი:

– როგორ გგონია, ვინც ამას ამბობს, ცდება?

– არ ვიცი, – თქვა ადიმანტემ, – მაგრამ სიამოვნებით კი მოვისმენდი შენს აზრს.

– მაშ, მოისმინე: მე თუ მკითხავ, მართალს ამბობს.

– კი მაგრამ, როგორღა ეთანხმება ეს იმ მტკიცებას, რომ სახელმწიფოები მანამდე ვერ დააღწევენ თავს უბედურებას, ვიდრე მათ სათავეში არ ჩაუდგებიან ფილოსოფოსები, რომლებიც შენ ეს-ესაა უმაქნისებად დასახე?

– შენ ისეთ კითხვებს მისვამ, რომ მხოლოდ შედარებებით თუ შემიძლია ვუპასუხო.

– მაგრამ, შენ ხომ შედარებებით ლაპარაკი არა გჩვევია.

– რაც არის, არის, – ვთქვი მე, – თავსამტვრევ განსჯაში ჩამითრიე და დამცინი კიდეც?! მაშ, მოისმინე ჩემი შედარება, რათა დარწმუნდე, რარიგ ძნელია ეს ჩემთვის:

სახელმწიფო ისე სასტიკად ეპყრობა ბრძენკაცთ, რომ უარესი აღარ იქნება. ამიტომ მათ დასაცავად სხვადასხვა საგანს მოვიშველიებ, რათა ერთმანეთს მივუსადაგო ეს სხვადასხვაობა, როგორც იქცევიან მხატვრები ვაცირმის თუ სხვა მისთანათა ხატვისას, ერთმანეთს რომ უხამებენ ნაირგვარ ნაკვთებს. მაშ, წარმოიდგინე ხომალდისა თუ ხომალდთა მთელი ქარავნის პატრონი, ახოვანებითა და ძალ-ღონითაც რომ აღემატება დანარჩენ ზღვაოსნებს, მხოლოდ ეგაა, ყურს აკლია, არც თვალი უჭრის და საზღვაო საქმისაც ბევრი არა გაეგება რა, ზღვაოსნები კი საჭის ხელში ჩასაგდებად თავ-პირს ამტვრევენ ერთმანეთს: ყველას ჰგონია, რომ სწორედ მან უნდა მართოს ხომალდი, თუმცა არსად უსწავლია მესაჭეობა, ასე რომ, ვერ გეტყვით, ვინ ასწავლა ან როდის ისწავლა ეს ხელობა. მათი თავგასულობა იქამდისაც კი მიდის, რომ ხმამაღლა გაჰყვირიან, ამას რა სწავლა უნდაო, და მზად არიან ნაკუწებად აქციონ ყველა, ვინც ამტკიცებს, რომ მესაჭეობა დიახაც მოითხოვს სწავლას. პატრონის ირგვლივ შემოჯარულნი თავს აბეზრებენ ვედრებით, თხოვნითა და ხვეწნა-მუდარით, არა ჩვენ მოგვანდე ეს საქმე და არა ჩვენო. თუ დაიყოლიეს და საწადელს ეწიენ, დანარჩენებს კი ხელი მოეცარათ, გაშმაგებულნი დაერევიან და მუსრს ავლებენ ერთმანეთს, ცხედრებს კი პირდაპირ ზღვაში ისვრიან. ხომალდის კეთილშობილ პატრონს კი მანდრაგორათი, ღვინითა თუ სხვა რამ მათრობელა სითხით აბრუებენ და ხელთ იგდებენ ხომალდს. მაშინ დაერევიან ყველაფერს, რაც ხომალდზეა, იწყება გაუთავებელი სმა-ჭამა და ღრეობა, ხომალდი კი, რაღა თქმა უნდა, ისე მიჰყავთ, როგორც ამნაირ მეხომალდეებს შეჰფერით. თანაც ქება-დიდებას არ აკლებენ, ნამდვილ ზღვაოსანს, უებრო მესაჭეს და საზღვაო საქმის უბადლო მცოდნეს უწოდებენ ყველას, ვინც შესძლო პატრონის დაყოლიებითა თუ ძალადობით ჩაეგდო ხელში ძალაუფლება, მაშინ როდესაც დასცინიან და აბუჩად იგდებენ მათ, ვინც ეს ვერ შესძლო. ამ ხალხს წარმოდგენაც არა აქვს ნამდვილ მესაჭეზე, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს წელიწადის დროს, თვალს ადევნებდეს ცას, ვარსკვლავებს თუ ქარის ქროლას, მოკლედ, ყველაფერს, რაც მის ხელობას უკავშირდება, თუ სურს მარჯვედ მართავდეს ხომალდს, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს ვისიმე ნება-სურვილს. მათ ჰგონიათ, რომ შეუძლებელია სწავლით შეიძინო ამის უნარი, გამოცდილება და თვით მესაჭის ხელობა.

ხოლო თუ ეს ხდება ხომალდზე, როგორ გგონია, განა ამნაირ ვითარებაში მეზღვაურები მაღალფარდოვან ყბედად, უბადრუკად და უმაქნისად არ მიიჩნევენ ნამდვილ მესაჭეს?

– რა თქმა უნდა, – მომიგო ადიმანტემ.

– არა მგონია, ამ სურათის შემყურეს რაიმე ახსნა-განმარტება დაგჭირდეს იმის დასადგენად, თუ რითი ჰგავს ეს სურათი ფილოსოფოსების მდგომარეობას სახელმწიფოში; ხომ გესმის, რასაც ვამბობ?

– ძალიან კარგად.

– მაშ, უწინარეს ყოვლისა, შენ თვითონ განუმარტე ეს შედარება იმას, ვისაც უკვირს, რატომ არ სცემენ პატივს ფილოსოფოსებს სახელმწიფოში, და ეცადე დაარწმუნო, რომ უფრო საკვირველი ის იქნებოდა, პატივი რომ მიეგოთ მათთვის.

– ასეც ვიზამ.

– ისიც უთხარი, რომ მართალს ამბობს, როცა ამტკიცებს, რაოდენ უსარგებლოა სახელმწიფოსათვის ის ხალხი, ფილოსოფოსებად რომ მოაქვთ თავი, მაგრამ კეთილ ინებოს და ამ უსარგებლობაში მათ დასდოს ბრალი, ვისაც ვერანაირ საქმეში ვერ გამოუყენებია ისინი, და არა თვით ამ ბრძენკაცებს. განა ბუნებრივია, რომ მესაჭე მორჩილებას სთხოვდეს მეზღვაურებს, ბრძენკაცნი კი კარს უტალახებდნენ მდიდრებს? ცდებოდა, ვინც ასე იხუმრა. სიმართლე კი, თუ გნებავთ, ის არის, რომ მდიდარია კაცი თუ ღარიბი, ავად რომ გახდება, ექიმს უნდა მიაკითხოს; ხოლო ვისაც ქვეშევრდომობა სურს, იმას მიმართოს, ვისაც ქვეშევრდომთა მართვის უნარი შესწევს. სად გაგონილა, მმართველი სთხოვდეს ქვეშევრდომთ, გემუდარებით, მოდით და მიქვეშევრდომეთო, თუკი მართლა ვარგა მმართველად? ამიტომაც არ შეცდები, თუ დღევანდელ სახელმწიფო მოღვაწეებს იმ ზღვაოსნებთან გააიგივებ, რომლებზედაც წეღან ვლაპარაკობდით, ხოლო ვისაც ეს ზღვაოსნები უქნარებად და მაღალფარდოვან ყბედებად თვლიან, – ჭეშმარიტ მესაჭესთან.

– მართალს ამბობ.

– ამის გამო და ამნაირ ვითარებაში ადვილი როდია ყველაზე უკეთეს ხელოვნებას პატივს მიაგებდეს ის ხალხი, ვინც სრულიად საპირისპირო ხელობას მისდევს. ყველაზე მძიმე და ყველაზე საშინელ ბრალდებას კი სწორედ ისინი უყენებენ ფილოსოფოსებს, ვისაც ჰგონია, რომ ფილოსოფოსობა მათი საქმეა. შენს მიერ ხსენებული ფილოსოფიის მგმობელის სიტყვით, ფილოსოფოსთა უმრავლესობა ყველაზე უკეთური ხალხია, ხოლო ბრძენკაცნი უსარგებლონი და უმაქნისნი არიან, და მეც დაგეთანხმე, მართალი ხარ-მეთქი; ასეა, არა?

– დიახ, ასეა.

– მაგრამ ჩვენ ხომ ვნახეთ, რატომ არიან ნამდვილი ფილოსოფოსები უსარგებლონი?

– რა თქმა უნდა.

– ხომ არ გსურს ახლა ისიც ვნახოთ, რა არის უმრავლესობის უკეთურობის მიზეზი და შეძლებისდაგვარად ვცადოთ იმის დამტკიცებაც, რომ ამაში ფილოსოფიას როდი მიუძღვის ბრალი?

– ცხადია, მსურს.

– მაშ, განვაგრძოთ ჩვენი კითხვა-პასუხი და გავიხსენოთ, რა ბუნებრივი თვისებებია საჭირო იმისთვის, რომ ადამიანი ღირსეული და კეთილი იყოს? თუ გახსოვს, პირველი იყო ჭეშმარიტების სიყვარული, რომელსაც თავის წინამძღვრად უნდა სახავდეს და ყველგან და ყოველთვის უყოყმანოდ მიჰყვებოდეს, რადგანაც მკვეხარა და უკეთური ვერასოდეს ეზიარება ჭეშმარიტ ფილოსოფიას.

– დიახ, სწორედ ამას ვამტკიცებდით.

– კი მაგრამ, განა ამ მხრივ მკვეთრად არ ვუპირისპირდებით დღესდღეობით საყოველთაოდ გაბატონებულ აზრს?

– მკვეთრად და უფრო მეტადაც.

– განა მართებული არ იქნებოდა ჩვენი მოსაზრების დასაცავად გვეთქვა, რომ ცოდნის მოყვარე კაცი ბუნებრივად მიელტვის ჭეშმარიტ არსს და საგანთა სიმრავლეზე კი არ ჩერდება, რომელთა არსებობაც მხოლოდ მოჩვენებითია, არამედ განუხრელად მიიწევს წინ და მისი ვნება მანამდის არ დაცხრება, სანამ არ ჩასწვდება თვით საგანთა არსს თავისი სულის იმ ნაწილით, რომლის დანიშნულებაც სწორედ ამ არსის წვდომაა და რომელიც ამავე არსს ენათესავება, ხოლო მისი მეშვეობით რომ მიეახლება და შეერწყმის კიდეც ჭეშმარიტ არსს, რათა შვას გონება და ჭეშმარიტება, შემდეგ უკვე (და არა მანამ) ჭეშმარიტი სიცოცხლით ცოცხლობს, ჭეშმარიტებით საზრდოობს და თავს აღწევს მშობიარობის ტკივილებს.

– ეს იქნებოდა სავსებით მართებული დაცვა.

– განა ამ კაცს შეიძლება უყვარდეს სიცრუე? თუ, პირიქით, უნდა სძულდეს იგი?

– უნდა სძულდეს.

– რაკი მას წინ უძღვის ჭეშმარიტება, ალბათ ვერ ვიტყვით, რომ ბიწიერების მთელი ქორო მიჰყვება უკან.

– რა სათქმელია?

– არამედ ვიტყვით, რომ მას ახლავს ზნეთა სიწმინდე და სიწრფელე, მათ კვალდაკვალ კი – გონიერება.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ დანარჩენ თვისებათა ქოროზე რაღას ვიტყვით, რომლებიც ნიშნეულნი არიან ფილოსოფოსის ბუნებისათვის? რა საჭიროა ხელახლა ჩამოვთვალოთ? ხომ გახსოვს, რომ მათ რიცხვში შედის სიმამაცე, დიდსულოვნება, ცოდნის ადვილად შეთვისების უნარი, მეხსიერება. მაშინ შენ პასუხად მითხარი, რომ უეჭველად ყველა დაეთანხმებოდა ჩვენს სიტყვებს, მაგრამ უნდა შეგვეწყვიტა მსჯელობა და ყურადღება გადაგვეტანა მხოლოდ მათზე, ვისზედაც ვლაპარაკობდით; იმასაც იტყოდნენ, რომ მათ შორის ბევრია უსარგებლო და უმრავლესობა – სრულიად უმაქნისი. მას აქეთ ვიძიებთ ამ ბრალდების მიზეზს და ახლა იმ კითხვას მივადექით, თუ რატომაა მათ შორის ამდენი უმაქნისი. ამიტომაც კვლავ შევუდექით ჭეშმარიტ ფილოსოფოსთა ბუნებრივი თვისებების კვლევას და იძულებულნი გავხდით კვლავ განგვესაზღვრა ისინი.

– ასეა, – თქვა მან.

– ახლა კი გვმართებს განვიხილოთ, რა იწვევს ამნაირი ბუნების გადაგვარებას, რატომ იხრწნება ის უმრავლესობაში, ან რატომაა, რომ მხოლოდ ცოტანი თუ აღწევენ თავს ამ ხრწნილებას, და ისინი უკეთურებად თუ არა, უმაქნისებად მაინც არიან მიჩნეულნი. შემდეგ კი განვიხილავთ მათ მიმბაძველთა თვისებებს, მათსავე თანამოსაქმეებად რომ მოაქვთ თავი. ამ ხალხის ურიცხვი შეცდომა თუ მარცხი იმის შედეგია, რომ ფილოსოფოსობის ღირსნი არ არიან და არც ამისი უნარი შესწევთ. სწორედ ისინი უტეხენ სახელს ფილოსოფიას, რაზედაც შენ ლაპარაკობდი.

– კი მაგრამ, მაინც რა იწვევს შენს მიერ ხსენებულ გადაგვარებას?

– ვეცდები შეძლებისდაგვარად აგიხსნა. მე მგონია, ყველა დაგვეთანხმება, რომ იმნაირ ადამიანებს, ვისი სულიც აერთიანებს ყველა თვისებას, რაც, ჩვენი აზრით, უნდა ახასიათებდეს ჭეშმარიტ ფილოსოფოსს, იშვიათად ბადებს ბუნება. თუ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

– არა, სავსებით გეთანხმები.

– ამნაირი ხალხი ცოტაა, მაგრამ ნახე, რამდენი რამ უწყობს ხელს მათ გადაგვარებას.

– მაინც?

– ყველას ძალიან გააკვირვებს იმის გაგება, რომ ნებისმიერი თვისება, რაც ჩვენ ამ ხალხში მოვიწონეთ, დიახ, სწორედ ნებისმიერი ეს თვისება განაპირობებს მისი მფლობელი სულის გადაგვარებას და ფილოსოფიისაგან მის ჩამოშორებას. მე ვგულისხმობ სიმამაცეს, გონიერებას და, საერთოდ, ყველაფერს, რაც ზემოთ მიმოვიხილეთ.

– მართლაც რომ საკვირველია.

– ასევე ხრწნის და ფილოსოფიას აშორებს სულს ყოველივე ის, რაც სიკეთედ მიაჩნია ბრბოს: სილამაზე, სიმდიდრე, გავლენიანი ნათესაობა და სხვა მისთანანი. ალბათ გესმის, რასაც ვგულისხმობ.

– ცხადია, მესმის, მაგრამ უფრო მეამებოდა, თუ დაწვრილებით ამიხსნიდი შენს აზრს.

– თუ ყველაფერს მთლიანად და მართებულად მოიცავ აზრით, შენთვის სავსებით ცხადი გახდება და აღარ გეუცნაურება ის, რაც ამის თაობაზე ზემოთ ითქვა.

– კი მაგრამ, მაინც რას მიბრძანებ, როგორ მოვიქცე?

– როგორც მოგეხსენება, ყოველგვარი თესლი თუ ჩანასახი, ცხოველისა იქნება თუ მცენარისა, თუკი სათანადო საზრდოობას, ჰავას ან ნიადაგს მოკლებულია, მით უფრო მეტად კარგავს თავის თვისებებს, რაც უფრო ძლიერია თავად: რადგანაც ცუდი უფრო მკვეთრად უპირისპირდება კარგს, ვიდრე არა კარგს.

– რა თქმა უნდა.

– ხომ სრული უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ უკეთესი ბუნება, მისთვის შეუფერებელი საზრდოობისას, გაცილებით მეტს კარგავს, ვიდრე უარესი?

– ცხადია, გვაქვს.

– კი მაგრამ, ადიმანტე, – ვუთხარი მე, – განა მაღალნიჭიერი სულიც ცუდი აღზრდისას უფრო მეტად არ უარესდება? ან იქნებ გგონია, რომ საზარელი დანაშაული თუ ბოროტმოქმედება სულის უნიჭობისაგან იღებს დასაბამს და არა მძლავრი ბუნებისაგან, რომელიც ბავშვობაში სათანადოდ ვერ აღზარდეს? სუსტი ბუნება კი ვერც დიდი სიკეთის მიზეზი გახდება და ვერც დიდი ბოროტებისა.

– ვერა, – თქვა მან, – მეც ასე ვფიქრობ.

– თუ ფილოსოფოსის ჩვენს მიერ განსაზღვრულ ბუნებას სათანადოდ აღზრდიან, მაშინ ის, თანდათანობითი განვითარების გზით, აუცილებლად მიაღწევს ნებისმიერ სიქველეს; მაგრამ თუ ის არასათანადო ნიადაგზე დაინერგა და აღიზარდა, მაშინ სრულიად საპირისპირო შედეგს მივიღებთ, თუკი მას რომელიმე ღმერთთაგანი არ შეეწია. ან იქნებ შენც ბრბოსავით ფიქრობ, რომ სოფისტების მიერ გარყვნილ ჭაბუკთა რიცხვი უმნიშვნელოა, ეს გამრყვნელნი კი კერძო პირები არიან და ამიტომ მხოლოდ მათზე თუ შეიძლება ვილაპარაკოთ? მაგრამ ის ხალხი, რომელიც ამას ამტკიცებს, თვითონვეა ყველაზე დიდი სოფისტი, რომელსაც შეუძლია თავის ნებაზე აღზარდოს და თავისებურად ჩამოაყალიბოს ახალგაზრდაც და ხნიერიც, ქალიც და კაციც.

– კი მაგრამ, როდისღა ასწრებენ ამას?

– როცა ისინი მოფუთფუთე ბრბოებად სხედან სახალხო თავყრილობებზე, სამსჯავროებში, თეატრებში, სამხედრო ბანაკებსა თუ საჯარო თავშეყრის სხვა ადგილებში და ყურთასმენის წამღები ყაყანით იწონებენ ან იწუნებენ ვისიმე გამოსვლას თუ მოქმედებას და თანაც ორსავე შემთხვევაში ყოველგვარი ზომიერების ზღვარს გადადიან; კლდეებიდან არეკლილი მათი გნიასი, გაშმაგებული ტაშისცემა, მოწონებისა თუ გმობის ყიჟინი მგრგვინავ ექოდ უბრუნდება მათივე თავშეყრის

ადგილს და ორმაგად მძლავრობს ღრიალი. როგორ გგონია, რას უნდა განიცდიდეს ამნაირ ვითარებაში ყმაწვილი კაცის გული? რომელი კერძო მასწავლებლის გაკვეთილებს შეუძლია წინ აღუდგეს ყოველივე ამას? განა ყველაფერს არ წაშლის და წალეკავს ლანძღვა-გინებისა თუ ქება-დიდების ეს ბობოქარი ნაკადი? განა ყმაწვილი კაცი ამასვე არ მიიჩნევს სასახელოდ თუ სათაკილოდ? და, ბოლოს, განა ასეთივე არ გახდება თავადაც?

– აუცილებლად, სოკრატე, – თქვა მან.

– მაგრამ ჩვენ ჯერ არც გვიხსენებია ყველაზე დიდი აუცილებლობა.

– მაინც რომელი?

– აუცილებლობა, რომლის წყალობითაც ყოველივე ამას საქმესაც ზედ ურთავენ ეს აღმზრდელები და სოფისტები, როცა სიტყვით ვერ ახერხებენ ვისიმე დარწმუნებას. ნუთუ არ იცი, რომ ურჩს სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევით, ფულადი ჯარიმით და სიკვდილითაც კი სჯიან?

– როგორ არ ვიცი.

– კი მაგრამ, ვის, რომელ სხვა სოფისტს ან რომელ კერძო სწავლა-განათლებას შეუძლია წინ აღუდგეს ამნაირ აღზრდას?

– მე მგონია, არცერთს.

– რა თქმა უნდა; თვით ამნაირი მცდელობაც კი დიდი უგუნურება იქნებოდა; რადგანაც შეუძლებელია, შეუძლებელი იყო და კვლავაც შეუძლებელი იქნება, რომ სიქველის გაკვეთილები ცვლიდნენ უმრავლესობის მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებას; მე ადამიანურ აღზრდას ვგულისხმობ, ჩემო ძვირფასო, თორემ ღვთაებრივისათვის, ანდაზისა არ იყოს, გამონაკლისი უნდა დაგვეშვა. ისიც იცოდე, რომ თუ ამნაირი სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში რაღაცა მაინც ასრულებს თავის დანიშნულებას და ის არის, რაც უნდა იყოს, ამას ღვთის წყალობას უნდა ვუმადლოდეთ მხოლოდ და მხოლოდ; შენ შეგიძლია ისე ამტკიცო ეს, რომ შეცდომის შიში არ გქონდეს.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა ადიმანტემ.

– ერთშიაც უნდა მერწმუნო.

– რაში? – თქვა ადიმანტემ.

– ყველა ეს კერძო მოვაჭრე, რომლებსაც სოფისტებს უწოდებს და თავის მეტოქეებად მიიჩნევს ხალხი, სხვა რამეს როდი ასწავლის თავის შეგირდებს, გარდა იმ აზრებისა თუ შეხედულებებისა, რასაც თავყრილობებზე გამოთქვამს უმრავლესობა, – და სწორედ ამას ასაღებს სიბრძნედ. ხომ არ გაგონებს ეს იმ კაცს, გულმოდგინედ რომ უვლის უზარმაზარსა და ძლიერ მხეცს, ბეჯითად სწავლობს მის ბუნებას, ჟინსა თუ ზნეს და იცის, საიდან მოუაროს, რა მხრივ მიუდგეს, როდის და რატომ მძვინვარებს ან მშვიდდება და ცხრება, რის გამო ღმუის, ან რისი გაგონება აღაგზნებს თუ ათვინიერებს. ყოველივე ამას რომ შეისწავლის ხანგრძლივი მოვლა-პატრონობის და დაკვირვების შედეგად, თავის გამოცდილებას ცოდნად მიიჩნევს, სახელმძღვანელოდ სახავს მას და ამის მიხედვით წვრთნის შეგირდებსაც; თუმცა წარმოდგენაც არა აქვს, რა არის ამ მხეცის ქცევაში კარგი ან ცუდი, საქები ან საძრახისი, მოსაწონი ან დასაწუნი, სამართლიანი ან უსამართლო, არამედ ყველაფერს მისი ქცევისა და ზნე-ჩვეულების მიხედვით აფასებს: რაც მხეცისთვის სასიამოვნოა, სიკეთედ სახავს, უსიამოვნოს კი ბოროტებად, თუმცა სინამდვილეში არც ერთის და არც მეორის არა გაეგება რა; ამიტომაცაა, რომ ერთმანეთში ურევს, ერთის მხრივ, სამართლიანობასა და მშვენიერებას, მეორეს მხრივ კი – აუცილებლობას. მაგრამ რაკი აუცილებლობის ბუნება არსებითად განსხვავდება სიკეთის ბუნებისაგან, ვერც

თვითონ ხედავს და ვერც სხვას უჩვენებს ამას. ახლა კი, ზევსის გულისათვის, მითხარი, განა უცნაურად არ გეჩვენება ამნაირი აღმზრდელი?

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, რა განსხვავებაა ამ კაცსა და იმას შორის, ვინც სიბრძნეს აიგივებს იმის ცოდნასთან, თუ რა მოსწონს ან რა არ მოსწონს ერთად თავშეყრილი ნაირგვარი ხალხის უმრავლესობას? – მხატვრობა იქნება ეს, მუსიკა თუ თვით პოლიტიკა? ვინც ბრბოს გასაცნობად წარუდგენს თავის პოემას, ხელოვნების ქმნილებას ან სახელმწიფო მოღვაწეობის გეგმას, ამ ბრბოს უფრო მეტად აქცევს თავის მბრძანებლად, ვიდრე აუცილებლობა მოითხოვს ამას; და მაშინ, «დიომედესის გასაჭირისა» არ იყოს, იძულებულია აღასრულოს ის, რაც აკმაყოფილებს ბრბოის გემოვნებას. მაგრამ სინამდვილეში კარგია ეს თუ ცუდი, ერთხელ მაინც თუ გსმენია, რომ ვინმეს თავისთვის მაინც ეცადა ამის გარკვევა და სასაცილო არ გამხდარიყო ხალხის თვალში?

– არა, – თქვა მან, – არცა მსმენია და ვერც ვერასდროს მოვისმენ.

– მაშ, ახლა, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ერთხელაც შეგახსენებ: შეიძლება თუ არა, ბრბომ შეიგნოს და აღიაროს, რომ არსებობს მშვენიერება თავისთავად, განსხვავებით მშვენიერი საგნებისაგან, და არსებობს ბევრი სხვა არსიც თავისთავად, განსხვავებით ცალკეულ საგანთა სიმრავლისაგან?

– არასდიდებით, – თქვა მან.

– მაშასადამე, შეუძლებელია ბრბოის ფილოსოფოსობა.

– დიახ, შეუძლებელია.

– ესე იგი, ვინც ფილოსოფოსობს, აუცილებლად იგმობა ბრბოის მიერ?

– აუცილებლად.

– და იმ კერძო პირთა მიერაც, ბრბოს რომ შერევიან და ცდილობენ თავი მოაწონონ მას?

– ცხადია.

– აქედან გამომდინარე, რა გესახება ფილოსოფიური ბუნების ხსნად? რანაირად შეუძლია მას კვლავ მისდიოს თავის საქმეს და, ამრიგად, მიაღწიოს თავის მიზანსაც? იმის მიხედვით განსაჯე, რაც ზემოთ ითქვა: აკი შევთანხმდით, რომ ამნაირი ბუნებისათვის ნიშნეულია შემდეგი თვისებები – ცოდნის ადვილად შეთვისების უნარი, სიმამაცე და დიდსულოვნება.

– დიახ.

– ამნაირი ადამიანი პირველი იქნება ტოლ-სწორთა შორის, მით უმეტეს, თუ ხორცითაც ისევე სრულქმნილია, როგორც სულით.

– რა თქმა უნდა.

– ახლობლები და თანამოქალაქენი, ალბათ, მოინდომებენ რაიმე საქმე მიანდონ, როცა მოიწიფება, არა?

– რასაკვირველია.

– მაშასადამე, ფეხქვეშ ჩაუვარდებიან მავედრებელნი და თაყვანს სცემენ, რათა თავი მოუქონონ მლიქვნელობით და, ამრიგად, წინასწარვე მოიპოვონ მისი კეთილგანწყობილება.

– ხშირად ასე ხდება.

– მერედა, რას იზამს ეს კაცი ამნაირ ხალხში, მით უმეტეს, თუ ბედმა დიდი სახელმწიფოს მოქალაქეობა, სიმდიდრე, კეთილშობილური წარმომავლობა, სილამაზე და წარმოსადეგობა არგუნა წილად? ხომ არ წარმოიდგენს, შლეგური იმედებით თავბრუდასხმული და გაყოყოჩებული, რომ მხოლოდ ის უნდა განაგებდეს

ბერძენთა და ბარბაროსთა საქმეებს? ცამდე ხომ არ ააღერინებს თავს ფუჭი პატივმოყვარეობა და ყურს აღარ ათხოვებს გონების ხმას?

– უეჭველად.

– ასე თავგასულს მშვიდად რომ მიახლოებოდა ვინმე და სიმართლე ეთქვა – ჭკუა გაკლია და ნამდვილად არ გაწყენდა მისი შეძენა, მაგრამ ამას დიდი ძალისხმევა სჭირდებაო, – როგორ გგონია, ამდენი უკეთური გრძნობით თავბრუდახვეულს გაუადვილდებოდა მისი სიტყვების მოსმენა?

– არამც და არამც.

– და მაინც, თუ ბუნებით თანდაყოლილი თვისებებისა და კეთილშობილების წყალობით, ეს სიტყვები სათანადო გამოძახილს ჰპოვებენ მის სულში, რასაც შეუძლია დაარწმუნოს და ფილოსოფიის მიმართ მიაქციოს იგი, შენი აზრით, როგორ მოიქცევიან ამ შემთხვევაში მისი მაამებელნი, რაკიღა დაინახავენ, რომ ხელიდან ეცლებათ თავიანთი მფარველი და ის წყალობაც, მისგან რომ მოელოდნენ? განა ყოველნაირად, სიტყვით თუ საქმით, არ ეცდებიან გადაარწმუნონ და, იმავდროულად, გააქარწყლონ მისი კეთილისმყოფელი მრჩევლის სიტყვებიც? მრჩევლისა, რომელსაც ან მალულად დაუგებენ მახეს, ან სამსჯავროში უჩივლებენ, რათა საჯაროდ აგებინონ პასუხი.

– ეს გარდუვალია.

– მერედა, რამდენად შესაძლებელია, რომ ამ კაცმა ფილოსოფიას მიუძღვნას თავი?

– ნაკლებად.

– ხომ ხედავ, რომ არ შევმცდარვართ, როცა ვთქვით, რომ ფილოსოფიური ბუნების განმსაზღვრელი თვისებები, როცა მათ სათანადო აღზრდა აკლიათ, თვითონვე ხდებიან იმის მიზეზი, რომ ადამიანი ღალატობს თავის მოწოდებას, და ამაში ყოველივე იმასაც მიუძღვის ბრალი, რაც სიკეთედ მიაჩნია ბრბოს: ვთქვათ, სიმდიდრეს და სხვა მისთანათ.

– არა, – თქვა მან, – არ შევმცდარვართ; პირიქით, მართალნი ვიყავით.

– აი, როგორ ხდება, ჩემო საოცარო, ყველაზე უკეთეს ბუნებათა გადაგვარება, რომელთა დანიშნულებაც უკეთილშობილურესი საქმის სამსახური იყო. ამნაირი ბუნების ხალხი, ჩვენი მტკიცებით, ცოტაა. სწორედ მათი წრიდან გამოსულნი აყენებენ ყველაზე დიდ ზიანს სახელმწიფოებსაც და კერძო პირთაც, და ამავე წრეს ეკუთვნიან ყველაზე დიდი კეთილისმყოფელნიც, როცა თავიანთ დანიშნულებას არ ღალატობენ. უმწეო ბუნება კი ვერასოდეს აღასრულებს რაიმე დიადს. ვერც კერძო პირისა და ვერც სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

– მართალს ბრძანებ, – თქვა მან.

– როცა ფილოსოფიას ზურგს აქცევენ ისინი, ვისაც ყველაზე მეტად მართებდა მისი სამსახური, ის ეულად და უნაყოფოდ რჩება, ზურგის მქცეველნი კი მათი საკუთარი ბუნებისა და ჭეშმარიტებისათვის უკადრისი ცხოვრებით ცხოვრობენ. დაობლებულსა და თვისტომთაგან განწირულ ფილოსოფიას კი უღირსნი ეპატრონებიან, სახელს რომ უტეხენ, პატივს ხდიან და, შენი თქმისა არ იყოს, ბღალავენ მას. ამ უღირსთა შორის ზოგი მართლაც რომ უბადრუკია, უმრავლესობა კი – ყველაზე უარესი ხვედრის ღირსი.

– ასე ამბობენ.

– და მართალსაც ამბობენ. როდესაც უბადრუკი კაცუნები დაინახავენ, რომ დიდებული სახელებითა და მოჩვენებითი ბრწყინვალეებით სავსე ადგილი გათავისუფლდა, პატიმრებისა არ იყოს, თავიანთი საპატიმროებიდან გამოქცეულნი

ტაძრებს რომ აფარებენ თავს, გახარებულნი ხელს იღებენ თავიანთ ხელობაზე და ფილოსოფიას აწყდებიან; მეტადრე ისინი, ვინც უფრო მარჯვედ და უნარიანად უძღვება თავის პატარა საქმეს. რადგანაც ფილოსოფია, თავისი მიგდებულობის მიუხედავად, მაინც უფრო დიდი პატივით სარგებლობს, ვიდრე რომელიც გნებავთ ხელობა თუ ხელოვნება, რაც ესოდენ დაუოკებელი ძალით იზიდავს მისკენ უღირსსა და უბადრუკ, მძიმე შრომით ხორციელად დამახინჯებულსა და სულიერად დასახიჩრებულ ხალხს; განა შეიძლება სხვაგვარად იყოს?

– არამც და არამც.

– კაცმა რომ თქვას, რითი განსხვავდებიან ისინი თავმოტვლეპილი და ჯუჯა მჭედლისაგან, ცოტა ხნის წინათ რომ გამოვიდა საპატიმროდან, იბანავა, ახალი მოსასხამი მოისხა, სასიძოსავით მოიკაზმა და თავისი გაღატაკებული ბატონის ქალიშვილზე აპირებს დაქორწინებას?

– არაფრით.

– რა უნდა დაიბადოს ამნაირი ქორწინებისგან, უკანონო და უვარგისი შთამომავლობის გარდა?

– სხვა არაფერი.

– მერედა, როცა უღირსი და უვიცი ხალხი ფილოსოფიას უშინაურდება და, თავისი უღირსობის მიუხედავად, ურთიერთობას ამყარებს მასთან, რა აზრები და შეხედულებები შეიძლება იშვან ამნაირი ურთიერთობისაგან? თუ მათ შესაფერის სახელს დავარქმევთ, – მხოლოდ სოფიზმები, და არა კანონიერი, არა ჭეშმარიტი სიბრძნე.

– უცილობლად.

– ძალიან ცოტაა იმ ხალხის რიცხვი, ადიმანტე, ვისაც შეუძლია ღირსეული ურთიერთობა დაამყაროს ფილოსოფიასთან: ან ის, ვინც საუცხოო აღზრდის წყალობით ბოლომდე შეინარჩუნა კეთილშობილება, და ვისაც მხსნელად მოევლინა თვით სამშობლოდან განდევნა, რის შედეგადაც თავი დააღწია უკეთური სინამდვილის დამღუპველ ზემოქმედებას და ზურგი არ აქცია ფილოსოფიას; ან ორიოდე დიდსულოვანი კაცი, რომელსაც ბედმა პატარა სახელმწიფოს მოქალაქეობა არგუნა წილად და დაუფარავი ზიზღით უყურებს ყოველგვარ თანამდებობას თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობას; ან თითო-ოროლა მაღალი ნიჭით ცხებული სული, ფილოსოფიის გულისთვის რომ ღალატობს თავის საკუთარ ხელობას, რომელიც სავსებით სამართლიანად მიაჩნია უფრო მდარედ; ზოგს შეიძლება ლაგამი ამოსდოს და განდგომის ნება არ მისცეს მისმავე საკუთარმა მდგომარეობამ, როგორც, მაგალითად, ჩვენს მეგობარ თეაგეს, რომელსაც ყველა მონაცემი ჰქონდა საიმისოდ, რომ განდგომოდა ფილოსოფიას, მაგრამ ჯანმრთელობაზე მუდმივი ზრუნვა აიძულებს უარი თქვას პოლიტიკაზე. აღარაფერს ვიტყვი ჩემს დემონიურ ნიშანზე, რადგანაც საეჭვოა წარსულში თუნდაც ერთი ამნაირი მაგალითი მოიძებნებოდეს.

ვინც ამ მცირერიცხოვან რჩეულთა წრეს ეკუთვნის და პირადად განუცდია ფილოსოფიით მონიჭებული სიამოვნება და ნეტარება, ვინც არაერთხელ ყოფილა ბრბოის სიშლეგის მოწმე, ვისაც არ ახსოვს თუნდაც ერთი პოლიტიკოსის გონივრული საქმე, ვინც იცის, რომ ერთ მოკავშირესაც ვერ ჰპოვებს, ვისთან ერთადაც შეიძლება ისე შეეწიოს სამართლიანობას, რომ ეს სიცოცხლის ფასად არ დაუჯდეს, – თავს ისე გრძნობს, როგორც ველური მხეცების ხროვაში, რომელთა სისხლიან თარეშში მონაწილეობას ხელაღებით უარყოფს, თუმცა იმისი ძალი კი არ შესწევს, რომ მარტოდმარტო აღუდგეს წინ მათ მძვინვარებას, რადგანაც იცის, რომ მანამდე წააგებს თავს, ვიდრე რამეში წაადგებოდეს სახელმწიფოს ან თავის მეგობრებს, ვერც თავს

არგებს რასმე და ვერც სხვებს დაიხსნის გაჭირვებისგან. ამაში ღრმად დარწმუნებული სიმშვიდეს არჩევს და აუმღვრევლად აკეთებს თავის საქმეს. როგორც მგზავრი თავსხმასა თუ გრიგალში დაეძებს თავშესაფარს, ისიც თავისი სიმყუდროვიდან აკვირდება უკანონობის თავაწყვეტილ პარპაშს და ბედნიერია იმის შეგნებით, რომ უსამართლობასა და უწმინდურობას გარიდებული მშვიდად გალევს ამ წუთისოფელს, მერე კი, უკეთესი ხვედრის მოლოდინში, უდრტვინველად გაეცლება მას.

– მაშასადამე, ისე როდი წავა აქედან, რომ დიდი საქმეები არ აღასრულოს.

– მაგრამ არა ყველაფერი, რისი უნარიც ჰქონდა, სახელმწიფო წყობილება მისი შესაფერისი რომ ყოფილიყო. სათანადო წყობილების პირობებში კი არა მარტო მეტს მიაღწევდა, არამედ იმასაც შეძლებდა, რომ პირად ბედნიერებასთან ერთად საზოგადო კეთილდღეობაც უზრუნველეყო.

ამრიგად, ფილოსოფიისადმი წაყენებული ბრალდებისა და ამ ბრალდების უსაფუძვლობის შესახებ, ჩემი აზრით, საკმარისად ვილაპარაკეთ; თუ, რა თქმა უნდა, შენი მხრივ არაფერს დაუმატებ ამას.

– არა, – თქვა მან, – არაფერი მაქვს სათქმელი. მაგრამ დღევანდელ სახელმწიფო წყობილებათა შორის მაინც რომელს მიიჩნევ ფილოსოფიისათვის შესაფერისად?

– ვერცერთს, – მივუგე მე, – ჩემი დრტვინვის მიზეზიც ისაა, რომ ვერცერთს ვერა ვცნობ ფილოსოფიური ბუნების ღირსად, მათი წყალობით რომ იბღალება და იერს იცვლის. როგორც ახალ ნიადაგზე გადანერგილი თესლი იცვლის ბუნებას და ადგილობრივ მცენარეთა თვისებებს იძენს, ფილოსოფიური ბუნებაც დღევანდელ პირობებში ვერ ახერხებს თავისი ძალმოსილების შენარჩუნებას და თითქმის მთლიანად იცვლის სახეს. მაგრამ თუ სახელმწიფო წყობილება, თავისი სრულყოფილებით, მის ბუნებას ესატყვისება, მაშინ კი ნახავთ, რომ ის ჭეშმარიტად ღვთაებრივია, ყოველივე დანარჩენს კი, ბუნებასაც და საქმიანობასაც, მხოლოდ ადამიანური თუ შეიძლება ეწოდოს. ამის შემდეგ შენ, ალბათ, მკითხავ, ეს რა სახელმწიფო წყობილებაო?

– ცდები, – თქვა მან, – ეგ კი არა, აი, რა მინდოდა მეკითხა: სხვა წყობილებას გულისხმობ თუ იმას, რომლის გეგმაც უკვე მოვხაზეთ ჩვენი სახელმწიფოს დაფუძნებისას?

– ამ უკანასკნელს. ხომ უკვე ითქვა, რომ სახელმწიფოში უნდა იყოს გარკვეული საწყისი, ისევე რომ განმარტავდა საქმის არსს, როგორც შენ, კანონმდებელი, კანონთა დადგენისას?

– დიახ, უკვე ითქვა.

– მაგრამ ჩვენ საკმარისად არ განგვიმარტავს ეს საკითხი, იმისი შიშით, რომ უთუოდ დაგვიპირისპირდებოდით და ერთხმად დაიწყებდით მტკიცებას, მაგის განმარტება დიდ დროს მოითხოვს და თანაც ძალიან ძნელი საქმეაო; მით უმეტეს, რომ არც დანარჩენია ადვილი.

– მაინც რა?

– რანაირად უნდა იყენებდეს სახელმწიფო ფილოსოფიას, რომ არ დაიღუპოს. ყოველივე დიადი ხომ არამყარია, ყოველივე მშვენიერი კი, როგორც მართებულად ამბობენ, – ძნელი.

– მაგრამ ბარემ ბოლომდე მიიყვანე შენი მტკიცება და ესეც განმარტე.

– თუ ვერ განვმარტე, ამის მიზეზი ის კი არ იქნება, რომ არ მინდა, არამედ ის, რომ არ შემიძლია. ახლავე დაგანახებ ჩემს გულმოდგინებას. მაშ, დაუკვირდი, რა

თამამად და წარბშეუხრელად ვიწყებ იმის მტკიცებას, რომ სახელმწიფო სულ სხვანაირად უნდა უდგებოდეს ამ საკითხს, ვიდრე ამჟამად.

– მაინც როგორ?

– დღესდღეობით, ბავშვობის ასაკიდან ახლად გამოსულ ყმაწვილკაცთა გარდა ახლოსაც არვინ ეკარება ფილოსოფიას, მაგრამ როგორც კი მიაღწევენ მის ყველაზე ძნელ ნაწილს, დაოჯახებულნი საქმეს ჰკიდებენ ხელს და საბოლოოდ ემშვიდობებიან მას, თუმცა დიდ ფილოსოფოსებად კი მოაქვთ თავი. ხოლო ფილოსოფიის ყველაზე ძნელ ნაწილს მე ვუწოდებ დიალექტიკას. შემდგომში ისიც დიდ საქმედ მიაჩნიათ, თუ კეთილ-ინებეს და ვისიმე რჩევით დაესწრნენ ფილოსოფიურ საუბრებს. რადგანაც სწამთ, რომ ეს საქმე ისე, სასხვათაშორისოდ უნდა აკეთო. სიბერეში კი, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, უფრო მალე ქრებიან, ვიდრე ჰერაკლიტეს მზე, რომელიც აღარასოდეს აღარ ანათებს.

– მაშ, როგორ უნდა მისდევდე ფილოსოფიას?

– სულ სხვანაირად. სიყრმესა და სიყმაწვილეში ბავშვებს მათი ასაკის გათვალისწინებით უნდა ასწავლიდნენ ფილოსოფიას და განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ მათი სხეულის მიმართ, ვიდრე ის იზრდება და ვითარდება, რათა ფილოსოფიის სამსახურად მოამზადონ ისინი. ხოლო მოწიფულობის ჟამს, როცა საბოლოოდ ყალიბდება სული, შესაბამისად უნდა გაართულონ და გაახანგრძლივონ მისი წვრთნა. და ბოლოს, როცა ადამიანს ძალა აკლდება, ასე რომ, აღარც სახელმწიფო მოღვაწეობის თავი აქვს და აღარც სამხედრო სამსახურისა, მაშინ კი თავის ნებაზე უნდა მიუშვან, რათა მხოლოდ ფილოსოფიას მიუძღვნას თავი, ვისაც სურს ნეტართა სიცოცხლით იცოცხლოს, სიკვდილის შემდეგ კი ღირსეული სიცოცხლის საკადრისი სანაცვლო მიეგოს იმ ქვეყნად.

– მართალი გითხრა, დიდი გზნებით კი ლაპარაკობ, სოკრატე. მაგრამ, მე თუ მკითხავ, შენი მსმენელები, თრასიმაქედან მოყოლებულნი, სულაც არ იზიარებენ შენს მგზნებარებას, რაკიღა ისინი ვერაფერშიც ვერ დაარწმუნე.

– თრასიმაქეს მაინც ნუ გადამკიდებ; ეს-ესაა დავმეგობრდით, თუმცა არც უწინ ვყოფილვართ მტრები. ყოველნაირად ვეცდები დავარწმუნო ისიც და დანარჩენებიც, ან რაღაცა მაინც ვარგო მომავალ ცხოვრებაში, როცა ხელახლა შობილნი კვლავ დადგებიან ამნაირ საკითხთა წინაშე.

– არც ისე შორეულ დროზე ლაპარაკობ.

– რა არის ეს დრო მარადისობასთან შედარებით? ხოლო ის, რომ ხალხს სხვისი სიტყვებისა არ სჯერა, სულაც არ არის საკვირველი. მას ხომ არასოდეს უნახავს ის, რაზედაც ახლა ვმსჯელობთ? მისთვის ეს მხოლოდ სიტყვებია, ერთმანეთს გარკვეული მიზნით მისადაგებულნი, და არა ერთიმეორისაგან თავისთავად გამომდინარე აზრები. იმნაირი კაცისთვის კი, სიტყვით თუ საქმით სიქველის განსახიერებად რომ გვევლინება და ბრძნულად მართავს ჩვენს მიერ დაარსებულ სახელმწიფოს, რაც მართალია, მართალია, ერთხელაც არ მოუკრავს თვალი, არც ერთისთვის და არც ბევრისთვის.

– არცერთხელ.

– ერთხელაც არ დასწრებია, ჩემო ნეტარო, იმ მომხიბლავსა და კეთილშობილურ საუბრებს, სადაც ასე გულმოდგინედ და ათასგვარი საშუალებით დაეძებენ ჭეშმარიტებას მხოლოდ და მხოლოდ შემეცნების მიზნით; საუბრებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა დიდების მაძიებელთა ყალბ ენამჭევრობასთან, სამსჯავროებში მოპირისპირე მხარეთა დავასა თუ კერძო პირთა ცილობასთან.

– მართლაც.

– აი, რატომაა, რომ თუმცა წინასწარ ვგრძნობდით და ვუფრთხოდით კიდეც ამას, – ჭეშმარიტების კარნახით იძულებულნი ვამტკიცებდით, რომ ვერც სახელმწიფო და ვერც კერძო პირი ვერასოდეს მიაღწევს სრულყოფილებას, თუკი აუცილებლობა არ აიძულებს ფილოსოფოსთა ამ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელთაც უკეთურებად თუ არა, უმაქნისებად მაინც თვლიან, თავს იდოს სახელმწიფოზე ზრუნვა, თვით სახელმწიფოს კი მოუწევს დაემორჩილოს მათ მმართველობას; ან თუ ღვთაებრივი ზეშთაგონება ფილოსოფიის მიმართ გულმხურვალე სიყვარულს არ ჩაუნერგავს დღევანდელ მეფეებს და მბრძანებლებს, ან მათ მემკვიდრეებს. იმის მტკიცება, რომ ამ ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთი ან ორივე განუხორციელებელია, მე გაუმართლებლად მიმაჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში სავსებით სამართლიანად აგვიგდებდნენ საცინლად – საქმე გამოგლევიათ და წყალს ნაყავთო; ასეა, არა?

– დიახ.

– თუკი გარდასულ საუკუნეთა განმავლობაში ოდესმე მაინც მომხდარა, რომ სახელოვან ფილოსოფოსებს აუცილებლობის კარნახით თავს ედვათ სახელმწიფოს მმართველობა, ან ახლა ხდება ჩვენი თვალისათვის მიუწვდომელ ამა თუ იმ ბარბაროსულ ქვეყანაში, ანდა მომავალში მოხდება, ჩვენ მზად ვართ დაჟინებით ვამტკიცოთ, რომ ამნაირი სახელმწიფო არსებობდა, არსებობს და კვლავაც იარსებებს, თუკი მის მბრძანებლად ფილოსოფიის მუზა გვევლინება. ამნაირი სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარება დიახაც შესაძლებელია, ასე რომ, ჩვენ შეუძლებელზე როდი ვლაპარაკობთ, თუმცა იმას კი ვაღიარებთ, რომ ეს ძალიან ძნელი საქმეა.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა მან.

– მაშინ, ჩემო ნეტარო, ნურც ასე მკაცრად დაადანაშაულებ უმრავლესობას. ის ნამდვილად შეიცვლის აზრს, თუკი მისი ლანძღვის ნაცვლად ეცდები მშვიდად უარყო ფილოსოფიისათვის წაყენებული ყველა ბრალდება და უჩვენო, ვინ არიან ფილოსოფოსები, როგორია მათი ბუნება და საქმიანობა, რათა ბრბომ არ იფიქროს, თითქოს იმათზე ელაპარაკები, ვისაც თვითონვე მიიჩნევს ფილოსოფოსებად. ამ თვალით რომ დაანახებ საქმის არსს, თავად დარწმუნდები, რომ მას უკვე განსხვავებული აზრი შეექმნა და სულ სხვანაირად ლაპარაკობს მათზე. იქნებ გგონია, რომ ბრბოს შეიძლება აღიზიანებდეს ის, ვინც თვითონვე არ ღიზიანდება, ანდა შურით უყურებდეს მას, ვინც თვითონ არ არის მოშურნე? დაგასწრებ და ბარემ ახლავე გეტყვი, რომ ამნაირ უჟმურს იშვიათად თუ შეხვდები ხალხში, უმრავლესობისათვის კი უცხოა ეს უხიაგობა.

– სავსებით ვიზიარებ შენს აზრს.

– იმასაც თუ იზიარებ, რომ ფილოსოფიისადმი უმრავლესობის უარყოფით დამოკიდებულებაში ბრალი მიუძღვის გარეშე ხალხს, ღრიანცელით რომ იჭრება იქ, სადაც აშკარად არ არის მისი ადგილი, ლანძღვა-გინებით იკლებს და შეურაცხყოფას აყენებს არა მარტო სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც, ერთი სიტყვით, ისე იქცევა, ყველაზე ნაკლებ რომ შეჰფერის ფილოსოფიას.

– აქაც გეთანხმები.

– მართლაცდა, ადიმანტე, ვისაც თავის მოწოდებად ჭეშმარიტების ჭვრეტა დაუსახავს, საიმისოდ სადა სცალია, რომ, ზეცას კი არა, თვალდახრილი უმზერდეს კაცთა ფუჭ ფუსფუსს და მათი უკეთურების წინააღმდეგ აღძრული მათივე შუღლითა და შურით ივსებოდეს? არა, წარუვალ არსთა მწყობრი წესრიგის და უცვლელობის, სამყაროული ჰარმონიისა და გონების მჭვრეტი სწორედ მათ ბაძავს და,

შეძლებისდაგვარად, მათვე ემსგავსება. ან იქნებ გგონია რომ შეიძლება არ ბაძავდე იმას, რასაც აღტაცების გარეშე ვერ უახლოვდები?

– არა, ეს შეუძლებელია, – თქვა მან.

– ამ ღვთაებრივად მოწესრიგებულ სამყაროს რომ უახლოვდება, ადამიანის სულსაც ეუფლება ეს ღვთაებრიობა, რამდენადაც მისი ტვირთვა შეუძლია მოკვდავ ბუნებას. გმობით კი შეიძლება ყველაფერი ჰგმო ამ ქვეყნად.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ აუცილებლობა აიძულებს კაცთა კერძო თუ საზოგადო ყოფაში დანერგოს ის, რასაც ზეციურ სამყაროში ჭვრეტს, როგორ გგონია, განა ცუდი დამნერგავი იქნება ზომიერების, სამართლიანობისა თუ სხვა სამოქალაქო სიქველისა?

– არამც და არამც.

– მაგრამ თუ ხალხი შეიგნებს, რომ სიმართლეს ვეუბნებით ფილოსოფოსებზე, განა კვლავ აღშფოთებული აღიძვრის მათ წინააღმდეგ და უნდობლად მოეკიდება ჩვენს სიტყვებს, რომელთა თანახმადაც სახელმწიფო ვერასოდეს ვერ მიაღწევს კეთილდღეობას, თუკი ჭეშმარიტ ხელოვანთა მიერ ღვთაებრივი ნიმუშის მიხედვით შედგენილი გეგმა არ უდევს საფუძვლად?

– თუ შეიგნო, აღარც აღშფოთდება; მაგრამ როგორ შეადგენენ ამ გეგმას?

– როგორ და, ფიცარივით აიღებენ სახელმწიფოს თუ ხალხის ზნეობას და, უწინარეს ყოვლისა, გულმოდგინედ გაწმენდენ, რაც სულაც არ არის ადვილი. როგორც თავად მოგეხსენება, სხვებისგან იმითაც განსხვავდებიან, რომ არც სახელმწიფოს გადაკეთებას მიჰყოფენ ხელს, არც კერძო პირისას და არც კანონებს შექმნიან სახელმწიფოსათვის, ვიდრე გაწმენდილს არ ჩაიბარებენ, ან თვითონვე არ გაწმენდენ მას.

– მართალს ბრძანებ.

– და მხოლოდ ამის შემდეგ მოხაზავენ სახელმწიფო წყობილების გეგმას.

– რა თქმა უნდა.

– შემდეგ კი, ამ ნახაზის დასრულებისას, უპირატესად ორ რამეს მიაქცევენ ყურადღებას: ერთის მხრივ, იმას, რაც თავისი არსით სამართლიანია, მშვენიერი და გონიერი, მეორეს მხრივ კი – იმას, რაც ასეთივეა ადამიანებში. ხოლო შემდეგ ამ თვისებათა შერწყმა-შერევით – ადამიანის პირველსახეს, იმის მიხედვით, რასაც ჰომეროსი ადამიანებში ღვთაებრივსა და ღვთისდარს უწოდებს.

– ეს იქნებოდა უმშვენიერესი სურათი.

– კეთილი და პატიოსანი, – ვუთხარი მე, – ნუთუ ახლაც ვერ დავარწმუნეთ ის ხალხი, მწყობრად დარაზმული რომ მოიწევდა ჩვენზე, და ვერ დავანახეთ, რომ ამნაირი სახელმწიფოს მხატვარი სწორედ ის კაცია, რომელსაც წეღან ვაქებდით, ჩვენი მოწინააღმდეგენი კი გააფთრებით გვიტევდნენ, ვის ანდობთ სახელმწიფოს მმართველობასო? ეს რომ მოესმინათ, ნუთუ ოდნავ მაინც არ დაცხრებოდნენ?

– რა თქმა უნდა, თუ ჭკუის ნატამალი მაინც შერჩათ.

– ან რას იტყოდნენ საპასუხოდ? იქნებ იმას, ფილოსოფოსები გატაცებით არ მიელტვიან არსსა და ჭეშმარიტებასო?

– მაგრამ ეს ხომ სისულელე იქნებოდა.

– ან იქნებ იმას, რომ ჩვენს მიერ დახატული ფილოსოფიური ბუნება არ ენათესავება სიკეთეს?

– არც ეს იქნებოდა ნაკლები სისულელე.

– კი მაგრამ, ეს თუ არა, სხვა რა იქნებოდა ფილოსოფიურ ბუნებაზე უფრო ბრძენი და უფრო ქველი, ამ უკანასკნელს სათანადო გამოყენება რომ ეპოვა? იქნებ ჩვენს მიერ უარყოფილი ესა თუ ის ბუნება?

– რა თქმა უნდა, არა.

– კვლავაც გაცოფდებოდნენ, თუ ვიტყოდით, რომ არც სახელმწიფოს და არც მის მოქალაქეებს არ დაადგებათ საშველი, ვიდრე სახელმწიფოს ფილოსოფოსთა მოდგმა არ ჩაუდგება სათავეში, ან იმნაირი წყობილება არ დამყარდება, ჩვენ რომ დავხატეთ?

– ალბათ ეს ნაკლებ გააცოფებდათ.

– მოდი, საერთოდ მოვეშვათ ამ «ნაკლებს» და პირდაპირ ვთქვათ, რომ ისინი სავსებით დაცხრებოდნენ და დაწყნარდებოდნენ, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სირცხვილის გამო მაინც.

– ბატონი ბრძანდები.

– მაშ, შევთანხმდეთ, რომ ამ მხრივ უკვე დავარწმუნეთ ისინი; მაგრამ ვინ შემოგვედავება იმაში, რომ მეფეებისა თუ მბრძანებლების მემკვიდრეთა შორისაც შეიძლება გამოერიონ ბუნებით ფილოსოფოსნი?

– ვერავინ.

– და რაკი შეიძლება გამოერიონ, ვითომ რა აუცილებელია, რომ ხრწნილებას დაექვემდებარონ ისინი? თავისთავადობის შენარჩუნება რომ ძნელია მათთვის, ამას თვითონაც ვაღიარებთ, მაგრამ ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ დროთა განმავლობაში ერთიც ვერ იხსნის თავს?

– ვერავინაც ვერ გაბედავს მაგის მტკიცებას.

– მაგრამ ერთი ამნაირი კაციც კი, რომელსაც მთელი სახელმწიფო ემორჩილება, სავსებით საკმარისია, რათა აღასრულოს ყოველივე ის, რაც დღეს შეუძლებელი ეჩვენებათ.

– დიახ, სავსებით საკმარისია.

– რადგან თუ ეს მბრძანებელი იმნაირ კანონებსა და ადათ-წესებს დანერგავს, ჩვენ რომ აღვწერეთ, გამორიცხული არ არის, რომ მოქალაქენი სიამოვნებით აღასრულებენ მათ.

– სულაც არ არის გამორიცხული.

– მაგრამ ის კი გამორიცხულია და შეუძლებელი, რომ იმას, რაც ჩვენ მოვიწონეთ, სხვებიც იწონებდნენ?

– მე თუ მკითხავ, არა.

– ჩვენ კი, მე მგონია, საკმაოდ დამაჯერებლად დავამტკიცეთ, რომ ჩვენი გეგმა ყველაზე უმჯობესია, თუკი შესაძლებელია მისი ხორცშესხმა.

– დიახ, საკმაოდ დამაჯერებლად.

– მაშ, ახლა, როგორც ჩანს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი საკანონმდებლო გეგმა ყველაზე უკეთესი უნდა იყოს, თუკი შესაძლებელია ხორცი შევასხათ მას, და, მართალია, ეს ძალზე ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი.

– რა თქმა უნდა, შეგვიძლია.

– რაკი ეს საკითხი, ასე თუ ისე, უკვე მოგვარდა, ახლა სხვასაც უნდა მივხედოთ: რა გზით, რომელი მეცნიერების მეშვეობით ან რანაირი წვრთნით უნდა აღვზარდოთ და ჩამოვაყალიბოთ სახელმწიფოს მხსნელნი, ან რა ასაკში უნდა მივანდოთ ესა თუ ის საქმე.

– დიახ, ესეც მისახედია.

– ჩემი სიმარჯვე არაფერშიც არ გამომადგა, – ვთქვი მე, – რაკიღა დუმილით ავუარე გვერდი ცოლების შერთვის, ბავშვების კეთებისა თუ სახელმწიფო

თანამდებობებზე ხალხის გამწესების საკითხს, რადგანაც ვიცოდი, რომ მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს, მაგრამ ახლა კი ირკვევა, რომ სიმართლის თქმა აუცილებელია. მართალია, ცოლებისა და შვილების საკითხი უკვე გადავწყვიტეთ, მაგრამ რაც შეეხება სახელმწიფოს მმართველთა საკითხს, ამის გარკვევა თავიდან უნდა დავიწყოთ. თუ გახსოვს, ჩვენ ვამტკიცებდით, რომ მათ, ლხინშიაც და ჭირშიაც, თავდავიწყებით უნდა უყვარდეთ სამშობლო, ასე რომ, ვერც განსაცდელი, ვერც გასაჭირი თუ ბედის უკუღმა ტრიალი ვერ უნდა ახშობდეს ამ გრძნობას მათში. ვინც ამ მხრივ სისუსტეს გამოიჩენს, ხელაღებით უნდა უარვყოთ, ხოლო ვინც ისე წმინდად გამოვა ამ გამოცდიდან, როგორც ოქრო – ცეცხლიდან, თანამდებობაზე გავამწესოთ და სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც სათანადო პატივი არ მოვაკლოთ. აი, რა ითქვა დაახლოებით ამ საკითხის განხილვისას, მაგრამ ნართაულად და მიკიბულ-მოკიბულად, რადგანაც გვეშინოდა იმ დავიდარაბისა, რის წინაშეც ამჟამად ვდგავართ.

– სრული სიმართლეა, – თქვა მან, – მშვენივრად მახსოვს.

– მაშინ, ჩემო მეგობარო, ვერ გავბედე იმისი თქმა, რასაც ამჟამად ვბედავ. მაშ, გავკადნიერდეთ და პირდაპირ განვაცხადოთ, რომ სახელმწიფოს ყველაზე ღირსეულ მცველებად ფილოსოფოსებს უნდა ვამწესებდეთ.

– სათქმელი უნდა ითქვას.

– მაგრამ იმასაც დაუფიქრდი, რა ცოტანი შეგრჩებიან ხელთ: რადგანაც იმ თვისებებს, რაც, ჩვენი აზრით, ნიშნეული უნდა იყოს მათი ბუნებისათვის, ერთად თავმოყრილს იშვიათად თუ ჰპოვებ ვისიმე სულში; ისინი, უმეტესწილად, მიმოფანტულნი არიან და ცალ-ცალკე თუ იჩენენ თავს.

– რას გულისხმობ?

– ცოდნის ადვილად შეთვისების უნარი, მეხსიერება, მახვილგონიერება, გამჭრიახობა და სხვა მისთანანი, როგორც თავად მოგეხსენება, ერთად როდი იყრიან თავს; ჭაბუკურად ფიცხნი და მაღალნიჭიერნი კი ნაკლებად ეგუებიან მოწესრიგებულ, მშვიდსა და უშფოთველ ყოფას. პირიქით, თავიანთი დაუდგრომლობის გამო გამუდმებით ბორგავენ, წრიალებენ, აქეთ-იქით აწყდებიან და ხელიდან ეცლებათ ყოველივე ურყევი და მყარი.

– მართალს ბრძანებ, – თქვა მან.

– მეორეს მხრივ, გაწონასწორებული, ურყევი და მტკიცე ხასიათის ხალხი უფრო სანდოა, ბრძოლის ველზე საიმედო და საფრთხის წინაშე წარბშეუხრელი. მაგრამ იგივე თვისებები სწავლაში სხვანაირად ავლენენ თავს; უგერგილონი, ზანტნი და ზარმაცნი ისე გახევებულან, თითქოს ტვინის განძრევა უჭირთო, მთქნარება უტყდებათ და ძილი ერევათ, როცა სწავლაზე მიდგება საქმე.

– ასეა.

– ჩვენ კი ვამბობდით, რომ მცველებში ერთმანეთს უნდა ერწყმოდეს გონების სიმკვირცხლე და ხასიათის სიმტკიცე, რის გარეშეც არც ასე გულმოდგინედ უნდა გვეწვრთნა და აღგვეზარდა, არც ძალაუფლება მიგვენდო და არც პატივი მიგვეგო მათთვის.

– მერედა, განა სწორნი არ ვიქნებოდით?

– როგორ გგონია, ამ საპირისპირო თვისებათა ურთიერთშერწყმა იშვიათია?

– რა თქმა უნდა.

– ამიტომ, როგორც ზემოთ ითქვა, მარტო შრომაში კი არა, ლხინშიც და ჭირშიც უნდა გამოვცადოთ ისინი. აქვე იმასაც დავძენ, რაც მაშინ გამომრჩა: აუცილებლად უნდა იწვრთნიდნენ თავს მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რათა საშუალება

გვქონდეს დავუკვირდეთ, მიაღწევენ ცოდნის მწვერვალს თუ, როგორც სხვა ასპარეზობისას, შიშით დაიხევენ უკან.

– რასაკვირველია, უნდა დავუკვირდეთ. მაგრამ რას უწოდებ შენ ცოდნის მწვერვალს?

– ალბათ გემახსოვრება: მას შემდეგ, რაც განვიხილეთ სულის სამი სხვადასხვა სახე, ჩვენ ვისარგებლეთ ამ განსხვავებით, რათა აგვეხსნა, რა არის სამართლიანობა, გონიერება, სიმამაცე და სიბრძნე.

– ეგ რომ არ მახსოვდეს, არც იმის მოსმენის ღირსი ვიქნებოდი, რაც აწი უნდა ითქვას.

– ისიც თუ გახსოვს, რაც მანამდე ვთქვით?

– რა?

– რა და, ის რომ ამ სიქველეთა უკეთ შესაცნობად სხვა – უფრო, გრძელი და შემოვლითი გზა უნდა აგვერჩია, რომელიც უფრო ნათლად წარმოგვიჩენდა მათ; თუმცა ზემოთქმულიდანაც შეიძლებოდა სათანადო დასკვნები გამოგვეტანა. თქვენ თქვით, რომ ეს საკმარისი იყო, მაგრამ შემდგომ მსჯელობას, ჩემი აზრით, სიზუსტე აკლდა. და მაინც, თუ გაკმაყოფილებთ, თქვენ თვითონ უნდა მითხრათ.

– პირადად მე სავსებით მაკმაყოფილებს, და ამავე აზრისა არიან სხვებიც.

– კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, თუ ეგზომ მნიშვნელოვან საგანთა საზომი ოდნავ მაინც განსხვავდება სინამდვილისგან, ჩვენი მტკიცება უკვე აღარ იქნება საკმარისად დასაბუთებული; რადგან ის, რაც არასრულყოფილია, არაფრის საზომად არ გამოდგება. თუმცა ზოგს ესეც დამაკმაყოფილებლად ეჩვენება, შემდგომი კვლევა-ძიება კი – ზედმეტად.

– დიახ, – თქვა მან, – ზოგი მართლაც ასე ფიქრობს თავისი დაუდევრობის გამო.

– მაგრამ ასე ყველაზე ნაკლებ უნდა ფიქრობდეს სახელმწიფოსა და კანონების მცველი.

– რა თქმა უნდა.

– ასე რომ, მან უფრო გრძელი გზა უნდა აირჩიოს, ჩემო მეგობარო, და სულის წვრთნას არანაკლები ძალა მოახმაროს, ვიდრე სხეულისას; თორემ, როგორც უკვე ითქვა, სრულყოფილად ვერასოდეს დაეუფლება იმას, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია.

– კი მაგრამ, განა ეს ყველაზე არსებითი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამართლიანობა და ყველა სხვა სიქველე, ზემოთ რომ მიმოვიხილეთ?

– დიახ, არსებობს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, და ეს არა მარტო ზოგადად უნდა მიმოვიხილოთ, როგორც ვიქცევით ახლა, არამედ არაფერი არ უნდა გამოგვრჩეს, რათა მთელი სურათი უფრო სრულად წარმოვიდგინოთ. განა სასაცილო არ არის, რომ ამოდენა ძალას ალევენ გაცილებით უფრო უმნიშვნელო საგანს, რათა ზედმიწევნით სრულყონ და დახვეწონ იგი, ყველაზე მნიშვნელოვანს კი სულაც არ სცნობენ იმის ღირსად, რომ თავდაუზოგავად ეცადონ მისი სიდიადის წარმოჩენას?

– რა თქმა უნდა, საუცხოო აზრია. მაგრამ ნუთუ გგონია, რომ აღარ გვკითხავენ, მაინც რა არის, შენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს უმნიშვნელოვანესი ცოდნა, ან რას ეხება იგი?

– სულაც არა, – მივუგე მე, – თუ გნებავს, თვითონაც მკითხე. თუმცა ეს არაერთხელ გსმენია ჩემგან, მაგრამ, ეტყობა, აღარ გახსოვს, ან გინდა გული გამიწყალო მაგ შენი გამოხდომებით; ალბათ, ეს უფრო სავარაუდოა, რადგან ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გაგიგონია, რომ სიკეთის იდეაა ყველაზე მნიშვნელოვანი. სამართლიანობაცა და ყველა სხვა სიქველეც სწორედ მისი წყალობითაა სასარგებლო

და ვარგისი. შენ, ალბათ, ისიც გეცოდინებოდა, რასაც დავძენდი: სიკეთის იდეას კარგად არ ვიცნობთ-მეთქი. და რაკი არ ვიცნობთ, ამიტომ ყოველივე დანარჩენი კარგადაც რომ ვიცოდეთ, მერწმუნე, ეს ცოდნა არას გვარგია. ეს იმას ჰგავს, რაიმე ნივთს იძენდე და არ კი იცოდე, რაში გამოგადგება იგი. თუ, შენი აზრით, საკმარისია, რაც შეიძლება მეტი შეიძინო, მაგრამ წარმოდგენაც არ გქონდეს, სასიკეთოა თუ არა ეს შენთვის, ან იქნებ ყველაფერი უნდა იცოდე, გარდა იმისა, რაც მშვენიერია და კეთილი?

– არა, ვფიცავ ზევსს, – თქვა მან.

– მაგრამ ის ხომ მაინც იცი, რომ სიკეთე, ბრბოის აზრით, განცხრომაა, უფრო დახვეწილთა აზრით კი – ცოდნა.

– რა თქმა უნდა.

– და რომ ვინც ამ აზრისაა, ჩემო ძვირფასო, ვერც კი გვეტყვის, რას ნიშნავს ეს ცოდნა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, იძულებულია განგვიმარტოს, რომ აქ სიკეთის ცოდნა იგულისხმება.

– ღმერთმანი, სასაცილოა.

– რა თქმა უნდა, სასაცილოა, რაკიღა გვსაყვედურობენ, სიკეთეზე წარმოდგენაც არა გაქვთო, შემდეგ კი ისე გველაპარაკებიან, თითქოს დიდი მცოდნენი ვიყოთ. ისე ხშირად ატრიალებენ ამ «სიკეთის ცოდნას», თითქოს «სიკეთის» წარმოთქმისთანავე უნდა ვხვდებოდეთ, რა არის ეს.

– სწორია, – თქვა მან.

– მაგრამ განა ისინი, ვისი აზრითაც სიკეთე განცხრომაა, ნაკლებ ცდებიან? განა ისინიც იძულებულნი არ არიან აღიარონ, რომ არსებობს უკეთური განცხრომაც?

– უკეთურზე უკეთურიც.

– მაშასადამე, თვითონვე უნდა აღიარონ, რომ ერთი და იგივე რამ შეიძლება კეთილიც იყოს და უკეთურიც; ასეა, არა?

– უცილობლად.

– მერედა, განა ასევე ცხადი არ არის, რომ უმრავლესობა იმას მიიჩნევს მშვენიერად და სამართლიანად, რაც მშვენიერი და სამართლიანი ჰგონია, თუნდაც სინამდვილეში არც ერთი იყოს და არც მეორე, და ამის მიხედვით მოქმედებს, იძენს და ფიქრობს; ხოლო რაც შეეხება სიკეთეს, აქ არავინ არ სჯერდება მოჩვენებითის ფლობას, არამედ ყველა ჭეშმარიტ სიკეთეს მიელტვის და არაფრად აგდებს მოჩვენებითს.

– ასეა, – თქვა მან.

– დიახ, სიკეთეს მიელტვის ყოველი სული და მისი გულისთვისვე აკეთებს ყველაფერს; გუმანით გრძნობს, რომ არსებობს რაღაც ამგვარი, თუმცა დანამდვილებით კი ვერ მიმხვდარა, რა არის ეს. ასე რომ, მტკიცედ ვერ ეყრდნობა თავის ვარაუდს, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში ემყარება თავის ღრმა რწმენას. ამიტომაც ხელი აღარ მიუწვდება ამ დანარჩენზეც და ვეღარ იღებს მისგან იმას, რაც შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო მისთვის. მერედა, ნუთუ ამ ფასდაუდებელ სიკეთეს ასევე ბუნდოვნად უნდა ჭვრეტდნენ სახელმწიფოს უკეთესი მოქალაქენი, რომელთაც მზადა ვართ ყველაფერი მივანდოთ?

– არამც და არამც.

– მე თუ მკითხავ, შეუძლებელია სამართლიანობისა და მშვენიერების ღირსეული მცველი იყოს ის, ვინც არ იცის, რა აკავშირებს ან ერთსა და ან მეორეს

სიკეთესთან. დიახ, მე ამთავითვე ვგრძნობ, რომ ამ კავშირის გარეშე ვერავინ ვერ შეიცნობს მათ.

– და არც გატყუებს ეგ შენი გრძნობა.

– ასე რომ, ჩვენი სახელმწიფო წყობილება სრულყოფილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მცველად მივუჩენთ კაცს, რომელმაც იცის ყოველივე ეს.

– უცილობლად. მაგრამ შენ თვითონ, სოკრატე, რად მიგაჩნია სიკეთე – ცოდნად, განცხრომად თუ რაღაც მესამედ?

– რა კაცი ხარ! კაი ხანია ვიცოდი და გატყობდი კიდეც, რომ ნამდვილად არ დასჯერდებოდი სხვების აზრს ამის თაობაზე.

– ეს იმიტომ, სოკრატე, – თქვა მან, – რომ სამართლიანად არ მეჩვენება, როცა მხოლოდ სხვების აზრს გადმოგვცემენ და არა საკუთარს, თუმცა რა ხანია ჩაჰკირკიტებდნენ ამ საკითხს.

– როგორ? მაშ, შენ სამართლიანი გგონია, რომ კაცი ლაპარაკობდეს იმაზე, რაც არ იცის და მცოდნედ ასაღებდეს თავს?

– არა, მცოდნედ კი არა, მაგრამ კეთილ ინებოს და თავისი საკუთარი აზრები გაგვიზიაროს.

– კი მაგრამ, ნუთუ არ შეგინიშნავს, რა უბადრუკია ყველა აზრი, რომელიც ცოდნას არ ემყარება? როგორ გგონია, ვითომ რა განასხვავებს უვიცის თუნდაც მართალ აზრს უსინათლოსგან, რომელიც თავისი თვალდავსილობის მიუხედავად მაინც სწორად მიიკვლევს გზას?

– არაფერი.

– მერედა, შენ გირჩევნია აკვირდებოდე უსახურს, უსინათლოსა და უგვანს, თუმცაღა შეგიძლია სხვების მეოხებით ჭვრეტდე მშვენიერსა და ნათელს?

– თუ ღმერთი გწამს, სოკრატე, – წამოიძახა გლავკონმა, – თავს ნუ არიდებ სათქმელს, თითქოს უკვე დაგემთავრებინოს სიტყვა. ჩვენ იმასაც დავჯერდებით, თუ ისე განგვიმარტავ სიკეთის ბუნებას, როგორც სამართლიანობის, გონიერებისა და სხვა სიქველეთა ბუნება განგვიმარტე.

– განა მე კი არ დავჯერდებოდი, ჩემო ძვირფასო? მაგრამ მეშინია, ვაითუ ჩავფლავდე და ჩემი უგერგილობის გამო თქვენი დასაცინი შევიქნე. მოდი, ასე ვქნათ, ჩემო ნეტარნო, ჯერჯერობით თავი ვანებოთ სიკეთის ჭეშმარიტ ბუნებას, რადგან ის, ჩემი წარმოდგენით, მეტისმეტად მაღალია საიმისოდ, რომ ჩვენი ძალისხმევით მივწვდეთ. სამაგიეროდ, თუ გნებავთ, ორიოდე სიტყვას გეტყვით სიკეთის ნაშიერზე, ზედმიწევნით რომ ჩამოჰგავს მშობელს, თუ არა და, მოვეშვათ ამას.

– არა, – თქვა მან, – შვილზე მაინც გველაპარაკე, მშობლის ამბავს კი მერე გათქმევინებთ.

– ნეტავი მთლიანად დამაბრუნებინა თქვენი ვალი და არა მარტო ვახში, როგორც ამჟამად. მაშ, ჯერჯერობით დასჯერდით ამ ვახშს, ჭეშმარიტი სიკეთის ნაშიერს. მაგრამ ფრთხილად იყავით, რათა, ჩემდა უნებურად, ანგარიშში არ მოგატყუოთ.

– რამდენადაც შეგვიძლია, ფრთხილად ვიქნებით; ოღონდ განაგრძე.

– ნება თქვენია, მაგრამ ჯერ იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რომ შეგახსენოთ, რაც ზემოთ ითქვა და სხვაგანაც არაერთხელ გვიხსენებია.

– მაინც რა?

– რამდენი რამაა მშვენიერი, კეთილი და სხვა მისთანანი, რომელთა არსებობასაც ვამტკიცებთ და განვსაზღვრავთ ენის მეშვეობით.

– დიახ, ასეა.

– იმასაც ვამბობთ, რომ არსებობს მშვენიერი თავისთავად, კეთილი თავისთავად, და ასე შემდეგ, ზემოთ ჩამოთვლილ საგანთა სიმრავლესთან მიმართებით; ხოლო ამ საგანთაგან თვითეულს მისი საკუთარი იდეა შეესაბამება, რომელსაც ერთადერთად და ამ საგნის არსად ვსახავთ.

– მართალს ბრძანებ.

– და ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ყველა ეს საგანი მზერით აღიქმება, მაგრამ არა აზრით, იდეები კი, პირიქით, აზრით აღიქმებიან და არა მზერით.

– დიახ.

– ესე იგი, რისი მეშვეობით აღვიქვამთ ხილულ საგნებს?

– მზერის მეშვეობით.

– ისევე, როგორც სმენის მეშვეობით აღვიქვამთ ყველაფერს, რაც გვესმის, და დანარჩენი გრძნობებით შევიგრძნობთ ყველაფერს, რასაც შევიგრძნობთ?

– რა თქმა უნდა.

– თუ დაჰკვირვებიხარ, რაოდენ ძვირფასია იმის უნარი, რომ ხედავდე ან გხედავდნენ? უნარს, რომელიც დემიურგოსმა გვიბოძა ჩვენ.

– მართალი გითხრა, არც ისე გულმოდგინედ.

– მაშ, ამ თვალსაზრისით დაუკვირდი: სმენას რომ ესმოდეს, ბგერა კი ისმოდეს, თუ არის საჭირო რაღაც მესამე, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმე გვესმოდეს ან ისმოდეს?

– არავითარი მესამე არა გვჭირდება.

– ჩემი აზრით, იგივე ითქმის ზოგი სხვა, მაგრამ არა ყველა შეგრძნების მიმართ. ან იქნებ არ მეთანხმები?

– რას ჰქვია არ გეთანხმები?

– ხომ არ შეგიმჩნევია, სჭირდება თუ არა რაღაც მესამე მზერას, ან ყოველივე იმას, რაც შეიძლება მზერით აღქმულ იქნეს?

– როგორ?

– რაგინდ გამჭრიახი თვალიც არ უნდა ჰქონდეს კაცს, რაგინდ მკაფიოდაც არ უნდა აღიქვამდეს ფერებს, ალბათ დამეთანხმები, რომ ვერაფერსაც ვერ დაინახავს ამ რაღაც მესამის გარეშე, რომელიც თითქოს საგანგებოდ მზერისათვის არის შექმნილი.

– რას გულისხმობ?

– რასაც სინათლეს უწოდებ შენ.

– მართალს ბრძანებ.

– ასე რომ, უმნიშვნელო საწყისი როდი აერთებს მზერას და იმას, რაც შეიძლება მზერით აღქმულ იქნეს. ისინი ყველა სხვა კავშირზე უფრო ფასეული კავშირით ერწყმიან ერთმანეთს, რადგან მართლაც რომ ფასდაუდებელია სინათლე.

– რა თქმა უნდა.

– მერედა, ზეციურ ღმერთთაგან რომელს მიიჩნევ ამ კავშირის უფლად, ან ვისი ნათელი ანიჭებს მზერას იმის უნარს, რომ ხედავდეს, საგნებს კი – იმისას, რომ მზერით აღქმულ იქნენ?

– იმავე ღმერთს, ვისაც გულისხმობ შენც და დანარჩენი მოკვდავნიც. რადგანაც ხომ ცხადია, რომ მზეზე მეკითხები.

– მერედა, განა მზერა ბუნებით, გარკვეულწილად არ ეთანაფარდება მზეს?

– როგორ?

– მზერა არც თავისთავად და არც იმაში, რაშიც იბადება (ჩვენ მას ვუწოდებთ თვალს), არ არის მზე.

– ცხადია, არა.

– მაგრამ, ჩვენს გრძნობებს შორის ყველაზე მზისდარი კია.

– დიახ.

– და ის უნარი, რასაც ფლობს მზერა, სწორედ მზისგან ეძლევა მას, როგორც ერთგვარი გამონაშუქი.

– რა თქმა უნდა.

– ასე რომ, თავის მხრივ, არც მზეა მზერა; და თუმცა მზერის მიზეზი კია, მაგრამ მზერა ვერ ხედავს მას.

– რასაკვირველია.

– ჰოდა, ამასვე ვამტკიცებ მე იმის თაობაზედაც, რასაც თავის მსგავსებად ბადებს სიკეთე. რასაც ნიშნავს სიკეთე აზრობრივ ადგილას, გონებისა და გონით საწვდომთა მიმართ, იმასვე ნიშნავს მზეც ხილულ ადგილას, მზერისა და მზერით საწვდომთა მიმართ.

– როგორ? – იკითხა მან, – თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით ამიხსენი.

– ხომ მოგეხსენება, – ვუთხარი მე, – როცა იმ საგნებისკენ მიმართავენ მზერას, რომლებსაც დღის სინათლე კი არ ანათებს, არამედ ღამეულ ვარსკვლავთა მკრთალი ციმციმი, თვალი იძაბება და ბრმას ემსგავსება, თითქოს ხედვის უნარი აღარ შეწევსო.

– დიახ.

– თუმცა იგივე თვალი მკაფიოდ ხედავს მზით განათებულ საგნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხედველობა კვლავაც კარგია.

– რა თქმა უნდა.

– იგივე ითქმის სულზედაც: როცა იქითკენ მიმართავს მზერას, სადაც ჭეშმარიტება ელვარებს და არსი ბრწყინავს, კიდევაც შეიცნობს მათ, რაც მის გონიერებას მოწმობს, ხოლო როცა იმის მიმართ მიიქცევა, რასაც სიბნელე ერწყმის, რაც იბადება და კვდება, მზერადაბინდული და საკუთარი წარმოდგენების სათამაშოდ ქცეული ხან ერთს აწყდება და ხანაც მეორეს, ხან ალთასაა, ხან ბალთას და ისე წრიალებს, ცნობამიხდილი გეგონება.

– მართლაც.

– ასე რომ, რაც ჭეშმარიტებას ანიჭებს შეცნობად საგნებს, ადამიანს კი – შეცნობის უნარს, სწორედ ის მიიჩნიე სიკეთის იდეად – ცოდნისა და ჭეშმარიტების მიზეზად. რაგინდ მშვენიერიც არ უნდა იყოს ერთიცა და მეორეც – ცოდნაც და ჭეშმარიტებაც, არ შეცდები, თუ მათზე მშვენიერად აღიარებ სიკეთის იდეას. რამდენადაც მართებული იყო ხილულ სამყაროში სინათლისა და მზერის მიჩნევა მზისდარად, მზედ მიჩნევა კი – უმართებულო, ისე აქაც, გონით საწვდომ სამყაროშიც, მართებულია სიკეთისდარად მივიჩნევდეთ ცოდნასა და ჭეშმარიტებას, თვით სიკეთედ მათი მიჩნევა კი – უმართებულოა, რადგანაც სიკეთის იდეას გაცილებით უფრო მაღლა უნდა ვაყენებდეთ.

– უჩვეულო მშვენიერებას კი ანიჭებს მას, რაკიღა თურმე ის ბადებს ცოდნასა და ჭეშმარიტებას და გაცილებით უფრო მშვენიერია მათზე; მაშასადამე, განცხრომად არ უნდა მიგაჩნდეს.

– ღმერთმა დამიფაროს! უმჯობესია ამ მხრივ დაუკვირდე მის ხატებას...

– რა მხრივ?

– მზე არა მარტო იმის უნარს ანიჭებას საგნებს, რომ მზერით აღქმულ იქნენ, არამედ კიდევაც ბადებს, ზრდის და ასაზრდოებს მათ, თუმცა თვითონვე როდია დაბადება და ქმნადობა.

– როგორ?

– ისიც უნდა აღიარო, რომ გონით საწვდომი საგნების წვდომაც მხოლოდ სიკეთის მეშვეობით თუ შეიძლება; სიკეთის წყალობითვე ეზიარებიან ისინი თავიანთ არსებასაც და არსებობასაც, თუმცა თვით სიკეთე არსებობა კი არ არის, არსებობის მიღმურია, რომელსაც თავისი ღირსებით და ძალმოსილებით აღემატება.

მაშინ გლავკონმა მასხარასავით წამოიძახა:

– ოო, აპოლონ! რა თავბრუდამხვევი სიმაღლეა!

– შენს თავს დააბრალე: ვინ მაიძულა სიკეთის თაობაზე ჩემი აზრი გამომეთქვა?

– ჰოდა, შუა გზაზე ნუ შეჩერდები, კვლავაც განაგრძე ეგ შედარება მზესთან და ეცადე არაფერი გამოგრჩეს.

– აქამდეც ბევრი რამე გამომრჩა.

– აწი მაინც ეცადე უმნიშვნელო წვრილმანიც კი არ გამოტოვო.

– ვშიშობ, რომ ბევრი რამის გამოტოვება მომიწევს. თუმცა ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ვეცდები განზრახ მაინც არაფერი გამომრჩეს.

– აუცილებლად ეცადე.

– მაშ, იცოდე, ჩემო ძვირფასო, რომ არის ორი მეუფე: ერთი გონით საწვდომი სამყაროს ყველა გვარსა და მთელ საუფლოზე მბრძანებლობს, მეორე კი – ყოველივე ხილულზე; არ მინდა ამას ცა ვუწოდო, რადგანაც მეშინია, ვაითუ მოგეჩვენოს, რომ მე სიტყვებით ვთამაშობ. თუ გაიაზრე ეს ორი სახე – ხილული და გონით საწვდომი?

– დიახ.

– ახლა აიღე სწორი ხაზი და ორ თანაბარ მონაკვეთად გაყავი. ერთი ხილულ სამყაროს აღნიშნავს, მეორე კი – გონით საწვდომს. თვითეული მონაკვეთი, თავის მხრივ, იმავე თანაფარდობით გაყავი ორად; თანაც, ხილული სამყაროს აღმნიშვნელი ამ ორი მონაკვეთიდან ერთი მკაფიო უნდა იყოს, მეორე კი – მქრქალი. პირველი მონაკვეთი ხატებათა შემცველი იქნება, ხოლო ხატებებს მე ვუწოდებ, უწინარეს ყოვლისა, ლანდებს, შემდეგ კი – ანარეკლებს წყალში ან მკვრივი, გლუვი თუ პრიალა საგნების ზედაპირზე, და სხვა მისთანათ. ხომ გესმის ჩემი?

– დიახ.

– მეორე მონაკვეთზე კი ადგილს მიუჩენ ამ ლანდების შესატყვის საგნებს – ყველა ცოცხალ არსს, ყველა მცენარეს თუ ხელთქმნილ საგანს.

– მეც ავდგები და მივუჩენ.

– ეთანხმები თუ არა იმ აზრს, რომ, ჭეშმარიტისა და არაჭეშმარიტის თვალსაზრისით, ხილული სამყაროს დაყოფა, შემდეგნაირად განხორციელდა: ხატი ისე ეთანაფარდება მის შესაბამის საგანს, როგორც წარმოდგენა – ცოდნას?

– სავსებით.

– ახლა კი დაუკვირდი, როგორ უნდა დაიყოს გონით საწვდომი სამყაროს შესაბამისი მონაკვეთი.

– როგორ?

– სული იძულებულია ამ მონაკვეთის ერთ-ერთი განაყოფი წანამძღვრებისა თუ ჰიპოთეზების მეშვეობით ეძიოს, ისე, რომ ხატებად იყენებდეს ხილულ სამყაროში ნიმუშებად მიჩნეულ საგნებს და, ამრიგად, საწყისს კი არ მიელტვოდეს, არამედ – დასასრულს. მაშინ როდესაც მეორე მონაკვეთის მისაკვლევად, რომელსაც აგვირგვინებს უწანამძღვრო საწყისი, სული, წანამძღვრებიდან გამომდინარე, პირველ შემთხვევაში გამოყენებულ ხატებზე კი არა, მხოლოდ თავისთავად იდეებზე დაყრდნობით უნდა წარმართავდეს თავის ძიებას.

– კარგად ვერ გავიგე შენი სიტყვები.

– ახლავე გაგიადვილებ, – ვუთხარი მე, – რასაც ახლა გეტყვი, უფრო გასაგები უნდა იყოს: შენ, ალბათ, იცი, რომ გეომეტრიის, არითმეტიკისა და სხვა ამნაირ მეცნიერებათა მიმდევრები თავიანთი კვლევა-ძიებისას ვარაუდობენ, თითქოს იციან, რა არის ლუწი და რა არის კენტი, გეომეტრიული ფიგურები, კუთხეების სამი სახე და სხვა მისთანანი, რასაც ისინი ამოსავალ დებულებებად თვლიან და საჭიროდ აღარ მიიჩნევენ თავიანთ თავსა თუ სხვებს განუმარტონ ის, რაც, მათი აზრით, ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. სწორედ აქედან გამომდინარე გამოჰყავთ ყოველივე დანარჩენი და ერთიმეორის მიყოლებით ბოლომდე ასაბუთებენ ყველაფერს, რაც თავიანთი ძიების საგნად დაუსახავთ.

– ეს, რა თქმა უნდა, ვიცი.

– მაშინ ისიც გეცოდინება, რომ ისინი იყენებენ ხილულ ფიგურებს, ანუ ნახაზებს, და მათი მიხედვით მსჯელობენ, თუმცა თვით ამ ნახაზებზე კი არ ფიქრობენ, არამედ – იმაზე, რასაც ისინი თავიანთი მსგავსებით გამოსახავენ. ასე მაგალითად, ისინი ფიქრობენ თავისთავად ოთხკუთხედზე, თავისთავად დიაგონალზე და არა იმაზე, რასაც თვითონვე ხაზავენ. იგივე ითქმის ფერწერულსა თუ სკულპტურულ ქმნილებებზედაც, რომლებიც შეიძლება ჩრდილს აფენდნენ ან წყალში ირეკლებოდნენ, მაგრამ თვით ეს ქმნილებები მხოლოდ ხატოვანი გამოსახულებები არიან იმისა, რისი ხილვაც მარტოოდენ გონების თვალით თუ შეიძლება.

– მართალს ბრძანებ.

– აი, სწორედ ამ გონით საწვდომ საგნებს ვგულისხმობდი წეღან: მათკენ სწრაფვისას სული იძულებულია წანამძღვრებსა თუ ჰიპოთეზებს დაეყრდნოს და ამიტომაც ვერ აღწევს მათ საწყისს, რადგანაც არ შეუძლია ვარაუდის ფარგლებს გასცდეს; სწორედ ამით აიხსნება, რომ მხოლოდ ხატებად იყენებს ხილული სამყაროს საგნებს, რომლებსაც თავიანთი ასლები შეესაბამებიან ხილული სამყაროს ქვედა ნაწილში და რომლებიც სწორედ ამ ასლებთან შედარებით უფრო მკაფიო ხატებად არიან მიჩნეულნი.

– გასაგებია: შენ ლაპარაკობ იმაზე, რასაც გეომეტრიისა და სხვა მისთანათა მეშვეობით სწავლობენ.

– მაშინ ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ გონით საწვდომი სამყაროს მეორე განაყოფს მე ვუწოდებ იმას, რასაც ჩვენი გონება აღწევს დიალექტიკური უნარის წყალობით. თავის ჰიპოთეზებს ის საწყისებად კი არ ასაღებს, არამედ ვარაუდებად, ანუ საფეხურებად თუ საყრდენ წერტილებად აღიქვამს მათ, რომელთა მეშვეობითაც ყოვლის უპირობო და უწანამძღვრო საწყისამდე მაღლდება. მას შემდეგ, რაც ამ საწყისს მიაღწევს და ჩაეჭიდება ყველაფერს, რაც ზემოხსენებულ საწყისზეა დამოკიდებული, სული დაღმასვლისას მიდის საბოლოო დასკვნამდე, რისთვისაც რაიმე გრძნობად მონაცემებს კი არ ეყრდნობა, არამედ მხოლოდ იდეებს, რომლებითაც იწყება და ვითარდება მისი ძიება, რათა იდეითვე დამთავრდეს.

– მესმის, – თქვა მან, – მაგრამ ბოლომდე კი არა. მე მგონია, ძალიან ძნელ საგნებზე მელაპარაკები. და მაინც, როგორც ჩანს, შენ გინდა დაადგინო, რომ ჭეშმარიტ არსსაც და გონით საწვდომ ყველა საგანსაც დიალექტიკის მეშვეობით შეიძლება გაცილებით უფრო ნათლად ჭვრეტდე, ვიდრე ეგრეთწოდებულ ხელოვნებათა წყალობით, რომელთა საწყისებადაც ჰიპოთეზები გვევლინებიან. თუმცა ისინიც იძულებულნი არიან გონივრული განსჯით ჭვრეტდნენ გონით საწვდომ სამყაროს და არა გრძნობებით. მაგრამ რაკი თავიანთ ჰიპოთეზებზე დაყრდნობით იკვლევენ მას და ამიტომაც ვერ აღწევენ პირველსაწყისს, შენი აზრით,

არ შეუძლიათ გონებით მისწვდნენ ამ სამყაროს, თუმცა ის სავსებით გონმისაწვდომია, თუკი ჩავწვდებით მის პირველსაწყისს. გონივრულ განსჯად კი, მე მგონია, შენ მიიჩნევ იმ უნარს, რაც ნიშნეულია გეომეტრებისა და სხვა მათნაირ სწავლულთათვის. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის გონება, რადგანაც გონივრულ განსჯას შუალედური ადგილი უჭირავს წარმოდგენასა და გონებას შორის.

– საკმარისზე მეტადაც გესმის, – ვუთხარი მე; – ახლა ადექი და ზემოხსენებულ ოთხ დანაყოფს მიუსადაგე სულის ქმედითობის ოთხი უნარი: ყველაზე მაღლა დააყენე გონება, შემდეგ – გონივრული განსჯა, მესამე ადგილზე – რწმენა, ბოლოს კი – წარმოსახვა, და ეცადე სიცხადის ხარისხის მიხედვით განალაგო ისინი: ისე, რომ, რაც უფრო მეტი წილი უდევთ თვითეული მათგანის საგნებს ჭეშმარიტებაში, მით უფრო ცხადნი იყვნენ ისინი.

– გასაგებია; – თქვა მან, – გეთანხმები და მისაღებად მიმაჩნია შენს მიერ შემოთავაზებული წესრიგი.

წიგნი მეშვიდე

– შემდგომ ამისა, – ვთქვი მე, – აი, რას შეგიძლია შეადარო ჩვენი ბუნება განათლებისა თუ გაუნათლებლობის მხრივ: წარმოიდგინე ადამიანები, რომლებიც თითქოს მღვიმის მსგავს მიწისქვეშა დილეგში არიან გამომწყვდეულნი. დილეგს მთელ სიგრძეზე გასდევს ჭრილი, საიდანაც შემოდის სინათლე. პატიმრებს კისერსა და ხელ-ფეხზე სიყრმიდანვე ბორკილები ადევთ, ასე რომ, არც განძრევა შეუძლიათ და არც უკან მიხედვა. ამიტომაც მხოლოდ წინ იყურებიან და მარტოოდენ იმას ხედავენ, რაც თვალწინ უდევთ. ბორკილდადებულნი ზურგშექცევით სხედან კედლისკენ, საიდანაც შემოდის სინათლე, რომელსაც შორს, მაღლა, მოგიზგიზე ცეცხლი ასხივებს. ცეცხლსა და პატიმრებს შორის მაღლობზე გადის გზა. ამ გზას პატიმრებისაგან დაბალი კედელი ჰყოფს, იმ ფარდის მსგავსად, რომლის მიღმაც თვალთმაქცები თავიანთ თანაშემწეებს მალავენ, მაღლა აწეული თოჯინებით რომ ართობენ ხალხს.

– წარმოვიდგინე.

– ახლა ისიც წარმოიდგინე, რომ კედლის გასწვრივ მიდი-მოდიან მგზავრები, რომლებსაც ხელში ნაირ-ნაირი საგნები უჭირავთ, მათ შორის, ხისა თუ ქვისაგან გამოთლილი ადამიანებისა და ცხოველების გამოსახულებანი, რომლებიც იმ სიმაღლეზე აუწევიათ, რომ კედლის მიღმაც ჩანან. მგზავრებიდან, ჩვეულებრივ, ზოგი ლაპარაკობს, ზოგი კი ჩუმადაა.

– ეს რა უცნაურ სურათსა და უცნაურ პატიმრებს გვიხატავ?

– ისინი ჩვენ გვგვანან. ერთი ეს მითხარი, როგორ გგონია, განა ამ დღეში მყოფი ხალხი შეიძლება სხვა რამეს ხედავდეს, გინდა თავისას და გინდა სხვისას, მის წინ – მღვიმის კედელზე მორიალე ლანდების გარდა?

– რას უნდა ხედავდნენ, თუკი გაჩენის დღიდან თავის უკან მიბრუნებაც არ შეუძლიათ?

– კი მაგრამ, განა იგივე არ ითქმის იმ საგნებზედაც, კედლის მიღმა რომ მიმოაქვთ?

– მაინც რა?

– რა და, პატიმრებს რომ ერთმანეთში ლაპარაკი შეეძლოთ, შენი აზრით, იტყოდნენ თუ არა, რომ ნამდვილი საგნების სახელს არქმევენ კედელზე მორიალე მათ ლანდებს?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო მათი მღვიმე ექოსავით რომ იმეორებდეს გზად მიმავალი მგზავრების სიტყვებს, განა არ ეგონებოდათ, რომ კედელზე მორიალე ლანდები ლაპარაკობენ?

– ცხადია, ვფიცავ ზევსს.

– მაშასადამე, ეჭვს გარეშეა, რომ ისინი ნამდვილ საგნებად აღიქვამდნენ ამ ხელთქმნილი საგნების ლანდებს?

– აუცილებლად.

– ახლა კი დაუფიქრდი, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა შედეგად იმას, რომ მათთვის ბორკილები აეყარათ და უმეცრებისაგან დაეხსნათ, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა მოხდებოდა მათში, ბუნებრივი გზით რაღაც ამგვარი რომ შემთხვეოდათ? ვთქვათ, ერთ-ერთი მათგანისათვის ბორკილები აეხსნათ და ებრძანებინათ, შებრუნებულიყო, ორიოდე ნაბიჯი გადაედგა და სინათლის მხარეს გაეხედა. განა ეს ნამდვილი ტანჯვა არ იქნებოდა მისთვის? თვალისმომჭრელი სინათლე იმ საგნების გარჩევის საშუალებას არ მისცემდა, რომელთა ლანდებსაც მღვიმის კედელზე ხედავდა. როგორ გგონია, რას იტყოდა, ვინმეს რომ ეთქვა – აქამდე მხოლოდ უბადრუკ ლანდებს ხედავდი, ახლა კი, ჭეშმარიტ არსებობას მიახლებული, ნამდვილ საგნებსა ხედავო? მერე ერთ-ერთი საგანი ეჩვენებინათ, თანაც ეკითხათ, რა არის ესო, და ძალდატანებით მოეთხოვათ პასუხი გაეცა მათთვის. განა ეს, შენი აზრით, საგონებელში არ ჩააგდებდა? საბრალოს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ გაცილებით უფრო ნამდვილი იყო ის, რასაც მანამდე ხედავდა, ვიდრე ის, რასაც ახლა უჩვენებენ.

– რასაკვირველია, ამას იფიქრებდა.

– ანდა, თუ აიძულებდნენ ცეცხლის შუქისათვის ემზირა, განა თვალს არ მოსჭრიდა მისი ციმციმი? ასე რომ, შეძრწუნებული, სირბილით დაუბრუნდებოდა იმას, რასაც აქამდე ასე თავისუფლად უსწორებდა თვალს და რაც, მისი აზრით, გაცილებით უფრო ნამდვილი იყო, ვიდრე ის, რაც ახლახან უჩვენეს.

– მართალს ბრძანებ.

– ხოლო თუ ძალით გამოათრევდნენ გარეთ, რათა ციცაბო ფერდობზე გამავალი გზით მაღლა აეყვანათ და მზის სინათლე ეჩვენებინათ, განა ტკივილით გატანჯულს არ აღაშფოთებდა ამნაირი ძალმომრეობა? მზის სიკაშკაშით თვალდავსილი ერთსაც ვერ გაარჩევდა იმ საგნებს შორის, რომლებზედაც დაჟინებით ჩასჩიჩინებენ, ნამდვილი საგნები თუ გნებავს, სწორედ ესენი არიანო.

– ერთბაშად მართლაც ვერ გაარჩევდა.

– აქ საჭიროა მიჩვევა, რაკიღა ყველაფრის დანახვა მართებს, რაც მაღლაა. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ლანდებისკენ უნდა მიმართოს მზერა, შემდეგ – წყლის სიღრმეში არეკლილი ადამიანებისა თუ სხვადასხვა საგანთა გამოსახულებებისაკენ, ბოლოს კი საკუთრივ საგნებს უნდა მიაპყროს თვალი. ამასთან, ცისა თუ ყოველივე ზეციურის ჭვრეტა ღამით, მთვარისა და ვარსკვლავების შუქზე უფრო გაუადვილდება, ვიდრე დღისით – მზის სინათლეზე.

– რა თქმა უნდა.

– ბოლოს და ბოლოს, ეს კაცი, ჩემი აზრით, იმასაც შეძლებს, რომ თვალი გაუსწოროს თვით მზესაც და წყალში კი აღარ უცქიროს მის ანარეკლს, არამედ ცის თაღზე დაუკვირდეს მის თვისებებს.

– უცილობლად.

– რის შედეგადაც ის დაასკვნის, რომ სწორედ მზე განსაზღვრავს წელიწადის დროთა მონაცვლეობას და დროის დინებას, რომ ამ ხილულ სამყაროში მზე წარმართავს ყველაფერს და, გარკვეული აზრით, იგივე მზეა ყოველივე იმის მიზეზიც, რაც მღვიმეში ჩანდა.

– ცხადია, თავისი დაკვირვების შედეგად სწორედ ამ დასკვნამდე მივა.

– მერედა, თავისი უწინდელი სამყოფლის, იქაური სიბრძნისა და თავისი მეგობარი პატიმრების გახსენებისას განა ნეტარებად არ მიიჩნევს თავის ახლანდელ ყოფას და სიბრალული არ აღეძვრის დილეგში მყოფთა მიმართ?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ ისინი თავიანთ მღვიმეში პატივსა და დიდებას მიაგებდნენ ერთმანეთს და ჯილდოს არ იშურებდნენ იმისთვის, ვის გამჭრიახ მზერასაც არ გამოეპარებოდა არცერთი საგანი, კედლის იქით რომ მიჰქონდათ, და ყველაზე უკეთ იმახსოვრებდა, რა გამოჩნდებოდა პირველად, რა – შემდეგ და რა – ერთდროულად, რის საფუძველზეც წინასწარმეტყველებდა მომავალს, – როგორ გგონია, ბორკილებიდან თავდაღწეული კვლავინდებურად ინატრებდა ყოველივე ამას, ან შური აღეძვროდა იმის მიმართ, ვისაც თაყვანს სცემდნენ მღვიმეში, როგორც ყველაზე საჩინო და სახელოვან კაცს? თუ იმავე განცდით გულშეძრულს, რასაც გვაუწყებს ჰომეროსი, მხოლოდ ერთი რამ ექნებოდა სანატრელი: დღიურ მუშად ემუშავა ღარიბი გლეხის ყანაში და ოფლის ღვრით ეშოვა ლუკმა პური, ან აეტანა ათასნაირი გაჭირვება, ოღონდაც აღარასოდეს მიბრუნებოდა თავის უწინდელ ყოფას და იმდროინდელ სიბრმავეს.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა მან, – მართლაც ყველაფერს აიტანდა იმის გულისთვის, რომ ძველებურად აღარ ეცხოვრა.

– ერთსაც დაუფიქრდი: ეს კაცი რომ კვლავ მღვიმეს დაბრუნებოდა და თავის ძველ ადგილას დამჯდარიყო, განა მზის ნათელს ასე ანაზდად განშორებულს იმწამსვე თვალს არ დაუვსებდა ბნელი?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ მღვიმეში სამუდამოდ გამომწყვდეულ პატიმრებთან კვლავ მოუწევდა პაექრობა ამა თუ იმ ლანდისა და მისი მნიშვნელობის გამო, ვიდრე თვალს შეაჩვევდა სიბნელეს, რასაც, ალბათ, საკმაო დრო დასჭირდებოდა, შენი აზრით, განა მასხრად არ აიგდებდნენ ამ სიტყვებით: რას მიეხეტებოდა იმ სიმაღლეზე, სულ ტყუილად დაკარგა თვალის ჩინიო? ასე რომ, თუ ვინმე შეეცდებოდა ტყვეობიდან დაეხსნა და მაღლა აეყვანა ისინი, განა იმწამსვე სულს არ გააფრთხობინებდნენ, ხელში რომ ჩავარდნოდათ?

– უეჭველად.

– ჰოდა, ჩემო ძვირფასო გლავკონ, სწორედ ესაა კაცთა ყოფის ზუსტი ხატება. მღვიმე ხილული სამყაროა, ხოლო სინათლე, რომელსაც ცეცხლი ასხივებს, მზის ნათელს ედარება. მაღლა ასვლა და ნამდვილი საგნების ჭვრეტა სხვა არა არის რა, თუ არა სულის აღმასვლა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ. აი, როგორია ჩემი აზრი, თუკი გსურს მას მისდიო; პირადად მე ასე მგონია, ცოდნით კი ღმერთმა იცის, მართალია თუ არა იგი. გონით საწვდომი სამყაროს ზღვარი სიკეთის იდეაა, რომელსაც ძნელად თუ გაარჩევს გონების თვალი, მაგრამ საკმარისია ბუნდოვნად მაინც აღვიქვათ, რომ აქედან უშუალოდ გამოგვაქვს დასკვნა: სწორედ სიკეთის იდეაა ყოველივე ჭეშმარიტისა და მშვენიერის მიზეზი, ხილულ სამყაროში ის ბადებს ნათელს და მის მეუფეს, გონით საწვდომ სამყაროში კი თვითონვეა მეუფეც და

მბრძანებელიც, რომლისგანაც დასაბამს იღებს ჭეშმარიტება და გონიერება; ამიტომ სწორედ მის ჭვრეტას უნდა ცდილობდეს ყველა, ვისაც სურს გონივრულად იქცეოდეს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

– გეთანხმები, – თქვა მან, – რამდენადაც შემიძლია შენს აზრს მივსდიო.

– მაშინ ამაშიც დამეთანხმე: ვინც ამ სიმაღლეს მიაღწია, უკვე აღარ შეუძლია ხელი მიჰყოს კაცთა ჩვეულებრივ საქმიანობას, რადგანაც მისი სული გამუდმებით მიელტვის მხოლოდ სიმაღლეს. და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც ზედმიწევნით შეესაბამება ჩვენს მიერ დახატულ ალეგორიულ სურათს.

– მართლაც.

– მერედა, ნუთუ შენი აზრით, უნდა გვიკვირდეს, რომ როდესაც ამ ღვთაებრივი ჭვრეტიდან ადამიანი კვლავ უბრუნდება ამქვეყნიურ უბადრუკობას, შემცბარი და დაბნეული, – სასაცილო ჩანს? დაბინდული მზერა ჯერ კიდევ ვერ შესჩვევია გარემომცველ სიბნელეს, მაგრამ, ვიდრე შეეჩვეოდეს, მანამდე აიძულებენ სამსჯავროში თუ სადმე სხვაგან გამოვიდეს და სამართლიანობის ლანდებისა თუ ამ ლანდების ანარეკლთა გამო იდავოს, ესე იგი, იმ ხალხივით დაიწყოს ბრძოლა მათი განმარტებისთვის, ვისაც თვალითაც არ უნახავს სამართლიანობა თავისთავად.

– არა, ამაში არაფერია საკვირველი.

– ჭკვიანი კაცი გაიხსენებდა, რომ მზერას ორი სხვადასხვა მიზეზი ამღვრევს: როცა სინათლიდან სიბნელეში გადავდივართ, ანდა, პირიქით, სიბნელიდან – სინათლეში. იგივე ითქმის სულზედაც: დავუკვირდეთ შემცბარსა და დაბნეულ სულს, საგანთა გარჩევის უნარი რომ დაჰკარგვია, მაგრამ ბრიყვულად ნუკი დავუწყებთ დაცინვას, არამედ დავუფიქრდეთ – უფრო ნათელი ყოფიდან მოვიდა და მისთვის უჩვევმა სიბნელემ დაუვსო თვალი, თუ, პირიქით, სრული უმეცრებიდან ამაღლებულს თვალი მოსჭრა სინათლის ასევე უჩვევმა ბრწყინვალებამ? ამ შემთხვევაში შეიძლება ნეტარებად დავსახოთ მისი ყოფა, პირველ შემთხვევაში კი მისდამი თანაგრძნობა გვმართებს. მაგრამ თუ ვინმე მაინც ვერ იკავებს სიცილს, ეს დაცინვა ნაკლებად ბრიყვული იქნება, თუკი მისი საგანია სული, რომელმაც სინათლის საუფლოდან სიბნელეში ამოყო თავი.

– მართალს ბრძანებ.

– თუ მართალია, – ვთქვი მე, – აი, რა დასკვნის გამოტანა გვმართებს: განათლება სულაც არ არის ის, რაც ზოგ-ზოგიერთს ჰგონია, ვისი მტკიცებითაც გაუნათლებელ სულს თითქოს ისე უნდა ჩავუნერგოთ განათლება, როგორც უსინათლო თვალს – ხედვის უნარი.

– დიახ, ასე ამტკიცებს ბევრი.

– ეს ჩვენი მსჯელობა კი მოწმობს, რომ ყველა სულსა აქვს ამის უნარი და სათანადო იარაღიც მოეძებნება. მაგრამ როგორც თვალი მხოლოდ მთელ სხეულთან ერთად თუ მიბრუნდება სიბნელიდან სინათლისაკენ, სულიც ასევე მთლიანად თუ განუდგება ყოველივე ქმნადს, იმ ზომამდე, რომ არა მარტო არსს, თვით იმასაც კი გაუსწოროს თვალი, რაც ყველაზე ნათელია არსში, ხოლო ეს, ჩვენი მტკიცებით, სიკეთეა, არა?

– დიახ.

– სწორედ აქ ვლინდება მოქცევის ხელოვნება, – ვუთხარი მე, – რა გზით შეიძლება უფრო ადვილად და ქმედითად მოვაქციოთ კაცი? მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხედვის უნარი ჩავუნერგოთ მას, ვისაც უკვე აქვს ეს უნარი. თუმცა ის არასწორადაა მიმართული და იქით როდი იყურება, საითაც ჯერ არს. სწორედ აქ გვმართებს ძალისხმევა, რომ მისი მზერა სწორად მივმართოთ.

– როგორც ჩანს.

– სულის ზოგიერთი უნარი ძალზე ახლოს დგას სხეულის ამა თუ იმ უნართან, რამდენადაც ადამიანს თავიდანვე შეიძლება არც ჰქონდეს როგორც ერთი, ისე მეორე, მაგრამ შემდეგ თვითწვრთნის წყალობით შეიძინოს. ხოლო რაც შეეხება ცოდნის უნარს, ეს, ეტყობა, რაღაც უფრო ღვთაებრივია, რაკიღა არასოდეს არ კარგავს თავის ძალას და იმის მიხედვით, თუ რისკენაა მიმართული, ხან სასარგებლოა და სასიკეთო, ხანაც უსარგებლო და უკეთური. ნუთუ არ შეგიმჩნევია, რა გამჭრიახია იმ ხალხის ბნელი სული, ვისაც არამზადებად, თუმცა ჭკვიანებად კი თვლიან, ან რატომ ვერაფერს გამოაპარებ მათ თვალს, რასაც თვითონვე მიელტვიან? ასე რომ, მათ მშვენიერი მხედველობა აქვთ, მაგრამ რაკი ის მათსავე ავკაცობას ემსახურება, ამიტომ რაც უფრო გამჭრიახია, მით უფრო მეტ ბოროტებას სჩადის.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ თუ ამნაირ ბუნებას ერთბაშად, ბავშვობაშივე მოვკვეთდით უკეთურ მიდრეკილებებს, ტყვიის საძირავივით რომ ეწევიან მას ღორმუცელობის, ღრეობისა თუ სხვა ხორციელი განცხრომისაკენ და ქვემოთ მიმართავენ მის მზერას, მაშინ ყოველივე ამისაგან თავდახსნილი სული ჭეშმარიტებას მიუბრუნდებოდა და იგივე ავკაცნი არანაკლებ თვალნათლივ გაარჩევდნენ ყოველივე ჭეშმარიტს, ვიდრე იმ საგნებს, რომლებისკენაც ამჟამად მიმართულია მათი მზერა.

– კი მაგრამ, განა ზემოთქმულიდან ბუნებრივად და გარდუვალად არ გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო მმართველობისთვის არც გაუნათლებელნი და ჭეშმარიტების არმცოდნენი გამოდგებიან და არც ისინი, ვინც მთელი თავისი დღე და მოსწრება ცოდნას და განათლებას იძენდა? პირველნი იმიტომ, რომ მტკიცედ დასახული მიზანი არ გააჩნიათ, რომლისკენ სწრაფვასაც შეალევდნენ მთელ თავიანთ პირადსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მეორენი კი იმიტომ, რომ არასდიდებით არ დათანხმდებოდნენ სახელმწიფოს მართვისათვის მიეყოთ ხელი, რადგანაც, მათი აზრით, სიცოცხლეშივე დაიმკვიდრეს ნეტართა კუნძულები.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, ჩვენი, როგორც სახელმწიფოს დამაარსებლების, ვალი ისაა, რომ ვაიძულოთ ყველაზე ღირსეულნი სწორედ იმის შესწავლას მიუბრუნდნენ, რაც უზენაესად დავსახეთ: მე ვგულისხმობ სიკეთის წვდომას და მისკენ სწრაფვას. მაგრამ როცა ამ სიმაღლეს მიაღწევენ და გულს იჯერებენ მისი ჭვრეტით, იმის ნებას კი აღარ მივცემთ, რაც დღეს ნებადართულია მათთვის.

– მაინც რის ნებას?

– ამ სიმაღლეზე დარჩენისას, თუკი აღარ ისურვებენ კვლავ დაუბრუნდნენ ჩვენს პატიმრებს, რათა, ავად თუ კარგად, მათი ჭირი და ლხინი გაიზიარონ.

– კი მაგრამ, მაშინ ხომ უსამართლონი ვიქნებით მათ მიმართ, რაკიღა ჩვენს გამო შავ დღეში უნდა ჩაცვივდნენ, თუმცა კი შეეძლოთ გაცილებით უკეთ ეცხოვრათ.

– შენ კვლავ გავიწყდება, ჩემო კეთილო, რომ კანონი მოსახლეობის ერთი რომელიმე ფენის კეთილდღეობას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მთელი საზოგადოებისას. შეგონებით თუ იძულებით, ის უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის ერთიანობას, რათა ისინი ერთმანეთისათვის სასარგებლონი იყვნენ იმდენად, რამდენადაც შეუძლიათ ამით არგონ მთელ სახელმწიფოს. მოქალაქეთა რიცხვშიაც იმიტომ როდი რთავს ღირსეულ ადამიანებს, რათა საშუალება მისცეს მათ, ვისაც რა მოეპრიანება, ის აკეთოს, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოს განსამტკიცებლად გამოიყენოს ისინი.

– მართლაც დამავიწყდა.

– იმასაც დაუფიქრდი, გლავკონ, რომ ჩვენ უსამართლონი კი არ ვიქნებით ჩვენშივე აღზრდილ ფილოსოფოსთა მიმართ, არამედ სამართლიან მოთხოვნებს წავუყენებთ და ვაიძულებთ მათ, როგორც მცველებს, სხვებზე იზრუნონ. «ყველა სხვა სახელმწიფოში – ამ სიტყვებით მივმართავთ მათ, – ვინც ფილოსოფოსი ხდება, უფლება აქვს მონაწილეობა არ მიიღოს სახელმწიფოს მართვის საქმეში, რადგანაც ყველა, სახელმწიფო წყობილებისაგან დამოუკიდებლად, თვითონვე გახდა ფილოსოფოსი, ხოლო ის, რაც თავისით იზრდება, არავის არ უმადლის თავის საზრდოს და, ცხადია, არც იმის სურვილი აქვს, რომ ვინმეს აუნაზღაუროს მისი გულისთვის გაწეული ხარჯი. თქვენ კი ჩვენ აღგზარდეთ, როგორც თვით თქვენდა სასიკეთოდ, ისე სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, რათა იგივენი ყოფილიყავით, რანიც არიან მეფეები და ბელადები ფუტკრების სკაში. ჩვენი წყალობით შეიძინეთ საუცხოო და უცხოელ ფილოსოფოსებზე გაცილებით უფრო სრულყოფილი განათლება და ჩვენვე გიბოძეთ იმის უნარიც, რომ ერთმანეთისთვის შეგეთავსებინათ ფილოსოფია და პოლიტიკა. ამიტომ თვითეული თქვენგანი ერთიმეორის მიყოლებით უნდა დაეშვას დანარჩენ მოქალაქეთა საერთო საცხოვრისამდე; შეაჩვიეთ თვალი იქ გამეფებულ წყვდიადს, და როცა შეაჩვევთ, ათასჯერ უკეთ გაარჩევთ ყველაფერს, ვიდრე ბნელეთის მკვიდრნი, და უკეთვე გამოიცნობთ, რას წარმოადგენს თვითეული ლანდი ან რისი ხატია იგი, რადგანაც ადრევე გიხილავთ ყოველივე მშვენიერის, სამართლიანისა და კეთილის ჭეშმარიტი პირველნიმუშნი. მაშინ ჩვენი სახელმწიფო წყობილება ჩვენცა და თქვენც სიცხადეში წარმოგვიდგება და არა სიზმარში, როგორც სხვა დღევანდელი წყობილებანი, სადაც მიმდინარეობს ძმათამკვლელი ომები და ლანდების გააფთრებული ბრძოლები ძალაუფლებისათვის, თითქოს ეს იყოს ყველაზე დიდი სიკეთე. სიმართლე კი, თუ გნებავთ, ისაა, რომ სადაც ძალაუფლებას ყველაზე ნაკლებ მიელტვიან ისინი, ვინც უნდა მართავდეს ქვეყანას, სახელმწიფო სწორედ იქ იმართება ყველაზე უკეთ და შინააშლილობისთვისაც ყველაზე ნაკლები საბაბი რჩება; მაშინ როდესაც სულ სხვაგვარადაა საქმე იმ სახელმწიფოებში, რომელთა მმართველნიც საპირისპიროდ არიან განწყობილნი».

– რა თქმა უნდა.

– როგორ გგონია, ამას რომ მოისმენენ, ჩვენი აღზრდილები აღარ დაგვემორჩილებიან და არ ინებებენ ერთიმეორის მიყოლებით ითანამშრომლონ დანარჩენ მოქალაქეებთან? თუ ამჯობინებენ სამუდამოდ გვერდი-გვერდ დარჩნენ წმინდა სინათლის საუფლოში?

– შეუძლებელია, – თქვა მან, – რადგანაც სამართლიან ხალხს ვუყენებთ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს. თუმცა, ყველა დღევანდელი სახელმწიფოს მმართველთა საპირისპიროდ, თვითეული მათგანი მხოლოდ აუცილებლობის კარნახით თუ აიღებს ხელში მმართველობის სადავეს.

– დიახ, ასეა საქმე, ჩემო კეთილო. თუ იმათთვის, ვინც უნდა მართოს ქვეყანა, ცხოვრების უკეთეს წესს ჰპოვებ, ვიდრე მმართველობას, მაშინ იმასაც შესძლებ, რომ მშვენიერი სახელმწიფო წყობილება დაამყარო. რადგანაც მხოლოდ ამნაირი სახელმწიფოს მმართველნი თუ იქნებიან ჭეშმარიტად მდიდრები, მაგრამ ოქროთი კი არა, არამედ იმით, რითაც მდიდარია ბედნიერი კაცი: სიბრძნითა და სიქველით. ხოლო თუ გლახაკნი და უპოვარნი მიელტვიან ძალაუფლებას, რათა საქვეყნო სიკეთეს მსუყე ლუკმა ჩამოათალონ, სასიკეთოს ნურას მოელი: რადგანაც იწყება გაუთავებელი შუღლი, შფოთი, შეხლა-შემოხლა და ეს შინააშლილობა ბოლოს უღებს თვით მათაც და სახელმწიფოსაც.

– მართალს ბრძანებ.

– კი მაგრამ, თუ იცნობ ცხოვრების რომელიმე სხვა წესს, ისეთივე ზიზღს რომ აღუძრავდეს ადამიანს ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობის მიმართ, როგორც ჭეშმარიტ ფილოსოფიასთან ზიარებულის ცხოვრებაა?

– არა, ვფიცავ ზევსს.

– ასე რომ, სახელმწიფო თანამდებობა ხელში არ უნდა ჩავუგდოთ იმ ადამიანებს, რომლებსაც სული ელევათ მასზე, თორემ მათი ჯიბრი და მეტოქეობა გადაგვიყოლებს.

– უცილობლად.

– მერედა, ვის განამწესებ იძულებით სახელმწიფოს მცველებად, თუ არა იმ ხალხს, ვინც ყველაზე უკეთ იცის, როგორ უნდა მართო ქვეყანა, მაგრამ, ამასთან, ბევრი სხვა ღირსებაც აქვს და გაცილებით უფრო ღირსეულადაც ცხოვრობს, ვიდრე სახელმწიფო მოღვაწენი?

– სხვას ვერავის.

– ახლა, თუ გნებავს, ვნახოთ, რანაირად შეიძლება აღვზარდოთ ამნაირი ადამიანები და რა გზით წარვმართოთ ისინი მაღლა – სინათლისაკენ, როგორც, გადმოცემით, ზოგიერთი გმირი ამაღლებულა ჰადესიდან ღმერთებამდე.

– რა საკითხავია?

– ეს არც ისე ადვილია, როგორც თიხის ნატეხის გადაბრუნება; აქ თვით სული უნდა შევაბრუნოთ ბინდისფერი დღიდან ჭეშმარიტებით გაბრწყინვებული დღისაკენ. ხოლო ამნაირ აღმასვლას ჩვენ, ალბათ, სიბრძნისკენ სწრაფვას ვუწოდებთ.

– რა თქმა უნდა.

– იქნებ ისიც გვენახა, მაინც რისი ცოდნა გვაძლევს ამის საშუალებას?

– აუცილებლად უნდა ვნახოთ.

– კი მაგრამ, გლავკონ, რა უნდა იყოს ეს ცოდნა, ქმნადობიდან ჭეშმარიტი არსებობის მიმართ რომ მიაქცევს სულს? თუმცა ამას რომ ვამბობ, სულ სხვა რამეზე ვფიქრობ. აკი ვთქვით, რომ ჩვენი ფილოსოფოსები სიჭაბუკისას მხნე მეომრებიც უნდა იყვნენ?

– დიახ, უკვე ვთქვით.

– მაშასადამე, ცოდნას, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, გარდა აღნიშნულისა, სხვა უპირატესობაც უნდა ჰქონდეს.

– მაინც რა?

– რა და, სასარგებლო უნდა იყოს მეომრებისთვის.

– რა თქმა უნდა, თუკი ეს შესაძლებელია.

– კი მაგრამ, ისიც ხომ ითქვა, რომ მათ გიმნასტიკური და მუსიკური ხელოვნების მეშვეობით უნდა ვზრდიდეთ?

– დიახ, ესეც ითქვა.

– მერედა, გიმნასტიკა ხომ იმას ეხება, რაც იბადება და კვდება? რადგანაც მასზეა დამოკიდებული ძალის მატებაც და კლებაც.

– რა თქმა უნდა.

– მაშ, სწორედ ესაა, რასაც ვეძებთ?

– არა.

– ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი მუსიკური ხელოვნება ხომ არ არის?

– მაგრამ, თუ გახსოვს, – თქვა მან, – ჩვენი ადრინდელი მტკიცებით ის ერთგვარად უპირისპირდება გიმნასტიკას, რამდენადაც აყალიბებს მცველების ზნეს, ჰარმონიის მეშვეობით ჰარმონიულ წონასწორობას რომ ანიჭებს მათ, რიტმის მეშვეობით კი – ევრითმიას, მაგრამ არა ცოდნას. ასეთივეა მისი ზემოქმედება

სიტყვიერების დარგშიაც, გინდ მითიურ თქმულებებს ეხებოდეს საქმე და გინდ ნამდვილ ამბებს; მაგრამ ის ცოდნა, სიკეთისაკენ რომ მიგვიძღვის, ცოდნა, რომელსაც ამჟამად ეძებ, უცხოა მუსიკური ხელოვნებისთვის.

– სწორედ რომ დროზე გამახსენე; მართლაცდა, ამგვარი ხომ არა გვითქვამს რა. მაგრამ, ჩემო დიდებულო გლავკონ, სად უნდა იყოს ეს ცოდნა, რაკიღა ყველა ხელოვნება მხოლოდ ტლანქი ხელობა გამოდგა?

– რა მოგახსენო? ანკი რა ცოდნაღა გვრჩება, თუ მუსიკასაც უკუვაგდებთ, გიმნასტიკასაც და სხვა ხელოვნებასაც.

– კეთილი, – ვთქვი მე, – თუკი მათ გარდა აღარაფერი გვაქვს, მაშინ ის მაინც ავიღოთ, რაც ყველაფერზე ვრცელდება.

– მაინც რა?

– თუნდაც ის, რასაც ყველა ხელოვნება იყენებს, ისევე, როგორც აზროვნება და მეცნიერება; ის, რასაც ყოველი ჩვენგანი ყველაზე ადრე უნდა სწავლობდეს.

– რას გულისხმობ?

– ისეთს არაფერს; მხოლოდ იმას, რისი მეშვეობითაც ერთმანეთისაგან ვასხვავებთ ერთს, ორსა თუ სამს; მოკლედ რომ ვთქვათ, თვლისა და ანგარიშის ხელოვნებას, რის გარეშეც ვერცერთი ხელოვნება, ვერცერთი მეცნიერება ვერ გავა ფონს; ასეა, არა?

– რა თქმა უნდა.

– ვერც საომარი ხელოვნება?

– ვერა.

– მართლაცდა, განა პალამედესი, გამოჩნდება თუ არა ტრაგედიებში, ნამდვილ პამპულად არ წარმოგვიჩენს მხედარმთავარ აგამემნონს? ნუთუ არ დაჰკვირვებიხარ, რომ ანგარიშის ეს გამომგონებელი თვითონვე გვიცხადებს, როგორ დააწყო რაზმებად და ილიონის გალავანთან საიერიშოდ განალაგა ლაშქარი, როგორ დათვალა ხომალდები და სხვა დანარჩენი, თითქოს მანამდე არავის დაეთვალოს. აგამემნონმა კი, ეტყობა, ისიც არ იცოდა, თუ რამდენი ფეხი ჰქონდა, რაკიღა თვლა არ შეეძლო. ჰოდა, თავად განსაჯე, როგორი მხედართმთავარი უნდა ყოფილიყო.

– როგორი და, ბრიყვი, თუკი ეს მართალია.

– ვაღიარებთ თუ არა, რომ მხედარმთავარი აუცილებლად უნდა ფლობდეს თვლისა და ანგარიშის მეცნიერებას?

– აუცილებლად, თუკი სურს ცოტა რამ მაინც ესმოდეს საომარი ხელოვნებისა; მეტიც, საერთოდ, თუ სურს იყოს ადამიანი.

– მაგრამ თვითონაც თუ იზიარებ ჩემს აზრს ამ მეცნიერების შესახებ?

– კერძოდ?

– ვეცდები აგიხსნა, – ვუთხარი მე, – მაგრამ რაკი ჩემთვისვე ვცდილობ განვასხვავო ერთმანეთისგან, რას მივყავართ ამ მიზნისაკენ და რას არა, ჩემთან ერთად განიხილე ეს და პირდაპირ მითხარი, მეთანხმები თუ არა, რათა უფრო ნათელი გახდეს, რამდენად სწორია ჩემი ვარაუდი.

– მაშ, გზა მიჩვენე.

– გიჩვენებ, თუ გსურს ამ გზას მისდიო. ზოგი რამ ჩვენს შეგრძნებებში შემდგომი განხილვისათვის არ აღძრავს გონებას, რადგანაც საამისოდ საკუთრივ შეგრძნებაც კმარა, ზოგი კი გადაჭრით მოითხოვს განხილვას, რადგანაც შეგრძნება სანდოსა და საიმედოს არას გვთავაზობს.

– ცხადია, შენ გულისხმობ შორიდან დანახულ საგნებს და შუქ-ჩრდილის თამაშს.

– ვერც ისე კარგად მიმიხვდი.

– მაშ, რას გულისხმობ?

– გონებას განსახილველად არ აღძრავენ ის საგნები, რომლებიც ერთდროულად არ იწვევენ ორ ურთიერთსაპირისპირო შეგრძნებას, და, პირიქით, განხილვას მოითხოვენ საგნები, რომლებიც ამნაირ შეგრძნებებს იწვევენ, ვინაიდან, ახლოდან აღვიქვამთ მათ თუ შორიდან, შეგრძნება სულაც არ გვიჩვენებს, რომ საგანი ასეთი და ასეთი უფროა, ვიდრე ისეთი. თუმცა შენ უკეთ გამიგებ, თუ შემდეგი მაგალითით აგიხსნი ამას: ავიღოთ ეს სამი თითი – ნეკი, საჩვენებელი და შუა თითი.

– კეთილი, – თქვა მან.

– თვითეული მათგანი თითია და, ამ მხრივ, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, სულერთია, შუა ნაწილს უყურებ თუ კიდურას, თეთრია ის თუ შავი, წვრილი თუ მსხვილი და ასე შემდეგ. არცერთ ამ შემთხვევაში ადამიანთა უმრავლესობის სული იძულებული არ არის აზროვნებას მიმართოს კითხვით – მაინც რა არის თითი? ვინაიდან მზერას არასოდეს უჩვენებია მისთვის, რომ თითი შეიძლება სხვა რამეც იყოს, გარდა თითისა.

– რა თქმა უნდა, არა.

– მაშასადამე, სავსებით ბუნებრივია, რომ აქ შეგრძნება აზროვნებას არ მიმართავს და არც აღვიძებს მას.

– დიახ, სავსებით ბუნებრივია.

– კი მაგრამ, თვალი ასევე კარგად არჩევს, დიდია თითი თუ პატარა, ხოლო მზერისთვის სულერთია შუა თითი და კიდურა? ან შეხებით თუ შეიძლება ზუსტად განვსაზღვროთ, წვრილია თითი თუ მსხვილი, რბილი თუ მკვრივი? და განა იგივე არ ითქმის დანარჩენ შეგრძნებათა მიმართაც? გრძნობა, რომლის დანიშნულებაც სიმკვრივის შეგრძნებაა, იმავდროულად უნდა აღიქვამდეს სირბილესაც, და ამიტომაც აუწყებს სულს, რომ ერთსა და იმავე საგანს ის აღიქვამს როგორც მკვრივს და როგორც რბილსაც.

– ასეა, – თქვა მან.

– მაგრამ ამ შემთხვევაში სული თავის მხრივ, იბნევა და აღარ იცის, რას ნიშნავს სიმკვრივის ეს შეგრძნება, რომელიც ერთსა და იმავე საგანს მკვრივადაც აღიქვამს და რბილადაც. და განა იგივე არ ითქმის სიმძიმისა და სიმსუბუქის შეგრძნებაზედაც, რომელიც იუწყება, რომ მძიმე მსუბუქია, მსუბუქი კი – მძიმე?

– ყველა ამნაირი უწყება უცნაურია სულისთვის და, რა თქმა უნდა, განხილვას მოითხოვს.

– ისიც სავსებით ბუნებრივია, რომ საგონებელში ჩავარდნილი სული განსჯასა და აზროვნებას მოუხმობს მწედ, რათა, უწინარეს ყოვლისა, გაარკვიოს, ყოველი ასეთი უწყება ერთ საგანს ეხება თუ ორს.

– რა თქმა უნდა.

– და თუ გაირკვა, რომ ეს ორი საგანია, თვითეული მათგანი ერთადაც ეჩვენება და მეორისგან განსხვავებულადაც?

– დიახ.

– ხოლო თუ თვითეული მათგანი ერთად ეჩვენება, ორივე კი – ორად, ის მათ ერთმანეთისაგან განცალკევებით აღიქვამს, რადგანაც განცალკევებულნი რომ არ იყვნენ, ორად კი არ აღიქვამდა მათ, არამედ – ერთად.

– მართლაც.

– მაგრამ მზერა, ჩვენი მტკიცებით, ცალ-ცალკე კი არ აღიქვამს დიდს და პატარას, არამედ – ერთად შერწყმულთ; ასეა, არა?

– დიახ.

– და ნათელი რომ მოჰფინოს ამას, აზროვნება იძულებულია ერთად შერწყმული სახით კი არ განიხილოს დიდი და პატარა, არამედ ერთიმეორისგან განცალკევებით, ესე იგი, მზერის საპირისპიროდ იქცევა.

– ჭეშმარიტად.

– მერედა, განა სწორედ ამის გამო არ გვებადება კითხვა: მაინც რა არის ეს დიდი და პატარა?

– სწორედ ამის გამო.

– ასე რომ, ერთს გონით საწვდომს ვუწოდებთ, მეორეს კი – გრძნობით აღქმადს.

– მართალს ბრძანებ.

– სწორედ ამას ვგულისხმობდი წეღან, როცა ვამბობდი: ზოგი რამ გონების ქმედითობას იწვევს, ზოგი კი – არა-მეთქი. ის, რაც ჩვენს გრძნობებზე ზემოქმედებისას თავის საპირისპიროსთან ერთად მოქმედებს, აზრის გამომწვევად დავსახე, ხოლო რაც ამნაირად არ მოქმედებს, არც აღვიძებს აზრს.

– ახლა კი მესმის და მართებულად მიმაჩნია შენი ნათქვამი.

– კი მაგრამ, ამ ორთაგან რომელს მიაკუთვნებენ რიცხვსა და ერთს?

– ვერ გეტყვი.

– მაშინ ზემოთქმულიდან გამოიტანე დასკვნა. თუ თავისთავადი ერთი საკმაოდ ცხადად აღიქმება მზერით ან რომელიმე სხვა გრძნობით, მაშინ სულში არ აღიძვრის იმისკენ სწრაფვა, რომ ახსნას მისი არსი, როგორც თითის მაგალითზე გიჩვენე ზემოთ. მაგრამ თუ ერთის აღქმა ყოველთვის გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავს, ისე, რომ ერთი მარტოოდენ ერთად კი არა, თავის საპირისპიროდაც წარმოგვიჩნდება, აქ უკვე საჭირო ხდება განსჯა: საგონებელში ჩავარდნილი სული იძულებულია ეძებოს, თვითონვე აღძრას აზრი და თავის თავს ჰკითხოს – რა შეიძლება იყოს ერთი თავისთავად? ამრიგად, ერთის წვდომა არსის ჭვრეტად მიაქცევს სულს.

– ერთის აღქმა ჩვენში მართლაც ამ განცდებს იწვევს, რადგანაც ერთსა და იმავე საგანს ერთადაც აღვიქვამთ და უსასრულოდ მრავლადაც.

– მერედა, რაც ითქვა ერთზე, განა იგივე არ ითქმის ყველა სხვა რიცხვზედაც?

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ არითმეტიკა და ანგარიში ხომ მთლიანად რიცხვებს ეხება?

– დიახ.

– მაშასადამე, სწორედ მათ მივყავართ ჭეშმარიტებისაკენ.

– ასეა, – თქვა მან.

– მაგრამ ჩვენი მცველი ხომ ერთდროულად მეომარიცაა და ფილოსოფოსიც?

– დიახ.

– ამიტომ ეს ცოდნა სავალდებულო უნდა გავხადოთ, გლავკონ, და დავარწმუნოთ ყველა, ვისაც სურს უმაღლესი თანამდებობები დაიკავოს სახელმწიფოში, ანგარიშის ხელოვნებას დაეუფლონ, მაგრამ ზერელედ კი არა, არამედ მანამდე განაგრძონ სწავლა, ვიდრე წმინდა აზროვნებით არ შეიცნობენ რიცხვის ბუნებას, ოღონდ აღებ-მიცემობის გულისთვის კი არა, როგორც იქცევიან ვაჭრები და სოვდაგრები, არამედ სამომარი მიზნებისა და იმის გულისთვის, რომ სულს ქმნადობის სამყაროდან ჭეშმარიტებისა და არსის მიმართ მიქცევა გაუადვილონ.

– დიდებულად მსჯელობ.

– და მართლაც, ახლა, ანგარიშის ხელოვნების განხილვის შემდეგ, თვალნათლივ ვხედავ, რა დახვეწილი და მრავალმხრივ სასარგებლოა ჩვენი განზრახვისათვის, თუკი მას შემეცნების მიზნით ეუფლებიან და არა ვაჭრებივით.

– მაინც რითია სასარგებლო?

– იმით, რაზედაც ახლახანს ვლაპარაკობდით: გავიხსენოთ, რა ძალით მიაქცევს სულს უზენაესი სამყაროს მიმართ და აიძულებს თავისთავად რიცხვებზე იმსჯელოს, ისე, რომ ამ მსჯელობაში არამც და არამც არ ჩართოს ხილულ და ხელშესახებ საგანთა შესაბამისი რიცხვები. ხომ მოგეხსენება, როგორ დასცინიან ამ მეცნიერებაში გაწაფულნი და ზიზღით უარყოფენ ყოვლგვარ მცდელობას, რომელიც მიზნად ისახავს ნაწილებად დაყონ ერთი თავისთავად, მაგრამ თუ მაინც დაყოფ, ისინი კვლავ გააერთიანებენ მათ, რათა ერთი კვლავ ერთად ჩანდეს და არა ნაწილთა სიმრავლედ.

– მართალს ბრძანებ.

– როგორ გგონია, გლავკონ, მათთვის რომ გვეკითხა: ო, საოცარნო, რომელ რიცხვებზე ლაპარაკობთ, იმათზე ხომ არა, რომლებშიაც ერთი მართლაც ისეთია, როგორც თქვენ ფიქრობთ, ესე იგი, ყოველი ერთი ყველა სხვა ერთის ტოლია, არაფრით არ განსხვავდება მისგან და არავითარი ნაწილები არ გააჩნია?

– დიახ, როგორ გგონია, რას გვეტყოდნენ პასუხად?

– მე თუ მკითხავ, ისინი იმნაირ რიცხვებზე ლაპარაკობენ, რომელთა წვდომაც მხოლოდ აზრით თუ შეიძლება და სხვა გზით ვერანაირად ვერ მიუდგები.

– ხომ ხედავ, ჩემო კეთილო, ეს მეცნიერება შეიძლება მართლაც აუცილებელი აღმოჩნდეს ჩვენთვის, რამდენადაც აიძულებს სულს წმინდა აზროვნებას მიმართოს თავისთავადი ჭეშმარიტების გულისთვის.

– თანაც რა კარგად ახერხებს ამას.

– მაგრამ თუ შეგიმჩნევია, რა ადვილად ითვისებენ ყველა სხვა მეცნიერებას გამოთვლის ნიჭით დაჯილდოებულნი? თვით ისინიც კი, ძალიან მძიმედ რომ აზროვნებენ, გამოთვლის ხელოვნებაში სათანადო წვრთნისა და გაწაფვის შემდეგ, სხვას თუ არაფერს, იმის უნარს მაინც იძენენ, რომ სხვებზე გაცილებით უფრო ადვილად ეუფლებოდნენ ცოდნას.

– ასეა, – თქვა მან.

– თანაც, ჩემი აზრით, ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე სხვა საგანი, რომლის დაუფლებაც უფრო მეტ შრომას მოითხოვდეს ჩვენგან.

– რა თქმა უნდა.

– ყოველივე ამის გამო ვერასდიდებით ვერ უგულებელვყოფთ ამ მეცნიერებას; პირიქით, მისი მეშვეობით უნდა აღვზარდოთ საუცხოო ბუნებრივი მონაცემებით დაჯილდოებულნი.

– გეთანხმები.

– მაშასადამე, ესაა ჩვენს მიერ აღიარებული პირველი მეცნიერება; ახლა კი მეორეც განვიხილოთ, რომელიც პირველს უკავშირდება და ვნახოთ, საჭიროა თუ არა ჩვენთვის.

– გეომეტრიას ხომ არ გულისხმობ?

– დიახ, სწორედ გეომეტრიას.

– რამდენადაც ის გამოიყენება სამხედრო საქმეში, – თქვა მან, – რა თქმა უნდა, გვჭირდება. ბანაკის გაშლა იქნება, ხელსაყრელი ადგილის დაკავება, ლაშქრის დარაზმვა თუ გაშლა, ან სხვა საომარი მოქმედებები როგორც ბრძოლის ველზე, ისე ჯარის გადაადგილებისას, – ყოველივე ამას გეომეტრიის მცოდნე მხედართმთავარი გაცილებით უკეთ გაართმევს თავს, ვიდრე არმცოდნე.

– მაგრამ ამისთვის საკმარისი იქნებოდა გეომეტრიის სულ უმნიშვნელო ნაწილისა და ანგარიშის ცოდნაც. ჩვენ კი გვმართებს განვიხილოთ მისი უმთავრესი ნაწილი, გაცილებით უფრო ფართოდ რომ გამოიყენება, რათა დავრწმუნდეთ,

შეესაბამება თუ არა ის ჩვენს მიერ დასახულ მიზანს, ან რამდენად გვიწყობს ხელს იმაში, რომ უფრო ადვილად ვჭვრეტდეთ სიკეთის იდეას. რა თქმა უნდა, ხელს გვიწყობს, ვამტკიცებთ ჩვენ, რამდენადაც აიძულებს სულს მიიქცეს იმ სამყაროს მიმართ, რომელიც არის სავანე არსთა შორის უნეტარესი არსისა, ვის ხილვასაც დაუოკებლად უნდა მიელტვოდეს ყველა ჩვენგანი.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, თუ გეომეტრია ჭეშმარიტი არსის ჭვრეტად მიგვაქცევს, ის საჭიროა ჩვენთვის, ხოლო თუ ქმნადობის ჭვრეტად – არა.

– ცხადია.

– მაგრამ ვისაც ცოტა რამ მაინც გაეგება გეომეტრიისა, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ეს მეცნიერება აშკარად უპირისპირდება იმ ენას, რომელსაც იყენებენ მისი მიმდევრები.

– როგორ?

– ეს ენა ძალზე სასაცილოა და უცნაური; რადგანაც ისინი პრაქტიკოსებივით ლაპარაკობენ და მხოლოდ პრაქტიკულ მიზნებს ისახავენ. ამიტომაც ერთავად ეს აკერიათ პირზე – «ავაგოთ ოთხკუთხედი», «დავუშვათ მოცემულ ხაზზე», «მივუმატოთ» და ასე შემდეგ. არადა, ამ მეცნიერების მიზანი შემეცნებაა.

– რა თქმა უნდა.

– ერთშიაც ხომ არ შევთანხმდეთ?

– რაში?

– მისი მიზანი მარადიული არსებობის შემეცნებაა და არა იმისა, რაც იბადება და კვდება.

– გეთანხმები; გეომეტრია მართლაც მარადიული არსებობის შემეცნებაა.

– მაშასადამე, ის, ჩემო კეთილშობილო, ჭეშმარიტებისაკენ მიაქცევს სულს და ფილოსოფიურ აზრს აღვიძებს მასში, რის შედეგადაც ზეგრძნობადი სამყაროს საგნებისკენ მიმართავს ჩვენს მზერას, რომელიც ახლა, შეცდომით, გრძნობადი საგნებისკენ გვაქვს მიმართული.

– გეომეტრია ამ მხრივ მართლაც რომ დიდ ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე.

– ამიტომაც უნდა დავავალდებულოთ კალლიპოლისის მკვიდრნი, არამც და არამც არ უგულებელყონ ფილოსოფია, რომლის თვით გამოყენებით ნაწილსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

– კერძოდ?

– კერძოდ, იმას, რაზედაც შენ ლაპარაკობდი: მისი მნიშვნელობა ძალიან დიდია სამხედრო საქმეში და ბევრ სხვა დარგშიაც, ვისაც სურს საფუძვლიანად დაეუფლოს მათ. ჩვენ ხომ ვიცით, რა უზარმაზარი განსხვავებაა გეომეტრიის მცოდნეთა და არმცოდნეთა შორის.

– უზარმაზარი, ვფიცავ ზევსს.

– მაშასადამე, ესაა მეორე მეცნიერება, რომლის შესწავლასაც დავავალებთ ჩვენს ჭაბუკებს?

– დიახ.

– კეთილი; მაშინ მესამე ადგილს მივუჩენთ ასტრონომიას; რას იტყვი?

– გეთანხმები, რადგანაც წელიწადის დროების, თვეებისა თუ წლების მონაცვლეობაზე დაკვირვება სასარგებლოა არა მარტო მიწათმოქმედისა თუ ზღვაოსნის, არამედ მხედართმთავრისთვისაც.

– რა კარგი ვინმე ხარ, – ვუთხარი მე, – კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ გეშინია, ვაითუ ვინმემ დამწამოს, ფუჭი მეცნიერებების შესწავლას ავალებ ხალხსო. არადა,

თუმცა ძნელი კია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ირწმუნო, რომ ის მეცნიერებები, რომლებზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, თითქოს წმენდენ და სიცინცხლეს უბრუნებენ ადამიანის სულის გარკვეულ უნარს, რომელსაც ბევრი სხვა საქმიანობა აბლაგვებს და აჩლუნგებს, თუმცა მისი სისაღის შენარჩუნება გაცილებით უფრო ფასეულია, ვიდრე ათასი თვალის ქონა, რადგანაც მხოლოდ მისი მეშვეობით თუ იხილავ ჭეშმარიტებას. ვინც ამ აზრს იზიარებს, ალბათ, იტყვის, რომ მშვენივრად მსჯელობ, ხოლო ვისაც ამის წარმოდგენაც არ შეუძლია, ის, რა თქმა უნდა, იფიქრებს, რომ სისულელეს როშავ, რადგანაც დარწმუნებულია, რომ თუ მეცნიერება პრაქტიკულად უსარგებლოა, მასზე ლაპარაკიც არ ღირს. მაშ, ამთავითვე გადაწყვიტე, ამ ორი სხვადასხვა შეხედულების მქონე მსმენელიდან მაინც რომელს მიმართავ? თუ არც ერთის აზრს უწევ ანგარიშს და არც მეორისას და მხოლოდ შენთვის მსჯელობ? მაგრამ მაშინ იმის საწინააღმდეგო რა უნდა გქონდეს, რომ ვინმემ ამ შენი მსჯელობიდან თავისთვის სასარგებლო დასკვნა გამოიტანოს?

– მე მირჩევნია, აი, ასე, კითხვა-პასუხის საშუალებით ვმსჯელობდე, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის.

– მაშინ უკან დაიხიე, – ვუთხარი მე, – რადგანაც წეღან არასწორად ავირჩიეთ გეომეტრიის მომდევნო საგანი.

– როგორ? – იკითხა მან.

– სიბრტყეების შემდეგ ჩვენ ავიღეთ წრიულად მბრუნავი მყარი სხეულები, თუმცა ჯერ თავისთავად უნდა განგვეხილა ისინი, რადგანაც უფრო სწორი იქნებოდა ორი განზომილების შემდეგ მესამეს მივდგომოდით: მე ვგულისხმობ კუბებისა და სიღრმის მქონე ყველა სხვა სხეულის განზომილებას.

– სწორია, სოკრატე, – თქვა მან, – მაგრამ მე მგონია აქ ჯერ კიდევ არაფერი აღმოუჩენიათ.

– ორი სხვადასხვა მიზეზის გამო: ჯერ ერთი არცერთ სახელმწიფოში ამ მეცნიერებას სათანადოდ არ აფასებენ, და რაკი ძალიან ძნელია, ამიტომ სუსტადაა განვითარებული. ეგეც არ იყოს, მკვლევართათვის აუცილებელია ხელმძღვანელი, ვის გარეშეც მათი შრომა წყალში იყრება. მაგრამ ხელმძღვანელის პოვნა ადვილი საქმე როდია, თუმცა კიდევაც რომ იპოვნონ, თვით სწავლულები დღევანდელ ვითარებაში ისე არიან გაზულუქებულნი, რომ მაინც არ დაემორჩილებიან, მაგრამ მთელი სახელმწიფო ზრუნვას რომ არ აკლებდეს ამ მეცნიერებას და მხარს უჭერდეს ხელმძღვანელობას, მაშინ არა მარტო დაემორჩილებოდნენ, არამედ გამუდმებული და მკაცრი სიზუსტით წარმართული კვლევა-ძიების წყალობით ნათელსაც მოჰფენდნენ ბევრ საკითხს, ვინაიდან თვით დღესაც კი, როცა მას ზიზღით უყურებს ბრბო და გასაქანს არ აძლევს იმ მკვლევართა უმრავლესობა, რომელთაც თვითონ არ ესმით მისი მნიშვნელობა, ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც ვითარდება, იმდენად მომნუსხველია მისი ხიბლი. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ჯერჯერობით ამ დღეში ვხედავთ.

– მართლაცდა, მასში ბევრი რამაა მომნუსხველი. მაგრამ უფრო ნათლად ამიხსენი, რასაც ახლახანს მეუბნებოდი. შენ ჯერ დაასახელე გეომეტრია, ანუ სიბრტყეთა შემსწავლელი მეცნიერება, არა?

– დიახ.

– მერე კი – ასტრონომია, მაგრამ შემდეგ უკან დაიხიე.

– მე მინდოდა სასწრაფოდ განმეხილა ყველაფერი, მაგრამ რომ იტყვიან, მოჩქარეს მოუგვიანდესო, სწორედ ისე გამომივიდა. ეგეც არ იყოს, გეომეტრიას უშუალოდ ის მეცნიერება მოსდევს, სამგანზომილებიან სხეულებს რომ შეისწავლის,

მაგრამ რაკი მისი დღევანდელი მდგომარეობა ძალზე არასახარბიელოა, ამიტომაც გვერდი ავუარე და პირდაპირ ასტრონომიაზე, ანუ მყარ სხეულთა მოძრაობის შემსწავლელ მეცნიერებაზე გადავედი.

– მართალს ბრძანებ.

– ასე რომ, მეოთხე ადგილას ჩვენ დავაყენებთ ასტრონომიას; დღესდღეობით ის, ცოტა არ იყოს, მივიწყებულია, მაგრამ კვლავ აღორძინდება, თუკი სახელმწიფო მიაქცევს ყურადღებას.

– რა თქმა უნდა; მაგრამ რაკი წეღან მისაყვედურე, სოკრატე, რომ მე უგერგილოდ განვადიდე ასტრონომია, ამიტომ ახლა ვეცდები, შენ რომ მოგეწონება, ისე შევაქო. მე მგონია, ყველასთვის აშკარაა, რომ ის აიძულებს სულს მაღლა მიმართოს მზერა და მიწიდან ზეცისკენ მიუძღვის მას.

– იქნებ ყველასთვის აშკარაა, მაგრამ ჩემთვის კი არა.

– როგორ?

– თუ ასტრონომიას იმათი თვალსაზრისით შევხედავთ, ფილოსოფიურ მნიშვნელობას რომ ანიჭებენ მას, მაშინ ის მაღლა კი არა, პირიქით, დაბლა მიმართავს მზერას.

– რას გულისხმობ? – იკითხა მან.

– მე თუ მკითხავ, მშვენივრად ჩამოაყალიბე შენი წარმოდგენა უზენაესი სამყაროს შემსწავლელი მეცნიერების შესახებ. ალბათ, იმასაც ფიქრობ, რომ თუ კაცი თავს უკან გადაიგდებს, მოხატულ ჭერს მიაშტერდება და მისი შემყურე რაღაცას მაინც ამოიცნობს, ამას გონებით ახერხებს და არა მზერით. ჩემნაირ გულუბრყვილოს კი ვერასდიდებით ვერ დააჯერებ, თითქოს სულს სხვა რამე მიაქცევს უზენაესი სამყაროს მიმართ, გარდა იმ მეცნიერებისა, რომლის საგანიც არსი და უხილავი სინამდვილეა. მაგრამ თუ რაიმე გრძნობადის შესაცნობად პირდაღებულნი შესციცინებენ ცას, ან თვალმოჭუტულნი აშტერდებიან მიწას, ვერაფერსაც ვერ შეიცნობენ, რადგანაც არავითარი გრძნობადი შემეცნების საგნად არ გვევლინება, და სული, ამ შემთხვევაში, მაღლა კი არ იყურება, არამედ – დაბლა, თუნდაც გულაღმა იწვე მიწაზე, ან ზურგულით მიაპობდე ზღვას.

– მაგრად კი მომდექი, თუმცა ახია ჩემზე. მაგრამ შენი აზრით, დღევანდელობისაგან განსხვავებით, როგორ უნდა სწავლობდნენ ასტრონომიას, რათა მისი შესწავლა სასარგებლო იყოს ჩვენი მიზნისთვის?

– აი, როგორ: ცის თაღის მომხიბლავ სამკაულებს ჩვენ უნდა აღვიქვამდეთ ყველაზე ნატიფ და თვალწარმტაც სამშვენისებად ამნაირ საგანთა შორის; მაგრამ ისინი ახლოსაც ვერ მივლენ იმ უხილავ სამკაულთა სრულქმნილებასთან, თავიანთი მოძრაობითა და ამ მოძრაობის ჭეშმარიტი სისწრაფით თუ სიზანტით, თავიანთი ჭეშმარიტი ფორმითა თუ თანაფარდობით რომ ამოძრავებენ ყველაფერს, რასაც ცის თაღი მოიცავს. ყოველივე ეს მზერით კი არა, მხოლოდ გონებით და წმინდა აზრით მიიწვდომება; თუმცა იქნებ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

– არამც და არამც.

– მაშასადამე, ციურ სამკაულებს ისე უნდა ვიყენებდეთ უზენაესი სამყაროს შესაცნობად, როგორც გამოიყენებდა კაცი დედალოსისა თუ სხვა რომელიმე დიდოსტატის უებრო ხელოვნებით შექმნილ ნახაზებს, შემთხვევით რომ ჩავარდნოდა ხელში: გეომეტრიის მცოდნე ერთი შეხედვითაც აღიქვამდა მათ განსაცვიფრებელ სინატიფეს და სრულყოფილებას, მაგრამ სასაცილოდაც არ ეყოფოდა, თუ ვინმე დააპირებდა მათი მიხედვით შეეცნო ტოლობის, გაორმაგების თუ სხვაგვარ თანაფარდობათა ჭეშმარიტი ბუნება.

– მართლაც რომ სასაცილო იქნებოდა.

– მერედა, შენი აზრით, განა ჭეშმარიტი ასტრონომიც ამასვე არ განიცდიდა ვარსკვლავთა მოძრაობაზე დაკვირვებისას? მისთვისაც ცხადი იქნებოდა, რომ ცაც და ყოველივე ციურიც დემიურგოსმა უსრულყოფილესად მოაწესრიგა, მაგრამ რაც შეეხება დღის მიმართებას ღამისადმი, დღე-ღამისას – თვისადმი, თვისას – წლისადმი, ხოლო ვარსკვლავებისას – ყოველივე ამისა და ერთმანეთისადმი, როგორ გგონია, განა ის უაზრობად არ მიიჩნევდა არა მარტო იმის მტკიცებას, რომ ყველა ეს მიმართება მუდამ ერთი და იგივეა და არასოდეს არ იცვლება, არამედ იმის თავგამოდებულ მცდელობასაც, რომ აქ ჭეშმარიტებისათვის მიეღწიათ, მაშინ როდესაც ზემოხსენებული მიმართებები ხილულ და სხეულებრივ საგანთა მიმართებებია?

– ყველაფერს ვეთანხმები, რაც ახლა მოვისმინე.

– ასე რომ, ასტრონომიასაც ისევე შევისწავლით, როგორც გეომეტრიას, ზოგად პრობლემათა მოშველიებით, და არც კი შევეხებით ციურ მოვლენებს, თუკი გვსურს სათანადოდ დავეუფლოთ ასტრონომიას და, ამრიგად, გამოვიყენოთ თავისი ბუნებით გონივრული და ჯერ კიდევ გამოუყენებელი ნაწილი ჩვენი სულისა.

– გვარიანად კი ართულებ ასტრონომების ამოცანას იმასთან შედარებით, რასაც ისინი დღეს აკეთებენ.

– მე მგონია, ამასვე დავუწესებთ სხვა მეცნიერებებსაც, თუკი გვსურს ნამდვილი კანონმდებლები გვერქვას; მაგრამ თუ შეგიძლია ჩვენთვის საჭირო კიდევ ერთი მეცნიერებაც გამახსენო?

– ასე სახელდახელოდ არ შემიძლია.

– მოძრაობა, ჩემი აზრით, ერთი კი არა, ბევრი სხვადასხვა სახისაა; მცოდნემ შეიძლება ყველაფერი ჩამოთვალოს, ჩვენ კი მხოლოდ ორი გვახსენდება.

– მაინც?

– გარდა ზემოხსენებულისა, არის კიდევ ერთი, მისი შესაბამისი.

– რომელს გულისხმობ?

– როგორც ჩვენი თვალი ასტრონომიისკენაა მიქცეული, ისე ყური – ჰარმონიულ თანახმიერებათა მოძრაობისკენ. ეს ორი მეცნიერება დები არიან, როგორც ამტკიცებენ პითაგორელები, და ჩვენც, გლავკონ, ალბათ, კვერს დავუკრავთ, არა?

– რა თქმა უნდა.

– რაკი ეს საკითხი არსებითია, ვეცდებით აქაც გავიზიაროთ მათი აზრი და სხვა მხრივაც, თუკი რაიმეს დასძენენ; მაგრამ, ასეა თუ ისე, მაინც ჩვენს აზრზე დავრჩებით.

– კერძოდ?

– ჩვენს აღსაზრდელებს არამც და არამც არ უნდა დავრთოთ რაიმე არასრულყოფილის ან იმის შესწავლის ნება, რასაც ჩვენს მიერ დასახული მიზნისაკენ არ მივყავართ, რომელსაც უნდა მიელტვოდეს ყველა; ამასვე ვამტკიცებდით წეღან ასტრონომიასთან დაკავშირებით. ნუთუ არ იცი, რომ ჰარმონიის მიმართაც იგივე შეცდომა მეორდება? აქაც, ვინ იცის, რამდენი შრომა იყრება წყალში, მხოლოდ იმიტომ, რომ მუსიკოსები მარტოოდენ სმენით აღქმული ბგერების გაზომვითა და მათი ურთიერთშედარებით იფარგლებიან.

– სასაცილოა, ღმერთმანი! ისე ყურდაცქვეტილნი ლაპარაკობენ «სიხშირეებზე», გეგონებათ მეზობლების საუბარს აყურადებენო. ზოგი ამტკიცებს, ორ ბგერას შორის შუათანასაც აღვიქვამთო; მათი აზრით, ესაა უმცირესი შუალედი, რომელსაც

საზომად უნდა იყენებდნენ. ზოგს კი, პირიქით, ის წინა ბგერების მსგავსი ჰგონია; თუმცა ერთნიც და მეორენიც სმენას გონებაზე მაღლა აყენებენ.

– ეტყობა, იმ ყოჩაღ მუსიკოსებს გულისხმობ, მოსვენებას რომ არ აძლევენ სიმებს და თითქოს საწამებლად ახვევენ კოჭზე. შემეძლო გამეგრძელებინა სიტყვა და იმაზეც მელაპარაკა, როგორ ადანაშაულებენ სიმებს, რანაირად უხათქუნებენ ხემს, ხან გმობენ, ხან კი მათი ჟღერით თავს იწონებენ, მაგრამ აღარ გავაჭიანურებ და ერთს დავსძენ მხოლოდ: აქ მათზე კი არ ვლაპარაკობ, არამედ იმ ხალხს ვგულისხმობ, რომლებსაც წეღან შევთავაზეთ ჰარმონიაზე ემსჯელათ. რადგან ისინი ზუსტად ისევე იქცევიან, როგორც ასტრონომები, რაკიღა რიცხვებს ეძებენ სმენით აღქმულ თანახმიერებებში, მაგრამ ზოგადი პრობლემის განხილვამდე კი ვერ მაღლდებიან და არც იმის გარკვევას ცდილობენ, თუ რომელი რიცხვები არიან ჰარმონიული და რომელი არა, ან რა იწვევს მათ შორის ამ განსხვავებას.

– განსაცვიფრებელ საქმეზე მსჯელობ.

– მართლაც რომ სასარგებლოა სიკეთისა და მშვენიერების საკვლევად, მაგრამ სრულიად უსარგებლოა, თუკი სხვა რამეს ვისახავთ მიზნად.

– რა თქმა უნდა.

– მე მგონია, თუ ჩვენს მიერ განხილული ყველა მეცნიერების შესწავლა მათ კავშირსა თუ ნათესაობას ცხადყოფს და იმასაც გვიმჟღავნებს, მაინც რა მხრივ უკავშირდებიან ერთმანეთს, – ისინი ხელს შეგვიწყობენ ჩვენს მიერ დასახული მიზნის მიღწევაში, თუ არა და, ტყუილად გავრჯილვართ.

– მეც ასე ვფიქრობ: მაგრამ ძალიან რთულ საკითხზე მსჯელობ, სოკრატე.

– საწყის ნაწილს გულისხმობ თუ სხვა რამესაც? ნუთუ არ იცი, რომ ყოველივე ეს მხოლოდ შესავალია იმ მელოდიისა, რომელიც ჩვენ უნდა ვისწავლოთ? თუ, შენი აზრით, ვინც ყველა ამ მეცნიერებაში გაწაფულია, ის არის დახვეწილი დიალექტიკოსიც?

– რა თქმა უნდა, არა, ვფიცავ ზევსს, ჩემს ნაცნობთა შორის იშვიათ გამონაკლისთა გარდა.

– კი მაგრამ, ვისაც არც ბჭობის თავი აქვს და არც მოსმენისა, განა ოდესმე შეიცნობს იმას, რისი ცოდნაც, ჩვენი აზრით, საჭიროა?

– ვერა, – თქვა მან.

– სწორედ ეს არის, გლავკონ, ის მელოდია, რომელიც გამოჰყავს დიალექტიკას. და თუმცა ის გონით საწვდომია, ხედვის უნარი ცდილობს მის მიბაძვას, მაგრამ ხედვა, ჩვენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, თავდაპირველად მიელტვის ცოცხალ არსებათა, შემდეგ – ვარსკვლავების და ბოლოს – თვით მზის აღქმას. ხოლო როდესაც ვინმე ცდილობს დიალექტის გზით, გრძნობათა შემწეობის გარეშე, მარტოოდენ გონების მეოხებით ჩასწვდეს ყოველი საგნის არსს და ვერაფერი შეაჩერებს, ვიდრე აზრით არ ამაღლდება სიკეთის არსის წვდომამდე, მაშინ ის აღწევს გონით საწვდომი სამყაროს მწვერვალს, ისევე, როგორც ხედვის უნარი – ხილული სამყაროისას.

– მართალს ბრძანებ.

– მერედა, განა დიალექტიკურს არ უწოდებენ ამ გზას?

– რა თქმა უნდა.

– სწორედ ესაა ბორკილებისაგან თავდახსნა, ლანდებიდან – ხატებათა და სინათლის მიმართ მიქცევა, მიწისქვეშეთიდან – მზისკენ აღმასვლა, ხოლო თუ ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია ცოცხალ არსებათა, მცენარეთა და მზის შუქის ჭვრეტა, უმჯობესია ღვთაებრივ ანარეკლთა თუ ნამდვილ საგანთა ლანდების ციმციმს

უმზერდე წყალში, ვიდრე ჩახჩახა მზის ხატის – ცეცხლის შუქით მღვიმის კედელზე მიფენილი ნამდვილი საგნების ხატებათა ლანდების ცეკვას. ამის უნარს კი გვანიჭებს ზემოხსენებულ მეცნიერებებში თავის გაწაფვა, ზეციური სინამდვილისა და არსთა შორის უსრულქმნილესის ჭვრეტად რომ მიაქცევს ჩვენი სულის ყველაზე მშვენიერ საწყისს, ისევე, როგორც ჩვენი სხეულის ყველაზე გამჭრიახი საწყისი – ჩვენი ხორციელი თვალი მაღლდება ამ ნივთიერ და ხილულ სინამდვილეში ყველაზე ნათელი საგნის ჭვრეტამდე.

– ეს, ჩემი აზრით, დასაშვებია, თუმცა ძალიან კი მიჭირს ამის დაშვება. მაგრამ, მეორეს მხრივ, არც ამის უარყოფა ჩანს ადვილი. ამიტომ – რაკი ამ საკითხს არა მარტო ახლა განვიხილავთ, არამედ შემდგომაც მრავალჯერ მივუბრუნდებით, – დავუშვათ, რომ საქმე მართლა ისეა, როგორც შენ ამბობ, საკუთრივ მელოდიაზე გადავიდეთ და ისევე განვიხილოთ იგი, როგორც მისი შესავალი განვიხილეთ. მაშ, გვითხარი, რა განასხვავებს დიალექტიკას, რა სახეებად განიყოფება, ან რა გზებს მისდევს იგი? რადგან ამ გზებს, როგორც ჩანს, იმ მიჯნამდე მივყავართ, რომლის მიღწევაც მოგზაურისთვის დასვენებას და მისი მგზავრობის დასასრულს მოასწავებს.

– მე კი მზადა ვარ, მაგრამ შენ რომ ვერ მომყვები, ჩემო ძვირფასო გლავკონ? არადა, იმის ხატებას კი არ იხილავდი, რაზედაც ახლა ვმსჯელობთ, არამედ – თვით ჭეშმარიტებას; ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. მართლა ასეა თუ არა ეს, ჯერჯერობით ნუ მოვყვებით ამის მტკიცებას; მაგრამ რაღაც ამდაგვარი რომ უნდა არსებობდეს, ეს კი შეგვიძლია დაჟინებით ვამტკიცოთ, არა?

– როგორც ჩანს.

– და არა მარტო ეს, არამედ ისიც, რომ მხოლოდ დიალექტიკა თუ უჩვენებს ამას ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ მეცნიერებებში გაწაფულს, სხვა გზით კი ეს შეუძლებელია.

– ამის მტკიცებაც ღირს.

– ალბათ, ვერავინ შეგვედავება იმაში, რომ არ არსებობს სხვა მეცნიერება, მეთოდურად რომ ცდილობდეს მოიხელთოს ყოველი საგნის არსი, რადგანაც ყველა სხვა ხელოვნება თავის საგნად ან კაცთა ვნებებსა თუ შეხედულებებს სახავს, ან ყველაფრის წარმოშობასა თუ ურთიერთშერწყმას, ანდა ბუნებრივ თუ ხელოვნურ საგანთა დაცვას. რაც შეეხება დანარჩენ ხელოვნებებსა თუ მეცნიერებებს, რომლებიც, ჩვენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, არსის გარკვეულ ნაწილს მაინც იხელთებენ, როგორც, მაგალითად, გეომეტრია და მისი მომდევნო მეცნიერებანი, ჩვენ ვხედავთ, რომ არსის მათეული აღქმა სიზმარეულ ჩვენებებს უფრო მოგვაგონებს, ცხადად კი ვერ ხედავენ და ვერც იხილავენ მას, ვიდრე, თავიანთ ვარაუდებს აყოლილნი, შეეცდებიან კვლავაც უცვლელად შეინარჩუნონ ისინი და მათი ღირებულების თაობაზე ანგარიშს ვერ ჩააბარებენ თავიანთ თავს. ვისაც საწყისის მაგივრობას უწევს ის, რაც არ იცის, ხოლო დანასკვად და შუალედურ წინადადებებად იყენებს ყოველივე იმას, რაც ერთმანეთს არ ერწყმის, შეიძლება ერთმანეთს კი მიუსადაგოს ისინი, მაგრამ აქედან ნამდვილად ვერ მიიღებს ცოდნას.

– ვერასდიდებით.

– მაშასადამე, დიალექტიკური მეთოდი ერთადერთია, ჰიპოთეზებს რომ უარყოფს და უშუალოდ პირველსაწყისამდე მაღლდება, რათა მყარად დააფუძნოს თავისი დასკვნები; ის თანდათან ათავისუფლებს ბარბაროსულ მწვირეში დანთქმულ სულიერ მზერას, რისთვისაც თანამგზავრებად და თანაშემწეებად იყენებს ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ ხელოვნებებს, თუმცა ჩვეულების ძალით, ზოგჯერ მეცნიერებებად ვიხსენიებდით მათ; მაგრამ აქ სხვა სახელწოდება იყო საჭირო, უფრო

ცხადი, ვიდრე «წარმოდგენა», მაგრამ უფრო ბუნდოვანი, ვიდრე «მეცნიერება». ზემოთ, აქა-იქ, «გონივრულ განსჯას» ვუწოდებდით მას. თუმცა, ჩემის აზრით, რა დროს სახელწოდებებზე დავაა, როცა განსახილველად წინ გვიძევს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ჩვენ შემოგთავაზეთ.

– მართლაც; მთავარია სახელწოდება ნათლად გამოხატავდეს იმას, რასაც აღნიშნავს.

– ასე რომ, წეღანდელისა არ იყოს, ჩვენთვის საკმარისი იქნება, თუ პირველ დანაყოფს მეცნიერებასა თუ ჭეშმარიტ ცოდნას ვუწოდებთ, მეორეს – გონივრულ განსჯას, მესამეს – რწმენას, მეოთხეს კი – მიმსგავსებას, ამ ორ უკანასკნელს, ერთად აღებულს, – წარმოდგენას, ხოლო პირველ ორს – აზროვნებას. წარმოდგენის საგანია ქმნადობა, აზროვნებისა კი – ჭეშმარიტი არსებობა. არსებობა ისე მიემართება ქმნადობას, როგორც აზროვნება – წარმოდგენას, და როგორც აზროვნება მიემართება წარმოდგენას, ისე მიემართება ცოდნა რწმენას, გონივრული განსჯა კი – მიმსგავსებას. ხოლო რაც შეეხება ორად გაყოფას – იმად, რასაც წარმოდგენით აღვიქვამთ და იმად, რასაც გონებით ვწვდებით, ისევე, როგორც თვითეულის მიმართებას მისი შესაბამისი საგნისადმი, ამის განხილვას შევეშვათ, გლავკონ, რათა თავიდან ავიცილოთ გაცილებით უფრო გრძელი მსჯელობა.

– მაგრამ ჩემთვის ისიც საკმარისია, რაც ახლა თქვი, რამდენადაც იმისი ძალი შემწევს, რომ შენ მოგდიო.

– მაშ, შენ დიალექტიკოსს უწოდებ იმას, ვისაც შეუძლია ყოველი საგნის არსს ჩასწვდეს? ხოლო ვისაც ამისი თავი არა აქვს, შენი აზრით, იმდენადვე აკლია ჭკუა, რამდენადაც არ შეუძლია თვითონვე გაიცხადოს ან სხვისთვის ცხადყოს ეს?

– რა თქმა უნდა.

– იგივე ითქმის სიკეთეზედაც. ვისაც არ შეუძლია ყოველივე დანარჩენისაგან განაცალკევოს და ასე განსაზღვროს სიკეთის იდეა; ვინც ისე მხნედ არ მიარღვევს დაბრკოლებებს, როგორც ბრძოლის ველზე, რათა უკუაგდოს ყველა საპირისპირო მოსაზრება, რომელიც არსის წვდომაზე კი არა, წარმოდგენაზეა დამყარებული; დიახ, ვინც ურყევ ლოგიკაზე დაყრდნობით შეუპოვრად არ მიიწევს წინ, ამნაირ კაცზე შენ, ალბათ, იტყვი, რომ ის არც ჭეშმარიტ სიკეთეს იცნობს და არც საერთოდ სიკეთეს; ხოლო თუ ის, ასე თუ ისე, მაინც ახერხებს მოიხელთოს სიკეთის ლანდი, წარმოდგენის მეოხებით ახერხებს და არა ცოდნის წყალობით. ამნაირი კაცი თვლემასა და სიზმარეულ ჩვენებებში ატარებს თავის ამქვეყნიურ სიცოცხლეს და გამოფხიზლებასაც ვერ ასწრებს, ისე ჩადის ჰადესში, რათა იქ სამუდამო ძილით იძინოს.

– ვფიცავ ზევსს,თამამად ვიტყვი ამას.

– მაგრამ, ადრე თუ გვიან, როცა მოგიწევს აღზარდო და განათლება მიაღებინო შენს შვილებს, რომლებსაც ჯერ მხოლოდ წარმოსახვით ელოლიავები, ალბათ, ნებას არ მისცემ მათ, ჯერ კიდევ შავი მონახაზებივით უნდილნი და უგუნურნი, მბრძანებლობდნენ და უმნიშვნელოვანეს საქმეებს წყვეტდნენ სახელმწიფოში.

– რა თქმა უნდა, არა.

– ალბათ, კანონით დაავალდებულებ მათ, უპირატესად იმნაირი განათლება შეიძინონ, რომლის წყალობითაც სრულყოფილად დაეუფლებიან კითხვა-პასუხის ხელოვნებას.

– დავავალდებულებ, შენთან ერთად.

– მაშ, ასე. ხომ არა გგონია, რომ დიალექტიკა აგვირგვინებს მთელ ცოდნას, და არ არსებობს ხელოვნება, რომელიც შეიძლებოდა მასზე მაღლა დაგვეყენებინა, რადგანაც ის არის ცოდნის უმაღლესი მწვერვალი.

– რა თქმა უნდა.

– ისღა დაგვრჩენია, განვსაზღვროთ, ვის აღვზრდით, ან როგორ აღვზრდით ამ გზით.

– ცხადია, – თქვა მან.

– თუ გახსოვს, რანაირი მმართველები ავირჩიეთ მათი პირველი არჩევისას?

– როგორ არ მახსოვს.

– კეთილი; მაშ, დარწმუნებული ბრძანდებოდე, რომ სწორედ მათნაირი ხალხი უნდა ავირჩიოთ: სანდონი, მამაცნი და, შეძლებისდაგვარად, წარმოსადეგნი; უნდა ვეძიოთ არა მარტო კეთილშობილნი და დარბაისელნი, არამედ ამნაირი აღზრდისათვის სათანადო ნიჭით ცხებულნიც.

– რა ნიჭს გულისხმობ?

– სწავლაში გამჭრიახნი უნდა იყვნენ, ჩემო კეთილო, და ადვილად ეუფლებოდნენ ცოდნას. რადგანაც სულებს გაცილებით უფრო აკრთობს მეცნიერებათა სირთულე, ვიდრე გიმნასტიკური ვარჯიშებისა. ვინაიდან ტანჯვა-წამება, რასაც ცოდნის შეძენა მოითხოვს, მით უფრო მტკივნეულია სულისათვის, რომ სხეული არ იზიარებს მას.

– მართალს ბრძანებ.

– ზუსტად ასევე, განა ჭეშმარიტებასთან მიმართებითაც სახიჩრად არ მივიჩნევთ სულს, რომელსაც ისე ძალიან სძულს ნებსითი სიცრუე, რომ ზიზღის გარეშე ვერც თავის თავში იტანს მას და ვერც სხვაში – აღშფოთების გარეშე, მაგრამ მაინც დასაშვებად მიაჩნია უნებური სიცრუე და არავითარ აღშფოთებას არ ავლენს მის მიმართ, არამედ ისე გორავს თავის საკუთარ უმეცრებაში, როგორც ღორი – წუმპეში.

– რა თქმა უნდა.

– რაც შეეხება კეთილგონიერებას, სიმამაცეს, დიდსულოვნებას და სიქველის ყველა სხვა სახეს, არანაკლები დაკვირვება სჭირდება იმას, რომ უკეთურისაგან გაარჩიო კეთილშობილი. ვინც მათ გარჩევას ვერ შესძლებს, სულერთია, სახელმწიფო იქნება თუ კერძო პირი, ამა თუ იმ საჭიროებისათვის ისე მიიწვევს კოჭლებსა და უკეთურებს, ვის – მეგობრებად და ვის – მმართველებად, რომ თვითონ ვერც კი შენიშნავს ამას.

– ჩვეულებრივ, ასედაც ხდება.

– ჩვენ კი სწორედ ამას უნდა ვერიდოთ. თუ ცოდნის დასაუფლებლად და სხეულის გასაკაჟებლად სულითა და ხორცით ჯანსაღ ხალხს შევარჩევთ, თვით სამართლიანობაც კი ვერაფერს გვისაყვედურებს და ჩვენ ურღვევად შევინარჩუნებთ სახელმწიფოს მთლიანობასაც და მის წყობილებასაც. ხოლო თუ საამისოდ უღირს ხალხზე შევაჩერებთ არჩევანს, საქმე უკუღმა წაგვივა და კიდევ უფრო მწარე დაცინვის საგნად ვაქცევთ ფილოსოფიას.

– მართლაც რომ სირცხვილს ვჭამდით, – თქვა მან.

– რა თქმა უნდა; მაგრამ მე მგონია ახლავე აღმოვჩნდი სასაცილო მდგომარეობაში.

– რატომ?

– დამავიწყდა, რომ ეს თამაშია და, ცოტა არ იყოს, ხმას ავუწიე; თანაც ერთავად ფილოსოფიაზე მეჭირა თვალი და ვხედავდი, როგორ ამცირებენ. ამიტომაც აღშფოთებით შევუტიე მის აბუჩად ამგდებთ და უკმეხად გამომივიდა, რაცა ვთქვი.

– ვფიცავ ზევსს, მე, როგორც ერთი შენი მსმენელი, სხვა აზრისა ვარ.

– მე კი, როგორც რიტორი, ვერ დაგეთანხმები. ასეა თუ ისე, ნუ დავივიწყებთ, რომ ხანდაზმულებზე შევაჩერეთ ჩვენი პირველი არჩევანი, ახლა კი ვხედავთ, რომ შევცდით. მართლაცდა, ხომ ვერ ვერწმუნებით სოლონს – ხანში შესული ბევრ რამეს სწავლობსო? პირიქით, ხანდაზმულს კიდევ უფრო ნაკლებ შესწევს სწავლის უნარი, ვიდრე სირბილისა. ასე რომ, ყველაზე დიდ და მრავალრიცხოვან საქმეთა აღმსრულებლად ახალგაზრდობა უნდა მიგვაჩნდეს.

– უცილობლად, – თქვა მან.

– მაშასადამე, არითმეტიკის, გეომეტრიისა და სხვა მეცნიერებათა ცოდნა წინ უნდა უსწრებდეს დიალექტიკის შესწავლას, ასე რომ, ახალგაზრდები ბავშვობაშივე უნდა ეუფლებოდნენ მათ, მაგრამ ყოველგვარი იძულებისა თუ ძალდატანების გარეშე.

– ვითომ რატომაო?

– იმიტომ, რომ თავისუფალი ადამიანი მონასავით როდი უნდა ეუფლებოდეს ცოდნას. როცა სხეულს სიძნელეთა დაძლევას აჩვევენ, ამით ის სულაც არ ხდება უარესი, მაგრამ სულში ძალით ჩანერგილი ცოდნა არამყარია.

– ამას კი მართალს ამბობ.

– ამიტომ, ჩემო კეთილშობილო, შენს შვილებს ძალდატანებით კი არა, თამაშით უნდა ასწავლიდე, რასაც ასწავლი, თუ გინდა უკეთ ადევნო თვალყური თვითეულის ბუნებრივ მიდრეკილებებს.

– ჭკვიანურია.

– თუ გახსოვს, ჩვენ ვამბობდით, რომ ბავშვები ცხენებზე უნდა შეგვესხა და თან გვეახლა ომში, რათა ბრძოლის ქარცეცხლისთვის შორიდან ედევნებინათ თვალი, ხოლო თუ საფრთხე ნაკლები იყო, ახლოსაც მიგვეშვა, რომ ლეკვებივით ეგემათ სისხლი.

– როგორ არ მახსოვს.

– და ვინც ყოველივე ამაში – გარჯაში, სწავლასა თუ განსაცდელში ყველაზე უკეთ გამოიჩენდა თავს, ცალკე სიაში შეგვეტანა.

– რა ხნისანი?

– როცა უკვე თავს ანებებენ სავალდებულო საწვრთნელ ვარჯიშებს; რადგანაც ამ ხნის განმავლობაში – სულერთია, ორ წელიწადს გრძელდება თუ სამს, – არასდიდებით არ შეუძლიათ სხვა რამეშიც იმეცადინონ: დაღლილობა და ძილი მეცადინეობის მტრები არიან. თან ესეც ხომ საკმაოდ ძნელი გამოცდაა: რანაირად გამოიჩენენ თავს საწვრთნელ ვარჯიშებში.

– ცხადია, – თქვა მან.

– ამ დროის გასვლის შემდეგ ოცი წლის ჭაბუკებიდან გამორჩეულთ უფრო მეტ პატივს მიაგებენ, ვიდრე დანარჩენებს, ხოლო იმ მეცნიერებებს, ბავშვობაში ცალ-ცალკე რომ ასწავლიდნენ, გარკვეულწილად გააერთიანებენ, რათა თვალნათლივ უჩვენონ შეგირდებს მათი ნათესაობა როგორც ერთურთის, ისე არსის ბუნების მიმართ.

– მხოლოდ ამ გზით შეძენილი ცოდნა იქნება მყარი.

– სწორედ ესაა ყველაზე დიდი გამოცდა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დავადგინოთ, ვინაა თავისი ბუნებით დიალექტიკოსი და ვინ არა. ვისაც შეუძლია ყველაფერი ერთობლივად მოიცვას მზერით, დიალექტიკოსია, ხოლო იმას, ვისაც ამის უნარი არ შესწევს, ვერც ჩვენ მივიჩნევთ დიალექტიკოსად.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა მან.

– ჰოდა, სწორედ შენ უნდა განსაზღვრო, ვინაა ყველაზე უკეთესი ამ მხრივ და ვინ უფრო უდრეკი იქნება მეცნიერების დაუფლებისას, ბრძოლის ველზე თუ ყოველივე იმის აღსრულების დროს, რასაც ვალად გვიწესებს კანონი. ოცდაათი წლისანი რომ გახდებიან, მათ შორის ხელახლა უნდა მოახდინო არჩევანი, ხოლო რჩეულებს კიდევ უფრო მეტი პატივი უნდა მიაგო და გამოსცადო, ვინ რისი მაქნისია დიალექტიკაში, ან ვის შესწევს ხედვისა თუ სხვა შეგრძნებათა შემწეობის გარეშე ჭეშმარიტ არსამდე ამაღლების უნარი. მაგრამ აქ, ჩემო მეგობარო, დიდი სიფრთხილე გვმართებს.

– ვითომ რატომაო?

– ნუთუ არ შეგიმჩნევია ის ბოროტება, დღეს რომ ემუქრება დიალექტიკას და ესოდენ ღრმად გაიდგა ფესვი?

– რა ბოროტებას გულისხმობ?

– რასა და, იმას, რომ დიალექტიკის მიმდევრებში უკანონობა ისადგურებს.

– მართლაც.

– მერედა, გიკვირს მათი მდგომარეობა? როგორ გგონია, იმსახურებენ თუ არა მიტევებას?

– რა მხრივ?

– ავიღოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ, მრავალრიცხოვან, მდიდარსა და კეთილშობილურ ოჯახში მიგდებული ბავშვი იზრდება. აქ მას ყოველნაირად ანებივრებენ. მაგრამ როცა წამოიზრდება, გაიგებს, რომ ვინც მშობლებად მიაჩნდა, თურმე უცხონი ყოფილან, ნამდვილ მშობლებს კი ვერ პოულობს. თუ შეგიძლია გამოიცნო მისი დამოკიდებულება, ერთის მხრივ, იმ ხალხისადმი, ვინც ანებივრებს, მეორეს მხრივ კი – დედობილ-მამობილის მიმართ, ჯერ ერთი, მაშინ, როცა არ იცოდა, მიგდებული რომ იყო, და მეორეც, მას შემდეგ, რაც გაიგებს ამას. ანდა, თუ გნებავს, მე გეტყვი, როგორ წარმოგიდგენია ეს?

– ცხადია, მნებავს.

– წინასწარ ვხედავ, რომ, ვიდრე სიმართლე არ გაუგია, უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობა დედ-მამას და ნათესავებს, ვიდრე იმათ, ვინც თავს ევლება და ელოლიავება. ნაკლებ დაუდევრობას გამოიჩენს გასაჭირში ჩავარდნილ ახლობელთა მიმართ, ნაკლებად ატკენს გულს სიტყვით თუ საქმით და ნაკლებად ეურჩება მათ, ვიდრე იმ ხალხს, ვინც ანებივრებს.

– ალბათ.

– მაგრამ მას შემდეგ, რაც სიმართლეს გაიგებს, მე მგონია საგრძნობლად იკლებს მისი პატივისცემა და ყურადღება ახლობლების მიმართ, და, პირიქით, იმატებს იმათ მიმართ, ვინც ანებივრებს, რომლებსაც უფრო მეტად დაემორჩილება, ვიდრე უწინ, ყურად იღებს მათ რჩევას და აშკარად დაიჭერს მათ მხარეს, მამობილსა და ყოფილ ნათესავებზე კი საერთოდ აღარ იზრუნებს, თუ ბუნებით უაღრესად კეთილი კაცი არ არის.

– ყველაფერი ისე მოხდება, როგორც შენ ამბობ, მაგრამ რა საერთო აქვს შენს მაგალითს დიალექტიკის მიმდევარ ხალხთან?

– აი რა: სამართლიანობასა და მშვენიერებაზე ჩვენ, მშობლების ზეგავლენით, ბავშვობაშივე გვიყალიბდება გარკვეული შეხედულებები, მშობლებისა, რომლებსაც პატივს ვცემთ და ვემორჩილებით.

– მართლაც.

– მაგრამ ამ შეხედულებებს უპირისპირდებიან მაცთური წარმოდგენები, საამოდ რომ ელამუნებიან სულს. თუმცა თავდაჭერილი ხალხი არ აჰყვება მათ მაცთურ ხიბლს და როგორც მამაპაპურ შეხედულებათა ერთგული კიდევაც ემორჩილება მათ.

– ასეა.

– კეთილი; მოდი, ვკითხოთ ამნაირად განწყობილ კაცს, რა არის მშვენიერება: ისე გვიპასუხებს, როგორც უსწავლია კანონმდებლისგან, მაგრამ თუ შემდგომი მსჯელობისას მრავალგზის და მრავალნაირად უარყოფენ და აბათილებენ მის აზრს, ამ კაცს შეიძლება ვაფიქრებინოთ, რომ მშვენიერება სულაც არ არის უფრო მშვენიერი, ვიდრე სიმახინჯე, და ასეთსავე შეცდომას დავაშვებინებთ სამართლიანობასთან, სიკეთესა და ყოველივე იმასთან მიმართებით, რასაც უწინ განსაკუთრებით აფასებდა. ამის შემდეგ, როგორ გგონია, რა მოუვა მის პატივისცემას და მორჩილებას?

– ცხადია, აღარც უწინდელი პატივისცემის გრძნობა შერჩება და არც მორჩილებისა.

– მაგრამ თუ ყოველივე ამას აღარ მიიჩნევს პატივისცემის ღირსად და ფასეულად, ჭეშმარიტებას კი ვეღარ მიაკვლევს, საკითხავია, ცხოვრების რანაირ წესს მიუბრუნდება, თუ არა იმას, რაც საამოდ ელამუნება მის პატივმოყვარეობას?

– ყოველივე სხვა გამორიცხულია.

– ასე რომ, ჩემი აზრით, კანონთა დამრღვევად მოგვევლინება, თუმცა ადრე განუხრელად იცავდა მათ.

– უცილობლად.

– მაშასადამე, ამნაირი მდგომარეობა ბუნებრივია დიალექტიკის მიმდევართათვის, და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი სავსებით იმსახურებენ მიტევებას.

– და სიბრალულსაც.

– ამრიგად, ოცდაათწლიანებმა ამნაირი სიბრალული რომ არ აღგვიძრან, ისინი დიდი სიფრთხილით და წინდახედულებით უნდა ვაზიაროთ დიალექტიკას?

– რა თქმა უნდა.

– განა სიფრთხილის ერთი ამნაირი საშუალება ის არ იქნება, რომ სიყრმეშივე არ იგემონ დიალექტიკის სიტკბო? ალბათ შეგინიშნავს: როგორც კი გემოს გაუსინჯავენ დიალექტიკას, ყმაწვილები ცდილობენ სათამაშოდ და თავშესაქცევად გამოიყენონ იგი, წინააღმდეგობებით გატაცებულნი რომ ბაძავენ მის უარმყოფელთ, რათა თვითონვე უარყონ ისინი, და თანაც იმით ტკბებიან, რომ თავიანთი საბუთებით ლეკვებივით ძიძგნიან ყველას, ვისაც კი საკბენად მოიხელთებენ.

– ტკბებიან და მერე როგორ.

– მას შემდეგ, რაც თვითონ უარყოფენ მრავალს და მრავალი, თავის მხრივ, უარყოფს მათ, ისინი უკვე სწრაფად აქცევენ ზურგს ყოველივე იმას, რაც მანამდე სწამდათ, ეს კი ხალხის თვალში ჩირქსა სცხებს მათაც და ფილოსოფიის მთელ საგანსაც.

– მართალს ბრძანებ, – თქვა მან.

– უფრო ხნიერი კი არ ისურვებს მონაწილეობა მიიღოს ამ სიშლეგეში; პირიქით, უმალ იმ კაცს მიბაძავს, ვისაც სურს ჭეშმარიტებას მიაღწიოს დავისა და კამათის გზით, ვიდრე იმას, ვინც მხოლოდ თავშექცევისა თუ თამაშის გულისთვის უარყოფს მოპირისპირის მოსაზრებებს. ის თვითონაც თავდაჭერილია და კი არ ამდაბლებს, პირიქით, ხალხის თვალში ფასს ჰმატებს ფილოსოფიას.

– სწორია.

– განა სიფრთხილის ზომებს არ ეკუთვნის ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა: დიალექტიკოსებად შეიძლება აღვზარდოთ მხოლოდ მტკიცე და თავდაჭერილი ხალხი, ესე იგი, იმის საპირისპიროდ ვიქცევით, რასაც დღეს ვხედავთ, როცა დიალექტიკის დაუფლების ნებას აძლევენ ყველას, ვისთვისაც ღმერთს არ მიუცია ამისი ნიჭი.

– რა თქმა უნდა.

– იმასთან შედარებით, ვინც გიმნასტიკური ვარჯიშებით იკაჟებს სხეულს, საკმარისი იქნება თუ არა ორჯერ მეტი დრო დიალექტიკის დასაუფლებლად, თუ ამის გარდა სხვას არაფერს აკეთებს კაცი?

– ექვს წელიწადს გულისხმობ თუ ოთხს?

– ეგ სულერთია; თუნდაც ხუთი იყოს. შემდგომ ამისა, შენ აიძულებ მათ კვლავ დაუბრუნდნენ მღვიმეს და სახელმწიფო თანამდებობები დაიკავონ: როგორც სამხედრო, ისე ყმაწვილკაცთა შესაფერის სხვა მოვალეობათა შესრულებას მიჰყონ ხელი, რათა არავის ჩამოუვარდებოდნენ გამოცდილებით. ეგეც არ იყოს, ამით კიდეც გამოსცდი მათ: გაუძლებენ ათასნაირ საცთურს თუ ვერა.

– საამისოდ რამდენ წელს აძლევ?

– თხუთმეტს. ხოლო როცა ორმოცდაათს მიუკაკუნებენ, მაშინ ისინი, ვინც ღირსეულად გაუძლო გამოცდას და როგორც საქმეში, ისე მეცნიერებაშიც გამოიჩინა თავი, უკვე თავიანთი საბოლოო მიზნის ხორცშესხმას უნდა შეუდგნენ: უნდათ თუ არა, უზენაესი არსის მიმართ აღაპყრონ თვალი, არსისა, სინათლეს რომ ჰფენს ყველაფერს, ხოლო მას შემდეგ, რაც იხილავენ უზენაეს სიკეთეს, ნიმუშად დასახონ იგი და სიცოცხლის მთელი დანარჩენი დროის მანძილზე მისი მიხედვით მოაწესრიგონ სახელმწიფოს, კერძო პირთა თუ თავიანთი პირადი ცხოვრება. ისინი ფილოსოფიის შესწავლაში გაატარებენ სიცოცხლის უმეტეს ნაწილს, ხოლო როცა რიგი მოუწევთ, სახელმწიფო თანამდებობებს დაიკავებენ და საზოგადო ცხოვრების მოწესრიგებას მიჰყოფენ ხელს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ეს დიდებულ საქმიანობად მიაჩნიათ, არამედ იმიტომ, რომ ასე სჭირდება ქვეყანას. ასე, უწყვეტი რუდუნებით თავიანთ მსგავსად რომ აღზრდიან მოქალაქეებს, რათა მათ გადააბარონ სახელმწიფოს დაცვა, თვითონ ნეტართა კუნძულებს მიაშურებენ საცხოვრებლად. სახელმწიფო ძეგლებს აუგებს ამ ღვაწლმოსილთ და მათ სახსოვრად, როგორც უკვდავი ღვთაებებისა, დააწესებს მსხვერპლშეწირვას, თუკი პითია დაადასტურებს ამას, თუ არა და, მაშინ მათ ისე შესწირავენ მსხვერპლს, როგორც ნეტარსა და ღვთაებრივ ხალხს.

– რა მშვენივრად გამოძერწე ეგ შენი მმართველები, სოკრატე, ნამდვილი მოქანდაკეც ვერ შესძლებდა უკეთესად.

– მმართველი ქალებიც, გლავკონ: რაც მე ვთქვი, ქალებსაც ისევე ეხება, როგორც კაცებს; მართალია, მხოლოდ იმ ქალებს, რომლებსაც საამისოდ ბუნებრივი მონაცემები მოეძებნებათ.

– სწორია, – თქვა მან, – რაკიღა, ჩვენი შეთანხმებისამებრ, ერთთაც და მეორეთაც თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ ყველაფერში.

– კეთილი და პატიოსანი; ახლა მაინც ხომ აღიარებთ, რომ ფუჭი აზრები როდი გამოგვითქვამს სახელმწიფოსა და მის წყობილებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, მათი ხორცშესხმა ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი; როცა სახელმწიფოს სათავეში ჭეშმარიტი ფილოსოფოსები ჩაუდგებიან, – გნებავთ, ერთი და გნებავთ მრავალი, – მათ თვალში ფასი დაეკარგება ყველა იმ პატივს, დღეს ასე ხარბად რომ მიელტვიან, რადგანაც თავისუფალი კაცისთვის უღირსად და უფასურად მიიჩნევენ მათ, მაშინ

როდესაც გაცილებით უფრო მაღლა დააყენებენ მოვალეობის პირნათლად მოხდას და უანგარობის ჯილდოს – ღირსებას. ყველაზე დიდ ფასეულობად კი დასახავენ სამართლიანობას, რომელსაც ერთგულად ემსახურებიან და რომლის მიხედვითაც ეცდებიან მართონ ქვეყანა.

– როგორ?

– იმათ, ვინც ჩვენს სახელმწიფოში ათ წელზე მეტი ხნისაა, სოფლებში გაგზავნიან, დანარჩენებს კი დღევანდელ ზნე-ჩვეულებებს განარიდებენ, რაც ნიშნეულია მათი მშობლებისათვის, და ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ კანონთა მიხედვით აღზრდიან. ამ გზით სახელმწიფოში ყველაზე უფრო ადვილად დამყარდება ის წყობილება, ჩვენ რომ მოვხაზეთ; სახელმწიფოც აყვავდება და მისი მოქალაქეებიც ბედს ეწევიან.

– რა თქმა უნდა; ჩემის აზრით, კარგად ახსენი, სოკრატე, რანაირად შეიძლება ამის ხორცშესხმა.

– ასე რომ, ჩვენ საკმარისად ვილაპარაკეთ ამ სახელმწიფოზეც და მის მინამგვან ადამიანებზედაც; ხომ ცხადია, როგორიც უნდა იყოს იგი.

– დიახ, ცხადია. და, შენი თქმისა არ იყოს, ეს საკითხი ამოწურულად უნდა მიგვაჩნდეს.

წიგნი მერვე

– კეთილი; ჩვენ უკვე შევთანხმდით, გლავკონ, რომ სანიმუშო წყობილების მქონე სახელმწიფოში ცოლები საერთონი უნდა იყვნენ, ისევე, როგორც შვილები, რომლებსაც ასევე ერთად უნდა ზრდიდეს სახელმწიფო. საერთო იქნება ყოველგვარი საქმიანობა, როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროსაც, ხოლო ყველაფრის მბრძანებლები უნდა იყვნენ ისინი, ვინც ფილოსოფიაშიც და ომშიაც ყველაზე უკეთ გამოიჩინა თავი.

– დიახ, შევთანხმდით.

– იმაზედაც შევუთანხმდით ერთიმეორეს, რომ მმართველები თანამდებობებზე დანიშვნისთანავე ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ სახლებში დააბინავებენ მეომრებს, რომლებსაც არავითარი საკუთრება არ უნდა ჰქონდეთ, არამედ ყველაფერი საერთო იქნება ყველასათვის. თუ გახსოვს, ისიც დავადგინეთ, გარდა საცხოვრებელი ბინებისა, კიდევ რისი მფლობელნი შეიძლება იყვნენ.

– როგორ არ მახსოვს: ჩვენ შევთანხმდით, რომ ისინი არ უნდა ფლობდნენ არაფერს ისეთს, რასაც დღევანდელი მეომრები ფლობენ, არამედ, როგორც ბრძოლის ველზე მოასპარეზე ათლეტები და მცველები, სათანადო საზღაურს უნდა იღებდნენ მოქალაქეებისაგან მთელი წლის სამყოფი სურსათ-სანოვაგის სახით, მათ მოვალეობას კი სახელმწიფოს დაცვა შეადგენს.

– მართალი ხარ. მაგრამ რაკი ეს საკითხი ამოიწურა, მოდი, გავიხსენოთ, რაზე ვლაპარაკობდით წეღან, როცა სათქმელს გადავუხვიეთ, – რათა კვლავაც უწინდელ გზას მივდიოთ.

– ადვილი გასახსენებელია, – თქვა გლავკონმა, – როცა სახელმწიფოზე მსჯელობას მორჩი, შენ დაახლოებით იგივე თქვი, რასაც ახლა ამბობ: მე მგონია, ჩვენს

მიერ განხილული სახელმწიფოცა და მისი მინამგვანი ადამიანიც კარგია, თუმცაღა შემეძლო უკეთესი სახელმწიფოცა და მისი მინამგვანი ადამიანიც მეჩვენებინაო. მაგრამ რაკი ეს სახელმწიფო კარგია, – იქვე დასძინე, – ყველა დანარჩენი სახელმწიფოებრივი წყობილება მანკიერი იქნებაო.

თუ არა ვცდები, შენ ისიცა თქვი, რომ არსებობს მანკიერი სახელმწიფოებრივი წყობილების ოთხი სხვადასხვა სახე, რომლებიც განხილვის ღირსად მიგაჩნდა, რათა თვალნათლივ დავრწმუნებულიყავით მათ მანკიერებაში, და იგივე თქვი მათ შესატყვის ადამიანებზედაც, რომლებიც ასევე განხილვის ღირსად სცანი, რათა აგვეღო ყველაზე უკეთესი და ყველაზე უარესი ადამიანი და, ამრიგად, საშუალება გვქონოდა გვემტკიცებინა, რომ ყველაზე უკეთესი ადამიანი ყველაზე ბედნიერია, ყველაზე უარესი კი – ყველაზე უბედური, ან, იქნებ, პირიქითაც ყოფილიყო საქმე. როდესაც გკითხე, სახელმწიფოებრივი წყობილების მაინც რა ოთხ სახეს გულისხმობ-მეთქი, პოლემარქემ და ადიმანტემ გაგვაწყვეტინეს სიტყვა, და შემდეგ შენ უკვე მათ ესაუბრებოდი, ვიდრე ამ საკითხს არ მივადექით.

– ყველაფერი ზუსტად გხსომებია, – ვუთხარი მე.

– ერთი სული მაქვს გავიგო, სახელმწიფო წყობილების რომელ ოთხ სახეზე ლაპარაკობდი.

– სულ ადვილად შეგისრულებ მაგ სურვილს, – ვუთხარი მე, – რადგანაც ყველა ეს სახე კარგადაა ცნობილი. უმრავლესობა კრეტულ-ლაკედემონურ წყობილებას ამჯობინებს; ამ მხრივ, მეორე ადგილზეა ოლიგარქია: ეს წყობილება ათასი უკეთურებითაა სავსე. ოლიგარქიისაგან დასაბამს იღებს მისი საპირისპირო დემოკრატია. სამივესაგან განსხვავებული სახელგანთქმული ტირანია – აი, სახელმწიფოს მეოთხე და უკანასკნელი სნეულება. ან იქნებ შენ სხვა სახელმწიფო წყობილებასაც იცნობ, რომელიც შეიძლება ცალკე სახედ იქნეს მიჩნეული? რადგანაც მემკვიდრეობით მიღებულ ძალაუფლებასა თუ ფულით ნაყიდ მეუფებას ერთგვარი შუალედური ადგილი უჭირავთ ზემოხსენებულ წყობილებათა შორის და ბარბაროსებისათვის უფრო ნაკლებ ნიშნეულნი როდი არიან, ვიდრე ბერძნებისათვის.

– ამის შესახებ მართლაც ბევრ უცნაურ რამეს ყვებიან.

– მაშ, იცოდე, რომ სხვადასხვა ადამიანს, უცილობლად, სულიერი წყობის იმდენი სხვადასხვა სახე აქვს, რამდენი სახის სახელმწიფოებრივი წყობილებაც არსებობს. ან, იქნებ, გგონია, რომ სახელმწიფოებრივი წყობილებანი ღმერთმა იცის, რისაგან – მუხისა თუ ქარაფისგან იღებენ დასაბამს და არა მათთვის ნიშნეული ზნე-ჩვეულებებისაგან, რომლებიც განაპირობებენ ყველაფერს, რადგანაც უპირატესობა მათ მხარესაა.

– არა, – თქვა მან, – ისინი მხოლოდ აქედან თუ შეიძლება იღებდნენ დასაბამს.

– მაშასადამე, რაკი არსებობს სახელმწიფოებრივი წყობილების ხუთი სხვადასხვა სახე, უნდა არსებობდეს ხუთი სხვადასხვა სულიერი წყობა.

– უცილობლად.

– ჩვენ უკვე განვიხილეთ არისტოკრატიული წყობილების შესატყვისი ადამიანი და მართებულად მივიჩნიეთ ის კეთილად და სამართლიანად.

– დიახ, განვიხილეთ.

– ახლა კი გვმართებს უარესნიც, ესე იგი, ძლევის მოსურნენი და პატივმოყვარენი, ანუ ლაკედემონური წყობილების შესატყვისი ადამიანებიც განვიხილოთ, ხოლო შემდეგ – ოლიგარქიულ, დემოკრატიულ და ტირანიულ წყობილებათა შესაბამისნი, რათა გამოვიცნოთ მათ შორის ყველაზე უსამართლო, ყველაზე სამართლიანს დავუპირისპიროთ და ამით დავასრულოთ იმ საკითხის

განხილვა, თუ რა თანაფარდობა არსებობს წმინდა სამართლიანობასა და წმინდა უსამართლობას შორის ამ თვისებების მტვირთველ ადამიანთა ბედნიერებისა თუ უბედურების თვალსაზრისით, რის შედეგადაც ჩვენ ან გავიზიარებთ თრასიმაქეს აზრს და უსამართლობის გზას დავადგებით, ან იმ დასკვნამდე მივალთ, რომელიც უკვე ნათლად იკვეთება, და სამართლიანობის ერთგული მსახურნი ვიქნებით.

– რასაკვირველია, ასე უნდა მოვიქცეთ.

– რაკიღა საქმე კერძო პირთა კი არა, სახელმწიფოების ზნე-ჩვეულებათა განხილვით დავიწყეთ, რადგანაც ჩვენთვის ეს გზა უფრო ცხადია, მოდი, ახლაც თავდაპირველად პატივმოყვარეობაზე დაფუძნებული წყობილება (სხვა სიტყვა ვერ მიპოვია, სულერთია, «ტიმოკრატიას» ვუწოდებთ მას თუ «ტიმარხიას») და მისი შესაბამისი ადამიანიც განვიხილოთ, მერე – ოლიგარქია და ოლიგარქიული ადამიანი, შემდეგ დემოკრატიასა და დემოკრატიულ ადამიანსაც მოვავლოთ თვალი და, ბოლოს, ტირანულ სახელმწიფოსაც მივადგეთ და მასთან ერთად ტირანული ადამიანიც განვსაზღვროთ. ამრიგად, ვეცდებით მართებულად განვიხილოთ ჩვენს წინაშე წამოჭრილი ყველა საკითხი.

– ამნაირი განსჯაც მართებული იქნებოდა და განხილვაც.

– კეთილი; მაშ, მოდი, ვნახოთ, რანაირად შეიძლება არისტოკრატიული მმართველობიდან დასაბამს იღებდეს ტიმოკრატიული წყობილება. იქნებ, სულ ადვილად, რაკიღა სახელმწიფოში ყოველგვარ ცვლილებას მისი ის ნაწილი განაპირობებს, შინააშლილობისას რომ ინარჩუნებს ძალაუფლებას? ხოლო თუ სახელმწიფოში მშვიდობა სუფევს, მაშინ, ძალიან პატარაც რომ იყოს, არაფერს შეუძლია მისი შერყევა.

– დიახ, ასეა.

– რას შეუძლია შეარყიოს ჩვენი სახელმწიფო, გლავკონ, ან რა შეიძლება იყოს სადავო მფარველებსა და მმართველებს შორის? ან იქნებ გნებავს, ჰომეროსივით ვედრებით მივმართოთ მუზებს, რათა გვაუწყონ, როგორ ჩამოვარდა პირველად განხეთქილება, და წარმოვიდგინოთ, რომ ტრაგიკოსებივით მაღალფარდოვნად და დარბაისლურად გვაძლევენ პასუხს, თუმცა სინამდვილეში, მათის მხრივ, ეს იქნება მხოლოდ ხუმრობა, თითქოს მასხრად იგდებდნენ ბავშვებს.

– როგორ?

– დაახლოებით, აი, ასე: «ძნელია შეარყიო ამნაირი წყობილების მქონე სახელმწიფო, მაგრამ რაკი ყველაფერი, რაც იბადება, სასიკვდილოდ განწირულია, ვერც ეს სახელმწიფო გაძლებს სამარადისოდ, არამედ დაიშლება, და, აი, რატომ: ნაყოფიერება და უნაყოფობა არა მარტო მიწაში ფესვგადგმული მცენარეებისთვისაა ნიშნეული, არამედ მიწის ზედაპირზე მობინადრე სულებისა და სხეულებისთვისაც, ყოველთვის, როცა წრებრუნვა ამთავრებს გარკვეულ ციკლს: დღემოკლე არსებებისათვის ეს ციკლი მოკლეა, დღეგრძელთათვის კი – პირიქით. რაგინდ ბრძენიც არ უნდა იყოს ის ხალხი, სახელმწიფოს ჰეგემონებად რომ აღზარდეთ, ისინი მაინც ვერ შესძლებენ გამოცდილებაზე დამყარებული განსჯის გზით სხვებზე უკეთ დაადგინონ, როდის სჯობია ნაყოფის გამოღება და როდის არა თქვენი მოდგმისთვის. ამის წვდომას რომ ვერ შესძლებენ, ბავშვებიც უდროო დროს ჩაისახებიან. რადგანაც ღვთაებრივი დაბადებისათვის არსებობს წრებრუნვა, რომელიც მოცულია სრულქმნილი რიცხვით, და არსებობს წრებრუნვა ადამიანური დაბადებისათვის, რომლის რიცხვიც არის პირველი, სადაც ფესვებისა და კვადრატულ ხარისხთა ნამრავლი, სამ შუალედს და ოთხ ზღვარს რომ მოიცავს (მიმსგავსების, განმსგავსების, მატებისა თუ კლების საწყისებისას) ყველაფერს პროპორციულად და

ურთიერთთანაზომადად წარმოგვიჩენს. ამათგან თანაფარდობა 3:4, როგორც ამ საწყისთა საფუძველი, ხუთთან შეწყვილებული და სამჯერ გადიდებული, იძლევა ორ ჰარმონიას: პირველი გამოხატულია კვადრატით, რომლის გვერდიც ასზეა გამრავლებული, ხოლო მეორე – მართკუთხედით, რომელიც აგებულია ან ხუთის იმ რაციონალური დიაგონალის ას კვადრატზე, რომელთაგანაც თვითეული შემცირებულია ერთით, ან ხუთის იმ ირრაციონალური დიაგონალის ას კვადრატზე, რომელთაგანაც თვითეული შემცირებულია ორით, – როცა მათ ვამრავლებთ სამის კუბური ხარისხისა და ასის ნამრავლზე.

ეს რიცხვი მთლიანად გეომეტრიული რიცხვია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უკეთესი თუ უარესი დაბადებისთვის. თუ თქვენს მცველებს ეს არ ეცოდინებათ, უდროო დროს შეაუღლებენ საპატარძლოებს და საქმროებს, რის შედეგადაც აღარ დაიბადებიან ბუნებით უხვად დაჯილდოებულნი და სვებედრნიერნი. უწინდელი მცველები მათ შორის საუკეთესოებს დანიშნავენ თავიანთ შემცვლელებად, მაგრამ ისინი მაინც უღირსნი იქნებიან, და როგორც კი თავიანთი მამების თანამდებობებს დაიკავებენ, საჩვენოდ ვეღარ მოიცლიან, მიუხედავად იმისა, რომ მცველები არიან. ვერც მუსიკურ ხელოვნებას დააფასებენ სათანადოდ და ვერც გიმნასტიკურს, რის შედეგადაც თქვენი ჭაბუკები ნაკლებად განათლებულნი იქნებიან, ასე რომ, ვერც ჰესიოდესეულ სხვადასხვა მოდგმას განასხვავებენ ერთმანეთისგან და ვერც ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა თუ რკინის თქვენეულ მოდგმას. როცა რკინა ვერცხლი ჰგონიათ, სპილენძი კი – ოქრო, ამას შედეგად მოსდევს თანასწორობის, სამართლიანობისა და ჰარმონიის რღვევა, რაც ყველგან, სადაც კი თავს იჩენს, დასაბამს აძლევს შუღლსა და მტრობას. უნდა ვაღიაროთ, რომ განხეთქილება ყველგან და ყოველთვის ამნაირი ბუნებისაა».

– ისიც უნდა ითქვას, რომ მუზებმა მშვენივრად გვიპასუხეს.

– ცხადია, – მივუგე მე, – აბა, რის მუზები არიან?

– კი მაგრამ, ამის შემდეგ რაღას ამბობენ?

– რაკიღა თავს იჩენს განხეთქილება, – ვუთხარი მე, – ორი სხვადასხვა მოდგმა – რკინისა და სპილენძისა – მოგებას მიელტვის და ცდილობს მიწა, სახლები და ოქრო-ვერცხლი შეიძინოს, მაშინ როდესაც ვერცხლისა და ოქროს მოდგმა, რომლებიც ღარიბები კი არა, პირიქით, თავიანთი ბუნებით მდიდრები არიან, სიქველისა და ძველი წყობილებისაკენ მიუძღვიან სულს. ურთიერთბრძოლისა და მეტოქეობის შედეგად ისინი ერთგვარ შეთანხმებას აღწევენ: კერძო საკუთრებად აცხადებენ და ერთმანეთში ინაწილებენ მიწა-წყალსა და სახლებს, ხოლო იმათ, ვისაც აქამდე იცავდნენ როგორც თავისუფალ თანამოქალაქეებსა და მარჩენლებს, მონებად აქცევენ და ისე ეპყრობიან, როგორც მოჯამაგირეებსა და მსახურებს, თვითონ კი კვლავაც მეომრებად და მცველებად რჩებიან.

– მე მგონია, – თქვა მან, – ამ ცვლილებას სწორედ ეს იწვევს.

– მაშასადამე, ამნაირი სახელმწიფოებრივი წყობილება რაღაც საშუალოა არისტოკრატიასა და ოლიგარქიას შორის.

– რა თქმა უნდა.

– აი, როგორ ხორციელდება ეს ცვლილება, მაგრამ რა სახით წარმოგვიჩნდება ამის შედეგად დამყარებული წყობილება? როგორც ჩანს, ნაწილობრივ – წინა წყობილების მიბაძვად, ნაწილობრივ კი – ოლიგარქიისა, რაკი მას შუალედური ადგილი უჭირავს ამ ორს შორის, თუმცაღა მისთვის ნიშნეული იქნება გარკვეული თავისთავადობაც.

– ცხადია.

– მმართველთა პატივისცემით, მეომართა მიერ მიწათმოქმედების, ხელოსნობისა თუ აღებ-მიცემობის მიმართ გამოვლენილი ზიზღით, საერთო პურობით, გიმნასტიკური ვარჯიშებითა თუ სამხედრო ასპარეზობებით და სხვა მისთანათა მხრივ წინა წყობილების მსგავსი იქნება, არა?

– დიახ.

– მეორეს მხრივ კი, შიში იმისა, რომ მმართველებად განაწესონ ბრძენკაცნი, რადგანაც უკვე აღარ იქნებიან წრფელნი და ალალმართალნი, არამედ ბუნებაზიარნი; კეთილგანწყობა ფიცხთა და შედარებით მარტივი სულების მიმართ, რომლებიც უფრო ომისთვის არიან დაბადებულნი, ვიდრე მშვიდობისათვის; პატივისცემა საომარი ხერხებისა და ხრიკების მიმართ, რადგანაც ეს სახელმწიფო ყოველთვის იარაღასხმული იქნება, – აი, მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

– ჭეშმარიტად.

– ამნაირი სახელმწიფოს მოქალაქენი ფულით გაუმაძღარნი იქნებიან, როგორც ოლიგარქიული წყობილების პირობებში; გონდაბინდულნი, ველურებივით თაყვანს სცემენ ოქრო-ვერცხლს, რომლის საცავადაც შინაურ საგანძურებსა თუ საკუჭნაოებს მოაწყობენ, სახლებს კი გალავანს შემოავლებენ და იქ, როგორც საკუთარ ბუნაგში, თავიანთ ავლადიდებას ქალებსა თუ მათთვის სასურველ სხვა განცხრომას შეალევენ.

– მართალს ბრძანებ.

– თუმცა, ამასთანავე, ხელმომჭირნენიც იქნებიან, რადგანაც ფულს აღმერთებენ; ცდილობენ დამალონ თავიანთი ავლადიდება, სხვისას კი ხელგაშლილად ფლანგავენ; მალულად ეძლევიან განცხრომას და ისე გაურბიან კანონს, როგორც ბავშვები – მკაცრ მამას, რადგანაც ძალადობამ აღზარდათ და არა დარწმუნებამ, რაკიღა უგულებელყვეს ჭეშმარიტი მუზა, მუზა დიალექტიკისა და ფილოსოფიისა, ხოლო გიმნასტური ვარჯიშები მუსიკურ ხელოვნებაზე მაღლა დააყენეს.

– შენ ლაპარაკობ იმნაირ სახელმწიფოებრივ წყობილებაზე, სადაც სიკეთე და ბოროტება მთლიანად ალუფხულია ერთმანეთში.

– მართლაც რომ ალუფხულია; მხოლოდ ერთი რამ გეცემა თვალში – მეტოქეობა და პატივმოყვარეობა, რადგანაც აქ მბრძანებლობს სიფიცხის თუ სიშმაგის სული.

– მართლაც.

– მაშასადამე, ამნაირი სახელმწიფოებრივი წყობილება ასე და ამგვარად წარმოიქმნება. მე მხოლოდ ზოგადად მოვხაზე იგი, წვრილმანები კი გამოვტოვე, ვინაიდან არც ასე გაგვიჭირდება ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ყველაზე სამართლიანი და ყველაზე უსამართლო ადამიანი, ყველა წყობილებისა და ყველა ზნე-ჩვეულების დაწვრილებით განხილვა კი შორს წაგვიყვანდა.

– სწორია.

– კი მაგრამ, რანაირი იქნება ამ წყობილების შესატყვისი ადამიანი? როგორ ყალიბდება და როგორია მისი ხასიათი?

– მე მგონია, – თქვა ადიმანტემ, – გლავკონს უნდა ჰგავდეს, სხვა რამით თუ არა, პატივმოყვარეობით მაინც.

– შეიძლება, – ვთქვი მე, – მაგრამ, ჩემის აზრით, აი, რითი უნდა განსხვავდებოდეს მისი ბუნება გლავკონის ბუნებისაგან...

– მაინც რითი?

– ის უფრო თავდაჯერებულია და მუზებისთვისაც უფრო უცხო, თუმცა კი აფასებს მათ; სიამოვნებით უსმენს სხვის სიტყვებსაც, მაგრამ რიტორისა კი არა სცხია რა; მონების მიმართ სასტიკია, თუმცა ზიზღით კი არ უყურებს მათ, რადგანაც საკმაოდ კარგადაა აღზრდილი; თავისუფალ ხალხთან ურთიერთობისას თავაზიანია,

ხელისუფალთა წინაშე კი – მორჩილი; ძალაუფლების ტრფიალსა და პატივმოყვარეს მიაჩნია, რომ მბრძანებლობა მჭევრმეტყველებას ან რაღაც ამგვარს კი არ უნდა ეფუძნებოდეს, არამედ საგმირო საქმეებს და, საერთოდ, სამხედრო ნიჭს; აი, რატომ უყვარს გიმნასტიკა და ნადირობა.

– სწორედ ესაა ხასიათი, რომელიც ყალიბდება ამნაირი სახელმწიფოებრივი წყობილებისას.

– ამნაირ კაცს ახალგაზრდობაში შეიძლება კიდევაც სძულდეს ფული, მაგრამ რაც უფრო ემატება წლები, მით უფრო მეტად უყვარდება ის: თავს იჩენს მისი ბუნებრივი მიდრეკილება ანგარებისადმი, რადგანაც ყველაზე უკეთესი მცველი აკლია.

– მაინც რომელ მცველს გულისხმობ? – იკითხა ადიმანტემ.

– მუსიკურ ხელოვნებასთან შერწყმულ გონიერებას, – მივუგე მე, – მხოლოდ მას შეუძლია იცავდეს და იფარავდეს სულის სიქველეს, სულისა, სადაც სამუდამოდ დაისადგურებს.

– რა კარგად ლაპარაკობ, – თქვა მან.

– ხოლო ეს პატივმოყვარე ჭაბუკი სახელმწიფოს ჰგავს.

– ცხადია.

– მისი ხასიათი კი დაახლოებით ასე ყალიბდება: ზოგჯერ ის ჯერ კიდევ მოზარდი შვილია კარგი მამისა, რომელიც ცუდი წყობილების მქონე სახელმწიფოს მოქალაქეა და ამიტომაც გაურბის პატივს, სახელმწიფო თანამდებობებს, სასამართლოებში წანწალს და სხვა ამნაირ ამაოებას, რასაც მოკრძალებულ ყოფას არჩევს, ოღონდ კი თავიდან აიცილოს დავიდარაბა.

– მერედა, როგორ მოქმედებს ეს მის შვილზე? – იკითხა ადიმანტემ.

– უწინარეს ყოვლისა, ყმაწვილს ესმის დედის ურვა და წყევლა-კრულვა: მისი ქმარი არ ეკუთვნის მმართველთა რიცხვს, რაც მას სხვა ქალების თვალში ამცირებს; ცოლი იმასაც ხედავს, რომ ქმარი არაფრად აგდებს სიმდიდრეს, მედგრად ვერ იგერიებს მტერსა და შეურაცხმყოფელს ვერც სამსჯავროებში და ვერც თავყრილობებზე, არამედ უდრტვინველად იტანს ყველაფერს; ქალი ყოველი ფეხის ნაბიჯზე რწმუნდება, რომ კაცი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და გულგრილია ცოლის მიმართ, რაც მას ასე ამწარებს და ამიტომაც გამუდმებით ჩასჩიჩინებს შვილს, რომ მამამისი კაცურ კაცად ღმერთს არ უქნია, რომ ის უგერგილოა, უბადრუკი, და სხვა მისთანათ, რასაც ამნაირ შემთხვევებში გაჰკივიან ხოლმე ქალები.

– მართლაც ასეა, – თქვა ადიმანტემ.

– როგორც მოგეხსენება, ამნაირი კაცის მსახურებიც დაახლოებით ამასვე ჩასჩიჩინებენ მის შვილებს, თითქოს მათზე შესტკივათ გულიო; როდესაც ხედავენ, რომ ოჯახის პატრონი საქმეს არ აღძრავს სასამართლოში თავისი მოვალისა თუ შეურაცხმყოფელის წინააღმდეგ, ასე ჩააგონებენ თავიანთ ბატონიშვილს: როცა გაიზრდები, მამაშენს ნუკი ემგვანები, არამედ სამაგიერო გადაუხადე ყველას, როგორც შეშვენის კაცურ კაცსაო. თუმცა ჭაბუკს სახლს გარეთაც იგივე ესმის და ხედავს: ვინც მხოლოდ თავის საქმეს ასრულებს, იმას უგუნურს ეძახიან და არავითარ ანგარიშს არ უწევენ, ხოლო ვინც სხვისი საქმის მოგვარებას ცდილობს, პატივისცემას არ აკლებენ და ქებით იხსენიებენ. ყოველივე ამის შემყურე და გამგონე ჭაბუკი, მეორეს მხრივ, იმასაც ისმენს, რასაც ეუბნება მშობელი მამა, და ხედავს, რასაც საქმიანობს, ხალხის მითქმა-მოთქმის მიუხედავად, და მასზე გავლენას ახდენს როგორც ერთი, ისე მეორე. მამის ზემოქმედებით მასში ვითარდება და მტკიცდება სულის გონივრული საწყისი, ხალხის ზეგავლენით კი – ვნებისა და სიშმაგის სული.

და რაკი, თავისი ბუნებით, ცუდი ადამიანი კი არ არის, არამედ ცუდ წრეში აღმოჩნდა, ორივე ეს ზეგავლენა შუალედური გზისაკენ უბიძგებს მას, და თავის სულს ის რაღაც საშუალოს სათარეშოდ აქცევს – პატივმოყვარეობის და მძვინვარებისა, რის შედეგადაც ქედმაღალ და პატივმოყვარე კაცად იქცევა.

– ჩემის აზრით, მშვენივრად აღგვიწერე, რანაირად ყალიბდება ეს ხასიათი.

– ასე რომ, ჩვენ გვაქვს რიგით მეორე სახელმწიფოებრივი წყობილება და მისი შესატყვისი ადამიანი.

– დიახ.

– მერედა, რა ვქნათ, ხომ არ მოვიხმოთ ესქილეს გამოთქმა: «ახლა სხვა კაცი მისდგომია ლაშქრით სხვა ქალაქს», ან, იქნებ, ჩვენს მიერ დადგენილი თანმიმდევრობის თანახმად, სახელმწიფოთი დაგვეწყო?

– ასე აჯობებს.

– შემდეგი სახელმწიფოებრივი წყობილება, ჩემის აზრით, ოლიგარქია უნდა იყოს.

– კი მაგრამ, რანაირად მყარდება?

– ეს სახელმწიფოებრივი წყობილება ქონებრივ მდგომარეობაზეა დამყარებული. ხელისუფლების სათავეში მდიდრები დგანან, ღარიბები კი არ მონაწილეობენ ქვეყნის მართვაში.

– გასაგებია.

– იქნებ ჯერ ის ვთქვათ, როგორ გადადის ტიმოკრატია ოლიგარქიაში?

– დიახ.

– მაგრამ ბრმისთვისაც კი ცხადია, რანაირად ხორციელდება ეს გადასვლა.

– მაინც?

– ოქროს დაგროვება კერძო პირების ხელში, აი, რა ღუპავს ტიმოკრატიას. ისინი ყველაზე უმალ იწყებენ იმის ძებნას, თუ რაზე შეიძლება დახარჯონ თავიანთი ფული, და ამ მიზნით ცვლიან კანონებს, რომლებსაც უკვე ნაკლებად უწევენ ანგარიშს არა მარტო მდიდრები, არამედ მათი ცოლებიც.

– ეტყობა, – თქვა მან.

– ეგეც არ იყოს, ერთიმეორეს რომ უთვალთვალებენ, აბა, ვინ რა გზით აღწევს წარმატებასო, და ბაძავენ კიდეც ერთმანეთს, მე მგონია, მთელ ხალხსაც იმგვანებენ.

– მართალია.

– რაც უფრო ხარბად მიელტვიან და მეტ ფასს სდებენ სიმდიდრეს, მით უფრო უფასურდება სიქველე მათ თვალში. სიმდიდრისა და სიქველის თანაფარდობა ხომ ისეთია, რომ თუ პირველს სასწორის ერთ პინაზე დადებ, მეორეზე კი – მეორეს, წონასწორობა ყოველთვის მიუღწეველი დარჩება.

– რა თქმა უნდა.

– რაც უფრო მეტ პატივს სცემენ სახელმწიფოში სიმდიდრესა და მდიდრებს, მით უფრო დაბლა იწევს სიქველისა და ქველთა ფასი.

– ცხადია.

– ბრბო კი ყოველთვის იმას მიელტვის, რაც ფასეულადაა მიჩნეული, და, პირიქით, ზურგს აქცევს იმას, რაც უფასურია.

– ასეა.

– ამრიგად, მოქალაქეთა მეტოქეობა და პატივმოყვარეობა თანდათან სიხარბესა და მომხვეჭელობაში გადაიზრდება; ისინი აქებენ და ადიდებენ მდიდარს და მას მაღალ თანამდებობებზე ნიშნავენ, ღარიბს კი ზიზღითა და ათვალწუნებით უყურებენ.

– რა თქმა უნდა.

– ოლიგარქიულ სახელმწიფოებში კანონად იქცევა ქონებრივი ზღვრის დაწესება; რაც უფრო მეტად ოლიგარქიულია წყობილება, მით უფრო მაღალია ეს ზღვარი, და, პირიქით, რაც უფრო ნაკლებ ოლიგარქიულია, მით უფრო დაბალია ზღვარიც. ხელისუფლებას არავინ გააკარებს იმას, ვისი ქონებაც ამ ზღვარზე ნაკლებია. ამას ისინი ან იარაღის ძალით აკანონებენ, ან, უფრო ადრე, მოქალაქეთა დაშინების გზით. განა ასე არ არის საქმე?

– დიახ, ასეა.

– აი, დაახლოებით როგორ მყარდება ეს წყობილება.

– დიახ, – თქვა მან, – მაგრამ როგორია მისი ბუნება, ან რა ნაკლის გამო ვგმობთ მას?

– უწინარეს ყოვლისა, თვით მისი საფუძვლის გამო. თავად განსაჯე, რა მოხდებოდა ხომალდზე, მესაჭეებს ქონებრივი ზღვრის მიხედვით რომ ნიშნავდნენ, ღარიბს კი, უკეთესი მესაჭეც რომ იყოს, არავინ გააკარებდა საჭეს.

– ვაი ამ ხომალდსა და მეხომალდეებს.

– კი მაგრამ განა იგივე არ მოხდება ყველაფერში, რაც მართვას მოითხოვს?

– მე მგონია, იგივე.

– სახელმწიფოს გარდა? თუ მისი ჩათვლით?

– სახელმწიფოს მართვაზე ძნელი, ან უფრო მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს?

– აი, სწორედ ესაა ოლიგარქიის პირველი და ყველაზე დიდი ნაკლი.

– როგორც ჩანს.

– თუმცა განა ნაკლებია შემდეგი?

– მაინც რომელი?

– ის, რომ ამნაირი სახელმწიფო არამც და არამც არ იქნება ერთი, არამედ – ორი: სახელმწიფო მდიდრებისა და სახელმწიფო ღარიბებისა, თუმცა ერთნიც და მეორენიც ერთი და იმავე მიწა-წყლის მკვიდრნი იქნებიან, მაგრამ ერთავად ერთმანეთის მტრები და ავისმოსურნენი.

– ვფიცავ ზევსს, ეს ნაკლი არანაკლებ საშინელია.

– არც ისაა დიდი სიკეთე, რომ ოლიგარქებს არ შეუძლიათ ომში ჩაებან, რადგანაც მაშინ თავიანთი ხალხი უნდა შეეიარაღებინათ და მისი შიში უფრო ჰქონოდათ, ვიდრე მტრებისა, ან უარი ეთქვათ ხალხის აღჭურვაზე და თვით ომშიაც კი ნამდვილ ოლიგარქებად დარჩენილიყვნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სიძუნწის გამო ომისათვის საერთოდ არ გაიღებდნენ ფულს.

– სიკეთე კი არა, უბედურებაა.

– კი მაგრამ, აკი ზემოთ დაუშვებლად მივიჩნიეთ ის, რომ სახელმწიფოში ერთი და იგივე ხალხი ასრულებდეს ყველა საქმეს – მიწასაც ამუშავებდეს, ვაჭრობდეს და მტერსაც ებრძოდეს; ან იქნებ შენ იწონებ ამას?

– არამც და არამც.

– ახლა კი იმასაც დაუკვირდი, ყველაზე დიდი სიავე პირველად სწორედ ამნაირი წყობილების მქონე სახელმწიფოში ხომ არ იჩენს თავს?

– რა სიავეს გულისხმობ?

– საკუთარი ავლადიდების თავისუფლად გაყიდვისა თუ სხვისი სიმდიდრის შეძენის უფლებას, ხოლო მას შემდეგ, რაც ყველაფერს გაყიდი, იმავე სახელმწიფოში დარჩენის ნებას, ისე, რომ არცერთ ფენასა თუ წოდებას არ ეკუთვნოდე – არც ვაჭარი იყო, არც ხელოსანი, არც მხედარი, არც ჰოპლიტი, არამედ მხოლოდ ღატაკად და არას მქონებად იწოდებოდე.

– ეს სიავე პირველად მართლაც ოლიგარქიაში იჩენს თავს.

– ეს წყობილება არაფრით არ უშლის ხელს იმას, რომ ზოგი საოცრად მდიდარი იყოს, ზოგი კი ღარიბ-ღატაკი.

– მართლაც.

– ამასაც დაუკვირდი: როცა მდიდარი კაცი თავის სიმდიდრეს ფლანგავს, ოდნავი სარგებლობა მაინც თუ მოაქვს ამას სახელმწიფოსთვის იმ აზრით, რა აზრითაც წეღან ვლაპარაკობდით? თუ ამ კაცს მხოლოდ ერთ-ერთ მმართველად მოჰქონდა თავი, სინამდვილეში კი არც მმართველი ყოფილა და არც მსახური, არამედ მხოლოდ მფლანგველი.

– სწორია, – თქვა მან, – მხოლოდ მოჩვენებითად იყო მმართველი, სინამდვილეში კი მფლანგველის მეტი არაფერიც არა ყოფილა.

– თუ გნებავს, იმასაც ვიტყვი, რომ როგორც სკაში გაჩენილი მამალი ფუტკარი სხვა არა არის რა, თუ არა სკის ავადმყოფობა, ისე ამნაირი კაციც სახელმწიფოს ავადმყოფობად უნდა მიგვაჩნდეს.

– რა თქმა უნდა, სოკრატე.

– ისიც ხომ სწორია, ადიმანტე, რომ არცერთ ამ მუქთახორას, ანუ მამალ ფუტკარს, ღმერთმა ნესტარი არ მისცა, დანარჩენთაგან კი მხოლოდ ზოგს მისცა ბასრი ნესტარი, ზოგს კი არა. უნესტრონი, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ მათხოვრებად იქცევიან, ნესტრიანებიდან კი გამოდიან ისინი, ვისაც ბოროტმოქმედებს უწოდებენ.

– მართალს ბრძანებ.

– ამრიგად, აშკარაა, რომ ყველა სახელმწიფოში, სადაც კი ღარიბებს ხედავ, მათ გვერდით შეგიძლია ავაზაკებიც, ქურდბაცაცებიც, ღვთისმგმობლებიც და ათასი ჯურის ბოროტმოქმედნიც იგულო.

– ცხადია, – თქვა მან.

– მერედა, განა ოლიგარქიულ სახელმწიფოებში ღარიბებისთვის არ მოგიკრავს თვალი?

– იქ თითქმის ყველა ღარიბია, მმართველებს გარდა.

– შეგვიძლია თუ არა ვიფიქროთ, რომ იქვეა ბასრი ნესტრით აღჭურვილი მრავალი ბოროტმოქმედიც, რომელთა მოთოკვასაც ძლივსძლივობით ახერხებენ ხელისუფალნი.

– რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვიფიქროთ.

– განა ბოროტმოქმედების სათავედ გაუნათლებლობა, ცუდი აღზრდა და უკეთური სახელმწიფოებრივი წყობილება არ უნდა მიგვაჩნდეს?

– ცხადია.

– აი, როგორია ოლიგარქიული სახელმწიფო და რამდენი ბოროტებაა მასში, თუმცა, შესაძლოა, გაცილებით მეტიც.

– შესაძლოა.

– მოდი, ამით დავასრულოთ იმ წყობილების განხილვა, ოლიგარქიულს რომ უწოდებენ, სადაც ძალაუფლება ქონებრივ ზღვარზეა დაფუძნებული. შემდეგ კი მისი შესაბამისი ადამიანიც განვიხილოთ; ვნახოთ, რანაირად ყალიბდება, ან რა თვისებებითაა შემკული.

– რასაკვირველია, უნდა განვიხილოთ.

– მისი გადასვლა ტიმოკრატიული ყაიდიდან ოლიგარქიულზე შემდეგნაირად ხდება...

– როგორ?

– ტიმოკრატიული კაცის შვილი თავდაპირველად მამამისს ბაძავს, შემდეგ კი, როცა დარწმუნდება, რომ მამამისს ყველაფერში ხელი მოეცარა, მას შემდეგ, რაც მოულოდნელად შეეჯახა სახელმწიფოს, როგორც წყალქვეშა ჭორომს, და ქარს გაატანა მთელი თავისი ავლადიდება, არც სტრატეგობა დაუფასდა და არც სხვა მაღალ თანამდებობებზე მოღვაწეობა, არამედ სიკოფანტების ცილისწამებით სასამართლოს წინაშე წარსდგა, სადაც სიკვდილი ან განდევნა, სამოქალაქო უფლებების აყრა თუ ქონების ჩამორთმევა მიესაჯა...

– ჩვეულებრივი ამბავია.

– მთელი ამ ტანჯვის შემყურე, თვითონაც რომ ინაწილებს, ჩემო მეგობარო, და სასტიკად დაშინებული, ვაითუ თავი წავაგოო, მე მგონია საკუთარ სულში აღმართული ტახტიდან თვითონვე დაამხობს პატივმოყვარეობას და სიფიცხის საწყისს; სიღარიბით დათრგუნვილი და დამცირებული მომხვეჭელობას მიჰყოფს ხელს და ქანცგამწყვეტი შრომის, სიძუნწისა და ხელმომჭირნეობის წყალობით თანდათან მოაქუჩებს სიმდიდრეს. როგორ გგონია, განა ეს კაცი იმავე ტახტზე არ აიყვანს სიხარბეს და ვერცხლისმოყვარეობას, როგორც ტიარითა და ყელსაბამით შემკულსა და იატაგანით აღჭურვილ დიდ მეფეს.

– რა თქმა უნდა.

– რაც შეეხება გონიერებას და სიმამაცეს, ის მათ პირდაპირ მიწაზე დასხამს ამ მეფის ფერხთით, როგორც მის მონებს. პირველს აიძულებს მხოლოდ იმაზე იფიქროს, მხოლოდ ის იკვლიოს და იანგარიშოს, თუ რა გზით შეიძლება მისი სიმდიდრის გაზრდა, ხოლო მეორეს უბრძანებს არ გააჩნდეს აღტაცებისა და თაყვანისცემის სხვა საგანი სიმდიდრის და მდიდრების გარდა, მისი პატივმოყვარეობა კი მხოლოდ მომხვეჭელობისა და იმისკენ იყოს მიმართული, რაც სიმდიდრის მოხვეჭაში შეუწყობს ხელს.

– არ არსებობს სხვა გზა, რომლითაც ჭაბუკის პატივმოყვარეობა ასე მკვეთრად და სწრაფად გადადიოდეს ანგარებაში.

– განა ეს არ არის ოლიგარქიული ადამიანი?

– ყოველ შემთხვევაში, ესაა ნიმუში იმისა, თუ როგორ იცვლება იმ წყობილების შესაბამისი ადამიანი, საიდანაც დასაბამს იღებს ოლიგარქია.

– მაშ, მოდი, ვნახოთ, რანაირად ჰგავს ერთი მეორეს.

– ვნახოთ.

– უწინარეს ყოვლისა, აქ მსგავსება ისაა, რომ მას სული ელევა ფულზე.

– მართლაც.

– თანაც, ხელმომჭირნეა და გამრჯე, მხოლოდ ყველაზე აუცილებელ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, თავს არიდებს ზედმეტ ხარჯებს და მტკიცედ იურვებს ყველა სხვა სურვილს, რომლებსაც ფუჭად მიიჩნევს.

– რა თქმა უნდა.

– მტვერში ამოგანგლული დაიარება, ყველაფერში გამორჩენას ეძებს და მხოლოდ დანაზოგზე ოცნებობს. ამნაირებს აქებს და ადიდებს ბრბო. განა თავისი თვისებებით იმ სახელმწიფო წყობილებას არა ჰგავს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ?

– მე თუ მკითხავ, ჰგავს. ყოველ შემთხვევაში, ამნაირი სახელმწიფოსი არ იყოს, ისიც აღმერთებს ფულს.

– ჩემის აზრით, ამნაირ კაცს ნაკლებად უნდა ეზრუნა სწავლა-განათლებაზე.

– ნამდვილად, – თქვა მან, – თორემ ბრმას როდი ჩაუყენებდა სათავეში ქოროს და არც თაყვანს სცემდა მას.

– კეთილი. ერთსაც დაუკვირდი: ვაღიარებთ თუ არა, რომ გაუნათლებლობის გამო მამალი ფუტკრის თვისებები უვითარდება: ნაწილობრივ – მათხოვრული, ნაწილობრივ კი – დამნაშავეობრივი, თუმცა სიფრთხილის გამო ყოველნაირად ცდილობს გასაქანი არ მისცეს მათ.

– რა თქმა უნდა.

– თუ იცი, რას უნდა დაუკვირდე, რომ მისი დამნაშავეობრივი ბუნება შეიცნო?

– რას?

– იმას, თუ რანაირად მეურვეობს ობლებს, ან როგორ არღვევს სამართლიანობას ამა თუ იმ მოვალეობის აღსრულებისას.

– მართალი ხარ.

– განა ეს ნათლად არ გვიჩვენებს, რომ ეს კაცი ბევრ სხვა საქმეში, სადაც მოჩვენებითი სამართლიანობის წყალობით ხალხის პატივისცემას იხვეჭს, ძალით იურვებს სხვა უკეთურ მიდრეკილებებს, თუმცა დარწმუნებული კი არ არის, რომ ასე სჯობს, არამედ შიში აიძულებს ასე მოიქცეს, რადგანაც თავს დაჰკანკალებს თავის ავლადიდებას.

– რა თქმა უნდა.

– ვფიცავ ზევსს, ჩემო მეგობარო, ბევრ მათგანში აღმოაჩენ მამალი ფუტკრის ნიშან-თვისებებს, როცა საქმე ეხება ხელგაშლილობას სხვის ხარჯზე.

– მათში მართლაც რომ ძალუმად ვლინდება ეს თვისებები.

– მაშასადამე, ეს კაცი ორად გათიშულია შინაგანი წინააღმდეგობებით და მისი ერთიანობა დარღვეულია: ერთი გულისთქმა მძლავრობს მეორეზე, თუმცა უმეტესწილად უკეთესი სძლევს უარესს.

– ასეა.

– მე მგონია, ის მაინც სხვებზე ღირსეული უნდა იყოს, თუმცა ჭეშმარიტი სიქველე – სულიერი ჰარმონია და აუმღვრევლობა საკმაოდ შორსაა მისგან.

– დიახ, მეც ასე მგონია.

– მომჭირნეობა საშუალებას არ მისცემს მონაწილეობა მიიღოს მოქალაქეთა შეჯიბრში, სადაც ისინი გამარჯვებისა თუ კეთილშობილური პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისთვის ასპარეზობენ. არც ამნაირი ასპარეზობისათვის დახარჯავს ფულს და არც სახელის მოხვეჭისათვის, იმისი შიშით, ვაითუ მფლანგველობას მივეჩვიო და ხელგაშლილობა პატივმოყვარული მისწრაფებების მწედ და მეოხედ მექცესო. როგორც ჭეშმარიტ ოლიგარქს შეშვენის, ომითაც მხოლოდ უმცირესი სახსრების გაღებით ომობს და ამიტომ უმეტესწილად მარცხს განიცდის, სამაგიეროდ სიმდიდრეს ინარჩუნებს.

– მართლაც.

– ნუთუ შეიძლება კვლავაც ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ეს ხელმომჭირნე და საქმიანი კაცი ოლიგარქიულ სახელმწიფოს ჰგავს?

– არამც და არამც.

– ამის შემდეგ, როგორც ჩანს, უნდა განვიხილოთ დემოკრატია; ვნახოთ, როგორ იბადება და როგორია მისი ბუნება, რათა შევიცნოთ მისი შესატყვისი ადამიანიც და ჩვენი დასკვნა გამოვიტანოთ მასზე.

– ასე მივყვებით ჩვენს მიერ მონიშნულ გზას.

– კეთილი, – ვთქვი მე, – ოლიგარქია დაახლოებით ასე გადადის დემოკრატიაში: ამის მიზეზია დაუოკებელი ლტოლვა ეგრეთწოდებული სიკეთისაკენ, რომელსაც რაც შეიძლება მეტი სიმდიდრის მოხვეჭასთან აიგივებენ.

– ეგ როგორ უნდა გავიგოთ?

– ოლიგარქიული სახელმწიფოს მმართველები, თავიანთი სიმდიდრის წყალობით რომ იგდებენ ხელში ძალაუფლებას, ცხადია, არ მოინდომებენ კანონით აღკვეთონ ახალგაზრდობის თავაშვებულობა და აუკრძალონ მათ თავიანთი ქონების გაფლანგვა და განიავება; პირიქით, თვითონვე შეიძენენ მათ ქონებას, ან ვახშით გასცემენ სესხს, რათა უფრო მდიდარნი და გავლენიანნი გახდნენ.

– მათთვის ესაა მთავარი.

– განა აშკარა არ არის, რომ შეუძლებელია ამნაირი სახელმწიფოს მოქალაქენი სიმდიდრესაც აღმერთებდნენ და კეთილგონიერნიც იყვნენ? აქ ან ერთი უნდა უმსხვერპლონ მეორეს, ანდა მეორე – პირველს.

– აშკარაა, – თქვა მან.

– ოლიგარქიულ სახელმწიფოებში ყურადღებას არ აქცევენ თავაშვებულობას; პირიქით, ხელსაც კი უწყობენ მას, ასე რომ, კეთილშობილ ადამიანებს ზოგჯერ თავის გატანაც კი უჭირთ.

– რა თქმა უნდა.

– ამნაირ სახელმწიფოში, მე მგონია, უქმად სხედან ბასრი ნესტრითა თუ იარაღით აღჭურვილნი, ვალებში ჩაფლულნი თუ სამოქალაქო უფლებებაყრილნი, და ისინიც, ვისაც ერთად დასტეხია თავს ორივე ეს უბედურება. ამ ხალხს სძულს არა მარტო ისინი, ვის ხელშიაც გადავიდა მათი ავლადიდება, არამედ სხვებიც, და ამიტომ გადატრიალებას ამზადებს.

– ასეა.

– საქმოსნებს კი თავიანთი საქმის მეტი არა ახსოვთ რა და ვერც ამჩნევენ ამ ხალხს. თავიანთი მევახშეობით მახეს უგებენ წინდაუხედავ მოქალაქეებს და ვახშის სახით გაცემულ სესხზე გაცილებით მეტს რომ იღებენ, მამალი ფუტკრების მსგავს მუქთახორებსა და მათხოვრებს ამრავლებენ სახელმწიფოში.

– და მერე, როგორ ამრავლებენ.

– ხოლო როცა სახელმწიფოში ამნაირი ბოროტება იფეთქებს, ისინი სულაც არ ფიქრობენ მის ჩაქრობას, არც იმით, რაც წეღან აღვნიშნეთ, ესე იგი, მოქალაქეებისათვის მათი ავლადიდების გაფლანგვა-განიავების აკრძალვით, და არც მეორე კანონით, რომელსაც შეეძლო აღეკვეთა ეს ბოროტება.

– მაინც რომელ კანონს გულისხმობ?

– რომელიც მოჰყვებოდა ზემოთ აღნიშნულს და აიძულებდა მოქალაქეებს სიქველისათვის ეზრუნათ. რადგანაც თუ დაადგენდნენ, რომ ყოველგვარი ნებაყოფლობითი გარიგება მოქალაქეთა პირადი პასუხისმგებლობის საფუძველზე მომხდარიყო, გამორჩენისაკენ სწრაფვა აღარც ასეთი ურცხვი იქნებოდა და სახელმწიფოშიც გაცილებით უფრო იკლებდა იმ ბოროტებათა რიცხვი, რომლებზედაც წეღან ვლაპარაკობდით.

– დიახ, მათი რიცხვი გაცილებით უფრო ნაკლები იქნებოდა.

– დღესდღეობით კი მმართველებს ასეთი ქცევით თავიანთი ქვეშევრდომები სწორედ ამ დღეში ჰყავთ ჩაყენებული. რაც შეეხება საკუთრივ მმართველებს და მათ ნაშიერთ, ეს უკანასკნელნი საოცრად განებივრებულნი არიან, სულითაც და ხორცითაც უმწეონი და უნიათონი, არც ჭირის გაძლების თავი აქვთ და არც ლხინის ატანისა.

– მართლაც.

– თვით მმართველებს კი გამორჩენის გარდა სხვა საფიქრალი არა აქვთ და სიქველეზე სულაც არ ზრუნავენ უფრო მეტად, ვიდრე უპოვარნი.

– ასეა.

– აი, როგორია მმართველთა და ქვეშევრდომთა მდგომარეობა. თუმცა ისინი ერთად არიან მოგზაურობაშიც და ბევრ სხვა შემთხვევაშიაც: სადღესასწაულო სანახაობებზე, ლაშქრობაში, ნაოსნობისას თუ ბრძოლის ქარცეცხლში, ერთად ინაწილებენ განსაცდელსაც და არასოდეს, არცერთ ამ ვითარებაში ღარიბები ზიზღის ღირსნი არ ჩანან მდიდრების თვალში. პირიქით, როცა გამხდარი, გაძვალტყავებული და მზით გარუჯული ღარიბი მტერთან შებმისას ჩრდილში ნებიერად გაზრდილი და ქონმორეული მდიდრის გვერდით იბრძვის და ხედავს, რა მძიმედ ქოშინებს მისი ნირწამხდარი თანამებრძოლი, როგორ გგონია, გაივლებს თუ არა გულში, რომ მდიდრები მხოლოდ ღარიბების სულმოკლეობის წყალობით არიან მდიდრები, ხოლო თავისნაირ ღარიბთან შეხვედრისას ჩუმად ეტყვიან თუ არა ერთმანეთს: ამ ვაჟბატონებს ჩვენი წყალობით უდგიათ სული, თორემ ისე მშვენივრად ვიცით, რისი მაქნისნიც არიანო.

– დარწმუნებული ვარ, – თქვა მან, – რომ სწორედ ასე ფიქრობენ და ლაპარაკობენ.

– როგორც უძლური სხეულისთვის საკმარისია სულ მცირე გარეგანი ბიძგი, რომ ავად გახდეს, თუმცა ზოგჯერ ამას გარეშე მიზეზიც არა სჭირდება, – ამ დღეში მყოფი სახელმწიფოც უმნიშვნელო საბაბის გამო ავადდება და გამუდმებით ეომება საკუთარ თავს, მაშინ როდესაც ზოგიერთი მისი მოქალაქე ოლიგარქიულ სახელმწიფოს მოუხმობს მხსნელად, ზოგი კი – დემოკრატიულს; თუმცა ზოგჯერ შინააშლილობა გარეგანი ჩარევის გარეშეც იჩენს თავს.

– დიახ.

– დემოკრატიული წყობილება, ჩემის აზრით, მაშინ მყარდება, როცა ღარიბები გამარჯვებას აღწევენ და თავიანთი მტრებიდან ზოგს სპობენ, ზოგსაც აძევებენ, დანარჩენებთან ერთად კი თანაბრად ინაწილებენ სამოქალაქო უფლებებსაც და სახელმწიფო თანამდებობებსაც, რასაც უმეტესწილად კენჭისყრა წყვეტს.

– დიახ, დემოკრატია სწორედ ასე მყარდება, სულერთია, იარაღის ძალით იმარჯვებს თუ იმის წყალობით, რომ მისი დაშინებული მოწინააღმდეგენი თანდათანობით უკან იხევენ.

– კი მაგრამ, – განვაგრძე მე, – რა დღეში არიან მისი მოქალაქენი, ან რას წარმოადგენს თვით ეს წყობილება? ხომ ცხადია, რომ მოქალაქე, რომელიც მას ჰგავს, ჩვენ გვევლინება დემოკრატიული ადამიანის სახით.

– დიახ, ცხადია.

– უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქე თავისუფალი ადამიანია, რადგანაც იქ თავისუფლება და გულახდილობა სუფევს, ასე რომ, ვისაც რა სურს, იმას აკეთებს.

– ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ.

– ხოლო სადაც ეს ნებადართულია, ყველა ისე წარმართავს თავის ცხოვრებას, როგორც მოეპრიანება.

– მართალია.

– ჩემის აზრით, ამნაირ სახელმწიფოში ადამიანები ძალიან უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

– რა თქმა უნდა.

– ერთი შეხედვით, ეს თითქოს ყველაზე უმჯობესი სახელმწიფოებრივი წყობილება უნდა იყოს. როგორც ჭრელი ფერებით მოჩითული ქსოვილი, ისე ნაირნაირი ხასიათებით შემკული სახელმწიფო შეიძლება ყველაზე მშვენიერი

გეგონოთ. ქალებისა და ბავშვებისა არ იყოს, ჭრელაჭრულებს რომ შეჰხარიან, ბევრმა შეიძლება იფიქროს, რომ მას ბადალი არ მოეძებნება.

– დიახ.

– აქ ადვილია, ჩემო მეგობარო, ეცადო, როგორც გინდა, ისე მოაწყო სახელმწიფოს ცხოვრება.

– როგორ?

– როგორ და ისე, რომ თავისუფლების წყალობით, რაც დემოკრატიაში სუფევს, აქ აღმოაჩენ ყველა შესაძლო წყობას. თუ ვინმეს, ჩვენსავით, დემოკრატიული სახელმწიფოს დაარსება სურს, კეთილ ინებოს და დემოკრატიულ სახელმწიფოს მიაშუროს, სადაც, როგორც ბაზარში, ყოველგვარი მმართველობით ვაჭრობენ, და ამოარჩიოს ის, რომელიც მოსწონს. არჩევანის შემდეგ კი თავისი სახელმწიფო დააარსოს.

– იქ ალბათ არ გაჭირდება ნიმუშების მოძებნა.

– დემოკრატიულ სახელმწიფოში სულაც არ არის აუცილებელი მონაწილეობას იღებდე მმართველობაში, ამის უნარიც რომ გქონდეს, და არც იმის აუცილებლობაა, რომ სხვებს მორჩილებდე, თუკი შენ თვითონ არა გსურს; ან ომობდე, როცა სხვები ომობენ, ან მშვიდობას იცავდე, როცა სხვები იცავენ, თუკი არ გსურს იცავდე მას; ხოლო თუ კანონი გიკრძალავს მმართველობაში მონაწილეობას ან ხალხის განსჯა-განკითხვას, ერთიც შეგიძლია და მეორეც, თუკი მოგეპრიანება. განა, ერთი შეხედვით, საამურად და ღვთაებრივად არ გეჩვენება ამნაირი ყოფა?

– ერთი შეხედვით შეიძლება მართლაც მოგეჩვენოს.

– ან ის ლმობიერება რად ღირს, რასაც იქ იჩენენ ზოგიერთი სიკვდილმისჯილის მიმართ? ნუთუ არ შეგიმჩნევია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ისინი, რომელთაც სიკვდილი ან განდევნა მიესაჯა, კვლავაც სამშობლოში რჩებიან და საზოგადოებაში ტრიალებენ: თითქოს არავის არაფერი ესაქმებოდეს და ვერც ვერავინ ამჩნევდეს მათ, ისე თავისუფლად დასეირნობენ, როგორც ნამდვილი გმირები.

– როგორ არ შემიმჩნევია.

– ეს ლმობიერება დემოკრატიული სახელმწიფოს უბადრუკი წვრილმანი როდია; პირიქით, აქ თავს იჩენს ზიზღი ყოველივე იმის მიმართ, რაც არსებითად მიგვაჩნია ჩვენი სახელმწიფოს დაარსებისას. თუ ადამიანს, – ვამბობდით ჩვენ, – ბუნება არ შეეწია, ის ვერასოდეს გახდება კეთილშობილი, ანდა თუ ბავშვობაში – თამაშისას თუ მეცადინეობისას – საერთოდ არ შეხებია მშვენიერებას. არადა, დემოკრატიული წყობილება, ქედმაღლურად რომ თელავს ფეხით ყოველივე ამას, ერთხელაც არ დაფიქრებულა, საიდან მოსულ კაცს ანდობენ სახელმწიფოს მართვას; საკმარისია კაცი ბრბოს ელაქუცებოდეს, და პატივი არ მოაკლდება.

– მართლაც რომ კეთილშობილური ლმობიერებაა.

– აი, რა თვისებებითა და თავისებურებებით ხასიათდება დემოკრატია. როგორც ხედავ, მართლაც სანატრელი წყობილებაა, მრავალფეროვანი და ანარქიული, ერთმანეთს თავისებურად რომ უთანაბრებს ყველას – თანასწორთაც და არათანასწორთაც.

– ახალს არაფერს ამბობ.

– ახლა კი დაუკვირდი, – განვაგრძე მე, – რას წარმოადგენს ამ სახელმწიფოს მინამგვანი ადამიანი, ან როგორც უფრო უმალ სახელმწიფო წყობილების ჩამოყალიბება განვიხილეთ, აქაც ხომ არ გვენახა, რანაირად ყალიბდება იგი?

– დიახ, უნდა ვნახოთ.

– ასე ხომ არა? მე მგონია, ოლიგარქიული წყობილების ხელმომჭირნე მოქალაქის ვაჟს ისე აღზრდიან, რომ ზნითაც და მიდრეკილებებითაც მამას ჰგავდეს.

– რასაკვირველია.

– მამამისისა არ იყოს, ისიც ეცდება ნებისყოფის დაძაბვით დათრგუნოს ყველა ის გულისთქმა თუ სურვილი, რაც მომჭირნეობას კი არ ავითარებს, პირიქით, მფლანგველობამდე მიჰყავს ადამიანი. ამნაირ სურვილს შეიძლება ზედმეტი სურვილი ეწოდოს.

– გასაგებია.

– ხომ არ გნებავს, ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, ჯერ ის გავარკვიოთ, რომელ სურვილს შეიძლება ეწოდოს ზედმეტი და რომელს აუცილებელი, ანუ არაზედმეტი?

– ცხადია, მნებავს.

– იმ სურვილს, რომელსაც თავს ვერ დავაღწევთ, მართებულად შეგვიძლია აუცილებელი ვუწოდოთ, ისევე, როგორც იმას, რომლის დაკმაყოფილებაც სასარგებლოა ჩვენთვის. როგორც ერთის, ისე მეორისადმი მორჩილება აუცილებელია თვით ჩვენი ბუნების ძალით. ასეა, არა?

– დიახ.

– მაშასადამე, ჩვენ უფლება გვაქვს აუცილებელ სურვილებად ვსახავდეთ მათ.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო რაც შეეხება იმ სურვილებს, რომლებსაც შეიძლება თავი დავაღწიოთ, მით უმეტეს, თუ ადრეული ასაკიდანვე ვეცდებით ამას, და რომლებსაც სასიკეთო არა მოაქვთ რა, ზოგიერთი კი სულაც საზიანოა, – განა შესაფერის სახელს არ დავარქმევთ, თუ ზედმეტ სურვილებს ვუწოდებთ მათ?

– ყოვლად შესაფერისს.

– ახლა კი განვიხილოთ როგორც ერთის, ისე მეორის ნიმუში, რათა ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ მათზე.

– აუცილებლად უნდა განვიხილოთ.

– ჭამის სურვილი, რასაც მოითხოვს ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა, პურისა და უბრალო საკაზმ-სანელებლის სურვილი, განა აუცილებელ სურვილად არ უნდა მიგვაჩნდეს?

– მე მგონია, უნდა მიგვაჩნდეს.

– პურის სურვილი ორმხრივაა აუცილებელი: ჯერ ერთი, ის სასარგებლოა და, მეორეც, მისი დაკმაყოფილების გარეშე ვერ იცოცხლებ.

– დიახ.

– საკაზმ-სანელებლები კი აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ჯანმრთელობას გვინარჩუნებს.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ იმ სურვილზე რაღას იტყვი, აუცილებლობაზე მეტს, ესე იგი, ნუგბარ კერძებს რომ მიელტვის? თუ ამ სურვილს ბავშვობიდანვე დავიურვებთ სათანადო აღზრდის მეოხებით, უმრავლესობამ შეიძლება თავი დაიხსნას მისგან: ის ხომ თანაბრად მავნეა სხეულისთვისაც და სულისთვისაც, რადგან არც გონებას ავითარებს და არც თავდაჭერილობას. ამიტომაც მართებული იქნებოდა ზედმეტი სურვილი გვეწოდებინა მისთვის.

– უმართებულესიც.

– ხომ არ ვუწოდოთ ამ სურვილს მფლანგველური, პირველს კი – მომგებიანი, რამდენადაც ხელს უწყობს ჩვენს ქმედითობას?

– უთუოდ.

– ამასვე ვიტყვით სასიყვარულო და მის მსგავს სხვა სურვილებზედაც?

– რა თქმა უნდა.

– ვინც წეღან მამალ ფუტკარს შევადარეთ, მთლიანად ამ ზედმეტი სურვილებითა თუ ვნებებითაა სავსე, თავიანთ ნებაზე რომ ათამაშებენ მას, მაშინ როდესაც ხელმომჭირნე და ოლიგარქიული კაცი აუცილებელ სურვილებს ემორჩილება.

– დიახ.

– მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ იმას, თუ როგორ იქცევა ოლიგარქიული ადამიანი დემოკრატიულ ადამიანად. ჩემის აზრით ეს, უპირატესად, ასე ხდება...

– როგორ?

– როცა ჭაბუკი, როგორც ზემოთ ვამბობდით, უმეცრებისა და მომჭირნეობის გარემოში იზრდება და უცებ მამალი ფუტკრის თაფლს იგემებს, რის შედეგადაც ამ საშიში და მძვინვარე მწერების გუნდში ამოყოფს თავს, რომლებსაც შეუძლიათ ათასნაირი სიამოვნება მიანიჭონ, მერწმუნე, სწორედ მაშინ იწყება ოლიგარქიული ადამიანის ქცევა დემოკრატიულ ადამიანად.

– უცილობლად, – თქვა მან.

– როგორც სახელმწიფოში ხდება ცვლილება, როცა მისი მოქალაქეების ნაწილი, შეხედულებათა მსგავსების წყალობით, დახმარებას იღებს გარედან, ასე იცვლება ჭაბუკიც, როცა მისი სურვილების ერთ ნაწილს გარედან ეშველებიან მათი მონათესავე და მსგავსი სურვილები.

– ზუსტად ასეა.

– და მე მგონია, როცა ამის საპირისპიროდ რაღაცა ეხმარება მის ოლიგარქიულ საწყისს, მამის ან ოჯახის სხვა წევრების შეგონება იქნება ეს თუ ყვედრება, ყმაწვილი კაცის სულში იბადება აღშფოთება და წინააღმდეგობა როგორც ახლობლების, ისე თავისი თავის მიმართაც.

– რა თქმა უნდა.

– ჩემი აზრით, ზოგჯერ დემოკრატიული საწყისი უკან იხევს ოლიგარქიულის წინაშე, ზოგიერთი სურვილი ქარწყლდება ან განიდევნება, რის შედეგადაც ჭაბუკის სულში უწინდებურად იღვიძებს სირცხვილის გრძნობა და კვლავ წესრიგი მყარდება.

– ზოგჯერ ასედაც ხდება.

– მაგრამ შემდეგ გაძევებულ სურვილთა მონათესავე სურვილები, მამის, როგორც აღმზრდელის, უგერგილობისა და უნიათობის წყალობით, კვლავინდებურად ღვივდებიან, მრავლდებიან და ძლიერდებიან.

– ჩვეულებრივი ამბავია, – თქვა მან.

– ისინი კვლავ ძველი ამფსონებისკენ ეზიდებიან ყმაწვილ კაცს, და ამ ფარული ურთიერთობისაგან ბევრი ახალი სურვილი იბადება.

– რა თქმა უნდა.

– მე მგონია, ეს სურვილები, ბოლოს და ბოლოს, კიდევაც ეუფლებიან ჭაბუკის სულის აკროპოლისს, როდესაც დაინახავენ, რომ ის ცარიელია, რომ მასში არც ცოდნაა, არც კეთილშობილური ჩვევები და არც სიტყვების სიწრფელე – ღმერთების საყვარელი ადამიანების ეს უკეთესი დარაჯები და მცველები.

– მართლაც რომ უკეთესნი.

– მათ ადგილას მის სულში, მე მგონია, მცდარი წარმოდგენები და მკვახე სიტყვები იწყებენ თარეშს.

– ამრიგად, ის კვლავ უბრუნდება ლოტოფაგოსებს და უკვე აშკარად იდებს ბინას მათ შორის. თუ ახლობლები ლაშქარს დასძრავენ მისი სულის მომჭირნე საწყისის მისაშველებლად, მკვეხარა სიტყვები სამეფო გალავნის ბჭეს ჩაკეტავენ და არამცთუ მაშველ ლაშქარს, თვით ელჩებსაც, ესე იგი, უფროსი და უფრო ჭკვიანი ხალხის გონივრულ რჩევა-დარიგებებსაც არ შეუშვებენ აკროპოლისში. სამარცხვინოდ განდევნიან სიბრიყვედ შერაცხილ უმანკოებას; კეთილშობილებას სიმხდალეს უწოდებენ და თავსლაფდასხმულს გააძევებენ; ზომიერებასა და წესრიგს მფლანგველობად დასახავენ და მდაბიურ უმეცრებად და სიმდაბლედ მიჩნეულთ, ფუჭ გულისთქმათა ურიცხვ სიმრავლეზე დაყრდნობით, უკან მოატოვებინებენ თავიანთი სამფლობელოს საზღვრებს.

– უცილობლად.

– მას შემდეგ, რაც ჭაბუკის სულს დააცარიელებენ და გაწმენდენ, ჭაბუკისა, რომელსაც თავიანთ ნებაზე ათამაშებენ და თითქოს დიდ მისტერიებს აზიარებენ, ისინი დიდი ზარზეიმითა და მრავალრიცხოვანი ქოროს თანხლებით შეაბრძანებენ მასში თავხედობას, თავაშვებულებასა და უტიფრობას, რომლებსაც მომხიბლავი სახელებით ამკობენ: თავხედობას ისინი თავაზიანობას უწოდებენ, თავაშვებულობას – თავისუფლებას და უტიფრობას – დიდებულებას. განა სწორედ ასე არ გადადის აუცილებელი სურვილებით ნასაზრდოები სული ფუჭი და ზედმეტი სურვილების სამყაროში, სადაც სრულ გასაქანს ანიჭებეს მათ?

– ცხადზე ცხადია.

– შემდეგ როგორღა წარიმართება მისი ცხოვრება? მე მგონია, ზედმეტ სურვილებს ის არანაკლებ ფულს, გარჯას და დროს შეალევს, ვიდრე – აუცილებელთ. მაგრამ თუ მისდა საბედნიეროდ ბაკქური სიშლეგე არც ისე ძალუმად ბობოქრობს მასში, რაც უფრო ემატება წლები და რაც უფრო უკან იტოვებს ვნებათა ღელვას, ნაწილობრივ კვლავ უბრუნდება თავის გაძევებულ სურვილებს და მთელი არსებით როდიღა ეძლევა მასში უფრო გვიან შემოჭრილთ, ასე რომ მის ცხოვრებაში სურვილთა ერთგვარი წონასწორობა მყარდება: ის ყოველთვის დაემორჩილება იმ სურვილს, რომელიც თითქოს წილისყრით ერგო, ვიდრე მთლიანად არ დაიკმაყოფილებს მას, შემდეგ კი – მეორე სურვილს, და არცერთს არ შეაქცევს ზურგს, არამედ ყველა თანაბარი იქნება მისთვის.

– რა თქმა უნდა.

– და მაინც, ის უკუაგდებს და თავის ციხე-სიმაგრეში არ შეუშვებს გონივრულ განსჯას იმისას, ვინც ეტყვის, რომ ზოგიერთი სიამოვნება კარგი და კეთილი სურვილისგან იღებს დასაბამს, ზოგიერთი კი – ცუდისგან, და რომ ზოგ სურვილს უნდა ვავითარებდეთ და პატივს ვცემდეთ, ზოგს კი ვიურვებდეთ და ვიკვეთდეთ. პასუხის ნაცვლად ის მხოლოდ უარის ნიშნად გაიქნევს თავს და იტყვის, რომ ყველა სურვილი ერთი და იმავე ბუნებისაა და თანაბრად პატივისცემის ღირსი.

– ამნაირი ხალხი ყოველთვის ასე იქცევა.

– ეს კაცი იმით სულდგმულობს, რომ ცდილობს დაიკმაყოფილოს გულში აღძრული ყველა სურვილი: ხან ფლეიტების მომნუსხველი ხმის თანხლებით ლოთობს, ხან კი წყლის მეტს არას მიირთმევს და უჭმელობით იფიტავს სხეულს; ხან ქანცგაწყვეტამდე ვარჯიშობს, ხან კი ისეთი სიზარმაცე მიეძალება, რომ არაფრის თავი აღარა აქვს; ზოგჯერ ფილოსოფიაში დანთქმული გეგონებათ; ხშირად სახელმწიფო მოღვაწეს ბაძავს: ანაზდეულად ახტება ფიცარნაგზე და რაც თავში მოუვა, იმას გაჰყვირის, ხოლო რასაც გაჰყვირის, კიდეც ასრულებს; ერთ დღეს რომ მეომრებს შეჰნატრის და მათკენ მიეშურება, მეორე დღეს ვაჭრებისკენ მიუწევს გული. ერთი

სიტყვით, მისი ცხოვრებისთვის უცხოა წესრიგიც და აუცილებლობაც, მაგრამ ამ ცხოვრებას საამურს, ლაღს, ნეტარს უწოდებს და ნიადაგ მისი ერთგული რჩება.

– მშვენივრად დაგვიხატე იმ კაცის ცხოვრება, ვისთვისაც ყველაფერი სულერთია.

– ჩემი აზრით, ეს კაცი თავის თავში აერთიანებს ათასნაირ ბუნებასა თუ ხასიათს და ისეთივე მრავალსახოვანია და ჭრელი, როგორც მისი სახელმწიფოებრივი წყობილება. ვინ მოსთვლის, რამდენ ქალსა და კაცს შეშურდებოდა ამნაირი ცხოვრება, სადაც ერთმანეთს ერწყმის მმართველობისა და ზნე-ჩვეულებების ურიცხვი სხვადასხვა ნიმუში.

– ასეა, – თქვა მან.

– რა ვქნათ, დემოკრატიულ წყობილებას ხომ არ შევუპირისპიროთ ეს კაცი? რადგანაც სრული უფლება გვაქვს დემოკრატიულ ადამიანად მიგვაჩნდეს იგი.

– ასე მოვიქცეთ.

– მაგრამ ყველაზე საუცხოო სახელმწიფოებრივი წყობილება, ისევე, როგორც ყველაზე საუცხოო ადამიანი, ჯერ კიდევ განსახილველი დაგვრჩა: ესაა ტირანია და ტირანი.

– მართლაც.

– მაშ, მოდი, ვნახოთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რანაირად იბადება ტირანია; თუმცა დემოკრატიისაგან რომ იღებს დასაბამს, ეს, მგონი, ცხადი უნდა იყოს.

– დიახ, ცხადია.

– როგორც ოლიგარქიისაგან წარმოიშვა დემოკრატია, განა ასევე არ იბადება დემოკრატიისაგან ტირანია?

– როგორ?

– საბოლოო მიზნად დასახული სიკეთე, რამაც დასაბამი მისცა ოლიგარქიას, სიმდიდრე იყო, არა?

– დიახ.

– დაღუპვით კი რამ დაღუპა, თუ არა დაუოკებელმა სწრაფვამ სიმდიდრისაკენ და გულგრილობამ ყველაფრის მიმართ, სარფისა და სარგებლის გარდა?

– მხოლოდ მაგან.

– ჰოდა, რასაც სიკეთედ სახავს დემოკრატია და რასაც დაუცხრომლად მიელტვის, სწორედ ის დაღუპავს მას.

– კი მაგრამ, რას სახავს სიკეთედ?

– თავისუფლებას. დემოკრატიულ სახელმწიფოში სულ იმას გაიძახიან, რა მშვენიერია თავისუფლება და ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ამნაირ სახელმწიფოში უნდა ცხოვრობდეს თავისუფლად შობილი კაცი.

– მართლაც და, ხშირად გაიგონებ ამნაირ სიტყვებს.

– ჰოდა, როგორც წეღან მოგახსენებდი, ამნაირი დაუცხრომელი ლტოლვა მხოლოდ ერთისკენ და ყოველივე დანარჩენის უგულებელყოფა ამახინჯებს ამ წყობილებას და ტირანიის მოთხოვნილებას ბადებს.

– როგორ?

– როცა თავისუფლებას მოწყურებული ამნაირი დემოკრატიული სახელმწიფოს სათავეში უხეირო მერიქიფენი დგანან, ეს სახელმწიფო ზომაზე მეტად თვრება თავისუფლების წმინდა და გაუზავებელი ღვინით, ხოლო მმართველებს, თუ ისინი საკმაოდ თვინიერნი არ არიან და სრულ თავისუფლებას არ ანიჭებენ ყველას, ბრალს სდებს და მკაცრად სჯის კიდეც, როგორც უკეთურ ოლიგარქებს.

– დიახ, ასედაც ხდება.

– ხელისუფალთა მორჩილ მოქალაქეებს იქ აბუჩად იგდებენ და ნებაყოფლობით მონებს უწოდებენ, სამაგიეროდ ქვეშევრდომებს, რომლებიც მმართველებს ჰგვანან, და მმართველებს, ქვეშევრდომებს რომ მოგვაგონებენ, ქება-დიდებით იხსენიებენ და პატივს სცემენ როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც. განა ამნაირ სახელმწიფოში ყველაზე თანაბრად არ ვრცელდება თავისუფლების სული?

– რა თქმა უნდა.

– ის, ჩემო მეგობარო, ოჯახებშიაც აღწევს, ასე რომ, ანარქია, ბოლოს და ბოლოს, თვით ცხოვრებასაც მოიცავს.

– ეგ როგორ უნდა გავიგოთ?

– როგორ და ისე, რომ მამა, მაგალითად, ეჩვევა ისე ეპყრობოდეს შვილს, როგორც თანასწორს და ეშინოდეს კიდეც შვილებისა, შვილი კი მამას უტოლებს თავს და აღარც მისი პატივისცემა აქვს, აღარც შიში და კრძალვა, რადგანაც თავისუფლება სწყურია. ახალმოსახლე ძირძველ მოქალაქეს უტოლდება, ეს უკანასკნელი კი – ახალმოსახლეს, და იგივე ითქმის უცხოელების მიმართაც.

– ასეა.

– ამას ზედ ერთვის ბევრი სხვა წვრილმანიც: ამნაირ ვითარებაში მასწავლებელს მოსწავლეებისა ეშინია და ამიტომაც ეპირფერება მათ, მოსწავლეები კი არაფრად აგდებენ მასწავლებლებს და აღმზრდელებს. ახალგაზრდები უფროსებს ბაძავენ და სიტყვით თუ საქმით ეჯიბრებიან მათ, უფროსები კი, თავიანთი მხრივ, ცდილობენ მიესადაგონ ახალგაზრდებს და ერთავად ოხუნჯობენ და ლაზღანდარობენ, რათა აუტანელ დესპოტებად არ ჩანდნენ ხალხის თვალში.

– ყველაფერი მართლაც ასეა.

– მაგრამ უკიდურესი თავისუფლება, რაც ნიშნეულია ამნაირი სახელმწიფოსათვის, ისაა, ჩემო მეგობრებო, რომ ნაყიდი მონები თუ მონა ქალები სულაც არ არიან ნაკლებ თავისუფალნი, ვიდრე მათი მყიდველნი. კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, სანამდის მიდის თავისუფლება ქალებისა კაცების მიმართ და პირიქით.

– რატომ არ უნდა ითქვას ის, რაც, ესქილეს მიხედვით, «ეს-ესაა მოგვადგა პირზე»?

– მეც სწორედ მაგას ვაპირებ. ახლა იმას აღარ იკითხავ, რამდენად უფრო თავისუფლად გრძნობენ აქ თავს შინაური ცხოველები, ვიდრე სხვაგან? არც კი დაიჯერებ, ვიდრე შენი თვალით არ ნახავ. ანდაზისა არ იყოს, «რაღა ძაღლები და რაღა მათი ქალბატონებიო». ცხენები და ვირები ისე ლაღად და თავისუფლად დათარეშობენ, რომ ვაი იმას, ვინც გზას არ დაუთმობს მათ. ერთის სიტყვით, თავისუფლება კალაპოტში ვეღარ ეტევა.

– თითქოს საკუთარ სიზმარს მიყვები. როგორც კი სოფელში ჩავალ, სულ ამ დღეში არა ვარ?

– ახლა, თუ ყოველივე ამას შევაჯამებთ, როგორც თვითონვე ხვდები, მთავარი ის იქნება, რომ მოქალაქეთა სული მეტისმეტად მგრძნობიარე ხდება თვით წვრილმანების მიმართ. ყოველგვარი ძალდატანება ისეთ აღშფოთებას იწვევს მათში, თითქოს ეს სრულიად დაუშვებელი რამ იყოს. ბოლოს და ბოლოს, ხომ გესმის, იქამდის მივა საქმე, რომ არავითარ ანგარიშს აღარ გაუწევენ კანონებს, არც დაწერილს და არც დაუწერელს, რათა ვეღარავინ მბრძანებლობდეს მათზე.

– ყველაფერი მშვენივრად მესმის.

– ჰოდა, მე თუ მკითხავ, ჩემო მეგობარო, სწორედ ამნაირი მმართველობიდან, ჭაბუკურად თავგასული და მომხიბლავი მმართველობიდან იღებს დასაბამს ტირანია.

– მართლაც რომ თავგასულია. მაგრამ შემდეგ რა ხდება?

– იგივე სნეულება, რამაც თავი იჩინა ოლიგარქიულ სახელმწიფოში და დააქცია ის, თვითნებობის გამო კიდევ უფრო მძაფრად ვითარდება აქ და მთლიანად იმონებს დემოკრატიას. მართლაც, ყოველივე მეტისმეტი მძაფრ უკუქმედებას იწვევს ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის – ამინდის, მცენარეებისა თუ სხეულების მხრივ, რასაც არანაკლებ ავლენენ სახელმწიფო წყობილებანი.

– რა თქმა უნდა.

– მეტისმეტი თავისუფლება როგორც ადამიანის, ისე სახელმწიფოსათვისაც, როგორც ჩანს, მეტისმეტ მონობად იქცევა.

– ცხადია.

– ასე რომ, ტირანია რომელიმე სხვა წყობილებიდან კი არა, დემოკრატიიდან იღებს დასაბამს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკიდურესი თავისუფლებიდან იბადება უმძიმესი და უსასტიკესი მონობა.

– მართლაც.

– მაგრამ, მე მგონია, ამას კი არ მეკითხებოდი, არამედ გინდოდა გაგეგო, რა არის ეს სნეულება, დემოკრატიასაც ისევე რომ ვნებს, როგორც ოლიგარქიას, და მთლიანად იმონებს მას.

– მართალს ბრძანებ, – თქვა მან.

– ზემოხსენებულ სნეულებად მე მიმაჩნია მოქალაქეთა ახალი ფენის – მოცლილთა და მფლანგველთა გაჩენა, რომელთაგანაც უფრო მამაცნი წინ მიუძღვიან დანარჩენებს, უფრო მხდალნი კი კუდში მისდევენ მათ. ისინი ჩვენ შევადარეთ მამალ ფუტკრებს: პირველნი ბასრი ნესტრებით არიან აღჭურვილნი, მეორენი კი არა.

– სწორია.

– ორივე ეს ფენა გაჩენისთანავე ისე ამღვრევს სახელმწიფოს პოლიტიკურ წესრიგს, როგორც ანთება ან ნაღველი – სხეულს. კარგმა ქირურგმა და სახელმწიფო კანონმდებელმა მათ წინააღმდეგ დროულად უნდა მიიღონ ზომები, როგორც მარჯვე მეფუტკრემ, რათა არ დაუშვან მამალი ფუტკრების გაჩენა, ხოლო თუ ამას ვერ შესძლებენ, სკას ფიჭასთან ერთად უნდა ამოარიდონ ისინი.

– ვფიცავ ზევსს, ეს აუცილებელია.

– ახლა კი, აი, როგორ უნდა მოვიქცეთ, რათა უფრო ნათლად გავარჩიოთ ის, რაც გვსურს.

– როგორ?

– სახელმწიფო აზრით გავყოთ სამ ნაწილად, რომელთაგანაც შედგება ის სინამდვილეში. პირველი ნაწილი მამალი ფუტკრების ფენა იქნება, თვითნებურად რომ მრავლდებიან აქ, მაგრამ არა ნაკლებ, ვიდრე ოლიგარქიული წყობილების პირობებში.

– ასეა.

– მაგრამ აქ ის გაცილებით უფრო შხამიანია, ვიდრე იქ.

– რატომ?

– ოლიგარქიულ სახელმწიფოებში მათ პატივს კი არ სცემენ, არამედ დაკავებულ თანამდებობებსაც ატოვებინებენ, ასე რომ, ვერც ხელს მოითბობენ და ვერც გაძლიერდებიან. დემოკრატიულ სახელმწიფოში კი ისინი თითქოს ერთპიროვნულად მბრძანებლობენ. ყველაზე შხამიანი ფუტკრები ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს წარმოსთქვამენ და თამამად მოქმედებენ, დანარჩენები კი კათედრებთან იყრიან თავს, გაშმაგებით ბზუიან და პირს უკუპრავენ ყველა მოწინააღმდეგეს. ასე

რომ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველა საქმეს, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, სწორედ ეს ხალხი განაგებს.

– მართალს ბრძანებ.

– ბრბოს ყოველთვის გამოეყოფა კიდევ ერთი ნაწილი...

– რომელი?

– საქმოსნებიდან, უმეტესწილად, ყველაზე მეტად მდიდრდებიან თავიანთი ბუნებით ყველაზე მოწესრიგებულნი.

– როგორც ჩანს.

– მამალი ფუტკრებიც სწორედ მათგან აგროვებენ ყველაზე მეტ თაფლს.

– ვისაც ცოტა აქვს, რას გამორჩები?

– ამნაირ მდიდრებს, ჩვეულებრივ, მამალი ფუტკრების ყვავილებს უწოდებენ.

– დიახ, ესაა მათი სახელი.

– მესამე ნაწილს ხალხი შეადგენს – ვინც თავისი ხელითა შრომობს, ვისთვისაც უცხოა საქმოსნობა და ვისაც თითქოს არაფერი არ აბადია. დემოკრატიულ სახელმწიფოში ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან და ყველაზე ძლიერნიც, როცა ერთად იყრიან თავს.

– ასეა, – თქვა მან, – მაგრამ რატომღაც ნაკლებად იჩენენ თავშეყრის სურვილს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თავიანთ წილ თაფლს ვეღარ იღებენ.

– კი მაგრამ, განა ყოველთვის არ იღებენ თავიანთ წილს, რაკიღა ხელისუფლებას შეუძლია მდიდრებს ჩამოართვას მათი ქონების ნაწილი და ხალხს დაურიგოს? თუმცა მეტ წილს ხელისუფალნი თავისთვის იტოვებენ.

– ხალხი სწორედ ასე იღებს ხოლმე რაღაცას.

– ხოლო ისინი, ვისაც ქონებას ართმევენ, იძულებულნი არიან თავი დაიცვან, სიტყვით გამოდიან ხალხის თავყრილობებზე და მიზნის მისაღწევად არც სხვა საშუალებებზე ამბობენ უარს.

– რა თქმა უნდა.

– თუმცა სახელმწიფო გადატრიალებასაც რომ არ ამზადებდნენ, ვიღაცა მაინც გამოვა და ბრალს დასდებთ, ხალხის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ და ოლიგარქობას მიელტვიანო.

– დიახ.

– ბოლოს და ბოლოს, როცა დაინახავენ, რომ ცილისმწამებლების მიერ გაბრიყვებული ხალხი ბოროტების კი არა, უცოდინარობის გამო მზადაა გაუსწორდეს მათ, ისინი უკვე ძალაუნებურად ხდებიან ოლიგარქიის მომხრენი. ეს მათი ბრალი არ არის: მამალმა ფუტკარმა მოწყლა და გააბოროტა ისინი.

– მართალს ბრძანებ.

– იწყება ბრალდება, სასამართლოებში ჩივილი, ცილობა და დავიდარაბა.

– რა თქმა უნდა.

– ხალხს კი ხომ იცი, რაც სჩვევია: საგანგებოდ ირჩევდეს ერთს, თაყვანს სცემდეს და ადიდებდეს.

– მართლაც რომ ასე სჩვევია.

– მაშასადამე, ცხადია, რომ ტირანის გამოჩენისთანავე, ის ყოველთვის სწორედ ამ ფესვიდან ამოიზრდება, როგორც ხალხის ბელადი.

– დიახ, ცხადია.

– კი მაგრამ, რითი იწყება ამ ბელადის ქცევა ტირანად? თუმცა აშკარაა, რომ ეს იწყება სწორედ მაშინ, როცა ის იმასვე სჩადის, რასაც გადმოგვცემს თქმულება ზევს ლიკეელის ტაძრის შესახებ, რომელიც მდებარეობს არკადიაში.

– მაინც რას გადმოგვცემს?

– ვინც სამსხვერპლო ხორცთან ერთად ადამიანის წვრილად დაკეპილ შიგანსაც იგემებს, აუცილებლად მგლად უნდა იქცეს. ან იქნებ არ გაგიგია ეს თქმულება?

– გამიგია.

– ასე ხალხის ბელადიც, რომელმაც იცის, რომ ბრბო მისი მონა-მორჩილია, უკვე აღარ ერიდება თვისტომთა სისხლის დაღვრას; პირიქით, უსამართლო ბრალდებით სასამართლოს წარუდგენს მათ და უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლით იბღალავს სულს, თავისი უწმინდური ბაგეებითა და ენით თქვლეფს თვისტომთა სისხლს და განდევნილთა და სიკვდილით დასჯილთა ხარჯზე ჰპირდება ხალხს ვალების ჩამოწერასა და მიწა-წყლის გადანაწილებას. განა ყოველივე ამის ჩამდენი კაცი საიმისოდ განწირული არ არის, რომ ან მტრებმა მოუსწრაფონ სიცოცხლე, ანდა ტირანად ქცეული მგლად გარდაისახოს?

– უცილობლად, – თქვა მან.

– აი, ვინ ამბოხებს ხალხს მდიდრების წინააღმდეგ.

– დიახ.

– თუ მარცხი განიცადა და განდევნეს, მაგრამ, თავისი მტრების სავალალოდ, კვლავ მოახერხა დაბრუნება, უკვე ჩამოყალიბებულ ტირანად ბრუნდება უკან.

– როგორც ჩანს.

– მაგრამ თუ მტრებმა კვლავ ვერ დაამხეს, ან ხალხს ვერ წაჰკიდეს და ვერც ის შესძლეს, რომ სიკვდილით დაესაჯათ, მაშინ უთუოდ ეცდებიან ქურდულად მოკლან იგი.

– ჩვეულებრივ, ასედაც ხდება.

– აქედან – ტირანთა საყოველთაოდ ცნობილი მოთხოვნა: როგორც კი ძალაუფლებას იგდებენ ხელთ, საგანგებო ბრძანებით ინიშნავენ სხეულის მცველებს, რათა ხალხის მწეს და მეოხს არა ევნოს რა.

– ასეა, – თქვა მან.

– და ხალხიც, რა თქმა უნდა, თანახმაა სხეულის მცველები იყოლიოს, რადგანაც ეშინია, ფათერაკს არ წაეკიდოსო, თავისი სიცოცხლე კი არ ადარდებს, რადგანაც საიმედოდ დაცული ჰგონია იგი.

– რა თქმა უნდა.

– ამის შემყურე მდიდარი კაცი, რომელმაც იცის, რომ თავისი სიმდიდრის გამო ხალხის თვალში ისედაც საეჭვო ჩანს, დაუყოვნებლივ იზიარებს მისნის მიერ კრეზუსისთვის მიცემულ რჩევას:

«მსწრაფლ მიაშურე კენჭმრავალ ჰერმოსს,
და საერთოდაც ნუ უფრთხი იმას,
ვაითუ ხალხმა მხდლად შემრაცხოსო».

– მეორედ ვეღარავინ შესძლებდა მის დაფრთხობას.

– გაქცეული ხელში რომ ჩაეგდოთ, სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა.

– რაც შეეხება ხალხის ბელადს, მასზე, ალბათ, ვერავინ იტყვის –

«როცა დაეცა, ვეება ტანით მისებრ ვეება სივრცე დაფარა», –

პირიქით, თვითონ დასცემს და დაამხობს ურიცხვ მტერს, სახელმწიფოს საჭესთან უკვე არა ბელადად, არამედ ნამდვილ ტირანად მდგარი.

– ასეც იყო მოსალოდნელი.

– ხომ არ განვიხილოთ ამ კაცისა და იმ სახელმწიფოს ბედნიერება, რომელსაც ევლინება ამნაირი მოკვდავი?

– რასაკვირველია, უნდა განვიხილოთ.

– თავდაპირველად ის ალერსით უღიმის ყველას, ვისაც კი ხვდება, და თავგამოდებით ამტკიცებს, ჩემი ტირანობა ვის გაუგიაო? ათას რამეს ჰპირდება კერძო პირებსაც და საზოგადოებასაც: ვალებს ჩამოგაწერთ და მიწის ნაკვეთებს დაგირიგებთ თქვენცა და ჩემს მცველებსაცო, და, საერთოდ, ცდილობს, ყველას კეთილმოწყალედ და თვინიერად მოაჩვენოს თავი.

– უცილობლად.

– ხოლო როცა მტერთაგან ზოგს დაუზავდება, ზოგს კი მოსპობს, ასე რომ, მის კეთილდღეობას ვეღარავინ დაემუქრება, მისი პირველი საზრუნავი, ალბათ, ის იქნება, რომ ომში ჩაითრიოს ხალხი, რათა ის გამუდმებით გრძნობდეს ბელადის აუცილებლობას...

– ცხადია.

– ...და რათა გადასახადებით გაღატაკებულ ხალხს დღიდან დღემდე ძლივს გაჰქონდეს თავი და შეთქმულებაზე ფიქრიც კი აღარ შეეძლოს.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ შენიშნავს, რომ ზოგიერთ მეტისმეტად თამამად და თავისუფლად მოაზროვნეს არ შეუძლია მის მბრძანებლობას დაემორჩილოს, ომი საკმაო საბაბია მისთვის, რათა ცილი დასწამოს ამ ხალხს – მტერს მიეყიდნენო, და ისინი საიქიოს გზას გაუყენოს. ყოველივე ამის გამო ტირანი იძულებულია ომის მუდმივი საშიშროებით აფრთხობდეს და აფორიაქებდეს ხალხს.

– ჭეშმარიტად.

– მაგრამ ამნაირი ქცევით ის სულ უფრო და უფრო მეტად შეაძულებს თავს მოქალაქეებს.

– აუცილებლად.

– ამასობაში ზოგიერთები, ხელი რომ შეუწყეს მის აღზევებას და დიდი გავლენით სარგებლობენ სახელმწიფოში, არა მარტო ზურგსუკან დასძრახავენ იმის გამო, რაც ხდება, არამედ მათ შორის ყველაზე გაბედულნი პირისპირაც თამამად მოახსენებენ თავიანთ აზრს.

– ალბათ.

– ძალაუფლების შესანარჩუნებლად ტირანი იძულებული იქნება მუსრი გაავლოს ყველას, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, მეგობრებს ვინ ჩივის, რიგიანი მტერიც აღარ შერჩება.

– ცხადია.

– მაშასადამე, ტირანი ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალს, ვინ არის მამაცი, ვინ არის დიდსულოვანი, ვინ ჭკვიანი ან მდიდარი, რადგანაც მისი კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული, რომ, უნდა თუ არა, ყველას მახეს უგებდეს, ვიდრე სახელმწიფოს მთლიანად არ გაწმენდს მათგან.

– უკეთესი გაწმენდა აღარ იქნება.

– დიახ, ეს მკვეთრად უპირისპირდება იმას, რასაც სნეულის გასაწმენდად იყენებენ ექიმები, ყოველივე ცუდისა თუ უკეთურისაგან რომ წმენდენ სხეულს და მხოლოდ კარგს ტოვებენ მასში. აქ კი პირიქითაა საქმე.

– როგორც ჩანს, ტირანი მართლაც იძულებულია ასე მოიქცეს, თუკი სურს ძალაუფლება შეინარჩუნოს.

– ასე რომ, ის შეკრულია ნეტარი აუცილებლობით: ან უკეთურთა ხროვაში იცხოვროს, რომელთაც ჭირივით სძულთ იგი, ან სიცოცხლეს გამოეთხოვოს.

– დიახ, შეკრულია.

– ისიც ხომ ცხადია, რომ რაც უფრო საძულველი ხდება მოქალაქეებისათვის თავისი ქცევით, მით უფრო მეტად სჭირდება მრავალრიცხოვანი და ერთგული სხეულის მცველნი.

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, სად არიან ეს ერთგულნი? საიდან მოიყვანოს ისინი?

– თავისით მოფრინდებიან, რამდენიც უნდა, თუკი ფულს არ დაიშურებს.

– ვფიცავ ძაღლს, მე მგონია შენ ისევ გადამთიელ მამალ ფუტკარზე ჩამოაგდე სიტყვა.

– გგონია და არცა სცდები.

– კი მაგრამ, ვითომ ტირანი დაიწუნებს ადგილობრივ სხეულის მცველებს?

– დაწუნებით კი არ დაიწუნებს, მაგრამ სად იშოვის?

– როგორ თუ სად? ადგება და მოქალაქეებს ჩამოართმევს მონებს, თავისუფლებას მიანიჭებს და თავის მცველებად დანიშნავს მათ.

– ნამდვილად; თანაც მათზე ერთგულს ვერავის ნახავს.

– შენ თუ გერწმუნეთ, ბედნიერი კაცი ყოფილა ეს ჩვენი ტირანი, რაკიღა ერთგულ მეგობრებად ამნაირი ხალხი ჰყავს, მაშინ როდესაც ნამდვილი მეგობრებიდან ერთიც არ დატოვა ცოცხალი.

– ეტი რა გზა აქვს, ამნაირებს უნდა დასჯერდეს.

– თაყვანისმცემლებად თანამზრახველნი ეყოლება, მეგობრებად კი – ახალი მოქალაქენი; რაც შეეხება პატიოსან ხალხს, ტირანი სიძულვილისა და ზიზღის ღირსი იქნება მისთვის.

– უცილობლად.

– როგორც ჩანს, ტრაგედიას ტყუილად როდი მიიჩნევენ სიბრძნის ხელოვნებად, ხოლო ამ მხრივ ყველაზე მაღლა დგას ევრიპიდე.

– ვითომ რატომაო?

– იმიტომ, რომ სწორედ მას ეკუთვნის ეს ღრმააზროვანი გამონათქვამი:

«ტირანთა ბრძნობის ბრძენთა ძმობა არის მიზეზი».

ხომ ხედავ, მისი აზრით, ტირანები ბრძენკაცებთან რომ მეგობრობენ.

– თანაც როგორ აქებს და ადიდებს, ტირანის ძალაუფლებას კი ღვთაებრივად სახავს, სხვა მისთანათა ქება-დიდებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რაშიაც მას დიდად როდი ჩამორჩებიან დანარჩენი პოეტები.

– ჰოდა, რაკი ტრაგიკოსი პოეტები ასე გაბრძნობილნი არიან, დაე, მოგვიტევონ ჩვენცა და ჩვენს თანამოაზრეებსაც, თუ ჩვენს სახელმწიფოში არ მივიღებთ მათ, როგორც ტირანული ძალაუფლების მეხოტბეებს.

– მე მგონია, მოგვიტევებენ, მათ შორის ყველაზე გონიერნი მაინც.

– ქალაქიდან ქალაქში რომ დადიან, მრავალრიცხოვან ბრბოებს უყრიან თავს და მშვენიერი და ძლიერი ხმის მქონე შემსრულებლებს ქირაობენ, – ისინი დემოკრატიისა და ტირანიის დამყარებისაკენ მოუწოდებენ ხალხს.

– და მერე როგორი თავგამოდებით მოუწოდებენ.

– მეტიც, საზღაურსაც იღებენ და მათ ყველაზე დიდ პატივს მიაგებენ, ჯერ ერთი, ტირანები და, მეორეც, დემოკრატები, მაგრამ რაც უფრო მაღლა მიიწევენ სახელმწიფო თანამდებობების კიბეზე, მით უფრო კნინდება მათი დიდება, თითქოს სუნთქვა აღარ ჰყოფნით და აღმასვლა უძნელდებათო.

– მართლაც.

– მაგრამ ჩვენს სათქმელს გადავუხვიეთ, ამიტომ, მოდი, კვლავ ტირანის დიდებულ, მრავალრიცხოვან, ჭრელსა და გამუდმებით ცვალებად ლაშქარს მივუბრუნდეთ და ვნახოთ, როგორ ინახავს მას.

– თუ სახელმწიფოში წმინდა საუნჯენი მოეძებნება, ეტყობა, სწორედ მათ ხარჯზე, და ამითი ფარავს გასავალს, რისი მეოხებითაც გადასახადებით არა ხდის სულს მოქალაქეებს.

– მაგრამ როცა ეს წყარო დაიწრიტება?

– მაშინ ის თავის თავსაც, თავის თანამზრახველთაც, მეგობრებსაც და ხარჭებსაც მათი მამების სახსრებით არჩენს.

– გასაგებია: რახან ხალხმა შვა, მანვე უნდა არჩინოს ტირანიც და მისი ამალაც.

– მეტი რა გზა აქვს.

– რას ამბობ, ადამიანო? ხალხი რომ აღშფოთდეს და თქვას: სად გაგონილა, დავაჟკაცებულ შვილს მამა არჩენდეს? პირიქით, მამას უნდა არჩენდეს შვილი; და მართლაც, იმისთვის როდი აჩუქა სიცოცხლე და დააფრთიანა, რომ მისი დავაჟკაცების შემდეგ თავისი საკუთარი მონების მონად ქცეულიყო და შვილთან ერთად მონებისა და არამზადების ხროვაც ერჩინა, არამედ იმისათვის, რომ აღზევებული შვილის მეოხებით განთავისუფლებულიყო მდიდრებისა და ეგრეთწოდებულ ღირსეულთა ბატონობისგან; ახლა კი თავის თანამზრახველებთან ერთად ისევე აძევებენ სახელმწიფოდან, როგორც მამა აძევებს სახლიდან შვილს მის უღირს თანამეინახეებთან ერთად.

– ვფიცავ ზევსს, მაშინ კი მიხვდება ხალხი, რა ხვითოც შვა და ნებიერადაც აღზარდა; მაშინღა იგრძნობს, რა ძალის მქონენი არიან ისინი, ვის განდევნასაც თავისი სუსტი ძალებით ცდილობს.

– რას ამბობ? განა ტირანი გაბედავს ძალმომრეობა გამოიჩინოს მამის მიმართ, და თუ მან უკან არ დაიხია, ხელიც კი აღმართოს მასზე?

– დიახ, – თქვა მან, – მას შემდეგ, რაც იარაღს აჰყრის.

– მაშასადამე, შენ მამისმკვლელად და მოხუცი მშობლების უღირს მარჩენლად მიიჩნევ ტირანს? ეტყობა, ესაა ტირანიული ძალაუფლების საყოველთაოდ აღიარებული თავისებურება. როგორც იტყვიან, «კვამლს გაექცა და ცეცხლში ჩავარდაო». ისეა სწორედ: თავისუფალ ადამიანთა მბრძანებლობას გარიდებული ხალხი დესპოტური ძალაუფლების მონობაში ამოყოფს თავს და მეტისმეტ თავისუფლებას ყველაზე მძიმე და აუტანელ მონობაზე – მონების მონობაზე გაცვლის.

– ყოველთვის ასე ხდება.

– მაშ, ასე, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენ სავსებით საკმარისად ვილაპარაკეთ იმის თაობაზე, თუ როგორ იბადება ტირანია დემოკრატიისაგან და როგორია მისი თავისებურებანი.

– იახ, სავსებით საკმარისად.

წიგნი მეცხრე

– ახლა კი განსახილველი დაგვრჩა ტირანიული ადამიანი: როგორ იბადება დემოკრატიული ადამიანისაგან, დაბადების შემდეგ კი როგორია მისი ცხოვრება, ბედნიერი თუ უბედური.

– ეგ მართლაც განსახილველი დაგვრჩა.

– თუ იცი, კიდევ რა მინდა?

– რა?

– რაც სურვილებს ეხება: მე მგონია, საკმარისად ვერ ავხსენით, რამდენი და რანი არიან. თუ ეს ნაკლი ვერ გამოვასწორეთ, ნათელ წარმოდგენას ვერ შევიქმნით იმაზე, რასაც ვიკვლევთ.

– ახლა მაინც ვერ ავხსნით?

– რა თქმა უნდა. ნახე, რისი გარკვევა მსურს: არააუცილებელ განცხრომათა და გულისთქმათა შორის ზოგიერთი უკანონო ჩანს. ისინი ყველა ადამიანისათვის ნიშნეულნი არიან, მაგრამ კანონებით, უკეთესი სურვილებითა და გონების შემწეობით მოთოკილნი ან საერთოდ ქარწყლდებიან, ან სიმძაფრეს კარგავენ და ცოტანიღა რჩებიან, თუმცა ზოგიერთ მოკვდავში უწინდელ ძალას და სიმრავლეს ინარჩუნებენ.

– მაინც რა სურვილებს გულისხმობ?

– სურვილებს, რომლებიც იღვიძებენ, როცა სულის მთავარი, გონივრული და თვინიერი საწყისი თვლემს, სამაგიეროდ ველური და ცხოველური საწყისი, სიმაძღრითა და სიმთვრალით აბორგებული, ყალყზე დგება, თავიდან იშორებს ძილს და თავისი ჟინის დაცხრომას ცდილობს. როგორც მოგეხსენება, ამნაირ მდგომარეობაში აღარც კრძალვა ახსოვს და აღარც სირცხვილი, იმის წინაშეც კი არ იხევს უკან, რომ მშობელ დედას ან ვისაც გნებავს, თვით ღმერთებსა და მხეცებსაც კი თანაეყოს; ვისიც გნებავს, იმის სისხლში გაისვრის ხელს და რაც გნებავს, იმას მიირთმევს. მოკლედ არ არსებობს სიშლეგე და უტიფრობა, რისგანაც მან შეიძლება თავი შეიკავოს.

– მართალს ამბობ.

– ხოლო როცა კაცს არც სიჯანსაღე აკლია და არც თავდაჭერილობა, ძილის წინ მშვენიერი შეგონებებითა და ნათელი აზრებით აფხიზლებს სულის გონივრულ საწყისს და შინაგან ჭვრეტაში ინთქმება. ვნებიან საწყისს კი, მართალია, არ ამშევს, მაგრამ არც მისი სიხარბის დაცხრობას ცდილობს, რათა აიძულოს იგი დამშვიდდეს და თავისი სიხარულითა თუ ურვით ნუღარ აამღვრევს უკეთეს საწყისს; დაე, ის თავისთავად, დაუბრკოლებლივ, მთელი თავისი სიწმინდით მიიქცეს იმის კვლევად, რაც ჯერ კიდევ უცნობია მისთვის როგორც აწმყოში, ისე წარსულსა თუ მომავალში. ზუსტად ასევე დაიურვებს იგი სულის ბობოქარ საწყისსაც, რათა ის აღელვებული და აღშფოთებული კი არა, დამშვიდებული მიეცეს ძილს. ამ ორ საწყისს რომ დაიურვებს და მესამეს – გონივრულს – აამოქმედებს, ადამიანი მშვიდად ეძლევა მოსვენებას. როგორც მოგეხსენება, ამნაირ მდგომარეობაში ის, უმალ, ჭეშმარიტებას ეხება, უკეთური ხილვები კი ნაკლებად ამღვრევენ და აშფოთებენ მის სულს.

– სრული სიმართლეა, – თქვა მან.

– მაგრამ აქ ძალიან გაგვიგრძელდა სიტყვა; ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურდა, რომ თვითეულ ჩვენგანში, თვით ყველაზე თავშეკავებულსა და თავდაჭერილ ხალხშიაც კი, არის რაღაც საშინელი, არაბუნებრივი და ველური სურვილი, რაც სიზმრებში ვლინდება ხოლმე. თავად განსაჯე, მართალს ვამბობ თუ არა? რას იტყვი, იზიარებ ჩემს აზრს?

– რა თქმა უნდა.

– ახლა კი გაიხსენე, რანაირად წარმოვაჩინეთ დემოკრატიული ადამიანი, დაბადებიდან თუ არა, სიყრმიდან მოყოლებული რომ იზრდება ხელმომჭირნე მამის ზედამხედველობით, რომელიც მხოლოდ ანგარებიან სურვილებს აფასებს და არაფრად მიაჩნია ის სურვილები, რომელთა გარეშეც შეიძლება ფონს გახვიდე და რომელთა საგანიც სხვა არა არის რა, თუ არა გართობა და ფუფუნება; ასეა, არა?

– დიახ.

– მაგრამ როცა უფრო დახვეწილ და იმ სურვილების სათამაშოდ ქცეულ ხალხს უახლოვდება, რომლებიც ეს-ესაა აღვწერეთ, ყმაწვილი კაცი მათი ცხოვრების წესს ითვისებს და მათ ფერხულში ებმება, რადგანაც მამის სიძუნწე სძულს. მაგრამ რაკი თავისი ბუნებით იმათზე უკეთესია, ვისი გავლენაც ძალიან ცუდად მოქმედებს მასზე, გზააბნეული თითქოს ცხოვრების ამ ორ წესს შორის ჩერდება და აღარ იცის, საითკენ გადაიხაროს. ორივესგან, მისი აზრით, ზომიერ ტკბობას რომ მოითხოვს, აღვირახსნილად როდი ცხოვრობს, და, ამრიგად, ოლიგარქიული ადამიანიდან დემოკრატად იქცევა.

– სწორე ასეთი წარმოდგენა გვქონდა და გვაქვს ამნაირ ადამიანზე.

– ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ამ კაცს მოწიფულობაში უკვე ახალგაზრდა შვილი ეყოლება, მამის მიერ აღზრდილი და, ამრიგად, მისივე ზნისა.

– წარმოვიდგინოთ.

– ისიც წარმოიდგინე, რომ მას იგივე მოუვა, რაც მოუვიდა მამამისს; რომ ისიც ჩათრეულ იქნება აღვირახსნილობის თარეშში, რასაც მისი მაცთუნებელნი სრულ თავისუფლებას უწოდებენ; რომ თუ მამა და დანარჩენი ახლობლები ეცდებიან ზომიერი სურვილების ფარგლებს არ გასცდეს, სხვები აშკარად დაუპირისპირდებიან ამას. თუ ეს მარჯვე ჯადოქრები და ტირანთა შემოქმედნი სხვა გზით ვერაფერს გახდნენ, შეეცდებიან ყმაწვილ კაცს ესა თუ ის მავნე ვნება ჩაუნერგონ სულში, ვნება, რომელიც წინ უძღვის და ამძაფრებს უქნარობისა თუ დანაზოგის ფლანგვის სურვილს; ეს ვნება სწორედ ვეება მამალი ფუტკარია; ან იქნებ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

– არა, – თქვა მან, – მე მგონია, სწორედ ასეა.

– ზემოხსენებული ვნების ირგვლივ რიალებენ ამნაირი ურთიერთობისათვის ნიშნეული სურვილები, რომლებსაც გარემოიცავს სურნელოვანი საკმევლების, ნელსაცხებლების, გვირგვინების, ღვინისა და აღვირახსნილი ღრეობების ჯანღი, უჩვეულოდ რომ აგრძელებს და წვერს უმახავს მამალი ფუტკრის ნესტარს, რითაც ცთუნებულ სულთა ეს წინამძღვარი დაუნდობლად წყლავს თავის მსხვერპლს. და თუ ყმაწვილი კაცის სულში მოიხელთა ეს თუ ის წარმოდგენა ან სურვილი, რასაც ჯერ კიდევ შერჩენია წესიერებისა და კრძალვის ნაშთი თუ ნატამალი, დაუყოვნებლივ მოაშთობს და გარეთ მოისვრის, ვიდრე კეთილგონიერებისაგან საბოლოოდ არ გაწმენდს სულს, რათა მის ნაცვლად უჩვეულო სიშლეგით აავსოს იგი.

– მშვენივრად გვიხატავ ტირანიული ადამიანის დასაბამს.

– განა სწორედ ამიტომ და სხვა მისთანათა გამო არ იწოდება ეროსი ტირანად?

– როგორც ჩანს.

– და ტირანიულ ადამიანსაც, ჩემო მეგობარო, განა იგივე აზრები არ უტრიალებს თავში, რაც ღვინით გამტყვრალს?

– ეტყობა.

– ხოლო შლეგსა და შერეკილს განა მარტო მოკვდავთა, თვით უკვდავი ღმერთების მბრძანებლობა არ სურს, რადგანაც ჰგონია, რომ ამ საქმეს მშვენივრად გაართმევს თავს?

– რა თქმა უნდა.

– ასე რომ, ჩემო საოცარო მეგობარო, ადამიანი ნამდვილ ტირანად იქცევა მაშინ, როცა თავისი ბუნებით ან ჩვეულებით, ანდა როგორც ერთის, ისე მეორის წყალობით ან მთვრალია, ან თავდავიწყებით შეყვარებული, ანდა შეშლილი.

– სრული სიმართლეა.

– ეტყობა, სწორედ ასე იბადება ამნაირი ადამიანი, მაგრამ როგორღა ცხოვრობს იგი?

– როგორც ხუმრობით ამბობენ ხოლმე, «ამასაც შენ მეტყვი».

– ცხადია, გეტყვი. მე მგონია ამას მოჰყვება გაუთავებელი ზარ-ზეიმები, ღრეობები, მეძავები და სხვა მისთანანი, რადგანაც ამ კაცის სულში დამკვიდრებული ეროსი წარმართავს მთელს მის არსებას.

– უცილობლად.

– ყოველდღე და ყოველ ღამე მის სულში გაიფურჩქნებიან საშინელი სურვილები, ურიცხვ მოთხოვნას რომ წაუყენებენ მას.

– დიახ, ურიცხვსა და უთვალავს.

– ასე რომ, ყოველგვარი შემოსავალი, თუკი საერთოდ გააჩნდა, სულ მალე დაიწრიტება.

– რა თქმა უნდა.

– ამას მოჰყვება ვალები და ქონების დაგირავება.

– უეჭველად.

– და როცა აღარაფერი აღარ დარჩება, განა მის სულში ჩაბუდებული სურვილების გუნდი გაშმაგებული არ აზუზუნდება, და თვითონაც მათი ნესტრითა და, უპირატესად, ეროსის ბასრი ისრით მოწყლული (ეროსისა, რომელსაც დანარჩენი სურვილები თითქოს სხეულის მცველებად ემსახურებიან) დამდუღრულივით არ მოჰყვება სირბილს? თანაც მსხვერპლს დაუწყებს თვალთვალს, ვისაც შეიძლება მზაკვრობით ან ძალადობით წაჰგლიჯოს რამე.

– რა თქმა უნდა.

– მოკლედ, იძულებული იქნება ძარცვა-გლეჯას მიჰყოს ხელი, თუ სურს თავი დააღწიოს აუტანელ ტანჯვა-წამებას.

– უცილობლად.

– ამ კაცის ახალი გულისთქმა ყველა ძველ სურვილს დაჩრდილავს და გააქარწყლებს. ზუსტად ასევე, თვითონაც დააპირებს დედ-მამის ძლევას, რაკიღა მათზე ახალგაზრდაა, და მას შემდეგ, რაც თავის წილს ქარს გაატანს, ეცდება მშობლების კუთვნილი ქონებაც გაანიავოს.

– უთუოდ.

– მაგრამ თუ მშობლებმა ამის საშუალება არ მისცეს, მაშინ ან გაქურდავს მათ, ან, რაც აბადიათ, ცბიერებით ჩაიგდებს ხელში.

– უეჭველად.

– ხოლო თუ ესეც შეუძლებელი შეიქნა, განა ძალას არ იხმარს, რათა საწადელს ეწიოს?

– ალბათ.

– ანდა თუ მშობლები მაგრად დაუხვდნენ და ბრძოლა გაუმართეს, განა ნამდვილი ტირანივით დაუნდობლად არ მოექცევა მათ?

– ვერ გეტყვი დაინდობს-მეთქი.

– კი მაგრამ, ზევსო მაღალო, ნუთუ თავისი ახალი მეგობრების გულისთვის, რომელთა გარეშეც სულ თავისუფლად შეეძლო ფონს გასულიყო, ადიმანტე,

მოიძულებდა ან ხელს აღმართავდა თავის ყველაზე ერთგულ მეგობრებზე – ბავშვობიდანვე საყვარელ დედ-მამაზე, და, თუნდაც დაბერებულთა და დაუძლურებულთ, აიძულებდა მსახურებად დასდგომოდნენ ამ ახალ მეგობრებს, როცა მათ თავის ჭერქვეშ შეიყვანდა?

– აიძულებდა, ვფიცავ ზევსს.

– დიდი ბედნიერება კია ტირანივით გულმხეცი შვილი მოუვლინო ქვეყნიერებას.

– ჭეშმარიტად.

– კი მაგრამ, როცა დედ-მამის ქონებას ხელს მოუთავებს, მის გულში კი ურიცხვი სურვილი ბორგავს, განა ძირს არ გამოუთხრის სახლს, რომელიც თვალში მოუვა, ან მოსასხამს არ წაჰგლეჯს ნაგვიანევ მგზავრს, ანდა პირწმინდად არ გაძარცვავს ტაძარს? ამ დროს მისი ძველი წარმოდგენები მშვენიერებასა თუ სიმახინჯეზე, პატიოსნებასა თუ უპატიოსნებაზე, ბავშვობიდან რომ შეუთვისებია და აქამდე სწორად მიაჩნდა, ადგილს უთმობენ სულ ბოლო ხანს თავაშვებულ სურვილებს, ეროსის მხლებლებსა და მისი წინამძღოლობით ყოვლის მძლეველთ. ადრე, როცა ის კანონებს, ადათ-წესებსა თუ მამის შეგონებებს ემორჩილებოდა, ამ სურვილებს არავითარი გასაქანი არ ჰქონდათ და მხოლოდ სიზმრებში თუ აიშვებდნენ თავს. ახლა კი, როცა ტირანივით სულს უხუთავს ეროსი, ის სიფხიზლეშიც, საერთოდ, ისეთი ხდება, როგორიც უწინ იშვიათად თუ იყო სიზმრებში, ასე რომ, რაგინდ საშინელიც არ უნდა იყოს, ვერც აკრძალულის ჭამისაგან იკავებს თავს, ვერც ბოროტმოქმედებისა თუ კაცის კვლისაგან. ეროსი, ერთპიროვნულად რომ მბრძანებლობს იმ უკანონობასა და უწესრიგობაში, რითაც სავსეა ამ კაცის სული, ისევე მიუძღვის მას აღვირახსნილობისაკენ, როგორც ტირანი – სახელმწიფოს, რათა ნებისმიერი მსხვერპლის ფასად დაიკმაყოფილოს თავისი ვნება და დააცხროს თავისი ჟინიანი ამალის, ესე იგი, იმ სურვილების სიშმაგე, რომელთაგანაც ზოგი გარედან იჭრება მასში, ზოგი კი თვით შიგნითვე, მასში ჩაბუდებულ იმ გულისთქმათა ბორგვისაგან იჩენს თავს, ახლა უკვე თავის ნებაზე რომ მიუშვია და სრული გასაქანი მიუცია მათი მძვინვარებისათვის. განა ეს არ არის ამნაირი კაცის ცხოვრება?

– დიახ, ესაა.

– როცა ამნაირი ხალხი ცოტაა სახელმწიფოში, უმრავლესობა კი საღად აზროვნებს, მაშინ ეს ცოტანი უცხო ქვეყნებში გარბიან, რათა იქ სხეულის მცველებად დაუდგნენ რომელიმე ტირანს, ან ამა თუ იმ მეომარი სახელმწიფოს მოლაშქრეებად იქცნენ. მაგრამ თუ ყველგან მშვიდობა სუფევს, ისინი ფეხს არ იცვლიან თავიანთი ქვეყნიდან, რომელსაც პატარ-პატარა ბოროტმოქმედებებით იკლებენ.

– მაინც რა ბოროტმოქმედებებს გულისხმობ?

– რასა და, ყაჩაღობას, სახლების გატეხას, ქისების შეჭრას, გამვლელთა ძარცვას, მკრეხელობას, ხალხის მონებად გაყიდვას. ხოლო თუ სიტყვა უჭრით, არც მაბეზღრობას, ცილისწამებასა თუ ქრთამის აღებას თაკილობენ.

– მერედა, ამას ეძახი პატარ-პატარა ბოროტმოქმედებებს, როცა ამნაირი ხალხი, შენის აზრით, ცოტაა?

– დიახ, ამას, რადგანაც დიდ ბოროტებასთან შედარებით ყოველივე ეს წვრილმანია და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანისა თუ ბოროტების თვალსაზრისით ახლოსაც ვერ მივა ტირანის მიერ ჩადენილ ბოროტებასთან. როცა სახელმწიფოში ბევრი ამნაირი ადამიანი და მათი მიმდევრები იყრიან თავს, და ისინი თავიანთ მრავალრიცხოვნებას გრძნობენ, სწორედ მათ შორის იბადება ტირანი, რასაც

ხელს უწყობს ხალხის უგუნურება. ეს იქნება ის კაცი, ვის სულშიაც ყველაზე ნამდვილი და სრულყოფილი სახით ვლინდება ტირანის ბუნება.

– ცხადია, – თქვა მან, – რადგან სწორედ ამნაირი კაცი იქნება ყველაზე დიდი ტირანი.

– მაშინ ხალხი ან ნებაყოფლობით იხრის ქედს მის წინაშე, ანდა, თუ წინააღმდეგობის გაწევა დააპირა, მაშინ, ჩვენს მიერ ზემოთ მოხმობილი მაგალითისა არ იყოს, რომლის მიხედვითაც შვილი ხელს აღმართავს დედ-მამაზე, ასევე მოექცევა ტირანიც თავის ქვეყანას, როგორც კი ძალას მოიცემს: დასჯის მიზნით შეიყვანს მასში თავის ახალ თანამზრახველებს, რათა მუდმივ მონობაში ამყოფოს ოდესღაც თავისი საყვარელი «დედა-სამშობლო», როგორც კრეტელები ეძახიან მას. სწორედ ესაა ამნაირი ადამიანის საბოლოო მიზანი.

– მართლაც.

– განა ეს ხალხი სწორედ ამნაირი არ არის კერძო ცხოვრებაშიც, მანამდეც კი, სანამ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგებოდნენ? ვისთანაც არ უნდა ამყარებდნენ ურთიერთობას, უწინარეს ყოვლისა, მლიქვნელობას და მონურ მორჩილებას მოითხოვენ მისგან, ხოლო თუ თვითონ დასჭირდათ რამე, ფეხქვეშ ეგებიან ადამიანს და ცდილობენ შინაურად მოაჩვენონ თავი, მაგრამ როგორც კი თავისას მიაღწევენ, მაშინვე უცხონი ხდებიან მისთვის.

– სრული სიმართლეა.

– ასე რომ, მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე, ერთხელაც არ ყოფილან ვისიმე მეგობრები; ან მბრძანებლები არიან, ან მონები; ტირანული ბუნების ადამიანს არასოდეს უგემია თავისუფლებისა თუ ნამდვილი მეგობრობის მადლი.

– რა თქმა უნდა.

– განა მართალნი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ეს ხალხი არ იმსახურებს ნდობას?

– რასაკვირველია.

– და უკიდურესად უსამართლონიც, თუკი ზემოთ სწორად განვსაზღვრეთ სამართლიანობის ბუნება.

– დიახაც სწორად განვსაზღვრეთ.

– მაშ, შევაჯამოთ ზემოთქმული: ყველაზე უფრო უკეთესი ის არის, ვინც, ჩვენი განხილვის თანახმად, ცხადშიაც იგივეა, რაც სიზმარში.

– რა თქმა უნდა.

– ამნაირ კაცად კი იქცევა ის, ვინც თავისი ტირანული ბუნების წყალობით ერთპიროვნულ ძალაუფლებას იგდებს ხელში, და მით უფრო მეტად იქცევა, რაც უფრო დიდხანს ფლობს ამ ტირანულ ძალაუფლებას.

– უცილობლად, – თავის მხრივაც ჩაურთო სიტყვა გლავკონმა.

– მერედა, – ვთქვი მე, – განა ყველაზე უკეთესი კაცი, იმავდროულად, ყველაზე უბედურიც არ იქნება? და რაც უფრო დიდხანს და რაც უფრო მეტი ტირანული ძალაუფლება მოიყრის თავს მის ხელში, მით უფრო დიდხანს და უფრო მეტად უბედური იქნება იგი, თუმცა უმრავლესობას სულ სხვადასხვანაირად წარმოუდგენია ეს.

– სხვანაირად შეუძლებელია.

– განა ტირანული ადამიანი ისევე არ ემსგავსება ტირანულ სახელმწიფოს, როგორც დემოკრატიული ადამიანი იქცევა დემოკრატიული სახელმწიფოს მსგავსად? და განა იგივე არ ითქმის დანარჩენთა მიმართ?

– რა თქმა უნდა.

– და როგორც სახელმწიფო მიემართება სახელმწიფოს სიქველისა და კეთილდღეობის მხრივ, განა ასევე არ მიემართება ადამიანიც ადამიანს?

– ცხადია.

– კი მაგრამ, როგორ მიემართება სიქველის მხრივ ტირანიული სახელმწიფო მონარქიულს, რომელიც ზემოთ აღვწერეთ?

– ისინი მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს, ერთი ყველაზე უკეთესია, მეორე კი პირიქით, ყველაზე უარესი.

– აღარა გკითხავ, რომელია უკეთესი და რომელი უარესი, ისედაც ცხადია, მაგრამ მათი ბედნიერებისა თუ უბედურების თაობაზეც ასევე ფიქრობ თუ სხვაგვარად? თვალს ნუ მოგვჭრის ტირანის გარეგნული ბრწყინვალება, გინდ მარტოდმარტოს ვხედავდეთ და გინდ ამალის თანხლებით. ჩვენ უნდა განვიხილოთ მისი სახელმწიფო მთლიანად, ჩავწვდეთ მის არსს, კარგად გავიაზროთ ყველაფერი და მხოლოდ შემდეგ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი წარმოდგენა მასზე.

– შენი მოთხოვნა სწორია; მაგრამ ყველას მშვენივრად მოეხსენება, რომ არ არსებობს ტირანიულ სახელმწიფოზე უფრო უბედური სახელმწიფო, და არც უფრო ბედნიერი, ვიდრე მონარქიული სახელმწიფოა.

– კი მაგრამ, ცალკეულ ადამიანთან მიმართებითაც იგივე რომ მომეთხოვა, განა სწორი არ ვიქნებოდი? მე მგონია, მასზე მსჯელობის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლია აზრით ჩასწვდეს ადამიანის ზნეობრივ არსს; ვინც პატარა ბავშვივით მარტოოდენ გარეგნობას როდი უყურებს და არც თავს ატყუებინებს იმ ბრჭყვიალა სამკაულებს, რომელთა მეშვეობითაც ტირანი ცდილობს თვალი მოსჭრას ბრბოს, – არამედ აზრით განწონის საგანთა სიღრმეს. მე თუ მკითხავ, უწინარეს ყოვლისა, ყური უნდა მიგვეგდო მისთვის, ვისაც, ჯერ ერთი, შეეძლო სწორად ემსჯელა, და, მეორეც, ტირანთან ერთად ეცხოვრა ერთ ჭერქვეშ, დაჰკვირვებოდა მის შინაურ ყოფას და მის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებისადმი. მაშინ ის თავისი ნამდვილი სახით წარმოჩნდებოდა ჩვენს წინაშე და არა საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული, თითქოს სცენაზე გამოსასვლელად. კარგი იქნებოდა გვენახა იმ შემთხვევაშიაც, როცა სახელმწიფოს საფრთზე დაემუქრებოდა. ვისაც ყოველივე ეს თავისი თვალით უნახავს, ნეტა ჩვენთვისაც ეუწყებინა, როგორ იქცევა ტირანი ბედნიერებასა თუ უბედურებაში სხვა ადამიანებთან შედარებით.

– ეს შენი მოთხოვნაც სავსებით მართებულია.

– თუ გინდა, ვივარაუდოთ, რომ სწორედ იმათ რიცხვს ვეკუთვნით, ვისაც შეუძლია ასე იმსჯელოს, ან უკვე შევხვდით ამნაირ ხალხს. მაშინ ჩვენს კითხვებს ერთ-ერთი თანამოსაუბრე მაინც გასცემდა სწორ პასუხს.

– ცხადია, მინდა.

– მაშ, მოდი, ასე შეუდექი ამ საკითხის განხილვას: გაიხსენე, რითი ჰგავს სახელმწიფო კერძო ადამიანს, ცალ-ცალკე, ერთიმეორის მიყოლებით განიხილე ისინი და გვიჩვენე, რა მოსდის ამ დროს ერთსაც და მეორესაც.

– კი მაგრამ, როგორ?

– როგორ და, თუ სახელმწიფოთი დაიწყებ, გვითხარი, რა უფრო სწორად გამოხატავს ტირანიული წყობილების არსს – თავისუფლება თუ მონობა?

– რა თქმა უნდა, მონობა.

– მაგრამ იქ ხომ ბატონებსაც ხედავ და თავისუფალ ხალხსაც?

– ვხედავ, – თქვა მან, – მაგრამ მათი რიცხვი ძალზე ცოტაა. თითქმის ყველა მოქალაქის და, მათ შორის, უპატიოსნესთა ხვედრიც სამარცხვინო და საწყალობელი მონობაა.

– თუ ცალკეული ტირანული მოქალაქე სახელმწიფოს უნდა ჰგავდეს, მაშინ მის არსებაში აუცილებლად იგივე უნდა ხდებოდეს, რაც სინამდვილეში, მისი სული სიმდაბლითა და მონობით უნდა იყოს სავსე, სულის ყველაზე ღირსეულ ნაწილებს ქედზე მონობის უღელი ედგათ და ყველაზე მცირერიცხოვან, მაგრამ ყველაზე უკეთურ და მძვინვარე ნაწილებს ჰმორჩილებდნენ.

– უცილობლად.

– მერედა, რა უფრო ნიშნეულია ამნაირი სულისთვის – მონობა თუ თავისუფლება?

– რა თქმა უნდა, მონობა.

– მაგრამ ტირანის მიერ მართულსა და დამონებულ სახელმწიფოს სულაც არ აქვს იმისი კეთების საშუალება, რაც თვითონ სურს.

– რასაკვირველია.

– მაშასადამე, ტირანულად მართული სულიც ყველაზე ნაკლებ შესძლებს იმის კეთებას, რაც სურს (ამ შემთხვევაში მე მთელ სულს ვგულისხმობ), არამედ, ვნების მძვინვარებით ტანჯული და გაწამებული, ყოველთვის მშფოთვარებითა და სინანულით იქნება სავსე.

– ცხადია.

– რას იტყვი, ტირანულად მართული სახელმწიფო აუცილებლობის ძალით, მდიდარი უნდა იყოს თუ ღარიბი?

– ღარიბი.

– მაშასადამე, ტირანულად მართული სულიც, აუცილებლობის ძალით, ყოველთვის ღარიბი იქნება და დამშეული.

– დიახ, – თქვა მან.

– კი მაგრამ, განა ამნაირი სახელმწიფოც და ამნაირი ადამიანიც, იმავე აუცილებლობის ძალით, შიშით არ იქნებიან სავსენი?

– რა თქმა უნდა.

– შენის აზრით, თუ მოიძებნება სხვა სახელმწიფო, სადაც ამდენი მწუხარება, გმინვა, გლოვა, ტკივილი და ტანჯვა იყოს?

– არამც და არამც.

– მერედა, განა შეიძლება ყოველივე ეს უფრო მეტი იყოს ვისიმე სულში, ვიდრე ვნებებისა და ეროსის მძვინვარების სათამაშოდ ქცეულ ტირანულ სულში?

– გამორიცხულია.

– მთელი ამ სვედავსილობისა და სხვა მისთანათა შემყურე, რას იტყვი, მოიძებენება თუ არა ამაზე უფრო უბედური სახელმწიფო?

– წარმოუდგენელია.

– მართლაც რომ წარმოუდგენელია. მაგრამ ტირანული ბუნების ადამიანზე რაღას იტყვი, ვისი სულიც ამდენი უბედურებითაა სავსე?

– ჩემის აზრით, ყველაზე უბედური უნდა იყოს.

– აი, აქ კი ცდები.

– როგორ? – გაიკვირვა მან.

– როგორ და ისე, რომ, მე თუ მკითხავ, ის ყველაზე უბედური როდია.

– მაშ, ვინ?

– ვინც კიდევ უფრო უბედური ჩანს.

– აღარ იტყვი, ვის გულისხმობ?

– იმას, ვინც თავისი ტირანული ბუნების გამო ვერ ახერხებს მთელი სიცოცხლის მანძილზე კერძო პირად დარჩეს, არამედ ბედუკუღმართობით განპირობებულ გარემოებათა დამთხვევის ძალით ტირანად იქცევა.

– იმის მიხედვით, რაც ზემოთ ითქვა, მე დავასკვნი, რომ მართალი უნდა იყო.

– დიახ, მაგრამ ამნაირი საკითხის განხილვისას ზოგად მოსაზრებებს არ უნდა დავჯერდეთ, არამედ, ისევე, როგორც ზემოთ, ყველაფერი გულდასმით უნდა ვიკვლიოთ, რადგანაც აქ საქმე ეხება ყველაზე მთავარს – ბედნიერია ჩვენი ცხოვრება თუ უბედური?

– მართალს ბრძანებ.

– ახლა იმასაც დაუკვირდი, საქმიანად ვმსჯელობ თუ არა. მე მგონია, საკითხის არსის განსახილველად შემდეგ მაგალითს უნდა მივმართოთ.

– მაინც რომელს?

– წარმოიდგინე, რა დღეში არიან მდიდარი მოქალაქენი, რომელთაც ბევრი მონა ჰყავთ. ეს ხალხი ძალიან ჰგავს ტირანებს იმ მხრივ, რომ მათაც მრავალნი მორჩილებენ. განსხვავება ისაა, რომ ტირანს მეტი ხალხი ემორჩილება.

– დიახ.

– როგორც მოგეხსენება, ეს ხალხი უზრუნველად ცხოვრობს და სულაც არ ეშინია თავისი მონებისა.

– ვითომ რად უნდა ეშინოდეს?

– მართლაც, – ვთქვი მე, – მაგრამ თუ გესმის, რა არის ამის მიზეზი?

– მესმის: მიზეზი ისაა, რომ ყველა კერძო პირს სახელმწიფო უდგას მხარში.

– მართალი ხარ; მაგრამ ღმერთს რომ აეყარა ერთი ამ მდიდართაგანი, რომელსაც ორმოცდაათი მონა ჰყავს, და თავისი ცოლ-შვილითა და მთელი თავისი ავლადიდებით უდაბნოში გადაესახლებინა, სადაც თავისუფლად შობილთა ჭაჭანებაც არ არის, ასე რომ ვერც მხარში ამოუდგებოდა და ვერც დახმარებას გაუწევდა ვინმე, – როგორ გგონია, აღეძვროდა თუ არა შიში თავისი მონების გამო, ვაითუ დედაბუდიანად ამოგვწყვიტონო.

– მე მგონია, აღეძვროდა.

– განა პირფერობას არ მოჰყვებოდა თავისი ზოგიერთი მონის წინაშე, ათას რამეს დაჰპირდებოდა, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე გააზატებდა მათ და მლიქვნელად არ იქცეოდა თავისი მონების წინაშე?

– აუცილებლად, თორემ დაიღუპებოდა.

– ხოლო მის გარშემო რომ დაესახლებინათ ბევრი მეზობელი, რომლებიც ვერ იტანენ ადამიანის სწრაფვას მბრძანებლობისკენ და სასტიკი განაჩენი გამოაქვთ ყველასათვის, ვის სულშიაც მათთვის ესოდენ საძულველ თვისებას აღმოაჩენენ?

– მაშინ კი ცუდად წაუვიდოდა საქმე, რაკიღა ამნაირი მტრებით იქნებოდა გარემოცული.

– მერედა, განა სწორედ ამნაირ ალყაში არ არის მომწყვდეული ტირანი, ვისი ბუნებაც წეღან განვიხილეთ? განა მისი სული ათასგვარი ვნებითა და შიშით არ არის სავსე? მიუხედავად იმისა, რომ ესოდენ ხარბი სული აქვს, თავისი ქვეყნის მოქალაქეთაგან მხოლოდ მას არ შეუძლია სადმე გაემგზავროს, ან იმის სანახავად გასწიოს, რაც თავისუფალ ადამიანთა ასეთ ცნობისმოყვარეობას იწვევს. არა, მთელი სიცოცხლის მანძილზე ქალივით სახლშია გამოკეტილი და შურით უყურებს თავის ქვეშევრდომებს, უცხო ქვეყნებში რომ მიემგზავრებიან, ან საუცხოო სანახაობათა ჭვრეტით ტკბებიან.

– ასეა სწორედ.

– მთელ ამ უბედურებას ესეც ზედ ერთვის იმ კაცისათვის, ვისაც თავის დაურვება არ შეუძლია (მე ტირანული ბუნების კაცს ვგულისხმობ, წეღან ყველაზე უბედურად რომ მიიჩნიე): თუკი მთელი სიცოცხლის მანძილზე კერძო პირად კი არ უწერია დარჩენა, არამედ ამა თუ იმ შემთხვევის ძალით ტირანად უნდა იქცეს, და თუმცა თავისი თავის მართვაც არ შეუძლია, სხვები უნდა მართოს, ეს იმას ჰგავს, სნეული და უმწეო კაცი, რომელსაც თავისი სნეულებისთვისაც ვერ მოუვლია, ნაცვლად იმისა, რომ ფეხმოუცვლელად იჯდეს შინ, ჯანღონით სავსე ათლეტებს ებრძოდეს და ერკინებოდეს.

– მართალი ხარ, სოკრატე, საოცრად ზუსტი შედარებაა.

– მერედა, განა ეს ნამდვილი უბედურება არ არის, გლავკონ? ასე რომ, იმისი ცხოვრება, ვინც ტირანი გახდა, იმ ცხოვრებაზე ბევრად უფრო საშინელია, წეღან ყველაზე მძიმედ რომ მიიჩნიე.

– როგორც ჩანს.

– ასე რომ, მიუხედავად იმისა, თუ ვინ რას ფიქრობს, ნამდვილი ტირანი ნამდვილი მონაა, უკიდურესი სიმდაბლისა და მონობისათვის განწირული და, იმავდროულად, იძულებულიც, ურცხვად მლიქვნელობდეს უკეთურთა წინაშე. ვერასოდეს იკმაყოფილებდეს თავის სურვილებს, უთვალავი რამ აკლია და იმის თვალში, ვისაც შეუძლია მზერით ჩასწვდეს მისი სულის სიღრმეს, საწყალობელი გლახაკივით ღატაკია. მთელი სიცოცხლის მანძილზე შიშით კანკალებს, ძრწის და იტანჯება, თუკი თავისი სულიერი წყობით იმ სახელმწიფოს წყობილებას მოგვაგონებს, თვითონ რომ მართავს. მგვანებით კი მართლაც ძალიან ჰგავს, ასეა, არა?

– რა თქმა უნდა.

– ეგეც არ იყოს, ამ კაცში ჩვენ განვიხილავთ იმ თვისებებსაც, რომლებზედაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ: ძალაუფლება გარდუვალად ავითარებს მასში შურიანობას, ვერაგობას, უსამართლობას, უმეგობრობას, მკრეხელობას. ის ყოველგვარი ბოროტებისა თუ ბიწიერების სათავსი და საცავია, რის შედეგადაც ყველაზე უბედურია კაცთა შორის და ასევე აუბედურებს ახლობლებსაც.

– ვერცერთი ჭკუადამჯდარი კაცი ვერ უარყოფს ამას.

– კეთილი; მაშ, მოდი, როგორც უზენაესმა მსაჯულმა, საბოლოო გადაწყვეტილებაც მიიღე: შენი აზრით, ვინ იქნება პირველი ბედნიერების თვალსაზრისით, ვინ – მეორე და ასე შემდეგ, იმ ხუთი სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წყობილების წარმომადგენელთაგან, რომლებიც ჩვენ მონარქიად, ტიმოკრატიად, ოლიგარქიად, დემოკრატიად და ტირანიად დავსახეთ?

– გადაწყვეტილების მიღება ძნელი როდია: სიქველისა და ბიწიერების, ბედნიერებისა და უბედურების თვალსაზრისით, მე მათ იმ თანმიმდევრობით ვალაგებ, რა თანმიმდევრობითაც ჩვენს თვალწინ ჩაიარეს, როგორც ქორომ – სცენაზე.

– მაშ, მოდი, მაცნეც დავიქირავოთ, ან მე თვითონ გამოვაცხადებ, რომ არისტონის ძემ გადაწყვიტა ყველაზე ბედნიერად დაესახა ის, ვინც ყველაზე ქველია და სამართლიანი, ამნაირ ადამიანს კი ნამდვილად მეფური სული უნდა ჰქონდეს და მეფურადვე მბრძანებლობდეს საკუთარ თავზე; ყველაზე უბედურად კი ყველაზე ბიწიერი და უსამართლო, ესე იგი, ყველაზე ტირანული ბუნების კაცი მიიჩნია, ნამდვილი ტირანივით რომ აწამებს თავის თავსაც და სახელმწიფოსაც.

– შენც ადექი და გამოაცხადე.

– ისიც ხომ არ დავძინო, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეს თვისებები დაფარული დარჩება თუ არა როგორც ადამიანების, ისე ღმერთებისთვისაც-მეთქი?

– ეგეც დასძინე.

– კეთილი. აი, ესაა ჩვენი პირველი დასაბუთება. ახლა კი ვნახოთ, მეორეც დამაჯერებელი იქნება თუ არა.

– ეგ მეორე რაღაა?

– როგორც სახელმწიფოა დაყოფილი სამ სხვადასხვა წოდებად, ისე ყოველი ადამიანის სულშიც განირჩევა სამი სხვადასხვა საწყისი. აქ, ჩემი აზრით, შესაძლებელია კიდევ ერთი დასაბუთება.

– მაინც რომელი?

– შემდეგი: თუ სულში სამი სხვადასხვა საწყისია, მათ, მე მგონია, უნდა შეესაბამებოდეს სამი სხვადასხვა სიამოვნება, ისევე, როგორც სამი სურვილი და სამი ძალაუფლება, რომელიც მათზე ვრცელდება.

– რას გულისხმობ?

– ჩვენ ვამბობთ, რომ ერთი საწყისია ის, რომლითაც სული შეიცნობს, მეორით აღეგზნება, მესამეს კი მისი მრავალფეროვნების გამო ერთი შესაფერისი სახელი ვერ მოვუძებნეთ და ამიტომაც იმ ნიშნის მიხედვით დავარქვით სახელი, ყველაზე მკაფიოდ რომ ვლინდება მასში: გულისთქმის აღმძვრელი, იმ უჩვეულო სიმძაფრის გამო, რასაც სმა-ჭამის, სასიყვარულო განცხრომისა თუ სხვა მისთანათა მოთხოვნილება ანიჭებს სურვილს. მასვე ვუწოდეთ ვერცხლისმოყვარეობაც, რადგანაც ამნაირ სურვილთა დაკმაყოფილებას აუცილებლად სჭირდება ფული.

– და მართებულადაც ვუწოდეთ.

– თუ ვიტყოდით, რომ ამ საწყისის ჟინი და სიყვარული თანაბრად მიემართება მოგებას და გამორჩენას, ამით მხოლოდ უფრო სრულად გამოვხატავდით მის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას, ასე რომ, ჩვენთვის ყოველთვის ცხადი იქნებოდა, სულის რომელ საწყისს ეხება საქმე. ვერცხლისმოყვარეობა და ანგარება რომ გვეწოდებინა, განა შესაფერისი სახელი არ იქნებოდა მისთვის?

– ალბათ.

– რაც შეეხება აღმგზნებ საწყისს, ანუ სიშმაგის სულს, განა ის ყოველთვის არ მიელტვის მბრძანებლობას, ძლევამოსილებასა და დიდებას?

– რა თქმა უნდა.

– ასე რომ, თუ მას ვუწოდებთ ძლევის ტრფიალსა და პატივმოყვარეობას, განა მართალნი არ ვიქნებით?

– ცამდე მართალნი.

– ხოლო თუ ავიღებთ იმ საწყისს, რომლითაც შევიმეცნებთ, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ის მთლიანად და გამუდმებით მხოლოდ ერთ რამეს ცდილობს: როგორ მოიხელთოს მისი წმინდა სახით ჭეშმარიტება, ფულისა თუ დიდებისათვის კი ყველაზე ნაკლებ ზრუნავს.

– უფრო სწორად, სულაც არ ზრუნავს.

– ცოდნის ტრფიალსა და სიბრძნის მოყვარეს რომ ვუწოდებთ, განა შესაფერისი სახელით არ აღვნიშნავთ მას?

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ ზოგ სულში ეს საწყისი მბრძანებლობს, ზოგში კი, გარემოებათა მიხედვით, დანარჩენი ორიდან ერთ-ერთი.

– დიახ.

– ამიტომაც ვამბობთ, რომ არსებობს ადამიანთა სამი სხვადასხვა გვარი: სიბრძნის მოყვარენი, პატივმოყვარენი და ვერცხლისმოყვარენი.

– ჭეშმარიტად.

– და რომ ამ სამ გვარს სამი სხვადასხვაგვარი სიამოვნება შეესაბამება.

– უთუოდ.

– თუ გინდა, რიგრიგობით ჰკითხე სამივეს, რომელი ცხოვრებაა ყველაზე სასიამოვნო: თვითეული მათგანი უპირატესად ქებას დაუწყებს თავისას. ვერცხლისმოყვარე იტყვის, რომ მოგებისა თუ გამორჩენის სიამოვნებასთან შედარებით სახელის მოხვეჭისა თუ ცოდნის შეძენის წყალობით მონიჭებული სიამოვნება არაფერია, თუკი ამ ორს ვერაფერს ვერ გამორჩები.

– მართალია.

– ახლა პატივმოყვარეს აღარ იკითხავ? მისი აზრით, სიმდიდრის მოხვეჭით მოგვრილი სიამოვნება უხეში და ტლანქი გრძნობაა, ცოდნის შეძენით მონიჭებული სიამოვნება კი, თუ ეს ცოდნა სახელს არ უხვეჭს კაცს, – მხოლოდ კვამლია, ქარით ნაწეწი.

– დიახ, მას ასე ჰგონია.

– რაც შეეხება სიბრძნის მოყვარეს, როგორ გგონია, რას უნდა ნიშნავდეს მისთვის ყველა სხვა სახის სიამოვნება ჭეშმარიტების წმინდა სახით წვდომის ნეტარებასა და ამ ნეტარებით მუდმივ ტკბობასთან შედარებით? განა, მისი აზრით, შეიძლება ჭეშმარიტ სიამოვნებასთან ახლოს იყოს რამე? და თუ ზოგიერთ სასურველ საგანს მაინც აუცილებლად სახავს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აუცილებლობის ძალით ეხვევიან თავზე.

– ეს კარგად უნდა გვახსოვდეს.

– თუმცა როცა სადავოა სხვადასხვაგვარი სიამოვნება და თვით სამი სხვადასხვა კაცის ცხოვრების წესიც, მაგრამ არა იმ თვალსაზრისით, თუ რომელია უფრო ღირსეული და უფრო უღირსი, ან უკეთესი და უარესი, არამედ მხოლოდ იმ გაგებით, თუ რომელია უფრო სასიამოვნო ან ნაკლებ მტანჯველი, – როგორ გგონია, ვინაა უფრო მართალი?

– ვერაფერს გეტყვი.

– მაშ, ამ თვალსაზრისით შეხედე საკითხს: რას უნდა ეფუძნებოდეს სწორი მსჯელობა, თუ არა ცდას, გონებას და დასაბუთებას? ან იქნებ შენ უკეთესი საზომი იცი?

– არა, – თქვა მან.

– ერთსაც დაუკვირდი: ამ სამი კაციდან რომელი იქნება უფრო გამოცდილი ყველა იმ სიამოვნებით ტკბობაში, რომლებზედაც წეღან ვლაპარაკობდით? როგორ გგონია, ვერცხლისმოყვარე უფრო გამოცდილი იქნება შემეცნებით მოგვრილი სიამოვნებით ტკბობაში, როცა კაცი მისი წმინდა სახით შეიცნობს ჭეშმარიტებას, თუ სიბრძნისმოყვარე – იმ სიამოვნებით ტკბობაში, რასაც ანგარება გვანიჭებს?

– დიდი განსხვავებაა; – თქვა მან, – რადგანაც სიბრძნისმოყვარეს შეუძლია ბავშვობაშივე გაუსინჯოს გემო ყველა სხვა სახის სიამოვნებას, მაშინ როდესაც ვერცხლისმოყვარე, ბუნებრივი მონაცემებიც რომ უწყობდეს ხელს არსის წვდომაში, აუცილებლად როდი იგემებს ამ სიამოვნებას და, ამრიგად, გამოცდილებითაც ვერ დარწმუნდება, რარიგ ტკბილია იგი. მეტიც, კიდევაც რომ ესწრაფოდეს ამას, ეს მაინც ძნელი იქნება მისთვის.

– მაშასადამე, სიბრძნისმოყვარე მასზე გაცილებით უფრო გამოცდილია ორივე ამ სიამოვნებით ტკბობის მხრივ.

– რა თქმა უნდა.

– პატივმოყვარეზე რაღას იტყვი? განა სიბრძნისმოყვარე მასზე გაცილებით ნაკლებ გამოცდილია იმ სიამოვნებით ტკბობაში, რასაც პატივი გვანიჭებს, ვიდრე პატივმოყვარე – იმ სიამოვნებით ტკბობაში, რაც განუყრელია აზროვნებისგან?

– მაგრამ პატივი შეიძლება ყველას ხვდეს წილად, ვინც თავის მიზანს მიაღწია, ასე რომ, პატივით ტკბობა ყველას განუცდია და იცის, რა არის ეს; მაშინ როდესაც სიამოვნებით ტკბობა, რასაც არსის ჭვრეტა გვანიჭებს, არავის განუცდია, სიბრძნისმოყვარის გარდა.

– მაშასადამე, გამოცდილების წყალობით, სიბრძნისმოყვარის მსჯელობა იქნება ყველაზე სწორი.

– ცხადია.

– ეგეც არ იყოს, იარაღი, რომლის მეშვეობითაც ვმსჯელობთ, ვერცხლისმოყვარეს ან პატივმოყვარეს კი არ ეკუთვნის, არამედ – სიბრძნისმოყვარეს.

– რა იარაღი?

– აკი ვამბობდით, რომ მსჯელობა დასაბუთების მეშვეობით ხორციელდება?

– დიახ.

– დასაბუთება კი უპირატესად სიბრძნისმოყვარის იარაღია.

– უცილობლად.

– სიმდიდრე და ანგარება რომ განსჯისა თუ მსჯელობის ყველაზე უკეთესი იარაღი იყოს, მაშინ ვერცხლისმოყვარის ქება თუ გმობა იქნებოდა ყველაზე სწორი მსჯელობა.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო პატივის, ძლევის ან სიმამაცის მიხედვით რომ გვემსჯელა, მაშინ ყველაზე სწორი პატივმოყვარისა თუ ძლევის ტრფიალის მსჯელობა უნდა ყოფილიყო, არა?

– ცხადია.

– მაგრამ თუ გამოცდილებისა და დასაბუთების მეშვეობით ვიმსჯელებდით?

– მაშინ რასაც სიბრძნისმოყვარე და განსჯის ტრფიალი მოიწონებდა, ის იქნებოდა ყველაზე სწორი.

– ამრიგად, რაკი არსებობს სიამოვნების სამი სხვადასხვა სახე, ყველაზე სრული იქნება ის, რაც სულის შემმეცნებელ საწყისს შეესაბამება, და ვის სულშიაც ეს საწყისი სჭარბობს, ყველაზე სასიამოვნოც მისი ცხოვრება იქნება.

– სხვაგვარად შეუძლებელია; ტყუილად ხომ არ შეაქებს თავის ცხოვრებას ბრძენკაცი, ამ საქმის მთავარი მსაჯული?

– კი მაგრამ, ეს ჩვენი მსაჯული რომელ ცხოვრებას და რომელ სიამოვნებას მიაკუთვნებს მეორე ადგილს?

– ცხადია, მეომარი და პატივმოყვარე კაცის სიამოვნებას, რადგანაც ის უფრო ახლოა პირველთან, ვიდრე სიამოვნება ვერცხლისმოყვარისა.

– როგორც ჩანს, ბოლო ადგილი ვერცხლისმოყვარის სიამოვნებას ეკუთვნის.

– რა თქმა უნდა.

– აი, ერთიმეორის მიყოლებით უკან მოვიტოვეთ ორი ასპარეზობა და ორჯერ გაიმარჯვა სამართლიანმა კაცმა, უსამართლო კი დამარცხდა. ამათ მოჰყვება მესამე – ოლიმპიური ასპარეზობა, ზევს ოლიმპიელის პატივსაცემად; დაუფიქრდი: ბრძენკაცის სიამოვნების გარდა, ყველა სხვა სიამოვნება როდია ნამდვილი და წმინდა; ისინი უმალ ჩრდილოვან მონახაზებსა ჰგვანან; ეს კი უსამართლო კაცისთვის შეიძლება საბოლოო მარცხის მომასწავებელი იყოს.

– ცხადია, მაგრამ რას გულისხმობ?

– მოგახსენებ, თუკი შენი პასუხებით შემეშველები.

– მკითხე.

– ერთი ეს მითხარი, ჩვენ ხომ ვამტკიცებთ, რომ ტანჯვა უპირისპირდება სიამოვნებას?

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, თუ არის რაღაც ისეთი, რაც შეიძლება არც სასიხარულო იყოს და არც სამწუხარო?

– რასაკვირველია, არის.

– ამ ორ განცდას შორის იქნება თვითეული მათგანისაგან თანაბრად დაშორებული ერთგვარი განცდა სულისა; მეთანხმები თუ არა?

– დიახ.

– თუ გახსოვს, რას ამბობენ ხოლმე ტკივილით გატანჯული ავადმყოფები?

– რას?

– არაფერია ჯანმრთელობაზე უფრო საამურიო; მაგრამ ვიდრე ავად გახდებოდნენ, ვერც კი ამჩნევდნენ ამას.

– მახსოვს, – თქვა მან.

– ხოლო როცა კაცს რაიმე სატკივარი აწუხებს, ალბათ მისი სიტყვებიც გაგიგონია – ტკივილის შეწყვეტას ვერაფერი შეედრებაო.

– გამიგონია.

– მე მგონია, ბევრ სხვა ამნაირ შემთხვევაშიც შეგიმჩნევია, რომ მწუხარებით გულგასენილი ხალხი სიხარულს კი არ ნატრობს, არამედ მხოლოდ იმას, რომ მწუხარება დასრულდეს და სიმშვიდემ დაისადგუროს.

– სიმშვიდე მაშინ საამო და დანუკვარი ხდება.

– ხოლო როცა ადამიანი სიხარულს ვეღარ განიცდის, სიმშვიდე სიამოვნების შემდეგ ტანჯვად ექცევა.

– როგორც ჩანს.

– მაშასადამე, იმას, რაც ახლა ვთქვით, საშუალო ადგილი უჭირავს ორ უკიდურესობას შორის, ესე იგი, სიმშვიდე ტანჯვაც არის და სიამოვნებაც.

– ეტყობა.

– კი მაგრამ, განა შესაძლებელია, რომ ის, რაც არც ერთია და არც მეორე, ერთადაც იქცეს და მეორედაც?

– არამც და არამც.

– მაგრამ სულში აღძრული სიამონებაც და ტანჯვაც ერთგვარი მოძრაობაა, არა?

– დიახ.

– ეგეც არ იყოს, განა ახლახან არ დავრწმუნდით, რომ იმ შუალედურ მდგომარეობას, როცა არც სიამოვნება განიცდება და არც ტანჯვა, სიმშვიდე ჰქვია?

– დიახ, დავრწმუნდით.

– ი მაგრამ, თუ შეიძლება სიამოვნებად მიგვაჩნდეს ის მდგომარეობა, როცა ტანჯვას არ განიცდით, და, პირიქით, ტანჯვად ვსახავდეთ იმ მდგომარეობას, როცა სიამოვნებას არა ვგრძნობთ?

– არასდიდებით.

– მაშასადამე, სიმშვიდის ამნაირი განცდა სინამდვილეში კი არ არსებობს, არამედ მოჩვენებითია: სიმშვიდე მხოლოდ მაშინ ჩანს სიამოვნებად, როცა ტანჯვას უპირისპირდება, ტანჯვად კი მაშინ, როცა სიამოვნებას ვუპირისპირებთ. მაგრამ ნამდვილ სიამოვნებასთან წარმოსახვის ამ თამაშს არაფერი აქვს საერთო: ის მხოლოდ ლანდია და აჩრდილი.

– ჩვენი მსჯელობა ამტკიცებს ამას.

– ახლა განიხილე სიამოვნება, რომელსაც წინ არ უძღვის ტანჯვა, თორემ შეიძლება იფიქრო, თითქოს თვით ბუნებამ დააწესა, რომ სიამოვნება სხვა არა არის რა, თუ არა ტანჯვის შეწყვეტა, ტანჯვა კი სიამოვნების შეწყვეტითაა გამოწვეული.

– რა შემთხვევას ან სიამოვნებას გულისხმობ?

– ამნაირი სიამოვნება ბევრია; მაგრამ თუ გსურს უკეთ გაიგო, აიღე, მაგალითად, ყნოსვით მოგვრილი სიამოვნება, რომელსაც უცებ და უჩვეულო ძალით განვიცდით, ყოველგვარი წინასწარი ტანჯვის გარეშე, ხოლო როცა ეს სიამოვნება წყდება, არავითარი ტანჯვის კვალს არ ტოვებს ჩვენში.

– მართალს ბრძანებ.

– ასე რომ, ვერ დავიჯერებთ, თითქოს ტანჯვის შეწყვეტა სიამოვნება იყოს, სიამოვნების შეწყვეტა კი – ტანჯვა.

– ვერა, ვერ დავიჯერებთ.

– მაგრამ ის სიამოვნებანი, სხეულის მეშვეობით რომ აღიძვრიან სულში, – ხოლო ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანნი და ყველაზე მძაფრნი არიან, – სწორედ ამნაირ სიამოვნებათა რიცხვს ეკუთვნიან, ესე იგი, ტანჯვის შეწყვეტისგან იღებენ დასაბამს.

– მართლაც.

– თუმცა განა იგივე არ ითქმის ყველა მომავალი სიამოვნებისა თუ ტანჯვის შესახებ, როცა ჩვენ წინასწარ ვტკბებით ან ვიტანჯებით?

– დიახ.

– მერედა, იცი, რანი არიან, ან რას ჰგვანან ისინი?

– რას?

– შენის აზრით, ბუნებაში არსებობს თუ არა «ზემოთ», «ქვემოთ» და «შუა»?

– რა თქმა უნდა.

– ჰოდა, ის, ვინც ქვემოდან შუა ნაწილში გადაჰყავთ, შენის აზრით, იფიქრებს თუ არა, რომ ზემოთ ადის და არა სადმე სხვაგან? ხოლო როდესაც შუაში შეჩერდება გაკვირვებული, საიდან სად ამოვედიო, განა აუცილებლად არ გადაწყვეტს, რომ სწორედ ზემოთაა, რაკიღა არასოდეს უნახავს ის, რასაც შეიძლება ნამდვილი «ზემოთ» ეწოდოს?

– ვფიცავ ზევსს, გამიკვირდებოდა, სხვა რამე რომ ეფიქრა.

– ხოლო თუ კვლავ ქვემოთ ჩააბრუნებდნენ, იფიქრებდა თუ არა, ქვევით ვეშვებიო, და მართალიც იქნებოდა, არა?

– რა თქმა უნდა.

– ეს იმიტომ, რომ გამოცდილებით არ იცის, რა არის «ზემოთ», «ქვემოთ» და «შუა».

– ცხადია.

– მაშ, რა გასაკვირია, რომ ადამიანებს, რომლებიც არ იცნობენ ჭეშმარიტებას, მცდარი წარმოდგენა აქვთ ბევრ სხვა საგანზე და, მათ შორის, სიამოვნების, ტანჯვისა თუ მათი შუალედური განცდის შესახებაც? ასე მაგალითად, როცა ტანჯვას ეხება საქმე, ისინი მართებულად ფიქრობენ და მართლაც იტანჯებიან, მაგრამ ტანჯვიდან შუალედურ განცდაზე გადასვლისას დარწმუნებულნი არიან, რომ სიამოვნების მწვერვალს აღწევენ, და იმათ ემგვანებიან, ვინც რუხ ფერს შავს უპირისპირებს, ვინაიდან წარმოდგენაც არა აქვს თეთრზე: აკი ტანჯვას იმ მდგომარეობას უპირისპირებენ, როცა ტანჯვას არ განიცდიან, ვინაიდან წარმოდგენაც არა აქვთ სიამოვნებაზე.

– ვფიცავ ზევსს, ეს კი არ გამიკვირდებოდა, არამედ ის, სხვაგვარად რომ ყოფილიყო საქმე.

– ახლა კი ერთსაც დაუკვირდი: შიმშილი, წყურვილი და სხვა მისთანანი ჩვენს სხეულში ერთგვარი სიცარიელის განცდას იწვევენ, არა?

– მერედა, რა?

– უცოდინარობა და უგუნურება კი განა ასეთსავე განცდას არ იწვევენ სულში?

– რა თქმა უნდა.

– ამნაირ სიცარიელეს მხოლოდ სმა-ჭამით ან დაჭკვიანებით თუ შეივსებს კაცი.

– რასაკვირველია.

– კი მაგრამ, რა განსაზღვრავდა ნამდვილ სისავსეს: უფრო ნამდვილით შევსება თუ ნაკლებ ნამდვილით?

– ცხადია, უფრო ნამდვილით.

– მერედა, საგანთა ორი გვარიდან, შენი აზრით, რომელი ეზიარება უფრო სრულად წმინდა და ნამდვილ არსებობას? პური, სასმელი, სანოვაგე, ათასნაირი შეჭამანდი თუ სწორი წარმოდგენა, ცოდნა, გონიერება და, საერთოდ, ყოველგვარი სიქველე? ამასაც დაუკვირდი: შენი აზრით, ის, რაც მარად იგივეობრივს, ნამდვილს და უკვდავს ეზიარება, რის შედეგადაც თვითონვეა იგივეობრივი და იგივეობრივში იბადება, განა უფრო ნამდვილი არ არის, ვიდრე ის, რაც გამუდმებით ცვალებადსა და მოკვდავს ეზიარება, ასე რომ, თვითონვეა ცვალებადი და ცვალებადშივე იბადება?

– მარად იგივეობრივი გაცილებით უფრო ნამდვილია.

– მაგრამ არაიგივეობრივი არსი არსებობას უფრო ეზიარება, ვიდრე ცოდნას?

– არამც და არამც.

– ჭეშმარიტებას?

– არც ჭეშმარიტებას.

– ხოლო თუ ის უფრო ნაკლებ ეზიარება ჭეშმარიტებას, განა ასევე ნაკლებად არ უნდა ეზიარებოდეს არსებობასაც?

– აუცილებლად.

– მაშასადამე, ყოველგვარი ზრუნვა სხეულზე უფრო ნაკლებაა წილნაყარი ჭეშმარიტებასა და არსებობასთან, ვიდრე სულზე ზრუნვა?

– გაცილებით უფრო ნაკლებ.

– როგორ გგონია, განა იგივე არ ითქმის საკუთრივ სხეულზედაც სულთან შედარებით?

– დიახ, იგივე.

– მაშასადამე, ის, რაც უფრი ნამდვილით ივსება და თვითონაც უფრო ნამდვილია, უფრო ნამდვილადაც ივსება, ვიდრე ის, რაც ნაკლებ ნამდვილით ივსება და თვითონაც ნაკლებ ნამდვილია.

– რა თქმა უნდა.

– რაკიღა სასიამოვნოა რაღაც ისეთით ავსება, რაც თავისი ბუნებით შესაფერისია, ნამდვილი ავსება რაღაც უფრო ნამდვილით ნამდვილად და ჭეშმარიტად უფრო დაგვატკბობდა ნამდვილი სიამოვნებით, ნაკლებ ნამდვილით ავსება კი ნამდვილად ნაკლებ აგვავსებდა და დაგვატკბობდა ნაკლებ ნამდვილი სიამოვნებით.

– უცილობლად.

– მაშასადამე, გონიერებასა და სიქველეში გამოუცდელი კაცი, მთელ თავის დღეს და მოსწრებას ლხინსა და ღრეობაში რომ ატარებს, თანდათან დაბლა ეშვება, რათა შემდეგ კვლავ შუა ნიშნულამდე ამაღლდეს, და ასე წრიალებს მთელი

სიცოცხლის განმავლობაში. ის ვერასოდეს გასცდება ამ ზღვარს, რადგანაც არასოდეს უხილავს ჭეშმარიტად ამაღლებული და არც არასოდეს ამაღლებულა მის მწვერვალამდე, არც ნამდვილად ავსებულა ნამდვილით და არ უგემია წმინდა და სანუკვარი სიამოვნება. არა, ის და მისი მსგავსნი პირუტყვებივით თავდახრილნი დასჩერებიან მიწას და სუფრას, პირუტყვებივით ძოვენ, მუცელს აღორებენ ქონმორეულნი, ერთმანეთს თანაეყოფიან, სიხარბით გაშმაგებულნი წიხლებს უშენენ, რკინის რქებით რქენენ და ჩლიქებით სასიკვდილოდ ქელავენ ერთიმეორეს, რათა დაიცხრონ თავიანთი უძღები ჟინი, რადგან ვერც ნამდვილ საზრდოს სთავაზობენ თავიანთ ნამდვილ საწყისს და ვერც თავიანთ ამოუყორავ ფაშვებს ავსებენ.

– დიდებულია, სოკრატე, – თქვა გლავკონმა, – ნამდვილი მისანივით გვისურათხატებ უმრავლესობის ყოფას.

– განა მათში სიამოვნებას გარდუვალად არ ერწყმის ტანჯვა? მაგრამ ყველა ეს სიამოვნება მხოლოდ ფერმკრთალი ლანდი და უღიმღამო მონახაზია ჭეშმარიტი სიამოვნებისა, თუმცა მისი მეოხებით იძენენ საიმისო ძალას, რომ სიყვარულის სახმილით აღაგზნონ უგუნურთა გულები, ვნებით აბორგებულნი რომ ერკინებიან ერთმანეთს, რათა დაეუფლონ თავიანთ სურვიელი ლტოლვის საგანს, როგორც, სტესიქორეს მიხედვით, ტროას გალავანთან მშვენიერი ელენეს ლანდისათვის იბრძოდნენ გმირები, რომლებისთვისაც დაფარული რჩებოდა ჭეშმარიტება.

– ყველაფერი ასე უნდა მომხდარიყო აუცილებლად.

– მერედა, განა იგივე არ ხდება სულის ბობოქარი საწყისის მიხედვითაც, როცა მის დაკმაყოფილებას ცდილობენ და ან შურს ნებდებიან პატივმოყვარეობის გამო, ან ძალადობას – მეტოქეობით აღძრულნი, ან მრისხანებას – სიფიცხის გამო, შლეგურად რომ მიელტვიან ერთადერთ მიზანს: როგორმე გაძღნენ პატივით, ძლევით და მძვინვარებით.

– დიახ, ესეც გარდუვალია.

– მაშ, რა ვქნათ? შეგვიძლია თუ არა, ვამტკიცოთ, რომ ვერცხლისმოყვარეობისა და ძლევის ტრფიალის შესატყვისი სურვილები, როცა ისინი ცოდნასა და ლოგოსს ექვემდებარებიან და მათთან ერთად მიელტვიან სიამოვნებას, რასაც კეთილგონიერება უჩვენებთ, – კიდევაც ტკბებიან ამ სიამოვნებით, რადგანაც ნამდვილი სიამოვნებით ტკბობა შეუძლია მხოლოდ იმ ხალხს, ვინც ჭეშმარიტებას ესწრაფვის. ყველა ეს სიამოვნება შეიძლება მათ შესაბამის სიამოვნებად იქნეს მიჩნეული, რადგან ვისთვისაც რა არის უკეთესი, იგივეა მისთვის ყველაზე შესაბამისიც.

– დიახ.

– ამრიგად, როცა მთელი სული ექვემდებარება თავის ფილოსოფიურ საწყისს და შინაგანი წინააღმდეგობებით აღარ არის გაწამებული, მის თვითეულ საწყისსაც შეუძლია არა მარტო სამართლიანად აღასრულოს ყველაფერი, არამედ განსაკუთრებული, ყველაზე უკეთესი და ყველაზე ნამდვილი სიამოვნებაც ჰპოვოს ამაში.

– უცილობლად.

– ხოლო თუ სულში რომელიმე სხვა საწყისი მძლავრობს, მაშინ ის ვეღარ მიაკვლევს მის შესაბამის სიამოვნებას და დანარჩენი საწყისებიც იძულებულნი იქნებიან მათთვის უცხო და არანამდვილ, ყალბ სიამოვნებას მიელტვოდნენ.

– ასეა, – თქვა მან.

– რაც უფრო მეტად დაშორდები ფილოსოფიას და გონებას, მით უფრო ხშირად მოხდება ეს.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ განა გონებას ყველაზე მეტად არ შორდება ის, რაც კანონს და წესრიგს შორდება?

– ცხადია.

– ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ გონებას ყველაზე მეტად შორდებიან სასიყვარულო და ტირანული სურვილები თუ გულისთქმანი?

– დიახ, ყველაზე მეტად.

– მისგან ყველაზე შორს კი მეფური და მოწესრიგებული სურვილები დგანან.

– დიახ.

– ამიტომ ნამდვილი და საკუთრივ მისი შესაბამისი სურვილებიდან ყველაზე შორს იქნება ტირანი, ყველაზე ახლოს კი – მეფე.

– უცილობლად.

– მაშასადამე, ყველაზე უსიამოვნო ცხოვრება ტირანის ცხოვრება იქნება, ყველაზე სასიამოვნო კი – მეფისა.

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, თუ იცი, რამდენჯერ უფრო ნაკლები სიამოვნებაა ტირანის ცხოვრებაში, ვიდრე მეფისა?

– იქნებ შენ მითხრა.

– როგორც ჩანს, არსებობს სიამოვნების სამი სხვადასხვა სახე: ერთი – ნამდვილი და ორი – ყალბი. ტირანი, რომელიც კანონს და გონებას გაურბის, უკვე გადასცდა ყალბ სიამოვნებათა ზღვარს და ახლა თავის სხეულისმცველთა ამალითურთ ერთგვარ მონურ სიამოვნებათა წიაღში ცხოვრობს. რამდენჯერ შემცირდა მისი სიამოვნება, არც ისე ადვილია სათქმელად, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ...

– რას?

– ოლიგარქიული ადამიანის შემდეგ ტირანი მესამე ადგილზეა, მათ შორის კი დემოკრატი უნდა ვიგულოთ.

– დიახ.

– ასე რომ, ტირანის სიამოვნებაც, ნამდვილი სიამოვნების ეს უღიმღამო ლანდი, მესამეული იქნება ოლიგარქის სიამოვნებასთან შედარებით, თუკი მართალია ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა.

– მაგრამ ოლიგარქიული ადამიანიც, თავის მხრივ, მესამეა მეფური ადამიანის შემდეგ, თუკი ამ უკანასკნელს არისტოკრატიული ადამიანის იგივეობრივად მივიჩნევთ.

– დიახ, მესამე.

– ასე რომ, სამჯერ სამი, – აი, რამდენჯერ უფრო მცირეა ტირანის სიამოვნება ნამდვილ სიამოვნებაზე.

– როგორც ჩანს.

– მაშასადამე, ტირანის სიამოვნების უღიმღამო ლანდი, მისი სიგრძის მიხედვით, შეიძლება ბრტყელი რიცხვით იქნეს გამოხატული.

– დიახ.

– ხოლო თუ ამ რიცხვს მეორე, შემდეგ კი მესამე ხარისხში ავიყვანთ, შეიძლება თვალნათლივ დავინახოთ მანძილი, ტირანს რომ აშორებს მეფისაგან.

– ყოველ შემთხვევაში, ის მაინც შესძლებს, ვინც გაწაფულია გამოთვლის ხელოვნებაში.

– მეორეს მხრივ, თუ იმის გაგება გვსურს, რა მანძილი აშორებს, ნამდვილი სიამოვნების თვალსაზრისით, მეფეს ტირანისაგან, სათანადო გამოთვლის შემდეგ

ვნახავთ, რომ მეფე შვიდას ოცდაცხრაჯერ უფრო ბედნიერია, ვიდრე ტირანი, და, პირუკუ, ეს უკანასკნელი ზუსტად ამდენჯერვე უბედურია პირველზე.

– განსაცვიფრებელი გამოთვლა კია, – თქვა მან, – აი, რამხელა განსხვავებაა ამ ორ ადამიანს – სამართლიანსა და უსამართლოს შორის სიამოვნებისა თუ ტანჯვის თვალსაზრისით.

– ეს გამოთვლა არანაკლებ ზუსტია მათ ცხოვრებასთან მისადაგებით, რადგანაც ამ რიცხვს შეესაბამებიან დღეები და ღამეები, თვეები და წლები.

– მართლაც შეესაბამებიან.

– მაგრამ თუ თვით სიამოვნების მხრივ კეთილი და სამართლიანი კაცი ასე მაღლა დგას უკეთურსა და უსამართლოზე, განა შეუდარებლად უფრო მაღლა არ იქნება თავისი ცხოვრების კეთილშობილებით, სილამაზითა და სიქველით?

– ვფიცავ ზევსს, შეუდარებლად უფრო მაღლა.

– კეთილი, რაკი ამაზე ჩამოვარდა სიტყვა, მოდი, კვლავ მივიბრუნდეთ იმას, რაც ზემოთ ითქვა და რამაც აქამდე მოგვიყვანა. თქმით კი, ვგონებ, ის ითქვა, რომ ყოვლად უსამართლო კაცისთვის უსამართლობა ხელსაყრელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ის სამართლიან კაცად იქნებოდა ცნობილი. განა ასე არ ითქვა?

– დიახ.

– მაშ, განვიხილოთ ეს მტკიცება, რაკიღა იმაზე შევთანხმდით, თუ რა მოსდევს შედეგად სამართლიანსა და უსამართლო ქცევას.

– კი მაგრამ, როგორ შევუდგეთ განხილვას?

– შევქმნათ სულის ერთგვარი ხატება, რათა უსამართლობის მაქებარმა თვალნათლივ დაინახოს თავისი სიტყვების ფასი.

– რანაირი იქნება ეს ხატება?

– რანაირიც იყვნენ, მითების მიხედვით, ძველი ურჩხულები – ქიმერა, სკილა, კერბერი და სხვანი და სხვანი, გადმოცემით, ერთ სხეულში რომ აერთიანებდნენ მრავალ სხვადასხვა სახეს.

– ასე ამბობენ.

– ჰოდა, შეჰქმენი მრავალსახიანი და მრავალთავიანი მხეცის ხატება, წრიულად განალაგე შინაური ცხოველებისა და გარეული მხეცების სახეები და მათი ცვლილებისა და საკუთარი თავიდან გამოყვანის უნარი მიეცი მრავალთავიან მხეცს.

– კაი გვარიანი მოქანდაკე კი დასჭირდება ამ საქმეს; თუმცა, რაკიღა სიტყვებით ძერწვა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ცვილით ან თიხით, დავუშვათ, რომ ის უკვე შექმნილია.

– გამოძერწე აგრეთვე სახე ლომისა და სახე კაცისა, ისე, რომ პირველი მეორეზე გაცილებით უფრო დიდი იყოს, მეორე კი – პირველზე პატარა.

– ეგ უფრო ადვილია: ორივე უკვე მზადაა.

– ახლა კი ერთმანეთს შეაზილე და ერთ ხატებად გააერთიანე სამივე ეს სახე.

– შევაზილე, – თქვა მან.

– და ბოლოს, გარედან კაცის სახე მიეცი მას, ისე, რომ, ყოველივე ეს ერთ ცოცხალ არსებად, ან, თუ გნებავს, ადამიანად წარმოუჩნდეს ყველას, ვისი მზერაც ვერ სწვდება შინაგან არსს და მხოლოდ გარეგან გარსს აღიქვამს.

– ესეც მზადაა.

– იმის პასუხად, ვინც ამტკიცებს, რომ ამნაირი ადამიანისათვის სასარგებლოა უსამართლოდ ქცევა, სამართლიანობა კი – ფუჭი და ურგები, ჩვენ ვიტყვით, რომ გინდ ეს გიმტკიცებია და გინდ ის, თითქოს სასარგებლო იყოს თავს ევლებოდე მრავალსახიან მხეცს, გულმოდგინედ უვლიდე და აძლიერებდე ლომსა და ყოველივე

ლომურს, ადამიანს კი შიმშილით კლავდე და აძაბუნებდე, რათა მხეცი და ლომი თავიანთ ნებაზე ათამაშებდნენ მას, თვითონ კი არ შეეძლოს ერთსულოვნება ჩაუნერგოს გავეშებულთ, არამედ უმწეოდ უყურებდეს, როგორ ბრდღვინავენ, გლეჯენ და ნთქამენ ერთმანეთს.

– აი, რას ამტკიცებს ის, ვისი აზრითაც უსამართლობა სასარგებლოა.

– ხოლო ვინც ამტკიცებს, სამართლიანობა სასარგებლოაო, ამით იმასაც ამტკიცებს, რომ უნდა აკეთებდე და ამბობდე იმას, რაც შინაგან ადამიანს ამ შედგენილ ადამიანზე მბრძანებლობას შეაძლებინებს და იმის უნარსაც მისცემს, რომ რუდუნებით უვლიდეს მრავალთავიან მხეცს, ხელს უწყობდეს იმის ზრდას, რაც თვინიერია მასში და, პირიქით, ახშობდეს და გასაქანს არ აძლევდეს მისსავე ველურ თვისებებს. ის კავშირს შეჰკრავს ლომთან, მასთან ერთად იზრუნებს და აიძულებს მათ სიყვარულით ემსჭვალვოდნენ ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც.

– რა თქმა უნდა, სამართლიანობის მაქებარი სწორედ ამას ამტკიცებს.

– ასეა თუ ისე, სამართლიანობის მაქებარი მართალს ამბობს, უსამართლობის მაქებარი კი ცრუობს. სულერთია, რანაირად განვიხილავთ ამას, სიამოვნების, დიდებისა თუ სარგებლობის თვალსაზრისით, მართალი ყოველთვის ის იქნება, ვინც აქებს სამართლიანობას, მის მაგინებელს კი არაფერიც არ ესმის, თვით ისიც კი, რასაც აგინებს.

– მე მგონია, მას მართლა არ ესმის არაფერი.

– ჩვენც მშვიდად შევაგონოთ (თავისი ნებით ხომ არა ცდება) და ასე ვკითხოთ: «ნეტარო კაცო, რას ემყარება საყოველთაოდ აღიარებული განსხვავება მშვენიერსა და მახინჯს, კეთილსა და უკეთურს შორის, თუ არა ამას: როცა საკუთარი ბუნების მხეცურ საწყისს ადამიანურ, ან, უფრო სწორად, ღვთაებრივ საწყისს ვუქვემდებარებთ, ეს მშვენიერია, მაგრამ როცა თვინიერ საწყისს ველური საწყისი თრგუნავს, ეს სამარცხვინოა და მახინჯი». რას იტყვი, დაგვეთანხმება თუ არა?

– ალბათ, თუკი ჩემს რჩევას გაიზიარებს.

– ამ მსჯელობიდან გამომდინარე, ვის რას არგებს უსამართლო გზით მოხვეჭილი ოქროს ფლობა, თუკი შეუძლებელია, რომ, ამასთან ერთად, თავისი არსების უკეთესი ნაწილი ყველაზე უარესს არ დაუმონოს? თუ კაცი საკუთარ ქალ-ვაჟს ოქროს ფასად ყიდის და მონებად უგდებს ხელში ველურსა და უკეთურ ხალხს, მაინც ვერაფერს მოიგებს, ყელამდეც რომ ჩასვან ოქროში. ვინც თავისი არსების ყველაზე ღვთაებრივ საწყისს თავის ყველაზე უღვთო და უკეთურ საწყისს უმორჩილებს, განა შეიძლება უბედური არ იყოს და ამ გამცემლობის საზღაური უფრო უარეს აღსასრულს არ უმზადებდეს, ვიდრე ერიფილეს, მეუღლის სიცოცხლის ფასად რომ მოიპოვა გულქანდა?

– რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო უბედურია; – მითხრა გლავკონმა, – შენი თანამოსაუბრის ნაცვლად გპასუხობ.

– როგორ გგონია, განა ოდითგანვე იმიტომ არ გმობდნენ თავაშვებულობას, რომ სრულ თავისუფლებას ანიჭებს საზარელ მრავალსახიან მხეცს?

– რასაკვირველია, იმიტომ.

– ხოლო ქედმაღლობას და სიფიცხეს განა იმიტომ არ მიიჩნევდნენ გმობის ღირსად, რომ მათი წყალობით კიდევ უფრო იძაბება ისედაც ზღვრულად დაძაგრული ის საწყისი, ლომს ანდა გველს რომ მოგვაგონებს?

– უცილობლად.

– სიძაბუნე და ფუფუნება კი იმის გამო იგმობიან, რომ სიმხდალეს უნერგავენ ადამიანს.

– უთუოდ.

– სიმდაბლე და პირმოთნეობა იმითაა გამოწვეული, რომ სულის ბობოქარ საწყისს იმ ბრბოსავით მშფოთვარე მხეცს უმონებენ, რომლის სიხარბე და უძღები ვნება ადამიანში ბავშვობიდანვე თრგუნავენ ბობოქარ საწყისს და, ამრიგად, მაიმუნად აქცევენ ლომს.

– მართლაც.

– შენი აზრით, რატომ კილავენ კაცს ხელოსნობისა თუ ხელით შრომის გამო? განა შეგვიძლია სხვა მიზეზის დასახელება, გარდა ერთისა: ხელოსნის უკეთესი საწყისი იმდენად დაუძლურებულია, რომ აღარ შეუძლია შინაგან მხეცებზე მბრძანებლობა. ამიტომაც ეპირფერება მათ და ამის მეტი არც არა გაეგება რა.

– როგორც ჩანს.

– რაკიღა თვით ამნაირი კაციც კი უნდა იმართებოდეს იმისი მსგავსი საწყისით, რომელიც ყველაზე უკეთეს ადამიანს მართავს, ჩვენ ვიტყვით, რომ ის ამ უკეთეს ადამიანს უნდა ემონებოდეს, ვის არსებაშიც ღვთაებრივი საწყისი მბრძანებლობს. მაგრამ თავისდა საზიანოდ კი არ უნდა ემონებოდეს, როგორც ფიქრობდა თრასიმაქე იმათთან დაკავშირებით, ვისაც სხვა მართავს, არამედ იმიტომ, რომ ყოველი ადამიანისათვის უმჯობესია ღვთაებრივი და გონივრული საწყისი მართავდეს, მით უმეტეს, როცა ეს საწყისი თვით მასშივეა, თუ არა და, გარედან მაინც ახდენდეს ზემოქმედებას, რათა ერთი და იმავე ძალით მართულნი ერთმანეთს დაამსგავსოს და კიდევაც დაამეგობროს.

– მართლაც.

– თვით კანონიც, რაკიღა სახელმწიფოს ყველა მოქალაქის თანამდგომია, ამასვე ისახავს მიზნად; და განა იგივე არ არის ჩვენი მიზანი ბავშვების აღზრდისას, რომლებიც ჩვენზე არიან დამოკიდებულნი მანამ, სანამ მათ სულში, როგორც სახელმწიფოში, არ დავნერგავთ გარკვეულ წესრიგს და ჩვენი უკეთესი საწყისის მიხედვით ასეთსავე საწყისს არ აღვზრდით მათში, რათა შემდეგ ჩვენს მაგივრად ის მივუჩინოთ მცველად, და მხოლოდ ამის შემდეგ ვანიჭებთ მათ თავისუფლებას.

– ცხადია, – თქვა მან.

– მერედა, რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, გლავკონ, თითქოს სასარგებლო იყოს უსამართლო ქცევა, თვითნებობა, უკეთურება? ყოველივე ამის შედეგად ადამიანი მხოლოდ უარესი ხდება, თუნდაც აურაცხელ სიმდიდრეს იხვეჭდეს ან სხვა რამ ძალმოსილებას.

– არავითარი საფუძველი არა გვაქვს.

– ანდა უსამართლო კაცს რას არგებს ის, რომ მისი დანაშაული დაფარული დარჩეს და პასუხის გებამ არ მოუწიოს? ვინც დაფარული დარჩა, განა ამის გამო უარესი არ ხდება? მაშინ როდესაც იმის სულში, ვინც არ იმალება და სასჯელს იხდის, მხეცური საწყისი თანდათანობით ცხრება და თვინიერდება, თვინიერი საწყისი კი თავისუფლდება, და მთელი სული, ამჯერად უკვე უკეთესობისკენ მიქცეული, მაღლდება, კეთილგონიერებასა და სამართლიანობასთან ერთად სიბრძნესაც იძენს და სხეულთან, თუნდაც ძალამოცემულ, ჯანღონით სავსე და მშვენებით მოსილ სხეულთან შედარებით იმდენად უფრო ფასეული ხდება, რამდენადაც სული, საერთოდ, უფრო ფასეულია სხეულზე.

– რასაკვირველია.

– გონიერი კაცის სიცოცხლე, მთელი მისი ძალა და უნარი ამ მიზნისაკენ იქნება მიმართული. მისთვის ფასეული იქნება ყველა ის მეცნიერება, რომლებიც სრულყოფენ მის სულს, დანარჩენს კი უგულებელყოფს.

– ცხადია.

– ეგეც არ იყოს, თავისი სხეულის სისაღეს და საზრდოობას ის არ დაუმორჩილებს უაზრო და ცხოველურ სიამოვნებას, და აქეთკენ არ მიმართავს მთელ თავის არსებას. ჯანმრთელობასაც კი არ მიაქცევს საგანგებო ყურადღებას და მიზნად არ დაისახავს მაინცდამაინც ძლიერი, ჯანღონით სავსე და ლამაზი იყოს, თუკი ყოველივე ეს ხელს არ უწყობს კეთილგონიერებას, და გამუდმებით ეცდება სულის ჰარმონიული თანახმიერების გულისთვის ჰარმონიულობა მიანიჭოს თავის სხეულსაც.

– ნამდვილად ასე მოიქცევა, თუკი სურს სრულად გაიწაფოს მუსიკურ ხელოვნებაში.

– განა იმავე წესრიგსა და თანხმობას არ დაიცავს მაშინაც, როცა სიმდიდრეს იძენს? ბრბოს ყველაფერს სიმდიდრე ურჩევნია, მაგრამ ნუთუ მის აზრს აჰყვება და ეცდება უსასრულოდ ზარდოს სიმდიდრე, რათა უსასრულო უბედურება დაიტეხოს თავს?

– არა მგონია.

– ის დაიცავს თავის სულიერ წყობას და თვალი ფხიზლად ეჭირება – სიუხვისა თუ სიმწირის გამო არაფერი დაირღვესო, და ეცდება გერგილიანად განაგოს თავისი შემოსავალ-გასავალი.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო რაც შეეხება პატივს, მისი თვალსაზრისი აქაც იგივე იქნება: კი არ უარყოფს, სიამოვნებითაც მიიღებს ყოველგვარ პატივს, რაც ხელს შეუწყობს მის სრულყოფას, მაგრამ რაც არღვევს უკვე მიღწეულ წესრიგს, ყოველნაირად ეცდება თავიდან აიცილოს, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

– რახან ესაა მისი საზრუნავი, არც კი მოინდომებს სახელმწიფო საქმეს მოჰკიდოს ხელი.

– ვფიცავ ძაღლს, ძალიანაც მოინდომებს, მაგრამ თავის საკუთარ სახელმწიფოში და არა თავის მამულში, თუ ზეცამ სხვაგვარად არ ინება.

– მესმის: შენ იმ სახელმწიფოს გულისხმობ, რომლის წყობილებაც ეს-ესაა განვიხილეთ და რომელიც მხოლოდ ჩვენს მსჯელობაში არსებობს, რადგანაც მთელი დედამიწის ზურგზე არსად არაა მისი ადგილი.

– მაგრამ ხომ შეიძლება ცაში იყოს მისი ნიმუში, – ვუთხარი მე, – ყველასათვის მისაწვდომი, ვინც კი მოისურვებს მის ჭვრეტას, რათა მისი მიხედვით მოაწესრიგოს თავისი სულიერი სამყარო. ისე კი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამნაირი სახელმწიფო დედამიწაზეც არსებობს თუ აწი მაინც იარსებებს. ჩვენი ადამიანი მხოლოდ ამ სახელმწიფოს საქმეებს თუ მოჰკიდებდა ხელს.

– ცხადია, – თქვა მან.

წიგნი მეათე

– და მართლაც, – განვაგრძე მე, – ბევრი სხვა ნიშნის მიხედვითაც ვრწმუნდები, რომ ყველაზე უკეთ დავაფუძნეთ ეს ჩვენი სახელმწიფო; ამას რომ ვამბობ, მე, უწინარეს ყოვლისა, პოეზიას ვგულისხმობ.

– მაინც?

– ვერასდიდებით ვერ დავუშვებთ სახელმწიფოში, რადგანაც ის მიმბაძველობითია. ახლა, როცა ცალ-ცალკე განვიხილეთ სულის ყოველი სახე, ეს კიდევ უფრო აშკარა გახდა.

– როგორ?

– ჩვენს შორის დარჩეს და, – იმედია, არ დამასმენთ ტრაგედიების მთხზველებისა და სხვა მიმბაძველების წინაშე, – მთელი მათი შემოქმედება ნამდვილი უბედურებაა მსმენელთა სულისთვის, რადგანაც მათ შხამსაწინააღმდეო საშუალება არ გააჩნიათ, რათა გაიგონ, რა არის ეს.

– რას გულისხმობ?

– მეტი რა გზაა, უნდა გითხრათ. თუმცა ერთგვარი სიყვარული და პატივისცემა ჰომეროსის მიმართ, რაც სიყრმიდანვე ჩამენერგა გულში, ხელს უშლის ამ აღიარებას. როგორც ჩანს, ის იყო ამ მშვენიერი ტრაგიკოსი პოეტების პირველი მოძღვარი და ჰეგემონი. მაგრამ არ შეიძლება კაცს უფრო მეტ პატივს სცემდე, ვიდრე ჭეშმარიტებას. ამიტომ იძულებული ვარ ვთქვა ის, რის თქმასაც ვაპირებ.

– რასაკვირველია.

– მაშ, მისმინე, ან, უფრო სწორად, მიპასუხე.

– შენც ადექი და მკითხე.

– თუ შეგიძლია მითხრა, რა არის მიბაძვა საერთოდ? რადგანაც, მართალი გითხრა, მე კარგად არც კი მესმის, რა არის.

– და შენ გგონია, რომ მე შეიძლება მესმოდეს?

– ვითომ რა გასაკვირია? ხშირად სუსტი მხედველობის მქონე იმაზე მალე არჩევს საგნებს, ვისაც ბასრი მზერა აქვს.

– ხდება ხოლმე. მაგრამ ნათლადაც რომ ვხედავდე, შენს გვერდით მაინც ვერ გავბედავდი რაიმეს თქმას. ასე რომ, მაინც შენ მოგიწევს განხილვა.

– მაშინ, თუ გნებავს, ჩვენთვის ჩვეული გზით შევუდგეთ საქმის განხილვას: ერთი და იმავე სახელით აღნიშნულ საგანთა ყოველი სიმრავლისათვის ჩვენ ვიღებთ მხოლოდ ერთ სახეს, ერთ იდეას. ხომ გესმის?

– მესმის.

– ახლა ავიღოთ ნებისმიერი სიმრავლე. ხომ არსებობს, ვთქვათ, სიმრავლე მაგიდებისა თუ საწოლებისა...

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ ყველა ამ ავეჯის იდეა მხოლოდ ორია – ერთი საწოლისა და ერთიც – მაგიდისა.

– დიახ.

– ჩვეულებრივ, იმასაც ვამბობთ, რომ ხელოსანი, ამა თუ იმ ნივთის დამზადებისას, უწინარეს ყოვლისა, აკვირდება იდეას და მისი მიხედვით ქმნის ერთი – საწოლებს, მეორე კი – მაგიდებს, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ. მაგრამ არცერთ ხელოსანს არ შეუძლია საკუთრივ იდეის შექმნა; ასეა, არა?

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ შეგიძლია თუ არა ხელოსანი უწოდო იმასაც...

– ვის?

– ვინც მარტო ქმნის ყოველივე იმას, რასაც ცალ-ცალკე ქმნის ყველა ხელოსანი.

– განსაცვიფრებლად ხელმარჯვე ოსტატს გულისხმობ.

– ცოტაც და კიდევ უფრო განსაცვიფრებელი მოგეჩვენება. რადგანაც მას შეუძლია არა მარტო ყოველნაირი ავეჯის შექმნა, არამედ ყველაფრისა, რასაც თავისი წიაღიდან აღმოაცენებს დედამიწა, ყოველი ცოცხალი არსებისა და, მათ შორის,

თავისი თავისაც, დედამიწისაც, ცისაც, ღმერთებისაც, ყოველივე ზეციურისაც და იმისაც, რაც არის მიწის ქვეშ, ჰადესში.

– ეს უკვე ჯადოქარია.

– რაო, არ გჯერა? ერთი ეს მითხარი, როგორ გგონია, საერთოდ არ არსებობს ამნაირი ხელოსანი თუ ვიღაცას რაღაცნაირად მაინც შეუძლია ყოველივე ამის შექმნა? ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ შენ თვითონაც შეგეძლო ყოველივე ეს მოგემოქმედა?

– კი მაგრამ, როგორ?

– არც ისე ძნელი საქმეა; საკმაოდ ხშირად და სწრაფადაც კი კეთდება; თუ გინდა, აიღე სარკე და რაც შეიძლება სწრაფად ატრიალე ყოველი მიმართულებით: ხელად გააჩენ მზესაც და სხვა ციურ სხეულებსაც, დედამიწასაც, შენს თავსაც, დანარჩენ ცოცხალ არსებებსაც, ნაირ-ნაირ საგნებსაც, მცენარეებსაც და სხვა მისთანათ.

– დიახ, მაგრამ ყოველივე ეს ხომ მოჩვენებითი იქნება და არა ნამდვილი?

– კეთილი; მშვენივრად გამიგე; ჩემის აზრით, ამნაირ ხელოსანთა რიცხვს ეკუთვნის მხატვარიც, არა?

– უეჭველად.

– მაგრამ შენ, ალბათ, იტყვი, რომ ნამდვილი როდია, რასაც ის ქმნის, თუმცა მხატვარი, გარკვეულწილად, ქმნის საწოლს; ასეა, არა?

– დიახ, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი საწოლია.

– დურგალზე რაღას იტყვი? განა შენ არ ამბობდი წეღან, რომ ის საწოლის იდეას კი არ ქმნის, რასაც ჩვენ ნამდვილ საწოლად ვსახავთ, არამედ მხოლოდ ერთგვარ საწოლს?

– დიახ, ვამბობდი.

– მაგრამ რაკი იმას როდი ქმნის, რაც არის, ამიტომ ნამდვილ საგანს კი არ ქმნის, არამედ მხოლოდ ამ უკანასკნელის მსგავს საგანს, და ვინმეს რომ დაეჩემებინა, დურგლისა თუ რომელიმე სხვა ოსტატის მიერ შექმნილი საგანი ნამდვილი საგანიაო, არამც და არამც არ იქნებოდა მართალი.

– ყოველ შემთხვევაში, იმისი აზრით მაინც, ვისთვისაც ჩვეულებრივი ამბავია ამნაირ საკითხებზე მსჯელობა.

– ასე რომ, ნუ გაგიკვირდება, თუ მისი ნახელავი მხოლოდ ბუნდოვანი ასლი იქნება დედნისა.

– მართლაც.

– ხომ არ გსურს, ამ ქმნილებებზე დაყრდნობით, ვნახოთ, როგორი იქნება თვით მიმბაძველი?

– ვნახოთ.

– ყვლა ეს საწოლი სამი სხვადასხვა სახით წარმოგვიჩნდება: ერთი თვით ბუნებაში არსებულია, და, მე მგონია, ჩვენ შეგვეძლო ღმერთის ქმნილებად მიგვეჩნია იგი; თუ არა და, ვინ უნდა დაგვესახა მის შემოქმედად?

– არავინ, მხოლოდ ის.

– მეორე – დურგლის ქმნილებაა.

– დიახ.

– მესამე – მხატვრისა; ასეა, არა?

– ვთქვათ.

– მხატვარი, დურგალი, ღმერთი – აი, სამი შემოქმედი საწოლთა ამ სამი სახისა.

– დიახ, სამი.

– ღმერთმა, იმიტომ, რომ არ უნდოდა, თუ აუცილებლობის ძალით, რომელიც მოითხოვდა, რომ ბუნებაში მხოლოდ ერთი საწოლი ყოფილიყო, – მარტო ერთი

საწოლი შექმნა, და ესაა ერთადერთი ნამდვილი საწოლი, ორი ერთნაირი თუ მეტი საწოლი კი ღმერთს არ შეუქმნია და არც შექმნის.

– ვითომ რატომაო?

– რატომ და, ორიც რომ შეექმნა, მაინც ერთი იქნებოდა, რომლის იდეაც ხორცს შეისხამდა ორივეში, და ეს იქნებოდა ერთადერთი ნამდვილი საწოლი, ორი კი არა.

– სწორია, – თქვა მან.

– ეს რომ იცოდა, ღმერთს, ჩემის აზრით, სურდა ნამდვილად ყოფილიყო ნამდვილი საწოლის ერთადერთი შემოქმედი, და არა ამა თუ იმ საწოლის შემქმნელი ესა თუ ის ოსტატი; ამიტომაც იყო, რომ თავისი ბუნებით ერთადერთი ნამდვილი საწოლი შექმნა.

– როგორც ჩანს.

– თუ გნებავს, ამ საწოლის შემოქმედი, ან სხვა ამგვარი სახელი ვუწოდოთ მას.

– სამართლიანი იქნება, რადგანაც საწოლიც და ყოველივე დანარჩენიც მან ბუნების თანახმად შექმნა.

– კი მაგრამ, დურგალს რაღა ვუწოდოთ? საწოლის შემქმნელი ოსტატი ხომ არა?

– დიახ.

– მხატვარსაც ამავე საგნის შემქმნელი და ოსტატი?

– არამც და არამც.

– მაშ, რას იტყვი, ვინაა ის ამ მიმართებით?

– მე მგონია, ეს იქნებოდა მისი შესაფერი სახელი: ის ამ საგნის შემქმნელთა მიმბაძველია.

– კეთილი; მაშასადამე, მიმბაძველს შენ უწოდებ იმას, ვისი ნახელავიც სამი საფეხურით დაშორებულია ნამდვილი არსისაგან?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, აი, როგორი იქნება ტრაგედიების შემოქმედი: რაკიღა მიმბაძველია, უთუოდ მესამე ადგილზე უნდა იყოს მეუფისა და ჭეშმარიტების შემდეგ, ისევე, როგორც ყველა სხვა მიმბაძველი.

– როგორც ჩანს.

– ამრიგად, მიმბაძველობის თაობაზე უკვე მივაღწიეთ თანხმობას; თუმცა ამ კითხვაზეც მიპასუხე მხატვართან დაკავშირებით: როგორ გგონია, ის ბუნებაში არსებული ერთადერთი ნამდვილი საგნის მიბაძვას ცდილობს თუ ოსტატთა ქმნილებებისას?

– ოსტატთა ქმნილებებისას.

– კი მაგრამ, როგორ ბაძავს მათ: როგორიც არიან სინამდვილეში თუ როგორიც ჩანან? ესეც ხომ უნდა განასხვავო.

– შენ თვითონ როგორ გგონია?

– აი, როგორ: თუ საწოლს გვერდიდან, პირდაპირ ან რომელიმე სხვა მხრიდან უყურებ, განსხვავდება თავისი თავისგან თუ, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, მხოლოდ განსხვავებული გეჩვენება, და იგივე ითქმის ყველა სხვა საგნის მიმართაც?

– იგივე; მხოლოდ განსხვავებული ჩანს, სინამდვილეში კი არაფრითაც არ განსხვავდება.

– ახლა კი ამასაც დაუკვირდი. რა ამოცანას ისახავს მხატვრობა ყველა ცალკეულ შემთხვევაში: ცდილობს ისე მიბაძოს საგანს, როგორც ის არის სინამდვილეში, თუ ისე, როგორც ის გვეჩვენება? ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხატვრობა ლანდების მიბაძვაა თუ სინამდვილისა?

– ლანდების.

– მაშასადამე, მიმბაძველობითი ხელოვნება შორსაა სინამდვილისგან. ჩემის აზრით, ამიტომაც შეუძლია ასახოს ყველაფერი, რაც გნებავთ, სულ ოდნავ რომ ეხება ამა თუ იმ საგანს, რის შედეგადაც ლანდები იბადებიან. ასე მაგალითად, მხატვარი დახატავს დურგალს, ხარაზს ან სხვა ხელოსანს, თუმცა თვითონ არცერთი ამ ხელობის არა გაეგება რა. მაგრამ თუ კარგი მხატვარია, დურგალს რომ დახატავს და თავის ნახატს შორიდან აჩვენებს ხალხს, შეიძლება ბავშვები და ბრიყვები კი მოატყუოს და აფიქრებინოს, ნამდვილ დურგალსა ვხედავთო.

– რა თქმა უნდა.

– აი, რას უნდა ვფიქრობდეთ, ჩემო მეგობარო, ყოველივე ამის შესახებ. ვინმემ რომ გვითხრას, ერთი კაცი გამაცნეს, რომელიც ყველაფერს ყველაზე უკეთ აკეთებს და უკეთაც იცის ყოველივე ის, რაც თვითეულმა იცის ცალ-ცალკეო, – პირში უნდა ვუთხრათ ამის მთქმელს: გეტყობა დიდი მიამიტი ვინმე ბრძანდები, რაკიღა ასე ადვილად მოატყუებინე თავი გაიძვერასა და მიმბაძველს, ყოვლისმცოდნე რომ გეგონა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთისგან ვერ არჩევ ცოდნას, უმეცრებასა და მიბაძვას.

– მართალს ბრძანებ.

– ახლა კი უნდა განვიხილოთ ტრაგედია და მისი ჰეგემონი – ჰომეროსი, რადგანაც ზოგიერთებისგან გაგვიგონია, თითქოს ტრაგიკოსი პოეტები ყველა ხელობასა თუ ხელოვნებაში გაწაფულნი იყვნენ და არა მარტო ყველა ადამიანური საქმის – კეთილისა თუ ბოროტის – მცოდნენი, არამედ ყოველივე ღვთაებრივისაც. რადგანაც კარგმა პოეტმა, ვისაც სურს სრულყოფილად შეასხას ხორცი თავის შთანაფიქრს, მათი აზრით, აუცილებლად უნდა იცოდეს ის, რაზედაც წერს, თორემ ვერაფრის დაწერასაც ვერ შესძლებსო. უნდა გავარკვიოთ, ტყუვდებოდნენ თუ არა ადამიანები ამნაირ მიმბაძველებთან შეხვედრისას, ამჩნევდნენ თუ არა, რომ მათ ქმნილებებს მთელი სამი საფეხური აშორებთ ნამდვილი ყოფიერებისაგან, და რომ მათ ადვილად შეიძლება შეასხას ხორცი იმან, ვისთვისაც უცნობია ჭეშმარიტება, რადგანაც აქ ლანდებს ქმნიან და არა ნამდვილ არსს. თუ ადამიანები არ ცდებიან და კარგმა პოეტებმა მართლაც იციან ყველაფერი, რაზედაც, უმრავლესობის აზრით, ასე კარგად ლაპარაკობენ?

– დიახ, ეს მართლაც იმსახურებს განხილვას.

– კი მაგრამ, ვინმეს რომ შეეძლოს როგორც ერთის, ისე მეორის – დედნის და ასლის შექმნა, როგორ გგონია, მთელ თავის უნარს ჩააქსოვდა ასლის შექმნაში და სწორედ მას მიიჩნევდა თავისი სიცოცხლის მთავარ და ყველაზე უკეთეს საქმედ?

– არა მგონია.

– მაგრამ კარგად რომ სცოდნოდა, რასაც ბაძავს, მთელი მისი ძალისხმევა შექმნისკენ იქნებოდა მიმართული და არა მიბაძვისაკენ. ის ეცდებოდა თავის სახსოვრად დაეტოვებინა ბევრი მშვენიერი ქმნილება და, ცხადია, ამჯობინებდა, თვითონ ის ედიდებინათ, ვიდრე თავად ედიდებინა სხვები.

– ალბათ; ეს უფრო საპატიო და სასარგებლო იქნებოდა მისთვის.

– ძალიან ბევრი საქმისთვის ანგარიშს არ მოვთხოვთ არც ჰომეროსს და არც რომელიმე სხვა პოეტს; არ ვკითხავთ, ექიმები იყვნენ თუ ექიმთა ენის უბრალო მიმბაძველები. განა არსებობს გადმოცემა, რომ თუნდაც ერთ პოეტს, გინდ ახალს და გინდ ძველს, ჯანმრთელობა დაებრუნებინოს ვინმესთვის, როგორც უბრუნებდა ასკლეპიოსი, ან ისეთი მოწაფეები დაეტოვებინოს მკურნალებად, როგორიც იყვნენ ასკლეპიოსის მემკვიდრენი? არც სხვა ხელოვნებასთან დაკავშირებით ვკითხავთ მათ რამეს, თავს არ შევაწყენთ. მაგრამ როცა ჰომეროსი ყველაზე დიადსა და

მნიშვნელოვანს ეხება, როცა ომებზე, მხედართმთავრის ხელოვნებაზე, სახელმწიფოს მართვასა თუ ახალგაზრდობის აღზრდაზე ლაპარაკობს, მაშინ კი მართებული იქნება ვკითხოთ: «ძვირფასო ჰომეროსო, თუ სიქველისა და სრულქმნილების თვალსაზრისით ნამდვილი არსიდან მესამე ადგილზე კი არ დგახარ და მარტოოდენ ასლსა და მსგავსს კი არა ქმნი, რაც, ჩვენი განსაზღვრისამებრ, მიბაძვა იქნებოდა, არამედ მეორე ადგილი გიჭირავს და, ამრიგად, შეგიძლია იცოდე, რას აკეთებენ ადამიანები უკეთ და რას – უარესად, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც, – კეთილ-ინებე და გვითხარი, რომელმა სახელმწიფომ მიაღწია შენი წყალობით უკეთეს მმართველობას, როგორც ლაკედემონმა – ლიკურგეს მეოხებით, ან ბევრმა სხვა დიდმა თუ პატარა პოლისმა – ბევრი სხვა კანონმდებლის მეშვეობით? იტალია და სიცილია ამნაირ კანონმდებლად ქარონდას მიიჩნევენ, ჩვენ – სოლონს, შენ კი – ვინ?» შესძლებდა თუ არა ჰომეროსი რომელიმე სახელმწიფოს დასახელებას?

– არა მგონია, – თქვა გლავკონმა, – ამაზე თვით ჰომერიდებიც კი არაფერს ამბობენ.

– ან სადმე თუ იხსენიება ჰომეროსის დროინდელი თუნდაც ერთი ომი, გამარჯვებით რომ დამთავრებულიყოს მისი მხედართმთავრობისა თუ რჩევის წყალობით?

– არავითარი ამნაირი ომი არა ყოფილა.

– ან ხელმარჯვე და მახვილგონიერ ოსტატად, მრავალი სხვადასხვა გამოგონებისა და სხვა მისთანათა ავტორად თუ მიიჩნევენ მას, როგორც ძველი გადმოცემები – მილეტელ თალესს ან სკვით ანაქარსისს?

– არაფერი ამის მსგავსი ჰომეროსს არ მიეწერება.

– მაგრამ თუ სახელმწიფოს ბევრი ვერა არგო რა, იქნებ იმას მაინც ამბობენ, რომ კერძო ცხოვრებაში ვიღაცის აღზრდას მაინც ხელმძღვანელობდა, რის გამოც ისე შეიყვარეს აღზრდილებმა, რომ შთამომავლობას გადასცეს ცხოვრების ჰომეროსული გზა, როგორც პითაგორელებმა – თავიანთი მოძღვრისა, რასაც დღემდე ცხოვრების პითაგორულ წესს უწოდებენ და რითაც მკვთრად განირჩევიან სხვებისგან.

– არაფერ ამგვარს ჰომეროსზე არ გადმოგვცემენ, სოკრატე. თვით კრეოფილეც, რომელიც ჰომეროსთან დაახლოებული კაცი უნდა ყოფილიყო, თავისი აღზრდით კიდევ უფრო სასაცილო ჩანს, ვიდრე მისი სახელი, თუკი მართალია, რასაც ჰომეროსზე გადმოგვცემენ; გადმოცემით კი იმას გადმოგვცემენ, რომ თანამედროვეებს არაფრადაც არ მიაჩნდათ თურმე.

– დიახ, ასე ამბობენ, მაგრამ როგორ გგონია, გლავკონ, ჰომეროსს რომ მართლაც შესძლებოდა ადამიანების აღზრდა და მათი სრულყოფა, ხოლო ამ საქმეში მიბაძვა კი არ გამოეყენებინა, არამედ ცოდნა, ნუთუ უამრავ მიმდევარს და თაყვანისმცემელს ვერ შეიძენდა? პროტაგორა აბდერელი, პროდიკე კეოსელი და სხვანი და სხვანი პირადი ურთიერთობის წყალობით არწმუნებენ თავიანთ თანამედროვეებს, რომ განსწავლისა და განათლების გარეშე ვერც თავიანთ შინაურ და ვერც სახელმწიფო საქმეებს ვერ გაართმევენ თავს, და, აი, ამ სიბრძნის გულისთვის მოწაფეებს ისე უყვართ ისინი, რომ ლამის თავზე დაისვან. ნუთუ ჰომეროსს, თუკი მართლა შეეძლო კაცთა სიქველის სრულყოფა, და ჰესიოდესაც ხალხი იმის ნებას მისცემდა, რომ მოხეტიალე რაფსოდების ცხოვრებით ეცხოვრათ და არ აიძულებდა მათ ერთ ადგილას დამკვიდრებულიყვნენ, ხოლო თუ ვერ დაიყაბულებდა, განა ფეხდაფეხ არ გაჰყვებოდნენ ყველგან, ოღონდ კი მათგან რამე ესწავლათ?

– რასაც შენ ამბობ, მე მგონია, სრული სიმართლეა, სოკრატე.

– მაშ, რა ვქნათ, ხომ არ ვაღიაროთ, რომ ყველა პოეტი, ჰომეროსიდან მოყოლებული, სიქველის მოჩვენებითი ხატებისა და სხვა მისთანათა უბრალო მიმბაძველია, მაგრამ ვერასოდეს ვერ აღწევს ჭეშმარიტებას? ასე, ჩვენი წეღანდელი თქმისა არ იყოს, მხატვარმა შეიძლება დახატოს ხარაზი და ნამდვილ ხარაზადაც კი მოაჩვენოს ხალხს, თუმცა ხარაზის ხელობისა არც მას და არც მისი ნახატის მაყურებელს საერთოდ არა გაეგებათ რა: ისინი მხოლოდ ფერებისა და ხაზების მიხედვით მსჯელობენ.

– რა თქმა უნდა.

– მე მგონია, იგივე ითქმის პოეტებზედაც, სიტყვებისა და ხატოვანი გამოთქმების მეშვეობით გარკვეული ფერადოვნებით რომ წარმოგვიჩენენ ამა თუ იმ ხელოვნებას ან ხელოსნობას, თუმცა არცერთის არა გაეგებათ რა და მხოლოდ მიბაძვით გადიან ფონს, ასე რომ, არანაკლებ უმეცარსა და მხოლოდ სიტყვების ჟღერადობით თავბრუდასხმულ მსმენელს ეჩვენება, რომ ეს საუცხოოდ არის ნათქვამი, მიუხედავად იმისა, პოეტი რიტმული და ჰარმონიულად წყობილი სიტყვით ხარაზის ხელობაზე მსჯელობს თუ საომარ ხელოვნებაზე, – იმდენად მომნუსხველია პოეტური სამკაულების ბუნებრივი ხიბლი. მაგრამ თუ პოეტურ ქმნილებებს მუსიკალური ხელოვნებით მინიჭებულ ფერადოვნებას ჩამოვაცილებთ, მოგეხსენება, რა უღიმღამოდ წარმოგვიჩნდებიან შიშველი სახით; თვითონაც ხომ შეგინიშნავს ეს?

– დიახ.

– განა ახალგაზრდობაში მშვენიერ, მაგრამ ხანდაზმულობაში გაცრეცილ და გახუნებულ სახეებს არა ჰგვანან?

– ძალიან.

– ერთსაც დაუკვირდი: ვინც ლანდებსა თუ ხატებს ქმნის, ესე იგი, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, – მიმბაძველი, საერთოდ ვერ ერკვევა, რა არის ნამდვილი არსი და მხოლოდ მის მოჩვენებით მხარეს იცნობს; ასეა, არა?

– დიახ.

– შუა გზაზე ნუ შევწყვეტთ სიტყვას და რაც ვთქვით, სრულად განვიხილოთ.

– გისმენ.

– ჩვენ ვამბობთ, რომ მხატვარს შეუძლია შექმნას სადავე და ლაგამი.

– დიახ.

– დამზადებით კი სარაჯი და მჭედელი ამზადებენ მათ.

– რა თქმა უნდა.

– განა მხატვარმა იცის, როგორი უნდა იყოს სადავე და ლაგამი? ეს თვით მათმა დამამზადებლებმა – სარაჯმა და მჭედელმაც კი არ იციან, არამედ მხოლოდ იმან, ვინც მათ იყენებს, ესე იგი, მხედარმა, არა?

– დიახ.

– განა იგივე არ ითქმის ყველა სხვა საგნის მიმართაც?

– როგორ?

– ყოველ საგანს სამი სხვადასხვა ხელოვნება ესადაგება: მისი გამოყენების, დამზადებისა და გამოსახვის ხელოვნება.

– დიახ.

– მაგრამ რას ეთანაფარდება ავეჯის, ცოცხალი არსების ან მოქმედების თავისებურება, სილამაზე და სრულქმნილება, თუ არა მის გამოყენებას, რისთვისაც ის შექმნა ადამიანმა თუ ბუნებამ?

– სხვას არაფერს.

– მაშასადამე, ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე იქნება ის, ვინც ამა თუ იმ საგანს იყენებს და თავისი გამოცდილების მიხედვით შეუძლია მისი ნახელავის ავ-კარგზე მიუთითოს ამავე საგნის გამკეთებელს. ასე, მაგალითად, ფლეიტაზე დამკვრელი ფლეიტის ოსტატს უჩვენებს, როგორი ფლეიტა სჯობს საკრავად, ან როგორ უნდა დამზადდეს იგი, და ოსტატიც ყურად იღებს მის რჩევას.

– უეჭველად.

– ამრიგად, ვინც იცის, საკრავის ავ-კარგს უჩვენებს იმას, ვინც მცოდნეს ენდობა და მისი მითითების მიხედვით აკეთებს საკრავს.

– დიახ.

– მაშასადამე, ამა თუ იმ საგნის სრულქმნილებისა და ნაკლის შესახებ ამ საგნის გამკეთებელს სწორი წარმოდგენა ექმნება მცოდნესთან ურთიერთობის წყალობით და ძალაუნებურად გაიზიარებს მის მითითებებს; მაგრამ მცოდნე მხოლოდ ისაა, ვინც ამ საგანს იყენებს.

– რა თქმა უნდა.

– რაც შეეხება მიმბაძველს, გამოცდილებით იძენს ცოდნას იმ საგნების შესახებ, რომლებსაც ხატავს, – რამდენად კარგი და სრულქმნილია თვითეული მათგანი, – თუ მცოდნესთან ურთიერთობის წყალობით იძენს სწორ წარმოდგენას მათზე და მცოდნისავე მითითებებს ეყრდნობა, თუ როგორ დახატოს ისინი.

– არც ერთის და არც მეორის წყალობით.

– ესე იგი, მიმბაძველს არც ცოდნა ექნება და არც სწორი წარმოდგენა იმ საგნების შესახებ, რომლებსაც ხატავს.

– როგორც ჩანს, არა.

– დიდებული შემოქმედი კი უნდა იყოს ამნაირი მიმბაძველი.

– არც ისე.

– მაგრამ ის კვლავაც მიბაძავს საგნებს, თუმცა არ ეცოდინება მათი ავ-კარგი; ამიტომ, როგორც ჩანს, მშვენიერად წარმოგვიჩენს იმას, რაც მშვენიერად ესახება ბრბოს და უმეცართ.

– მეტის თავი რომ არა აქვს.

– ამ მხრივ, ეტყობა, სრულ თანხმობას მივაღწიეთ: ჯერ ერთი, მიმბაძველმა ბევრი არაფერი იცის იმ საგნისა, რომელსაც ბაძავს და, ეგეც არ იყოს, მისი შემოქმედება დარბაისელი კაცისთვის შეუფერებელი ბავშვური თავშექცევაა. ტრაგიკული პოეზიის ყველა შემოქმედი, მიუხედავად იმისა, იამბიკურ ლექსს იყენებს თუ ეპიკურს, უპირატესად მიმბაძველია.

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, ზევსის გულისთვის, განა ამნაირი მიბაძვა რაღაც ისეთს არ მიემართება, რაც მესამე ადგილზე დგას, ნამდვილი არსიდან მოყოლებული?

– დიახ.

– მეორეს მხრივ, ადამიანის რომელ საწყისზე ახდენს მიბაძვა ზემოქმედებას?

– რა ზემოქმედებას გულისხმობ?

– აი, რას: ერთი და იგივე სიდიდე, იმის მიხედვით, შორიდან ვუყურებთ თუ ახლოდან, თანაბარი როდი ჩანს.

– მართლაც.

– ზუსტად ასევე, საგნები ან ტეხილნი ჩანან, ან სწორნი, იმის მიხედვით, წყალში ვაკვირდებით მათ თუ წყლის გარეთ, და მათი ჩაზნექილობაც და ამოზნექილობაც მზერის მცდარობის შედეგია, რასაც ამავე საგანთა შეფერილობა იწვევს. ცხადია, რომ ამნაირი მცდარობა ნიშნეულია ჩვენი სულისთვის და ჩვენი ბუნების სწორედ ამ

თავისებურებას ემყარება მხატვრობაც მთელი თავისი ხიბლით, თვალთმაქცთა ოინბაზობაც და სხვა მისთანანი.

– მართალს ბრძანებ.

– მაგრამ განა ამ მცთარობის გასაქარწყლებლად არ იქნა აღმოჩენილი ძალზე ქმედითი საშუალება გაზომვის, გამოთვლისა თუ აწონის სახით? ასე რომ, ჩვენში მთავარია არა სიდიდის და სიპატარავის, სიმრავლისა და სიმძიმის მოჩვენებითი ცვალებადობა, არამედ გაზომვის, გამოთვლისა და აწონის უნარი.

– რა თქმა უნდა.

– ყოველივე ეს კი ჩვენი სულის გონივრული საწყისის საქმეა, არა?

– რასაკვირველია.

– ხშირი გაზომვების წყალობით ამ საწყისმა აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი საგანი უფრო დიდია, ზოგი – უფრო პატარა, ზოგი კი – ერთმანეთის ტოლი, თუმცა ეს საგნები, იმავდროულად, ურთიერთსაპირისპირო სახით წარმოგვიჩნდებიან ჩვენ.

– დიახ.

– ჩვენ კი ვამტკიცებდით, რომ ერთსა და იმავე საწყისს ერთსა და იმავე დროს შეუძლებელია ორი საპირისპირო აზრი ჰქონდეს ერთსა და იმავე საგანზე.

– და მართალნიც ვიყავით.

– მაშასადამე, ჩვენი სულის ის საწყისი, რომელიც საგნებზე მათი ზომების საპირისპიროდ მსჯელობს, შეუძლებელია იგივეობრივი იყოს იმ საწყისისა, ამ ზომების შესაბამისად რომ აღიქვამს საგნებს.

– რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

– ის, რაც ჩვენს გაზომვას და გამოთვლას ენდობა, ჩვენი სულის უკეთესი საწყისია.

– უეჭველად.

– ხოლო ის, რაც ამას უპირისპირდება, უარესი საწყისი უნდა იყოს.

– უცილობლად.

– სწორედ ამ დასკვნისკენ მიმყავდი, როცა ვამტკიცებდი, რომ მხატვრობის, ისევე, როგორც ყველა მიმბაძველობითი ხელოვნების ქმნილებები შორს დგანან სინამდვილისგან და მათ საქმე აქვთ ჩვენი სულის იმ საწყისთან, რომელიც ასევე შორსაა გონივრულობისაგან, რის გამოც შეუძლებელია ყოველივე იმის თანამდგომი და ხელშემწყობი იყოს, რაც ჯანსაღია და ჭეშმარიტი.

– მართლაც.

– ასე რომ, თავისთავად დაბალი მიმბაძველობითი ხელოვნება დაბალთანავე შეუღლების შედეგად დაბალსვე აძლევს დასაბამს.

– როგორც ჩანს.

– ეს მხოლოდ იმ მიმბაძველობით ხელოვნებას ეხება, რომელსაც მზერით აღვიქვამთ, თუ იმასაც, სმენით რომ აღიქმება და პოეზია ჰქვია სახელად?

– ცხადია, ამ უკანასკნელსაც.

– ნუ ვენდობით მარტოოდენ მოჩვენებით მსგავსებას პოეზიასა და ფერწერას შორის, არამედ განვიხილოთ სულის ის საწყისიც, რომელთანაც საქმე აქვს პოეტურ მიმბაძველობას, და ვნახოთ, ღირსეულია ეს საწყისი თუ უბადრუკი.

– ეს მართლაც უნდა ვნახოთ.

– მოდი, ასეთი კითხვა დავსვათ: მიმბაძველობითი პოეზია ადამიანს გვიხატავს როგორც იძულებით ან ნებსით მოქმედს, ამ მოქმედების საფუძველზე კი ის ფიქრობს, რომ ან კარგად მოიქცა, ან ცუდად, და ყველა ამ ვითარებაში ან წუხს, ან ხარობს. თუ ის სხვა რამესაც გვიხატავს, გარდა ამისა?

– სხვას არაფერს.

– კი მაგრამ, ყველა ამ ვითარებაში ადამიანი აუმღვრეველი რჩება? თუ როგორც მზერით აღქმადი საგნების ჭვრეტისას მასში თავს იჩენდა შინაგანი წინააღმდეგობა და ურთიერთსაპირისპირო წარმოდგენები ამ საგნებზე, თავის საკუთარ მოქმედებებთან მიმართებისას მისი სული ასეთსავე გაორებას განიცდის და ურთიერთსაპირისპირო შეხედულებათა ჭიდილის ასპარეზად იქცევა? თუმცა, გამახსენდა, რომ ახლა სულაც არ გვჭირდება ამის მტკიცება, რადგანაც ზემოთ ბევრი ვიმსჯელეთ და დაბეჯითებითაც დავასაბუთეთ, რომ ჩვენი სული სავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით, ერთდროულად რომ იჩენენ თავს.

– მართალია.

– დიახ, მართალია, მაგრამ ჩემის აზრით, ახლა მაინც აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის, რაც მაშინ გამოგვრჩა.

– რა?

– ჩვენ ვამბობდით, რომ ნამდვილი ადამიანი სხვებზე უფრო ადვილად იტანს თავს დატეხილ უბედურებას, ვთქვათ, შვილის სიკვდილს თუ მისთვის რაღაც ძვირფასის დაკარგვას.

– რა თქმა უნდა.

– ახლა კი ესეცა ვნახოთ: ამნაირი ადამიანი საერთოდ არ იგლოვებს (რაკიღა ეს წარმოუდგენელია), თუ გარკვეულწილად უფრო თავდაჭერილი იქნება თავისი მწუხარების გამოხატვისას?

– ეს უკანასკნელი უფრო სავარაუდოა.

– ამის შემდეგ ესეც მითხარი: როგორ გგონია, როდის დაუპირისპირდება უფრო მტკიცედ თავის მწუხარებას და მეტ წინააღმდეგობას გაუწევს მას: ხალხის თვალწინ თუ როცა მარტოა?

– ხალხის თვალწინ.

– სიმარტოვეში კი, ჩემის აზრით, თავს ვეღარ შეიკავებს და მწარედ ატირდება, რასაც, ალბათ, ვერ გაბედავდა, რომ სცოდნოდა, ვიღაც მიყურებსო. და, საერთოდ, ბევრ ისეთ რამესაც ჩაიდენდა, რასაც ნამდვილად არ მიუტევებდა სხვებს.

– ასე, – თქვა მან.

– რაც მას აიძულებს წინააღმდეგობა გაუწიოს მწუხარებას, გონებაა და კანონი, ხოლო რაც მწუხარებისაკენ უბიძგებს, – თვით ტანჯვა?

– დიახ.

– მაგრამ რაკი ადამიანს ერთი და იმავე საბაბით ერთდროულად ორი ურთიერთსაპირისპირო სწრაფვა აღეძვრის, შეიძლება ითქვას, რომ მასში ორი სხვადასხვა საწყისი უნდა იყოს.

– რა თქმა უნდა.

– ერთი უსიტყვოდ ემორჩილება კანონის მბრძანებლურ კარნახს.

– როგორ?

– კანონი ბრძანებს, რომ უბედურებაში ყველაზე უკეთესია ინარჩუნებდე სიმშვიდეს და გასაქანს არ აძლევდე მწუხარებას, რადგანაც არავინ იცის, რა არის კარგი და რა არის ცუდი ამაში, და რამდენიც არ უნდა ივალალო, მაინც ვერაფერს გახდები. ადამიანურ საქმეთაგან ერთიც არ იმსახურებს იმას, რომ მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა მიანიჭო, მწუხარება კი ხშირად აბრკოლებს იმას, რასაც შეეძლო მწედ მოგვვლენოდა ამნაირ ვითარებაში.

– რას გულისხმობ?

– საჭიროა გავერკვეთ იმაში, რაც დაგვემართა; აქ, როგორც კამათლებით თამაშში, ბედისწერის დარტყმებს უნდა დავუპირისპიროთ ყველა ის საშუალება, რასაც გონება მიიჩნევს უმჯობესად. პატარა ბავშვებს ხომ არ უნდა ვემსგავსოთ, როგორც კი რამე დაუშავდებათ, მაშინვე ხელს რომ იტაცებენ მტკივან ადგილზე და გულამოსკვნილი ტირიან. არა, უნდა მივაჩვიოთ სული იმას, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს მკურნალობას, რათა აღიდგინოს დანაკარგი, დაიცხროს ტკივილი და წამლობით ჩაახშოს მწუხარე მოთქმა-გოდება.

– ყველაზე მართებული იქნებოდა ასე დავხვედროდით ბედისწერის დარტყმებს.

– ჩვენი უკეთესი საწყისი სწორედ ასე მისდევს გონების ხმას.

– ცხადია.

– უარეს საწყისს კი, რომელიც არ ივიწყებს ტანჯვა-წამებას და ვერ ძღება მწარე გმინვით, ჩვენ უგუნურს, უქნარას და მხდალს ვუწოდებთ.

– დიახ.

– სულის აღგზნებადი საწყისი ხშირად ექვემდებარება მრავალფეროვან მიბაძვას, ხოლო გონივრული და თვინიერი ზნე ადამიანისა, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებს თვითიგივეობას, ძნელი მისაბაძია, მაგრამ თუ მაინც მოახერხეს მისი მიბაძვა, ძნელად თუ ვინმე გაუგებს რასმე, მით უმეტეს სახალხო ზეიმის ან თეატრალური წარმოდგენების დროს, სადაც უამრავი ხალხი იყრის თავს, რადგან მიბაძვა, რომელსაც ბრბოს შესთავაზებდნენ, მისთვის სრულიად უცხო სულიერი მდგომარეობის მიბაძვა იქნებოდა.

– დიახ, სრულიად უცხოსი.

– ცხადია, მიმბაძველ პოეტს ცოტა რამა აქვს საერთო სულის გონივრულ საწყისთან და მის დასაკმაყოფილებლად როდი სრულყოფს თავის ხელოვნებას, რადგანაც მხოლოდ იმას მიელტვის, რომ წარმატებას მიაღწიოს ბრბოის წინაშე. ის მხოლოდ აღგზნებად და ცვალებად ზნეს მიმართავს, რომელიც ადვილად ექვემდებარება მიბაძვას.

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, ჩვენ უფლება გვაქვს ხელი ჩავჭიდოთ ამნაირ პოეტს და მხატვრის გვერდით მივუჩინოთ ადგილი, რომელსაც ძალიანა ჰგავს იმით, რომ, ჭეშმარიტების თვალსაზრისით, უფასურ ნაწარმოებებს ქმნის, და იმითაც, რომ სულის იმავე საწყისთანა აქვს საქმე და არა უკეთესთან. ასე რომ, მართალნი ვიქნებოდით, თუკი მას არ მივიღებდით ჩვენს მიერ დაარსებულ სახელმწიფოში, რომელსაც ბრძნული კანონები მართავენ; არ მივიღებდით იმიტომ, რომ აქეზებს, ასაზრდოებს და ამტკიცებს სულის უარეს საწყისს, უკეთესს კი ღუპავს. ასეთია იმ სახელმწიფოს ხვედრიც, რომლის მმართველობასაც უღირსებს უგდებენ ხელში, ღირსეულებს კი მუსრს ავლებენ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ასევე იქცევა მიმბაძველი პოეტიც, უარესი საწყისის წაქეზებით უკეთურ მმართველობას რომ ამკვიდრებს თვითეული ადამიანის სულში, საწყისისა, რომელიც ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს უდიდესსა და უმცირესს, ერთსა და იმავეს ხან დიდად სახავს, ხან კი – პატარად, და ამრიგად ქმნის ხატებებს, რომლებიც ძალზე შორს არიან სინამდვილისგან.

– უცილობლად.

– მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ წაგვიყენებია პოეზიისათვის ყველაზე მძიმე ბრალდება: მას შეუძლია თვით ნამდვილი ადამიანის სულიც კი შებღალოს თავისი ზემოქმედებით, რასაც ძალზე ცოტანი თუ აღწევენ თავს. აი, რა არის ყველაზე საშინელი.

– თუ ასეა, უფრო საშინელი რა უნდა იყოს?

– მომისმინე და თავად განსაჯე: როცა ჩვენს შორის თვით ყველაზე უკეთესნიც კი ჰომეროსსა თუ რომელიმე სხვა ტრაგიკოს პოეტს უსმენენ, მწუხარებით შეპყრობილ გმირს რომ გვიხატავენ, რომელიც ბედის სამდურავით სავსე სიტყვას წარმოთქვამს, სხვებს კი აიძულებს ზარს ამბობდნენ და მჯიღს იცემდნენ მკერდში, – როგორც მოგეხსენება, ამ შთაბეჭდილებას აყოლილნი, გმირის განცდების კვალდაკვალ, თვითონაც ერთგვარ სიამოვნებას განვიცდით, მასთან ერთად რომ ვიტანჯებით და გულსაკლავად დავტირით ყოველივე ამას. ჩვენ ვაქებთ და ვადიდებთ იმ პოეტს, რომელიც სწორედ ამ განწყობილებას იწვევს ჩვენში.

– როგორ არ მომეხსენება.

– მაგრამ როცა უბედურება ჩვენ თვითონ გვატყდება თავს, შეგიმჩნევია თუ არა, რომ სრულიად საპირისპირო ქცევით ვიკვეხნით – ვცდილობთ შევინარჩუნოთ სიმშვიდე და აუმღვრევლობა, როგორც შეშვენის კაცს, ხოლო ის, რასაც ზემოთ ვაქებდით, ქალებისთვისაა ნიშნეული.

– როგორ არ შემიმჩნევია.

– მერედა, განა მოსაწონია იმისი ქება, ვისი დანახვაც არამცთუ გვანატრებინებს, ნეტავი შენ გგავდეო, თვით ამის გაფიქრებაც კი სირცხვილით დაგწვავს, – დიახ, ვისი დანახვაც, ნაცვლად იმისა, რომ ზიზღს ჰგვრიდეს, სიამოვნებას ანიჭებდეს და ქების ღირსად მიაჩნდეს ხალხს?

– არა, ვფიცავ ზევსს, უაზრობას უფრო ჰგავს.

– დიახ, თუ ამ მხრივაც შეხედავ საქმეს...

– რა მხრივ?

– თუ დაუკვირდები, ამ შემთხვევაში პოეტები სიამოვნებას ჰგვრიან და ატკბობენ ჩვენი სულის იმ საწყისს, რომელსაც ჩვენი საკუთარი უბედურების დროს ყოველნაირად ვცდილობთ თავი დავუჭიროთ და გასაქანი არ მივცეთ; არადა, თავისი ბუნებრივი მიდრეკილების გამო, სწორედ მას სურს ტირილით მოიოხოს და მწუხარებით იჯეროს გული. მეორეს მხრივ, ჩვენი სულის უკეთესი საწყისი, ჯერ კიდევ არასაკმარისად განმტკიცებული გონებისა და ჩვეულების მიერ, თავის ზედამხედველობას ასუსტებს ამ მოტირალ საწყისზე და სხვისი ვნებების შემყურეს ჰგონია, თითქოს თვითონ მას სრულიადაც არ ბღალავს იმითი ტკბობა, რომ ეს სხვა, თუნდაც სიქველეზედაც დებდეს თავს, ღირსეულად ვერ გამოხატავს თავის მწუხარებას; ამიტომაც აქებს, თანაულმობს და იმასაც კი ფიქრობს, რომ ეს თვითონ მასაც ამდიდრებს, ასე რომ, არასდიდებით არ ისურვებდა თავისი ზიზღი გამოეხატა მთელი ნაწარმოების მიმართ, და, ამრიგად, მოეკლო ეს სიამოვნება. მე მგონია, იშვიათად თუ ვინმე უწევს ანგარიშს იმას, რომ სხვისი განცდები გადამდები ძალით მოქმედებენ ჩვენზე: თუკი ისინი მძაფრ სიბრალულს აღძრავენ სულში, ძნელია თავი დავაღწიოთ ასეთსავე სიბრალულს ჩვენი საკუთარი უბედურებისას.

– მართალს ბრძანებ, – თქვა მან.

– განა იგივე არ ითქმის იმაზე, რაც სასაცილოა? თუკი, ერთის მხრივ, უფრთხი იმას, ვაითუ ხალხი ვაცინოო, მეორეს მხრივ კი სიამოვნებით უყურებ კომიკურ წარმოდგენებს ან ვიწრო წრეში ავყიათა უგვან ლიზღობას, მაგრამ, როგორც უკეთურს, ზიზღით არ უყურებ ამას, მაშინ ზუსტად ისე იქცევი, როგორც გულის აჩუყებისას. შენ გონებით თრგუნავ ღლაბუცისა თუ ქილიკის ჟინს, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში სრულ გასაქანს აძლევ მას, და ხშირად, შინაურებს შორის, შენდა შეუმჩნევლად თვითონვე იქცევი კომედიების მთხზველად.

– მართლაც.

– სიყვარული, მრისხანება, სულის ყველა სასიამოვნო თუ უსიამოვნო ვნება, რაც, ჩვენი მტკიცებით, თან ახლავს ჩვენსავ მოქმედებას, – ყოველივე ეს პოეტურ მიმბაძველობას იწვევს ჩვენში. ის ასაზრდოებს და რწყავს ყოველივე იმას, რაც აჯობებდა დამჭკნარიყო, და ჩვენს სულს მათ მბრძანებლობას ვუქვემდებარებთ, თუმცა ჩვენ თვითონ უნდა მოგვეთოკა ისინი, რათა უკეთესობას და ბედნიერებას ვწეოდით, ნაცვლად იმისა, რომ უარესნი და უბედურნი ვყოფილიყავით.

– სხვა რამეს ვერც ვიტყოდი.

– ამრიგად, როცა ჰომეროსის თაყვანისმცემლებს შეხვდები, გლავკონ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამ პოეტმა აღზარდა ელადა და ადამიანურ საქმეთა წარმართვისა და განათლებისათვის გულმოდგინედ უნდა ვსწავლობდეთ მას, რათა მის სიბრძნეს შევუწონოთ მთელი ცხოვრება, – კეთილმოსურნედ და ალერსიანად მოეპყარი მათ, ვინაიდან ისინი, შეძლებისდაგვარად, შესანიშნავი ადამიანები არიან, დაუთმე და დაეთანხმე ამ ხალხს, რომ ჰომეროსი ყველაზე დიდი შემოქმედი და ტრაგიკოსთა შორის პირველი პოეტია, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ჩვენს სახელმწიფოში მისაღებად მიგვაჩნია მხოლოდ ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნები და კეთილშობილ კაცთა სახოტბო სიმღერები. ხოლო თუ მათ მაგივრად ვნებიან მუზას მიიღებ, გინდ მელიკური იყოს და გინდ ეპიკური, მაშინ სახელმწიფოში სიამოვნება და ტანჯვა გაგიბატონდება კანონისა და ზოგადი საწყისის ნაცვლად, რაც, საყოველთაო აღიარებით, ყოველთვის ყველაფერზე უმჯობესია.

– მართალს ბრძანებ.

– დაე, ეს იყოს ჩვენი თავისმართლება პოეზიის წინაშე, სახელმწიფოდან რომ გავაძევეთ მისი ბუნების გამო. საამისოდ ხომ საკმაო საფუძველი გვქონდა. მაგრამ სისასტიკესა და გაუთლელობაში რომ არ დაგვდოს ბრალი, აქვე დავძენთ, რომ ოდითგანვე შეინიშნება ერთგვარი უთანხმოება ფილოსოფიასა და პოეზიას შორის. მრავალრიცხოვანი ანდაზები, როგორც მაგალითად, – «აი, ძაღლი, პატრონს რომ უღრენს და უყეფს», «დიდი კაცია ბრიყვთა ფუჭსიტყვაობაში», «ბრძენკაცთა ბრბო ზევსსაც სძლევს», «წვრილმანებს ჩაჰკირკიტებენ, ესე იგი, ღატაკები არიან» და სხვა მისთანანი ნათლად მოწმობენ მათ ძველისძველ უთანხმოებას. და მაინც, თუ მიმბაძველობითი პოეზია, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის გართობას, ერთ საბუთს მაინც მოიტანს იმის დასტურად, რომ ის საჭიროა სრულყოფილი წყობილების მქონე სახელმწიფოში, ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ მას. თვითონვე ვაღიარებთ, რომ მონუსხულნი ვართ მისი ხიბლით. მაგრამ იმისი ღალატი, რაც ჭეშმარიტია, მკრეხელობაა. ისე კი, ჩემო მეგობარო, განა შენც არ გხიბლავს პოეზია, მით უმეტეს, როცა ჰომეროსის პოეზიას ეხება საქმე?

– პირდაპირ მაჯადოებს.

– ამრიგად, თუ ის გამართლდება, სულერთია, მელიკურ პოეზიას ვიგულისხმებთ თუ რომელიმე სხვა ზომით გამართულს, რა თქმა უნდა, განდევნილობიდან დაბრუნების უფლებას მოიპოვებს.

– აუცილებლად.

– ხოლო პოეზიის იმ დამცველებს, რომლებიც პოეტები კი არა, პოეტების მოყვარენი არიან, ჩვენ საშუალებას მივცემთ თუნდაც პროზით დაიცვან იგი და დაგვიმტკიცონ, რომ პოეზია არა მარტო სასიამოვნოა, არამედ სასარგებლოც როგორც სახელმწიფოს, ისე ადამიანის ცხოვრებისთვისაც. მართლაცდა, ხომ გავმდიდრდებოდით, ის არა მარტო სასიამოვნო, სასარგებლოც რომ ყოფილიყო?

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ თუ მისი დაცვა შეუძლებელი შეიქნა, მაშინ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, იმ შეყვარებულებივით უნდა მოვიქცეთ, ოდესღაც რომ უყვარდათ, მერე კი გადაწყვიტეს, რომ ეს სიყვარული უსარგებლო იყო მათთვის, და, მართალია, დიდი ძალისხმევის შედეგად, მაგრამ ბოლოს მაინც უარყვეს იგი. ასე ჩვენშიც – დღევანდელ მშვენიერ სახელმწიფოთა მიერ აღზრდილებშიაც ღვივის სიყვარული ამ პოეზიის მიმართ და ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ მას, ესე იგი, გვინდა, რომ ის არა მარტო საუცხოო, არამედ ჭეშმარიტიც იყოს. მაგრამ ვიდრე თავი არ უმართლებია, ყოველთვის, როცა იძულებულნი ვიქნებით მოვუსმინოთ, მისი ხიბლისაგან თავის დასაცავად შელოცვასავით გავიმეოროთ ის მოსაზრებები, რომლებზედაც წეღან ვმსჯელობდით, და ყოველნაირად ვეცადოთ კვლავ ამ ბალღური სიყვარულის მახეში არ გავებათ. შეუძლებელია სერიოზულად იფიქრო, თითქოს ამნაირი პოეზია სერიოზულია და ჭეშმარიტების წვდომას ცდილობს. მის მსმენელს სიფრთხილე მართებს, რათა მტკიცედ დაიცვას თავისი სულიერი სამყარო და სახელმძღვანელო წესად აქციოს ის, რაც ჩვენს მიერ პოეზიაზე ითქვა.

– გეთანხმები.

– ეს სასტიკი ბრძოლა, ჩემი ძვირფასო გლავკონ, გაცილებით უფრო სასტიკი, ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს, იმის გამო მძვინვარებს, კეთილი უნდა იყოს კაცი თუ უკეთური. ასე რომ, არც პატივი, არც სიმდიდრე, არც სხვა რამ ძალაუფლება და, ასე განსაჯე, არც პოეზია არა ღირს იმად, რომ მათი გულისთვის უგულებელვყოფდეთ სამართლიანობას და ყველა სხვა სიქველეს.

– გეთანხმები, ყოველივე იმის საფუძველზე, რაც ზემოთ ითქვა და, ვფიქრობ, ასევე დაგეთანხმებიან ყველანი.

– მაგრამ ჯერ კიდევ არ განგვიხილავს სიქველის ყველაზე დიდი საზღაური და მისთვის დაწესებული ჯილდო.

– რაღაც დიადს უნდა გულისხმობდე, თუკი ზემოთ ჩამოთვლილ ჯილდოებს აღემატება.

– დიადი რა უნდა იყოს ესოდენ მოკლე დროში? განა ჩვენი სიცოცხლის ყავლი, სიყრმიდან სიბერემდის, უბადრუკი არ არის მარადისობასთან შედარებით?

– უმნიშვნელო და უბადრუკი.

– მერედა, როგორ გგონია, უკვდავი არსება მარადისობაზე კი არა, დროის ამ უბადრუკ შუალედზე უნდა ზრუნავდეს?

– მე მგონია, მარადისობაზე; მაგრამ მაინც რას გულისხმობ?

– ნუთუ ვერა გრძნობ, რომ ჩვენი სული უკვდავია და არასოდეს არ იღუპება?

ამ სიტყვებზე გლავკონმა განცვიფრებით შემომხედა და მითხრა:

– ვერა, ვფიცავ ზევსს, ვერა ვგრძნობ; მაგრამ შენ კი შეგიძლია დამიმტკიცო ეს?

– თუ არა ვცდები, შემიძლია; თუმცა ეს არც შენთვის უნდა იყოს ძნელი.

– ჩემთვის დიახაც ძნელია, მაგრამ სიამოვნებით კი მოგისმენდი, რანაირად განმარტავდი ამ მარტივ საკითხს.

– მაშ, ყური მიგდე.

– შენ ოღონდ ილაპარაკე.

– აღიარებ თუ არა, რომ არსებობს კეთილი და ბოროტი?

– დიახ.

– მაგრამ ამის თაობაზე იმასვე ფიქრობ, რასაც მე?

– როგორ?

– ყოველივე დამღუპველი და დამანგრეველი ბოროტებაა, ყოველივე დამცველი და სასარგებლო კი – სიკეთე.

– დიახ.

– მერედა, როგორ გგონია, არსებობს თუ არა სიკეთე და ბოროტება თვითეული საგნისათვის? ასე მაგალითად, თვალისთვის – ანთება, მთელი სხეულისათვის – სნეულება, პურეულისათვის – ჭვავისრქა, ხე-ტყისათვის – ლპობა, სპილენძისა და რკინისათვის – ჟანგი, ერთის სიტყვით, თვითეულ საგანს მისთვის ნიშნეული ბოროტება და სნეულება მოეძებნება.

– დიახ.

– როცა ესა თუ ის სნეულება შეეყრება ამა თუ იმ საგანს, თანდათანობით შლის, ვიდრე საბოლოოდ არ დაღუპავს და დაანგრევს.

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, თვითეულ საგანს მისთვის ნიშნეული ბოროტება და სნეულება სპობს, ხოლო თუ ეს არა სპობს, მაშინ ვერაფერი ვერ შესძლებს მის მოსპობას; რადგანაც სიკეთე, ცხადია, არასოდეს არაფერს სპობს, და იგივე შეიძლება ითქვას იმაზედაც, რასაც ვერც სიკეთედ მივიჩნევთ და ვერც ბოროტებად.

– მართლაც.

– ამრიგად, თუ არსთა შორის ჩვენ ვპოვებთ რაღაც ისეთს, თავისი ბოროტება რომ მოეძებნება, რომელიც მას აუკეთურებს, მაგრამ მთლიანად კი ვერ სპობს, გვეცოდინება, რომ მისი ბუნების მოსპობა შეუძლებელია.

– როგორც ჩანს, – თქვა მან.

– კი მაგრამ განა სულს არ მოეძებნება რაღაც ისეთი, რაც მას აუკეთურებს?

– რა თქმა უნდა, მოეძებნება: ყოველივე ის, რაც წეღან მიმოვიხილეთ, – უსამართლობა, თავაშვებულობა, სიმხდალე, უმეცრება.

– ამ ბიწთაგან რომელიმეს მაინც თუ შეუძლია მისი მოსპობა და განადგურება? დაუკვირდი, მაგრამ ისე კი, რომ არ შევცდეთ და წარმოვიდგინოთ, თითქოს უსამართლო და უგუნური სული თავისი უსამართლობის – სულის ამ ბოროტების გამო იღუპება, როცა დანაშაულში ამხილებენ. არა, ასე იფიქრე: სხეულის ბოროტება – სნეულება – შლის და არღვევს სხეულს, რის შედეგადაც ის უკვე აღარ არის სხეული. ყოველივე ის, რაზედაც წეღან ვლაპარაკობდით, ზუსტად ასევე ირღვევა მასში ფესვგადგმული ბოროტების წყალობით და არყოფნაში გადადის; ასეა, არა?

– დიახ.

– მაშასადამე, ასევე უნდა განიხილო სულის ბუნებაც. შეუძლია თუ არა მასში ფესვგადგმულ ბოროტებას ისე დაშალოს და დაარღვიოს ის, რომ სიკვდილის პირას მიიყვანოს და სხეულს გაჰყაროს?

– არამც და არმც.

– კი მაგრამ, განა უაზრობა არ იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს უცხო რამ ბოროტებას შეეძლოს ამა თუ იმ საგნის მოსპობა, მის საკუთარ ბოროტებას კი – არა?

– მართლაც რომ უაზრობა იქნებოდა.

– მაშ, დაუფიქრდი, გლავკონ: სხეულს საზრდოსათვის ნიშნეული ამა თუ იმ მანკით გაფუჭებული, ვთქვათ, დაძველებული, დაობებული ან დამპალი საჭმელი როდი ღუპავს. მაგრამ როცა ეს გაფუჭებული საჭმელი სხეულის დასნეულებას იწვევს, მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ სხეული, მართალია, საჭმლის მეშვეობით, მაგრამ უშუალოდ მაინც მისთვის ნიშნეული ბოროტებით, ანუ სნეულებით იღუპება. საკუთრივ გაფუჭებული საჭმელი კი, რამდენადაც სხეული სხვაა და საჭმელი სხვა, უშუალოდ არასოდეს არ იქცევა სხეულის სიკვდილის მიზეზად, ვიდრე ის, როგორც გარეშე ბოროტება, სხეულში მისთვის ნიშნეულ ბოროტებას არ გამოიწვევს.

– მართალს ბრძანებ.

– მავე მოსაზრებით, თუკი სხეულის სნეულება სულის სნეულებას არ იწვევს, არასოდეს არ ვაღიარებთ, თითქოს სული მისთვის უცხო ბოროტებით იღუპებოდეს, თვით მისთვისვე ნიშნეული ბოროტების გარეშე, და თითქოს ერთი შეიძლება მეორის დაღუპვის მიზეზი იყოს.

– სწორი აზრია.

– ამრიგად, ჩვენ ან უარვყოფთ იმას, რაც ახლახან ითქვა, ან, ვიდრე ეს არ უარუყვიათ, არასდიდებით არ დავიჯერებთ, თითქოს სული ციებ-ცხელებისა თუ სხვა სნეულების, ან კიდევ ადამიანის მოკვლისა თუ იმის გამო იღუპებოდეს, რომ სხეულს ნაკუწ-ნაკუწ აქცევენ, ვიდრე არ დაგვიმტკიცებენ, რომ სხეულის ტანჯვა-წამების გამო სული ნაკლებ სამართლიანი და ნაკლებ ღვთისმოსავი ხდება. როცა ამა თუ იმ საგანში მისთვის ნიშნეული კი არა, უცხო ბოროტება იჩენს თავს, არავის მივცემთ იმის მტკიცების უფლებას, რომ ამის შედეგად სული ან სხვა რამ იღუპება.

– ვერავინ ვერასოდეს ვერ დაამტკიცებს, რომ მომაკვდავის სული სიკვდილის გამო უფრო უსამართლო ხდება.

– მაგრამ თუ ვინმე გაბედავს და ჩვენი მტკიცების წინააღმდეგ გაილაშქრებს, რათა ძალაუნებურად არ აღიაროს, რომ სული უკვდავია, და დაიჩემებს, მომაკვდავი უფრო უსამართლო და ბიწიერი ხდებაო, მაშინ, თუ ის მართალია, ჩვენ ვიტყვით, რომ უსამართლობა უსამართლოსთვის უკურნებელი სენივით სასიკვდილოა, და თავისი ბუნებით სწორედ ეს მომაკვდინებელი ბოროტება კლავს ყველას, ვინც უსამართლოა, – ვის ხელად, ვის კი ნელ-ნელა, – მაშინ როდესაც დღესდღეობით უსამართლოს სიკვდილის მიზეზი ისაა, რომ მას სხვები სჯიან სიკვდილით.

– ვფიცავ ზევსს, – თქვა მან, – უსამართლობა არც ისეთი საშინელება იქნებოდა უსამართლოსთვის, მართლაც მომაკვდინებელი რომ ყოფილიყო: ვინ მოსთვლის, რამდენი უბედურებისგან იხსნიდა მას. მაგრამ, მე თუ მკითხავ, ყველაფერი პირიქითაა: ის მომაკვდინებელია სხვებისთვის, რამდენადაც ამის უნარი შესწევს, თვით უსამართლოს კი წარმოუდგენელ სასიცოცხლო ძალასთან ერთად უშრეტ მხნეობასაც ანიჭებს, როგორც ჩანს, იმდენად შორსაა ყოველივე მომაკვდინებლისაგან.

– კარგად ლაპარაკობ; – ვუთხარი მე, – თუკი სულის საკუთარ უკეთურებას და მანკიერებას არ შეუძლია მისი მოკვლა და მოსპობა, მაშინ ბოროტება, რომლის დანიშნულებაც სხვა საგნის მოსპობაა, ვერც სულს მოუღებს ბოლოს და ვერც სხვა რამეს, გარდა იმისა, რისთვისაც ისაა გამიზნული.

– რა თქმა უნდა, ვერა.

– მაგრამ თუ რაღაცას ვერცერთი ეს ბოროტება – ვერც მისი საკუთარი და ვერც უცხო – ვერა სპობს, ცხადია, ის მარად არსებული უნდა იყოს, ხოლო ის, რაც მარად არსებობს, უკვდავია.

– უცილობლად.

– ასე დავასკვნათ; და თუ ეს ასეა, შენ დაინახავ, რომ სულები ყოველთვის ერთი და იგივენი არიან. რაკი არცერთი არ იღუპება, შეუძლებელია მათი რიცხვი მცირდებოდეს ან იზრდებოდეს. რადგანაც იმისი მატება, რაც უკვდავია, შეიძლება მხოლოდ მოკვდავის ხარჯზე ხდებოდეს. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი უკვდავი გახდებოდა.

– მართალს ბრძანებ.

– მაგრამ ამის გამო ჩვენ არც იმას ვფიქრობთ (ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია), თითქოს სულის ჭეშმარიტი ბუნება უსასრულოდ მრავალფეროვანი, არაიგივეობრივი და თავისი თავისაგან განსხვავებული იყოს.

– რას გულისხმობ?

– ძნელია უკვდავი იყოს ის, რაც ნაწილებისაგან შედგება, მით უმეტეს, თუ ეს შედგენილობა არც ისე სრულყოფილია, როგორც წეღან დაგვარწმუნა სულის ბუნების განხილვამ.

– მართლაც ძნელია.

– ხოლო სულის უკვდავება აუცილებლობის ძალით გამომდინარეობს როგორც ჩვენი წეღანდელი, ისე ბევრი სხვა მსჯელობიდანაც. იმის გასაგებად, თუ როგორია სინამდვილეში სულის ბუნება, ხრწნილების მდგომარეობაში კი არ უნდა განვიხილოთ იგი, რომელშიაც დანთქმულია სხეულსა და მრავალ სხვა ბოროტებასთან ურთიერთობის წყალობით, როგორც ამჟამად ვხედავთ, არამედ ისე, როგორიცაა ის წმინდა სახით. სწორედ ამის განხილვა გვმართებს განსჯის წყალობით, და მაშინ ის გაცილებით უფრო მშვენიერად წარმოგვიჩნდება. ამასთანავე, უფრო მკაფიოდ განჭვრეტ სამართლიანობისა თუ უსამართლობის სხვადასხვა ხარისხს და, საერთოდ, ყოველივე იმას, რაც ახლახან გავარჩიეთ. ჯერჯერობით მართებულად ვმსჯელობდით იმაზე, თუ როგორია ამჟამად სული, მაგრამ ჩვენ ვარჩევდით მხოლოდ მის ახლანდელ მდგომარეობას, მსგავსად იმისა, როგორც ზღვის ღვთაების – გლავკოსის შემყურემ ძნელია განჭვრიტო მისი ოდინდელი ბუნება, რადგანაც სხეულის ზოგიერთი ასო მორღვევია, ზოგს ფერი უცვლია, ზოგიც ტალღების თარეშს დაუმახინჯებია და თანაც ზედ იმდენი ნიჟარა, წყალმცენარეები და კენჭები მიჰკვრია, რომ ურჩხულს უფრო ჰგავს, ვიდრე იმას, რაც თავისი ბუნებით იყო. და როცა ჩვენ ვუყურებთ სულს, ურიცხვი სხვადასხვა ბოროტების გამო სწორედ ამ დღეში წარმოგვიჩნდება იგი. თუმცაღა, გლავკონ, ერთ რამესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება...

– რას?

– სულის სწრაფვას სიბრძნისაკენ. ვნახოთ, რა საგნებს ეხება, ან რანაირ ურთიერთობებს მიელტვის, თუკი ღვთაებრივს, უკვდავსა და მარადის მყოფს ენათესავება, და რანაირი გახდებოდა, თუკი, მთლიანად ამნაირი საწყისის მიმდევარი, თავისი სწრაფვისას ამოყვინთავდა იმ მღვრიე მორევიდან, რომელშიაც ამჟამად არის დანთქმული, და ჩამოიფერთხავდა ზედ მიკრულ კენჭებსა და ნიჟარებს. რაკიღა ამქვეყნიური სიამით ტკბობას ცდილობს, რასაც ბედნიერებად სახავენ ზოგიერთნი, ამიტომ ბევრი მიწიერი, ქვაღორღიანი და ველური რამ მიჰკვრია და მიტმასნია; ყოველივე ეს რომ ჩამოეფერთხა, შეიძლებოდა გვეხილა მისი ჭეშმარიტი ბუნება: ერთსახოვანია თუ მრავალსახოვანი, ან რანაირია სხვა მხრივაც. ჯერჯერობით კი, მე მგონია, სათანადოდ გავარჩიეთ სულის ვნებანი და მათი სახეები, რომლებმაც შეიძლება ადამიანის ცხოვრებაში იჩინონ თავი.

– დიახ, სათანადოდ.

– ისიც ხომ სწორია, რომ ჩვენს მსჯელობაში თავიდან ავიცილეთ სამართლიანობის წინააღმდეგ მიმართული ბევრი მოსაზრება, თუმცა არც მისი საზღაურისა თუ მისთვის მიგებული პატივის გამო გვიქია იგი, როგორც იქცევიან, თქვენი აზრით, ჰესიოდე და ჰომეროსი. სამაგიეროდ ჩვენ დავადგინეთ, რომ სამართლიანობა უდიდესი სიკეთეა სულისთვის, და რომ ის გამუდმებით უნდა ცდილობდეს აღასრულოს სამართლიანობა, მიუხედავად იმისა, წილად ხვდა თუ არა გიგესის ბეჭედი და ჰადესის მუზარადი.

– მართალს ბრძანებ.

– ახლა კი ვეღარაფერში შემოგვედავებიან, გლავკონ, თუ გარდა ყველაფრისა, იმასაც დავძენთ, რომ მაინც არსებობს სამართლიანობისა და სხვა სიქველეთა საზღაური, და განვიხილავთ, რა ზომით, ან რანაირად იღებს მას სული

ადამიანებისგანაც და ღმერთებისგანაც, როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგაც.

– ვერა, ახლა უკვე ვეღარ შემოგვედავებიან.

– მაშ, დამიბრუნებთ იმას, რაც მსჯელობისას გასესხეთ?

– რა?

– მე თქვენ დაგითმეთ და დაგეთანხმეთ იმაში, რომ სამართლიანი ადამიანი შეიძლება უსამართლო ჩანდეს, უსამართლო კი – სამართლიანი. და თუმცა ეს შეუძლებელია დაფარული დარჩეს უკვდავთა და მოკვდავთათვის, მსჯელობის გულისთვის თქვენ მაინც საჭიროდ მიიჩნევდით ამის დაშვებას, რათა თავისთავადი სამართლიანობა ასეთივე უსამართლობისათვის დაგეპირისპირებინათ. ან, იქნებ, აღარ გახსოვს?

– უსამართლო ვიქნებოდი, რომ მეთქვა, აღარ მახსოვს-მეთქი.

– მაგრამ რაკი ამნაირი დაპირისპირება უკვე მოხდა, სამართლიანობის სახელით მოვითხოვ თქვენგან: როგორი პატივის ღირსადაც სცნობენ მას ღმერთებიც და ადამიანებიც, თქვენც ისეთ პატივს უნდა მიაგებდეთ სამართლიანობას, რომელიც სამართლიან კაცს თუნდაც იმით აჯილდოებს, რომ თვითონ მას ასეთ პატივს მიაგებს ყველა. ხოლო ის რომ ჭეშმარიტი სიკეთეა სამართლიანობის ყოველი მიმდევრისათვის, ეს უკვე ცხადვყავით ჩვენ.

– შენი მოთხოვნა სავსებით სამართლიანია.

– მაშ, უწინარეს ყოვლისა, უკანვე დამიბრუნეთ ის, რაც დამათმობინეთ: თითქოს ღმერთები არას დაგიდევდნენ სამართლიანობასა და უსამართლობას.

– გიბრუნებთ.

– და რაკი ღმერთების თვალს არაფერი დაემალება, ზოგი ადამიანი სასურველი იქნება მათთვის, ზოგი კი – საძულველი, როგორც იმთავითვე შევთანხმდით.

– ასეა.

– მაგრამ ვაღიარებთ თუ არა, რომ ყველაფერი, რაც ღმერთებისგან იღებს დასაბამს, უდიდესი სიკეთე იქნება მისთვის, ვინც ღმერთებს უყვართ, თუკი მას თავს არ უნდა დაატყდეს გარდუვალი უბედურება უწინდელი შეცოდების გამო.

– რასაკვირველია, ვაღიარებთ.

– მაშასადამე, იგივე უნდა ვაღიაროთ სამართლიანი კაცის მიმართაც, სულერთია, სიღატაკისთვის იქნება განწირული, სნეულებისა თუ სხვა რაღაც ამგვარისათვის, რაც ბოროტებადაა მიჩნეული: ყოველივე ეს, ბოლოს და ბოლოს, სიკეთედ ექცევა, სიცოცხლეში თუ არა, სიკვდილის შემდეგ მაინც. რადგანაც ღმერთი არასოდეს ხელს არ ააღებს იმას, ვინც სამართლიანობას მიელტვის, სიქველეში იწაფავს თავს და ცდილობს ღმერთს დაემსგავსოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია ადამიანისათვის.

– რა თქმა უნდა, თავის მსგავსს ხელს არ ააღებს.

– უსამართლოს მიმართ კი საპირისპიროს უნდა ვფიქრობდეთ?

– რასაკვირველია.

– სამართლიანი კაცისთვის ღმერთებს სათანადო საზღაური მოეძებნებათ.

– მე მგონია.

– ადამიანებს? განა სინამდვილეში ასე არ ხდება? უსამართლო არამზადები, მთელი თავიანთი სიმარჯვისა და გაქნილობის მიუხედავად, ორმაგი გარბენის მონაწილეებს ჰგვანან, ერთი ბოლოდან მეორემდის სწრაფად რომ გარბიან, მაგრამ მეორიდან პირველისკენ შემობრუნებულთ ძალა აღარა ჰყოფნით; დიახ, ჯერ ქარივით მიჰქრიან, მაგრამ შემდეგ, ქანცგაწყვეტილნი, ქვეყნის სასაცილონი ხდებიან და

გამარჯვებულის გვირგვინით შუბლშემკულნი კი არა, თავჩაქინდრულნი და ცხვირჩამოშვებულნი ტოვებენ ასპარეზობას. ნამდვილი მორბენლები კი წარმატებით აღწევენ მიზანს, ჯილდოსაც იხვეჭენ და გამარჯვებულის გვირგვინითაც იმკობენ შუბლს. უმეტესწილად ასეთია სამართლიანთა ხვედრი. მათი ყოველი საქმე, ყოველგვარი წამოწყება თუ ურთიერთობა, ბოლოს და ბოლოს, საყოველთაო პატივისცემას იწვევს; სწორედ ესაა მათი ჯილდო და საზღაური.

– უცილობლად.

– მაშასადამე, შენ უდრტვინველად აიტან, თუ მე იმასვე ვიტყვი სამართლიან ხალხზე, რასაც შენ უსამართლოებზე ამბობდი? დიახ, მე ვიტყვი, რომ მოწიფულობის ასაკს მიღწეულ ყველა სამართლიან კაცს, თუკი თვითონ სურს, შეუძლია თავის ქალაქში ერთ-ერთი მმართველი გახდეს, რომელი ოჯახიდანაც სურს, იქიდან მოიყვანოს ცოლი და თავისი ქალიშვილიც, ვისაც სურს, იმას გააყოლოს ცოლად. მოკლედ, რასაც შენ უსამართლო ხალხზე ამბობდი, ახლა მე სამართლიანთა მისამართით ვიმეორებ. უსამართლო ხალხზე კი იმას მოგახსენებთ, რომ მათ უმრავლესობას ახალგაზრდობაში კიდევაც რომ მოეხერხებინა თავისი ავკაცობის მიჩქმალვა, სიცოცხლის მიწურულს მაინც ამხელენ, შავ დღეს დააყრიან და ქვეყნის სასაცილოდ აქცევენ, უცხოელებიცა და თანამოქალაქენიც აბუჩად აიგდებენ და ცემა-ტყეპასაც არ აკმარებენ: ძელზე გასვამენ და შანთით დადაღავენ; მოკლედ წარმოიდგინე, რომ მთელ ამ ტანჯვა-წამებაზე მაშინ მე ვლაპარაკობდი და არა შენ. რას იტყვი, ნებას მომცემ ასე ვილაპარაკო?

– რა თქმა უნდა: მართალს ამბობ.

– აი, როგორია ჯილდო, საბოძვარი და საზღაური, სამართლიან კაცს რომ მიაგებენ ღმერთებიც და ადამიანებიც, იმ სიკეთეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რასაც თვით სამართლიანობა ანიჭებს სამართლიან კაცს.

– ესაა ყველაზე მშვენიერი და ღირსსახსოვარი საზღაური.

– მაგრამ ყოველივე ეს ვერც სიდიდით და ვერც სიმრავლით ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რაც სიკვდილის შემდეგ ელის ორივეს – სამართლიანსაც და უსამართლოსაც. ღმერთმანი, ღირს ამის მოსმენა, რათა ორივემ სათანადო დასკვნა გამოიტანოს ჩვენი საუბრიდან.

– მაშ, თუ ღმერთი გწამს, განაგრძე: უკეთესს რას მოისმენს კაცის ყური?

– ალკინოეს ამბავს კი არ გადმოგცემთ, არამედ ერთი მამაცი კაცის – ერ პამფილიელის, არმენიოსის ძის ნაამბობს. ეს ერი ბრძოლის ველზე დაეცა. ათი დღის შემდეგ, დაღუპული მეომრების ცხედრებს რომ დაუწყეს აკრეფა, ყველა გახრწნილიყო, მხოლოდ ერის გვამს არ გაჰკარებოდა ხრწნილება. ამიტომაც შინ წაასვენეს, რომ დაეკრძალათ. მეთორმეტე დღეს, როცა უკვე კოცონზე იწვა, მოულოდნელად გაცოცხლდა და ხალხს უამბო, რაც სულეთში ეხილა.

ერის სიტყვებით, როგორც კი სხეულს გაეყარა, მისი სული მრავალ სხვა სულთან ერთად დაადგა გზას და ყველანი ერთ საოცარ ადგილს მიადგნენ, სადაც გვერდი-გვერდ მდებარე ორ ნაპრალს გაეპო მიწა, ზუსტად მათ ზემოთ კი ასევე ორგან გახსნილიყო ზეცა. შუაში მსაჯულები ისხდნენ, რომლებიც განაჩენის გამოტანის შემდეგ უბრძანებდნენ ალალმართალთა სულებს მხარმარჯვნივ გაჰყოლოდნენ ზეცისაკენ მიმავალ გზას, მას შემდეგ, რაც მათი განაჩენის აღმნიშვნელ წარწერას აკრავდნენ მკერდზე. უსამართლოთა სულებს კი მხარმარცხნივ, ქვემოთ მიმავალ გზაზე ანიშნებდნენ და ზურგზე მათი ბოროტმოქმედების ნუსხას აკრავდნენ. როდესაც ერის ჯერმა მოაწია, მსაჯულებმა უთხრეს, ადამიანთა მაცნე უნდა გახდე და, რაც აქ ნახე, ყველაფერი აუწყო მათო; ამიტომაც უბრძანეს,

ყველაფრისთვის ედევნებინა თვალყური და ნანახსა და გაგონილს გულდასმით დაჰკვირვებოდა.

მან იხილა სულები, განაჩენის გამოტანის შემდეგ ცისა და მიწის ორი ნაპრალის გავლით რომ მიდიოდნენ და ორი სხვა ნაპრალით მოდიოდნენ კიდეც: მიწის წიაღიდან ამოდიოდნენ ჭუჭყიანი და მტვერში ამოგანგლული სულები, ზეციდან კი წმინდა სულები ჩამოდიოდნენ. განუწყვეტლივ მომავალ სულებს, ეტყობოდა, გრძელი გზა გამოევლოთ. ყველანი სიამოვნებით ისვენებდნენ მწვანე მდელოზე, როგორც სახალხო დღესასწაულების მონაწილეებს სჩვევიათ. ნაცნობები ერთმანეთს ესალმებოდნენ; მიწის წიაღიდან ამოსულნი ზეციდან ჩამოსულებს ეკითხებოდნენ, რა ხდებოდა ცაში, ზეციდან ჩამოსულებს კი სურდათ მიწის სიღრმიდან ამოსულებისაგან შეეტყოთ მიწისქვეშეთის ამბები. მიწის წიაღიდან ამოსულნი მწუხარებითა და ცრემლების ფრქვევით იგონებდნენ, რამდენი უბედურება გადახდენოდათ თავს მიწისქვეშეთში მოგზაურობისას, ათას წელიწადს რომ გრძელდება, ზეცით ჩამოსულნი კი – ნეტარებასა და თავისი მშვენიერებით გამაოგნებელ სანახაობას.

მაგრამ ყველაფრის დაწვრილებით განხილვა შორს წაგვიყვანდა, გლავკონ. ხოლო მთავარი, ერის სიტყვებით, აი, რა იყო: ყოველი უსამართლობისა თუ ვისიმე შეურაცხყოფის სასჯელად ყველა უსამართლოსა და შეურაცხმყოფელს ერთი ათად მიაგებდნენ სანაცვლოს (ხოლო ყოველი ნაცვლისგება ას წელიწადს გრძელდება, რადგანაც ასეთია ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა), რათა სასჯელი ათჯერ უფრო მძიმე ყოფილიყო დანაშაულზე. ასე მაგალითად, თუ ვისიმე გამოისობით, ლაშქრის ან სახელმწიფოს ღალატის შედეგად, დიდძალი ხალხი დაიღუპა და ბევრსაც მონობის უღელი დაედგა ქედზე, ანდა თუ ვინმემ სხვა ბოროტმოქმედს შეუწყო ხელი, ახლა ყოველი დანაშაულის სანაცვლოდ ასჯერ მეტი სატანჯველი უნდა ეტვირთა. მეორეს მხრივ კი, ქველმოქმედს, სამართლიანსა და ღვთისმოსავს დამსახურებისამებრ მიაგებდნენ საზღაურს.

რას ამბობდა ერი პატარა ბავშვების შესახებ, რომლებმაც დაბადების შემდეგ ძალიან ცოტახანს იცოცხლეს, მოსახსენიებლად არა ღირს. მისი სიტყვებით, ღვთისმოსაობისა თუ ღვთისმგმობლობისთვის, მშობლების პატივისცემისა თუ უპატივცემლობის, აგრეთვე თვითმკვლელობისთვისაც გაცილებით უფრო დიდი საზღაური იყო დაწესებული. ის ყვებოდა, რომ მისი იქ ყოფნისას ერთი სული ეკითხებოდა მეორეს, სად არის არდეიოს დიდიო. ეს არდეიოსი ათასი წლის წინათ პამფილიის ერთ-ერთი ქალაქის ტირანი ყოფილა. გადმოცემით, მოხუცი მამა და უფროსი ძმა მოუკლავს და ბევრი სხვა ბოროტებაც ჩაუდენია. ერი ყვებოდა: სულმა, რომელსაც ამ სიტყვებით მიმართეს, პასუხად თქვაო: «არდეიოსი აქ არ მოსულა და ვერც მოვა. მართლაცდა, ბევრ სხვა საშინელ სანახაობათა შორის ჩვენ ესეც ვნახეთ: როცა მრავალ განსაცდელგამოვლილნი მივადექით ნაპრალს და დავაპირეთ აღმა ავყოლოდით გზას, ანაზდად არდეიოსსა და სხვა სულებს მოვკარით თვალი; იქ თითქმის ყველა ტირანი იყო, უბრალო მოკვდავთაგან კი მხოლოდ უდიდესი ბოროტმოქმედნი. მათაც დააპირეს აღმა აეღოთ გეზი, მაგრამ ნაპრალმა არ მიიღო ისინი: როგორც კი მიუახლოვდებოდა ერთ-ერთი ბოროტმოქმედთაგანი, ბიწიერების სენით სნეული, რომელსაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ გამოესყიდა დანაშაული, ნაპრალი საზარელი ხმით იწყებდა ღრიალს. იქვე გამზადებული იდგნენ ველური არსებები, რომლებსაც თითქოს ალი ასდიოდათ. ღრიალის გაგონებისთანავე ხელი სტაცეს ზოგიერთ ბოროტმოქმედს და სადღაც გააქანეს, არდეიოსს და რამდენიმე უკეთურს კი ხელფეხი შეუკრეს, ყელზე ყულფი ჩამოაცვეს, მიწაზე დასცეს, ტყავი

გააძრეს და ეკალ-ბარდებით მოფენილი გზისპირის გასწვრივ წაათრიეს, თანაც ყველა შემხვედრს უხსნიდნენ, რისთვის სჯიდნენ ასე სასტიკად, და ეუბნებოდნენ, სუყველას ტარტაროსში ჩავყრითო». ვინ მოსთვლის, რამდენი შიში გვეჭამა, დასძენდა ერი, მაგრამ ყველაზე მეტად იმისი გვეშინოდა, ვაითუ, რომ მივუახლოვდებით, ნაპრალი აღრიალდესო; ამიტომ ვერაფერი შეედრებოდა ვერცერთის სიხარულს, როცა ჩვენი მიახლოებისას ნაპრალი დუმდა. ასეთი იყო, დაახლოებით, ყოველგვარი განაჩენი და სასჯელი, ისევე, როგორც მათი შესაბამისი ყოველი ჯილდო.

ვინც მწვანე ველზე შვიდი დღე დაჰყო, მერვე დღეს უნდა ამდგარიყო და გზას გასდგომოდა, რათა ოთხი დღის შემდეგ მიეღწია იმ ადგილისთვის, საიდანაც ჩანს ზემოდან ჩამონაშუქი ნათელი, სხივოსანი სვეტივით რომ განწონის მთელ ცას და მიწას, და ცისარტყელას მოგაგონებთ, ოღონდ უფრო ბრწყინვალეა და წმინდა. სწორედ ამ ნათლის სვეტს მიადგნენ ერთი დღის მგზავრობის შემდეგ და აქ, ამ ნათლის შუაში, თვალი ჰკიდეს ციდან ჩამოშვებულ საკვრელთა ბოლოებს, რადგან ეს ნათელი ცის საკვრელია, როგორც ხომალდის ფერდებზე შემოსალტული გარსაკრავი – ხომალდისა. საკვრელთა ბოლოებზე ანანკეს თითისტარი ჰკიდია, წრიულ მოძრაობას რომ ანიჭებს ყველაფერს. თითისტრის ტარი და კაუჭი ფოლადისაა, კვირისტავი კი – ფოლადისა და სხვა მეტალებისა. კვირისტავის აგებულება ასეთია: გარეგნულად აქაურ კვირისტავებსა ჰგავს, მაგრამ ერის აღწერილობით ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გარეთა, ყველაზე დიდ და მთლიანად გულამოღებულ კვირისტავში, როგორც ყუთში-ყუთი, ჩადგმულია მეორე ასეთივე, უფრო მცირე კვირისტავი. იგივე ითქმის მესამე, მეოთხე და კიდევ ოთხ სხვა კვირისტავზედაც. სულ ერთმანეთში ჩადგმული რვა კვირისტავია, და ზემოდან რომ დახედო, მათი კიდეები საერთო ღერძის გარშემო განლაგებულ წრეხაზებს ჰგვანან, გარედან თითქოს ერთი მთლიანი კვირისტავის უწყვეტ ზედაპირს რომ ქმნიან, ხოლო ღერძი მერვე კვირისტავის შუაგულშია გაყრილი.

პირველ, გარეთა კვირისტავს ყველაზე დიდი წრიული ზედაპირი აქვს; მეექვსე კვირისტავი მეორეა სიდიდით; მეოთხე – მესამე; მერვე – მეოთხე; მეშვიდე – მეხუთე; მეხუთე – მეექვსე; მესამე – მეშვიდე, მეორე კი – მერვე. ყველაზე დიდი კვირისტავის წრე ჭრელია; მეშვიდე კვირისტავისა – ყველაზე ბრწყინვალე; მერვისა მეშვიდედან გამოსხივებული სინათლის ფერს სესხულობს; მეორე და მეხუთე კვირისტავის წრე დაახლოებით ერთნაირი ელფერისაა და წინა წრეებზე უფრო ყვითელი; მესამისა ყველაზე თეთრია; მეოთხე – მოწითალო; მეექვსე კი მეორე ადგილზეა სითეთრით. მთელი კვირისტავი მოძრაობისას ერთსა და იმავე წრებრუნვას ასრულებს, მაგრამ, ამასთანავე, შვიდი შინაგანი წრე ნელა ბრუნავს მთელი კვირისტავის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით. ყველაზე სწრაფად მოძრაობს მერვე წრე; მეორე ადგილზეა თანაბარი სისწრაფით მოძრავი მეშვიდე, მეექვსე და მეხუთე წრე; მესამეზე, ეტყობოდა, საპირისპირო მიმართულებით მოძრავი მეოთხე წრე; მეოთხე ადგილზე მესამე წრეა, მეხუთეზე კი – მეორე. თვით თითისტარი კი ანანკეს კალთაში ბრუნავს.

თვითეულ წრეზე ფეხმორთხმით ზის თითო სირენა; მათთან ერთად ბრუნვისას ყოველი მათგანი ერთი და იმავე სიმაღლის მხოლოდ ერთ ბგერას გამოსცემს, და ეს რვა ბგერა ჰარმონიულ თანახმიერებად ერწყმის ერთმანეთს. სირენების ირგვლივ, მათგან თანაბრად დაშორებულ სამ ტახტზე სამი სხვა არსება ზის. ესენი მოირები არიან, ანანკეს ასულნი – ლახესისი, კლოთო და ატროპოსი; სამივეს სპეტაკი სამოსი მოსავს და შუბლს გვირგვინი უმკობს. სირენებთან ხმაშეწყობით ლახესისი უმღერის წარსულს, კლოთო – აწმყოს, ატროპოსი კი – მომავალს. კლოთო დროდადრო

მარჯვენა ხელს წაჰკრავს კვირისტავის გარეთა წრეს, რათა თანაბრად იბრუნოს, ატროპოსი მარცხენა ხელით ასევე აბრუნებს შინაგან წრეებს, ლახესისი კი რიგრიგობით ეხება ხელით ერთსაც და მეორეთაც.

იქ მისვლის შემდეგ სულები დაუყოვნებლივ უნდა ხლებოდნენ ლახესისს. ერთმა წინასწარმეტყველმა მწყობრად დარაზმა ისინი, მერე ლახესისის კალთიდან აიღო ყოველგვარი ხვედრი და სიცოცხლის ნიმუში, მაღალ ფიცარნაგზე შედგა და თქვა:

«ანანკეს ასულის, ქალღმერთ ლახესისის სიტყვა: ეფემერულო სულებო! აი, მოკვდავთა მოდგმისათვის სასიკვდილო მეორე მოქცევის დასაბამი. თქვენ კი არ აგირჩევთ წილისყრით თქვენი დემონი, თქვენ თვითონ უნდა აირჩიოთ იგი. ვინც პირველი იქნება წილისყრის შედეგად, პირველი აირჩევს იმ სიცოცხლესაც, რომლითაც უნდა იცოცხლოს აუცილებლობის ძალით. სიქველე ვისიმე ხვედრი როდია: თვითეული თქვენგანი, მეტად თუ ნაკლებად, იმის მიხედვით ეზიარება სიქველეს, პატივს სცემს თუ ზიზღით უყურებს მას. პასუხი თვით ამრჩევს მოეკითხება: ღმერთს როდი მიუძღვის ბრალი».

ეს რომ თქვა, წინასწარმეტყველმა ყველას უყარა წილი, და თვითეულმა, ერის გარდა, ის წილი აიღო, რომელიც მის ახლოს დავარდა: ერს კი ამის ნება არ ჰქონდა. ვინც აიღო, ყველასათვის ცხადი შეიქნა, მერამდენე იყო წილისყრით. ამის შემდეგ წინასწარმეტყველმა ყველას წინაშე მიწაზე გაშალა სიცოცხლის ნიმუშები, რომელთა რიცხვიც გაცილებით მეტი იყო, ვიდრე იქ მყოფი სულებისა. აქ ნახავდით მათ ურიცხვ სხვადასხვაობას: როგორც ცხოველური, ისე ადამიანური სიცოცხლის ყველა შესაძლო სახეს. მათ შორის შეხვდებოდით ტირანებსაც, რომელთაგანაც ზოგიერთის მმართველობა სიკვდილამდე გრძელდებოდა, ზოგისა კი შუა გზაზე წყდებოდა და სიღატაკით, განდევნითა და სიგლახაკით მთავრდებოდა. აქ იყო იმ კაცთა სიცოცხლის ნიმუშები, რომელთაც სახელი მოეხვეჭათ თავიანთი გარეგნობით, სილამაზითა და მძლეთამძლეობით, ისევე, როგორც კეთილშობილებითა თუ წინაპართა სიქველით. შესაბამისად, აქვე იყო უჩინო კაცთა, აგრეთვე ქალთა სიცოცხლის მრავალი სხვადასხვა ნიმუში. აქ ერთმანეთში ალუფხულიყო სიმდიდრე და სიღატაკე, სნეულება და ჯანმრთელობა, აგრეთვე შუალედური მდგომარეობანი.

ადამიანს, ჩემო ძვირფასო გლავკონ, აქ ემუქრება ყველაზე დიდი საფრთხე, ამიტომ თვითეულმა ჩვენგანმა ყველაფერი განზე უნდა გადადოს და, უწინარეს ყოვლისა, იქითკენ მიმართოს მცდელობა, რომ შეძლებისდაგვარად შეიცნოს ეს. იქნებ მიაკვლიოს ადამიანს, რომელიც ასწავლიდა და შეაძლებინებდა ერთმანეთისაგან გაერჩია ცხოვრების უკეთესი და უკეთური წესი, ხოლო იმ შესაძლებლობათაგან, ბედი რომ არგუნებდა წილად, ყველგან და ყოველთვის ამოერჩია უმჯობესი. ამასთანავე, გაეთვალისწინებინა, რა ზემოქმედებას ახდენს სიქველეზე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ყოველივე ის, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, თავისი თავმოყრისა თუ განმხოლოების წყალობით, რათა, ამრიგად, წინასწარვე ეხილა სიკეთე და ბოროტება, რასაც იწვევს მშვენიერების შერწყმა სიმდიდრესა თუ სიღარიბესთან, სულის გარკვეული განწყობილების თანხლებით, და, იმავდროულად, შეეცნო, რას ნიშნავს კეთილშობილური თუ მდაბიური წარმომავლობა, პირადი ცხოვრება თუ სახელმწიფო საქმიანობა, ძლიერება თუ უძლურება, ნიჭიერება თუ უნიჭობა, ან ბუნებით თანდაყოლილი თუ შეძენილი თვისებები სულისა. ყოველივე ამის შეჯერებითა და სულის ბუნების გათვალისწინებით, ადამიანს შეუძლია არჩევანი მოახდინოს ცხოვრების უკეთეს და უკეთურ წესს შორის: უკეთურად ის მიიჩნევს ცხოვრების იმნაირ წესს, რომელსაც იქამდე მივყავართ, რომ სული

უსამართლო ხდება, უკეთესად კი – იმას, რომელიც სულს უფრო სამართლიანს ხდის, ყოველივე დანარჩენს კი არას დაგიდევთ. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც ესაა ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევანი. ჰადესში ფოლადივით მტკიცე რწმენით უნდა ჩახვიდე, რომ ვერც სიმდიდრემ თუ სხვა მისთანა საცთურმა, ვერც ტირანად თუ დესპოტად ქცევის სურვილმა დაგივსოს თვალი, რათა ურიცხვი საზარელი უბედურება არ დაატეხო თავზე ხალხს და არც შენ თვითონ დაითმინო კიდევ უფრო დიდი ბოროტება. ყოველთვის უნდა გაურბოდე ორსავე უკიდურესობას და შეგეძლოს საშუალო გზის არჩევა, როგორც ამ ქვეყნად, ისე საუკუნო სოფლადაც, რადგანაც ესაა ადამიანის ყველაზე დიდი ბედნიერება.

საიქიოდან მოსული მაცნის თანახმად, წინასწარმეტყველს წილისყრისას ესეც უთქვამს: «თვით სულ ბოლოს მოსულსაც კი, თუ მკაცრად და ჭკვიანურად ახდენს არჩევანს, შეუძლია ამოირჩიოს არცთუ ურიგო და სასიამოვნო სიცოცხლე. ვინც ყველაზე უმალ ირჩევს, ყურადღებით იყოს, ბოლოს ამრჩევი კი ნუ დაკარგავს მხნეობას».

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე – ამბობდა ერი, – მოვიდა ის, ვისაც წილისყრამ პირველობა არგუნა, და დიდი ტირანის სიცოცხლე ირჩია; თავისი უგუნურებისა და უძღები სიხარბის გამო მოახდინა ეს არჩევანი და არც კი დაჰფიქრებია, რა საშინელი შედეგი მოჰყვებოდა ამას: განგების ნებით საკუთარი შვილები უნდა შთაენთქა და ბევრი სხვა ბოროტებაც ჩაედინა. მაგრამ შემდეგ, როცა დაფიქრდა, მკერდს მჯიღი იკრა და მწარედ დაიტირა თავისი ხვედრი, წინასწარმეტყველის გაფრთხილების მიუხედავად რომ აირჩია; მაგრამ ამაში თავის თავს კი არ სდებდა ბრალს, არამედ ბედისწერას, ღვთაებებს, მოკლედ, ყველაფერს, გარდა საკუთარი თავისა. არადა, ის ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ზეციდან ჩამოვიდა, და თავისი წინა სიცოცხლე სრულყოფილი წყობილების მქონე სახელმწიფოში გალია. თუმცა მისი სიქველე მხოლოდ ჩვეულებით იყო განპირობებული და არა სიბრძნის სიყვარულით. შეიძლება ითქვას, რომ ზეციდან ჩამოსულთა შორის ცოტა როდი იყო ისეთი სული, ვინც ამ ანკესს წამოეგო, რადგანაც ისინი ჭირთათმენაში როდი იყვნენ გამობრძმედილნი. და პირიქით, მიწის წიაღიდან ამოსულთა უმრავლესობა ნაჩქარევად როდი ახდენდა არჩევანს: მათ ხომ ისედაც უამრავი უბედურება ჰქონდათ გადატანილი და უამრავი უბედურებაც ენახათ. ამიტომ და წილისყრისათვის ნიშნეული შემთხვევითობის გამოც ბევრი სული უარესზე ცვლიდა უკეთეს ხვედრს და პირიქით. თუ ყოველთვის, როცა ადამიანი ამ ქვეყნად მოდის, ის საღად აზროვნებდა და ბედმაც ისე ინება, რომ უკანასკნელთა შორის არ ეყარა წილი, მაშინ, როგორც იმ ქვეყნიდან გვაუწყებენ, მარტო მისი ამქვეყნიური ცხოვრება კი არ იქნება ბედნიერი, არამედ მისი გზაც – ამ წუთისოფლიდან საუკუნო სოფლად და პირუკუ – ნარეკლიან მიწისქვეშეთში კი არ გაივლის, არამედ ზეცის ჰაეროვან სიანკარეში.

სანახავად ღირდა, – დასძენდა ერი, – როგორ ირჩევდნენ სულები თავიანთ ხვედრს. ამის ყურება საცოდაობაც იყო, სასაცილოც და საოცარიც. არჩევანი უპირატესად წინა სიცოცხლის ჩვეულებებით იყო განპირობებული. ერმა იხილა, როგორ ირჩია იმისმა სულმა, ვინც ოდესღაც ორფევსი იყო, გედის სიცოცხლე, ქალთა მოდგმისადმი სიძულვილის გამო: რაკი მათ მოუსწრაფეს სიცოცხლე, აღარ ისურვა ქალის საშოდან შობილიყო. იქვე იხილა თამირისის სულაც, რომელმაც ბულბულის სიცოცხლე ირჩია. სამაგიეროდ გედმა და ზოგიერთმა სხვა ფრინველმა ამჯობინა ადამიანად განსხეულებულიყო. სულმა, რომელიც მეოცე იყო წილისყრით, ლომის სიცოცხლე ირჩია: ეს აიაქსი იყო, ტელამონის ძე, რომელსაც აღარ სურდა ადამიანად

ქცევა, რადგანაც არ დავიწყნოდა აბჯრის მინიჭების ამბავი. შემდეგი სული აგამემნონისა იყო, ოდესღაც თავს დატეხილი უბედურების გამო საშინლად რომ სძულდა კაცთა მოდგმა და ამიტომაც ისურვა არწივად ქცეულიყო. ამასობაში ატალანტას ჯერმაც მოაწია, რომელსაც წილისყრამ შუათანებს შორის არგუნა ადგილი; რაკიღა იცოდა, რა დიდ პატივსაც მიაგებენ ათლეტებს, ვერ შესძლო გვერდი აევლო მათთვის და სწორედ ეს ხვედრი ირჩია. ამის შემდეგ ერმა იხილა ეპეიოსის, პანოპევსის ძის სული, ხელოსნობაში გაწაფული ქალის ბუნებას რომ იმოსავდა. სადღაც შორს, წილისყრის უკანასკნელ მონაწილეთა შორის, თვალი მოჰკრა ტაკიმასხარა თერსიტეს სულსაც, მაიმუნის სხეული რომ შეიმოსა. წილისყრას სულ ბოლო ადგილი ერგუნებინა ოდისევსის სულისათვის, რომელსაც კარგად ახსოვდა უწინდელი ტანჯვა-წამება, ამიტომაც უარეყო თავისი პატივმოყვარეობა და გაფაციცებით დაეძებდა საქვეყნო საქმეებს გარიდებული უბრალო მოკვდავის სიცოცხლეს; ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო, ყველას მიერ დაწუნებულს, ოდისევსის სულმა კი დანახვისთანავე ირჩია ის და თქვა, წილისყრით პირველს რომ მრგებოდა არჩევანის უფლება, მაინც ასე მოვიქცეოდიო. მხეცების სულები ზუსტად ასევე გადადიოდნენ ადამიანებშიც და ერთმანეთშიაც; უსამართლონი მძვინვარეთა ბუნებას იმოსავდნენ, სამართლიანნი კი – თვინიერთა ბუნებას. მოკლედ, ერი ათასნაირი ცვალებადობის მოწმე იყო.

მას შემდეგ, რაც ყველა სულმა აირჩია თავისი ხვედრი, ისინი წილისყრით დადგენილი რიგის მიხედვით მიდიოდნენ ლახესისთან. ვისაც რომელი დემონი აერჩია, მოირა სწორედ მას აძლევდა თვითეულ მათგანს მფარველად და არჩეული ხვედრის აღმასრულებლად. ამ მცველს და მფარველს, უწინარეს ყოვლისა, კლოთოსთან მიჰყავდა სული, რათა მისი ხელისა და მისივე სწრაფად მბრუნავი თითისტრის ქვეშ გაეტარებინა იგი, რითაც ამტკიცებდა სულის მიერ არჩეულ ხვედრს. კლოთოსთან შეხების შემდეგ მცველი ატროპოსის საქსოვისკენ მიუძღოდა მას, რათა საბოლოოდ განესაზღვრა კლოთოს მიერ დართული სიცოცხლის ძაფი.

იქიდან სული უკუმოუქცევლად უახლოვდება ანანკეს ტახტს, მის ქვეშ გაივლის და მეორე მხარეს გადის. როცა ყველა სული თავს მოიყრის მეორე მხარეს, ისინი საშინელ სიცხესა და ხვატში მიემართებიან ლეთეს ველისაკენ, სადაც ვერცერთ ხესა თუ სხვა მცენარეს ვერ მოჰკრავთ თვალს. შეღამებისას სულები მდინარე ამელეტოსის პირას ივანებენ. ვერცერთი ჭურჭელი ამ მდინარის წყალს ვერ იჭერს. გარკვეული რაოდენობით ყველა სულმა უნდა შესვას ამელეტოსის წყალი, მაგრამ ვინც თავს ვერ იკავებს და უზომოსა სვამს, ყველაფერი ავიწყდება. ყველამ დაიძინა, მაგრამ შუაღამისას საშინლად იგრგვინა და მიწაც იძრა. უცებ ყველანი გრიგალმა აიტაცა ცაში, სხვადასხვა მხარეს მიმოფანტა, სადაც უნდა შობილიყვნენ ისინი, და სულები ვარსკვლავებივით აკიაფდნენ ცის თაღზე. ერს კი ამ წყლის შესმის ნება არ მისცეს. აღარ ახსოვდა, როგორ დაუბრუნდა მისი სული სხეულს. ანაზდეულად გამოფხიზლდა განთიადისას და დაინახა, რომ კოცონზე იწვა.

ასე გადარჩა, გლავკონ, ეს მითი და არ დაიღუპა. თუ ვერწმუნებით, ჩვენც გვიხსნის; ლეთესაც ადვილად გადავლახავთ და არც უწმინდურებით წავიბილწავთ სულს. მერწმუნეთ, სული უკვდავია და უნარი შესწევს აიტანოს ყოველგვარი სიკეთე და ყოველგვარი ბოროტება; თუ ყოველთვის აღმავალი გზით ვივლით, განუხრელად აღვასრულებთ სამართლიანობას და ყურს მივუგდებთ გონების ხმას, რათა, ვიდრე აქა ვართ, ერთმანეთს ვმეგობრობდეთ და გვიყვარდეს ღმერთი. ასე მოვიმკით სამართლიანობის საზღაურს, როგორც ასპარეზობაში გამარჯვებულნი, რომლებსაც

უშურველად უძღვნიან ჯილდოს, და ბედნიერი ვიქნებით როგორც ამ ქვეყნად, ისე იმ ათასწლოვან მოგზაურობაშიაც, ზემოთ რომ აღვწერეთ.